

ციალა არდაშელია

სიყვარულის იქტეგლიფი
(მოთხრობები, ნოველები, მინიატურები)



2013

ვუძღვნი დევნილობაში ტრაგიკულად დაღუპული ძმის
ავთანდილ (ალიკო) არდაშელისას ხსოვნას

რედაქტორი - **რუსუდან მოსიძე**

გარეკანი და წიგნის

კომპიუტერული უზრუნველყოფა - **მარია მიქელაძის**

© გამომცემლობა - „ბაჰი“ 2013

© ცილა არდაშელია - „სიყვარულის იეროგლიფები“

ISBN 978-9941-426-33-9

საქართველო, თბილისი 2013

„ღალაღალა“

(აფხაზეთში დაღუპულ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნას!)

მტრედი გაფრენილიყო. პურის ნამცეცები ისევ ისე ეყარა ცხ-
აურიანი ფანჯრის გარეთა რაფაზე. მთელი იმ ხნის განმავლობაში,
რაც ფრინველი იქაურობას შემოეჩვია, დღეს პირველად დატოვა
საკენკი ხელუხლებლად.

მცირეხანს იჯდა შეურხეველად, გატრუნული. ძველებურად არ
უგოგმანია, არ უღუღუნია, უცებ ფრთები შეაფართოქუნა და... გაუჩი-
ნარდა...

უცნაურია. თუმცა... რა უნდა იყოს უცნაური და გაუგონარი
ამ ცისქვეშეთში?..

ჩაეღიმა. ცხაურს მოშორდა. და მაინც...

რატომ გაფრინდა მტრედი ასე მალე? ნეტავ, რა მოეღანდა?

მაგიდასთან მივიდა, სიმას შემოტანილ სადილს გულგრილად
შეავლო თვალი. მერე ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო... და
გაირინდა.

ფიქრები კვლავ აიშალნენ. აიწეწნენ. ტანში ჩვეული მოუს-
ვენრობა შეუდგა. ნაჭრილობევემაც შეახსენა თავი. მაგრამ ფიზი-
კურზე უფრო გაუსაძლისი იყო სულიერი იარები.

დაძაბული შინაგანი მზერა ერთი და იმავე სურათისთვის
მიეშტერებინა. კვილამდე მძაფრი იყო ტკივილის შეგრძნება...
და უცებ: გონების დაფაზე ხელმეორედ ცხადად გამოიკვეთა ის
თითქოს მივიწყებული, ოდინდელი ეპიზოდი ბოშა ქალთან შეხვე-
დრისა...

სანაპიროზე მიმავალს, მიმოზის ტოტი ეჭირა ხელში და, გა-
ზაფხულით და ყვავილის სურნელით თავბრუდახვეული, წყნარი
ღიმილით ლაღად მიირწეოდა – ტანაშოლტილი, ლამაზი, მოხდე-
ნილი. საკუთარი სხეულის სრულყოფილების და სულის სისავ-
სის შეგრძნება ერთმანეთს შერწყმოდა და ოცნებათა და ზმანებათა
ზღვარდაუდებ, უხილავ და შორეულ სივრცეებში მიაქროლებდა.

ბოშა ქალი?

უნებურად შეერთა. არ ესიამოვნა და იუცხოვა კიდევ ბუნ-
ლოვანი, მაგრამ საოცნებო ხილვებიდან ასე მოულოდნელად რომ
გამოიყვანეს...

თავაზიანი ღიმილით შეეცადა, ჩამოეშორებინა მარჩიელი და
გზა განეგრძო, მაგრამ ბოშა ქალი არ ეშვებოდა: – ლამაზო, უნდა
გიმკითხავო! – ფართო ღიმილით დაჟინებით, როგორც ბოშებს
სჩვევიათ ხოლმე საერთოდ, გვერდით მოსდევდა.

ჯანდაბასო, გაივლო გუნებაში, თან ცნობისწადილმაც სძლია და...
დაჰყვა ბოშა ქალის ნებას.

სკვერში, მერხზე დასხდნენ. მიმოზის ტოტს ხშირ-ხშირად ყნო-
სავდა და მომლოდინე ღიმილით შესცქეროდა ბოშას. შავვერემანი,
ლამაზი ქალი იყო. ისიც ახალგაზრდა, თითქმის მისი კბილა.
რადაცნაირი უჩინარი, უხილავი ურთიერთსიმძაბთიის ძაფები გაიბა
უცებ ამ ორი რასის, სხვადასხვანაირად ლამაზ ორ მდედრს შო-
რის, გარეგნობით თავისი ჯიშის და ჯილაგის საუკეთესო წარმო-
მადგენლები რომ ჩანდნენ.

– ლამაზო! მომეცი ხელი... ო, ო, შენ ბედნიერი ქალი ხარ...
ბედნიერი ოჯახი გაქვს...

შენ სიყვარულით გათხოვდი... ქმარსაც უყვარხარ, მაგრამ...
ცოტა მძიმე ხასიათის კაცია, ხომ მართალია? ერთი შვილი გყავს,
ბიჭი... კიდევ შეგეძინება ორი – ქალ-ვაჟი... შენ ბავშობიდან ყვე-
ლა ჯეირანს გეძახხოდა, ხომ მართალია?.. საიდან ვიცი ასე კარგად
ქართული?... ხაშურში ვცხოვრობდით დიდხანს... იქ დავიბადე... ქა-
რთველები მიყვარს. კარგი ხალხია... გულკეთილი... შენც კითილი
ხარ, ძალიან კეთილი... შენ ყველა გიყვარს... მაგრამ, ოჰ, ლამაზო,
რამდენი გულისტკენა გაქვს! შენ ბოლმა არა გაქვს გულში... შენ
არავის ცუდი არ გინდა... არავის წყენა... ახ, ლამაზო... ეს მი-
მოზა გიჭირავს ახლა ხელში... ზღვას უყურებ... ცას უყურებ...
ვიხარია... შენ ძალიან ბედნიერი ხარ,... ძალიან! ძალიან! მაგრამ...

ექსტაზში შესული ბოშა ქალი შეჩერდა. კვლავ დაჟინებით
დააცქერდა ხელის გულს, უცებ თავისი ხელის მტევანი გადაუსვა,
მერე ელვისებური მზერა სტყორცნა ქალს, თანდათანობით ნირი
რომ ეცვლებოდა: – ოი, რა დიდი უსიამოვნება გელოდება... არა,
დღეს არა, არც ზვალ, დიდი ხნის მერე... წლების შემდეგ... ო, ო

რა საშინელი ბოლო აქვს შენს მეუღლეს... ახ, მათ ბედნიაჟკა, მთი ანგელ, ნუთუ... ნუთუ შენ, შენ... არა! – ბოშა ქალმა მკვეთრი მოძრაობით ქალის ნებს ხელი უშვა, ზეაიჭრა: – ყურს ნუ მიგდებ... დაივიწყე დღევანდელი დღე!.. დაივიწყე ციგნის ქალი!.. არ მინდა შენი ფული, არაფერი არ მინდა! მე წავედი! მშვიდობით, ჩემო ლამაზო!.. ღმერთმა სიკეთე მოგცეს... ჯანმრთელობა მოგცეს!

სამუდამოდ მივიწყებული რომ ეგონა, თურმე ცოცხლობდა ის სურათი და ბოშა ქალი... მისი სიტყვები...

როცა მეუღლე – დამალვა რომ არ ისურვა და უშიშრად შეეგება მომხდურებს – საკუთარი სახლის ჭიშკართან დახვრიტეს, როცა სიმახ და დაურს სახლში დამწყვდეული ჰყავდათ, გარეთ რომ არ გაჭრილიყო...

უცებ გულის უშორესი კუნჭულიდან უნებლიეთ ამოტივტივდა თითქოს მიჩუმათებულ-მინავლებული სიტყვები: – ოი, რა საშინელი ბოლო ექნება შენს მეუღლესო! – და წამიერად ბოშა ქალის სახემ კვლავ გაიელვა მის თვალწინ, მხოლოდ წამიერად და...

– საჭმლისთვის ისევ არ დაგიკარებია პირი, მზია! – სიმა შემოსულიყო უჩუბრად და საყვედურიანი მხერით უყურებდა.

შეტოკდა. მერე დაბნეულმა სცადა შეუმჩნეველად ცრემლის შემშრალება:

– როგორ არა... ვჭამე... მეტი არ მინდა... მეტი არ შემიძლია, საყვარელო!

– შენ მორწმუნე ქალი ხარ და... თავს იკლავ... ასე არ შეიძლება მზია!

– ნუ გეწყინება, საყვარელო... მე ისედაც ნახევრად მკვდარი ვარ... ყველაფერს აჯობებდა ჩემს მირიანთან ერთად მეც მოვეკალით... თქვენ კი... ტყუილუბრალოდ საფრთხეში ივდებთ თავს... ეს მტანჯავს... მოსვენებას არ მაძლევს...

– ნუ ლაპარაკობ მასე!.. ჩვენ არაფერი მოგვივა... ჩვენზე ნუ დარდობ!.. შენ კი... მზია ძვირფასო, შვილები გყავს, შვილიშვილი... შენ მათ სჭირდება. ხომ გინდა ნახო შენი პირველი შვილიშვილი, შენი პატარა მზიაკო?... სულ ასე ხომ არ იქნება?... დაწყნარდება აქაურობა და... შენც ჩახვალ ზუგდიდში... თბილისშიც... ნახავ ყველას... საფლავსაც ხომ პატრონობა უნდა?

– დიდი მაღლობა, საყვარელო, ყველაფრისთვის... დიდი მაღლობა... ჩვენები თუ ვერა, ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს შენ და დაურს, შენს ოჯახს... შენს შვილებს. მაგრამ... არ მინდა, უსიამოვნება შეგხვდეთ... აქაურობის დაწყნარებას ჯერ პირი არ უჩანს... ჯერ არ გამძღარან სისხლით... საფლავეები ჯერ არ ამოვსებულა...

– მზია!.. წინასწარ არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ... დაურმა უკვე მოძებნა სანდო ხალხი... კიდევ ცოტა ხანი... და სამშვიდობოს გაგიყვანენ... – გულაჩუყებული სიმა უცებ გადაეხვია და კოცნა დაუწყო. მზიასაც გული ამოუჯდა და თავადაც ჩაეხუტა ქალს.

მერე ისხდნენ გვერდიგვერდ, თითქოს გულმოდგინებულნი, ნაწვალეები ღიმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს და ხმას არ იღებდნენ.

მოულოდნელად სარდაფის კარი ხმაურით შემოაღო სახეარეულმა მამაკაცმა:

– სიმა!.. მზია!.. მოვიდნენ!

და სანამ თავზარდაცემული ქალები გონს მოეგებოდნენ, სარდაფში ბრაგუნ-ბრაგუნით, ლანძღვა-გინებით ავტომატმომარჯვებული „ბოევიკები“ შემოცვივდნენ.

– Где грузинская поэтесса? (სად არის ქართველი პოეტესა?) – თვალების ბრიალით დაიდრიალა ერთმა და სიმას მიაშვირა ხელი: – ты? (შენ ხარ?)

მზია „ბოევიკებს“ წინ გადაუდგა:

– Нет, не она! это – Я! (ის არაა. მე ვარ!)

– Ах, вот, значит это ты – поэтесса. – вот оказывается, где прячется эта сука!.. видишь ли, жить захотела эта старая стерва. мать твою...

(– აჰ, ესე იგი, შენა ხარ?... უყურე შენ, თურმე სად იმალებოდა ეს ძალღიშვილი. სიცოცხლე მოუნდა ამ ბებერ ძუენას. შენი დედა...), ორივე მხრიდან ხელი ჩაავლეს და ჯიკავ-ჯიკავით წინ გაიგდეს, თუმცა მზია წინააღმდეგობას არც უწევდა მათ.

კიბეზე თავი ვერ შეიმაგრა და საფეხურებზე ცალი ფეხით ჩაიკეცა. ერთმა „ბოევიკმა“ ავტომატის კონდანხი ჩასცხო ზურგში: – Не прикидывайся, сука!.. мать твою...(თავს ნუ იმკვდარუნებ,

ძაღლისშვილო. შენი დედა...) ქალმა ყრუდ დაიგმინა. მერე კბილი კბილს დააჭირა და ნელა წამოიმართა.

— Да что-же вы, ребята! она ведь тяжело больна! (— ბიჭებო, რა ამბავში ხართ? ის ხომ მძიმე ავადმყოფია მართლად?)

სიმამ, რომელიც უკან დასდევნებოდა „ბოვეიკებს“, მზიასკენ გაიწვია მისაშველებლად, თან აფსუურ ენაზე რალაცას უხსნიდა მათ. ქმარმა ჩუმად სახელოზე დაქანა, მაგრამ სიმას უკან არ მოუხედავს.

— Да, ты, отстань, женщина! с вами еще поговорим... Предательница! (შენ გაჩუმიდი, ქალო. შენთან მერე ვილაპარაკებთ. მოლაღატევ...)

„ბოვეიკები“ ღრენა-ღრენით, თითქმის ხელით მიათრევდნენ ძაღლონე გამოღეულ ქალს.

...მიკროავტობუსში რომ ავდებდნენ, სიმამ სასოწარკვეთილი ხმით დაუძახა:

— მზია, გვაპატიე!

ქალმა „ბოვეიკების“ მხრებს ზემოთ გამოხედა, გაღიმება სცადა, თვალებით კი უთხრა, ყველაფერი მესმისო.

... ავტობუსი კაი ხნის წასული იყო, მაგრამ სიმა მანც გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილზე და ვერც მოშორებით შეჩერებულ, მხრებჩამოყრილ ქმარს ამჩნევდა და არც მისი სიტყვები ესმოდა.

მეზობლის ჭიშკართან ატუზულ ქალს მხოლოდ მაშინ მოჰკრა თვალი, როცა ქმარმა ეზოში შეყვანა დაუპირა.

ქალების მზერა წამიერად ერთმანეთს შეაწყდა. გონებაში რალაც დაიკლაკნა ელვასავით. გული შეუქანდა, შემდეგ წყნარი, ნელი ნაბიჯებით დაიდრა სიმა-მეზობლისკენ.

დაუახლოვდა თუ არა, ერთბაშად ყელში წვდა:

— ეს შენ გააკეთე ხომ?.. შენ?.. რა დაგიშავა... რა დაგიშავა, შე გველო, შხამიანო გველო? სიკეთის მეტი რა უქნია შენთვის?..

ქმარი გააფთრებულ ცოლს მივარდა და შეეცადა, ხელიდან გამოეგლიჯა მეზობელი.

— სიმა!.. რას შვრები?.. გონს მოდი!

— გამიშვი, გამიშვი-მეთქი... უნდა მივახრჩო ეს ძუკნა, ეს გველის წიწილი!

კაცმა ძლივს გამოათრია ცოლი და კვლავ ეზოში შეყვანა მოუნდომა.

– შენ რა, შეიშალე ქალო?.. დაგავიწყდა, რომ ბავშვები გყავს? გონს მოდი-მეთქი. გეუბნები.

ამასობაში გაოგნებული, დაზაფრული მეზობლის ქალი გამოერკვა და აწიწინდა. მაგრამ სიმახ უკვე აღარაფერი ესმოდა. ქმარმა იგი სახლის პირველი სართულის აივანზე თითქმის ძალით აიყვანა.

– ჭკუიდან გადახვედი, ქალო? შეიძლება ჩვენც მიგვაყოლონ... არ უქნიათ თუ?.. არ გიშველის აფხაზობა!.. არც შენი ბიძაშვილის სახელი... ხომ გესმოდა, როგორ დაგვემუქრენ?.. არავინ იცის, რით დამთავრდება ეს ყველაფერი... ვერა ხედავ, მკვლელებთან რომ გვაქვს საქმე?..

– მე მრცხვენია გესმის? მრცხვენია, რომ აფხაზი ვარ!.. თქვენ კი... მამაკაცები... – ქალი დაუსხლტა ქმრის მკლავებს, აივნის ბოძს შემოეხვია და აზლუქუნდა. მერე უცებვე შეწყვიტა ტირილი. სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება გამოეხატა:

– მე... უნდა წავიდე!.. – თქვა დამარცვლით, შეუვალი სახით და თმაზე ხელი გადაისვა, კაბა გაისწორა.

– სად... სად უნდა წახვიდე?.. ხომ არ შეიშალე მართლა? სად მიღიხარ-მეთქი?..

– იცი, შენ, სადაც მივდივარ! – სიმამ უკან მოუხედავად ჩაირბინა კიბე და ჭიშკრისკენ გაეშურა.

...მიკროავტობუსში მსხლმძი ნასვამი, აღვზნებული „ბოვეიკები“ არ ცხრებოდნენ. უფრო და უფრო შედიოდნენ ბილწსიტყვაობის ემსში.

– Ну, что, сука, старая б... опять будешь писать стихи про Абхазию. "моя Абхазия", "Родной мой край..." (შე ძაღლისშვილო, შე ძველო კახაავ... კვლავ დაწერ ლექსებს აფხაზეთზე?.. „ჩემი აფხაზეთი“, „ჩემი მშობლიური კუთხე“, არა?)

– Знаешь что не понимаю, почему Абхазия? Я ведь апсуа и моя родина Апсны! при чем здесь Абхазия?. (იცი, რას ვერ ვიგებ, მე ხომ აფსუა ვარ და ჩემს სამშობლოს აფსნი ჰქვია. რატომ აფხაზეთი და არა... აფსნი?) – გაკვირვების

შეძახილს ჩაბოხებულ-ჩახრინწული ხმა გამოეპასუხა: – Да ведь грузины, сукини дети, так называют нас! (ეს ძალღიშვილი ქართველები ასე გვეძახიან!)

– Ну и пусть... раз вес мир с таким названием узнал нас – это даже к лучшему! (მსოფლიომ ხომ ამ სახელწოდებით გაგვიცნო? ეს უკეთესიცაა!)

„ბოევიკები“ ყიამყრალობდნენ, გაუთავებელ, უაზრო ხორხოცში ერთმანეთს ახსენებდნენ ხან ერთ, ხან მეორე ეპიზოდს – ახალდაბასა თუ ვალში მომხდარს. განსაკუთრებული მოწონებისა და კმაყოფილების გრძნობას, როგორც ჩანს, იწვევდა მათში ჩეჩენი მუსას, ადიღელი აბდულას, კაზაკი სლავიკას, სომეხი სარქისას სახელები: ის, თუ ჩეჩენმა მუსამ როგორ გააუპატიურა ფეხმძიძე ქალი ახალდაბაში, მერე როგორ გაუფატრა მუცელი, იქიდან „გრუზინსკი უბლიულოკი“ როგორ ამოიყვანა და ნაჭერ-ნაჭერ აქნა, მერე ხეზე როგორ ჩამოკიდა აბრა – იყიდება ქართული ხორციო. – ამ მოვონებამ აღტაცების ისეთი ხორხოცი გამოიწვია, რომ მიკრო-ავტობუსის მძღოლიც კი შეტოკდა, სარკიდან მალულად, შემფოთებული მზერა მოავლო „ბოევიკებს“. არანაკლები აღფრთოვანება მოჰგვარა მათ სლავიკის და სარქისას მიერ ვალში ორი გაუთხოვარი, ხნიერი მასწავლებელი დების ძმის თანდასწრებით ნამუსის ახდის და შემდეგ სამთავეს ერთად დახოცვის ამბავმა. ასეთივე კმაყოფილებითა და სიამოვნებით იგონებდნენ იმ აურაცხელ ნადავლს, ვალში რომ ჩაიგდეს ხელში.

– А знаешь, что было особенно смешно?, Остались, чтобы караулить добро, а подошли, как сабаки! (იცი რა იყო განსაკუთრებით სასაცილო? დარჩნენ, რომ ეყარაულებინათ თავის ავლა-დიდებისთვის, ხოლო სული გაძვრათ, როგორც ძაღლებს!)

– А многих ведь свиньи съели!.. похоронить то некому было!.. ха... ха... ха... (ბევრი მათგანი ხომ ღორებმა შეჭამეს! დამმარხავი ხომ აღარავინ დარჩა?.. ჰა, ჰა, ჰა...)

– Так им надо!.. Еще не все уничтожены! многие всеж-таки успели удрать!.. но ничего!.. доберемся и до них, хоть в Тбилиси. (ახია მაგათზე. ჯერ კიდევ ყველა არაა

გაჟღერებული. ბევრმა გაქცევა მაინც მოასწრო. არა უშავს. იმათაც მივწვდებით, თუნდ თბილისამდე!) – გინება, ხარხარი, პურჭყვა და ფეხის ბრაგუნი ერთმანეთში აირია.

– Ну, ты, стерва, что молчишь, язык что-ли проглотила? А может ты не против чтоб, тебя, здес-же, при всех... а. ха, ха, ха, (შენ, ძალღიშვილო, რად გაჩუმებულხარ? ენა გადაყლაპე, თუ რა?.. ეგებ შენ წინააღმდეგი არცა ხარ, აქვე, ყველას თვალწინ... ა?... ჰა, ჰა, ჰა!)

– Я разговариваю только с людьми, а не с животными! (მე მხოლოდ ადამიანებთან ვლაპარაკობ და არა პირუტყვებთან!) – თვითონაც არ იცის, როგორ მოსწყდა ეს სიტყვები მის ბაგე-პირს.

– Ах, ты, сука, б... (უხ, შენი, ძალღიშვილო...) – ბილწი, უშვერი გინებით ჯანგარა სახის „ბოევიკა“ რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცხვირ-პირში მუშტი ჩაარტყა. ქალს სისხლი წასკდა, მაგრამ არ განძრეულა, არც დაუკვნესია.

– Видишь, как потекла у тебя кровь, мерзавка... все вы, грузины, будете вот так харкать и истекать кровью! (ხედავ როგორ, წამოგივიდა სისხლი, შე სალახანავ? თქვენ ყველანი, ყველა ქართველი ასე ამოარწყევთ სისხლს და დაიცლებით სისხლისგან!) – ნიშნისმოგებით, თვალების ბრეციით ცრიდა სიტყვებს „ბოევიკი“... შემდეგ მუხლებზე წიხლი უთავაზა ქალს: – вот тебе еще, сука! (აი, კიდევ ერთიც, ძუკნავ!)

– Гарик хватит!.. мы должны доставить эту женщину живой.

– ты что, жалеешь эту грузинскую дрянью?

– Я никого не жалею, а хочу лишь доставить эту женщину невредимой!

– Нет, если ты хоть капельку жалеешь эту суку, то ты не настоящий абхазец!

– Ну, довольно, хватит!.. кто настоящий абхазец, а кто нет – не тебе, Гарику Мкртычяну, выяснять!

– Замолчите вы оба!.. вы что, свихнулись, мама моя...

(– გარიკ, გეყოფა!.. ჩვენ ეს ქალი ცოცხალი უნდა მივიყვანოთ!

– შენ რა? გეცოდება ეს ქართველი სალახანა?

– მე არავინ მეცოდება, მინდა ეს ქალი უვნებელი მივეგარო უფროსებს!

– არა, შენ თუ ერთი წვეთით მაინც გეცოდება ეს ქალი, მაშინ შენ ნამდვილი აფხაზი არა ყოფილხარ.

– გეყოფა, საკმარისია... ვინ ნამდვილი აფხაზია და ვინ არა – ეს შენი – გარიკ მკრტიჩიანის გასარკვევი არ გახლავს.

– გაჩუმდით ორივე. თქვენ რა, შეიშალებით?.. ჩემი დედა...)

... მიკროავტობუსი სამსართულიანი სახლის წინ გაჩერდა.

– Ну, вылезай, поэтесса! (– აბა, გადმოდი პოეტესავ!)

...მოსაცდელში მრგვალ, დიდ მაგიდას ერთი ქალი და რამდენიმე კაცი შემოსხდომოდა.

– Здесь подожди, поэтесса, пока тебя не вызовут! (– აქ დაიცადე, პოეტესავ, სანამ არ გამოგიძახებენ!) – დამცინავი ხმითა და გესლიანი ღიმილით უთხრა ერთმა „ბოვეიკოტაგანმა“. და კაბინეტში შეალაჯა.

ქალი ცარიელ სკამზე მძიმედ დაეშვა, თან თითებს ცხვირზე იჭერდა, რომ სისხლის დენა შეეჩერებინა. შავი კაბის გულისპირი ერთიანად მოთხვროდა სისხლით.

უცებ დამხვდური ხნიერი, გამხდარი, პატარა ტანის, სახეაფორაჯებული მანდილოსანი, ვის გვერდითაც აღმოჩნდა, მისკენ გადმოიხარა და: – თქვენ... მზია არ ბრძანდებით? ობოლაძე?..

ქალმა უხმოდ დაუქნია თავი.

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!.. თქვენ რისთვის? რატომ? სიყვარულის და სიკეთის მეტი რა გიკეთებიათ?.. თუმცა, რას ვამბობ?.. რა სისულელეა! ამ სიძულვილის აპოთეოზში სიყვარული რა სახსენებელია! – ძლივს გასაგონი ხმით ჩურჩულებდა მანდილოსანი და თან წარამარა იფარებდა ტუჩებზე ცხვირსახოცს. მერე მოისაზრა და თავისი ცხვირსახოცი გაუწოდა ქალს.

– აიღეთ... სისხლი შეიწმინდეთ... ვაი, ჩემო დღეო, ამას რას მოვესწართ!.. – მან თითქმის ძალით შეაჩეჩა ცხვირსახოცი სახეგამტკნარებულ, მღუპარე ქალს. მზიამ ჩამოართვა და ცხვირპირი მოიწმინდა, შემდეგ სისხლიანი ნაჭერი ხელში მომუჭა: – დიდი მადლობა, ქალბატონო... – ტუჩების უხმო მოძრაობით, ძლივს

წაიდუღუნა: – როგორ მეცნობით, ქალბატონო... მაგრამ... მაპატიეთ, ვეღარ ვიგონებ, საიდან...

– მე ლუბა ვარ, ბერაია, პედაგოგი... – სწრაფად შეეშველა მანდილოსანი: – მეხუთე სკოლაში ვასწავლიდი ქართულს... ერთხელ შეხვედრა მოგიწყვეთ სკოლაში... თქვენ ისეთი დიდებული იყავით...

– ო, დიას... დიას... მომაგონდა... ბრწყინვალე საღამო იყო!.. სულ სამიოდე წლის წინ იყო ეს ამბავი და... თითქოს საუკუნე გავიდა მას შემდეგ! – შეისვენა... – თქვენ... რისთვის? თუმცა... რა საკითხავია... – მერე ისევ იყუჩა და:

– სადა ვართ, თუ იცით? ამ შენობას ვერა ვცნობ...

– ეს... ეს მათი „კაგებუა“... მგონი. იცით... არავის ინდობენ, არავის, თუკი ქართველია, – ქალბატონი ლუბა სხაპასხუპით, მაგრამ ხმადაბლა ლაპარაკობდა:

– იცით, ალბათ, ბიძინა მგალობლიშვილი მხეცურად რომ მოკლეს, ეს უკეთილშობილესი პიროვნება, ბრწყინვალე ექიმი... ზელიმხან დანელია... შოთა ჯღამაძე... ვერა ყოლბაია... სულ ექიმები... ხუტა ახალაია გეცოდინებათ, „საბჭოთა აფხაზეთის“ ყოფილი რედაქტორი, პენსიონერი... პედაგოგები ხომ რამდენი დახოცეს!.. ლუიზა ანჩაბაძე, გახსოვთ, ალბათ, საჯაროდ დახვრიტეს... რომელი ერთი ჩამოვთვალო? თქვენი მეუღლის ამბავი მაშინვე გავიგე... თქვენ აქ არ მეგულებოდით... თითქმის მთელი ქართული ინტელიგენცია, ვინც ქალაქში დარჩა, ამოჟლიტეს ამ მხეცებმა, ნადირებმა, ფაშისტებმა! ახლა ვითომ ადგილზე არ ხვრეტენ... აქ მოჰყავთ, ვითომ რაღაცას იძიებენ... რა უნდა გამოძიონ?.. რა დამიშავებია? რატომ უნდა დავმალულიყავი, ვითომ? – მცირე ხნის დუმილის შემდეგ ისევ წამოიწყო: – იცით... გალშიც საშინელი ამბები მომხდარა... გაგრა და კამანი მონაგონიაო... ხომ იცით, კამანში მოხუცები, ქალები და ბავშვები ერთიანად გაჟლიტეს. ახალდაბამიც... გალში, სოხუმის დაცემის შემდეგ, გამსახურდია ჩასულა... მიტინგი ჩაუტარებია... აქედან ფეხი არ მოიცვალოთ, მალე დავბრუნდები და სოხუმს გავათავისუფლებო...

მანდილოსანი პირზე ხელაფარებული, ცხარედ, შეუჩერებელივ ლაპარაკობდა, თან შიშხამდგარ თვალებს აცეცებდა. ზოგჯერ, უნ-

ებლიეთ ხმას აუწევდა, მაგრამ გონს მოსული, მაშინვე ისევ ჩურჩულზე გადადიოდა.

— მე ახლობელთან ვიმალებოდი... აფხაზები არიან... ვილაცამ დამასმინა!.. ალბათ, თქვენც, არა?.. ოჰ, რა უბელურება დატრიალდა ჩვენს თავზე!.. რომ ჩაუკვირდე, შეიძლება ჭკუიდან შეიშალო... ვიცი, ვინც გამცა, მარა, რა უნდა კქნა? რას ვიზამ?... ვერაფერს... სრულიად ვერაფერს! ჩემს სახლში უკვე კაი ხანია შესახლდნენ გადამთიელები. მადლობა ღმერთს, ჩემმა შვილებმა გაასწრეს... — აღელვებული, არაბუნებრივად სახეაღწეილი და თვალანთებული მოხუცი ქალი, ჩანდა ლაპარაკით ცდილობდა გულის მოოხებას და მოძალებული შიშის დაძლევას.

მოსაცდელში მყოფი ხალხი, უპირატესად, ასაკოვანი მამაკაცები, პირში წყალჩაგუბებულებით, დუმდნენ — თავიანთ საფიქრალს მიცემულნი. ყველას ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, თითქოს უჟმურმა ჩამოიარა და ყველანი სათითაოდ დაამუნჯაო.

გარკვეული ინტერვალის შემდეგ კაბინეტის კარი იღებოდა, წვერმოშვებული, თმააბურძენული, რუსულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი სიის მიხედვით იძახებდა იქ მყოფთ. გამოძახებული წელმოწყვეტილებით დგებოდა და ლას-ლასით შედიოდა კაბინეტში. იქიდან გამოსულს „ბოევიკი“ გარეთ მიუძღვებოდა.

როცა მისი სახელი და გვარი გაისმა, წამით თვალები მოხუჭა, თითქოს ახლა-წყალში ჩასახტომად ემზადებოდა. მერე ძლივს შესამჩნევი ღიმილით გადახედა ქალბატონ ლუბას, პირი რომ ღიად დარჩენოდა და თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. შემცბარი და საშინლად დაბნეული ქალბატონი ლუბა უცებ თითქოს გამოფხიზლდა, ხელზე ხელი მოუჭირა ქალს და: — გამაგრდით, ქალბატონო მზია! გამაგრდით! — უთხრა ჩურჩულით. მზიამ თვალებით, უსიტყვოდ მადლობა გადაუხადა და მხრებგაშლილმა, თავაწეულმა კაბინეტში შეაბიჯა.

სუფთად პირგაპარსული, ახალგაზრდა ქერა მამაკაცი გრძელ მაგიდას უჯდა და საქმიანი იერით ქალაღლებში იქექებოდა.

კარგა ხანს იდგა კართან. ბოლოს ახალგაზრდა კაცმა თავი ასწია და დამარცვლით, რუსულად მიმართა ქალს:

– თქვენ მზია ხართ,ობოლაძე, არა? აი, ამ ქალაღზე მოაწერეთ ხელი! – და რაღაც ქალაღი გადმოუგდო ისე, რომ ზედ არ შეუხედავს მისთვის. არც სიგარეტი გამოუღია პირიდან. და საქმიანი იერით განაგრძო რაღაცის კითხვა.

ქალი ჯერ წამიერად შეეყოყმანდა. შემდეგ რუსულადვე უპასუხა: (მთელი დიალოგი მათ შორის რუსულ ენაზე წარიმართა):

– მე თან არა მაქვს სათვალე... ამას გარდა, არ მსურს რაიმე დოკუმენტს ხელი მოვაწერო!

– აქ მხოლოდ წერია ის, რომ თქვენ გამოცხადდით... ე.ი. მოგიყვანეს დაკითხვაზე! – გაღიზიანებული კილოთი მიუგო ახალგაზრდამ და ქალის მიღმა, სადღაც სივრცეს მიაპყრო პირქუში მზერა.

– დაკითხვაზე?.. კი მაგრამ, რაში მღებთ ბრალს?.. მე – პოეტი ვარ და არასოდეს არავისთვის არაფერი დამიშაგებია.

– თქვენ დამნაშავე ხართ იმაში, რომ... ქართველი პოეტი ბრძანდებით, ეს კი – სავსებით საკმარისია!

ქალი წარბშეუხრელად უყურებდა სახეში ახალგაზრდას, რომელიც კვლავ ვითომ რაღაცის ძებნას შეუდგა საქალაღდეში.

მცირე ხნის შემდეგ ქალმა წყნარი, მშვიდი ხმით წამოიწყო:

– თქვენი სახე ძალიან მეცნობა, თქვენ.. აფხაზი ხართ?

– რა შეკითხვაა?.. მაშ, ვინ უნდა ვიყო? – ხმაში ფოლაღი გამოურია კაცმა და შუბლსქვემოღან დაღარაჯებული მზერით გამოხეღა.

– შეიძლება გავიგო, რა გვარის ბრძანდებით?

– რაში გჭირდებათ? ან... რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას თქვენთვის? – მოჭრა ახალგაზრდამ ცივად და ისევე საქალაღდეს დააჩერღა მოგონიღი გულგრილობით.

– იმიტომ გეკითხებით... ნამღვიღი აფხაზი დედისტოღა ქალს სკამს შესთავაზებღა-მეთქი.

– ნუ... ჩამოჯექით, თუ გნებავთ... – ჩაიბურტყუნა ახალგაზრდამ, მზერაღახრიღმა.

– გმადლობთ. – ქალი მაღიღას მიუჯღა და ორივე ხეღის მტევეანი ზეღ დააწყო:

– მაშ ასე... რაში მაღანაშაუღებთ, თუ შეიძლება გამიმიეორეთ, გეთავჯა!

– მე უკვე ვთქვი: თქვენ თქვენი ლექსებით და საერთოდ, მთელი თქვენი მოღვაწეობით ყოველთვის ჩვენს წინააღმდეგ იყავით, ისევე როგორც თქვენი მეუღლე. თქვენ ყოველთვის გძულდათ აფხაზობა!

– მაგრამ... მაგრამ ეს ხომ... ტყუილია! და თქვენც კარგად იცით ეს! – ქალი კვლავ თვალს არ აცილებდა შუბლშეკრულ ახალგაზრდას, დაჟინებით რომ არიდებდა მზერას.

– მე უკვე გითხარით... სათქმელი.

– მაგრამ მომისმინე, შვილიყო...

– მე თქვენი შვილი არ გახლავართ...

– დაე, ასე იყოს, მე იმერელი ქალი ვარ, მაგრამ მთელი ცხოვრება აქ, აფხაზეთში გამიტარებია და აფხაზეთი ისევე მიყვარს, როგორც მთელი საქართველო საერთოდ. მთელი ჩემი პოეზია კი – სიყვარულის საგალობელია.

– თქვენ არ გინდათ გაიგოთ, რომ აფხაზეთი – საქართველო არ არის! – უცებ ფეხზე წამოიჭრა ახალგაზრდა და გაავებული სახით მაგიდას ორივე მუშტი დაჰკრა:

– გაიგეთ, რომ ჩვენი აფსნი არ საჭიროებს თქვენს ფარისევლურ სიყვარულს!.. სინამდვილეში თქვენ ყველას, მათ შორის თქვენს ქმარსაც, გძულდათ და გძულთ აფხაზები. მორჩა და გათავდა!

– ჩემი ქმარი ინჟინერ-მშენებელი იყო, – არ შეეპუა ქალი და ხმას აუმაღლა – როგორ შეიძლება მას სძულებოდა თავის აშენებული სახლები და ის ხალხი, ვინც იქ ცხოვრობდა?.. მით უმეტეს, როგორ შეიძლება პოეტს სძულდეს მთელი ხალხი?.. სხვათა შორის, ჩემს მეუღლესაც და მეც უამრავი აფხაზი მეგობარი გყავდა... მე მიმანჩია...

– ეტყობა, არ გყოლიათ, ვინაიდან... არც ერთი არ გამოგსარჩლებიათ! – ახალგაზრდამ იქედნურად ჩაიღიმილა და კვლავ სავარძელში გაიტყლარჭა, თან აუჩქარებლად მოუკიდა სივარეტს და ნება-ნება გააბოლა.

– დიახ. ეს ამბავი სავალალოა, რასაკვირველია! სულმოკლეობა არ ამშვენებს ადამიანს, მაგრამ, რას იზამთ: ყველას როდი ძალუძს ღირსეულად იცხოვროს და ღირსეულადვე მოკვდეს!. თუმცა... მე რამდენადაც ვიცი, ბევრმა პატივსაცემმა აფხაზმა დატოვა სოხუმი...

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ... ისინი გაიქცნენ აქედან?
– ღიახ, როგოც ჩანს ასეა! – კვლავ არ შეეპუა ქალი და თვალი თვალში გაუყარა.

– ძღაა... გასაგებია. ყველაფერი გასაგებია. მაშ ასე...

ქალმა გააწყვეტინა:

– ჰო, მართლა... გამახსენდა... მე გავიხსენე თქვენი გვარი!.. თქვენ ფაჩულია ბრძანდებით. გივი ფაჩულია. ჩვენ არშბას ქორწილზე შევხვდით ერთმანეთს! მაშინ, მახოვს, თქვენი მაღალფარდოვანი სადღეგრძელოებით მიიპყართ ყურადღება. სხვათა შორის, მახოვს, მჭევრმეტყველურად ხოტბას ასხამდით ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას.

– მე ყოველთვის მეჯავრებოდნენ ქართველები და მიმანია, ისინი სათითაოდ უნდა გაიჟლიტონ!

ქალი თვალდაუხამხამებლად, ძლივს შესამჩნევი ირონიული დიმილით უყურებდა კაცს, რომელიც სიბრაზისაგან სახეზე წამოჭარხლებულიყო, და ხელებს უაზროდ, უანგარიშოდ აფათურებდა ქალღლებში. მერე ქალმა ოდნავ გაიქნია თავი და: – ღმერთო ჩემო, საიდან ასეთი მძვინვარე სიძულვილი, ასეთი ბოღმა და ღვარძლი? თქვენ ხომ ფაჩულია ბრძანდებით ბოლოსდაბოლოს?

– მე – აფხაზი ვარ. მორჩა და გათავდა.

– იყავით, ბატონო. მაგრამ... გვარს რას უშვრებით? თქვენ ხომ, ჩემი ქმარივით, აფხაზეთის მკვიდრი, ანუ ჭეშმარიტი აფხაზი ბრძანდებით! მაშასადამე...

– გეყოფათ. თქვენ აქ ჩემი წარმომავლობის გამოსარკვევად არ მოგვიყვანინხართ. და საერთოდ, არ მცალია...

– მაგრამ... ამიხსენი, გეთაყვა, ამ დროულ ქალს – ასეთი სიძულვილის მიზეზი?.. რითი დაიმსახურეს ქართველებმა იგი?!.. ჩვენ ხომ მართლა ერთი ძირიდან და ფესვიდან ვართ! ჩვენ ხომ სინამდვილეში მოძმენი ვართ!.. აკი ძველი აფხაზები, იგივე კოლხები, საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების მოთავენი იყვნენ თავის დროზე... ნუთუ არ გიფიქრიათ, რომ თქვენი ეს სიძულვილი ქართველების მიმართ, გარკვეულმა ძალებმა საგანგებოდ, ავი ზრახვით ჩანერგეს?

– ჩვენთვის არავის არაფერი ჩაუგონებია. ქართველები ყოველთვის იყვნენ ჩვენი მტრები, დამპყრობლები... ქართველებმა ჩვენ ყველაფერი წაგვართვეს, ყველაფერი და მოვრჩეთ ახლა. არ არის საჭირო დისკუსია...

– მაგრამ მე... უნდა გითხრათ... მე მოვალე ვარ გითხრათ, – ახლა ქალიც წამოდგა სახელანძული, აღშფოთებისგან ხმააკანკალებული – რამდენადაც ვიცი ჩვენი ისტორია – სწორედ ქართველებს ართმევდნენ ტერიტორიებს, ენას, სარწმუნოებას... მაგრამ ქართველები არ გაბოროტებულან, რაც მთავარია – სიკეთის გაცემის უნარი არ დაუკარგავთ!.. მათ თქვენც, როგორც ნამდვილ აფხაზებს, ისე გააფხაზებულ აფსუებს ანუ ადილეურ ტომებს – აქ ჩამოსახლებულებს, – გაჩუქეს კლასიკოსი, ლიტერატურის და დამწერლობის დამფუძნებელი – დიმიტრი გულია! შეეკიქნეს თეატრი, გამოგიზარდეს სამეცნიერო კადრები, გაგიხსნეს უნივერსიტეტი, ტელევიზია, რადიო. თუმცა თქვენ თქვენს ენაზე საშუალო სკოლაც არა გაქვთ – და ეს ჩვენი ბრალი არ არის! არც ერთ ავტონომიურ რესპუბლიკას მთელს საბჭოთა კავშირში, არ გააჩნდა ის პრივილეგიები, რაც თქვენ გქონდათ... თქვენზე ბევრად მრავალრიცხოვან ხალხებსაც კი. მათი გადაგვარების და გარუსების მაგალითები აგერ ცხვირწინ გაქვთ, ჩრდილო-კავკასიელების სახით! თქვენმა არძინბამაც კი თბილისში დაიცვა დისერტაცია, რადგან მოსკოვში ამის საშუალება არ მისცეს... ქართველებს არასოდეს, არასოდეს ჰქონიათ სხვა ხალხების მიმართ სიძულვილის გრძნობა. პირიქით, ყოველთვის თავშესაფარს აძლევდნენ დევნილებს, დაჩაგრულებს, ასახლებდნენ თავის მიწა-წყალზე, ხელს უწყობდნენ ყოველნაირად. სომხებმა, თავის დროზე, არ მიიღეს თურქეთიდან დევნილი თვისტომნი. საქართველომ კი, ფართოდ გაულო მათ კარები... და რომელი ერთი ჩამოვთვალო!.. აფხაზების როგორც თანამოდმეების მიმართ ხომ ყოველთვის სიყვარულით, პატივისცემით იყვნენ განმსჭვალულნი და საერთოდ...

– დიახ, დიახ. რასაკვირველია. აფხაზების მიმართ სიყვარულის გამო იყო სტალინმა და ბერიამ რომ დახოცეს აფხაზეთის ინტელიგენცია. ვიცით ჩვენ, კარგად ვიცით ამ „სიყვარულის“ ფასი!

– მაგრამ, ბატონო გივი, სტალინმა და ბერიამ იგივე უყო ქართველ ინტელიგენციას, საერთოდ ქართველ ხალხს. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ბოლშევიკური რეჟიმის დროს ხდებოდა!.. 37 წელი იყო! თქვენ კი... მე-20 საუკუნის ბოლოს, ყოველგვარი ძიებისა და სასამართლოს გარეშე, გაწყვეტეთ ათიათასობით მშვიდობიანი მაცხოვრებელი, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი – ქართველები იყვნენ! აფხაზეთის ნახევარზე მეტი მკვიდრი მოსახლეობა განდევნეთ მამა-პაპათა ადგილებიდან. ფაშისტებივით მოაწყვეთ ნამდვილი გენოციდი. რომელ სამართლიანობაზე მელაპარაკებით თქვენ, პატივცემულო ფაჩულიავ?

– მარტო ამ სიტყვების გამო უნდა დაეხვრიტეთ თქვენ ადგილზე!.. ბესლან, მომაშორეთ ეს ქალი! გაიყვანეთ აქედან!

– თუ ღმერთი გწამთ, ნუ მაშინებთ სიკვდილით! მე დიდი ხანია მზადა ვარ მასთან შესახვედრად. თქვენ კი... „მიუტევე, უფალო, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმან!“ – ეს ბოლო ფრაზა ქალმა ქართულ ენაზე წარმორთქვა.

– მე არ მესმის თქვენი ძალღური ენა და არც მინდა მესმოდეს!

– ეს სიტყვები სახარებიდან გახლავთ, რომელიც, სხვათა შორის, ჩემმა წინაპრებმა მე-4, მე-5 საუკუნეებში თარგმნეს და ყველა ენა, რომელზედაც არის თარგმნილი ეს წმინდა წიგნი – ღვთიურია! ამ ენაზეა შექმნილი ბრწყინვალე საერო და სასულიერო ლიტერატურა, რომელიც საერთო იყო ყველა კოლხ-იბერიული, ტომებისათვის! მათ შორის – აფხაზებისათვის! ეს გახლავთ ისტორიული სიმართლე.

კაცმა წამით თავი ჩაღუნა და ხელები უხმოდ მომუშტა. ქალმა აცალა ბოლმის მონელება და მერე შემწყნარებლური ღიმილით განაგრძო: – დიან, ქართული ენა და კულტურა ყველა კავკასიელი ხალხისთვის მშობლიური და ახლობელი იყო-მეთქი! ხოლო სიძულვილი და სიავე ბუმერანგით უბრუნდება იმას, ვინც მას თესს.

– კმარა-მეთქი. გეყოფათ. ბესლან – გაიყვანეთ ეს ქალი აქედან!

„ბოევიკმა“ მკლავში ხელი წაავლო ქალს: – არ იყო საჭირო ამდენი ცერემონიები... ესენი ყველანი ადგილზევე უნდა მიასიკვდილო, ვით ცოფიანი ძაღლები! – „ბოევიკმა“ ქალს კარისკენ

უჯიკავა. ქალმა მკვეთრი მოძრაობით მკლავი გაინთავისუფლა და ისეთი თვალებით შეხედა, რომ „ბოვეიკს“ წამით ენა ჩაუვარდა. გაშეშდა.

– ნუ გიხარია, შვილო, სხვისი, თუნდაც მოსისხლე მტრის სიკვდილი! ჩვენ ყველანი მოკვდავები ვართ და... იმიტომ! რა დღეს, რა ხვალ – ყველანი დავიხოცებით, ოღონდ... ზოგი სუფთა სინდისით წარდგება ღმერთის წინაშე, ზოგი კიდევ – სისხლში მოთხვრილი ხელებით!

წამით დაბნეული „ბოვეიკი“ ძველებურად შემართულიყო – მიმიფურთხებია თქვენი ღმერთისთვის, ძუკნა!

ქალი კარებში შედგა, მობრუნდა და ახალგაზღვას დანანების კილოთი მიმართა: – თქვენ... სამწუხაროდ, იარაღი ხართ სხვათა ხელში. თქვენ... აღმსრულებელი ხართ უცხო ძალების ბოროტი ნებისა და ამიტომაც... მეცოდებით! ყველანი ძალიან მეცოდებით!

– გაათრიე ეს ქალი, ბესლან, აქედან!

მოულოდნელად ტელეფონის ზარი აწკრიალდა. სახეშემლილი, გაცოფებული გივი ფაჩულია ყურმილს დაწვდა. უცებ სახე დაუგრძელდა. თითქოს პირკატა ეცაო, ხმა ჩაეხრინწა. თვალები დაეყვლიპა. მერე... ძლივს-ძლივობით წაიბურღლუნა რაღაც რუსულად და კაბინეტში დარჩენილ ერთ-ერთ თანაშემწეს უღრიალა, ობოლაძე უკან დააბრუნეო.

როცა ქალი კვლავ კაბინეტში შემოიყვანეს, გივი ფაჩულიამ, თავი რომ არ აუწევია, ისე, კბილებში გამოსცრა: – თქვენ... თავისუფალი ხართ!.. შეგიძლიათ შინ დაბრუნდეთ!

ქალი არ შერხეულა, მხოლოდ წარბები აწკიპა ოდნავ.

– თქვენ რა?.. ვერ აგიგეთ, რაც გითხარით? – თითქმის იყვირა კაცმა.

– არა, არ მესმის! – მშვიდი ხმით თქვა ქალმა და გამომცდელი მზერით მიაჩერდა ფაჩულიას.

– რა არის გაუგებარი?.. თავისუფალი ხართ და შეგიძლიათ სახლში დაბრუნდეთ-მეთქი. – გაიმეორა ფაჩულიამ დაუფარავი ბოლმით და ისევ ქალაღლებში ჩარგო თავი.

„ღმერთო ჩემო!.. ნუთუ?.. ნუთუ მართლა თავისუფალი ვარ და... შემიძლია შინ დავბრუნდე?.. შემიძლია ჩემი პაწია მზიაკო ვნახო,

ბებო ენაცვალოს!.. მაშ, თავისუფალი ვარ? და თუ სიკვდილია... ჩემების ხელში მოვკვდე – მშვიდად, წყნარად... ღმერთო!.. კი, მაგრამ... რა მოხდა?.. ასე უეცრად რა შეიცვალა?“ – სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს აზრები. მერე... თითქოს გაიყინა, ყველაფერი შეჩერდა. სიჩუმეს შიშინი გაჰქონდა ყურებში. მერე... უცებ რაღაც განათდა გონებაში. თავიდან ფეხებამდე ჟრუანტელმა დაუარა. წამიც და... სახეზე მტკიცე, შეუვალი გამომეტყველება გამოეხატა.

– თქვენთან აქ, მოსაცდელში იმყოფება სრულიად უდანაშაულო, მოხუცი პედაგოგი ქალი, ლუბა ბერაია! – წარმოთქვა დინჯი ხმით და ხაზგასმული სიმშვიდით: – თუ მასაც გაათავისუფლებთ, მაშინ მივიღებ თქვენს წინადადებას.

– მხოლოდ თქვენზე იყო ზარი. – კაცს ხმა ჩაეხლიჩა. თვალები ავად დააკვესა.

„ან, ტელეფონის ზარი!.. აი, თურმე რა! მაგრამ ვინ?.. ვინ დარეკა?“

– მე უკვე გითხარით ჩემი სათქმელი!

წამიერი ჭოჭმანის შემდეგ გივი ფაჩულიამ კბილების ჩუმი კრაჭუნით, ნომერი აკრიფა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ, აფსუურ ენაზე რომ მიმდინარეობდა, მან თითქოს შვებით ამოისუნთქა. ყურმილი ფრთხილად დადო და ქალს დაუფარავი ნიშნისგებით უთხრა: – მხოლოდ თქვენზეა საუბარი!.. ასე რომ, მოგიწევთ აირჩიოთ...

ქალმა წამით თვალები მოხუჭა. სხეულში კვლავ დენივით დაუარა რაღაცამ. მერე... ყელი ამაყად მოიღერა, წელში გაიმართა:

– მე უკვე გავაკეთე არჩევანი... ქალბატონ ლუბასთან ერთად ვრჩები!

* * *

...ავტობუსში მსხდომნი, გასუსული იყვნენ. ყველანი ერთ და იმავე აზრს შეეპყრო, ერთი და იგივე საგონებელს მისცემოდნენ: საით მიჰყავდათ?.. რატომ?.. რას უპირებდნენ?..

რაკი ერთბაშად, აყვანისთანავე არ დახოცეს და სადღაც მიჰყავთ. ე.ი. შესაძლოა, სადმე ქალაქ გარეთ ციხეში უპირებენ

გამომწყვდევას?.. აკი არავის არაფერი დაუშავებია, გარდა იმისა, რომ თავი აარიდეს „ბოევიკების“ განუკითხობას! თუმცა... რა დანაშაულზეა ლაპარაკი?.. ესენი რამეს დაგიდევენ?

მოხუც პედაგოგ მანდილოსანს, მზიას თავგამოდებაზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა, თავი მის მხარზე ჩამოედო და გაჩუმებულ იყო. თუმცა დრო და დრო ისე მწარედ და ღრმად ამოიოსრებდა, თითქოს მთელი გული ამოატანა ამ გმინვასო. გაყინულ სახეზე თვალებილა შერჩენოდა – ფართოდ გახელილი, შიშით და ძრწოლით მომზირალი სველი თვალები. მზიას მისთვის წელზე მკლავი შემოეხვია და თავადაც გაყუჩებულიყო. თეთრთმიანი, პატარა ტანის, მოხუცი ქალი-დედას აგონებდა, ოდესღაც, უწინ, ბავშვივით გულში ჩაკრული, საავადმყოფოში რომ მიჰყავდა – უსუსური, უძწეო, დაუძლურებული...

იჯდა მღუმარედ, შეურხევლად და მერამდენედ ცდილობდა გაეანალიზებინა ის, რაც იქ, კაბინეტში მოხდა და... ერთ და იგივე დასკვნამდე მიდიოდა: სხვანაირად არ შეეძლო! ვერა, ვერ მოიქცეოდა სხვანაირად. ფაჩულიას განცვიფრებულ, შუბლზე აცვენილ თვალებს რომ წარმოიდგენდა – უზომო სიამეს გრძნობდა. ბატონი გივი ფაჩულია, როგორც ჩანს, არ მოელოდა ასეთ გადაწყვეტილებას თუ მიიღებდა ქალი. მისი ესოდენ გაწბილებული და გამოყეყჩებული სახის დანახვა მარტო რად უღირდა! ჰმ! მაშ, რა ეგონა ბატონ ფაჩულიას?.. მოწყალებას მიიღებდა მტარვალისგან?.. ანდა... ამ საცოდავ, მოხუც ქალს მარტო დატოვებდა?.. ვერა, პატივცემულო გივი! სადაც სხვები – თავადაც იქ უნდა იყოს, მორჩა და გათავდა! მაგრამ... საინტერესოა, ვინ დარეკა?.. ვინ გამოიღო თავი?.. ნუთუ... სიმამ შეაწუნა თავისი გავლენიანი ნათესავი?..

მთელ ამ ამბავში კმაყოფილებას ჰგვრიდა ისიც, რომ გული ამოიფერთხა ფაჩულიასთან. არ დაერიდა არაფერს... სხვა დროს ალბათ ასე არ მოიქცეოდა თავისი რბილი ხასიათის გამო. მაგრამ ახლა?

მგონი, ავტობუსი სოხუმს გაცდა... მართლაცდა, რას ნიშნავს ამხელა მანძილის გავლა? თუ ციხეში მიჰყავთ, მაშინ... რაში სჭირდებათ გზის გაგრძელება?..

სოხუმს რომ გასცდნენ, ეს ცხადზე უცხადესია!

სოხუმი... უსაყვარლესი ქალაქი... მისი ყმაწვილქალობის მომსწრე...

რამდენი ბედნიერი წუთები ახსოვს ამ ქალაქში გატარებული!.. საათობით, გაუნძრევლად შეეძლო ეცქირა ზღვისთვის, ო, როგორ იზიდავდა მისი უსაზღვრო სივრცე!.. უსაზღვროებისკენ მიილტვოდა ყოველთვის მისი სული, რაც თავი ახსოვს!..

ცის უსასრულო სილაყვარდეში ნავარდი ინატრა მაშინაც, სოფლის წყაროსთან, კლდეზე რომ აცოცდა პატარა, ანცი გოგონა და თვალწინ გადაშლილ სივრცეს გადმოხედა მალლიდან. ო, როგორ მოუნდა, ფრთები გამოსხმოდა და იმ მიმინოსავით ეფრინა, ცაში ირაოს რომ აკეთებდა, – ლალი, ამაყი, თავისუფალი!

იქნებ მაშინ დაიბადა ლექსის პირველი სტროფიც. – ბაღღურად უძწიფარი, უსუსური და... მაინც ფრენის, ფრთაგაშლილი ფრენის წყურვილით დამუხტული!

და მართლაც, აკი გაშალა მკლავები – მზიური, აქოჩრილი მთა – გორაკების და ზურმუხტოვანი კელ-მინდვრების სილამაზით რეტდასხმულმა და... მისდა უნებურად, ლექსად გადმოსკდა ბაგეპირიდან ის განცდა – ყელთამდე რომ ავსებდა!..

მაშინდელი შთაგონება და აღტკინება სამუდამოდ ჩარჩა გულში ისევე, როგორც ზღვის პირველად ხილვის თავბრუდამხვევი შთაბეჭდილება!

ღმერთო!.. რა მშვენიერი, რა ლამაზი და მომნიბლავი იყო ცხოვრების გარიჟრაჟი!.. რამდენი სიხარულის და ბედნიერების წამი მოგიტანა მან: პირველი სიყვარული... პირველი კოცნით მოგვრილი განცდის სიმძაფრე და... პირველი ლექსი!.. ქორწილი და პირველი ბავშვის გაჩენა!

როგოც ლექსი იბადება იქ, შენს არსებაში, შენს წიაღში, ისე იშვა შენი პირმშო, შენი ბადრი! – პირველი სიყვარულის ნაყოფი!.. ვერა. ვერ დაჩრდილა ის წამები ვერანაირმა გულის გატეხვამ, თუ სულიერმა ტკივილებმა, ბედმა რომ გარგუნა...

და აი, ახლა მიდიხარ სადღაც, უცნობი მიმართულებით, მიდიხარ იქეთ, საიდანაც არ იცი, დაბრუნდები თუ არა ოდესმე და... მთელი შენი ცხოვრება კინო-ფირივით იშლება შენს თვალწინ

– შენდა უკითხავად, შენდა უნებურად გეძალებიან გარდასული, თითქოს სიზმარეული სურათები წარსულისა, განვლილი დროისა და... აზვირთებულ ტალღასავით გაბურთავებენ თავიანთ მორევში, გითრევენ იმ ორომტრიალში, ხსოვნას რომ შემორჩენია!.. ისინი ელვის უსწრაფესად, ფრაგმენტულად ენაცვლებიან ერთი მეორეს და მთელს შენს ცხოვრებას მოიცავენ, თითქოს ყოველ მნიშვნელოვან ეპიზოდს თუ დეტალს იტყვენ...

მოგონებათა ამ ნიაღვარში ხან ბავშვობის სურათები ლაგდებიან წინა პლანზე, ხანაც ახალგაზრდობის, ხან კი-უკანასკნელი პერიოდის, ანდა: პირუკუ ტრიალდება ყველაფერი და ბოლოდროინდელი მოვლენები გადაეფარებიან წინას...

უცებ... კადრი შეჩერდა! დრო-ჟამი თითქოს გაქცავდა. და აი, ნელ-ნელა... ბოლოდან, უხილავმა ხელმა ფირის გადახვევა დაიწყო... იმ მომენტიდან, უკანასკნელად რომ იყავი მწერალთა კავშირში.

... დანგრეულ-დაცარიელებული სოხუმის ქუჩებში მიდიოდი მხრებჩამოყრილი, უზარმაზარ სიმძიმეს, გულზე რომ გაწვა, ლამის გაეჭყლიტე. და უცებ, მოულოდნელად ყვითლად აბრიალებული ნეკერჩხალი შემოგეფეთა. ოჰ, ისე ლამაზი და მშვენიერი იყო სექტემბრის მზით შეჟღალული, კელაპტარივით ანთებული ნეკერჩხლის ხე, რომ სულმა წაგძლია და... ორი ტოტი მოატეხე.

მწერალთა კავშირში არავინ დაგიხვდა, მდივანი გოგონას გარდა. კაბინეტში შეხვედი და ერთი ტოტი ლარნაკში ჩადევი.

კარი რომ გამოიხურე, გული მოგეწურა – მტკივანი, დაჭრილ-დაფლეთილი გული, თითქოს იგრძნო, რომ უკანასკნელად ჩამოდიოდი ამ კიბეზე... თუმცა – მთავარი წინ გელო, ტრაგედიის კულმინაცია თურმე ჯერ კიდევ წინ იყო!

ღმერთო! იქნებ ჯობდა ამ რამდენიმე წლის წინ, საოპერაციო მაგიდაზე დაგელია სული?

სჯობდა! ნამდვილად სჯობდა. რისთვის გადარჩი? რომ ამდენი სიმწარე და ტანჯვა-წვალება გამოგეცადა?... გოლგოთის გზა გამოგეკლო?

როგორ წარმოიდგენდი, თუნდაც ამ ორიოდ წლის წინ, იმ უბედურ ამბებს, რაც ახლა ხდება?

რისთვის, რატომ ხოცავენ ერთმანეთს თანამოძმენი? „და აღიძვრიან იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“! რა, რა ასაზრდოებს, რა კვებავს ამ ბაკქანალიას, ამ გაუგონარ სისასტიკეს?

თავისუფლების იდეა? ვისგან, რისგან – თავისუფალი? – კაცობისგან? სინდისისგან?.. მერე და მერე, რა უნდა მოჰყვეს ყოველივე ამას?.. ამ სისხლის ზღვას და ცრემლებს?

როგორ დაიჯეროს უწინდებურად, როგორც 9 აპრილს სჯეროდა, რომ ვითომ არაფერი მომხდარა, რომ „ეს უბრალოდ ცის ცვარია, განა ცრემლია. ეს უბრალო მოვლენაა, აღმაფრენის, არაფერი არ მომხდარა, არაფერი“. ნუთუ?!

„ასე მალე რად გამოგაქვს განაჩენი, ეს აპრილის ცთუნებაა, განა ჩვენი, ეს უბრალოდ ცის ცვარია, განა ცრემლი, არაფერი არ მომხდარა, არაფერი“.

როგორ, როგორ უნდა იცხოვრონ შვილებმა, შვილიშვილებმა – ორივე მხარის შთამომავლობამ იმ ჯოჯოხეთურ ყოფიერებაში, უფროსმა თაობამ რომ განუმზადა მათ? რაც დაატრიალა სატანურმა სულმა?

დარდით და მწუხარებით გულგასენილს, მოულოდნელად დიდი ხნის უნახავი პოეტი შემოგხვდა გზაზე.

– მზია?! შენა ხარ?.. ძლივს გიცანი... გამარჯობა!

– მე ვარ რეზო, მე! გაგიმარჯოს, ჩემო ძამია! – გადაეხვიეთ და გადაკოცნეთ ერთმანეთი, თვალებზე ცრემლმომდგარმა, გულაჩუყებულებმა.

– აქ არ მეგულებოდით, მზია!..

– მირიანი არ მიდის და მეც არ მინდა დავტოვო აქაურობა!..

– შვილები?

– წასულები არიან... შვილიშვილი შემეძინა, იცი!.. ჯერ არ მინახავს... პატარა მზიაკო... ზუგდიდში არიან, შენ, შენ რას შვრები?.. დიდი ხანია შენთვის თვალი არ მომიკრავს... წასული მეგონე.

– სოფელში ვარ. დედა მყავს მძიმე ავად, ორი დღეა, რაც ჩამოვედი.

– ხედავ, რა ხდება, რეზო?.. რა ტრაგედია დატრიალდა? ვიფიქრებდით განა ამას, წარმოვიდგენდით ოდესმე? მეორე მსოფლიო ომს გადაურჩა სოხუმი, და აი, ახლა... იბომბება! იბომბება ასე

უწყალოდ, ასე ბარბაროსულად! საკუთარ ქალაქს ბომბავენ, ბიჭო, გესმის?... საკუთარ ქალაქს ბომბავენ, ეს ცოდვისშვილები!

– რუსები ბომბავენ...

– ჰო, მაგრამ ამათი ხელით!.. ამათ იყენებენ... აი, რა არის გულსაკლავი. ასე როგორ დაბრმავდნენ?... ასე როგორ დაეხშოთ გონება?

– ალბათ, არ მიაჩნიათ საკუთარ ქალაქად. ჰო, მართლა, გაიგე გამსახურდია რომ ჩამოსულა ზუგდიდში?

– გავიგე.

– ყველას ჰგონია, რომ სოხუმისკენ გამოსწევს საშველად!

– არ ვიცი... არ ვიცი... არაფერი არ ვიცი!

– რატომ?... ნუთუ პირადი წყენა მალლა დადგება საქართველოს ინტერესებზე?

– არა ერთხელ დამდგარა! ჩვენი ისტორია ამას მეტყველებს...

– დავიჯერო, ახლაც სულმდაბლობა ძლევს სულგრძელობას?... ქვეყნის სიყვარულს – ძალაუფლების სიყვარული?... არა მგონია! დუმილი.

– შენ არასოდეს მინახიხარ სხვა დროს ასეთი... გულგატეხილი! ყოველთვის ოპტიმისტი იყავი. ახლა...

– იმდენი რამ ვნახე, ჩემო რეზო, ამ ბოლო ხანებში... იმდენი განვიცადე... ერთნი ზვარაკად ეწირებიან სამშობლოს, სხვებს კი – და მგონი, უმრავლესობას, სამწუხაროდ, სამშობლოს შეგრძნება საერთოდ დაკარგული აქვს. ბევრი საძარცვავად, დოვლათის შესაძენად ჩამოდის აქ... ამ გაგანია ომში! ძნელი არის ამის ატანა... ძალიან ძნელი!..

– მართალი ხარ, ჩემო მზია!.. საუკეთესო, დარჩეული ბიჭები, საქართველოს თითქმის ყოველი კუთხიდან, განსაკუთრებით კი – თბილისიდან, თავს სწირავენ, იხოცებიან, მაშინ როდესაც ზოგ-ზოგნი რესტორნებში გრიალებენ, ანდა დუბაიში ჩადიან დროის სატარებლად, სხვა დანარჩენი ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ!

– როგორც ჩანს, ვერ გავიცნობიერეთ ჯერ კიდევ, რა ხდება ჩვენს თავზე!.. აფხაზეთი – მაინც შორეულ ტკივილად აღიქმება ალბათ და... იმიტომ!..

– ასეა, შენი თქმის არ იყოს, სამშობლოს შეგრძნების უნარი დაკარგეთ ეტყობა, საკუთარი ჯიბის გასქელების კი – არა!..

მაგრამ... შენგან, სიმართლე რომ გითხრა, მიკვირს მაინც ასეთი პესიმიზმი... შენ ყოველთვის, რაც მახსოვხარ, იმედიანი იყავი... ყველაფერი კარგად როგორ ეჩვენება-მეთქი, ადრე რამდენჯერმე გამიფიქრია შენზე – ცოტა გაღიზიანებით. ასე ყველას როგორ უღიმის... ასე ყველას მიმართ როგორ არის კეთილგანწყობილი-მეთქი, და... მაპატიე, მაგრამ... ზოგჯერ არაბუნებრივადაც მეჩვენებოდა კიდევ შენი საქციელი!.. ახლა გიყურებ და... თითქოს რაღაცას ვხვდები... თითქოს თვალი ამეხილა...

– ეჰ, ცხოვრება წიგნივითაა, ჩემო ძამია! რაც მეტ ფურცელს გადაშლი და ჩაულრმავდები, მით უფრო გეხსნება გონი, და მით უფრო უახლოვდები თურმე დასასრულს, რომელიც... ყოველთვის მოულოდნელია!.. მეც ბევრ რამეზე ამეხილა თვალი... ამ სიბერის ჟამს ბევრი რამე თითქოს ახლებურად გავიაზრე და მაინც... ბოროტების და სიკეთის ჭიდილში-სიკეთის ძლევას ვერ ვხედავ!.. პირიქით, სატანური სული ზეიმობს დღესდღეობით, ჩემო რეზო! და არა მხოლოდ ჩვენში!.. საშველიც არსაიდან ჩანს, არავისგან ველოდები სიკეთეს, სამწუხაროდ!

– მაგრამ... შენ მაინც ლამაზი ტოტი გიჭირავს ხელში...

– ხო, შემოდგომის რტო...

– „ამ გრივალში დრო არ არის სხვისი, დაღალული ყვავილი ვარ სუსტი!“

– „ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა, თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი“.

– გალაკტიონი გენიოსია. ყველა დროის გენიოსი! მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა ეს. და კიდევ: „ოჰ, ეს ფოთლები ფენილი ქარით, ეს მწუხარე და ნაზი ზმანება, ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით, არავის თქვენგანს არ ენანება?“

* * *

...ავტობუსი გაჩერდა. შიგ მსხდომთ გადმოსვლა უბრძანეს „ბო-ვეიკებმა“.

ზღვის ქვიშიან-ღორღიანი სანაპირო. ლურჯი, სიშავემდე ლურჯი ტალღების შრიალი. თოლიების გაუთავებელი, გულისწამდები ჭყვივილი.

ზღვა! – უცებ გაქრა ყველაფერი. არც მოხუცი პედაგოგის კრუსუნი ესმის ახლა და არც „ბოევიკების“ ღრიალი. თითქოს ტრანსში ჩავარდნილი, ღრმად ისუნთქავს ოდნავ მომლაშო, გრილ ჰაერს. სიცივე ივრძნო, თუმცა საღამოს ბინდი ჯერ არ დამდგარიყო. იქნებ... სხვა სიცივე შეუდგა ტანში?

მზე ნელ-ნელა იღვენთება დასალიერში: „მზე მიიცვალა ღია თვალებით, მას გახელილი დარჩა თვალები... ოჰ, გახელილი დარჩა თვალები“...

ღმერთო! ვის შეუძლია ძე-ხორციელს გამოხატოს ენით, ჩამავალი მზის მგლოვიარება, ღონემიღეული მნათობის დაღაღვა? თუ... წამების წყნარი წარმავლობა?..

ალბათ, პოეტს თუ ძალუძს ეს სასწაული. მხოლოდ პოეტს – სხვას არავის!

ჩამავალი მზე და...

ზღვა!

დაიცა... ზღვა ხომ უკვე აღარ არის უწინდებურად საყვარელი? ზღვა ხომ შეიღანძლა ადამიანთა სისხლით!.. თანამომძმეთა სისხლით!.. ჯერ გაგრაში დაიწყო...

ზღვის სანაპიროზე, თუ მის ახლო-მახლო, აკი ქართველთა მოჭრილი თავებით ბურთი ითამაშეს კიდევც...

მაშინ არ დაიჯერა ეს ამბავი. არ შეეძლო დაჯერება. ეს მის ძალღონეს აღემატებოდა და... იმიტომ.

და მაინც... თურმე სად გაექცევი მწარე სინამდვილეს?.. ზღვა, შენი საყვარელი ზღვა იქცა გვამების კაიუტად!..

სად, სად გაექცევი-მეთქი ამ უსაშველო, აუტანელ ტკივილს? სად დაეძალები გაუგონარ, წარმოუდგენელ მხეცობას კაცთა მოდგმისა – „არე-მიღამოს რომ შხამავს, ღრმა მწუხარების შხამით?“

შენ ხომ ბევრი რამის დაჯერება არ გინდოდა... რადგან, ვერა და ვერ წარმოგედგინა ესოდენი მტარვალობა გონიერი არსებისა, ადამიანი რომ ჰქვია და... იმიტომ!

შაჰ-აბასის თუ თემურ-ლენგის მიერ ჩადენილ ბარბაროსობა კოშმარად მიგაჩნდა, მაგრამ დიდი ხნის წინ, წარსულში მომხდარ კოშმარად. გერმანელ ფაშისტთა ჯალათობას მეორე მსოფლიო

ომში და ბოლშევიკურ კონცლაგერებში – საშინელი, მაგრამ მაინც კაცობრიობის განვლილ ეტაპად გესახებოდა.

მაგრამ ახლა... შენს თვალწინ, დღევანდელობაში ჩადენილი სისასტიკე – იმ შავბნელი წარსულის ანარეკლი რომ გამოდგა?.. სად, სად გაექცევი ამ მტანჯველ, სულით ხორცამდე შემარყეველ რეალობას? ამ მწუხარების შხამს?..

აი, ახლაც...

სათითაოდ გაჰყავთ ადამიანები: ახალგაზრდა და ხნიერი, სიცილ-ხარხარით გაჰყავთ პატარა, მწვანე მღელოზე და მიჯრით ცხრილავენ!.. და რაც მთავარია, ერთმანეთს აყურებიანებენ სიკვდილის ზეიმს!

ღმერთო დიდებულო!.. ძველი ღროის ბარბაროსების წვრილმან „ფორმალობებს“ – თვალის ახვევას, თავზე თუნდაც ტომრის ჩამოცმევას – ვინლა დაგიდევთ! პირიქით, მეტი სისასტიკე თურმე მეტი ველურობაა საჭირო! აკი ფაჩულიამ არ იწყინა, არ ითაკილა, ფაშისტი რომ უწოდეს! როგორც ჩანს, მავანთ და მავანთ ეამაყებათ კიდევ, რომ ნადირის მსგავსნი არიან. ეამაყებათ – დაუნდობლობა, სისასტიკე, არაადამიანობა!

...მაგრამ რად არის თვითონ ასე მშვიდად?.. გული რატომ არ უკანკალებს? (თუმც, ხელ-ფეხს ვერ იმორჩილებს მაინც!) ნუთუ იმიტომ, რომ... დიდი ხანია შეეგუა საკუთარ სიკვდილს? ან ეგებ მაშინ მოკვდა, მირიანი რომ დახვრიტეს თითქმის მის თვალწინ? და ველარ მიეშველა? ვერც ხმამაღლა, მოთქმით იტირა? ვერც მაშინ იტირე, ნაჩუმათევად, ჰაი, ჰარად რომ მიაბარეს მეზობლებმა მიწას – საკუთარ კარმიდამოში!

...დამწყვედუელი ჰყავდით სარდაფში – პატიმარივით, რომ... არ გენახა საშინელი სურათი კაცთა მოღვმის გადაგვარების. აკი მხოლოდ გულში ღმუოდი და გოდებდი მწარედ?

ან ეგებ მაშინ შეეთვისე სიკვდილს, საოპერაციო მაგიდაზე რომ იწექი, საშინელი სენით დალდასმული?.. მაგრამ... ნუთუ? ნუთუ შეეგუე: სხვათა სიკვდილს?.. ო, არა! ნამდვილად არა...

ან ამ საცოდავ, ბებერ ექიმს რაღას ერჩიან? ვის რა დაუშავა ექიმმა კაცმა – ორივე მხარეს თანაბრად რომ აქიმობდა?! თუმცა,

აკი შოთა ვლამაძე საოპერაციოდან გამოიყვანეს და საავადმყოფოს კიბეზე დაცხრილეს თურმე!..

ამ პატარა, მოხუცებულ პედაგოგ-ქალს რა ბრალი მიუძღვის ვინმეს წინაშე, თითქმის გონწასულს რომ მიათრევენ „საჩვენებელ არენაზე“ და... რატომ? – იმეორებს წარამარა ერთ და იგივე სიტყვას და... არავინ უხსნის, არავინ ეუბნება – რისთვის კლავენ? რა მიზეზით? რა დანაშაულისთვის?

ერთბაშად... გაათავეთ, თქვე უღმერთოებო! ნუღარ აყოვნებთ. მალე მორჩით. მალე დაუშინეთ ტყვიები ამ გალეულ, საბრალო მოხუცს ქალს, რომელიც თურმე დამნაშავეა მხოლოდ იმიტომ, რომ... ქართველია!.. მაგრამ... ღმერთო ჩემო, ეს ხომ იყო, უკვე იყო, ბატონებო?.. სისხლიან საუკუნეთა გრძელ გზა-სავალზე!

დაცხრილეთ-მეთქი ჩქარა და... მერე დასტკბით, გაიხარეთ თქვენი ნამოქმედართ! მიდით. გულიანად იხარხარეთ, რადგან... ესოდენ დიდ სიამოვნებას განიჭებთ თურმე ყურება ადამიანის საღისტური ტანჯვა-წვალებისა, მისი აქნა-ნაჭერ-ნაჭერ, დასახიჩრება და მერე... მასხრად ავლებს!

აფერუმ, მეოცე საუკუნის ცივილიზაციის ნაშეიერო, გამოქვაბულის მცხოვრებთა ქურქში რომ გამოწყობილხართ!

...ავტომატის გაბმულ კაკანს ბილწსიტყვაობის კორიანტელი ეხმიანება!

ღმერთო!

მტრედი!.. საიდან? საიდან გაჩნდა აქ „ჩემი მტრედი?“

რას დამტრიალებს თავზე? რა უნდა? რას მეღულუნება, რას ჩურჩულებს?

„ჩემო მშვენიერო, ჩემო ძვირფასო, საყვარელო, გთხოვ – გამაგრდი!.. ამ ჯალათებს თვალი თვალში გაუყარე მედიღურად, გამომწვევად, მათ არ ძალუბთ მოკვდინება შენი სულის... რადგან პაწია შვილიშვილი, ჯერ უნახავი შვილიშვილი – შენი თვალებით გიღიმის და... გეაღერსება! იგი გამხნეებს, ძალას გმატებს, სულის სიმებს სინაზით და სიყვარულით გირხვევს და გათბობს. იგი ხომ შენი სისხლის და ხორცის ნაწილია – მასში იცოცხლებ, შენს შვილიშვილებშიც, შენს უბრალო, მაგრამ გულისნაჟურ, წრფელ

ლექსებშიც – მარად იცოცხლებ, იცოცხლებ ამ ქვეყანაზე, ვით ამ ზღვისა და ცის მონათალი...“

...მორჩა, გათავდა. არ მეშინია, აღარაფრის არ მეშინია! მე გადავლახე, უკეთურებო, გესმით თუ არა? – მე გადავლახე სიკვდილ-სიცოცხლის კაცობრივი შიშისა და ძრწოლის სამანები!..

მე მზადა ვარ ვზიდო ჩემი წილი ჯვარი გოლგოთის! თქვენ კი – ღვთის რისხვას ვერ გაექცევით ვერასდიდებით, ვერა! ვერ გაექცევით!

...რაც მთავარია, შენ ხომ ჩემთან ხარ, ჩემო თეთრო მეგობარო!.. შენ არ დამტოვე! შენ მიერთგულე ბოლო წუთამდე – განსხვავებით ზოგ-ზოგისგან... მაგრამ ღმერთმა მიუტევოს ყოველ მათგანს, ღმერთმა შეუნდოს!..

ხოლო მე... ჩამავალი მზის სილამაზე მეყოფა საიმქვეყნიო საგზლად!

...სროლის ხმაზე მტრედმა ერთი შეიფრთხიალა, ადამიანთა გვალებით მოფენილ სასაკლავოს წამისწამში გადაუფრინა და... შემდეგ უკაბადონო ცის სილურჯეში დაიკარგა.

ან... ეგებ სულაც არ გამოჩენილა?... ეგებ... მხოლოდ განწირულის წარმოსახვას ეჩვენა იგი?

ბინდი ჩამოწვა. თითქოს ერთბაშად შავი მანდილი გადაეფარაო არე-მარეს, რათა ბოროტების სისხლიანი ნაკვალევი დაემალა უცხო მზერისთვის.

სკოეცაი

(„სხვა საუკუნის მგზავრი გვინა!“)

კარგად მოილხინეს, რაც მართალია მართალია. თუმცა... უმამაკაცებოდ კი.

საქმე ის გახლავთ, რომ ცოცხალი თანამეცხედრეები შეგნებულად დატოვეს თამაშგარეთ, ხოლო მკვდრები – თავისთავად აღმოჩნდნენ ამ მდგომარეობაში.

სხვა მხრივ... ეს წვეულება წინანდელთაგან თითქოს დიდად არ განსხვავდებოდა ამ ბებრუხანებისთვის, როგორც უწოდებდნენ ხოლმე თავიანთ თავს ასაკოვანი ქალბატონები.

ასე იყო თუ ისე, საკმაოდ შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, ჯერჯერობით ცოცხლები იყვნენ. ისე კი, ძალიან შეეცადნენ – ძველებურად ემხიარულათ, ემღერათ, ეცეკვათ, ეოხუნჯათ, უფრო სწორად, ებუქნავათ – რასაკვირველია, საკუთარი ძალების შესატყვისად, ანუ მათივე თქმით, ეტიზგიცათ. დიდებული „ხვანჭკარა“ და დიდებული კერძებიც მიირთვეს, ხოლო ნამცხვრებს რაც შეეხება – ერთხმად აღიარეს ისინი საუცხოოდ და მაინც – მთავარი ის იყო, ამ ე.წ. ხუთეულს კვლავ რომ უყვარდათ ერთმანეთი და კვლავ რომ უნაროდათ ერთად ყოფნა. თუმცა...

თუმცა იყო მაინც ამ შეხვედრაში რაღაც ფარული, გაუმხელელი სევდის თუ კაეშნის ნიშატი, რაც, შესაძლოა ზედაპირზე არ ჩანდა, მაგრამ სულის სიღრმეში იმალებოდა უთუოდ თითოეულ მათგანში.

– გოგოებო, წინადადება შემომამქვს – ჩავაქროთ შუქი და სანთლების სინათლეზე ვითამაშოთ... ბავშვობანა!.. ანუ...

– მოიცა, მოიცა, ჩემო საყვარელო ეკუნა! აქამდე, აბა, რას ვშვრებოდით ეს ძონძროხა ბებრუცანები? თუ... შენი აზრით, ლავუაზიეს თეორემაზე ვიჭყლეტდით ტვინს?

საერთო სიცილს ეკას განმარტება მოჰყვა:

– არა, არა... მაცალეთ, თქვე ოხრებო! სხვა რამის თქმა მინდოდა... მოდით გულწრფელად, გულახდილად მოვიგონოთ-მეთქი ჩვენი ბავშვური ოცნებები და ნატვრა-სურვილი და... ალალ-მართლად ვალიართ – რა აგვიხდა და – რა არა!

მე მგონი, საინტერესო იქნება ამ ექსპერიმენტის ჩატარება ჩვენს ასაკში...

– არ არის ურიგო აზრი, ხომ იცი შენ!... ყოჩაღ ეკატერინე!

– მეც მომწონს ეგ იდეა.

– მეც.

– მეც თანახმა ვარ.

– მაშ, შევთანხმდით?

– შევთანხმდით. შევთანხმდით ეკას ვენაცვალე.

– რაკი წინადადება ერთხმადაა მიღებული... ანუ მოხდა სასწაული და ხუთი ქართველი შეთანხმდა...

– ამასთან, საგულისხმო ისიცაა, რომ... თავი არავის შეუკავებია...

– მით უმეტეს... მით უმეტეს, ჩემო ნატალი. მაშ, შევუდგეთ საქმეს. პირველი ვინ დაიწყებს?

– შენ ისეთი მაკვარანცი იყავი და ხარ დღესაც, ჩემო ეკუშ, ესეც წინასწარ გექნება მოფიქრებული.

– არა, არა, ღმერთმანი. სპონტანურად მომივიდა ეს აზრი. მაგრამ, რაკილა ჩემი წამოწყებულია ეს ამბავი, ვფიქრობ, აჯობებს... პირველი სიტყვა მივცეთ ჩვენს უსაყვარლეს მეგობარს, ჩვენს სახელოვან, მთელი ჩვენი ერისთვის საამაყო მომღერალს, ჩვენს ძვირფას მიქელაძეს... ჩვენს ნინუცას!

– ბრავო, ბრავო. შესანიშნავია. თანახმა ვართ! – აღტაცებულ შეძახილებსა და ტაშის ცემაში უცებ გაისმა ქ-ონ ნატალის სკეპტიკური ხმა:

– რატომ... ნინუცას? ვერ გავიგე?..

უცებ ჩამოვარდნილ სიჩუმეში ქალბატონმა ნატალიამ განაგრძო:

– ჩემო ძვირფასებო, ჩემო საყვარლებო, ნინუცას ისიც ეყოფა, რომ... საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებაა. მართალია, ახლა ნიკუშა ცოცხალი არა ჰყავს, მაგრამ... ხომ იყო ბედნიერი მეუღლე?.. (ისე, ჩვენს ასაკში ან ნიკუშა უნდა წასულიყო პირველი, ან – ნინუშა – ღმერთმა ასი წელი აცოცხლოს ჩვენი ნინიკო), მარა... რას ვიზამთ? ასეთია გარდაუვალობა. ანუ... ყველანი სიკვდილის შვილები ვართ: რა დღეს, რა ხვალ – ყველანი სათითაოდ საიქიოში უნდა წავცუსტუხდეთ – დიახ, მოგვწონს ეს, თუ არა!

ჩვენი ნინუცა აგრეთვე ბედნიერი დედაცაა – ჩვენთვის, ყველასთვის საყვარელი ვასიკო ამერიკიდანაც არ აკლებს ყურადღებას და მზრუნველობას. ასევეა – შვილიშვილებიც! მოკლედ, ჩვენი ნინიკო ბედნიერი ქალი იყო და არის დღესაც – მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ცოტა სიბერე შეეპარა, რაც მოგეხსენებათ, განსაკუთრებით ლამაზი ქალისთვის, ყველა ჭირზე უფრო დიდი ჭირია, მაგრამ... ესეც ბუნების კანონ-ზომიერება გახლავთ და რასაც, სიკვდილის არ იყოს, სამწუხაროდ, ვერსად გაექცევი!.. ცოტა გულსაც უჩივა ხანდახან, როგორც ჩვენ ყველანი, მაგრამ...

ეგეც არაფერია – მთავარია, მას ყველა სურვილი აუსრულდა ცხოვრებაში და ბედნიერი ქალბატონი ბრძანდება!

ასე და ამგვარად, უპრიანია, პირველმა ილაპარაკოს იმან, ვინც, ვთქვათ, ჩემსავით, დიდი ვერაფერიშვილი ცხოვრებით იცხოვრა, ანუ ბევრი ნატვრა-სურვილის ასრულება კი არა, საერთოდ, ცარიელ-ტარიელი დარჩა ამქვეყნად. ხომ ვარ მართალი, ჩემო ძვირფასებო?

– შენ უკვე იმდენი ილაპარაკე, ჩემო ნატალი, მართლაც აზრი არა აქვს რაიმე დავა-კამათს. შენ ნათქვამში, არის ლოგიკის მარცვალი, მაგრამ...

– თუ ლოგიკურია ჩემი მსჯელობა, მაშინ რატომ არ მეთანხმები, ჩემო საყვარელო ეკუნა?

– იცი რატომ?.. ნინიკო ჯერ-ერთი, დღეს ჩვენი სტუმარია, უფრო სწორედ, მისი გულისთვის უფრო შევიკრიბეთ აქ დღეს ყველანი, ანუ ეს საღამო მისი დღეობაა, ანუ... ნინობა ბოლოსდაბოლოს. მეორეც!.. ძლივს ხუთი ქართველი შეთანხმდა...

– ოთხი!

– კაი, ჯანდაბას, იყოს ოთხი და ამ დროს...

– ამ დროს – შეაწყვეტინა ნატალიამ: – თუ დემოკრატიულობანას ვთამაშობთ, ხომ სჯობია თავად პრეტენდენტს კკითხოთ: ჩვენო საყვარელო ნინიკო, გინდა იყო პირველი... თუ მეხუთე?.. რა გაცინებთ, თქვე შეჩვენებულებო? რა ვთქვი სასაცილო? როგორც ყველა ქართველს, ნინიკოსაც, რასაკვირველია, უნდა იყოს პირველი!.. თუმცა... ვატყობ, ჩემს პროტესტს აზრი არა აქვს! ეს ცხადზე უცხადესია!... ნინიკო, შენ რას იტყვი? თანახმა ხარ დაიწყო პირველმა, თუ... გინდა მეხუთე იყო-მეთქი?..

– გოგოებო, სანამ თქვენ ერთმანეთში პაექრობდით - გადავწყვიტე, გთხოვოთ, იქნებ მართლა მე მალაპარაკოთ პირველი? და არა იმიტომ, რომ ჩვენი ძვირფასი ნატალიას თქმით, როგორც ყველა ქართველს - უეჭველად პირველობა მსურს მაინცდამაინც! – შეჩერდა. მცირე ხნის შემდეგ კი განაგრძო:

– იცით თქვენ, როგორი ორატორიც ვარ და მაინც... თვით ჩემთვისაც მოულოდნელად, საოცრად მომინდა, რომ... სწორედ ახლა, ამ საღამოს, ჩემს საყვარელ მეგობრებს გადავუშალო გული... არ ვიცი, რა შემიძინდა ასე უცებ... შეიძლება ღვინოვანი გამათამამა...

– ასე „ვიცის ღვინომა“!.. მიდი, საყვარელო! შენ... დაუკა! ჰა ბურთი და ჰა, მოედანი!

– არა, ხუმრობაგაშვებით, გოგოებო, იცით იმიტომ მომინდა უსათუოდ ჩემით დავიწყეთ: ჯერ ერთი, ბედნიერ ადამიანად რომ მიგაჩნივართ თურმე და მეორეც...

– მოიცა, მოიცა... ახლა მართლა არ გადამრიოთ! ქალო, არა ხარ თუ? რას ჰქვია – თურმე? ჩემთან ჭიდილში ემანდ ღმერთს არ შესცოდო! მოდი, მაშინ სერიოზულად განვსაჯოთ: ჩვენს თაობაში, პირად თუ შემოქმედებით ცხოვრებაში თუ ვინმემ რაიმე წარმატებას მიაღწია – ეს შენ ხარ, ჩემო ნინუც! რითაც, სხვათა შორის, ღიდად მოგვაქვს თავი შენს ძველ მეგობრებს, რითაც ვამაყობთ კიდეც!..

მართალია, ბედნიერების აღქმა ზოგჯერ პირობითია და საერთოდ, ბედნიერების საზომად სხვადასხვა კრიტერიუმი მიიჩნევა, ანუ მეტნაკლებად, ინდივიდუალურია იგი, და მაინც... თუ საერთო მოსაზრებიდან გამოვალთ...

– ვიცი, ვიცი, ჩემო ნატა, ეს ყველაფერი! ამ ზოგად ჭეშმარიტებაში არ გედავები... ისიც ვიცი, როგორ გიყვარვართ, მაგრამ... იქნებ ჯერ მე დამითმობთ ასპარეზი-თქო... მართლაც, რაღაც არ მასვენებს ამდამ, ოღონდ... – რა – მე თვითონაც არ ვიცი! არ ვიცი, რამ ამაწრიალა ასე!

– მიდი, შენ შემოგველე, ნინიკო, ილაპარაკე! О чем речь!.. როგორ გეკადრება! – ნატალიას სხვებიც აჰყვინენ:

– გმაღლობთ, ჩემო ძვირფასებო... ამასობაში დავიბენი კიდეც ცოტა... მგონი, ცოტა შევშინდი კიდეც: ვაი თუ ვერ გამიგონ, ანდა ბოლვად ჩამითვალონ მონაყოლი, ანდა ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნიონ-თქო!.. ერთ რამეში კი ვარ დარწმუნებული – ვიცი, არ დამცინებთ... მასხრად არ ამივლებთ!

– ე, ე... შენ ხომ არ აურიე, ქალო?.. რას ჰქვია დამცინებთო?.. ჩვენ აქ რაღაცას ვამაიმუნობთ, თავს ვიქცევთ ტაკიმასხარაობაში, შენ კიდეც... – კვლავ აზრიალდნენ ქალები.

– გაჩუმიდით. რა ღლეში ხართ, დიაცებო? ჩვენს პარლამენტში ხომ არ გგონიათ თქვენი თავი? აბა, სიჩუმე იყოს და გაგონება!

მიდი, ნინიკო, ჩვენი თავი გენაცვალოს. შენი ხმალი – ჩვენი კისერი. „დავაი“, შაუბერე, ქაბატო-ჯან!.. ჩამოასხით, ერთიც უნდა დავლიორო... აბა, ჰე!

– ჩემო ნატა, შენ მკვდარსაც გააქნევენ ფეხს, მაგრამ... ისე, „მოფიქრებისთვის“ თუ მამლევთ ცოტა დროს?

– მა რა! შენ კი არა, სიკვდილმისჯილებსაც აძლევენ დროს – მოსაფიქრებლად – მოკვდეს, თუ... არა!

– გმადლობთ, ჩემო საყვარელო ნატალი! ვიცი შენი გულკეთილობის ამბავი, მაგრამ... ეს ოხერი, მართლა ავლელი, აზრები დამეფანტა... თუმცა ეს ატმოსფერო... თქვენი გულითადობა და სიყვარული ჯერ კიდევ პირველ კლასიდან რომ იღებს სათავეს – აუ, ისე, რა დიდი დროა გასული, თითქმის საუკუნე – მიბიძგებს საიმიხოდ, რომ... მოკლედ, მინდა გაგიმხილოთ ჩემი გულის საიდუმლო, გაგიმჟღავნოთ დაფარული ხვაშიადი... შეიძლება მართლაც ღვინომ შემაგულიანა ცოტა კიდევ... შეიძლება იმანაც, სამარის კარს რომ ვუკაკუნებ უკვე... მოკლედ, ასეა თუ ისეა, მინდა გაიგებოთ იმ ყმაწვილქალური ოცნებებზე თუ ნატურა-სურვილებზე, რაც... არ ამსრულებია! /პაუზა/

– ისე, ჩვენ თითქოს ყველაფერი ვიცით ერთმანეთზე, ყოველი წვრილმანი, ყოველი ნიუანსი და მაინც... ადამიანის სული ხშირად ბოლომდე შეუცნობელი ლაბირინთია, თურმე... თურმე ძალიან ახლობელი ადამიანისთვისაც კი... დიახ, იგი ზოგჯერ ინკოგნიტოდ რჩება ხოლმე, ანდა გაუშიფრავ იეროგლიფად!

* * *

...პირველი შეგრძნება... უცებ, ერთბაშად მოვარდნილი ლურჯი ფერის ნიაღვარი იყო, წამსვე რომ წალეკა მთელი მისი ცნობიერება. ერთბაშად დააბურსალავა და დაარეტიანა. მერე... ცისფერი, ლურჯი, მწვანე, ნარინჯისფერი ერთმანეთში აირია, აითქვიფა და თავისდაუნებურად შიგ, ამ ფერების ღვართქაფში ცურვა იწყო – თითქოს მჩატე ნაფოტად ქცეულმა, უსუსურმა, პატარა არსებამ. ეს იყო – წარმოუდგენლად, სასწაულებრივად საამო რონინი თბილ, მოლივლივე ტალღებში, ანუ...

ეს იყო ზღვა! ანუ... უსაზღვრო სივრცე!..

პირველი სასაიმოვნო ელდა. პირველი გაუცნობიერებელი აღქმა უსასრულობისა, მარადისობასთან ზიარების პირველი ნეტარება-ფერების სიმფონიაში განზავებული. დიახ. ეს გახლდათ ენით უთქმელი, აუხსნელი ჯადო-თილისმა, ცხადლივ აღბეჭდილი გოგონას სულსა და გულში, რომელმაც მყისიერად მოიცვა მთელი მისი არსება, სხეულის ყოველი უჯრედი, დაიმონა და დაიმორჩილა იგი სამარადეამოდ.

– არ ვიცი, გოგოებო, ეს გენების ყვილი თუ იყო... ჩემი უძველესი წინაპრების სისხლის ძახილი თუ გახლდათ... თქვენ იცით, რომ დედის მხრიდან ძველი კოლხების – ლაზების შთამომავალი ვარ. ბაბუა – ბაკურ ჯაში – დედაჩემის მამა – ტრაპიზონიდან გადმოხვეწილი ლაზების მოდგმა გახლდათ, ბებია კი – ცურუ სოსელია – დედის დედა – ვარჩელელი მეგრელი ქალი. მამის მხრიდან ჩემი წინაპრები დიდი ხნის თბილისელები იყვნენ, ჯერკიდევ მე-19 საუკუნის შუა წლებიდან, ქუთაისიდან წამოსულები, აქედან გამომდინარე სოფელი რომ არ ჰქონდათ არსად. ამიტომაც იყო ალბათ ყოველი ზაფხულის არდადეგებს, დედაჩემთან ერთად, მის სოფელში, ბაბუშარაში ვატარებდი, იმ ბაბუშარაში, დღეს რომ სამწუხაროდ, დაკარგულია ჩვენთვის. ადრე კი – ტრაპიზონი დაკარგეს ჩემი ბაბუის წინაპრებმა. ჰო, ეს – ისე!

...ახალგაზრდობაში ჩემი ბაბუა ბაკური – მეთევზე ყოფილა და როგორც სისხლით ყოველი ლაზი – ისიც ზღვას იყო მიჯაჭვული მთელი არსებით... სიბერეშიც გაიხსენებდა ხოლმე თავის ხელობას, და... იკარგებოდა ზღვის სივრცეში.

ჩემს ბაღლობაში, მახსოვს, კოლმეურნეობის წევრი იყო თითქოს, მაგრამ როგორღაც ახერხებდა თავი აერიდებინა კოლექტიური გარჯისთვის და თავის კარ-მიდამოში ეტრიალა. არადა, ისეთი ოდა-სახლი ედგა და ისეთი ეზო ჰქონდა, უკეთესს ვერ ინატრებდი. ეს ოთხთვალისანი წაბლის ოდა-სახლი ჩუქურთმიანი ბოძებით და რიკულებით დამშვენებული, თვალწარმტაც სასახლედ მესახებოდა არა მხოლოდ მაშინ – ჩემს ბავშვობაში...

ახლაც თვალწინ მიდგას იგი... ახლაც, როგორც ზღაპრული „ლოხორე“, თავისი კონდრიანი, ფართო ეზო-ყურეთი. და საერთოდ,

იგი ჩემი წარმოსახვის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი იყო ყოველთვის... მერე - გვიან გავიგე, დასავლეთ საქართველოში ოდასახლების უმეტესობა თურმე ლაზი ოსტატების ნახელავი ყოფილა...

მანსოვს, სოფელში რომ ჩავდიოდით, დედაჩემთან კი არა, ჩემს ბიძაშვილებთან ვწვებოდი ხოლმე ღამე, პატარა ოთახში, წითელი ხის საწოლში. ბუმბულის ლეიბისა და ბალიშის სიფაფუკე ახლაც სასიამოვნო განცდას იწვევს ჩემში, ისევე, როგორც წაბლის ხის სუნი, მთელ ოთახებში რომ ტრიალებდა.

დედაჩემის უფროსი ძმა ტიტეიკო ომში იყო დაღუპული. 18 წლის ბიჭი წაუყვანიათ ჯარში და... აღარ დაბრუნებულა. მერე და მერე სულ მაწუხებდა და ახლაც დროდადრო გული მეკუმშება უდროოდ წასულ იმ პირტიტველა ბიჭებზე, ჯერაც დედის რბე შეუმშრალ ყმაწვილებზე, ცხოვრების გარიჟრაჟზე რომ დაემსხვრათ ყოველგვარი ოცნებები, ქალის სიყვარულიც რომ არ უგემიათ და ისე გამორდნენ ამ მუხთალ წუთისოფელს. არადა, რამხელა უსამართლობაა — უმანკო, მეოცნებე ყმაწვილს ხელი დაავლო, და სადღაც, შორეთში, ყინულიან მხარეს უკრა თავი და... აომო!

ბებია სულ თალხკაბიანი მანსოვს. ვერა და ვერ გამოიგლოვა პირმშო. ომი დიდი ხნის დამთავრებული იყო, მაგრამ ბებია და ბაბუასთვის, ისევე როგორც დედაჩემისთვის, რომელიც პატარა გოგო იყო ძმა რომ შორეთში გადაუკარგეს — ომი არ დამთავრებულიყო. არა და არ უნდოდათ შეგუებოდნენ ამ სიცოცხლით სავსე, ულამაზესი, უნიჭიერესი, გამორჩეული ბიჭის დაღუპვას, კაცის კვლა კი არა — ქათამი რომ არ დაუკლავს თავის დღეში, სიკეთის მეტი რომ არაფერი უნახავს თავის ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე და რომელიც ერთბაშად ჯოჯოხეთურ სისხლისღვრაში აღმოჩნდა, სადაც არ იყო გარჩევა სიკეთის თუ ბოროტების, სადაც ზეიმობდა მხოლოდ სიკვდილი, სადაც ყოველი მათგანი საზარბაზნე ხორცად იყო ქცეული ამ სოფლის მთავრებისთვის.

იმ საშინელი ომის ექიმ რამედნიმე ათეული წლების შემდეგ საბედისწეროდ გაიჟღერა ბაბუშარაშიც და... მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლეც შეიწირა. იქნებ არ იყო ეს შემთხვევითი?

იმ ე.წ. დიდი ომის ნაკვალევი უჩუმრად, ფარულად, მაგრამ მუდმივად იგრძნობოდა ბებია და ბაბუას ოჯახში, ისევე, როგორც

თითქმის ყოველი ქართველის ფუძე-კერაში, რასაც, ცხადია, პატარა ბავშვი ისე ვერ აღვიქვამდი მაშინ. მხოლოდ კაი ხნის შემდეგ გასაგები შეიქმნა ჩემთვის ამ დიდი ტრაგედიის მნიშვნელობა, კერძოდ, ჯაშუბისთვის, რას ნიშნავდა მათთვის ტიტტიკოს ნაქონი ქამარი, ასე სათუთად რომ ინახავდა ბებია, ან ტიტტიკოს ხელით გაკეთებული ხის კოვზი და ასე შემდეგ... ეს ჭრილობა არადა არ შუშდებოდა, ისევე, როგორც დედაჩემისთვის სიცოცხლის ბოლომდე საფიცრად დარჩა საყვარელი, უფროსი ძმის სახელი...

არ ვიცი, როგორ, რანაირად, მაგრამ თითქოს ტიტტიკო ბიძიას სულის შფოთვა და წრიალი შევივრძენი იმ უბედურების ჟამს, რაც აფხაზეთში და ბაბუშარაში დატრიალდა... თითქოს ტიტტიკოს დაღვრილი უმანკო სისხლი შველას ითხოვდა!..

უმცროსი ძმა ლუდა, ბაბუას ძმასავით, ატასავით – ხურო განლდათ და მე მგონი, მათი აგებულია იმ მხარეში ყველა გამორჩეული სახლი როგორც ხის, ისე ბრიკეტის, სხვათა შორის ხის სახლებს თანდათან ცვლიდა რკინა-ბეტონისა, როგორც უფრო იაფი და ხელმისაწვდომი.

ლუდა ბიძია და ცაცუნა ბიცოლა თავის სამ შვილში არ მარჩევდნენ, ესო, ჩვენი მეოთხე ბალანაო, იძახოდნენ და... ეს მართლაც ასე იყო. მეც ასე ვგრძნობდი თავს ჯაშუბთან.

ლამე, ძილის წინ კი – აუცილებლად ჩავუწვებოდი ხოლმე ბებია და ბაბუას შუაში და ჩემს სიტყვაძვირ ბაკურ ბაბუას ზღაპრების სკივრს ვახსენებინებდი. ისიც იშვიათად მიტეხავდა ხათრს და... იწყებოდა საოცარი მოგზაურობა ჯადოსნურ სამყაროში. ბაბუა თავისი მშვიდი, დინჯი, უჩვეულო ხავერდოვანი ტემბრის მქონე ხმით მიყვებოდა ამბებს უპირატესად – ზღვაოსნებზე, ლაზ მეკობრეებზე და საერთოდ, ზღვასთან დაკავშირებულ საოცარ თავგადასავლებს – ოდნავი აქცენტით: ლაზური ძალიან ჰგავს მეგრულს, მაგრამ მაინც აქვს თავისებური, განუმეორებელი კილო – მეგრულის სხარტი თქმისგან განსხვავებული და მეგრულისთვის დამახასიათებელი რბილი ლ-ს გარეშე. მეც, თავფეხიანად ვიძირებოდი იმ საოცარ სამყაროში, ბაბუა ასე ცოცხლად რომ მიხატავდა... საერთოდ, ბაბუას ბევრი ლაპარაკი, ანუ როგორც თვითონ იტყოდა, ყბელობა არ უყვარდა, მაგრამ კაცის ნათქვამი სიტყვა ბეჭედლასმული რომ უნდა

ყოფილიყო - ეს წყალგაუვალი ჭემმარიტება გახლდათ მისთვის, ახლა, ჩვენს პარლამენტში ამდენი მოლაქლაქე მამაკაცი რომ ენახა, ესენი რა კაცებიაო გაიკვირებდა უსათუოდ. ბაბუა ბაკური პიროვნება იყო – თავის გარშემო, თავის წრეში გამორჩეული და ასეც მიაჩნდათ, იგი მის თანასოფლელებს...

ახლაც თვალწინ მიდგას ბაბუაჩემი სამზადის „აბარწაზე“¹ ჯორკოზე, ხანაც ოდის აივანზე მერხზე მჯდომი, როგორი მშვიდი სახით, უშფოთველი იერით აბოლებდა ხოლმე ყალიონს – ფეხიფეხზე გადადებული, რაღაცნაირი ბავშვური გუმანით ვგრძნობდი, რომ ის ამ დროს აქ, ჩვენთან არ იყო თავის ამ მღუმარებაში. მისი მზერაც რაღაცნაირად, არაამქვეყნიური იყო თითქოს. ახლა ვაზრობ, თავის წინაპრების სამშობლოს – ტრაპეზუნდის ზღვა და ცა თუ ეზმანებოდა-მეთქი, ვინ იცის! იქნებ როგორ ნატრობდა მის მონახულებას, რაც იმ დროს, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო...

ბებია კი, ბებია სრულიად სხვა ტიპის ადამიანი გახლდათ. ანგელოზისებური სახის მქონე, ანგელოზებისგან განსხვავებით, – საოცრად ცოცხალი, მოძრავი და გამრჯე იყო. მე ის დასვენებული არასოდეს მინახავს. გვიან ღამემდე სულ მუდამ ფუსფუსებდა, სულ რაღაცას საქმიანობდა, გარბოდა, გამობოდა. აუ, რა გემრიელ კერძებს ამზადებდა! ახლაც პირში ვგრძნობ თითქოს მათ გემოს ან... რა ტკბილი მოფერება იცოდა ხოლმე: საიდან, რა ლექსიკონიდან ამოჰქონდა ამდენი საალერსო სიტყვები? ცოტა ბევრი ლაპარაკი კი უყვარდა ცხონებულს, უფრო სწორად, რჩევა-დარიგების მიცემა იცოდა – დიდი იქნებოდა დასამოდღვრავი თუ პატარა – ამას არ დაეძებდა. კარგად მახსოვს, ყველანი გაუბოდნენ მის ქადაგებას, არადა, ახლა რომ ვიხსენებ, გონივრულ დარიგებებს იძლეოდა ბებია, მაგრამ რატომღაც არავის ჰქონდა სურვილი მოესმინა მისთვის, ალბათ იმიტომ, რომ... ყველას, მათ შორის ჩვენც, ბავშვებს არანაკლებ ჭკვიანად მიგვაჩნდა ჩვენი თავი...

ცაცუნა ბიცოლა კი ჰყავდა გამოჭერილი ბებიას – ასეთი მორჩილი, თვინიერი რძალი არასოდეს შემხვედრია მერე ჩემს ცხოვრებაში. უსიტყვოდ, ყოველგვარი შეპასუხების გარეშე ასრულებდა მის ყოველგვარ სურვილს თუ განკარგულებას, ალბათ

1 აივანი

იმითომ, რომ თავად იყო საოცრად გულთბილი, მოსიყვარულე და მშვიდი ადამიანი.

ბიძაჩემის ლუდას – სოფლის ამ დიდი არშიყის და დარდიმანდის, ხანგამოშვებით აწყვეტილი საქციელები რომ არა – ჯვამების ფანიამში (ე.ი. ოჯახში) შესაშური სიამტკიბილობა და თანხმობა სუფევდა. ბიძაჩემი კი... ეს ცალკე თემაა... იგი იმდენად მოძხიბლავი პიროვნება იყო, იმდენად ეფექტური გარეგნობის და მოსწრებული სიტყვა-პასუხის, რომ... როგორც იტყვიან, პირველ დანახვისთანავე იპყრობდა ადამიანის გულს, განსაკუთრებით კი – ქალბატონების. უფროს ძმას, ტიტტიკოს ამსგავსებდნენ გარეგნობით და მე მგონი, ამიტომ პატიობდნენ ხოლმე სახლეულნი ზოგ რამეს – კერძოდ, მუსუსობას, თვით ბაბუაც კი – საოცრად შემწყნარებელი და ლმობიერი იყო მის მიმართ...

...ჩემთვის უმთავრესი სასწაული ბაბუშარაში მაინც ზღვა იყო. ზღვას ყოველთვის ვერძნობდი ჩემში. იგი განუწყვეტლივ ლივლივებდა ჩემს სულში... შემეძლო დილიდან საღამომდე გაუნძრევლად ვმჯდარიყავი ნაპირზე და მემზირა მისი ნაირფერად მზინავი ტალღებისთვის, ჩუმი ალერსით რომ ელაძუნებოდნენ ნაპირს, და მაშინაც მიზიდავდა, როცა გამძვინვარებულ-განრისხებული, ამთავორებულ, ჩაშავებულ ტალღებს ბრაზიანად ფშენდა და ლეწავდა ნაპირზე... ვერა და ვერ ვძლებოდი ყურებით, სულ მუდამ უკმარისობის გრძნობას განვიცდიდი მის მიმართ. ეს რაღაც ფატალური, აუხსნელი სურვილი თუ ლტოლვა დღემდე არ მასვენებს...

ჩემს ბიძაშვილებს, მახსოვს, სიქას ვაცლიდი ნავით სეირნობის დროს, ნიჩბები, ცხადია, მათ უნდა სჭეროდათ და მე კი - ნავის კიდეზე ნებივრად გადაწოლილი, ვტკბებოდი ზღვის და მოლიცლიცი ცის... უსასრულობით!

საერთოდ კი, მარტო ყოფნა მერჩია ზღვასთან. დღემდე ვერ ვიტან ხალხმრავალ პლაჟებს... მოზიმზიმე დამსვენებლების რიარიას... სიშიშვლის საგანგებო დემონსტრირებას!..

ცისმარე დილით ვდგებოდი და ფეხშიშველი გავრბოდი ზღვისკენ, ხელის გაწვდენაზე რომ იყო ჩვენი სახლიდან. ჯერ გრილ სილაში ვიწყებდი კოტრიალს, ასე თოვლში მიყვარდა ხოლმე გორაობა,

მერე რბილ, მოშარიშურე ტალღებს ჩავეხუტებოდი ხოლმე, ხანაც... შორს მივცურავდი, თუმცა... ამას ხშირად ვერ ვბედავდი... სანამ არ წამოვიზარდე!..

ზღვაში მონებივრე ვეგებებოდი კაკასიონის თხემიდან მზის ამობარბალებას. აუ, რა ენით აუწერელი სანახაობა იყო, რა სილამაზე!.. და რა სიამოვნებას მგვრიდა მისი ყურება! ისევე, როგორც მზის ჩასვლა იყო ჩემთვის საოცრება – შეფერილი რაღაცნაირი სევდით, მელანქოლიით.

მანსოვს, გამარჯვებულის კისკისით ვეგებებოდი ხოლმე ჩემს ბიძაშვილებს გერას და აკას და ჩემს კბილა გვანცას, რომელთაც ძალიან ხშირად ვასწრებდი ხოლმე დილით ადგომას, რაც ყველას უკვირდა. უკვირდათ ისიც, რომ ქალაქელი ბავშვი ფენსაცმლის ტარებას გავურბოდი. სხვათა შორის, ფენშიშველი მივსდევდი ხოლმე ბაბუას ყანაშიც და ჩემთვის საგანგებოდ გამოთლილი პატარა თოხით ცვდილობდი, მხარი ამება მისთვის თოხნაში.

ბაბუას ჩემს გულმოდგინებაზე ჩუმ-ჩუმად ელიმებოდა თავის კოხტად შეკრეჭილ, ჭადარა უღვაშში. ბებია კი თავს იკლავდა – ამ შეჩვენებულმა ყაზახმა ბალანა გადამირიაო. დედაჩემსაც დაუცაცხანებდა ხოლმე, ვერ ხედავ, ბავშვი რა დღეშიაო. დედა მხოლოდ უწყინრად გაილიმებდა და... ამით მთავრდებოდა მისი მხრიდან საპასუხო რეაქცია. სამაგიეროდ, ბებია არ ცხრებოდა, ქოთქოთებდა და აუცილებლად მორიგ რჩევა-დარიგებას მოჰყვებოდა იმის თაობაზე, რომ ფენშიშველა ტანტალი არ შეიძლება ეხოში, მით უმეტეს, დაუშვებელია ეს ყანაში! ხომ შეიძლება რაიმე შეერჭოს ბავშვს ფენში და ასე შემდეგ. ბებიის შეგონებანი რჩებოდა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა...

ყველაფერთან ერთად მსიამოვნებდა მიწის ჩიჩქნა, მიწის სუნი... ვარდ-ყვავილზე არანაკლებ სურნელოვანი მეჩვენებოდა იგი... სხვათა შორის, მამაჩემის დედას, მაკა ბებიას, მხეიძის ქალს თავი მოჰქონდა იმით, რომ ბუნება არ უყვარდა. ამ მხრივ იგი წმინდაწყლის ქალაქელი იყო. მისთვის, ისევე, როგორც მამაჩემისთვის, – მამის მამას არ მოვსწრებოვარ) ბალი, პარკი და საერთოდ, ხეები დეკორაცია უფრო გახლდათ – ასევე ზღვაც. და საერთოდ ზღვა მხოლოდ ზაფხულში დასასვენებელი ადგილი, „ზაგარის“ მიღების

საშუალება იყო – ხოლო გაგრამი, ქობულეთსა თუ ბიჭვინთაში დასვენება – პრესტიჟული საქმე!

მამაჩემისთვისაც-მეთქი, თხემით-ტერფამდე ინტელიგენტისთვის, სოფელი – ეგზოტიკა გახლდათ – დროებით თავშესაქცევი ალაგი. როგორ და რატომ მოხდა ამ იმერელი თავადების ნაშვილების ეგზომ „გაურბანიზება“ – ვერ გეტყვით, ეგ სხვა თემაა. ახლა ამაზე არ შევჩერდები. თბილისში – მეც ქალაქელი ვიყავი, ოღონდ – გარეგნულად. სინამდვილეში კი – ჩემი „მე“, ანუ ჩემი სული უმთავრესად – იქ, ბაბუშარაში რჩებოდა. იქ ვიყავი მე ის, რაც ჩემში ძირითადად მკვიდრობდა. იქ, ზღვასთან, იქაურ ცასთან ანუ ბუნების წიაღში, მე, ალბათ ჩემი წარმომავლობის წყალობით, თავს ვგრძნობდი მათ განუყოფელ ნაწილად – ქვეცნობიერად, ცხადია. თუმცა... თბილისის საოცარი მონატრებაც მეუფლებოდა ძალზე ხშირად... და მაინც... საწყისი და ძირითადი დვრიტა ჩემი სულისა – ზღვა გახლდათ, რომელიც ყოველთვის მაკლდა აქ, თბილისში და რომლის ნდომაც, მასთან განმარტოების სურვილი, როგორც წელანაც ვითხარით, უბოლოო, დაუსრულებელი იყო. და საერთოდ, საზღვარი არ უჩანდა სწრაფვას ბუნების სიმშვენისკენ, შესაძლოა, ამიტომაც, ჩემთვის ვაჟა იყო და არის გამორჩეულად საყვარელი პოეტი... ის ყოველთვის ჩემი სულის თანაზიარად მიმაჩნდა... და მიმაჩნია დღესაც!..

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთხელ... კარგად მახსოვს, აგვისტოს პაპანაქება იყო, თუმცა ზღვაური სასიამოვნოდ გვიქიქინებდა თხემელის ჩეროში მოკალათებულ ბავშვებს და მზის მხურვალეობას გვინელებდა. ბანქოს თამაშით გართულებმა გვიან შევნიშნეთ, როგორ მოადგა ნაპირს მეთევზეთა კატარა. წამოვიშალეთ და კატარლისკენ გავემშურეთ, საიდანაც უკვე ცლიდნენ ბაბუშარელები თევზს. სწრაფად ივსებოდა კასრები და სათლები მოსხმარტალე თევზებით.

მზე უკვე გადაწვერილიყო და ისე აღარ ცხელოდა. მე ბავშვებისგან ცოტა მოშორებით ვიდექი და უნებურად ინტერესით შევცქეროდი მეთევზეების საქმიანობას.

ანაზღეულად ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ახალგაზრდა, ტანმალალმა მეთევზემ, რომელიც დანარჩენებზე უფროსი ჩანდა.

ჩამოქანდაკებული ტანი და ლარივით სწორი, გრძელი ფეხები ჰქონდა, ტილოს შარვალი მუხლებამდე აეკაპიწებინა, ფეხზე სანდლები ეცვა, ხოლო წელზევით შიშველი სხეული ბრინჯაოსფერად ულაპლაპებდა. მოკლედ შეკრეჭილი ხორბლისფერი თმა შუბლზე ჩამოყროდა.

მონუსხულივით ვიდექი და თვალი ვერ მომეშორებინა ბიჭის სხარტი, მოქნილი სხეულის მოძრაობისათვის. იგი ღროდადრო მოკლე განკარგულებებს იძლეოდა გამოკვეთილი მეგრული კილოთი. ერთი-ორჯერ ხმამაღლა, ლალად გაიცინა კიდეც რალაცაზე და თეთრმა, ქათქათა კბილებმა თვალისმომჭრელად გაიელვეს მზისგან გარუჯულ, მოგრძო სახეზე.

შემდეგ... რალაც წამისწამში შუბლისქვემოდან გამოიხედა შეჯგუფებულ გოგო-ბიჭებისკენ. როგორც ვითხარით, მე ცოტა განზე ვიდექი ჩემი ამხანაგებისგან. უცებ მომიჩვენა, რომ მზერა ჩემზე შეაჩერა.

წამიერი თვალის შევლება იყო ალბათ, მაგრამ... მეგონა, უსასრულოდ დიდხანს უცქეროდნენ ერთმანეთს ჩვენი თვალები.

ბიჭმა უცებ ჩაიჩოქა ცალ მუხლზე და... სანდალს დაუწყო სწორება, თან ელვისუსწრაფესი მზერით კვლავ დამცხრილა თავით ფეხებამდე, მერე... უცებვე აიზეზეურა და... თითქოს ნაბიჯის გადმოდგმა დააპირა ჩემსკენ, მაგრამ... ამ დროს გაისმა: – გუჯა, გუჯა... გელოდებით-ო. კვლავ გამსხლტარი მზერა, ჩუმი ღიმილით ანაპერწკლებული ზღვისფერი თვალებიდან ნასროლი ისრები და იგი მსწრაფლ გატრიალდა. მეზღვაურისთვის დამახასიათებელი ტანის ოდნავი რხევით კატარღისკენ გაემართა. წავიდა და... იმ დღიდან თავის თვალების ტყვედ მაქცია... აქამომდე! არა, არ ვაჭარბებ მეგობრებო – სამუდამოდ დამიმონა და დამიმორჩილა-მეთქი ამ ზღვის ტალღასავით მობიბინე ლურჯმა თვალებმა. ასე იყო ეს. მე მაშინ 13 წლის წამოჩიტული გოგონა გახლდით.

ხანგრძლივი პაუზა...

* * *

„დიდხანს იდგა ადგილზე გარინდებული – ვერაფერს ამჩნევდა – არც გარშემო აჟივლებული გოგო-ბიჭების ხმაური ჩაესმოდა – საკუთარ მღუმარებაში ჩაძირულიყო მხოლოდ.“

იღგა ასე გაუნძრევლად და თვალი ვერ მოეშორებინა კატარღისთვის, ზღვის ტალღებს ხმაურით რომ მიაპობდა და რომელიც... თითქოს ისევე უცებ გაუჩინარდა ჰორიზონტს იქით, როგორც გამოჩნდა...

უნგარიშოდ დაიდრა ადგილიდან და... მთვარეულივით გაემართა იმ მიმართულებით, საითაც კატარღა მიეფარა თვალს. ვინმეს რომ ეკითხა ახლა მისთვის – საითკენ გაგიწევიყო, ალბათ ვერაფერს უპასუხებდა.

რა იყო ეს? რამ დაზაფრა ასე ერთბაშად, ასე მოულოდნელად? რატომ დაუარა ამ მზერისგან ტანში ჟრუნტელმა? ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს... ზღვის ლურჯი ტალღა ერთბაშად გადმოიღვარა ამ უცნობი ბიჭის თვალებიდან და ერთბაშადვე რაღაცნაირად უცნაურ, უცხო ჯადოში გაახვია, ან... იქნებ მართლაც ხამანწყასავით მოაქცია გოგო თავის თილისმიან ბადეში?

ეს დაახლოებით ისეთივე შეგრძნება იყო, ზღვის პირველ დანახვაზე რომ განიცადა...

მზერით გახედნილი, მიაბიჯებდა ქვიშიან სანაპიროზე და თვალგამტერებით მისჩერებოდა ზღვის უსაზღვრო სივრცეს და ჩამავალ მზეს – ნარინჯისფერ კვალს რომ ტოვებდა თავის გზასავალზე...

როცა გონს მოეგო და მიიხედ-მოიხედა, კარგა გვარიანად დაშორებოდა იმ ალაგას, კატარღა რომ მოადგა.

თეთრმაქმანიანი ტალღები ჩუმი, ძლივს გასაგონი შრიალით ნაზად, რბილად და ვნებიანად ლოკავდნენ და ესათუთებოდნენ ნაპირს. მზე ნელ-ნელა, თანდათან, მაგრამ გარდაუვალად იძირებოდა დასალიერში ჰა და ჰა, წუთი წუთზე ხელში უნდა შემოკვდომოდა... თითქოს!

და უცებ... მოუნდა, გაზაფხულზე ატმის ტოტივით ერთბაშად აფეთქებული სხეული ამ მოშარიშურე, ნებიერ ტალღებში ჩაენთქა, ეწილადებინა მათთვის თავისი გულის ძლელვარება და აღტკინება, ეწილადებინა ლოცვასავით აღვლენილი უხმო ვედრება და უსასრულობასთან შერწყმის, უკიდევანო, დაუსაბამო სამყაროსთან თანაზიარობის წადილი თუ... ჟინი.

ზღვის მოხასხასე სილურჯეში, მზის ოქროსფერ ათინათში, ვით ჭიაკოკონას კოცონზე – თითქოს იწვოდა და იხრუკებოდა

აფორიაქებული პატარა გოგოს სული – აქამდე არგანცდილი მღელვარებით...

მერე... მოთენთილი, გასაკათებული გაწვა ზღვის ზედაპირზე და ფართოდ გახელილი თვალებით შეაქცერდა გულისწამლებად ლამაზ, ვარსკვლამსხმოიარე ცის უბეს, ზღვის უნაზესი, უფაქიზესი ალერსით და გაუცნობიერებელი მწუხრის სევდით გულდანისლული – ვერ შემცნობელი იმისა, თუ რა ხუნდებს უგებდა სამომავლოდ ბედისწერა მის ბავშვურ, უმანკო გულისთქმას თუ... წადილს!

– ამ დღიდან... ჩემს ცხოვრებას შეიძლება ეწოდოს – უსასრულო ლოდინი, ამ დღიდან დაიწყო ის, რასაც შეხვედრის გამუდმებული ნატვრა ჰქვია.

ერთადერთი, რაც ვიცოდი მის შესახებ იყო ის, რომ მეზღვაური თუ... მეთევზე გახლდათ, და ვიცოდი აგრეთვე მისი სახელი. მეტი – არაფერი.

ამიერიდან ყოველ ზაფხულს ბაბუშარაში ჩასვლის სიხარულს ემატებოდა უცაბელი შეხვედრის მოლოდინიც და სურვილიც.

ვინ იყო? სადაური?..

რომც მეკითხა, ვინ გამცემდა პასუხს, ან... ვისთვის უნდა მეკითხა?

უცაბელი შეხვედრის ნატვრა კი – არა და არ მასვენებდა, მაგრამ... ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ... ბაბუშარაში მისი გზა-კვალი დაიკარგა. ყოველშემთხვევაში, ჩემი იქ ყოფნის დროს, ასე იყო. მას შემდეგ, როგორც ეტყობა, იგი ბაბუშარაში არც გამოჩენილა.

ნუთუ მოლანდება იყო? ნუთუ მართლა მომეჩვენა და მოჩვენებასავით გაქრა... სამუდამოდ?

მაშ, ის თვალები... ის თვალები – რაღა იყო? რატომ არ მასვენებდნენ ისინი? რატომ ვეძებდი მათ განუწყვეტლივ? რატომ მომდევდა სულ რეფრენად: „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას“, ანდა: „შენი თვალების დაღლილი ეშხი, თან გამყვა როგორც ლურჯი ღილილო!“ ღილილოსფერი თვალები... ნუთუ ესეც პოეტური წარმოსახვა იყო მხოლოდ, ანუ აღმაფრენის ნაყოფი?

ღიდი ხნის შემდეგ, უკვე ქმარშვილიანმა გავბედე მეკითხა ბიძაჩემისთვის – ასეთი სახელის მქონე მეზღვაურს თუ მეთევზეს იცნობდი-მეთქი. არაო. ვერ გაიხსენა... ლუდა ბიძიამ.

... ქალბატონი ნინო გაჩუმდა ისევ. იგი გაფართოებული თვალებით სადღაც სივრცეში იყურებოდა. ხმა გაეკმინდათ მეგობრებსაც. არავინ ცდილა შესიტყვებოდა.

ქ-ნმა ნინომ უცებ თავი გააქნია, თითქოს რაღაც ზმანებას თუ ჩვენებას იმორებსო და განაგრძო შეწყვეტილი თხრობა ოღნავ ყრუ, დაბეჭილი ხმით და წყნარი ღიმილით:

– ბებიაჩემის და, ანეტა გესსომებათ ალბათ სუყველას – უაღრესად განათლებული და ენერგიული ანეტა ბებო – შესანიშნავი პედაგოგიც იყო, კონსერვატორიაში ასწავლიდა. ჰოდა, ერთხელ ანეტა ბებომ კატეგორიული ტონით განუცხადა ჩემს მშობლებს – ნინიკომ ფორტეპიანოს კი არა, ვოკალის კლასში უნდა იაროსო – მუსიკალურში სწორედ ფორტეპიანოს კლასში დავდიოდი, მოგეხსენებათ – რადგანო, ნინიკოს საოცარი მეცო-სოპრანო აქვს და მისგან უეჭველად დიდი მომღერალი დადგებაო. გახსოვთ ალბათ ფორტეპიანოდან ვოკალურში როგორ ამოვყავი თავი. არადა, მომღერლის პროფესიაზე არასოდეს მიოცნებია, თუმცა სიმღერა და საერთოდ, მუსიკა, როგორც კლასიკური, ისე ხალხური – ძალიან მიყვარდა. და ვმღეროდი კიდეც, როცა... მემღერებოდა, როცა... ამის სურვილი მქონდა! სხვათა შორის სოფელში ვისწავლე ფანდურსა და გიტარაზეც დაკვრაც, მონაწილეობაც კი მივიღე ერთხელ სოფლის კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის გუნდის მიერ გამართულ კონცერტში, ბაბუშმარაში.

ბიძაჩემი ლუდაც კარგი მომღერალი იყო და ამ ანსამბლის წევრი გახლდათ. დედაც მღეროდა, ბაკურ ბაბუა კი – ჩინებული მობანე იყო, მაგრამ ამ ტრადიციის მიუხედავად, გულში რატომღაც ექიმობა მქონდა ამოჭრილი უჩუმრად. არ ვიცი, რატომ. გვარში არც დედის და არც მამის მხრიდან ექიმი არავინ გვყავდა. ეტყობა, ბავშვობაში ერთხელ ექიმებზე ნანახმა სურათმა იქონია ძლიერი გავლენა, ოღონ ეგ იყო, არავისთან ვამხელდი ჩემს განზრახვას, თქვენც ბაბბურში არ იყავით ამის თაობაზე...

ჰოდა, უცებ აღმოჩნდა, რომ მე... მომღერლის კარიერაზე უნდა გადავრთულიყავი...

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მინდოდა თუ არა, ვოკალისტი გავხდი, ანუ მორჩილად დავყევი უფროსების ნებას.

გენსომებათ ალბათ, ისიც, როგორი მორიდებული ბავშვი ვიყავი. მორცხვი და უენო, თან ისეთი უემოციო ვჩანდი, რომ... ფლეგმატუკი შემარქვით, თუმცა... შინაგანად სულაც არ ვიყავი ასეთი ფლეგმატური.

იქ, ბაბუშარაში ზღვის სიახლოვის და მრავალ სხვა გარემოებათა გამოც – ფრთებს შლიდა ჩემი სული, იქ ბევრად უფრო ლაღად და თავისუფლად ვგრძნობდი თავს, ვიდრე აქ, თბილისში. ეს ერთი იმ გამოცანათაგანია ჩემს ხასიათში, რომელიც ვერც მაშინ და ვერც დღეს ამოვხსენი. მახსოვს, ზოგჯერ ვკინკლაობდით კიდეც ბავშვები, ვებუტებოდით ერთმანეთს, მაგრამ მალევე ვრიგდებოდით...

უნდა გენახათ ჭიაკოკონას დანთების დროს რა ამბავში ვიყავით!.. როგორ ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, აბა, ვინ უფრო მალლა და შორს გადაახტებოდა კოცონს. რა სიცილ-კისკისი გვქონდა, როგორი კიჟინით ვიკლებდით იქაურობას...

მახსოვს, ჩემს თბილისელ ნათესავებს უკვირდათ და შეიძლება გულის სიღრმეში სწყინდათ კიდეც, რომ დედუღეთში ყოფნა ყველაფერს მერჩია, რომ არაფრად დაგიღვედით ე.წ. პრესტიჟულ სანატორიუმებს, იქ დასვენებას...

მათთვის გაუგებარი იყო ეს და... მიუღებელიც, ისევე როგორც დედაჩემი – თავისი მშვენიერებისა და სათნოების მიუხედავად, მაინც ყოველთვის რჩებოდა, კომუნისტების მიერ განადგურებული, დამცირებული და მაინც ე.წ. ელიტარული, არისტოკრატიული წრისთვის – ვიღაც გადმოხვეწილი ლაზის ქალიშვილად, იქნებ... ფარულად მუსულმანიც კი იყო – თითქოს თავად დიდად მორწმუნე ქრისტიანები ყოფილიყვნენ კომუნისტების ხელში! თუმცა... ამაში მაინცდამაინც არ ვადაწმუნებდი მათ – მოგეხსენებათ, დრო იყო ისეთი!.. და მაინც-თქო, დედაჩემი, ციციწო ჯაში – სპეციალობით ბიოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტდამთავრებული, პედაგოგი – მამაჩემის მრავალრიცხოვანი, უაღრესად განათლებული, კულტურული ნათესაობისთვის, ასე ვთქვათ, თბილისური სნობისტური ელიტისთვის, თუ კლანისთვის – ბოლომდე უცხო დარჩა.

მე ამას ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, ცხადია, და შეიძლება ამიტომაც იყო, ჩემს ფარულ პროტესტს ხაზგასმული ბაბუშარელობით გამოვხატავდი.

ასე იყო თუ ისე, შიგნიდან თითქოს გახლეჩილივით ვიყავი, გაორებული, თუმცა... ეს მღვთმარეობა მოგვიანებით გავაცნობიერე, მაშინ კი... მაშინ უკმარისობის განცდა, ზღვის მონატრებით, ბებია და ბაბუასთან, ჩემს ბიძაშვილებთან და საერთოდ, ბაბუშარელებთან ყოფნის სურვილით ცნაურდებოდა და აგრეთვე იმ სიმღერების მოსმენის წყურვილით, ესოდენ დიდი სევდით თუ მეღანქოლით რომ იყვნენ შეფერილნი, და რომელნიც სათავეს უშორეს წარსულში იღებდნენ და... მოედინებოდა და მოედინება დრო-ჟამთან ერთად, როგორც მუდმივი შეხსენება ჩვენი ტომების ბელუკუდმართი ისტორიისა...

კვლავ პაუზა.

– მოკლედ, ანეტა ბებოს რჩევით, კონსერვატორიაში, ვოკალურზე განვაგრძე სწავლა. დიახ, მომღერალი უნდა გამოვსულიყავი და თანაც... დიდი! სახელიანი! კი, ბატონო. რაკი მასე გსურთ – იყოს ეგრე! მორჩილად, თვინიერად ვასრულებდი უფროსების ნება-სურვილს. სკოლაშიც წარჩინებულად უნდა მესწავლა და... მოგეხსენებათ, ვსწავლობდი კიდევ. აკი ოქროს მედალზე დავამთავრე სკოლა. კონსერვატორიაში ხომ, მით უმეტეს, გამორჩეული უნდა ვყოფილიყავი და... დავდიოდი კიდევ დიდი მომავლის მქონე სტუდენტის სტატუსით. ასე და ამგვარად, მორჩილად მივუყვებოდი-მეთქი სახელის მოპოვების იმ გზას, რაც ჩემმა ნათესაობამ დამისახა, დიდი ერთუზიანზმით-თქო, რომ გითხრათ, მართალი არ ვიქნები, მაგრამ... არც თუ მთლად უწადინოდ, ანუ რაკი ასე იყო საჭირო ჩემი მომავლისთვის, მეც კეთილსინდისიერად ვაკეთებდი იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნევდნენ უფროსები, რასაც სავალდებულოდ მისახავდნენ ჩემი ახლობლები. ერთი კია: მერე და მერე, როლებში უკვე ძალდაუტანებლად შევდიოდი, ანუ მრავალსახეობა ადამიანის ბუნებისა, რაღაცნაირად მიზიდავდა და ინტერესს იწვევდა კიდევ ჩემში. სადღაც მსიმღვინებდა, რომ ჩემში თურმე შემოფარებულნი სხვადასხვანაირი პერსონაჟები ასპარეზს ითხოვდნენ თავის გამოსაჩენად... ოღონდ... ჩემი მეობის უმთავრესი როლი – შეუსრულებელი დამრჩა, მაგრამ ამაზე, შემდეგ...

და კიდევ – ერთი, რამ: ნიკუშაც სავალდებულო და აუცილებელი, ასე ვთქვათ, ატრიბუტი იყო ჩემი წარმატებული კარიერისათვის...

ლამაზი, წარმოსადევი ახალგაზრდა, ინტელიგენტი, ჭკვიანი, განათლებული, ნიჭიერი, შესანიშნავი ოჯახის შვილი, რაც მთავარია აგრეთვე – ჩემი უზომო თაყვანისმცემელი იმ დღიდან, რაც სცენაზე ფეხი შევდგი – მეტი რა უნდა მდომოდა? როგორ შეიძლებოდა ასეთ პარტიზაზე უარის თქმა? თბილისში ზომ იმ დროს, ჩემების, განსაკუთრებით კი მაკა და ანეტა ბებიების აზრით, უკეთესი სასიძო არ მოიძებნებოდა!.. ჰოდა, მეც, რასაკვირველია, ანეტა და მაკა ბებიების, მამიდების, ბაბულების თვალთ უნდა მემზირა ნიკუშასათვის და... ასეც მოხდა! ჩემი ნამდვილი მე – არ ჩართულა ამ არჩევანში!

ვასიკო რომ შემეძინა – პაწიას მოვლის პროცედურებისგან, ცხადია, გამათავისუფლეს – მთავარი ჩემთვის სცენა უნდა ყოფილიყო, ანუ ის სახელი, პატივისცემა, ის ოვაციები, რაც ასე ახალგაზრდა ქალს მერგო...

რეპეტიციიდან რეპეტიციამდე თუ მქონდა მცირეოდენი დრო, რომ დამეხელა ჩვილისათვის და რაკი რმეც გამიშრა – უფრო სწორად, ყველაფერი იღონეს ჩემებმა, რომ გამშრობოდა – ძუძუც ვერ ვაწოვე ჩემს პატარას. სამაგიეროდ, იცოცხლეთ – ჩემების გულის გასახარად, ოპერის თეატრი ზანზარებდა ტაშისცემისგან, ყოველ ჩემს გამოსვლაზე... და საერთოდ, იყო დიდი ქება-დიდება გახეთქსა თუ რადიოში, შემდგომ – ტელევიზიაშიც. იყო ჯილდოები, წოდებები და ა.შ. იყო მოსიყვარულე ქმარი, მისი ყურადღება და მზრუნველობა, თაყვანისმცემელთა ჯგრო გარშემო. მოკლედ, იყო პატივი და დიდება და მეც, როგორც ადიდებულ მდინარეში ჩაგდებული ნაფოტი, თვინიერად მიყვებოდი დინებას, საიდანაც დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ამოხვიდოდი, თავს ვერანაირად დააღწევდი! ეს იყო თითქოს წინასწარ დაპროგრამირებული სვლა-გეზი, რომლის შეჩერება შეუძლებელი ჩანდა. ყოველივე ამაში იყო, რასაკვირველია, რაღაც სინხარულიც, კმაყოფილებაც, სიამოვნებაც, ზოგჯერ – პატივმოყვრული განცდებიც – მოგესხენებათ, ფრთიანი ანგელოზი არავინ ვართ, მაგრამ... არასოდეს, ეს შემიძლია ხმამაღლა და გულწრფელად განვაცხადო – არასოდეს მქონია სრული თავდავიწყების გრძნობა, არ მქონია სრული ექსტაზი... არასდროს, გრძნობათა ქარიშხალს, თუ ქარბორბალას არ შეურყევია ჩემი სული და გული...

ჰოო... ერთი რამ კიდევ: ყოველთვის ვცდილობდი არ გავრეულიყავი არანაირ ინტრიგებსა თუ ქიშპობაში, სამწუხაროდ, თეატრის ცხოვრებას რომ მუდამ თან ახლავს ხოლმე. ღვთის წინაშე, არც შური მქონია ვინმესი, არც მით უმეტეს მტრობასიძულვილი. თუმცა... როგორც წელანაც გითხარით, ფრთიან ანგელოზად სულაც არ მიმაჩნია ჩემი თავი...

მოკლედ რომ ვთქვა, ის შინაგანი, სულიერი, იღუმალი არსი ჩემი ბუნებისა – ხორცმეუსხმული დარჩა. და მაინც... რა იყო ის, ფარული გულისნადები თუ ოცნება-სურვილი, რაც ჩემს არსებაში იღო და რაც თან მდევდა უჩუმრად, განუშორებლად მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, ჩემი არსებობის ყოველ ეტაპზე? და რაც მხოლოდ წარმოსახვაში თუ იჩენდა თავს?

წარმოსახვაში კი – სცენაზე იქნებოდა ეს თუ ყოველდღიურობაში... თვალწინ წარმომიდგებოდა ხოლმე – ლაზურ-მეგრული ოდასახლი, კონდრიანი, ფართო ეზოთი და ის – ჩემი კაცი!.. ზღვიდან დაღლილ-დაქანცული რომ ბრუნდებოდა და მე მომქონდა... თბილი წყალი ფეხების დასაბანად, ვუცვლიდი ტანსაცმელს, მოლუღუნე ბუნხართან ტაბლაზე გაწყობილ სადილს თუ ვახშამს მივართმევდი. მერე მეც იქვე, მის მახლობლად ვჯდებოდი სამფეხა სკამზე, ანდა მოჩუქურთმებულ საკარცხლულში. და ... მისი მობიბინე, ლურჯი თვალების სხივებში ვიძირებოდი, უფრო სწორად – ვიკარგებოდი ხოლმე თავფეხიანად.

გარშემო კი მეხვია რვა ბავშვი – ოთხი ბიჭი და ოთხი გოგო, რვავე თეთრები და ოქროსქოჩრიანები. რატომ მაინცდამაინც რვა? და არა ცხრა, ან შვიდი – ეს საკრალური ციფრები? (თუმცა, შემდეგ აღმოვაჩინე, რომ რვაც საკრალური ყოფილა თურმე, – არ ვიცი, ვერ გეტყვით, დღემდე ამოუხსნელია ჩემთვის ეს გამოცანაც. გოგოები, ცხადია, მამას ჰგავდნენ, ბიჭები – მე. საერთოდ კი – ყველანი თვალსაზრტულები იყვნენ, ჯიშინები ისევე, როგორც მე გახლდით ტანლერწამა, მხრებზე გადმოღვრილი თაფლისფერი თმითა და დიდრონი, ჟუჟუნა თვალებით. სახემწყაზარი, ნაზი და რბილი – ზღვის მოალერსე ტალღებივით.

მერე... მერე მე და ჩემი ზღვისფერთვალა კაცი ვსხდებოდით ნავში და... მთვარის თითბრისფერი სხივებით მოთილისმებულ

ზღვაში დავსეირნობდით მანამ, სანამ ვარსკვლავებით მოჭიქულ ცას მტრედისფერი არ დაჰკრავდა... ანდა... გაშლილ, ვრცელ ჭალაში მივაქროლებდით წაბლისფერ რაშებს თუ თეთრონებს და ვეჯობებოდით ერთმანეთს რბოლაში. ზოგჯერ მე ვუსწრებდი ჩემს კაცს და იგი უკან მომდევდა გამალებული, ბოლოს მაინც მეწეოდა, მკლავებს მხვევდა ძლიერად და თავის მერანზე გადამსვამდა ხოლმე და ახლა... ორივენი მივფრინავდით უსაზღვრო სივრცეში, ტრამალებზე – ბედნიერნი, ყელთამდე სავსენი სიხარულით, სიამით, კმაყოფილებით...

ამ თავაწყვეტილ ქროლვაში იყო გაცხადებული ჩვენი სულების სწრაფვა ზენარისკენ, უსასრულობისკენ, ისევე როგორც უსასრულოა და უბოლოო ზღვის ტალღების ლტოლვა ნაპირისკენ...

მერე დაღლილები, მაგრამ ბედნიერები, ვწვებოდით საწოლში, ვკოცნიდით ერთმანეთს თავდავიწყებით, ვნებიანად და... ვიცი, რაზე გელიმებათ ახლა. დიახ. ვკოცნიდით ერთმანეთს მხურვალედ, ნდომით და... ეს იყო და ეს.

ბავშვები როგორღა ჩნდებოდნენო, მკითხავთ უთუოდ და თანაც... ამდენი?... ჩნდებოდნენ და... ჰეი!..

ასაკთან ერთად... კორექტივებიც შემქონდა ამ თითქოსდა სტერეოტიპულ, გამოგონილ სცენარში: უკანა პლანზე ხან დედაჩემის სახე გამოკრთებოდა, ხან მამის და რასაკვირველია, ბაბუაჩემის ბებიასთან ერთად. მაგრამ ეს ასე ვთქვათ, კულისებს მიღმა იყო, უმთავრესი მიზანსცენა, თავის დეკორაციებით და ანტურაჟითურთ – უცვლელი რჩებოდა: მე და ის – ჩემი კაცი! და... ბავშვები, რომელთა ასაკი 5-დან 10 წელს შუა მერყეობდა. სხვათა შორის, პატრიოტული მოვალეობად მიმაჩნდა, ბევრი შვილი მყოლოდა. კი, მასე იყო, ჭეშმარიტად! ჩემო ნატალი, შენ წარმოიდგინე!

დიახ. მე – მეტწილად ბუნართან ახლოს, დათვის ტყავზე ვიჯექი, (რატომ მაინცდამაინც დათვის – არ ვიცი!). გარშემო რვავე ბავშვით გარს შემოხვეული, ჩემი კაცი კი – იქვე, ბუნართან, ფეხი-ფეხზე გადადებული იჯდა და ყალიონს ეწეოდა. მე წიგნს ვუკითხავდი გოგო-ბიჭებს, ან ვუყვებოდი ზღაპრებს ცხრათავიან დევებზე, ოქროსთმიან მხეთუნახავებსა და მხეჭაბუკებზე. რატომღაც სხვა სფეროებში არ გადავდიოდი –

სწორედ ამ კუთხით იყო შემოფარგლული ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა. პროფესიით კი – ცხადია, ექიმში გახლდით ანუ უზენაესისაგან ბოძებული ნიჭის და უნარის წყალობით, სიკვდილის ბრჭყალებიდან უნდა გამოიმეხსნა ადამიანები! დიახ, ეს გახლდათ კეთილშობილური ზრუნვა ადამიანთა მოდგმაზე საერთოდ და, კერძოდ, ჩემს სახლეულობაზე, უწინარესად კი – ჩემს კაცზე!

მთელი ამხნის განმავლობაში გამუდმებით ვგრძნობდი ჩემი კაცის უნაპირო მზერას, თავის თილისმიან ბადეში რომ მხვევდა...

დიახ, ამნაირად და არა სხვაგვარად მქონდა აღბეჭდილი გონების დაფაზე ეს იდილიური სურათი, რომლის უმთავრესი კომპონენტი მაინც ზღვა იყო – ზღვა, ნავი, მე და ის! რასაც ხანდახან ემატებოდა, როგორც წელანაც გითხარით, ცხენებზე ქროლვა... ასეთ დროს ამ ცისქვეშეთში ვიყავით მხოლოდ მე და – ჩემი ლურჯთვალება კაცი!..

წამიერად ჩამოვარდნილ სიჩუმეში ისევ გაისმა ქალბატონ ნინოს მინავლებული ხმა:

– ერთხელ, მახსოვს, მოსკოვში, ქუჩაში თვალი ვკიდე მამაკაცს, იმასავით რომ მიარხვედა ტანს და პროფილშიც მას ჰგავდა თითქოს. გული შემიქანდა. ვერ მოვითმინე, გავუსწარი და მოვუხედე. უსიცოცხლო, თევზის თვალებმა თითქოს ცივი წყალი გადამასხა... ერთხელ კიდევ ერთი მღვდელი მივამსგავსე მას, აღსარებას რომ იღებდა. ახლოს მივედი. ჩუმად შევათვალიერე. ლამაზი თვალები ჰქონდა, ცისფერი, ოღონდ არა – იმისი! მსგავსი ჰალუცინაციები არაერთხელ დამმართნია, მაგრამ... ვერა, მის მსგავს თვალებს ვერასოდეს გადავაწყდი...

ხშირად მიფიქრია; ვინ იყო ის ბოლოსდაბოლოს, რომელსაც ასე გამუდმებით, გაფაციცებით ვეძებდი? თუკი ჩემი სულის მეწყვილე იყო, რატომ ვერასდროს შევხვდი-მეთქი? რატომ დამეკარგა ასე უგზო-უკვლოდ? სად გაუჩინარდა? რატომ ავცდით ერთმანეთს? ან იქნებ... მაშინ რომ შემხვედროდა, შესაძლოა, ამ შეხვედრას სულაც განვეხიბლე, სულაც გაექარწყლებინა ის პირველი შთაბეჭდილება და სრულიად ჩვეულებრივად აღმექვა ყველაფერი, მაგრამ ვფიქრობ, რაკილა არ შედგა ჩვენი პაემანი, ალბათ ამიტომ

ის პირველი განცდა, ის რომანტიკული აღმაფრენა სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს გულში!

ისე, რას წარმოიდგენდა ის ზღვისფერთვალება ბიჭი, რომ... სადღაც არსებობდა ქალი, დღემუდამ მასთან რომ იყო თავის გამოგონილ სამყაროში? რომ... მისი მეტრეფე იყო? მისი ნანდაური? ის „ჩოლკიანი“ ბიჭი განა იფიქრებდა ოდესმე, რომ ასე, ერთი თვალის შეველებით, სამუდამოდ დაუღალა გული ერთ პატარა, ცქნაფა გოგოს? ან... იქნებ თვითონაც მეძებდა... თავის გულში-თქო? ვინ იცის!..

და აი, ერთხელაც...

– ნინიკო, არ გადამრიო ახლა, ნუთუ შეხვდი? – მეგობრის მოუთმენლობაზე ქალბატონ ნინოს ნაღვლიანად ჩაელიმა და:

– ჰო, შეხვდი, ნატა, წარმოიდგინე... ათეული წლის შემდეგ... სრულიად მოულოდნელად...

– სად? თბილისში, თუ?

– ბათუმში. 88 წლის სექტემბერი იყო, რაღაც დიდი საზეიმო კონცერტი იმართებოდა, სადაც მეც ვიყავი მიწვეული. გახსოვთ ალბათ იმ დროისთვის მე თითქმის არ გამოვდიოდი სცენაზე. მაგრამ ბათუმელებმა გამიხსენეს – ეს ქალაქი ყოველთვის განსაკუთრებულად მიყვარდა ზღვის და თავისი თბილი ადამიანების გამო...

კონცერტის შემდეგ ერთი-ორი დღე დავრჩი ბათუმში, რომ ზღვის ყურებით დავმტკბარიყავი. ჩემთან ერთად იყო ჩვენი გრიმიორი ქალბატონი ანიკო ზამბახიძე, თქვენც იცნობდით მას. შესანიშნავი ადამიანი იყო. არეულობის წლებში გარდაიცვალა...

ჰოდა, ერთ მშვენიერ საღამოს სანაპიროს ერთ-ერთ ფეშენებელურ კაფეში შევედით, ვახშმის შემდეგ ის იყო ყავის სმას შევეუდექით, რომ... კაფეში რამდენიმე მაღალჩინოსანი მეზღვაური შემოვიდა, თან ერთი მანდილოსანი ახლდათ, მგონი, უცხოელი ქალბატონი.

უცებ... გულმა რეჩხი მიყო: ერთი მათგანი კაპიტნის ფორმაში გამოწყობილი, ჭალარა, საოცრად სიმპათიური, ტანმალალი მამაკაცი იმას – ჩემს კაცს მივამსგავსე! აღრინდელი ჩემი მოლანდებები, როგორც ვითხარით, ყოველთვის ფიასკოთი მთავრდებოდა. ახლა კი...

ყავის ფინჯანი ხელში გამიშეშდა. გავქეკავდი. ისინი ჩვენგან მოშორებით მიუსხდნენ მაგიდას ზმამალალი ლაპარაკითა და სიცილ-ხორხოცით.

ის იყო, ნამდვილად — ის! ჩემი ნაოცნებარი, ესოდენ ნანინანატ-რი კაცი! მისი ღიმილი, მისი თვალები! არა, ამჯერად გუმანი არ მატყუებდა! ღმერთო, შენ მიშველე!

გახვეებულს, გულში მუდარით აღმომხდა: „მოიხედე! მოიხედე!“ თითქოს ჩაესმას ჩემი მოწოდება-ვედრება, ნახევრად ზურგმე-ქცევით მჯდარმა კაპიტანმა, ანაზღეულად თავი მოაბრუნა ჩვენ-სკენ, ჩვენი მაგიდისკენ.

უცებ... ღიმილი შეაცვივდა ბაგეზე. სახეზე გაოცება გამოეხატა. მერე... მარდად წამოიჭრა და ჩვენსკენ გამოემართა. თვალმოუ-შორებლივ შევცქეროდი სახეში — სახტად დარჩენილი.

მოვიდა ჩვენს მაგიდასთან, თავაზიანად თავი დაგვიკრა:

— ქალბატონო ნინო?... როგორი სიურპრიზია! — მერე დაიხარა, ჩემს მარცხენა ხელს დაწვდა, უღონოდ რომ მესვენა მაგიდაზე, ტუჩებთან მიიტანა, თან სახეში მიცქეროდა უცნაურად დაჟინებუ-ლი, მახვილი მზერით: — მე... თქვენი დიდი ხნის თაყვანისმცემელი გახლავართ!.. თქვენი... არც ერთი კონცერტი თუ სპექტაკლი არ გამომიტოვებია ლენინგრადში, როცა იქ ვიყავი... ერთხელ... ბედმა გამიღიმა და... მოსკოვშიც დავესწარი თქვენს გამოსვლას... — შე-ჩერდა. თითქოს სულს ითქვამსო.

— ნუთუ?... დიდად სასიამოვნოა... — როგორც იქნა, ძლივს ამოვღერლე ნაწვალები ღიმილით.

„ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო. ისაა!.. ის თვალები, ისევ ისეთი მზერა!.. გაცხადებული, ხილული... მოჩვენება!“

— თქვენთან მოსვლა ვერასოდეს გავბედე... და აი, განგებამ სად შემახვედრა თქვენი თავი!

— თქვენ... გუჯა ბრძანდებით, არა? — დაცდა უნებურად ჩემს ბაგე-პირს და... შევცბუნდი — როგორ გავთქვი ჩემი თავი ასეთ-ქო.

ახლა მისი ჯერი იყო განცვიფრების. თვალები ლამის შუბლზე აუცვივდა. ენა ჩაუვარდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩვენი მეტყველი დუმილი.

— თქვენ... თქვენ საიდან იცით ჩემი სახელი? — ბოლოს ძლივს ამოთქვა ჩამწყდარი ხმით და... ანაზღად ცარიელი სკამი გამოსწია, ახლოს მომიჯდა, ისე ახლოს, რომ თითქმის ერთმანეთს ეხებოდნენ ჩვენი მუხლები.

უზარმაზარი ძალისხმევით თავი ხელში ავიყვანე და შევეცადე ჩემი ღიმილისთვის იღუმალემა მიმენიჭებინა.

– ვიცი... – მრავალმნიშვნელოვნად წარმოვთქვი და შეშფოთება და სულის წრიალი რომ დამემალა, ყავის ფინჯანს დავწვდი ისევ. „ღმერთო ჩემო... აზრზე არ არის!“...

– ნუთუ... შევხვედრივართ ერთმანეთს?!

– დიახ.

– სად, როდის?!

ვცდილობდი შემენარჩუნებინა ბოლომდე ორჭოფული ღიმილი და დამემალა ლიბრგადაკრული თვალები. ოღონდ... არ ვიცი, ვახერხებდი კი ამას?

– დიახ. შევხვედრივართ. ოღონდ... დიდი ხნის წინ.

– სად? როდის?!

ზვავივით ვიყავი წალეკილი ამ მოულოდნელი, უცაბელი შეხვედრით, რომელსაც... ასე ვნატრობდი ჯერ კიდევ ყმაწვილქალობიდან და რომელზეც ათასგვარ ოცნების კოშკებს ვაგებდი!...

და აი, ამდენი ხნის შემდეგ ბედის ირონიით უკვე ასაკოვანი ქალი ვხვდები ამ ნაოცნებარ თვალებს! ქვეცნობიერად მთრგუნავდა ის აზრიც, თუ რა დაბერებულად გამოვიყურებოდი ახლა ამ საოცრად შენახული, მოხდენილი მამაკაცის თვალში... თუმცა... ის აღტაცებაც და დაუფარავი სიხარულით აკიაფებული მისი თვალები, ჩემი დანახვით გამოწვეული – სადღაც მალამოსავით მელებოდა გულზე...

ყოველივე ამის მიუხედავად, ვცდილობდი გამეწელა დრო და არ დამესახელებინა ჩვენი შეხვედრის ადგილი, რადგან უნებურად, ქვეშეცნეულად მწყინდა, რომ მან ვერ გამიხსენა, უფრო სწორად ვერ იცნო ის პატარა გოგონა, ზღვის ნაპირზე თვალის წამიერი შევლებით რომ საბუდამოდ დაატყვევა. თუმცა... ღმერთო ჩემო! რატომ უნდა ეცნო ამ ასაკოვან დედაკაცში ის კაფანდარა გოგო, და ის წამიერი შეფეთება მონუსხული თვალებისა?

– ჩემო ნინუცა, შენ ყოველთვის შენ ასაკზე უფრო პატარად გამოიყურებოდი, ახლაც წიწკვივით ხარ, მერწმუნე...

ქალბატონმა ნინომ ამ ალაღად ნათქვამ მეგობრის კომპლიმენტზე ირონიულად ჩაიღიმა და არაფერი უპასუხია, ეტყობა, თავის სულის

იდუმალ ხმას უფრო მიუგდებდა ახლა ყურს. მერე თვალმინაბულმა განაგრძო:

– მე ჩუმად ვიყავი და ქვეშ-ქვეშად გავცქეროდი აწრიალებულ მამაკაცს, რომელიც არც მალავდა თავის მოუთმენლობას. როცა კვლავ გამიმეორა შეკითხვა, მე ხაზგასმული უდარდელი კილოთი დაემარცვლე:

– ბაბუშარა თუ... გავივით?

– ბაბუშარა? – რატომღაც ხმა ჩაუწყდა გუჯას და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად დახარა თვალები, მზერა განზე გაუსხლტა.

– ბაბუშარა? – გაიმეორა ისევ ფიქრიანად, მერე... გაყურდა.

– ეს დიდი ხნის წინ იყო... – გავიცინე ვითომ უზრუნველი სიცილით და... უცებ ჩავუმეგრულე: – ო, ძალიან დიდი ხნის წინ, მე მაშინ ძალიან პატარა გოგო ვიყავი...

მყისვე კისერი ააღერა. კვლავ მომაცქერდა მღუარა მზერით:

– მეგრული? თქვენ? საიდან, ქალბატონო ნინო?

ისევ გავიცინე მოჩვენებითი უდარდელი სიცილით, ცოტა ირონიულადაც კი.

– მე ნახევრად ბაბუშარელი ვარ. დედა იქაური მყავდა.

ანაზღეულად წამოვიმართე: – ანიკო, ჩვენი წასვლის დროა! – ვთქვი და თვალით ძებნა დავუწყე მიმტანს. იგი მსწრაფლ ამესვეტა. გუჯამ მას წამუყო და მიმტანიც ისევე უცებ გაქრა.. როგორც გამოჩნდა, მე მადლობის თქმაღა დამჩინოდა: – კარგად იყავით, – გუჯა ბატონო! სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა!

– ჩემთვისაც... ქალბატონო ნინო, ჩემთვისაც დიდად სასიამოვნო იყო! – წამიერი ყოყმანი და მერე მორიდებული, თავაზიანი კილოთი მომმართა: – ქალბატონო ნინო, იქნებ გადმობრძანდეთ თქვენ და თქვენი მეგობარი ჩვენთან... ჩვენს მაგიდასთან. ეს დიდი პატივი იქნება ჩემთვის და ჩემი სტუმრებისთვისაც... ქალბატონო ნინო, იქნებ, დაგვლოთ პატივი... და...

„დაგვლოთ პატივი!“ ჰმ... გავუტრიზავე უნებურად გუნებაში ჩუმი ღიმილით: „საიდან... ასეთი ქართული?.. მთელი ცხოვრება რუსეთში აქვს გატარებული!“

მე თავაზიანად განვუცხადე უარი და გასასვლელისკენ გავემართე. მივდიოდი და ჩემი მეორე მე უანგარიშოდ აღნუსხავდა სიტუაციას, რომელშიც აღმოვჩნდი: თვალუბრაყვებიანი ანიკო, ერთი მხრივ, მეორე მხრივ: მაგიდასთან მსხდარი ადამიანების ცნობისმოყვარე, გაკვირვებული თვალები, რომლებიც აზრზე ვერ მოსულიყვნენ, რა ხდებოდა. და... ჩემი კაპიტნის დაბნეული სახე და აწრიალებული მზერა.

...გარეთ, კიბესთან უცებ მკითხა: რომელ სასტუმროში ვიყავით განჩრებული. მე დავუსახელე. მერე ცერემონიულად დავემშვიდობეთ ერთმანეთს... და... ლუქსში რომ შევედი, სავარძელში ეგრევე მოწყვეტით ჩავეშვი. დაძაბულ-დაჭიმული ძარღვები თითქოს მომიდუნდა.

ვიჯექი მოშვებული, დაცარიელებული და აზრის ნაფლეთიც კი არ ტრიალებდა თავში.

სრული სიცარიელე. სრული მდუმარება.

ანიკოს ხმის ამოღება ვერ გაებდა. მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ მოღლილი ხმით ვთხოვე, დაწოლილიყო და მარტო დავეტოვებინე...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი ასე გაუნძრევლად. უფიქროდ და უაზრო თვალებით მივჩერებოდი მკრთალ შუქს, აივნიდან რომ შემოდისოდა.

ტელეფონის ზარის ხმამ გამომაფხიზლა, გამომიყვანა გარინდებიდან: მაშინვე მივხვდი – ის იქნებოდა.

– ხომ არ გაგაღვიძეთ, ქალბატონო ნინო?... – ბოდიშები მიხადა, – ჩემი სტუმრების გადაძვირე, უფრო ადრე ვერ შეგეხმინეთო. რაღაცნაირი, სხვანაირი მეჩვენა მისი ხმა. რაღაც იყო მასში ისეთი, რაც ჩემს დადარაჯებულ სმენას გულისხმაში აგებდა. და ამ იწილო-ბიწილოს, თითქოს არაფრის მთქმელ ფრაზებს – ქვეტექსტებით ავსებდა. და უცებ: – თქვენ იმ დღეს... ბაბუშარაში... თეთრკოპლებიანი ლურჯი კაბა გეცვათ და... ფეხშიშველი იყავით. ორი გრძელი ნაწნავი გეყარათ მხრებზე.

ტანში დამზრინა. გავოგნდი. გავშტერდი. იმ დღეს მართლაც თეთრკოპლებიანი ლურჯი კაბა მეცვა. მართლა ფეხშიშველა ვიყავი. მაშ ხსომებია?!

ღმერთო ჩემო, ხსომებია!

წარმოუდგენელია, შეუძლებელია. თუმცა...

– მერე... არ შევხვედრივართ ერთმანეთს, რადგან...

– რადგან?

– რომც შევხვედროდით... თქვენ სხვა სამყაროდან იყავით... მე ერთი უბრალო მეზღვაური გახლდით, ახალ ჯარგამოვლილი, რომელიც... სეზონურ სამუშაოზე მოეწყო... რათა... ლენინგრადის საზღვაოსნო აკადემიაში ჩაებარებინა...

სიჩუმე ჩამოვარდა ხანგრძლივი, დამუხტული სიჩუმე. ეს ისეთი სიჩუმეა, როცა დუმილი უფრო მეტს მეტყველებს, ვიდრე – სიტყვები...

– ჰოო... მეც ხომ ერთი მეტიჩარა, ცოტა კუდაბზიკა, ცოტა დიდგულა თბილისელი გოგო ვიყავი... ხომ მართალია?

მან უსიტყვოდ ჩაიცინა.

– ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ იქაურებს თბილისელებზე... ვიცი!

– თქვენი კონცერტების შემდეგ, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერასოდეს მოვედი თქვენთან... ჩემი ალტაცების გამოსახატავად! თუნდაც... ავტოგრაფისთვის... – ისევ სიჩუმე.

– ხვალ დილაუთენია კი – ჩემი გემი გადის პორტიდან და... „ხვალ მეც მივდივარ აქედან. და ისევ ისე იყრება ჩვენი გზები, როგორც მაშინ, ახლა უკვე სამუდამოდ!“ – გამიელვა თავში.

– თბილისში თუ მოვხვდი შეიძლება... დაგირეკოთ?

– რასაკვირველია. ჩვენ ხომ... ძველი ნაცნობები ვართ, გუჯა! – საკმაოდ ხელოვნურად გავიცინე. მერე... ტელეფონის ნომერი მივეცი და... გვარი ვკითხე. დარასელია აღმოჩნდა, ფოქვეშიდან.

– თბილისში თუ იმ დროს აღმოჩნდით, ჩემი ბიჭვის ქორწილი რომ იქნება... აუცილებლად დაგპატიჟებთ... (ისე, ვითომ სასხვათაშორისოდ, ვთქვი).

– დიდი მადლობა... ქალბატონო ნინო. მეც უკვე საკმაოდ მოზრდილი ორი შვილიშვილი მყავს. ჩემი გოგო ადრე გათხოვდა და... „შესაძლოა ჩვენი შვილიშვილები მაინც შეხვდნენ ერთმანეთს“.

მერე... მართლაც დამირეკა თბილისში, მაგრამ... უკვე ისეთი არეული დრო იყო, წესიერად ვერც ველაპარაკე, თავადაც ალელვებული ჩანდა მაქაური ამბებით... მერე გავიგე, „ბოევიკები“

შეგარდნით სახლში და... დაუცხრილავთ ყველანი!..

ნინო ისევ ისე დადუმდა.

– დიახ... ასე ტრავიკულად დაამთავრა სიცოცხლე გუჯა დარასელიამ!..

ისევ ხანგრძლივი პაუზა:

– ასე დასრულდა, გოგობო, ჩემი მარადიული ტრფობის ისტორიაც... შეიძლება ბევრს სენტიმენტალური მოეჩვენოს იგი, – საშინელი დასასრულის მიუხედავად... ზოგს მელოდრამატულიც... არ გამიკვირდება. ჩვენს პრაგმატულ, ტექნოკრატულ საუკუნეში მოგეხსენებათ, რომანტიზმი მიუღებელი, დაუშვებელი რამაა!..

და იცით, მეგობრებო, კიდევ რაა საინტერესო?... დღემდე, დიახ დღემდე ვერ გამირკვევია, რომელი იყო ნამდვილი: ის, რასაც გამოგონილი თუ წარმოსახვითი სამყარო ჰქვია, თუ... ის, რაც გამოვიარე რეალობაში? ახლა, ამჟამად ხომ ორივე წარსულშია? და ორივე მხოლოდ ჩემი ხსოვნის დაფაზეა, ასე ვთქვათ, შემორჩენილი! ჭეშმარიტი რომელი იყო-მეთქი? – ვეკითხები ჩემს თავს დროდადრო ან... რატომ ვიქეცი ამ მარადიული ტრფობის მძევლად?

არ ვიცი და საერთოდ – რაა ნამდვილობა ბოლოს და ბოლოს? და... რას მალავს ჩვენი სულის ენიგმა? – ისევ დუმილი და შემდეგ:

– ახლა ხომ რეალობაა ჩემთვის, სიღუხჭირეში რომ ვცხოვრობთ სუყველანი და... ჩემი „დამსახურების“ მიუხედავად, 14 ლარიანი პენსიით უნდა ვიარსებო თურმე და რომ არა ვასიკოს დანმარება, შიმშილით ამომხდებოდა ალბათ სული!.. ზოგჯერ პირში ლუკმა არ გადამდის, რადგან ვიცი – ჩემს გვერდით ცხოვრობს ოჯახი, რომელსაც თავისი ხუთი შვილისთვის პურის ფული არ გააჩნია...

ხომ რეალობაა ისიც, რომ სიკვდილის კარიბჭეს ნელ-ნელა, მაგრამ გარდაუვლად ვუახლოვდები?... აი, დავეყრებ ჩემი ხელის მტევნებს და... ცხადად ვხედავ, როგორ ჭკნება იგი თანდათან, დღითი-დღე...

დადგება ჟამი და... მიწა დაეყრება, მიწა შეჭამს ამ ხელებს და... განქარდება ყველაფერი – გამოგონილიც თუ რეალურიც – თავის აწმყოიან-წარსულიანად, მაგრამ... საოცარი ისაა, რომ

ამ ხრწნად, ბებერ სხეულში და მოღლილ სულში ისევ – ისევ ზის ის ციციქნა გოგოცუნა, ერთობ ამაღლებულ, ზესთაზენურ სიყვარულზე რომ ოცნებობდა, ოცნებობდა არაჩვეულებრივ, მზიურ, ხილულ თუ არახილულ სამყაროზე... სინამდვილეში კი მგონი სუროგატი ერგო. – სუროგატი ცხოვრებისა, ჭეშმარიტი გრძნობისა, განცდისა... და... დარჩა მოუხელთებელი, წარმტაც ოცნებათა ლაჟვარდები, ოცნება და... უსიერი, სულიერი მარტოობა!..

და რაც ყველაზე მწარე და აუტანელია – სათაყვანებელი სამშობლოს სანაცვლოდ – ასე ვთქვათ – ხელში შეძრწა მტრებისგან შემოფტქვნილ-შემომარცვლი, აგრეთვე დაძაბუნებულ-დაბეჩავებული, გაყვლეფილ-გალატაკებული, გაყიდულ-გასხვისებული საკუთარი უძლები შევილებისგან – გადელღებული მამრებით თუ გამამღებული მღედრებით სავსე – ერთმანეთის უზომო მოძულეობით დასახლებული, რჩეულ მოყმეთა სასაკლაოდ ქცეული – სამყოფელი! დიახ. სამყოფელი და არა – მამული! – ისევ გრძელი პაუზა და:

– თქვენ იცით, ამ არეულობის დაწყებამდე ნიკუშამ ჩემი რჩევით, გულრიფშში პატარა აგარაკი რომ შეიძინა, სადაც... არ დაგვცალდა ცხოვრება – იგი ისევე დაიკარგა, როგორც მთელი ის მხარე. როგორც ჩემი ბაბუშარა და პრინციპში – ბევრი სხვა რამეც. ბაბუა ბაკურის წინაპრებიც თავის დროზე იძულებული გახდნენ გამოქცეულიყვნენ თავიანთი მშობლიური ადგილებიდან. მათი შთამომავალნიც ღვენილი შეიქნენ საკუთარ ქვეყანაში და არავინ უწყის – სადაა ჩვენი ბოლო პოლიგონი? – ნინომ სწრაფად გადაიწერა პირფვარი და დადუმდა. მცირე ხნის შემდეგ ისევ წამოიწყო მინავლებული ხმით:

– რად გვერგო ასეთი ბედი? ან იქნებ ის წარსულიც მხოლოდ გამოგონილი სამყაროა – ჩემი ზმანების არ იყოს და... სინამდვილეში არც არსებულა ოდესმე?

ძალიან ხშირად, ამ ბოლო დროს ვესაუბრები ხოლმე ნიკუშას აჩრდილს, სახლში რომ უჩუმრად დაბორიალობს, ვესაუბრები როგორც ცოცხალს – ათას რამეზე, ათას საჭირბოროტო პრობლემაზე... ნიკუშამ ხომ სინამდვილეში ვერ გადაიტანა აფხაზეთის ტრაგედია... თურმე გულში როგორ განიცდიდა ეს უთქმელი

კაცი, როგორ იტანჯებოდა? ხშირად ველაპარაკები-მეთქი მარტოდ დარჩენილი, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს...

განა არ მიყვარდა? მაგრამ...ის, ის ვინ იყო — ის უცნობი ლურჯთვალება ბიჭი, ძველი ფრესკებიდან გადმოსულ რაინდს რომ მაგონებდა? ზმანება თუ სინამდვილე? ამოუცნობი, ამოუხსნელი, ბედისწერისეული — ჩემი მარადისად მწყურვალი, მარადისად მეტრფე სულის იდუმალი ძახილი? ის, ვისთანაც გამუდმებით ვლა-ლატობდი ნიკუშას, თუ... რასაკვირველია, ღალატი ეთქმის იმას, რასაც ვგრძნობდი, რასაც განვიცდიდი „ჩემი“ კაცის მიმართ?.. — ქალბატონი ნინო ისევ გაჩუმა. დუმდნენ მისი მეგობრებიც, თავ-ჩაქინდრულნი, ფიქრებდანისლულნი, გულღამძიმებულნი.

ნინოც ნაგვემი სახით და მორღვეული თვალებით გალურსულ-ლიყო. მერე ეტყობა ისევ აიძულა საკუთარი თავი და განაგრძო: — ხშირად ვესაუბრები აგრეთვე უდროოდ წასულ ჩემს მეგობრებს, ბებია-ბაბუას, ჩემს მშობლებს, აფხაზეთში დაღუპულ ჩემს ახლობლებს და საერთოდ ყველას, მიღმიერ სამყაროში გადასულებს — ყველას, ვინც მიყვარდა, ვისაც ვუყვარდი!

სად წავიდნენ? სად გაქრნენ? რისთვის შევიყვარე, თუკი დავკარგავდი სამუდამოდ? რატომ დამიტოვეს მონატრების მძაფრი სურვილი?..

ნუთუ მარტო ჩემს გულს თუ ხსოვნას შემორჩა მათი ხატება? არადა, ხომ ზიდავს მათაც ცხოვრების ჭაპანი?ან... იყვნენ კი სინამდვილეში, თუ... ისინიც ჩემი ფანტაზიის ნაყოფია? ანდა... ჩემი ნათამაშევი როლებია? ნუთუ... მოჩვენებითია და სიზმარია ირგვლივეთი ან ყოველივე ის, რაც ვნახე, რაც მახსოვს? და რაც დღემდე გაუნელებელი გრძნობით მიფორიაქებს სულს? „აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს?.. ძველ ოცნებებზე რომელი არ სწუხს?.. ვწუხვარ, ვეძახი ჩემს სიყმაწვილეს, მაგრამ... არავინ იძლევა პასუხს!..“ „ჯვარს ეცვი თუ გინდა, სამეველი არ არის! არ არის! არ არის!“ — ისევ გრძელი პაუზა.

— არ ვიცი. არაფერი არ ვიცი-მეთქი...იქნებ მართლა პატრიარქალური სულის, თუ არქაული ცნობიერების მატარებელი აღმოჩნდა ჩემი ბუნება? იქნებ... რაღაც მითოსური სამყაროს ნასხ-

ლეტი ვარ... ამ ჩარჩ-შეკახშურ მსოფლიოში? სული, რომელიც ვერა და ვერ ეგუება დღევანდელ ყოფიერებას – ეგრეთ წოდებული წარმატებული კარიერის მიუხედავად!

მაგრამ ხომ რეალობაა ისიც, რომ ამ სიბერის ჟამს არ მელ-ირსა ცხოვრება იქ, ჩემს ზღვისპირეთში, ჩემს ბაბუშმარაში... რომ... ვერ დავიმარხები ჩემი წინაპრების გვერდით, სანაპიროს ბორცვზე, ზღვის სიახლოვეს... რომ არ დამეყრება იქაური მიწა... რომ ახლა, ამ წუთას მიუსაფარი ვარ სულით, ხორციტ? უძწეო და უსუსური და საწყალობელი?

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უცებ გაისმა ქალბატონ ნატალიას ნაღვლიანი, ყრუ ხმით ნათქვამი სიტყვები: – ეჰ, ჩემო ნინიკო საყვარელო, რა მნიშვნელობა აქვს, სად დავიმარხებით? სად შეგვჭამს მიწა?... ეს ცერემონიები – ყველაფერი რაღაც პირობითობა მგონია... რადგან 30 წლის შემდეგ ჩემი საფლავიც ისე გაქრება, როგორც... ჩემი შორეული წინაპრების. მიწა შეიწოვს ყოველივეს. ასე რომ, მიწა ვართ და მიწად მივიქცევით... ფუჭი და ამოებაა ცხოვრება! წილადობილას თამაშია იგი! იწილო-ბიწილო, შრომანო, გვრიტინო... ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება!

– ეჰ, ასეა ეს! სად გაექცევი სინამდვილეს?

– მაგრამ იგივე გალაკტიონმა არ თქვა განა, სასოწარკვეთას არ მისცე თავიო... ესეც არ იყოს, ჩვენი ქრისტიანული რწმენის მიხედვით...

– იქნებ... მართლაც ყველაზე ნაღვლიანი, თავადის ქალი მაიასავით, ზღვის ტალღებში გაუჩინარდე, ვიდრე... მიწა დაგეყაროს? – არ აცლიდნენ ლაპარაკს ერთმანეთს ქალები.

– ან იქნებ... კრემაციაც არ იყოს ურიგო?

– აჰ, არა. ოღონდ... დაწვა – არა!..

– ისე, რა მნიშვნელობა აქვს-დაწვავენ თუ... მიწაში ჩაგვლავენ?

– კარგი ერთი, ნატალი! ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ – ბოლოს და ბოლოს!

მობილური ტელეფონის ხმამ დავა შეაწყვეტინა მეტიხმეტად აღზნებულ ქალებს.

– ჰო, შვილო. მე ვარ, შემოგველე!.. მადლობელი ვარ, ჩემო საყვარელო. კი. ტელეფონი გამორთული მქონდა მთელი დღე.

ახლახან ჩავრთე... კი. ჩემს გოგოებთან ვარ, დედა გენაცვალოს. ვქეიფობთ ამ უგაზობაში, უშუქობაში... ძველებურად – ყოველ-შემთხვევაში – ვცდილობთ! (ჩემი ვასიკოა, მოკითხვას გითვლით სუყველას) – ჩემი გოგოებიც მოგიკითხავენ სიყვარულით. გეცინება ხომ, გოგოებს რომ ვამბობ? რას შვრები შვილო? როგორა ხარ, დედა შემოგვევლოს! რაო, რაო, ჩვენებური კერძები მოგენატრა, ჩემი გაკეთებული საცივი? ღომიც? შებოლილი ყველით? ხაჭაპურიც? ჰა, ჰა, ჰა... შენ შემოგვევლოს დედაშენი: ხვანჭკარაც მოგენატრა, შვილო, ქინძმარაულიც – ქალბატონი ნინო წამდაუწუმ იცინოდა გაბრწყინებული სახით: – მერედა, ვერ ასწავლი, შვილო, ლუსის კერძების ჩვენებურად მომზადებას? არ გამოხდის, არა ჩემნაირად? შენ შემოგვევლოს დედაშენი. ლუსი? თენკიუ ვერი მაჩ, მაი დარლინგ... იეზ, იეზ... აჩი? ნინიკო?... იეზ, იეზ...

გატრუნული ისხდნენ ქალები და თვალმოუშორებლად შეჰყურებდნენ მეგობარს, წამდაუწუმ რომ ეცვლებოდა სახის გამოძეგვვლება – და ბოლოს, საუბრის დამთავრების შემდეგ გულჩაწყვეტილი ხმით ნათქვამი: – ჩემმა შვილიშვილებმა ქართული არ იციან... არც რძალმა! ვასიკომ ვერ ასწავლა (პაუზა). ვერ მოიცალა ეტყობა საამისოდ (პაუზა). ფულის კეთებას თუ... შოვნას ბევრი დრო სჭირდება, ეტყობა... /პაუზა/...

იცით, ვასიკოც ვერ მიგებს, რატომ არ გადავდივარ მასთან საცხოვრებლად!.. ისევე, როგორც ჩემ ამერიკელ მძახლებს უკვირთ, რატომ მეპატიჟება ასე დაჟინებით ჩემი შვილი!.. რატომ არ ვრჩები იქ, ასევე დაჟინებული თხოვნის მიუხედავად!

ხომ საინტერესოა, არა? იქ მიღებული არაა მშობლებთან ერთად ცხოვრება... უკვირთ, რომ ჩვენებურებს დედ-მამა, და-ძმა და საერთოდ, ნათესაობა რომ ჩაჰყავთ ამერიკაში... ვერ აუხსნიათ ეს ფენომენი!.. ისევე, როგორც მშობლების სადღეგრძელო უცხოა მათთვის... მაგრამ როგორ უხარიათ ხოლმე, როცა ამ სადღეგრძელოს ისმენენ.

– ისე, შენს ადგილზე, მე წავიდოდი... და იქ დავრჩებოდი კიდევ საერთოდ!.. ნუ გაიკვირვებ... ნორმალურ ადამიანს ამ დაქცეულ ქვეყანაში რომ არ ეცხოვრება, ხომ ცხადზე უცხადესია... მამასადაძე...

– მეც გავიქცეოდი აქედან, ამ გიჟების სამყოფელოდან, ცოტა საშუალება რომ მქონდეს და ცოტა ახალგაზრდა რომ ვიყო...

– აკი, ახალგაზრდები მასობრივ გარბიან კიდეც, ჩემო ეკუშ! ჩათვალე რომ, დიდი უმეტესობა არ დაბრუნდება საქართველოში, ანუ ისინი დაკარგულები არიან ჩვენი ქვეყნისათვის!

„ჩემი ვასიკოც, მათ შორის“.

მართლაც, მალე ალბათ სულ დაცარიელდება საქართველო ქართველებისაგან. ამას ოდესმე წარმოვიდგენდით?

– მე კი – არსადაც არ ვაპირებ აქედან წასვლას, რომც შემეხვეწონ!

– შეგეხვეწებიან არა, კალთებს დაგაგლეჯენ, ხომ იცი!.. ჯერ ერთი, ვის რად უნდა შენისთანა გადაღრჯუებული დედაბერი და... ისიც მათხოვარი?.. თავისიც ჰყოფნით!

– იცინეთ, იცინეთ... მაგრამ... ავია თუ კარგია, ეს ჩემი სამშობლოა მაინც... როგორც დედას ვერ გამოიცვლი, ისე სამშობლოს!..

– მაშ, „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედო“, არა, ჩემო საყვარელო ეკუნა?

– დიასაც!.. სხვათა შორის, აქ უნდა იბრძოლო იმისთვის, რომ ქვეყანა უკეთესი გახდეს!

– აუჰ, ამას უყურეთ... რა მაგარი ვინმეა!.. კი მარა... რისი მებრძოლი ხარ, შენ, შე კუნა ბებრუხანავ,? – ნატალიმ საერთო სიცილ-ხარხარში, სხვა უცნებურ სეიტყვაც მოაყოლა თავის ნათქვამს.

– ასეა თუ ისეა, მე ვერსად გავძლებ სხვაგან-მეთქი – თბილისის გარდა! და საერთოდ, – უსაქართველოდ! მორჩა და გათავდა! მომკალით ახლა თუ გინდათ!

– მეც. მეც... თბილისის და საერთოდ, საქართველოს გარეშე არ შემიძლია სხვაგან ცხოვრება!! მიმიფურთხებია მათი მადლარი ცხოვრებისათვის! სულიერებისაგან დაცლილი ყოფიერებისათვის!

ამ ჩარჩულ-მეგახშურ გარემოცვაში – ძალადობის, მრუშობის და სიძვის მოძალების ჟამს – მენატრება რაინდული კეთილშობილება! დიას, ამ სანჩო-პანსების და სექსუალური მანიაკების ეპოქაში მენატრება, ჩემი დონ-კიხოტი – ეს უკეთილშობილესი არსება! დიას, დიას, მენატრება დონ-კიხოტი და არა ვთქვათ, ფულის ტომარა ანუ ე.წ. ახალი ქართველი – თავის კაპიტალიანად!

– ანუ: ვივა რომანტიზმს, ძირს – პრაგმატიზმი, არა?

– ღიხაც. თქვენი ირონიის მიუხედავად – გაუმარჯოს ჭემმარიტ სიყვარულს და რაინდობას ამ ქვეყნიერებაზე და მის მედროშეს – იდალგო – ღონ-კიხოტ ლამანჩელის სახით – ჩვენს ნინიკოს!

ნინო ჩუმად, გაუნძრევლად იჯდა და თითქოს განრინებოდა თავის მეგობრებს, რომელთა სმებიც ახლა შორეულ ზუზუნად თუ ჩაესმოდა.

– ქალებო, უოლ-სტიტზე, ამ თანამედროვე ბაბილონში, ცათამბჯენების ხეივანში რომ აღმოვჩნდი პირველად, ასე მეგონა – ქინძისთავივით ჩავიკარგე თივის ზვინში-თქო.

– მართალი ხარ, ეთო! ეს ცათამბჯენი კი არ გამაღლებს სულიერად, როგორც ვთქვათ, პირამიდები, ან ჩვენი კავკასიონის მწვერვალები, არამედ, პირიქით... გორგუნავს. პიროვნებად კი არ გრძნობ თავს, როგორი რეგალიებიც უნდა გამშვენებდეს, თითქოს მართლა ჭია-ღუა ხარ, რაღაც მოლასლასე ლანდი თუ აჩრდილი მოზიმზიმე ჯგროში, ყოვლად გამოუსადეგარი სულიერი არსება ხარ, უმწეო და უსუსური...

– ის ცათამბჯენები ე.წ. უბრალო, მდაბიო ხალხისთვისაა განკუთვნილი, მათი თავშესაფარია! თავად ძლიერნი კი ამა ქვეყნისანი – მაგნატები ანუ ფულიანი ტომრები კოტეჯებს, რანჩოებს ირჩევენ თურმე საცხოვრებლად, რასაკვირველია, სრა-სასახლეებთან ერთად. ძველი რომის მსგავსად, თანამედროვე პლებეები და პატრიციები თანასწორობის თამაშს თამაშობენ. სინამდვილეში კი – საზღვარი არა აქვს მომხვეჭელობას, ლტოლვას შოვნისაკენ, შეძენისაკენ, ანუ ვინც მეტ დოვლათს და ფულს დაისაკუთრებს – ისაა ქვეყნიერების გამგებელი!

– ეჰ, რას იზამ. ასეთი ყოფილა ადამიანის ბუნება, „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელიო...“

– სხვათა შორის, რუსთაველის შთამომავალმაც თავის წინაპრებზე არანაკლებად იცოდა ეს ჭემმარიტება. „ვინ არის იგი ვის თვის გულ ერთხელ ალევსოს და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?..“

– მაგრამ იგივე ბართაშვილმა ესეც ხომ თქვა: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიანო...“

– კარგით ერთი. ადამიანს მართლა მხოლოდ მიწა აძლობს, სხვა დანარჩენი – ზიზილ-პიპილოა!

ქალები თანდათან უფრო და უფრო ცხარობდნენ. მათი ხმამაღალი დავა-კამათი უკვე დასაშვებ ზღვარს სცილდებოდა, თუმცა ნინო კვლავ გატრუნულიყო, თითქოს არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა. აქაურობას დაშორებული მისი ფიქრი და გონება წარმოუდგენელი სისწრაფით დაქროდა წარმოსახვით სამყაროში და ასეთივე სისწრაფით იცხრილებოდა და ქრებოდა მისი შინაგანი მზერის ქვეშ.

„რისთვის მოველ? რა რჩება ჩემგან? რას ვტოვებ? პრინციპში შვილიც დაკარგე... ვტოვებ ეფემერულ სახელს, რომელიც უკვე დღეს არავის ახსოვს.. არავის ჭირდება! ნუთუ მართლა ფუჭია ადამიანის მთელი ცხოვრება?“

ბურანში ჩაძირული მისი გონება უთავბოლოდ, არეულ-დარეულად, ფრაგმენტულად აღიქვამდა გარდასულ დრო-ჟამს, ჩავლილ წლებს, თვალისწამში ბალახივით გათიბულს – უხილავი მთიბავის მიერ, წლებს, ასე მირაჟივით რომ გამქრალიყო თვალსა და ხელს შუა, ნისლსა და ქარში რომ ჩანთქმულიყო დროის კორიანტელში, ცხოვრების მორეკში...

ნუთუ მართლა ილუზორული მოლანდება აღმოჩნდა ყოველივე, რაც თავს გადახდა? მაგრამ... მაშინ ეს უსაშველო ტკივილი რადაა, გულს რომ ასე კუმშავს და წურავს?.. ხომ რეალობაა დაწყლულებულ სულში ჩადვრილი უჩინარი ცრემლების ნაკადულიც?..

საინტერესოა, რატომ არ ძალუძს მასაც ერთი ტრივიალური, უცხოური სერიალის კინოგმირივით თქვას: მე მივალწიე ცხოვრებაში ყველაფერს, რასაც ვნატრობდი და ამიტომ შემიძლია სიკვდილს მშვიდად შევეგებო!..

ნინო უცებ შეტოკდა, გვერდზე გადაიხარა და ნატალიას მიუბრუნდა:

– მაშ, ჩემო ნატალი, შენი აზრით, სულერთია, სად დაიმარხები? სად დაგაყრიან გულზე მიწას? ხომ? – წამით ისევ გაიღურსა და მერე: – იქნებ მართლაც ყველაფერს სჯობია, ზღვის ტალღებმა

ჩაგინვიოს? იცით, მე მიფიქრია ამაზე... ამ ბოლო ხანს მაინც, განსაკუთრებით... – უცებ სწრაფად გადაისახა პირფარა: „ღმერთო, შემინდვენ!“ მერე კარგა ხანს იჯდა შეურხეველად, ხმაგაკმენდილი.

მერე თავი მალლა ასწია, წელში გაიმართა და... მოგუდული ხმით სიმღერა წამოიწყო...

ყველანი გაინახნენ. თითქოს სუნთქვაც კი შეწყვიტეს.

„ჰერო ბიჭებო, ჰერო, არ გავახართ მტერიო...“ – ნინო თანდათან ხმას უწევდა... სახე შთაგონებული გაუხდა. თვალები ძველებურად აუბზინვარდა.

ცრემლომრეულნი, აღტაცებული სახეებით უსმენდნენ ქალები ამ გულშიჩამწვდომ, სევდიან მელოდიას, ასეთი შთაგონებითა და გზნებით რომ მღეროდა ახლა მათი მეგობარი, ადრინდელი სილალე, მოხდენილობა რომ დაბრუნებოდა თითქოს და ამაყად ყელმოღერებულს – მზერა სადღაც, უსაზღვროებისათვის მიეშტერებინა, იქით, ჰორიზონტს იქითკენ, სადღაც ცისფერ ბლონდში გახვეული ლივლივა ზღვა ილანდებოდა.

მღეროდა თუ... გოდებდა?

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა!“ – გაისმა ბოლო აკორდად სამარისებულ სიჩუმეში, ოთახში რომ დასადგურებულიყო.

შეურხეველად მსხლარი ქალები ჯერაც გონს ვერ მოსულიყვნენ განცდისაგან, თუმცა სიმღერა უკვე კაი ხნის დამთავრებული იყო. გაყრჩეულნი, თავიანთ ფიქრებს მისცემოდნენ – თითქოს მართლა ჩამოიარაო სიჩუმის ანგელოზმა.

ნინო ანახლად მაგიდაზე დაემხო და... ყრუდ აქვითინდა. სლუკუნის შუალედებში იგი ერთსა და იმავეს იმეორებდა: – მე... ბედნიერი ქალი ვარ, გოგობო, ბედნიერი ქალი ვარ! ჩემო ძვირფასებო! ჩემო საყვარლებო!

მერე... ერთბაშად დადუმდა. შეწყდა მისი მხრების თახთახიც.

ენაჩავარდნილი, შეცბუნებული, გაოგნებული ქალები მსწრაფლ გამოფხიზლდნენ.

ქალბატონ ნინოს გვერდით მჯდომმა ეკატერინემ მორიდებით შეახო ბეჭზე ხელი. რაღაც უნდოდა ეთქვა, რაღაც სანუგეშო... მაგრამ... ხმა არ ამოსდიოდა ყელიდან...

– ნინო!

ნინო ღუძღა.

– ნინუცა!.. ნინიკო!– ახლა ყველანი წამოცვივდნენ ადგილებიდან, შეშფოთებულნი მივარდნენ მეგობარს, მკლავზე რომ ჩამოელო თავი და... არ იძვროდა.

ნინო აღარ სუნთქავდა.

„ძილი-ნახელ“ ქცისოვნენი

ნამდვილი ამბავი

სქელი, ძველისძველი ფოლიანტი ნელა დახურა. მერე სათვალე აუჩქარებლად მოიხსნა და წიგნზე ფრთხილად დადო. გაირინდა.

„დიდება შენდა უფალო!.. თუ ვცოდავ... თუ ვდრტვინავ... მომიტევე, შემიდვენ... მაგრამ ამდენი? ამდენჯერ? ასეთი?

რა უსაშველო, რა უსასრულო და... უნუგემო გზა გოლგოთისა გვერგო წილად ამ მხოლოდ დამხვდურად მებრძოლ ხალხს!

ღრო-ჟამის ამ სისხლიან სრბოლაში აქა-იქ თუა ხანმოკლე გამონათებები – სასწაულებრივი, თვალისმომჭრელი სიკაშკაშე – მყისვე რომ ქრება და... მერე ისევ ისე დგება უკუნი. ბნელი. არა და აღარ უჩანს დასასრული ტანჯვა-ვაებას, ურვას, სულთქმას, სისხლის წვიმებს...

„ქართლის ცხოვრების“ ყოველ წაკითხვაზე ემართებოდა ასე – სასოწარკვეთილს, გულგასენილს წამიერად თითქოს ეთიშებოდა გონება და წკვარამსა და ღურღემელში ჩაძირულს – მღვრიე, უქმური აზრები იპყრობდა, ტვინს უბურღავდა, დაურიდებლად, ულმობლად უფლეთდა გულ-ღვიძლს.

ამ შავეთიდან გამოსვლა კი უჭირდა, ერთობ უჭირდა. ისევ ლოცვები და... ცრემლები შველოდა. ცრემლები, ახლაც დაუკითხვად, თავისთავად რომ მოედინებოდა მის დამჭკნარ-დაღარულ ლოყებზე და წკაპა-წკუპით რომ ეცემოდა ბებრულად დაფორაჯებულ და დაძარღვულ ხელის მტევნებზე.

წამოიკრიფა. წელის და მუხლების ტკივილმა უნებურად სახე დაუდმიჭა. ერთხანს იდგა ასე გაშეშებული. მერე წელში მოკაკეული, სარკმლისკენ წაფრატუნდა. ეზოში გადაიხედა დათაღხული თვალებით.

გვიანი შემოდგომის უღიმღამო, ნაცრისფერი დღე იყო. ნისლით დაძენილი, ჩამოქუფრული ციდან ნემსებივით წვრილი წვიმა ირიბად ცრიდა. თითქოსდა ჩონჩხებად ქცეული, უშნოდ გაფარჩხული ხეხილის ხეები, დამტკნარი, შემპალი ფოთლები ჯერაც რომ შერჩნოდათ – წვერწამახულ კვიპაროსებთან ერთად ბალის გარშემო ჩარიგებულიყო და სვედიან განწყობილებას კიდევ უფრო ამძაფრებდა.

მართლაც მკვდრული მდუმარება დასადგურებულიყო ირგვლივ, თითქოს სიცოცხლის ნიშან-წყალი მართლა სამუდამოდ გამქრალიყო ამ ცისქვეშეთიდან.

„ზამთარი მოდის... დაიწყება აწი გაუთავებელი წვიმები, ცივი ქარები, წუნწკლიანი ამინდები, ნოტიო და ნესტი...“

მერამდენია ეს ზამთარი, ნეტა?.. ეგებ... უკანასკნელია?.. ეგება... დარეკა უკვე მწუხრის ჟამმა?..

ვინ იცის, ვინ იცის...

ყველაფერი უფლის ნებაა!.. ისე კი – დროა, დროა უკვე!..“

ილუმენიამ უეცრად თავის სარკმელთან ახლოს, შიშველი ვაშლის ტოტზე ჩამოიჯდარ, აბუზულ ბელურას ჰკიდა თვალი – ჩიტი ყვინთავდა და... უმოწყალოდ ილუმპებოდა.

ჰოი, შე საბრალო ჩიტუნავ, რატომ იწუწები აგრე? რად არ გაფრინდები სადმე? თავშესაფარს რისთვის არ ეძებ?

ერთი ბეწო, ფრთებში თავჩარგული, უმწეო ფრინველი შეურხეველად იჯდა და... საგულდაგულოდ სველდებოდა!

ჩიტო, ჩიტო ჩიორაო!..

„გადია, რატო უგდებდა ჩიორა თავის ბარტყებს იმ ბოროტ, საძაგელ მელაკუდას?“

„ეშინოდა, შვილო, და... იმიტომ!“

„რატო ეშინოდა, გადია?“

„ცუღს მოვიტან ცუნცულასა... ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენ შვილსაცაო... რა უნდა ექნა, აპა, საწყალ

ჩიორას? იძულებული შეიქნა... სხვა გზა არ ჰქონდა...“

„რატო არ ჰქონდა სხვა გზა?.. იმ წუწკმა და ოხერმა ძელიამ ხომ სამივე შვილი გადაუსანსლა?.. რატო ვერ უშველა?.. რატო?“

„რატო... რატო... რა შემიწვრილე, ბოშო, გული?.. რატო და... იმიტომ! სხვა გამოსავალი არ ჰქონდა-თქვა გეუბნები და... გეიგონე!“

„რატო არ ჰქონდა სხვა გამოსავალი-თქვა, გაღია?“

... ცულის მოვიტან, ცუნცულასა...

ჩიტო, ჩიორავ, გაფრინდი... პაწაწუნავ!.. თავს უშველე, ნუ ახანებ! თორე... გაითომები, შე საცოდავო!“

ბელურა უწინდებურად დასკუპებულიყო გაჩხინკულ, ტიტლიკანა რტოზე და... ადგილს არ იცვლიდა!

ილუმენიას შეაჟრჟოლა. თითქოს მის სხეულში იდგა ეს უსიამოვნო ამინდი...

უფრო მჭიდროდ მოიხვია თავშალი ბეჭებზე და კვლავ მიაშტერდა ჩაჟამებულ სივრცეს.

... ოჰ!.. რამ გაანათა ნეტავი ერთბაშად ეს ნისლით ჩამობურუსებული ირგვლივეთი?.. ეს გადახუნებულ-გაბურძმნული სველი მინდორი?

ვინ, ვინ მოაგელვებს, ნეტა, თეთრ რაშს ამ მყისიერად ამწვანებულ-აბიბინებულ მდელოზე? მზის ბარჩხალა სხივებით ანაზდეულად გაბრდღვიალებულ ეზო-ყურეში?

მხედარი სარკმელს მოაწყდა.

აცემციმებული, სხივოსანი, ბუდეშურა თვალები... კრიალა, ნათელი ღიმილი...

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..“

– რისთვის მოხვედი?.. ვინ გიხმო?..

– ნუთუ... ეს შენა ხარ, ქეთევან ჩემო?.. რას დამსგავსებულხარ, ბეჩა? ნუთუ... დრო-ჟამმა დაგამახინჯა და... დაგაჩიავა ასე?

– ჰოო... წლების სიმრავლემ დამიძაბუნა ხორცი!..

– კი მარა, რა უნდა ამ დაჩაჩანაკებულ, დაუძღურებულ სხეულში... სულს?.. რად არ ტოვებს ამ უგვან ჭურჭელს?.. რად არ მიაშურებს ზეცის ლაჟვარდებს? რა დარჩენია ამ ბინძურ, ცოდვილიან სააქაოში?

მხედარმა მოულოდნელად ხმამაღლა, გულიანად გადაიკისკისა. ხორბლისფერი, ხშირი თმა ყაბალახიდან უეცრად მხრებზე გადმოელვარა ტალღებივით. მერე უნაგირზე აიწვართა და:

– შემომხედე! კარგად შემომხედე!.. მე... არ შევცვლილვარ! მე – არ ვსდევ ჟამთა ცვლას!.. მე – იგივე ვარ, რაც ვიყავი!.. და... აგრე დავრჩები მარადჟამს! – თქვა თუ არა, თავი უკან გადაიგდო, კვლავ გადაიტკარცალა ხალისიანად, ცოტა არ იყოს, ნიშნის მოგებითაც, მერე ყალყზე შემდგარი ცხენი შეატრიალა და... წამისწამში გაქრა თვალსაწიერიდან, თითქოს მსუბუქ ნისლში განიმქრა ერთბაშად.

ილუმენიამ თვალელები მოიფშვინტა.

ნუთუ?

ნუთუ თავისი ყმაწვილქალობა მოელანდა?

მერედა, ასე ცხადლივ? ასე აშკარად?

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!..

უფერული ტუჩები მწარე ღიმილმა დაუგრიხა...

ისევ ისე მიაჩერდა დაჟინებით მონასტრის ეზო-ბაღს, მერე ბელურაზე გადაიტანა კვლავ მზერა.

თავფეხიანად გალუმბული, აძაგბაგებული ჩიტი კვლავ გაუნძრევლად იჯდა. თითქოს დაკოსებულიყო შიშველ ტოტზე და მედგრად უმკლავდებოდა ავდარს!

რტოებზე მძივივით ასხმული წვიმის მომსხო წვეთები კი დრო და დრო ძირს ცვიოდა და ჰაერში უკვალოდ იფანტებოდა...

წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ!

საოცარია! რატომ მიუშვერია თავი ჩიორას აბეზარი წვიმისთვის? რად არ გაეცლება ამ ქარაშოტს და სიცივეს, ძვალ-რბილში რომ ატანს?

რას ელოდება ნეტა ეს ბეჩავი? ვის ან რას უჯიუტდება თუ ეურჩება ასე თავგამეტებით?

... ილუმენიამ თავის დალეულ მკერდქვეშ დაღლილ-დაქანცული ჩიტის გულისფეთქვა მკაფიოდ შეიგრძნო ანაზდეულად. ამქვეყნიური, უღმობელი, ბედისწერისეული სისასტიკით ამაო არსებობის წუთებს თუ ითვლიდა იგი?

უეცრად...

ბელურა შეტოკდა. ერთი შეიფრთხილა, თითქოს წვიმის წვეთებს იშორებდნენ, და... ძირს წამოვიდა ქვასავით.

„აუჰ!.. ღმერთო ჩემო!“

იქ შიგნით, სულის სიღრმეში თითქოს ვიღაცამ თუ რაღაცამ წამოიკვივლა უნებლიეთ.

ოჰ, შე საბრალო ჩიტო ჩიორავ! ნუთუ, ნუთუ გული გაგისკდა? ვეღარ გაუძეულ, ბეჩავო?..

მოვიდა განა შენი აღსასრულის ჟამი?

მოვიდა და დამთავრდა, დამთავრდა შენთვის ყველაფერი?

ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...

ცულს მოვიტან, ცუნცულასა...

... კარზე ფრთხილი კაკუნი მოესმა. ახალგაზრდა მონაზონმა შემოიხედა და მოკრძალებით მოახსენა, თქვენთან სტუმარია მოსულიო.

– სტუმარი?!

„ვინ უნდა იყოს?“

– ვინაობა ხომ არ უთქვამს, შვილო?

– არა, დედაო. მოხუცი ვაჟბატონი ბრძანდება...

– შემოვიდეს, სთხოვე...

მაგიდასთან მიბრუნება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და სარკმელთან შეჩერებულმა, შემოსასვლელს მიაპყრო დანისლული მხერა.

ვინ უნდა ყოფილიყო? ვინ უნდა სწვეოდა მონასტერში ასეთ დროს ილუმენიას, თითქმის გაწყვეტილი რომ ჰქონდა კავშირი გარე-სამყაროსთან?

მცირე ხნის შემდეგ კარი გაიღო და მსცოვანი თავადი ქუდმოხდილი სენაკში შემოვიდა. ჯერ მიიხედ-მოიხედა და სარკმელთან მდგარი ილუმენია რომ დაინახა, თითქოს შეეყვინდა წამით, მერე... პირდაპირ მისკენ გამოსწია მძიმე ნაბიჯებით, გულში ქუდჩახუტებულმა.

ილუმენიას წამით თითქოს რეტი დაესხა. ქუთუთოები დაუმძიმდა, სუნთქვა შეეკრა.

მოულოდნელად... ბერიკაცს ახოვანი, თმახუჭუჭა, პირმშვენიერი ჭაბუკი აეფარა – იგი ფართო ღიმილით, დინჯად, ნელ-ნელა

უახლოვდებოდა შემცბარ, სულთქმაშეკრულ ილუმენიას.

ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!..

ნუთუ?!

ოჰ, ეს... თეთრი, თეთრი კბილები... და...

„შავი გული?!“

უცებ ახალგაზრდა კაცი მუხლებზე დაეცა და...

ილუმენიას თვალწინ ელვისუსწრაფესად გაირბინა წარსულის სურათებმა, წამიერად გაცოცხლდა თითქოს მინავლულ-მიჩქმალული აჩრდილები გარდასული დროისა.

* * *

ინათა თუ არა, უხმაუროდ, სწრაფად ჩაიცვა, მძინარე მოახლეებს ფეხაკრეფით აუარა გვერდი და გალავნის ქონგურს მიაშურა.

მთელი ღამე არ უძინია. წინა დღის გამარჯვების სიხარულს შერთვოდა რალაცნაირი, გაუცნობიერებელი შფოთი და წუხილი. წრიალებდა. ვერ ისვენებდა და აი, დგას ახლა ჭოგრიტმომარჯვებული და ყურადღებით ათვალთვლებს მოწინააღმდეგის ადგილ-სამყოფელს: პატარა, დანგრეული ციხე-სიმაგრიდან მოშორებით ველზე გაშლილი ბანაკი არსად ჩანდა.

– ეტყობა, მაგრად არიან შეფუცხუნებული, ქალბატონო ქეთევან!.. დილა მშვიდობის! – მიესალმა ზურგსუკან მდგარი მამაკაცი ოდნავ ჩახლეჩილი ხმით.

„აჰა, ამასაც არ სძინებია!“

არ მოუხედავს, არც გაკვირვება გამოუხატავს მისი ასეთი მოულოდნელი გამოცხადებით, ისე გაეპასუხა:

– მშვიდობა მოგცეს უფალმა!.. საეჭვოდ მეჩვენება მე ასეთი გაუჩინარება. შენ რას იტყვი, ჩემო ბასილიკა?

– ჯერ კიდევ ალბათ გონსმოსულები ვერ არიან გუშინდელი დამარცხების გამო, ქალბატონო ქეთევან! ჭრილობებს თუ იშუშებენ ახლო-მანლო ხევ-ხუვში, – დაცინვა გაისმა მამაკაცის ხმაში. მერე რამდენჯერმე ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა.

– რუსები არ ვიცი, მარა ჩემი მაზლისწული არა მგონია ასე ადვილად შეეგუოს ამ მარცხს... რაიმე ხრიკს მოისაზრებდნენ

უთუოდ. – ქალი თითქოს ფიქრშიაო, ხმადაბლა, თავისთვის ბუტბუტებდა და თან ჭოგრიტს არ იშორებდა თვალებიდან, ისევე ისე დაჟინებით გაანგრძობდა გარემოს ზვერვას: – საკვირველია, სად უნდა გამქრალიყვნენ? ცამ უყო პირი თუ... მიწამ ჩაყლაპა?

– გრივოლ ბატონი, რასაკვირველია, იოლად ვერ მონიელებს გუშინდელ სიმწარეს. აპა, თქვენ თვითონ განსაჯეთ: მათმა ნასროლმა ვერც ერთმა ყუმბარამ მიზანს ვერ მიაღწია, ყველა ჰაერში გასკტა. ერთი-ორი ქე მოხვდა თითქოს გალავანს, მარა რა მერე? დოუშავდა ამით ციხეს რაიმე? ეგ ხომ „მოდი ნახეა“, ჩემო ბატონო!.. ჰოდა, წვეიდენ ახლა ბატონ ტორმასოვთან და საცა თავისი დეიკეხონ, იქ ჩვენცა თქვან!

– ეგენი წამსვლელებს არა ჰგვანან, ჩემო ბასილიკა! – ქალი კვლავ განაგრძობდა გულისყურით არემარის თვალიერებას.

– არ წავლენ და... თავ-ბედს ვაწყველინებთ! არც ისეთი ყარამან ყანთელები ბრძანდებიან, ქე რო ჰგონიათ თავისი თავი. აქანა, ამ ჩვენს მიწა-წყალზე არ უნდა გაჭაჭანდეს რუსის ჯარი და... ვერც ვერავისი, ჩემო ბატონო! მაგენს ისიც ეყოფათ, რაც ქართლ-კახეთს დამართეს. ჩვენში, იმერეთში ეგენი კინჩხს და კისერს მეიტეხავენ, სოლომონ მეფე და ქაიხოსრო ბატონი გვიცოცხლოს ოლონდ ღმერთმა!

– შენს პირს შაქარი, ჩემო ბასილიკა, შენს პირს შაქარი! მარა... ხომ იცი, მუხამ რა თქვა: ცული მე რას დამაკლებდა, ჩემი ჯიშის რომ არ ერიოს შიგო...

„ეჰ, ურიცხვი მტერი მართლაც ვერას გვიზამდა, ისევე ჩვენი ჯილაგისანი რომ არ მოუძღვებოდნენ წინ!“

ქალმა წამით იყუჩა, მერე სევდანარევი ხმით განაგრძო: – ჩვენში ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდებოდა, ჩემო ბასილიკა! მაგი შენც იცი, ყოლიფერი შენი თვალთ გაქვს ნანახი და გადატანილი...

– ეჰ, ჩემო, ქეთევან ბატონო, ნეტაი არ მენახა!.. რო გამახსენდება, გული მიკვტება... რაფერ გმირულათ იბრძოდა იმ სულკურთხეული ერეკლეს ჯარი!.. რა სასწაული მოახთინეს დავით ბატონიშვილის მეზარბაზნეებმა!.. რა ვეფხვებივით ბიჭები იყვნენ და... რა ახლოს იყო გამარჯვება ურჯულოებზე, მარა... შავმა ღალატმა

შავი დღე გაგვიტენა... წყალში ჩეიყარა ყოლისფერი... პირველათ მაშინ ვნახე ცრემლი ქაიხოსრო ბატონის თვალებში...

„მაშინ მეფესთან და ქაიხოსროსთან ერთად, ერთ ბანაკში იბრძოდა ზურაბ წერეთელიც!“

– ბრძავ, რას ჩივიო და... ორთავ თვალის ჩინსაო. მეც ამას ვჩივი, ჩემო ბასილიკა! სხვას, უცხო ტომელს - ვითომ მოკეთეს - სინამდვილეში კი უბოროტეს მტერს - რა უნდა მოჰკითხო, როცა ხშირად საკუთარი შვილების გაუტანლობაც და მუხანათობაც არანაკლებ აქცევს ხოლმე ქვეყანას.

– მარა ჭკუა ხომ უნდა ვისწავლოთ ოდესმე, ქალბატონო ქეთევან?.. მე ასე მგონია, არ გოუვათ აწი ჩვენს მტრებს - რჯულისიანებს თუ ურჯულოებს - უწინდელი ხრიკები. ასე მითქვამს მე გული, ასე მჯერა...

– ღმერთმა გისმინოს, ჩემო ბასილიკა, ღმერთმა გისმინოს! – ამოიხვრით თქვა ქეთევანმა, მერე ჭოგრიტი მოიშორა თვალებიდან და გვერდულად გამოხედა მისგან საპატიო მანძილზე მდგარ მეციხოვნეს, მოწიწებით, თავდახრით რომ ესიტყვებოდა ქალს.

„ეჰ, ვის სად უგანებს წუთისოფელი, ღმერთმა თუ უწყის!“

ბასილიკამ ისევ წამოიწყო:

– ეხლა ვნატრობ, მაშინდელი ჯანი და ღონე მომცა-თქვა. გული ქე მერჩის ისევ ძველებურათ, კიდო შემიძლია გავუმკლავდე მტრებს, კიდო შემიძლია ჩვენი მეფის, ბატონი ქაიხოსროს და თქვენი სამსახური-თქვა... მარა...

– ღმერთმა შეგაძლებინოს, ჩემო ბასილიკა!..

„და, ღმერთმა უმრავლოს ჩვენს ბედკრულ სამშობლოს შენისთანა ერთგული შვილები!“

– ისე, – ყოყმანის შემდეგ განაგრძო ქალბატონმა ქეთევანმა:

– ისე, სიბერე მართლა ცუდი რამე ყოფილა, ბასილიკა ჩემო!.. მართლაც, ყველა ჭირზე უფრო დიდი ჭირია თურმე ეს ოხერტიალი. მეც აგერ 46 წლისა ვხდები, დავბერდი უკვე, თუმცა შენი არ იყოს, გულს მაინც არ ვიტყვ, არ გავახარებ ჩვენს მტრებს სიძაბუნით-თქვა, მარა...

– აჰა, აჰა, აჰა! რა დროს თქვენი სიბერეა, ქალბატონო ქეთევან. მაგი არ თქვათ, თქვენი ჭირიმე! რასაც მე გუშინ ვუყურე!..

თქვენი ნასროლი ყუმბარები... სასწაული იყო პირდაპირ, სასწაული - თქვენს მზეს ვფიცავარ!

მეციხოვნის ხმაში ისეთი გულწრფელი აღტაცება ისმოდა, რომ ქეთევანს უნებურად გაეღიმა: – მე მგონი, არც შენ შეგირცხვენია თავი, ჩემო ბასილიკა!.. სიმართლე თუ გინდა, შენმა სიმარჯვემ გამაბედინა მეც...

– აპა, პა, პა! რას ბრძანებთ, ქალბატონო ქეთევან, თქვენი ცხენზე ჯირითი, თქვენი თოფ-იარაღის ხმარება მთელ სააბაშიძეოსა და საწერეთლოშია განთქმული, თქვენს ნადირობასაც შევსწრებივარ, მარა... ზარბაზანი?..

– ჰო, ბასილიკა, ცხენზე გამახსენდა, – შეაწყვეტინა ქალმა შინაყმას ხოტბა-ღიდება: – ცხენები თუა მიხედილი კარგათ?

– აპა არა!.. ჯავრი ნუ გაქვთ, ქალბატონო ქეთევან! ერთი თვის სამყოფი თივა მოვიმარაგეთ. პური, ღვინო, – ბლომად გვაქვს. თქვენ არხეინად იყავით. წყალიც საკმარისზე მეტი ღვაგროვეთ! ასე რომ...

– კაია! ბიჭები არ უნდა დაიმშენ. ახალგაზრდები არიან, ხო იცი! ჰოდა, ჯანი სჭირდებათ. ომი სახუმარო საქმე არაა! „ჩემი პაპუნა, ვინ იცის, რაფერ არის ახლა იქ!.. მოუკვლეს დედა!“

– რასაკვირველია, ქალბატონო, რასაკვირველია. თქვენ ნუ შიშობთ. ყოლიფერი ისე იქნება, რაფერადაც თქვენ გაგიზარდებთ და ბატონ ქაიხოსროს!.. მაგ ღურბინდს თუ მათხოვებთ პატარა ხანს? გედვიხედავ მეც ერთი... მართლა მოუსავლეთში ხომ არ გადეიკარქენ ჩვენი „ძვირფასი სტუმრები“? ეგებადა, ჩვენი დანმარება სჭირდებათ? ვინ იცის... – ჩაიქირქილა მეციხოვნემ და ხელები მოიფშვინტა. ქალბატონმა ისე მიაწოდა ჭოგრიტი ბასილიკას, რომ თავად ციხე-სიმაგრის გალაენიდან გადაშლილი სივრცისთვის მზერა არ მოუცილებია.

სექტემბრის მშვენიერი დღილა თენდებოდა. ოღნავ ქარვისფერ-შეპარებული გორაკები და ველ-მინდვრები ჯერაც მწვანედ ხასხასებდნენ. შორს, ხელმარცხნივ მოჩანდა ლილისფერ ნისლში ამოვლებული ლიხის მთები, ხელმარჯვნივ კი კავკასიონის გოლიათი, ლურჯი მთაგრეხილები ზვიადად გაწოლილიყვნენ და თითქოს თვლემდნენ. ჰაერი სუფთა და გამჭვირვალე იყო.

ისეთი სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა გარშემო, თითქოს ძეხორციელს არასოდეს დაერღვიოს აქ ეს ღვთიური გარინდება.

მზე ოქროს ჯიდად მორგებოდა მთის თხემს და მის სხივებში ცურავდა თითქოს მთელი არე-მარე. ამ წარმტაც სურათის ხილვა ადამიანის თვალს ატკობდა და გულს სიამით ავსებდა.

ორივენი – ქალი და კაცი – ერთი, დიდი ქალბატონი, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის სარდლის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე ქეთევან აბაშიძე და „მოდი-ნახეს“ მეციხოვნე ბასილიკა ღონდაძე „მონუსხულნი შესცქეროდნენ კავკასიონის ლილო-ჭრელოს და ისე ჩანთქმულიყვნენ თავიანთ განცდებში, რომ ხმაურმა, უცებ რომ გაისმა, წამით ორივე დააბნია. მერე გაოცებით და შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს. ყუმბარის ბათქაბუთქის ხმა ისევ განმეორდა.

გონსმოსულებმა საჩქაროდ ჩაირბინეს კიბის საფეხურები.

ციხე-სიმაგრის ეზოში რიგ-რიგობით ჩაცვენილი ყუმბარები ხმაურით სკდებოდა.

მეციხოვნენი ეზოში გამოცვენილიყვნენ ყვირილით და უთავბოლოდ დარბოდნენ აქეთ-იქით.

ქეთევანმა და ბასილიკამ სწრაფად იაზრეს, რაც მოხდა. ჩანდა, სიმონოვიჩის და გრიგოლ წერეთლის ჯვარს მთელი ღამე ევლო, „მოდი-ნახეს“ ციხეს აღმოსავლეთიდან მოსდგომოდა და ახლა მოპირდაპირე, თითქმის თანასწორ სიმაღლეზე მდგარ „თოღადის ციხიდან“ უშენდა ყუმბარებს.

– ბასილიკა! სწრაფად შეაბრუნე ზარბაზნები „თოღადის ციხისკენ!“ – დაუყვირა ქეთევანმა მეზარბაზნეთა მეთაურს. – გუჯი სად არის? გუჯი მომგვარეთ!.. ბუხუტია?.. ხომ არ დაშავებულა ვინმე?

– აქა ვართ, შენი ჭირიძე!.. არავინ დაშავებულა. ყველანი ცოცხლები ვართ!

ქეთევანმა უბრძანა თავის ძიძიშვილს, წყალსაცავებიდან სასწრაფოდ გამოეშვათ წყალი და ეზოში დაეგუბებინათ, ნახევარ არშინზე მაინც: – ნაბლები, ნაბლები დაასველეთ!

რაზმელები უხმაუროდ, სწრაფად ასრულებდნენ თავიანთი მეთაურის განკარგულებებს, თუმცა ბევრი მათგანი აზრზე ვერ მო-

დიოდა, თუ რას ნიშნავდა ეს ყოველივე, ან რა ხდებოდა საერთოდ.

– სველი ნაბადი მეც მომიტანეთ საჩქაროდ!

უცებ ქეთევანმა თვალი ჰკიდა პატარა საყდრის წინ ლოცვად ხელაპყრობილ მღვდელს. ერთი რაზმელის პირით შეუთვალა, შიგ შესულიყო, თან ქეთევანის ორი მოახლე გოგოც შეეყვანა და იქიდან ფეხი არ მოეცვალათ, სანამ ყველაფერი არ დაწყნარდებოდა.

გალავნის შორიახლოს მდგარი ქეთევანი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა რამდენიმე აუზიდან ეზოში ჩამომდინარე წყალს, ხანაც გალავნის ქონგურებზე გადაჰქონდა მხერა, სადაც ბასილიკა და მისი მეზარბაზნეები ადგილს უნაცვლებდნენ ზარბაზნებს.

ის იყო გუჯის ბიჭმა სველი ნაბადი მოურბენინა ქეთევანს, რომ უცბად მათ მახლობლად ყუმბარა დაეცა ზუზუნით. შიშატანილი, დაზაფრული ყმაწვილი სანამ რაიმეს მოისაზრებდა, ქეთევანმა უყვირა, დაწექი, დაწექიო, თავად ნაბდით ხელში ყუმბარასთან მიიჭრა, ჯერ რომ არ აფეთქებულიყო, და აფუებულ ჩლას ნაბადი გადააფარა სასწრაფოდ. ცოტაც და... ყუმბარის გასკდომის ხმა ყრუდ გაისმა.

შემოფოთებული რაზმელები ქალბატონ ქეთევანს მივარდნენ, მაგრამ ქეთევანმა საქმიანი იერით და მშვიდი ხმით უბრძანა, ყველა თავ-თავის ადგილს დაბრუნებოდა და მზად ყოფილიყვნენ ყოველგვარი მოულოდნელობისთვის.

ამასობაში წყალი ეზოში თითქმის ნახევარ არშინზე იდგა. ყუმბარები დროდადრო შიგ ცვიოდა და შიშინით სკდებოდა. ხოლო ბასილიკას და მის ხელქვეითებს უკვე მოეხერხებინათ ზარბაზნების გადაადგილება.

– ბასილიკა! აბა შენ იცი! შენებურად დასცხე მაგ მამა-ოხრიშვილებს!

მერე თვითონაც ქონგურზე ავარდა, განზე გასწია ერთი მეზარბაზნე, გულმოდგინედ დაუმიზნა ლულა ქვემოთ, თითქმის „მოდი-ნახეს“ გასწვრივ „თოღადის ციხის“ ეზოში მდგარ ზარბაზანს და...

– ვაშაა! მოხვდა, მოხვდა! – ყიჟინა დასცეს ალტაცებულმა მეზარბაზნეებმა.

შემდეგ ბასილიკამაც მშვიდად, აუჩქარებლად მიზანში ამოიღო მოწინააღმდეგის ზარბაზანი, და ყუმბარა შიგ ტურში შეაძვრინა. ზარბაზანი შუაზე გასკდა. მეორე გასროლით წამლის ყუთები აბრიალდა „თოღადის“ ციხის ეზოში. მას მოჰყვა მეორე, მესამე...

– აგრე, აგრე მოუხდებათ, მაგ ძაღლიშვილებს! მოილხინონ ახლა კარგათ და ირიკონ, რამდენიც უნდათ!

თანდათან, რიგრიგობით, „მოდი-ნახეს“ მეციხოვნეთა კარგი პოზიციის გამო და თავად მეზარბაზნეების, განსაკუთრებით კი ბასილიკას და ქეთევანის ოსტატობის და სიმარჯვის წყალობით, რუსის ჯარის ზარბაზნები მთლიანად განადგურდა.

... შინაგანად აღგზნებული, მაგრამ გარეგნულად მშვიდი იერით, ქალბატონი ქეთევანი გალავანზე გადმოდგა და იქიდან გადახედა ძლეულ ბანაკს. მტერს მთავარი იარაღი – ზარბაზნები ხელიდან გამოეცალა, და მამასადამე, აწ ნაკლებად საშიში და სახიფათო იყო!..

აქამდე ჩუმად მდგარმა ქალბატონმა ქეთევანმა უცებ წყალი მოითხოვა. მყისვე მიურბენინეს. თითქმის ნახევრამდე დაცალა ღოქი, მერე გახურებულ სახეზე შეისხა ცივი წყალი, ყაბალახი მოიძრო, სველი ხელები ნელა გადაისვა თავზე, მერე ყაბალახი, ასე რომ შვენიოდა, ისევ წაიკრა და წამით გაყუჩდა. სავსე, ლამაზ ტურჩებს წყნარი, კმაყოფილების ღიმილი უტოკებდა.

„ესეც ასე!“

გარშემომყოფნი, გაუნძრევლად მდგარნი, მღუმარედ, დაუფარავი აღტაცებით შესცქეროდნენ თვალტანად, მომხიბლავ, დიდებულ მანდილოსანს, ასე ვაჟკაცურად რომ ეჭირა თავი, ასე მამაცურად, ასე თავგანწირვით რომ იბრძოდა მეფის, მეუღლისა და თითოეული მათგანის ღირსების დასაცავად.

„მეფევ ბატონო, ჩემო ძვირფასო ქაიხოსროვ! შევიძლიათ მშვიდად იყოთ: სირცხვილს არ გაჭმევთ აბაშიძის ქალი!“ – გაურბინა თავში ანაზღად ქეთევანს და გალავნიდან დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი სახით, ძირს, ეზოში დაეშვა. გეზი ეკლესიისკენ აიღო, რათა უფლისთვის მადლობა შეეწირა იმ გამარჯვებისთვის, რაც დღეს მოიპოვეს „მოდი-ნახეს“ დამცველებმა.

ციხე-კოშკის ეზოში გაშლილ გრძელ სეფას ოცდაათამდე ახალგაზრდა მეომარი – ქეთევანის რაზმელები და მეციხოვნენი შემოსხლოდნენ – ბასილიკას თამალობით.

ქალბატონმა ქეთევანმა თავადაც ისურვა, რომ მის რაზმელებს, რაკი სწადლათ, შეძლებისდაგვარად, მოეღწინათ, აღენიშნათ დილანდელი გამარჯვება. თვითონაც, მამა ზოსიმეს თანხლებით, პატივი დასდო ახალგაზრდებს და ღვინვით ეწვია.

მზე ჩაწურვაზე იყო, გრილი ნიავი საამოდ უბერავდა. ჰაერი დაყურსულიყო ადრეული შემოდგომის სურნელით, რაც უფრო სასიამოვნოს ხდიდა ისედაც გახარებულ მეციხოვნეების გუნებაგანწყობილებას.

ღვინოს პატარ-პატარა თიხის ჯამებით სვამდნენ. ბასილიკას მოკლე სადღეგრძელოების თემა, ცხადია იყო დილანდელი ორთაბრძოლა მეზარბაზნეებისა და ის გამარჯვება, რაც რუსებზე მოიპოვეს „მოდინახელებმა“ – ქალბატონ ქეთევანის წინამძღოლობით.

ქეიფის ეშში შესულებმა თანდათან ხმაურს და ოხუნჯობასაც უმატეს, თუმცა მანდილოსნის და მამა ზოსიმეს რიდით ზღვარს არავინ გადასულა. მცირე ხნის შემდეგ მამა ზოსიმემ ბოდიში მოიხადა, ხელმეორედ აკურთხა სუფრა და ეკლესიისკენ გაემართა.

ქალბატონი ქეთევანიც არ აპირებდა დიდხანს დარჩენას, თუმცა მიაჩნდა, რომ თავის რაზმელებთან ერთად უნდა გაეზიარებინა საერთო სიხარული. ამასთან, ქალბატონმა ქეთევანმა მშვენივრად უწყობდა, რა გულწრფელი და განუზომელი სიყვარულით სარგებლობდა იგი თავის ქვეშევრდომებში, რა მოწიწებით, კრძალვით იყო მის მიმართ გამსჭვალული ყოველი მათგანი. ვინაიდან ყველაფრის გარდა, ქალბატონი ქეთევანიც, თავის მხრივ, დედობრივ მზრუნველობას არ აკლებდა რაზმელებს – ამიტომაც, თუმცა დაღლილ-დაქანცული გახლდათ ყოველივე იმით, რაც თავს გადახდა ამ დღეს, ქეთევანი მაინც იჯდა სახემომღიმარი და ცდილობდა მხნედ მოეჩვენებინა თავი მონადიმეებისთვის, ამ ერთიმეორეზე უკეთესი, დარჩეული ყმაწვილებისათვის, ძირითადად გლეხობის

წრიდან რომ იყვნენ, მაგრამ სიჩაუქით, მამაცობით თუ გარეგნული სილამაზით ტოლს რომ არ უდებდნენ წარჩინებულთა გვარის შვილებს.

ქეთევანი თავის გუნებაში ესიყვარულებოდა თითოეულ მათგანს, როგორც საკუთარ შვილებს. სიყვარული და თანადგომა მოყვასის მიმართ – აბაშიძის ასულისათვის თანდაყოლილი, ბუნებრივი თვისება გახლდათ...

ხშირად იგონებდა ხოლმე თავისი აღმზრდელი ბიცოლას, ვალიდა აფაქიძის ქალის სიტყვებს: ადამიანს პატივი უნდა მიაგო მისი ღირსების მიხედვით და არა წარმომავლობის გამო, ეს კი იმ ღრრისთვის არც თუ ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. აკი, ახლობლები მას, სოლომონ I-ის მეუღლეს მარიაშს – ოტია დიანის ასულს – ტყვეთა სყიდვის სასტიკ მოწინააღმდეგეს – ამსგავსებდნენ, თუმცა ქეთევანი არ შესწრებოდა მის დედოფლობას, თავად კი მამის ძმის ცოლის, ოდიშიდან ზემო იმერეთში გამოთხოვილი ვალიდა აფაქიძის შვილობილად მიიჩნევდა თავს.

ქეთევანს მხარმარცხნივ, უსაყვარლესი ძიძიშვილი-გუჯი ეჯდა, ხოლო მისი ბიჭი, 19 წლის ბუხუტია, თავის ორ თანატოლთან ერთად, მარჯვდ ემსახურებოდა სუფრას.

ბუხუტია გამორჩეული გრძნობით უყვარდა ქეთევანს. თავის უფროს ვაჟს, პაპუნას ამგვანებდა. მასავით პირბადრი იყო, მასავით ღიდრონი, თაფლისფერი, მოცინარე თვალები და მიამიტი, კრიალა ღიმილი ჰქონდა, მასავით მარდი, მკვირცხლი და უშიშარი გახლდათ.

გუჯის იგი თავად ბუხუტიას თხოვნა-მუდარით მოეყვანა ქეთევანის რაზმში. ამ ძნელბედობის ჟამს, როცა სამეფო აწეწილდაწეწილი იყო, მეფე კი – განდევნილი, როცა ძმა ძმას არ ინდობდა, როცა დიდებულთა ოჯახები ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ბანაკებად იყო გაყოფილი – ზოგი სოლომონ II-ს ემხრობოდა, ზოგი – რუსთ ხელმწიფეს – თითოეული ერთგული მებრძოლი შეუფასებელი, ძვირფასი განძი იყო ქეთევანისთვის, რომელსაც მეუღლის, ქაიხოსრო სარდლის თხოვნით – ახალციხეში რომ ახლდა მეფეს – მათ დაბრუნებამდე მეთაურის მძიმე ტვირთი უნდა ეკისრა.

მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის მოსახლეობა – გალატაკებუ-
ლი, გაძვალტყავებული განხლდათ გამუდმებული ომიანობის გამო
– კვლავაც მზად იყო მხარი დაეჭირა დევნილი მეფისთვის და
ებრძოლა როგორც რუსის ჯარის, ასევე, ოსმალების წინააღმდეგ,
რადგან მიაჩნდათ, რომ ერთი ბაბრი იყო, მეორე კი – ფოცხ-
ვერი. რა მგელს შეეუჭამივართ და რა მგლისფერ ძაღლსო, იძა-
ხდა ხალხი და ორივეს, როგორც დამპყრობელს, ისე უყურებდა.
მით უფრო, რომ ცოცხალ მაგალითად ჰყავდათ თავიანთი მოძმე
ქართლ-კახელები, შეთანხმების მიუხედავად, ვერაგულად რომ
წაართვეს დამოუკიდებლობა, მოუსპეს ბაგრატიონთა მეფობა და
მონობის უღელი დაადგეს მთელ ხალხს და ქვეყანას.

იმერთა უმეტესობა არ აპირებდა შეგუებოდა რუსების მმართვე-
ლობას, მისთვის ეგზომ უცხოს და სასტიკს. ამიტომაც სოლო-
მონ მეორის მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, ხალხის
დიდი, საყოველთაო აჯანყება უკვე შორს აღარ იყო!..

... ქეთევანი დრო და დრო ცოტას კი სვამდა ღვინოს, მა-
გრამ თავისთავს ატყობდა, გახალისების ნაცვლად, ნაღველი თან-
დათან ემატებოდა, გული უნებურად უკვნესოდა, თუშცა ცდი-
ლობდა, უგუნებობა არ დატყობოდა, მაგრამ მისდაუნებურად ვერ
იშორებდა ფიქრს თავის მეუღლეზე, უფროს ბიჭზე, პაპუნაზე,
მამას რომ ახლდა ახალციხეში, და თავის მცირეწლოვან ქალ-
ვაჟზე, რაჭაში, დედუღეთში რომ ჰყავდა განიხნული. ვერა და
ვერ მოეშორებინა დარდი სოლომონ მეფესა და რუსების მიერ
მუხურის ციხეში გამომწყვდეულ მარიამ დედოფალზეც.

ქეთევანის აზრი ერთი საგნიდან მეორეზე ხტებოდა, მეორიდან
– მესამეზე, მერე ისევ ირეოდა ერთმანეთში ყველაფერი: აზ-
როვნება და ფიქრი ხომ მოუხელთებელი, უსწრაფესი რამაა. არც
იცი, რა წუთას სად გაუტევეს, რას გაიხსენებს, რას წარმოაჩენს
გონებაში, რას წარმოსახავს... და მაინც... ფიქრით კვლავ თავი-
სიანებს უბრუნდებოდა.

ვინ იცის, რა დღეში არიან ახლა? იქნებ ისინიც დაბოლმოდ-
გამწარებულნი მასავით ჩუმად ყლაპავენ უილაჯობის, უმწეობის,
უიმედობის ცრემლებს? კი, დღეს გაიმარჯვა ქეთევანმა და მისმა
რაზმმა, მაგრამ... ხვალ? რა იქნება ხვალ? რას მოიტანს უთანას-

წორი ჭიდილი გადამთიელთა ურიცხვ ჯართან? კი, ეს გულადი ბიჭები მზად არიან თავი შესწირონ მეფეს, ქვეყანას, თავისუფლებას, მაგრამ... მერე? რა მოხდება მერე?

ნუთუ სამართლიანობამ ოდესმე მაინც არ უნდა გაიმარჯვოს?

უცებ, მოულოდნელად მამა ზოსიმეს დაცარიელებულ ადგილზე დამჯდარ მანდილოსანს მოჰკრა თვალი. ქეთევანი შეცბა, მერე ფარულად მიიხედ-მოიხედა.

სხვები თუ ხედავენო ქალს? ეგება, მე მეზმანება რამეო?

არა. ხილვა კი არა, თითქოს ცოცხალი არსება ევჯდა გვერდით. დიდი ხნის გარდაცვლილი ვალიდა ბიცოლა, ტანთ თალხი კაბა რომ ემოსა, თალხი ფერისვე ლეჩაქით თავდახურული - უცნაური ღიმილითა და დაჟინებული მზერით შესცქეროდა სახეში ქეთევანს ანუ თავის სულიერ შვილს, როგორც ეძახდა იგი პატარაობიდანვე მაზლისწულს.

– რატომ ხარ ასე დაღონებული, შემოგველე?

– ნუთუ?! შენა ხარ ბიცოლა?

– ჰო. მე ვარ, ქეთინო შვილო: ნუ კრთები. აქ ახლა მე და შენ ვართ მხოლოდ. რას დარდობ, ბიცოლა გენაცვალოს, ასე? რა მიზეზია?

– მეტყობა რამე, ბიცოლა? – ძლივს ამოიღო ხმა ქეთევანმა.

– მე გატყობ!

ქეთევანმა კვლავ ძალულად გააპარა თვალი თავის გარშემო მსხდომებისკენ. უკვე შეზარხოშებული მენადიმენი ხმატკბილად მღეროდნენ და გუჯიც თავისი ჩინებული ხმით ბანს აძლევდა მათ. თითქოს არავის არაფრის დარდი არ ჰქონდა (ნადიმობა და მოლხენა – თუნდაც მცირე მიზეზის გამო, ხომ დედის მუცლიდან გამოყოფილი, სისხლისმიერი თვისება გახლდათ ყოველი ქართველისათვის – ლიხთიმერი იქნებოდა ის თუ ლიხთამერი). და, რაც მთავარია, ვერავინ ამჩნევდა, ქეთევანის გვერდით მიცვალებული ქალის ლანდს.

– განა... არა მაქვს სადარდებელი, ბიცოლა? გამოსავალს ვერ ვხედავ. გახსოვს, შენ მასწავლიდი, ჩვენი საქართველო – იბერია ერთიანი, მთლიანი და ძლიერი იყო ერთ დროს. შენ ბევრ

რამეზე ამიხილე თვალი... ბავშვობიდანვე. შენ მიკითხავდი და მაკითხებდი ჩვენს უძველეს წიგნებსა და ხელნაწერებს.

სადღაა ერთიანი საქართველო, ბიცოლა ბატონო? ერთმანეთის მტრობით, ქიშპობით აქცევენ ქვეყანას. ახლა იმერეთილა იბრძვის, იბრძვის ჩვენი უფლებააყრილი სოლომონ მეფე და მისი მომხრენი, ცდილობენ გაუმკლავდნენ მოძალებულ მტერს, ფარ-ხმალს არ ყრიან, მარა სხვები?.. ჩვენი მთავრები – სამარცხვინოდ შეეკრნენ უკვე რუსის იმპერატორს...

კი, ვეომებით მომხვლურებს, ჩვენ, ვინც დავრჩით მეფის ერთგულები-არ ვთმობთ ჩვენს მიწა-წყალს, მარა... როდემდე, ბიცოლა ბატონო? როდემდე გავძლებთ? ყველას პირველობა სურს... აგერ, ჩემი მაზლისწული, ქაიხოსროს ბიძაშვილი, გრიგოლ წერეთელი, სახლთუხუცესის, ზურაბის ვაჟი - ორივე გაუორგულდა სოლომონ მეფეს... მამა-შვილმა ბევრი გადაიბირა თავის მხარეზე, ოღონდ ეგაა – მეორე ვაჟს, სიმონს ვერაფერი მოუხერხა ზურაბმა – იგი მეფის ერთგული დარჩა!.. ოსმალები ვითომ გვიმეგობრდებიან ახლა, სინამდვილეში კი ჩასაფრებული არიან, და ელიან ჟამს, რათა ერთხელ კიდევ მოგვასწორონ მიწასთან.

ამასობაში გაივსო ურჯულოების ბაზრები ჩვენი დარჩეული გოგო-ბიჭებით. ბევრი ჩვენი ხარბი, წუწკი, გაუმაძღარი თავადი, აკრძალვის მიუხედავად, მაინც არღვევს კანონს, მაინც ახერხებს საკუთარი ყმების გაყიდვას არა მხოლოდ თურქებზე, ყველა ჯურის გადამთიელზე!

სონთქარსა და ბეგებს ვინლა ჩივა? რიგითებიც გამაცადინებულები არიან, თავიანთი ჰარამხანები გაავსონ ჩვენი მზეთუნახავებით!.. ხო უნდა გააკეთილშობილონ თავისი უჯიშო მოდგმა და ჯილაგი! ირგვლივ მხოლოდ მზაკვრობა, მხოლოდ მზაკვრობა და ცბიერებაა!

ამდენი ხანია აგერ ჯოჯოხეთის ალმურში ვიწვით და უანგაროდ შემხიდებელი არავინ გამოჩნდა.

რუსთ ხელმწიფე ხომ ვითომ ერთმორწმუნეა, მარა ხო ყველამ დავინახეთ, როგორ არ დაინდო ქართლ-კახეთის სამეფო!.. რა ვერაგულად მოიქცა!.. ჩვენც ხო იმავეს გვიპირებს?

რა ვქნათ?.. რაფერ მოვიქცეთ?

სულ ვეკითხები ჩემს თავს, რატო არ გვანებებენ თავს ეს დიდრონი სამეფოები? რას ერჩიან ამ პატარა ქვეყანას? ვის რა დაეუშავეთ? ვის რა წავართვით-თქვა? რატომ არ გვაყენებენ? ჩვენ ხომ მხოლოდ დამხვდურად მებრძოლები ვართ? – ალბათ თავისთვის უფრო აზრობდა ყოველივე ამას ქეთევანი, მაგრამ გრძნობდა, აფაქიძის ქალს ყველაფერი ესმოდა და ამის ნიშნად, თავს მწუსარებით უქნევდა.

– ჩვენი უკეთურობისთვის ღვთის სასჯელს ვიმსახურებთ, შვილო. გაფრთხილდი! როცა თავს ზევით ძალა არაა, უნდა მოითმინო, დაელოდო უკეთეს დროს. ხომ ნათქვამია, დრონი მეფობენო...

– მარა, ეგება ამგვარ ყოფას მართლა სიკვდილი სჯობია? სახელიანი სიკვდილი? ეგება სჯობია ყველანი ერთ ღვთს გავწყდეთ, ერთბაშად დავიხრცოთ ბრძოლაში? რა აზრი აქვს მონურ სიცოცხლეს, ბიცოლა ბატონო, საძრახ არსებობას? სულ ვიშვიშა და ვაებას?..

შენ მასწავლიდი, გახსოვს, ცხენზე ჯდომას და ჯირითს, თოფიარადის ტარებას, სანადიროდაც დაგყავდი, ჩვენი ქალები უძველესი დროიდან უშიშარი მეომრები იყვნენო. მაქეზებდი, ასი ათასსა აჯობებს თუ გამორჩევით მქნელიაო - მაგულიანებდი! კარგად რო ვიცი თოფიარადის ტრიალი და ზარბაზნიდანაც ვისწავლე აგერ სროლა, რა მერე? მინდა გამოვადგე ჩემს სამშობლოს, ჩემს ქვეყანას, ჩვენს მეფეს-თქვა. და ავიღე თავზე ხელი... და ადამიანებს ვხოცავ აგერ! მარა... რისთვის – აზრი აქვს რამეს?

ან კაცმა რომ თქვას, რა ქალის საქმეა თოფიარადი? სისხლის ღვრა – თუნდაც ნადირ-ფრინველის?

რატომ, რატომ უნდა გაისასტიკო გული ადამიანმა, მით უმეტეს ქალმა, დედამ?.. მარა, რო არ გაყენებს მტერი მოძალადე და გაიძვერა?

ან ეგება...

სისასტიკე, სიკეთესთან ერთად, სულაც თანდაყოლილია ადამის მოდგმისათვის იმთავითვე, დასაბამიდან?.. და საერთოდ, ამდენი „რატომ“ რისთვის იბადება ამ ცისქვეშეთში?

მიუსაფარნი, უთვისტომონი, უნათესაონი - გალიაში მომწყვდეული არწივივით ვასკლებით აქეთ-იქით ყრუ კედლებს!.. ხსნა

კი – არა და არ ჩანს არსაიდან-თქვა! მხოლოდ ხანმოკლე გამარჯვებები და შემდგომ, ისევ ისე განუწყვეტელი სისხლის ღვრა, ცრემლი, გოდება, ტანჯვა-წვალება, სიმწარე და... უძღურებისგან ნეკა თითზე კბენანი!

ამდენი დაცემა, ღალატი! წამიერი ამალღება, ფენიქსისებრი წამიერი აღდგომა და მერმე ისევ... უკუნეთი, სიბნელე!

როდემდე, როდემდე?!

– საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ნათქვამია, ჟამს უნდა დაველოდოთ, საყვარელო! ამას გასწავლიდი მეც!

– რუსთ ხელმწიფე ოქროთი, ჩინ-მედლებით ყიდულობს ჩვენს თავად-აზნაურობას, ჩვენს მთავრებს, რა უნდა გავაწყოთ?

– ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო, ნათქვამია. ოდითგან ყველა მოღალატე ოქროთი იყო მოსყიდული, შემოგვევლე! დიდი ცთუნებაა ოქრო და ძალაუფლება! ასეა ეს, ჩემო საყვარელო, ასე იყო მიწვივ – დასაბამიდან – დღემდე! ფეშქაშებით, სულთნის თუ შაჰის ხალათებით ხდებოდა მოსყიდვა ადრე და... ახლაც იგივე გრძელდება... ოღონდ სხვა სახით...

ფხიზლად იყავი, შვილო, ერიდე უზნეო ადამიანებს, ოქროთი მოსყიდულებს!.. სიხარბე, პატივმოყვარეობა, მედიდურობა, ამპარტავნება, შური – ოქროს მოკავშირეებია, იცოდე! სიღარიბე კი – მათი სარბიელია.

– ჩვენ ღარიბები ვართ, ბიცოლა, მაშასადამე...

– ოდესღაც მდიდარი ქვეყანა ვიყავით, შემოგვევლე! – შეაწყვეტინა აფაქიძის ქალმა თითის აწევით: – ჩვენგან გაჰქონდათ ოქროც და ბევრი სხვა, ძვირფასი რამეები!.. მარა... ახლა სხვა სიმდიდრეები გააქვთ! რამეთუ ჩვენ თვითონ ვიქეცით ავაზაკებად, ჩვენი დიდი წინაპრების აჩრდილებილა ვართ! ფხიზლად იყავითქვა, ჩემო საყვარელო, თავს გაუფრთხილდი, შვილო!

– რისთვის? რა თავში ვიხლი ასეთ სიცოცხლეს, ბიცოლა? თუკი უზნეობა იმარჯვებს ზნეობაზე, უსამართლობა – სამართალზე, ბოროტება – სიკეთეზე, ურჯულოება – სჯულიანობაზე!.. ... ცულს მოვიტან ცუნცულასაო, კმ! ერთი ბარტყი აკი მეც გადაუგდე მელიას – ვითომ სხვების გადასარჩენად!

გადარჩებიან კი? თუკი გადარჩებიან... სად, სად უნდა იცხოვრონ?... რა ქვეყანაში?

თალხკაბიანი ქალი ისევე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა. ქეთევანის უკანასკნელი კითხვა კი – უპასუხოდ დარჩა, იგი ჰაერში უკვალოდ განქარდა!

... გაოგნებული ქალბატონი ქეთევანი კარგა ხანს მისჩერებოდა იმ ადგილს, საიდანაც სხვისთვის უხილავი მესიტყვე გაუჩინარდა.

მცირე ხანს იჯდა მზერადახრილი, თითქოს გათიშული. მერე უცებ წამოიჭრა და გულდამძიმებული, აფორიაქებული უსიტყვოდ, უხმოდ, აჩქარებული ნაბიჯებით თავის სენაკისკენ გაეშურა.

* * *

სარკმლიდან შემოპარული მზის სხივები სახეზე დასცივლივებდა და საოცრად მოუნდა კიდევ ცოტა ხანს გაფოფინებულყო, კიდევ ცოტა ხანს ებანავა ამ თბილ ჩქერალში. კიდევ ცოტა ხანი თვალი მოეტყუებინა, მაგრამ... თავს ძალა დაატანა, ნაბადი გადაიძრო, სწრაფად წამოღდა ტახტიდან, რომელზეც ქვეშაგებლად ნაბადივე ჰქონდა დაგებული.

ვიდრე თავს მოიწესრიგებდა, ვიდრე ისაუზმებდა – წუხანდელ ზმანებაზე ფიქრი ისევ მოეძალა.

რატომ გამოეცხადა მისი საყვარელი ბიცოლა აქ, ციხე-სიმაგრეში, ამ გასაჭირის ჟამს? რას ნიშნავდა ეს? წლების განმავლობაში სიზმარშიც არასოდეს უნახავს. თუმცა კი ზშირად იგონებდა უდიდესი სინაზითა და გულისტკივილით. თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე ცხენზე ამხედრებული, – მარჯვენა ხელზე მიმინო რომ ესვა! სანადიროდ გამზადებულს, გოროზი, შეუვალი იერი ჰქონდა და გარშემომყოფთა უნებლიე რიდს და აღტაცებას იწვევდა. არადა, გარეგნული სიმკაცრის მიუხედავად, გულჩვილი, უსათნოესი ადამიანი იყო ვალიდა ბიცოლა, რომელსაც ამავე დროს შეეძლო, თუ ისურვებდა, თავის ნებისთვის დაემორჩილებინა ნებისმიერი სულიერი.

დღით ობოლი ქეთევანი ბავშვობიდანვე აღმერთებდა თავის ულამაზეს ბიცოლას, მშობლიურ მზრუნველობას რომ არ აკლებ-

და მაზლისწულს. ვალიდა აფაქიძეს განსწავლულობით, ზნეკეთილობითა და გარეგნულადაც მარიამ დედოფალს, სოლომონ I-ის მეუღლეს - ოტია დადიანის ქალს ადარებდნენ იმერლები...

თუმცა კი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო ვალიდა ბიცოლა, ქეთევანი ღღემდე ვერ ეგუებოდა მის არყოფნას. ხშირად, ძალიან ხშირად თავის გონებაში ეთათბირებოდა კიდევ და თითქოს რჩევასაც თხოვდა, მაგრამ... ასე ხელშესახები სიცხადით, ასე თვალნათლივ არასოდეს ჩვენებია სხვა დროს!..

... ბუხუტიამ მორიდებით, ნებართვის მიღების შემდეგ, შემოალო კარი და მოახსენა – შიკრიკი გეახლათ და თქვენს ნახვას თხოულობსო.

შიკრიკი? ვისგან? საიდან?

სწრაფად, ზეზეურად დაასრულა საუზმე და ბუხუტიას შიკრიკის შემოყვანა უბრძანა.

ახალგაზრდა კაცი თავდახრით, მოწიწებით მიესალმა ქეთევანს და ბატონ გრიგოლ წერეთლის წერილი გადასცა.

წამით გული შეუქანდა ქალს. გრიგოლი?! გიგო წერეთელი ბრათს უგზავნის მას? ქეთევანს?!

როცა შიკრიკი პასუხის მოლოდინში გარეთ გავიდა, თავის მოახლე გოგოებს წამუყო, რომ ისინი მოციქულს უკან მიჰყოლოდნენ, თავად კი გულაჩქროლებულმა, სწრაფად გახსნა ბართი, სწრაფადვე ჩაიკითხა ბოლომდე, მერე ხანგრძლივი მზერით დააცქერდა ხელმოწერას. მერე წერილით ხელში ბოლთისცემას მოჰყვა ოთახში. თავში მრავალმა, ერთიმეორის გამომრიცხავმა აზრმა გაურბინა, მერე როგორც ჩვეოდა, ხელად მიიღო გადაწყვეტილება, ბუხუტიას მოუხმო თავისთან და დაავალა – მამა ზოსიმე, გუჯი და ბასილიკა მოეყვანა საჩქაროდ.

... როცა წვეულები შემოვიდნენ ოთახში, ქეთევანმა მოუბოდიშა მღვდელს, არ მინდოდა შიკრიკს გარეთ გასული ვენახე და ამიტომ შეგაწუხეთო, მამაო, – და ბართი გადასცა გადარაჯებული იერით.

მამა ზოსიმემ აუჩქარებლად, დინჯად წაიკითხა წერილი, მერე ქეთევანს ახელა უზაკველი, წყლიანი, ცისფერი თვალებით: – მამ, გრიგოლ ბატონი ითხოვს თქვენთან შეხვედრას შერიგების მიზნით და ერთგულებას გეფიცებათ?

– დიახ, მამაო, ასე გამოდის. – მერე ბასილიკას და გუჯის გადახედა ქეთევანმა: – მეო, შენი ერთგული და მოსიყვარულე მახლისწული ვარო. ნება მიბოძე მოვიდე და გალიაროო. ძუძუებზე კბილი დამადგმევინე, რომ უფრო დამერწმუნოო. დიდი მოსალაპარაკებელი მაქვს შენთანო. შენ შეგიძლია სოლომონ მეფე ისევ იმერეთში დააბრუნო შენი მეუღლითურთ. ქვეყანა დაამშვიდოო, ჩვენზეც მეფის წყალობა გადმოავლინოო, ხელმწიფე იმპერატორის ნებაც ეს არისო, რომ მხოლოდ მფარველობდეს სოლომონ მეფესო, მეტი არა უნდა რაო.

– რაფერაც მეფე ერეკლეს და მის შთამომავლებს უმფარველა, – ჩაიდულუნა მამა ზოსიმემ და გრძელ, ჭალარა წვერზე ხელისგული ჩამოისვა რამდენჯერმე თვალბომოწკურულმა.

ბასილიკას და გუჯის, ორივეს გვერდულად ჩაელიმათ.

– რანაირად მოვიქცე, მამაო?... რას მირჩევ?

– რაფერაც გული და გონება გიკარნახებს, შვილო! – ყოყმანით წამოიწყო მღვდელმა: – რაკი... შერიგებას გთავაზობს, ალბათ უარი არ ეგების. სისხლისღვრას და ომს ყოველთვის მშვიდობიანობა სჯობია. მით უფრო, ჩვენ ქრისტიანები ვართ. ოღონდაც...

– ოღონდ რა? რაზე გაჩუქდით, მამაო?

– ოღონდ... მე მგონი, მაინც აჯობებს, ჯერ თვითონ მარტო მობრძანდეს გრიგოლი.

– რასაკვირველია, მამაო. მეც მასე მიმაჩნია, – სწრაფად დაეთანხმა ქეთევანი, მერე განაგრძო – ისე, არა მგონია, რაიმე სიავე ედოს გულში, მით უმეტეს, ხატზე თუ დაიფიცავს და შეასრულებს შვილობილად მოკიდების წეს-ჩვეულებას...

– ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო, ესეც უთქვამს ჩვენს ხალხს, შვილო! კარგად მოიაზრე ყოველისფერი, კარგად აწონ-დაწონე და... ისე გაეცი პასუხი!.. – მერე ისე, თითქოს ფიქრშიაო, გააგრძელა:

– არა მგონია მეც, სახლთუხუცესის ვაჟმა, დიდი გვარის შვილმა, რაიმე მუხთლობა ჩაიდინოს, მით უმეტეს, რომ ასე დაიმდაბლა თავი, შერიგებაზე ყაბულსაა და თქვენ გთხოვთ შუამავლობას მეფესთან!

ისე, მოგეხსენებათ ალბათ, ქალი, მანდილოსანი, ყოველთვის იყო ჩვენში თავმდები, მოსისხლე მტრების შემარიგებელი... და შუა-

მდგომელი! ბატონ გრიგოლს, ეტყობა, ძალიან გაუჭირდა. ამდენმა მარცხმაც, შესაძლოა, გონს მოიყვანა და უფალმა მისცა საშუალება, გამოასწოროს თავისი შეცოდებანი. ვინ იცის, შეუცნობია გზანი უფლისანი!..

ბასილიკამ, როცა მასაც მიმართა რჩევით ქალბატონმა ქეთევანმა, ჩვეულებისამებრ, პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა:

– არ მჯერა მე რუსის ოფიცრის და გუშინდელი მტრის სიტყვების, ქეთევან ბატონო! რუსები ოსმალებზე არანაკლებ გაიძვერები, ცბიერები და მზაკვრები არიან! და ეს მათ მრავალჯერ დაადასტურეს...

ისე, მე თუ მკითხავთ, ვერავის ვაპატიებ ვერც ერეკლეს ღალატს და ვერც ჩვენი მეფის მიმართ ჩადენილ ვერაგობას, ვითომ მოსალაპარაკებლად რომ მიიწვიეს და... მეურ დაატყვევეს! არა, არ მჯერა-თქვა, გრიგოლ წერეთლის – რუსის ოფიცრის და სოლომონ მეფის დაუძინებელი მტრის – უცებ... პავლედ ქცევა! დანარჩენი თქვენი ნება!

– ჰო, მარა თუ ხატზე აპირებს დაფიცებას და ხალხური წმიდა, უძველესი წეს-ჩვეულების შესრულებას?

– მე ჩემი ვთქვი, აწი თქვენ იცით, ქალბატონო!

გუჯიმ კი მხრები აიჩინა და დინჯად, ბუბუნა ხმით წარმოთქვა:

– რაკი, ჩემო ბატონო, ბატონი გრიგოლი ხატზე დაფიცებას და ხალხური წეს-ჩვეულების აღსრულებას აპირებს, თანაც თუ მნიშვნელოვანი რამეები აქვს სათქმელი - ასეთ შემთხვევაში მოლაპარაკებაზე უარის თქმა, მგონი, არ ივარგებს. დიდი ზურაბ წერეთლის ვაჟია ბატონი გრიგოლი, დიდი ოჯახის შვილი და ვერ დავიჯერებ, უპირო აღმოჩნდეს!..

შენ, ჩემო ქალბატონო ქეთევან, მოვალეც ხარ, მოუსმინო მას და თუ ჭკუაში დაგიფდა მისი ნალაპარაკები, ისე გადაწყვიტო, რაფერადაც მოუხდება იმ საქმეს, რისთვისაც ვიბრძვით და რასაც ვემსახურებით, ღვთის წყალობით და თქვენი ხელმძღვანელობით!

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ერთგვარი ყოყმანის მიუხედავად, ქეთევანმა შეხვედრაზე დასტური შეუთვალა გრიგოლ წერეთელს, თავის მახლისწულს და მტრის ჯარის ერთ-ერთ მეთაურს!

ქალბატონი ქეთევანი ხის პატარა სამფეხზე იჯდა და ხისვე სავარცხლით ნელ-ნელა ივარცხნიდა ახალდაბანილ სქელ, ოქროსფერ თმას, მხრებზე რომ გადმოშლოდა, თან დრო და დრო სარკეში იხედებოდა, ხელით რომ ეჭირა გოგოს. მეორე მოახლეც იქვე ტრიალებდა და თვალ-წარბში შესცქეროდა ქეთევანს.

– ოჰ, რა მშვენიერი თმა გაქვთ, ქალბატონო, რაფერ ბზინავს, რა ფაფუკია, რა ფუმფულა!.. – აღტაცებული ტიკტიკებდნენ ცქრიალა, მოხდენილი გოგოები და ისე ფრთხილად, სათუთად უბწნავდნენ თმას საყვარელ ქალბატონს, თითქოს ჩვილი სჭეროდათ ხელში.

– ეჰ, თმაში ჭაღარა გამოძერია, რაღა დროს ჩემი სიმშვენიერეა!.. დავბერდი უკვე, ჩემო ჩიტუნებო!

– უიმე, ღმერთო კი მომკალი! – შეიცხადა ორივემ ერთდროულად: – რა დროს თქვენი სიბერეა, ქალბატონო! ერთი ნაოჭიც არა გაქვთ სახეზე, და ისეთი გადატკეცილი კანი გაქვთ... და ისეთი თეთრი, რავარც უმტვერო თოვლია! – ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. საგულისხმო ის იყო, რომ ამას გულწრფელად, სიყვარულით ამბობდნენ, რასაც ქება-დიდებაში ყურგახედნილი ქალბატონი ქეთევანი უტყუარად გრძნობდა და აღიქვამდა.

– თოვლივით უმტვერო და ლამაზი თქვენ უნდა ნახოთ ვინცაა სინამდვილეში – ჩვენი ტანჯული და ბედკრული მარიამ დედოფალი! აი, ვისზე ითქმის ამომავალი მზეა და ჩამავალი მთვარეაო! – ქეთევანმა ღრმად ამოიოხრა და სახე მოედრუბლა.

– ღიახ, ამბობენ ქალბატონო, მარა... თქვენზე მშვენიერი და ლამაზი ამ ცისქვეშეთში მაინც არავინაა!

– ოჰ, ოჰ, რამდენს ტლიკინებთ, თქვე კუდიანებო! – ღიმილით დაუცაცხანა ქეთევანმა გოგოებს: „ეჰ, სიტურფე და მშვენიერება არ აკლია ჩვენს ჯიშსა და ჯილაგს, მარა რა სიკეთე მერე?“ – გაივლო გუნებაში.

– აბა, კუდრაჭებო, დატრიალდით ახლა, მიალაგ-მოალაგეთ აქაურობა. ხომ იცით, დღეს ვინ უნდა გვეწვიოს? ო, რუსთ ხელმწიფის დიდ ქალაქში, ჰეტერბურდსა შინა ხუთ წელს ნამყოფი, იქ დიდებულ სრა-სასახლეებში ცხოვრებას შეჩვეული... ჭაბუკი!

მართლა... დიდი კაცი! აქაურობას რომ ნახავს, ამ ჩვენს უბადრუკ გომურს, შეიძლება გული შეუწუხდეს კიდევ!

– ქალბატონო, ამ „უბადრუკმა გომურმა“, თქვენ რომ ბრძანეთ, ამ „მოდი ნახემ“ ხომ კუდიტ ქვა ასროლინა რუსის ჯვარს? ხო დაინახეს, რაფერი დახვედრა იციან ჩვენებურებმა!

– სწორედაც! „მოდი ნახეს“ მომრევი ძე-ხორციელი არავინაა ქვეყნიერებაზე – ღვთის მადლით და თქვენი წყალობით!

– ამათ უყურე ერთი? რა ამბავში არიან? რაფერ გაუღესიათ ენა? – უნებურად გაეცინა ქეთევანს.

– აპა არა? თქვენ თუ იარაღით სპობთ გადამთიელებს, ჩვენ ენაც არ გავიღესოთ, ქალბატონო?

„ოჰ, ოჰ! რაფერ ეტყობათ, ქეთევან აბაშიძის უბეში რო არიან გამოზრდილებიო, იტყოდა ახლა ალბათ ჩემი ცხონებული დედამთილი!..“

დიდი ხანია არ მინახავს ჩემი მაზლისწული. წერეთლური მედიდურობა და ამპარტავნობა რომ არა, აქამდისაც უნდა მიხვედრილიყო, რო... თანამომძეთა სისხლის დაღვრით ვერ მოიპოვებს იმ დიდებას და სახელს, ასე რო ეძებს და სწყურია! მარა... ყმაწვილია და!..“

მერე ისევ თავის მოფუსფუსე მოახლეებზე გადაიტანა ფიქრი: „რა გოგოები არიან! რა ლამაზები, მკვირცხლები! ვინ იტყვის ამათზე, უბრალო გლეხის შვილებიაო!..“

ერთი მათგანი, სახემწყაზარი თათა თავის სახლიკაცს გამო-სტაცა აკი ხელიდან, გაყიდვას რომ უპირებდა! ცხენს მოახტა გაგულისებული, გაედევნა გამტაცებლებს, კაკას ხიდამდე მიუსწრო და გადაარჩინა გოგონა.

„ეჰ, ისევ ჩვენთანების ხელით ხდება ეს სიავე და ბოროტება! არც დიდი სოლომონის კანონს დაგიდევენ, არც ქრისტეს სჯულს...“

ღმერთო დიდებულო! რამ დაგვიბნელა ასე გონება: სილატაკემ, სინარბემ, წუწკობამ თუ... უღმერთობამ? არადა, ქრისტიანები ვართ თითქოს და ურჯულოებს – თათრებს ვკიცხავთ და... ვებრძვით! სინამდვილეში კი – ზერელედ, მხოლოდ გარეგნულად კყოფილვართ მორწმუნე ქრისტიანები. ასე გამოდის! და ჰე, რა უნდა ქნა?“

– თათულა, გაიქეცი ახლა და ბუხუტია მომიყვანე აქ!.. საქმე მაქვს მასთან... ისე, თუ გგონია, ვერ ვამჩნევ, რაფერ უფუფუნებ ხოლმე თვალებს ბუხუტიას, ძალიან შემცდარხარ! – იღიმებოდა ქეთევანი.

– იმე! რას ბრძანებთ, ქალბატონო? – ყურებადმდე გაწითლდა თათა და დარცხვენით დახარა თავი.

– კაი, კაი. თქვენ მე რას გამომაპარებთ, თქვე მაკვარანცხებო? ან შენ, ან მაკუნია, ან ის ბოჩოლა-თვალეა ბუხუტია, ისე რო ახამხამებს წამწამებს, ვითომ მამა აბრამის ბატკანი იყოს! კაი ქვემ-ქვემა ვინმე ბრძანდება მაგიც! – ქალბატონი ქეთევანი კვლავ კეთილად იღიმებოდა და სადღაც გუნებაში ტკებოდა ამ სახეალანძული, დარცხვენილი და დაბნეული გოგოების, განსაკუთრებით კი თათულიას-მზერით, პატარა ბავშვივით საით წაელო ხელები რომ არ იცოდა.

ქეთევანმა ახლა ხმაძაღლა გაიცინა:

– წადი ახლა, ბოშო და, აქ მომგვარე ის აყლაყუდა! აპა, ჰე, გაიქეცი! – უბრძანა მოახლეს და გულში კი გაივლო, ამ ბოვშების ბედნიერებას ომის შემდეგ წინ არაფერი დაუდგებაო.

როცა უკვე გამოწყობილ ქეთევანს მოახლეებმა ფერუმარილი მოუტანეს, ქალბატონმა ხელი აუკრა ორივეს – არ არის საჭიროო. გაუკვირდა კიდევ გუნებაში, საიდანა აქვთ ამ ეშმაკუნებს ფერუმარილიო. თავად თითქმის არასოდეს ხმარობდა მას. სხვების ზომაზე მეტად დათითხნილი პირსახეც არ მოსწონდა. მით უმეტეს, დღეს უნდოდა ბუნებრივად, უბრალოდ გამოჩენილიყო სტუმრის თვალში – მეუღლის ბიძაშვილთან, აგერ რამდენი წელი რომ არ ენახა და მოსისხლე მტრად ქცეული, ახლა მოციქულის როლში უნდა მოვლენოდა თავისიანებს!

ერთმანეთს დაპირისპირებული, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული უახლოესი ნათესავები – ერთმორწმუნე რუსის ჯარის ერთ-ერთი მეტაური გრიგოლ წერეთელი და სოლომონ II-ის სარდლის, ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე ქეთევან აბაშიძე, თავის მცირე რაზმით რომ გამაგრებულიყო „მოღინახეს“ ციხე-კოშკში და აგერ უკვე ოთხი დღე იყო, წარმატებით იგერიებდა მტერს – უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და მოლაპარაკება გაემართათ.

... წარმოსადეგი, ბრგე, ჩონხა-ახალუხში გამოწყობილი ჭაბუკი სახეგაბადრული რომ გამოემართა ქეთევანისკენ, ქალი წამიერად დაიბნა, – თითქოს გუშინ ზარბაზნებს არ ვუშენდითო ერთმანეთს, – გაუელვა თავში უნებურად.

თავდახრილი გრიგოლ წერეთელი მოწიწებით მიეახლა ქეთევანს, დაუჩოქა და, ძველი წესისამებრ მის კაბის კალთას ემთხვია. ქეთევანმა თავშეკავებით დაუბრუნა სალაში და თან გაოცებით გაიფიქრა: რაფერ დავაჟაკცებულა მას შემდეგ, რაც არ მინახავსო.

– ჩემო ძვირფასო რძალო, ქეთევან ბატონო, შენ ისევ ისე მშვენინერი და დიდებული ბრძანდები, რაფერიც მახსოვხარ ჩემს ბავშვობაში! – ყურებამდე პირჩახეული ახალგაზრდა კაცი, თვალებგაბრწყინებული, აღტაცებული შესცქეროდა სახეში ქალბატონ ქეთევანს, მისდაუნებურად გაორებული გრძნობა რომ დაუფლებოდა, ასეთი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გულთბილი შეხვედრით გამოწვეული.

ქეთევანმა თავაზიანად მიიპატიჟა სტუმარი ტაბლასთან, თავად კი – მოპირდაპირე მხარეს, სამფეხზე ჩამოჯდა.

თავიდან ზოგადი საუბარი გაიბა – იმ მთისა, ამ ბარისა – ამასთან, გრიგოლ წერეთელი გზადაგზა ქათინაურებს არ იშურებდა ქალის მიმართ, სხვათა შორის, ისიც უთხრა, რომ მის „ლაგერში“ თურმე იმყოფება ერთი განსწავლული „ნემეცი“ ექიმი, საკუთარი სურვილით წამოსული რუსის ჯარში სამსახურად და როდესაც გაიგო, რომ „მოდინახეს“ ციხის გარნიზონს ქალბატონი ქეთევანი სარდლობდა, აღტაცებულმა გაიხსენა ძველი კოლხეთი, მისი მებრძოლი ქალები ანუ ჩვენებურად – ამორძალებიო.

ქეთევანს მყისვე მოაგონდა, ვალიდა აფაქიდის ქალიც რომ ახსენებდა ხოლმე ამორძალებს, კოლხეთს, ჭანეთს და ლაზებს, როგორც თვისტომელებს და იმასაც ეუბნებოდა, აბაშიძეთა გვარი ჭანეთიდან ანუ ლაზეთიდან არის გადმოსული იმერეთშიო.

მაგრამ ახლა ისტორიული ექსკურსების დრო არ იყო, თუმცა ბატონმა გრიგოლმა ისიც გაიხსენა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, პატარა ბიჭზე, ქეთევანის პირველმა დანახვამ, როცა ის ჯვარდაწერილი, ქაიხოსროსთან ერთად გამოვიდა ეკლესიიდან.

– შენ მაშინ სულ პატარა იყავი, გიგო. ასე რაფერ გახსოვს ეს ყოლიფერი? – ცოტა არ იყოს, უხერხული ღიმილით და გაოცებული სახით ჩაურთო ქეთევანმა.

– კი, კი. სამი წლის ვიყავი, მარა გუშინდელ დღესავით მახსოვს ყოლიფერი და ის სურათი არც არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან, ვინაიდან და რადგანაც... – ენამზებოდა სტუმარი, უზომოდ აღფრთოვანებული რომ ჩანდა ქეთევანის გმირული საქციელით, მისი ვაჟკაცური ბუნებით და როცა ამოწურა ხოტბა-შესხმის მარაგი, გრიგოლ წერეთელი, როგორც იქნა, მთავარ სათქმელს მიადგა, ანუ... იწყო საუბარი იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის და მისი სამეფოს გადარჩენის გეგმაზე, რომელიც თურმე შეუმუშავებია რუსთ ხელმწიფეს. ყოველივე ამაზე უფრო დაწვრილებით და დალაგებულად მოახსენებს ქალბატონ ქეთევანს რუსების ჯარების სარდალი პოლკოვნიკი სიმონოვიჩი, თუკი ინებებს ქეთევანი მის ნახვასო.

თავად სიმონოვიჩი მზადაა, თუნდაც ხვალვე ეახლოს ქეთევანს და პირადად მოახსენოს სათქმელი. მანამდე კი ქეთევანმა, რომ ირწმუნოს რუსთა ჯარის სარდლის სიმონოვიჩის განზრახვის სიწრფელე, გიგო მზადაა ახლავე, დღესვე ხატზე დაიფიცოს ეკლესიაში და ამავე დროს შეასრულოს უძველესი, ხალხში დამკვიდრებული წეს-ჩვეულება – დედობილ-შვილობილობისა, ანუ შვილად მოკიდებისა.

ღიახ, ქეთევანმა უნდა დაიჯეროს, რომ გრიგოლ წერეთელიც მამულიშვილია, რომ ზურაბ წერეთლის ვაჟსაც არავისზე ნაკლებად არ შესტკივა გული თავის მრავალტანჯულ ქვეყანაზე, ასეთ უმძიმეს დღეში რომ ჩავარდა, რომ ყველაფერი ის, რაც ხდება, გაუგებრობისა და უნდობლობის ნაყოფია და არა რუსთა ხელმწიფის წინასწარგანზრახული ბოროტება.

– კი, მარა ქართლ-კახეთის მაგალითი ხომ წინ გვიძევს, თავადო, – შეეპასუხა ქეთევანი ფრთხილი ხმით – და ისიც, თუ რაფერ მოექცნენ ჩვენს მეფეს – სოლომონს.

– ჩემო ძვირფასო რძალო, მოდი ყოლიფერს სხვებს ნუ დავაბრალებთ... ჩვენც ძაან გვეხერხება ერთმანეთის წახედნა!

– რუსთა ხელმწიფის ვერაგობა რომ არა, შეიძლება ასე არ დამთავრებულიყო ჩვენი საქმე! – არ შეეპუა ქეთევანი გრიგოლს. და გააგრძელა:

– განა ჩვენმა მეფემ არ მისწერა რუსთ ხელმწიფეს, თუ დამიჯერებთ, მე თვითონ შემოვალ თქვენთან და უცხო ჯარებს – ოსმალოებს აღარ დავეძებ, რომ ღვთის და თქვენი შემაწუხებელი საქმე არა მოხდეს რაო.

– სოლომონ მეფე ოსმალებთან ბრძანდება ახლა!

– მანამდე? მანამდე რა მოხდა-თქვა? გლეხი ივანიკა სარალიძე რომ არა, ჩვენი მეფე ახლაც სატუსალოში იქნებოდა გამოკეტილი, ესეც არ იკმარეს – მარიამ დედოფალს დაესხნენ თავს მოულოდნელად და დაატყვევეს! ეს ეკადრება ესოდენ დიდ, ერთმორწმუნე, ძლიერ სახელმწიფოს და მის ხელმწიფეს?.. განა სწორედ სოლომონ მეფე არ იყო, დაჟინებით რომ მოითხოვდა 1804 წელს დადებული ხელშეკრულების მუხლების შესრულებას?

ესე იგი შინაურ საქმეში ჩაურევლობას, ბაგრატიონთა ტახტის ხელშეუვალობას რომ გულისხმობდა?

განა ისევ რუსებმა არ დაარღვიეს იმერთა სამეფოსთან დადებული ხელშეკრულება? სოლომონ მეფეს ზომ რუსთა მფარველობაზე უარი არასდროს უთქვამს?

გრიგოლ წერეთელი მზერადახრილი ისმენდა ქეთევანის საბუთიან, აზრიან მსჯელობას იმ ცნობილ მოვლენებზე, რაც მაშინ ყველასათვის აშკარა და თვალსაჩინო იყო.

– განა მთავარმართებელმა ტორმასოვმა მოსალაპარაკებლად მისული მეფე არ დაატუსაღა? სხვა რა გზა ჰქონდა გაქცევის და ოსმალებთან თავშესაფრის ძებნის მეტი სოლომონ მეფეს?

გრიგოლი, მცირეოდენი ღუმილის შემდეგ, შემპარავი ხმით შეეპასუხა თვალაკვესებულ ქეთევანს, რომელიც ცდილობდა გრძნობები მოეთოკა და აღელვება არ გამოემჟღავნებინა მოციქულის წინაშე, თუმცა თავს ატყობდა, რომ მთლად კარგად ვერ ახერხებდა განზრახულის შესრულებას.

– რუსთ ხელმწიფეს ბევრ ამბავს არასწორად აწვდის ზოგი მისი ქვეშევრდომი, მარა... ახლა სხვანაირადაა საქმე, ქეთევან ბატონო! რუსთა იმპერატორი ხედავს, რომ მიუხედავად იმისა,

იმერეთის ორივე სამთავრო – გურია და ოდიში მის მფარველობაშია უკვე, თუკი სოლომონ მეფე არ მოინდომებს მფარველობას, მდგომარეობა ძაან აირევა ამიერკავკასიაში, ისევ იპარპაშებენ ოსმალოები და ირანელები, სისხლისღვრა გაგრძელდება და ისედაც გატანჯული ჩვენი ხალხი, უარესად გაიტანჯება. მთავარმართებელს რუსთ ხელმწიფისგან ახალი განკარგულებანი მოუვიდა და სიმონოვიჩის პირით უნდა ახლა თქვენთან მოლაპარაკება.

– ჯერ... ზარბაზნების მეშვეობით, არა?

გრიგოლ წერეთელმა ისევ განაგრძო სიტყვა ისეთი სახით, თითქოს არ გაუგონია ეს გესლიანი შენიშვნა: – ჰო, ჩემო ბატონო, ახლა სხვანაირადაა საქმე-თქვა. ორივე მხარემ უწყის თქვენი გონიერება, სიღარბაისლე, ერთგულება იმერთა მეფისადმი და იმერთა მეფის დიდი ნდობა და პატივისცემა თქვენს მიმართ. რუსების მხარე იმედოვნებს, რომ სწორედ თქვენ შეგიძლიათ ზეგავლენა იქონიოთ მეფეზე, თქვენს მეუღლეზეც და მოხდეს დიდი შერიგება, წყნის დავიწყება, ნდობის აღდგენა, რომ ორივე მხარეს შორის ჩამოვარდეს მშვიდობიანობა.

ჩვენც – მე და მამაჩემი ზურაბი – კვლავ, რაფერც წინათ, დღესაც მზად ვართ ერთად ვიყოთ, ერთად ვიზრუნოთ ჩვენს გაპარტახებულ-გავერანებულ სამშობლოზე. თუ იმერეთი გადარჩება, ქართლ-კახეთსაც ეშველება უთუოდ! აკი ადრეც, ლიხიმერთა თაოსნობით, გაერთიანებულა სრულიად საქართველო ბაგრატიონთა სკიპტრის ქვეშ!

ჩვენ – მე და მამაჩემი და კიდევ ბევრი სხვა, ვინც ახლა, სოლომონ მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ვართ, კვლავ დავდგებით მის გვერდით!

ჩვენ ყველას გვჯერა და გვწამს, რომ თქვენ შეგიძლიათ შეარიგოთ ორივე მხარე, რათა ჩვენი ქვეყანა კვლავ ფეხზე წამოდგეს, წელში გაიმართოს რუსთა მფარველობის ქვეშ და როგორც ოდესღაც – დავითისა და თამარის დროს – გაბრწყინდეს ნიკოფსიით დარუბანდამდის!

მაშინ ვერც ოსმალოები დაგვაკლებენ რამეს და ვერც ირანელები – მიწყით-დასაბამიდან ჩვენი და ქრისტიანობის მოსისხლე მტრები რომ არიან! დანარჩენს თავად ბატონი სიმონოვიჩი მოგახ-

სენებთ, თუკი ისურვებთ მასთან შეხვედრასო, – დაამთავრა გიგო წერეთელმა თავისი სიტყვა.

ქეთევანი სიმონოვიჩთან შეხვედრას დათანხმდა. ოღონდ მანამდე კი გიგო შეასრულებდა ყველა იმ პირობას, რაც აღუთქვა ქალბატონ ქეთევანს, ანუ ხატზე დაფიცებას და შვილობილად მოკიდების წეს-ჩვეულებას, რაც ჯერაც წმინდა ადათად ითვლებოდა მთელ დასავლეთ საქართველოში.

* * *

ციხე-კოშკის ერთ-ერთ მოზრდილ დარბაზში სტუმრის ჩათვლით, ათიოდე კაცი უსხდა სუფრას, უფრო სწორად, თავ-თავისი ტაბლა ედგა ყოველ მათგანს. ვახშმობამდე გრიგოლ წერეთელმა ეკლესიაში, სამების ხატზე დაიფიცა, რომ სიკვდილამდე სოლომონ II-ს, ქეთევანისა და ქაინოსროს ერთგული იქნებოდა და მეფის ღალატს გულში არ გაივლებდა.

შემდეგ გრიგოლს უნდა შეესრულებინა თავისი მეორე პირობა: როცა შეკრებილთა წინაშე ქეთევანი მკერდს მოიშიშვლებდა, გიგო წერეთელს, შვილად მოკიდების ნიშნად – ძუძუებზე კბილი უნდა დაედგა და სამჯერ წარმოეთქვა: შენ – დედა და მე – შვილიო.

ეს იყო ჟრუანტელისმომგვრელი, ამაღლებული სანახაობა. თითქმის ყველას ცრემლი მორეოდა თვალებში. საგულისხმო იყო ის ამბავიც, რომ ამ ძველებურ, ხალხურ წესს ასრულებდა თუმცა წარმოშობით ქართველი, მაგრამ მაინც რუსთ ხელმწიფის მალაჩინოსანი – რუსთა ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური.

აღელვებულმა ქეთევანმა შუბლზე აკოცა თავის შვილობილს და თვალცრემლიანი ღიმილით გვერდზე მოისვა.

დაიწყო პურობა, როგორიც შეეფერებოდა მდგომარეობას – ზომიერი ჭამა-სმით, ზმებით, ხუმრობა-ოხუნჯობით და რა თქმა უნდა, სიმღერით.

გრიგოლის ყურადღება ანაზღეულად მიიპყრო მწდემ, იგი თვალგაშტერებული მისჩერებოდა ერთ ხანს ბუნხუტიას, მერე ქეთევანისკენ დაინარა და ხმადაბლა ჰკითხა – ვინ არის ეს ბიჭიო!

ქეთევანმა თვალებით გაუღიმა შვილობილს – მოგეწონა, არა?
– ასეთი სილამაზე დიდი ხანია არ მინახავს. ვინ არის, სადა-
ურია?

– ჩემი ძიძიშვილის-გუჯი ფერადის ბიჭია. ჩემს შვილებში ვერ
ვარჩევ, ისე მიყვარს.

– გლეხის შვილი და... ასეთი? – წამით გაჩუმდა და მერე
დაამატა: – ნებისმიერ ევროპულ სასახლეს დაამშვენებდა ეს
ყმაწვილი.

ქეთევანს ეამა თავისი გაზრდილის ქება და გრიგოლს ღიმილით
მიმართა:

– მამამისი, გუჯი ნაკლებია? შეხედე ერთი, რა ვაჟკაცია, რა
წარმოსადეგი, რა ზრდილი-ნამდვილი რაინდია!

გრიგოლმა დაკვირვებული მზერით შეათვალიერა მოშორებით
მჯდარი ლურჯთვალეა გოლიათი, მეტწილად მღუმარედ რომ
იჯდა და მღუმარეთვე სვამდა ღვინოს.

– მის გვერდით რომ ზის... ის ვილაა?

– ო, ეს ჩვენი მეციხოვნე ბასილიკაა, ღონღაძე, კრწანისის
ომის მონაწილე... ჩემს ქაიხოსროს ახლდა მაშინ ბრძოლაში...
შემთხვევით გადაურჩა სიკვტილს... დიდი ვაჟკაცი და თავისი
საქმის უბადლო ოსტატი გახლავთ.

– ანუ...

– მეზარბაზნეა! მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ერთხ-
ანად თბილისში იყო. რუსების შემოსვლის მერე დაბრუნდა ჩვენში.

ლხინი გამრავალკეცდა. უცებ, მოულოდნელად გრიგოლმა მრავალ-
ჯამიერი წამოიწყო. სტუმარი კმაყოფილი ჩანდა დღევანდელი
დღით, ქეთევანთან მიღწეული შეთანხმებით, იგი ხომ სვალ დილით
ციხე-სიმაგრეში უნდა შემოსძლოლოდა პოლკოვნიკ სიმონოვიჩს
შემდგომი მოლაპარაკების გასამართავად.

რაკილა სტუმარი აღრიანად უნდა ამდგარიყო, ლხინი დიდხანს
არ გაგრძელებულა, თუმცა ღვინო მაინც ბევრი დაილია.

გრიგოლს პირველ სართულზე, გუჯისთან უნდა მოესვენა
ღამით, ამიტომაც გუჯი და ბუხუტია სტუმარს თავისი სენაკისკენ
წაუძღვნენ, დანარჩენებიც, საკმაოდ შეზარხოშებულნი, თავიანთ
სამყოფელს დაუბრუნდნენ.

... ქეთევანი იწვა თავის ვიწრო საწოლზე და თვალს რული არ ეკარებოდა: ზვალინდელ დღეზე და სიმონოვიჩთან შეხვედრაზე ფიქრობდა, გონებაში მერამდენედ აღადგენდა დღის მოვლენებს, ყოველ წვრილმანს. განსაკუთრებით ჩაკირკიტებდა გიგოს ყოველ სიტყვა-პასუხს, მის ყოველ მოძრაობას, გამოხედვას – თითქოს ვერაფერს პოულობდა საეჭვოს. პირიქით. რა გულიანად მოიღხინა, როგორ იძიერა ყელმოდერებულმა, გუჯიც რომ აიყოლია?..

რა ლაღად იცინოდა!.. გულწრფელი და ალალი ჩანდა იგი მაშინაც, როცა გულისტკივილით წარმოთქვა – ჩვენ, სამწუხაროდ, უფრო ერთმანეთის წახდენა გვეხერხება, ვიდრე ერთად დგომაო. ეტყობოდა, რომ ფრიად მოსურნე იყო მშვიდობიანად საქმის მოგვარებისა.

ძილ-ღვიძილში თავისდაუნებურად გონების დაფაზე ელვისუსწრაფესად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს წარსულის სურათები, ხსოვნის ფსკერიდან ამოტივტივებას იწყებდნენ აწ თითქოს გადავიწყებული ეპიზოდები და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ცოცხლდებოდნენ მისი შინაგანი მხერის წინაშე.

...ნიაღვარივით მომსკდარ მოგონებებში განსაკუთრებით დაჟინებით ქაიხოსროსთან პირველი შეხვედრის სურათი წარმოუდგებოდა თვალწინ. ქაიხოსროს სტუმრობა ბიძამისთან – როსტომ აბაშიძესთან. მერე, როგორც შემდგომ გაირკვა – ეს სტუმრობა მომხდარა თურმე ბიცოლა ვალიდას თაოსნობით და გარკვეულ მიზანს ისახავდა, ანუ შემდგომ შეხვედრას ახალგაზრდებისა – ქაიხოსროსი და ქეთევანის...

ის პირველი ელდა... ქაიხოსროს ანთებული თვალები და ამ მალმერთებელი მხერისგან მოგვრილი თრთოლვა! მერე ერთად ნადირობა...

რა დაავიწყებს იმ წამებს ქეთევანს!.. რა საამური ჩანდა ცხოვრება 16 წლის გოგონასათვის, როგორი იმედით და რწმენით ხედებოდა ყოველ გათენებას – როცა ეგონა, რომ მომავალი მხოლოდ წარმატებას, სიამეს და სიხარულს უქადდა. როგორ ეხალისებოდა აგრეთვე ვალიდა ბიცოლასთან ერთად ღამის ტეხვა

ძველი წიგნების კითხვაში, საქართველოს მომავალზე ბჭობასა და ფიქრში რამდენჯერ შეუმჩნევლად დასთენებიათ! როგორი აღფრთოვანებული იყვნენ სახლეულობა და განსაკუთრებით ვალიდა ბიცოლა სოლომონ I-ის მეუღლის მარიამ დედოფლის, ოტია დადიანის ასულის – შემართებით, გონიერებით: სწორედ მარიამ დედოფლის თაოსნობით მიიღო სოლომონ I-მა ტყვეთა სყიდვის აკრძალვის კანონი... პატარა გოგონასთვის მარიამ დედოფალი და ვალიდა ბიცოლა სწორედ რომ სამაგალითოდ იყვნენ ქცეული.

ქაინოსროს გამოჩენამ ერთგვარად სასწორი მომავალი საქმროსკენ გადახარა, თუმცა სოლომონ I-ის მეუღლე - მარიამ დედოფალი და ვალიდა აფაქიდის ქალი, სამუდამოდ დარჩა მის მენსიერებაში, როგორც ბავშვობის ყველაზე ნათელი მოგონება... დღემდე რომ მოჰყვებოდა, და აგრეთვე ის ღრმა ტკივილი, გამზრდელი ბიცოლას სიკვდილმა რომ მიაყენა...

...დრო გადიოდა. ყმაწვილური აღმაფრენაც თანდათან ქრებოდა, რადგან რეალური ცხოვრება ბევრად უფრო სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ოდესმე წარმოიდგენდა.

გამუდმებული ომიანობა, სასახლის კარის არეულობანი, გაუთავებელი უსიამოვნებანი, შიში, წუხილი, შფოთვა, ცრემლი და მწუხარება – ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, სინარულთან ერთად – მოვალეობასთან, დედობასთან, მეუღლეობასთან გადაჯაჭვულ-გადახლართული რომ იყო.

მერე მამაკაცურმა საქმიანობამ უკანა მხარეს გადაწია ქალის პირვანდელი მოწოდება-დანიშნულება. აკი გადაუკრა კიდევ გრივოლმა ქეთევანს, შენნაირ მანდილოსნებს მამაკაცები ხელის გულზე ატარებენ უცხოეთში, სრა-სასახლეებში აცხოვრებენ და ფუფუნებასა და განცხრომაში ჰყავთო: და არა ისეთ პირობებში, შენ რომ ხარო – შენ კი-აქ გიწევს ყოფნა... – გიგომ არ დაასრულა აზრი, მაგრამ იგულისხმებოდა ის პირობები, რომელშიც იმყოფებოდა მანდილოსანი, დიდი გვარის შვილი, დიდი ოჯახიდან... ისიც შენიშნა გიგოს მახვილმა თვალმა, თავადის ქალი ასეთ გულთბილობას და სიყვარულს რომ იჩენდა გარშემომყოფთა მიმართ – დიდგვაროვანი იქნებოდა იგი თუ დაბალი წოდებისა...

ქეთევანმა ფრიად თავაზიანი, მაგრამ მტკიცე კილოთი უთხრა: იესო ქრისტეს, ჩვენი ღვთის წინაშე - ყველა ადამიანი თანასწორია, ჩემო გიგო, ხოლო რაც შეეხება ჩვენი მანდილოსნების მძიმე მდგომარეობას, საყვარელო, ჩვენ, ქართველ ქალებს სხვა, გამორჩეული ხვედრი გვარგუნა უფალმა – ჩვენ ხშირად ხმლით გვიწევს დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ოჯახი და სარწმუნოებაო.

... მხოლოდ გამთენიისკენ ჩაეძინა ქეთევანს ფიქრებისგან, განცდებისგან, შთაბეჭდილებათა ნაკადისგან გასავათებულს. რამდენჯერმე ღრმად ძილში წასული თავისი მოახლეებისა შემურდა კიდეც! თუმცა, არც ამათ ყოფას ეთქმოდა უზრუნველი არსებობა. დიახ, ამ პატარა გოგოებსაც, მის ფრთებს ქვეშ რომ იყვნენ შეეუყული და მისი იმედით რომ სულდგმულობდნენ მხოლოდ – ერთობ უჭირდათ.

... უცებ ვერც გაიგო, რა ხდებოდა?

თათას და მაკუნას შემლილმა სახეებმა და ხმამალმა ტირილმა მყისვე მოიყვანა გონს ძილიდან ახლად გამოფხიზლებული. ზეაიჭრა:

– რა, რა იყო, ბოვშებო?!

– ქალბატონო... ქალბატონო... დევილუბეთ... რუსის ჯარი... რუსის სალდათები...

რუსის ჯარიო?!

თოფების ხათქა-ხუთქი, ველური ყიჟინა გარკვევით შემოიჭრა ციხე-კოშკის მეორე სართულის ოთახში. წამიც და... რამდენიმე რუსის სალდათი ხმაურით, ბრაგუნით შემოცვივდა ქეთევანის სამყოფელში.

დამბლადაცემულივით გაშეშებულიყო თვალებადქცეული ქეთევანი. ვერა და ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა? რა მეხი დაეცათ თავზე ასე უცბად, ასე მოულოდნელად?

ერთი ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი ქეთევანს მიეჭრა და უკმეხი კილოთი უთხრა, ქვემოთ წამობრძანდით, ქალბატონო.

ქეთევანი თითქოს ბურანიდან გამოერკვა.

– შიშველი?... – და თვალი თვალში გაუყარა მოძალადეს.

– ჩაიცვით, ქალბატონო, ჩაიცვით! – თვალები დახარა მოძ-

დურმა და ანიშნა რუსის სალდათებს – გარეთ დაიცადეთო. თავადაც ღია, ვიწრო კარში ჩაღვა ზურგშექცევით.

აქვითინებული მოახლეები მიცვივდნენ ქალბატონს და ხელების ცახცახით, ცრემლების ფრქვევით ჩაცმაში ეშველებოდნენ.

ქეთევანი იცვამდა და თან გამალებული გონებით ცდილობდა გაეაზრებინა, როგორ და რანაირად დატრიალდა მათ თავზე ეს უბედურება.

ნუთუ?!

მაგრამ...

ვით შეძლო?

რანაირად მოახერხა?

ან კი...

ეგებ... ეს, რაც ხდება ახლა, სიზმარია, ან ეჩვენება ქეთევანს ისე, როგორც ეზმანა ვალიდა ბიცოლა წინა საღამოს?

სროლის ხმა ისევ ისე გარკვევით მოისმოდა ეზოდან.

... გუჯი, ბუხუტია?.. სად არიან?..

სად იყვნენ გუშაგები? აკი მათ ევალეოდათ კოშკის დაცვა? რა დაემართათ?.. ბასილიკა? ბასილიკა სადღაა? – ელვის სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს კითხვები და, პასუხგაუცემლნი, ასევე სწრაფად ქრებოდნენ.

სალდათები ისევ შემოიჭრნენ ოთახში.

... - Ану, сука, быстро... быстро...

მერე, როცა რამდენიმე სალდათმა აზღუქუნებულ მოახლეებს ჭიდაობა დაუწყო და თან ძალით გარეთ მიათრევდნენ – მეხდაცემულმა, გონდაკარგულმა ქეთევანმა, სახეზე მიტკლისფერი რომ დასდებოდა – გოგონებისაკენ გაიწია:

– ხელი... ხელი არ ახლოთ ამათ, თქვე ოხრიშვილებო!

ქართველმა ოფიცერმა ქეთევანს გასასვლელისკენ უბიძგა: – დროს ნუ ვკარგავთ, ქალბატონო! მიბრძანდით, მიბრძანდითო!

ქეთევანმა, რისხვისგან თვალანთებულმა, კვლავ სცადა მიშველებოდა აკივლებულ გოგონებს, სალდათები ხორხოცით, ჭიხვინით რომ შემორტყმოდნენ გარშემო, მაგრამ რამდენიმე ჯარისკაცმა მკლავებში ჩასჭიდა ხელები და ჯიკავ-ჯიკავით ჩაიყვანეს იგი პირველ სართულზე.

... ქეთევანმა უანგარიშოდ, თვალით ძებნა დაუწყო მამა-შვილს, ქვედა სართულის ოთახში რომ ეგულებოდა. მაგრამ იქ, რუსის სალდათები დაშლივინობდნენ ახლა უწმაწური გინებითა და ღრიალით.

„ვაიმე შვილო!.. ვაიმე, ძმაო გუჯი!“ – უხმოდ, გულის სიღრმეში იკივლა ერთბაშად ქეთევანმა.

მერე, მუხლმოკვეთილმა, საშინელი ძალისხმევით შეძლო არ ჩაკეცილიყო, რიკულებიან მოაჯირს ორივე ხელით დაეყრდნო და უსამველო ტკივილისგან გაგანიერებული თვალები ირგვლივ მიმოატარა.

ეზო სავსე იყო მოგნიასე რუსის სალდათებით. აქა-იქ ქართულად ჩაცმული მოხალისეც შერეოდა მათ. უკვე აღარ ისმოდა სროლის ხმა. ჩანდა, რომ საქმე მომთავრებულიყო. თუმცა ხმაური და ღრინაცელი არ წყდებოდა. ეზოში აქა-იქ დახოცილთა გვაძები ეყარა.

ქეთევანისთვის დაახლოებით ნათელი შეიქნა, რა მოხდა ამ დილაუთენია. როგორც ჩანდა, გრიგოლ წერეთელმა ვითომდა მხოლოდ სიმონოვიჩის შემოსაყვანად, ქალბატონთან მოლაპარაკების მიზნით – კარი გააღებინა დარაჯებს. ამ დროს გარეთ, ციხის გარშემო ჩასაფრებული რუსის როტა შემოიჭრა და ღრმა ძილში წასულ მეციხოვნეებს მოულოდნელად თავს დაესხა, ნაწილი გაწყვიტეს, ნაწილი კი – ტყვედ აიყვანეს.

„გუშაგები?.. სად იყვნენ გუშაგები?“

ქალი თავზარდაცემული, აზრშერყეული იდგა და უაზროდ აცეცებდა ლიბრგადაკრულ თვალებს, ტუჩებზე კი – მკვდრის დიმილი შერჩენოდა.

ქეთევანმა უცებ... მისკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალი გრიგოლ წერეთელი შენიშნა.

„ცულს მოვიტან, ცუნცულასა...“

ქეთევანმა ანგარიშში უცემლად მარჯვენა ხელი ისე მაგრად მოიჭირა მკერდზე, რომ სუნთქვა შეეკრა. მუხლები კი – ისევ ისე უთახთახებდა – ამ კანკალს ვერა და ვერ მორეოდა.

გრიგოლმა კიბის რამდენიმე საფეხური სწრაფად ამოიბრინა და დედობილს წინ აესვეტა. შეძრწუნებული, სახეგამტკნარებული

ქეთევანი თვალდაუხამხამებლად მიშტერებოდა შვილობილს.

ნუთუ ეს გამხეცებული, თვალეზისხლიანებული, ტურ-პირ-მონგრეული ახალგაზრდა კაცი იყო წუნანდელი დარბაისელი, თავაზიანი, სანდომიანი ვაჟკაცი, ენადათაფლული, აღტაცებული მზერით თვალ-წარბში რომ შესციცინებდა თავის ღვთივმშვენიერ დედობილს?

ღმერთო დიდებულო!

ნუთუ შესაძლოა ასეთი ფერისცვალება ძე-ხორციელისა? და...

ნუთუ... შესაძლოა დედის ნაშობმა ჩაიდინოს ასეთი საზარელი დალატი? ფეხით გათელოს, შეაგინოს და ჩაწიხლოს ყოველის-ფერი, რაც კი წმინდათა წმინდად მიაჩნია ქართველ ადამიანს?

რატომ? რის საფასურად ესოდენი ბოროტება?

– დამთავრდა ესე ამბავი თქვენი გმირული თავდადებისა, ქალბატონო ქეთევან! ახლა თქვენ, „ჩემო ძვირფასო დედობილო“, რუსის ჯარის და პირადად ჩემი ტყვე ბრძანდებით! – ტყვიასავით მიახალა გიგომ ქალბატონ ქეთევანს ეს სიტყვები და ტურებზე გესლიანმა ღიმილმა გადაურბინა. შემდეგ ცოტა განზე გადაა და ხელის მოძრაობით ანიშნა, ეზოში ჩამოსულიყო.

„ვისი ტყვე ვარ მე? შე მონავ! მონავ! მონავ!“ – გაურბინა თავში ქეთევანს და ზარატანილმა, ნებისყოფის არაადამიანური დამაბებით, შეძლო წელში გამართულიყო, სხეულის კანკალი დაეოკებინა. ხოლო მის მორღვეულ თვალეზში უცებ მრისხანების კოცონი აენტო:

– მაშ, ერთმანეთის წახდენა კარგად შეგვძლება ჩვენ, გრიგოლ ბატონო, არა? – სიტყვების დამარცვლით წარმოთქვა ქეთევანმა და თვალი თვალში გაუყარა მაზლისწულს:

– ფუი, შეგირცხვეს ულვაში, შე არაკაცი!

შემაფურთხესო?

გამძვინვარებული გიგო ანაზღად ნაწნავებში წვდა თავის დედობილს, მას მყისვე ორი ჯარისკაცი მიეშველა და ქალბატონი ქეთევანი თრევა-თრევით ჩაიყვანეს გვაშებით მოფენილ ეზოში. უცებ, ეკლესიიდან გამოვარდნილი მამა ზოსიმეს ხმა ჩაესმა გონებადაბინდულ ქალს:

– იუდა ისკარიოტელო, იუდა ისკარიოტელო! იუდა ისკარიოტელო! კრულ იყოს შენი სახელი უკუნითი უკუნისამდე!

ქეთევანმა ნისლჩამდგარი თვალით დაინახა, როგორ მისცვივდნენ სალდათები მღვდელს, როგორ ჩაავლეს წვერში ხელები და რა უშვერი ლანძღვა-გინებით დაუწყეს ჯაჯგური, მერე ძირს დააგდეს და ზედ შედგნენ.

„ერთმორწმუნე“ რუსის სალდათები, „ერთმორწმუნე“ ქართველ მოღალატეებთან ერთად – დაუნდობლად ანგარიშს უსწორებდნენ „ურჯულ ბასურმანს!“

...უეცრად კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. წამისწამში გაილუმპნენ სუყველანი – მომხდურნიც და ტყვედქმნილნიც. ერთბაშად ჩამოწოლილ ნისლში თითქმის შეუძლებელი გახდა ერთმანეთის გარჩევა.

ქალბატონი ქეთევანისთვის კი უკვე სულერთი იყო: ცა ჩამოიქცეოდა თუ... მიწა გაირღვეოდა... რამეთუ მისთვის დრო-ჟამს დინება შეეწყვიტა!

* * *

მოგონებათა ბურანში წამიერად ჩაძირული ილუმენია... გამოერკვა. მის წინ დაჩოქილი მოხუცი თავადი, გულში ორივე ხელით ქუდი რომ ჩაეხუტებინა – ყრუ, ჩახრინწული ხმით ლულლულედა:

– ველარ მიცანი ხო, დედაო?... გიგო ვარ, შენი შვილობილი, შენი მაზლისწული, ღვთისგან და შენგან შერისხული, შენდობის მვედრებელი და მახვეწარი... – შეკავებული ტირილისგან მხრები უთახთახებდა. და ილუმენიას კალთაში მალავდა სახეს.

გაოგნებული, შემცბარი ილუმენია გამოერკვა, დაინხრა და თავზე ხელი დაადო ბერიკაცს:

– ღმერთმა შეგინდოს, შვილო!.. აბრძანდი, შენი ჭირიმე... რაფერ ვერ გიცანი?... დიდი ხანია არ მინახინხარ, მარა... აბრძანდი, ბატონო, აგერ აქ, ამ სკამზე დაბრძანდი... ღმერთმა გიშველოს!.. უფალი იყოს შენი მწყალობელი, შვილო!.. დაწყნარდი, გენაცვალე!

– არა, არ ვარ ღმერთის და შენი წყალობის ღირსი, დედაო, მარა... არ მინდოდა, ჭეშმარიტად არ მინდოდა ისე წავსულიყავი

ამ ქვეყნიდან, რომ... შენ... შენ არ მენახე!.. ვიცი, უკვე გვიანაა ყო-
ლიფერი, მარა... შენდობა და პატიება რო არ მეთხოვა შენთვის...
არ შემეძლო! – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვამდა სიტყვებს გიგო
წერეთელი და ადგომას არ აპირებდა.

– ღმერთმა მოგიტევოს და შეგინდოს, შვილო გიგო! ახლა
აბრძანდი, შენი ჭირიმე, ძალიან გთხოვ!.. ჩვენი უფალი იესო
ქრისტე სულგრძელი და მიმტევებელია... იგი ხომ მონანულთა
ღმერთია, შვილო!.. უცოდველი კი, სამწუხაროდ, არავინაა ამ
წუთისოფელში!

გიგო ნელ-ნელა, გაჭირვებით წამოიძარათა, ილუმენია მიეშველა
და იგი მაგიდასთან, მითითებულ ადგილზე მძიმედ დაეშვა. ილუ-
მენიამ კი მაგიდას შემოუარა, დოქიდან წყალი დაუსხა ჭიქაში
და მიაწოდა, თავად მოპირდაპირე მხარეს, საკარცხულში ჩაჯდა.

გიგომ ჭიქიდან წყალი მოსვა აცანცახებული ხელით, მერე
მაგიდას დააშტერდა. მცირე ხნის შემდეგ ყრუდ წარმოთქვა:
– ცოდვა ცოდვას გააჩნია, დედაო, ცოდვა ცოდვას გააჩნია! –
გაიმეორა და ისევ გაჩუმდა, თითქოს ცოდვათა სიმძიმეს წონისო.
მერე ჩუმი, ძლივს გასაგონი ხმით გააგრძელა:

– მე... ღვთისაგან და კაცისაგან მიუტევებელი ღალატი ჩა-
ვიდინე მაშვინ, დედაო... შენც... წარმოუდგენელი, გაუგონარი
შეურაცხყოფა მოგაყენე, მარა... საუბედუროდ ჩემდა, შემდგომშიც
მთელი ჩემი ცხოვრება ცოდვებში გავატარე, დედაო!.. ჰოდა, მიწია
კიდევ ღვთის რისხვამ... – გიგო ისევ დადუმდა, ილუმენიაც მდუ-
მარებდა ერთ ხანს, მერე წყნარი ხმით და ნაღვლიანი, მკრთალი
ღიმღიმით წარმოთქვა:

– ისე... შენც დაბერებულხარ, გიგო შვილო... თმა მთლად
გაგეთორებია!

– ეჰ, დრო უღმობელია, დედაო!.. ნნ წლისა გავხდი უკვე,
მარა... მხოლოდ წლებმა როდი გამტეხა ასთე... – წამით შეყ-
ოვნდა: – დიდი ხანია მინდოდა მენახე, შენმა სიცოცხლემ! მარა...
ველარ ვბედავდი-თქვა შენთან მოსვლას, რაფერ უნდა შევხედო-
თქვა... რა პირით!.. ახლა კი, ახლა უკვე სიკვდილის პირზე მის-
ულმა ბერეკაცმა, გადავწყვიტე, რაც იქნება იქნება, უნდა შევხვდე
აუცილებლად-თქვა! ჰოდა, გამოვსწვი აგერ, აქეთკენ... ამ მხარეში!

– ჰოო, სულკურთხეული ბიცოლა ვაღიდას სამშობლოში, ამ წმინდა სამყოფელში ვარჩიე გამეტარებინა ღარჩენილი სიცოცხლის დღეები. აქანა მიმებარებინა უფლისთვის ჩემი ცოდვილი სული!

– ცოდვილიო?! დედაო, შენ და... ცოდვა?! მაშინ მე რაღა უნდა ეთქვა, მე ღვთის გარეგანმა და შეჩვენებულმა? მართლა იუდა ისკარიოტელმა, რაფერადაც მიძახოდა მაშინ მამა ზოსიმე!

– ყველას თავ-თავისი ცოდვა ამბიძებს, გიგო შვილო! – იღუმენიამ ისევ იყუჩა წამით, მერე ჩუმი ხმით გააგრძელა: – ამ ხელებს იმდენი ცოდვა აქვთ ჩადენილი!.. რამდენი სისხლი სცხია არა მარტო ფრინველ-ნადირისა, ადამიანებისაც – თუნდაც მტრების იყოს ის!.. რაც მთავარია – რამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა მაშინ ჩემმა უგუნურებამ და წინდაუხედაობამ... რამდენი საყვარელი ადამიანი დაიღუპა ჩემი გამოსობით, ჩემს გამო. რაც მთავარია, ხო ლახვარი ჩაეცა მაშინ გაღარჩენის თუნდაც მცირეოდენ იმედს!

– არა... არა... მაგი არ თქვა, დედაო ქეთევან! უგუნურობით არ მოგსვლია მაგი შენ! უგუნურება არ ეთქმის ნლობას... პირიანი ადამიანი ვერ წარმოიდგენს სხვის პირშობას. ო, არა, მაგას ნუ იტყვი, დედაო!..

– შეიძლება ასეც იყოს, მარა... მე ჩემს თავს არ ვპატიობდი იმ დანაშაულს... სიკვდილს ვნატრობდი... მარა... ვერ მოვიკალი თავი!.. უარესი ცოდვის ჩადენის შემეშინდა უფლის წინაშე!.. ჩემი ქაიხოსროს და ოჯახის წინაშე მოვალეობამაც შემაბრკოლა... ალბათ! – კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, მძიმე, დამუხტული სიჩუმე. პირველი გიგო ალაპარაკდა:

– შენ არაფერ შუაში იყავი, დედაო... შენ კი არა – მე მადევს ის უმძიმესი ცოდვა... ჩემდა საუბედუროდ, ამას გვიან მივხვდი ოღონდ, ძან გვიან! სანამ ჭერი არ ჩამომენგრა თავზე, სანამ არ დავიქეცი და არ გავნადგურდი, მანამ გონს ვერ მოვეგე!.. ეშმაკმა მძლია და წარწყმიდა ჩემი სული და ხორცი და... იმიტომ!..

აწი რაღა ღროსია თითზე კბენანი? რამდენიც არ უნდა ვივიშვიშო და რამდენიც არ უნდა წავიშინო თავში ხელები, რამდენ-

ჯერაც არ უნდა ამოვიფეროთხო გული ჩემს მოძღვართან – ნუგეშს და საშველს ვერა და ვერ ვპოულობ! – წამით დადუშდა – შენი არ იყოს, დედაო, მეც სიკვდილს ვნატრობდი დღემუდამ, მარა... გლახაკი აღმოვჩნდი. ვერ მოვისწრაფე სიცოცხლე, თუძცა... რა აზრი აქვს ჩემს არსებობას? ანდა, რა აზრი აქვს სინანულს უზნეო, სულწაწყმედილი კაცისა?

– მონანიება არასდროს არაა გვიან, შვილო გიგო...

– ახლა რომ ვფიქრობ და ვიგონებ, რამ ჩაგვადენინა-მეთქი მაშინ მე და მამაჩემს – ღმერთმა უშველოს მის სულს – ის საშინელი ღალატი და გაუგონარი უზნეობა? რამ და - სიძულვილმა, სიხარბემ და... შურმა, ჩემო ბატონო! თქვენი გამარჯვება ხომ ჩემი და მამაჩემის დამარცხება იქნებოდა, ე.ი. ჩვენი კეთილდღეობის დასასრულს ნიშნავდა მაგი!

თქვენი გამარჯვება მე და მამაჩემს, ჩვენს ოჯახს საერთოდ, გარიყავდა იმ სიკეთისგან, იმ... საშოვარისგან, რუსთ ხელმწიფე რომ გვპირდებოდა: ისე, რუსთ ხელმწიფე იქნებოდა მწყალობელი, ხონთქარი თუ შაკი – ამას ეტყობა, მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩვენთვის!.. მთავარი იყო – წყალობა არ მოგვკლებოდა, არ მოგვკვლებოდა... სიმონოვიჩის სკივრში ჩალაგებული ოქროს მონეტები!..

მერე... თქვენი სახელიანობაც ხომ გეშურდა და გეშურდა!.. კი, კი, მასთე იყო! მამაჩემი და მე ვერ გაპატიობდით, რომ ზნემაღალი იყავით და... ხალხს რო უყვარდით – მდაბიოს თუ წარჩინებულს – ეგ სულერთი იყო!..

ცხონებულმა მამაჩემმა ვერაფრით ვერ მოინელა ის, ბოლოს ლიონიძე რომ გააგზავნა ელჩად სოლომონმა რუსთ ხელმწიფესთან.

რაფერ?.. თვითონ ხომ სახლთუხუცესი იყო, რუსთ ხელმწიფის კარზე ორჯერ ნამყოფი ელჩად... ლიონიძე ვინდა იყო? მერე რა, რომ ერეკლე II-ის მრჩეველი გახლდათ? იმერ-ამერის გაერთიანების ერთ-ერთ მთავარ მოთავედ ხომ თავის თავს მიიჩნევდა ზურაბ წერეთელი?

ჰოდა, მედიდურობამ, ამპარტავნობამ – სოლომონ მეფის მტრად აქცია ადრე მის სამსახურში ჩამდგარი სახლთუხუცესი! ოქროს წყალობით, უშურველად რომ აგზავნიდა რუსთ ხელმ-

წიფე, ზურაბმა ბევრი თავადი და აზნაური გადაიბირა თავის მხარეზე... ეს შენც კარგად მოგეხსენება, დედაო. ბევრი გაუორგულდა საკუთარ მეფეს... ჩვენებურები ხომ ოქროს გულისთვის სულს მიჰყიდნიან ეშმაკს!.. ოქროა ის საცთური, რის გამოც არ ერიდებიან-თქვა სულის წაწყმედას და რის გამოც მეფესაც და ქვეყანასაც უყოყმანოდ გაწირავენ!..

რუსთ ხელმწიფისგან გამოგზავნილმა ოქროს სიმრავლემ და ჩვენებურმა ზვიადობამ აკი ჩემი გამეფებაც აფიქრებინა მამაჩემს!..

კი, კი, ეგრე იყო! რითი ვართ ბაგრატიონებზე ნაკლებიო! მით უმეტეს, როცა დიდი იმპერატორი წყალობას და მფარველობას არ მოგვაკლებს... ოქროსთან ერთადო!

რატომ არ უნდა ისარგებლო ქვეყნის გაჭირვებული მდგომარეობით? რატომ არ უნდა გამოიყენო ის არეულობა, რაც ჩვენში სუფევს?... აკი ნათქვამია, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. კი, კი, ასთე იყო, დედაო! ამას პირველად შენთან ვამბობ...

„მოდი-ნახეს“ ალების ის მზაკვრული გეგმაც ხომ მამაჩემმა მოისაზრა! აპა, ვინ წარმოიდგენდა, რო იმ სიშორიდან წამევიდოდა რუსის ჯარი, ჩვენი მეგზურებისგან გეზშიმართული, მთელი ღამე ივლიდა მუხლჩაუხრელად და უჩუმრად შემოერთყმოდა ციხესიმაგრეს... რო თქვენს რიგებში შეგზავნილი ჩვენი რამდენიმე მოძხრე მოახერხებდა ქონგურებზე ღამენათევი გუშაგების ჩანაცვლებას – სხვათა შორის, ჩემი გამოჩენა – თქვენთან ვითომ მოსალაპარაკებლად – მათთვის ხომ ნიშანი იყო მოქმედებისა!.. და მერე: ზურაბი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ... შენ წამოგეგბოდი მის ანკესზე... ერთხელ, მახსოვს – თქვა, ჩვენი მოდგმა მიამიტი, მალემრწმენიაო, ადვილად იჯერებს ლამაზ ტყუილებსო!..

შენმა ძიძიშვილმა და მისმა ბიჭმა მიმაცილეს მაშვინ ჭიშკრამდე და გააღებინეს კარები დარაჯებს, რომ სიმონოვიჩს შემოვძლოლოდი... ვითომ მოსალაპარაკებლად!..

პირველი მსხვერპლნიც სწორედ ის უბედურები შეიქნენ – უცაბედად შემოჭრილი რუსი სალდათებისა – მთელი ღამე ბუჩქებში რომ იყვნენ ჩამალულ-ჩასაფრებული – შესაფერისი ჟამის მოლოდინში!.. ანუ... ელოდებოდნენ კარის გაღებას!

გიგომ ისევ შეისვენა და შემდეგ მძაფრი, ალგზნებული ხმით კვლავ განაგრძო:

– ამ მუხთლობის საზღაურად, მე ყმაწვილმა კაცმა, მაიორის ჩინი, ოქროს ხმალი, წმინდა ანას ორდენი მეორე და მესამე ხარისხის – მივიღე მაშვინ. მამაჩემს კი ერგო გენერალ-მაიორის წოდება, 1200 მანეთი დაენიშნა პენსია, ჯგამაგირი – ჩინისამებრ, ამას გარდა ზურაბს მიართვეს წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენი, სხვა ჯილდოებზე რომ არაფერი ვთქვა!..

ჩვენზე მდიდარი, გალალებული, მთავრობისგან პატივდებული სხვა იმხანად არავინ იყო მთელს იმერეთში – ეს შენც ხომ კარგად გეხსომება, დედაო?.. უჩვენოდ თითქოს ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა ცაზე და მიწაზე ჭიანჭველა ვერ გაივლიდა! რაც მომეპრიანებოდა – ყოლიფერი უნდა მქონოდა და... მქონდა კიდეც!.. გადაბმულ ქეიფებში რუსის ოფიცრებთან და მალაღჩინოსნებთან დროსტარებაში, განცხრომასა და სიამტკბილობაში ვათენ-ვალამებდი! ქალებს ხომ, უკაცრაული პასუხია და... ცხვირსახოცივით ვიცვლიდი...

შემეჩინილთ ვერა და ველარ ვძლებოდი... სულ უფრო და უფრო მეტი მინდოდა!.. მართლაც კრული ყოფილა კაცის გული, დედაო, ხარბი და გაუძღომელი. ველარ მოვპირე იგი ვერასდიდებით! – გრიგოლი შეჩერდა წამით და ისე ამოიხვნეშა, თითქოს გულ-ღვიძლი თან ამოაყოლო: – ჩემი ცხოვრების მიზნად იქცა მხოლოდ მოხვეჭა, მოხვეჭა ქონების, სიმდიდრის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოხვეჭა სახელის – ალექსანდრე მაკედონელივით, მთელ დუნიაში თუ არა, იმ უბადრუკ საბოსლეთში, საცა გიწვევს ყოფნა, ანუ... პირველობა ყოველგან, ყოლიფერში! არც ერთი კეთილი საქმე არ მოაგონდება ჩემი არავის. არც ერთი! მე მხოლოდ – როგორც წელანაც ვთქვი – ჩემთვის მივითლიდი მხოლოდ ყოველიფერს, ჩემთვის, მარტო საჩემოდ და ჩემი... სახლობისთვის! მე რომ ლხინსა და შექცევაში გახლდი, სხვები – ტიროდნენ! რამდენი ადამიანი გამიმწარებია, რამდენი ოჯახი ამიკლია და გამიუბედურებია! მე – არავინ მენალვლებოდა! არავის ვინდობდი!

ჩემი ძმა სიმონიც არ გავიკარე ახლოს, თუმცა მთავრობისგან უკვე შეწყალებული იყო. არც ძმისშვილების დანახვა მინდოდა თვალთ!.. თან... ნიშნს ვუგებდი ჩემს გარშემო სუყველას: აი, შე-

მომხედეთ, ვინა ვართ! რა შეგვიძლია მამა-შვილს-თქვა!.. – გრიგოლს ხმა ჩაუწყდა კვლავ. მერე ისევ განაგრძო მღელვარებით.

– ... მამა რო გარდაიცვალა, თითქოს უფრო გავდიდგულდი კიდეც. უფრო გავმედიდურდი, გავამპარტავნდი! ხო არ გგონიათ, რაიმე დამაკლო ზურაბის სიკვდილმა-თქვა – ველაგებოდი ვილაცხეებს გუნებაში! თქვენ იკითხეთ, თქვე უღლეურნო, საცოდავებო, მისდღემჩი რო ლატაკნი და მშიერ-მწყურვალენი ხართ!.. თქვენ ხო მხოლოდ იმისთვის გაჩნდით, რო მე და ჩემისთანებს ემსახუროთ, ეყმით, დაემორჩილოთ, რათა... ჩვენ – რჩეულებმა ბედნიერად, კმაყოფილად ვიცხოვროთ, რომ ღვინში, განცხრომასა და ფუფუნებაში დავლით დღენი ჩვენნი, ხოლო თქვენ კი უბადრუკნო, თქვენი წუთისოფელი დღედაღამ უნდა ღვართ ოფლი ლუკმაპურისთვის! ასეთია თქვენი ხვედრი-თქვა! ასეთია თქვენი ბედის განჩინება! – ისევ ჩაუწყდა ხმა გრიგოლს:

– ათასში ერთხელ თუ შემახსენებდა თავს „მოდინახე“ და ისიც მაშინ, როცა კვლავ ნიშნი უნდა მომეგო ვინმესთვის... – თითქმის ჩურჩულით მარცვლავდა სიტყვებს: – რამცა სადა გაუმარჯვდეს კაცსა ფიცთა გამტეხელსაო. ჰმ, რაფერ შეიძლება რუსთაველს არ სცოდნოდა-თქვა, თუნდაც გიორგი მესამისა და მისი კარის მუხთლობანი! კი, მცირე გამონაკლისებიც არის ისტორიაში, ვთქვათ, თამარის და დავით აღმაშენებლის სახით, მარა რა მერე, კაცობრიობის მატრიანებში ხომ უმეტესწილად მარულა გაუმართავს და ზეობს ბოროტება, ძალმომრეობა, სიავე, შური, სიძულვილი, ღალატი და ათასი სხვა უკეთურობა!.. ეს მელექსეთა სურვილია, მათი ოცნებაა-თქვა – სიკეთემ გაიმარჯვოს ბოროტებაზე! მეტი არაფერი!.. სინამდვილეში პირიქითაა ყოლიფერი-თქვა! სწორედ პირიქით!

გიგო ისევ დადუმდა. მერე მისი ბაგე-პირიდან კვლავ გადმოსკდა სიტყვების ნიაღვარი:

– მე სიკვტილსაც არაფრად ვაგებდები, ოღონდ – სხვისას! ქაინოსროს, მანამდე კი სოლომონ მეფეს – ტრაპეზუნდში რომ გარდაიცვალა უპატრონოდ – ვაქილიკებდი გუნებაში: ხო დაგეყარათ შავი მიწა, ხო დაგიბნელდათ მზე? აი, მე კი – ცოცხალი ვარ, ჯანსაღი, მხნე, მდიდარი, რუსთ ხელმწიფისგან და მთავრობისგან

გალაღებული, აღზევებული, იმპერატორის კარზე მიღებული... მე და ჩემი შთამომავლობა – უზრუნველყოფილი ვართ და ვიქნებით... სამიღვდემიოდ!.. – გიგომ იყუჩა და მერე ისევ განაგრძო მღელვარებით:

... მახსოვს, სიმონოვიჩმა პირველად რომ მაჩვენა ოქროს მონეტებით სავსე სკივრი – ესო ხელმწიფე-იმპერატორმა გამოვზავნა, რათა რუსის მთავრობის ერთგულები დავაჯილდოვოთო... ამდენი ოქროს დანახვაზე სუნთქვა შემიკრა, გამოვშტერდი.

მამაჩემი ზურაბი ყოველთვის მოითხოვდა იმპერატორისაგან ბევრ ფულს ღიდებულ თავადთა მოსასყიდად და აკი ეწეოდა კიდევ საწადელს!..

იმ ოქროთი, სიმონოვიჩის სკივრიდან რომ მერგო, იმ ჩინ-მედლებით, იმ ოქროს ხმლით – ღალატის საფასურად რუსთ ხელმწიფემ რომ მიბოძა – თავი მოგკეონდა და ვამაყობდით. გვესახელებოდა!.. კი, კი, გვესახელებოდა ჩვენი მონური სამსახური! და... განა მარტო მე და მამაჩემი ვიყავით ასეთი სულმოკლენი?

რუსთ ხელმწიფე რო ჩამევიდა ჩვენში, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით იმიერის თუ ამიერის წარჩინებულები, ვინ უკეთ გაუგორდებოდა ფეხ-ქვეშ გადამთიელ იმპერატორს!.. ჩვენ ხო, ოღონდ ჩვენს მეფეს არ დავემორჩილოთ და – ვის არ დავუდგებით ყმებად!

ზოგმა რა არ ჩაიდინა, რა არ იკადრა! ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ოღონდაც... ჩინი მიელო – პოლკოვნიკობა იქნებოდა ეს თუ გენერლობა. ოღონდ რამეფრად დაწინაურებულიყო სამსახურში და მზად იყო საკუთარი ცოლი ჩაეწვინა ხელმწიფისთვის, ან – ასული გაებახებინა! კი, იქამდისინ მივედით!.. იქამდისინ დავეცით!..

ზოგ-ზოგი ნამუსგაქნილი შემორიგებული - ტოლს არ უდებდა ერთმანეთს მთავრობის წინაშე ბეზლობასა და ქლესაობაში! 20 წლის აჯანყებაშიც სწორედ შემორიგებულთაგან ბევრმა „გამოიჩინა თავი“ და მოძმეთა სისხლში გაისვარა ხელი!..

რომელი ერთი ვთქვა – საქმენი ჩვენი „საგმირონი“? ჩვენი ეშმაკზე სულმიყიდულობა? ჩვენი მუცელღმერთობა? აკი ღმრთისა მიმართ ვილოცოთო – შეიცვალა ჩინის თუ... ფულის მიმართ ვილოცოთო!..

მერე, დიდი ხნის მერე, სიბერეში, სიმწარე რომ ვნახე მრავალ-
გზის, მერე მივხვდი, მერე გავიაზრე, მე რეგვენმა, რას ჩავდიოდით
და... ჩავდივართ დღესაც!.. თუმცა, ეგ ჩვენი სიგლახეები ხომ შენც
უკეთ უწყი... დედაო!

– ჩემო გიგო... ზნეობრიობას ყოველთვის უჭირდა, ყოველ დრო-
ში... მითუმეტეს, ჩვენისთანა დამონებულ, გაპარტახებულ ქვეყანაში,
სადაც... დიდი ხანია მკვიდრობს ბიწიერი, მონური სული და საერ-
თოდ, ეროვნულობის, სახელმწიფოებრიობის შეგრძნების დაკარგვა
იწვევს ხოლმე ხალხის, საზოგადოების დიდი ნაწილის - ნახი-
რად ქცევას, მხოლოდ საკუთარი კუჭის ამოყორვისთვის ზრუნვას!
სატანა აკი ამით სარგებლობდა ყოველთვის და... სარგებლობს
დღემდინ!

– კი. კი. ასეა, სამწუხაროდ, დედაო!

გიგო წამით დადუმდა. მერე კვლავ წამოიწყო:

– მართლაცდა, რისი სამშობლო?.. რა საზოგადო საქმე და
აზრი?.. მხოლოდ პირადი გამორჩენა, პირადი კეთილდღეობა, პი-
რადი დიდება – აი, თავი და თავი ყოველისფერის... სწორედაც
რომ მხოლოდ კერძობითი სიკეთე ამოძრავებს დიდზე დიდ უმ-
რავლესობას, ჩემო ბატონო!.. თუმცა... ღვთის წინაშე, ეს ყველაზე
ნაკლებად შენ და შენისთანებზე ითქმის, მარა... საერთო წესს ვერ
ცვლის ცალკეული მაგალითები!.. ვერა!..

ამიტომაც იყო ალბათ, რომ აღარ მწამდა ეს სასტიკი, უღმობე-
ლი, უძლომელი, ბინძური ცხოველი - ადამიანი რო ჰქვია – ღვთის
ხატიაო!.. ღვთის ხატი რაფერაა ეს ბოროტების სადგური, კაცო?..

მიტომაც იყო, ჩუმად, გულში მასხრად ვიგდებდი ხოლმე ქრის-
ტიანულ ზნეობას... სულგრძელობას, მიმტევებლობას, მოყვასი-
სადმი სიყვარულს – ყოლიფერი ეს უსუსური, უძლური ადამი-
ანების მოგონილ ზღაპრად მიმაჩნდა... – გიგომ წამით იყუჩა და
მერე ისევ განაგრძო დაბალი ხმით:

– შენ წელან მონობა ახსენე, დედაო... კი, ხანგრძლივი მონობა
ათახსირებს, რყვნის ადამიანებს, და საერთოდ, ერის სულს, მარა...
საკითხავია, ჩვენ თვითონ... ადამიანები რატომ ვირყვნებით-თქ-
ვა? რატომ პოულობს სატანა ჩვენს სულში საყრდენს-თქვა?..

ე.ი. იმთავითვე, დაბადებიდანვე ზის ეს ბიწიერება ადამიანებში და იმიტომ!..

...ტყიურებში, ადამიანთა საკრებულო რო ჰქვია, ამაოდ მიმაჩნდა-თქვა კაცთმოყვარეობის ქადაგება, მოყვასის, მით უმეტეს – მტრის სიყვარულისკენ მოწოდება! ყოველივე ეს წყლის ნაყვია-თქვა! მგლის თავზე სახარების კითხვა-თქვა! აგერ ქართულად წირვა-ლოცვასაც გვიშლიან უკვე... და ვინ ამოიღო ხმა? ხო გავუჩუმიდით მოძალადეს? ხო შევეგუეთ? ხო მოვიხარეთ კიდეც ერთხელ ქელი?

ძალა აღმართსა ხნავსო? ტყუილია მაგი. ბეჩავი, უძლური და მშიშარა კაცის მოგონილია ეს ანდაზა... ჩემო ბატონო! თავის სიგლახის გამართლებაა ეგ და... სხვა არაფერი!..

– ყოველივე ეს ჩვენი სამეფოებად დაყოფას და შემდეგ გათითოკაცებას მოჰყვა, ჩემო გიგო! ურწმუნობამ, უღვთობამ დაგვრია ხელი. კი მართალია – ურიცხვი მტერი გვესეოდა! კი მართალია, დამხვდურად მებრძოლნი ვიყავით მეტწილად, მარა... ვერა და ვერ გავერთიანდით, ვერ შევიკარით ერთ მუშტად... ვერ გამოვნახეთ საერთო ენა... დავიქსაქსეთ. დავეტუცმაცდით და... ზნეობაც წაგვიხდა ამის გამო! გადავგვარდით, გადავჯიშდით... სხვათა, უცხო თესლთა მიმართ შემწყნარებელნი – უწყალონი, დაუნდობელნი გავხდით ერთი მერიისადმი!.. ჰოდა, მტერიც ყოველთვის სარგებლობდა-თქვა ამით და... ამჟამადაც ამიტომ მოგვერია ასე! ანუ... ღმერთი შემოგეწყრა, როგორც ჩანს, ჩვენი უზნეობის, ავხორცობის გამო... ჩემო გიგო!

– ჰოდა, მეც მაქა ვარ, დედაო. მეც ამას ვამბობ! ჩვენს გარშემო რაკი თითქმის ყველა მტაცებელი და ავაზაკი აღმოჩნდა, რაკი საშველიც აღარ გამოჩნდა არსაიდან, ჩვენც, ჩვენც წავხდით და... დავჭამეთ-თქვა ერთმანეთი – ოქროს გულისთვის ანუ „კაი ცხოვრებისთვის“ გულმოდგინეთ ვასხით მტრის წისქვილზე წყალი... და... დღესაც გრძელდება-თქვა ეს ანგარება, სიგლახე. უზნეობა და უკეთურება და არა მხოლოდ – ჩვენში! – მთელ დედამიწაზე მასთა ეს! კი, კი!.. მთელ ცისქვეშეთში გაიხრწნა ადამის მოდგმა... მთელ ქვეყნიერებაშია აღზევებული ვერცხლის-მოყვარეობა, ჩარჩულ-მევახშური სული-თქვა ანუ მამონა, ოქრო გახდა სალოცავი ხატი-თქვა, ოქრო იქცა კერპათ!.. „ვა, ოქრო

მისთა მოყვასთა აროდეს მიცემს ლხენასა, დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასაო“ რუსთველის ეს სიბრძნე საქილიკოდ იქცა აკი!.. ჰოდა, ოქროსადმი გაუმაძღარი სიყვარულის წყალობით, სიძულვილის და შურის გამოისობით – დედამიწის ზურგზე მომავალში ყველგან დაიჩაგრება-თქვა სიძარბოვით და პატიოსნება. ადამის მოდგმა მოიძვის იმას, რაც დათესა – უწინარესად კი: ეს განაჩენი მე, მე მეკუთვნის და ჩემნაირებს – ასე რომ გვემარჯვება ხოლმე დროის მორგება! მარა... თქვენნაირებმა, რჩეულებმა - უდანაშაულო, წმინდა, მართალმა ადამიანებმა, მსხვერპლად შეწირულებმა - რა დააშავეს-თქვა? აი, ესაა გაუგებარი... აი, ესაა აზრმიუწვდომელი ჩემთვის!..

– მე, ერთი უბრალო, ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ, რა სასხენებელი ვარ რჩეულებში, ჩემო გიგო, მაგრამ... უფალი თავის რჩეულებს უმზადებს სწორედ განსაცდელს, იგი ხომ - გულთამხილავია! გიგომ მყისვე შეაწყვეტინა:

– ჭეშმარიტად, დედაო, ჭეშმარიტად! დროის და ჟამის მიხედვით მიუზღავს ყველას... თითქოს ვის ან რას უნდა წაექცია გრიგოლ წერეთელი – ცხოვრების მწვერვალზე რო იყო მოქცეული? მარა... ამ სიბერის ჟამს დამტირებელიც აღარავინ დამრჩა... ხუთივე შვილი რიგრიგობით, უდროოდ მივაბარე მიწას, იმ მიწას, რომლის შვილები ვართ სუყველანი, ...ხოლო მავანთა და მავანთა სიკვდილის გამო, ფარისევლურად, გარეშთა დასანახად და მოსაჩვენებლად აკი – ცრემლებსაც ვლვრიდი... პირადად მე მსახიობობის დიდი ნიჭი აღმომაჩნდა, ჩემდა გასაკვირად, დედაო...

ხო, იმას ვამბობდი... რათ უნდა გამხარებოდა-თქვა მე უგუნურს, საწყალობელს, მოძმის სიკვდილი? როცა... მეც დროებით, მხოლოდ დროებითი მდგომური ვარ ამ წუთისოფლის, ამ სააქაოსი?... ვითომ ჩვენ, სულ ყველანი, სათითაოდ სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე რიგში არ ვიდგეთ!.. ვითომ სათითაოდ, ყველას გულზე არ დაგვეყრება შავი მიწა და ჭია-ლუა არ შეჭამს ჩვენს უბადრუკ გვამს, მძორად ქცეულს! ანდა, რათ, რისთვის უნდა მძულვობით თქვენ და თქვენისთანები – ოცნების გმირები, სამართლიანობისა და ჭეშმარიტების ერთგულნი რო იყავით? ან თუნდაც... ძე-შეცთომილი

ყოფილიყავით?... მარა... შური, წელანაც ვთქვი - ბოდმა, სიძულ-
ვილი - სათავეა-თქვა ყოველივე ბოროტებისა...

იტყვიან, მტრის სიკვტილი უნდა გიხაროდესო, მარა... რომელი
მტრის? გარეშესი, მომხდურის, მოძალადის, მტაცებლის?... კი, ბა-
ტონო, გასაგებია... მარა, თვისის, თანამოძმის, მოყვასის?... თანაც
რჩეულის! - კვლავ ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა და მერე: - მე
ხო... სიცოცხლე ბევრ ადამიანს გავუმწარე... და ყველაზე უფრო
კი - შენ შეგცოდე, დედაო, შენ... გიმუხთოლე!.. აი, რა მიკლავს
გულს ყველაზე მეტად, აი, რა მიშხამავს სიცოცხლეს! აი, რას ვერ
ვაპატიობ ჩემ თავს, უფაღმა თუნდაც რომ შემიძლოს!

კი იცოდა იღუმენიამ, როგორ არა, მის სმენამდეც აღწევდა -
თუმც კანტიკუნტად - მშობლიური კუთხის და კერძოდ, ყოვლის-
შემძლე წერეთლის თავს გადახდენილი ამბები...

უკვე ასაკოვანმა, ორმოცდაერთი წლისამ, თავისაზე ოცდახუთი
წლით უმცროსი ნესტორ ნიჟარაძის ულამაზესი ასული შეირთო
ცოლად. ბედნიერი არ აღმოჩნდა ეს ქორწინება. ზედიზედ ოთხჯერ,
დაუდგენელი მიზეზით - დაელუპათ ჩვილი ბავშვები. მესუთე
ბავშვზე მშობიარობას თავად მეუღლე გადაჰყვა, ახალდაბადებული
ბიჭი კი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ... თექვსმეტი წლისა უბედურმა
შემთხვევამ მოულოდნელად იმსხვერპლა: გიმნაზიის შენობის მეო-
რე სართულის კიბეზე ფეხი დაუცდა, ძირს გადმოვარდა - ქვის
საფეხურის ძგიდეს თავი დაარტყა... და სული განუტევა.

- ხო, იმას ვამბობდი დედაო, ჩემს ამპარტავნობას საზღვარი
რო არ ჰქონდა, იქიდან ჩანს, სანამ ბოლო ნუგეში, ჩემი ზურა
არ გამომეცალა ხელიდან, მანამდე ყინჩად მეჭირა თავი! თითქოს
დამნაშავე ჩემი საცოდავი მეუღლე იყო, ბავშვები რო გვეხოცე-
ბოდენ, თითქოს ის, ის იყო ბედნავსი! მას, ნათოს მოჰყვა შთამო-
მავლობითი უბედობა!.. არ მინდოდა, ჯიუტად არ მინდოდა თვალი
გამესწორებინა სიმართლისთვის...

იღუმენია ანა, იგივე ქეთევანი, მზერადახრილი, გულშეკუმშული
უსმენდა თავისი ძველი მოქიშპის და დაუძინებელი მოსისხლე
მტრის მხურვალე აღსარებას, მის თვითგვემას თუ თვითგანსჯას.
თითქოს უდრტვინველი სიმშვიდით უნდა აღექვა გარდასული,

შორეული წლებისგან მოგვრილი ტკივილის განცდა, თითქოს გულგრილადაც კი... თითქოს სულის სიღრმეში ვერ უნდა შემო-
ელწია უშორესი წარსულის გახსენებით მოგვრილ სიმწარეს -
გიგოს მძაფრი სიტყვებით გაცხადებულს, თითქოს წლებს მაინც
თავისი უნდა ექნა, წლებს უნდა გაეხუნებინა, გაექარებინა უზომო
ტანჯვისა და უნებლიე დანაშაულის შეგრძნება, ანუ ის იარა, მისი
დაჭრილი გული რომ ატარებდა დიდი ხნის განმავლობაში, და რა-
საც ახლა გიგო წერეთელი ასეთი ძლეღვარებით, ასეთი სიწრფე-
ლით, შინაგანი წუხილითა და შფოთით იგონებდა და... ინანიებდა!
მაგრამ... იყო კი ასე?

ჰო, წასულიყო... დროის მდინარებას უნდა გაჰყოლოდა თითქოს
ყველაფერი ის, რაც მაშინ ეგ ზომ სასიცოცხლო, მნიშვნელოვანი
ჩანდა თანამედროვეებისთვის. და მართლაც: ვის ახსოვდა ახლა
სოლომონ მეორე, იმერეთის ანუ დაქუცმაცებული საქართველოს
ერთი კუთხის უკანასკნელი მეფე? ან ქაიხოსრო წერეთელი?
– მთავარსარდალი? ზურაბ თუ გრიგოლ წერეთლები, ქეთევან
აბაშიძე და სხვანი და სხვანი? დრო-ჟამმა, მისმა უღმობელმა
სრბოლამ შთანთქა, დავიწყების მორევში ჩაძირა მათი სახელები,
ლანდებად და მოჩვენებებად აქცია ერთ დროს თითქოს ესოდენ
გამორჩეული პიროვნებები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვან
როლს თამაშობდნენ თავის დროზე ცხოვრების ანუ წუთისოფლის
ორომბტრიალში...

ახლა... ახლა სხვა ზრიალი ისმოდა, ახლა სხვების ჯერი დამდ-
გარიყო, ახლა სხვებს უნდა გაეკვლიათ გზა – მართალი თუ მრუდი
ხერხებით! ახლა ამათ მართებდათ ბრძოლა თავის თავის დასამკვი-
დრებლად ამა ქვეყანასა ზედა – მართებული თუ უმართებულო სა-
შუალებებით და წესებით, ამათ მერე კი – მოვიდოდნენ სხვები და...
ასე იქნება დაუსრულებლივ, ქვეყნიერების აღსასრულამდე – ჟამის
სრბოლა! ერთადერთი, მუდმივი, წარუვალი რეალობა კი ისაა, რომ,
შენ პიროვნულად უნდა წახვიდე ამ საწუთროდან – უფალთან
შესახვედრად! აი, ესაა ალბათ ყველაზე არსებითი, ყველაზე უფრო
მნიშვნელოვანი საფიქრალი და საგონებელი, ყველაზე უფრო დიდი
თავსატეხი და სადარდებელი ამ სამზეოში.

დიახ, წლებს თითქოს უნდა წაემალათ წარსულის სისხლიანი ნაკვალევი, მაგრამ სინამდვილეში... მოხუცებული ილუმენიას გულში კვლავ აზავებულიყო გარდასულის მეხთატეხა...

გიგო წერეთელი კი კვლავ განაგრძობდა აღსარებას თუ თვით-გვემას დაბეჭილი, ბებრული ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, დაუმცხრალი ღელვითა და სინანულით. და თვალებიდან მომდინარე სისველეს წამისწამ ფართო ცხვირსახოცით იწმენდა.

ილუმენია ადგა, ბოდიში მოიხადა და სენაკიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ შემობრუნდა. გიგო ისევ ისე იჯდა თავჩალუნული, მოღვენილი და მაგიდაზე დაწყობილ თავის დამჭკნარ ხელის მტევნებს დასჩერებოდა გაუნძრევლად.

ილუმენიამ სთხოვა, სატრაპეზოში წამობრძანებულიყო – ნამგ-ზავრი ხართ, ამხელა მანძილი გამოგივლიათ, ცოტა წაიხემსეთ, გათბით და დაისვენეთო.

გიგომ თავი ასწია, უსიცოცხლო თვალებით ახელა ილუმენიას:

– დაღლილი არა ვარ, დედაო... წუხელ სენაკში ფალავებთან გა-ვათიე ლამე... მანამდე ქუთაისში შევისვენე ნიჟარაძეებთან... სენაკიდან აქამდე კი – არაა დიდი მანძილი... – შეჩერდა.

ილუმენიამ თავისი გაიტანა.

... სატრაპეზოში რომ უსხდნენ ტაბლას, გიგოს არაფრისთვის პირი არ დაუკარებია, მხოლოდ ცოტა ღვინო მოსვა რამდენჯერმე. მერე ისევ ისე იჯდა დაღვრემილი, ღრმა ფიქრებში წასული. ორივეს შუა, მათდაუნებურად, შავი ღრუბელივით გაწოლილიყო ორმოცი წლის წინანდელი სექტემბრის ის საშინელი, საბედის-წერო დღის აჩრდილი.

– ასეთია უღმობელი სინამდვილე, დედაო ქეთევან... – წამოიწყო ისევ გიგომ ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით: – შექენის და მოხვეჭის ჟინით აღტყინებულს, ამასობაში თვალდახელსშუა გამეპარა წლები, ვითარცა სიზმარი ღამისა... თურმე თვალის ერთი დახამხამება და წამისწამი ყოფილა მართლაც ეს მუხთალი, წარმა-ვალი წუთისოფელი!.. ამაოება ამაოებათაო... – ამოიგმინა გიგომ, მერე, ძლივს გასაგონად, უფრო თავისთვის განაგრძო: – დღეს არა, ხვალე მოვკვდებითო, სოფელი ასრე მქნელიაო, აკი სულმნათმა რუსთაველმა გვასწავლა! ჰოდა, სად წაუხვალ ამ გარდაუვალო-

ბას? სად გაექცევი ამ ჭეშმარიტებას?! მარა... შევისმინე კი რამე თავის დროზე?

დამტირებელი არავინ მყავს-თქვა, წელან გითხარი, დედაო! – ჭეშმარიტად ასეა! ერთი მღუღარე ცრემლი არ დაეცემა ჩემს გვამს, არავის გულს არ დაწვავს სულწაწმედილი გიგო წერეთლის სიკვტილი... რა გამევიდა? რისთვის ვიცხოვრე? რისთვის ვიწვალე? რათ მინდოდა ამდენი ქონების მოხვეჭა, ოხრათ რო მრჩება ახლა? ვის ვეჯიბრებოდი? რატომ? რისთვის? იმისთვის, რო ბოლოს გამწარებული სიბერე მქონოდა და დავრდომილი და სასოწარკვეთილი-ბედისგან ანუ ჩემი უღვთობისგან განწირული, სიკვტილსაც მოვძულებოდი?

– ეჰ, ჩემო საყვარელო, „უკეთუმცა უფალმა არა აღამენოს სახელი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი!“ – უნებურად მოწყდა ილუმენიას ბაგე-პირს.

გიგო შეკრთა. ხმა გაიკმინდა და გაფართოებული თვალებით შეაჩერდა ილუმენიას.

ვისგან, უკანასკნელად ვისგან მოისმინა ეს სახარებისეული სიბრძნე გიგომ? ვინ უთხრა იგი ცხოვრების მწვერვალზე მოქცეულს?... ან შეისმინა კი ეს შეგონება თუ გაფრთხილება? და საერთოდ:

შეისმენს კი ოდესმე ამ სიბრძნეს ადამის მოდგმა? ხომ არ დარჩება იგი მუდამ ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა?

ერთმა ღმერთმა უწყის!..

მოსაღამოვდა.

გიგო წერეთელი ილუმენიამ მონასტერში დატოვა – შეღამებულზე არ ეგებოდა სადმე წასვლა, მითუმეტეს ქუთაისში, იმ სიშორეზე.

არც გიგოს გამოუდვია მაინცდამაინც თავი – ეტყობა, ამდენმა განცდამ, ამდენმა მღელვარებამ ისედაც დაუძლურებული მოხუცი საშინლად მოღალა.

კელიაში მოასვენეს მონაზვნებმა ისე, როგორც ეკადრებოდა საპატიო სტუმარს.

ილუმენიამ კი მთელი ღამე ლოცვებში გაატარა. იგი თავის და გიგოს ცოდვილ სულს ავედრებდა უფალს და ღვთისმშობელს,

მოტევებას და შენდობას სთხოვდა უნებლიე თუ ნებსითი შეცოდებისთვის, აკი ადრეც ლოცულობდა ხოლმე გიგოსთვის, ისევე, როგორც ყველა იმათთვის „რომელნი მძლავრობენ და მყვედრიან მე, ნუ დასჯი ცოდვათა და უსჯულოებათა შინა მათთა ჩემთვის, არამედ მოაქციენ იგინი ბოროტისაგან, რომელ აქუნ ჩემდა მომართ და შეიწყალენ დიდიტა წყალობითა შენითა“-ო, მაგრამ „მოდინახეში“ დაღუპულ სულთა გამო შეწყალების თხოვნას თავისთავისთვისაც – დღემდე ვეღარ ბედავდა!

ლოცვასთან ერთად მთელი ღამე იღუმენიას, მისდაუნებურად, კვლავ მთელი სიცხადით და მკაფიოდ დაუტრიალდა თვალწინ იმ ტრაგიკული წარსულის სურათები – ყოველი წვრილმანითურთ, რომელთაც თითქოს მტვერი უნდა წაყროდა წლების სიმრავლის გამო, მაგრამ თურმე აქამომდე ცოცხლობდა ყოველივე – ნირუცვლელად!

* * *

... ნაკვეში ქეთევანი იდგა თვალგადმოკარკლული პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მრისხანე და მძულვარე მზერის ქვეშ, სიმონოვიჩის, დორბლებს რომ ყრიდა პირიდან, იდგა თავაწეული, ამაყი იერით და... მღუმარებდა!

ქეთევანი ღუმდა მაშინაც, როცა ბოლოს და ბოლოს შინდაბრუნებულს და ახლობლებით გარშემოხვეულს – შეეძლო ოდნავი შვევით ამოესუნთქა.

ქეთევანი... დამუნჯდა!

რაჭიდან შვილები – ორი 13-14 წლის გოგონა – თეონა და დარია, და 10 წლის დათუნა რომ ჩამოუყვანეს – უხმოდ, უსიბყვოდ ჩაიკრა ისინი გულში და... ხმაგაკმენდილს, წვეთი ცრემლი არ გადმოუგდია თვალთაგან.

გადიოდა წლები... ქეთევანი ქაიხოსროს და უფროსი შვილის მოლოდინში ყოველ ცისმარე დილით და ღამით, ძილისწინ, ღვთისმშობლის ხატთან დაჩოქილი უხმოდ, სასოებით გულში ლოცულობდა სახეგამტკნარებული - თვალგამშრალი და... მერე – ღრმა ფიქრებში წასული, თითქოს გარე სამყაროდან მოწყვეტილი – სასახლის ბაღში ან აივანზე სცემდა ხოლმე ბოლთას...

და როცა ხუთი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს ოდა-სახლის კიბეზე ამომავალი მეუღლე და უფროსი ვაჟი დაინახა, ჯერ წამით გახედა, მერე: – ხოსია! პაპუნა!-ო, – იკივლა და ადგილს მოწყდა, აქვითინებული ჩაეკრა ქმარ-შვილს მკერდში. დიდმა სიხარულმა ხმა ამოადგმევინა ენაჩაყარდნილ, დამუნჯებულ ქეთევანს და... ცრემლებიც მხოლოდ მაშინ წასკდა ღვარად...

მერე... წაეწყვნენ ერთმანეთს დღეები, თვეები, წლები, ქეთევანს თაღნი კაბა არ გაუხდია, არც სამკაულები უტარებია, არც სახეი-მო წვეულებებსა თუ ღვინის დასწრებია, მაშინ რომ ასე მოღური იყო ქართველ თავადაზნაურობაში. როცა ხალხი დამონებულია და გალატაკებული, როცა ამდენი სიცოცხლე შეეწირა ქვეყნის თავი-სუფლებას, რა დროს ღვინაო – გულში ამოჭრილ ამ შეგონებას ემატებოდა „მოდი-ნახეს“ ციხესთან მომხდარში საკუთარი, თუნ-დაც უნებლიე ბრალეულობის შეგრძნებაც, მისი მუდმივი მგლოვი-არობის საბაბი რომ გამხდარიყო. შვილების ქორწილებმაც, ასევე ნათლობა-ძეობებმაც – ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე ჩაიარა...

დრო დუნედ, უღიმღამოდ მიედინებოდა-ყოველდღიური ოჯახური საზრუნავით დატვირთული. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ცოლ-ქმრის ჩაკეტილი ცხოვრება მოულოდნელად ააფორიაქა ჯოსხზე დაბჯენილი, დახეიბრებული ბასილიკა ღონღადის გამოჩენამ.

იმ საბედისწერო დილას, როცა ანაზღეული თავდასხმა მოხდა „მოდი-ნახეზე“, დაჭრილმა ბასილიკამ მაინც მოახერხა თურმე გალაკანის თავზე გაჭრა, ორი საღდათი გადაიყოლა თან და ქონგურიდან გადაეშვა: ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა. მაგრამ, ამჯერადაც, როგორც კრწანისის ომში – სასწაულებრივად გა-დარჩა. გლეხებმა შემთხვევით იპოვნეს თურმე იგი საშინლად დაღწევილ-დასახიჩრებული, გადამალეს, ხალხური საშუალებებით უმკურნალეს და თუმცა ხეიბრად დარჩა, სიცოცხლე მაინც შეუ-ნარჩუნეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტრაპეზუნდში სოლომონ II აღესრულა, ხოლო რუსთა მთავრობისგან შემორიგებული ქა-იხოსრო წერეთელი ოჯახს დაუბრუნდა, ბასილიკამ გადაწყვიტა, მოენახულებინა თავისი ყოფილი ბატონები...

ეს შეხვედრაც უძძიმესი ტკივილების მომტანი აღმოჩნდა ქეთე-ვანისათვის, თუმცა... ბასილიკა ცოცხალი გადარჩა, მაგრამ... ვაი

ასეთ სიცოცხლესო, მწარედ განიცდიდა „მოდინახეს“ მეციხოვნე და... ქეთევანიც... თავის გუნებაში!

მას მერე და მანამდეც... ქეთევანი და ქაიხოსრო, ერთმანეთთანაც კი გაურბოდნენ იმ ავბედითი დღეების განსვენებას...

... სოლომონ მეორის გარდაცვალების შემდეგ ქაიხოსრო ვაჟითურთ – უკვე მთავრობისგან შეწყალებული – თუმცა კი დაუბრუნდა თავის სამშობლოს, სახლეულობას, მაგრამ გულჩათხრობილი, დადარდიანებული ქაიხოსრო, ქეთევანივით, თავის სახლ-კარის გარეთ ფეხს არსად ადგამდა, საკუთარ სასახლეში გამოიკეტა და რამდენიმე წელიწადში უცებ, გულის შეტევით გარდაიცვალა კიდევ: ჩუმმა დარდმა, გაცრუებული იმედებით გამოწვეულმა უნუგემობამ და უსასობამ – თავისი ქნა: და ეს ჯერ კიდევ ჭარმაგი – მთაკაცი უდროოდ გამოესალმა წუთისოფელს... დაქვრივებულმა ქეთევანმა მცირე ხნის შემდეგ კი მონასტერს მიაშურა.

* * *

... განთიადისას, დედა ელპიტემ ამცნო ძილგატეხილ ქეთევანს, ბატონი გრიგოლი ცუდად შეიქნა წუხელ და მობრძანებას გთხოვთო.

... სენაკში გიგო წერეთელი სიკვდილს ებრძოდა.

ილუმენიამ მონაზვნებს მამა ნიკოლოზის სასწრაფოდ მოყვანა დაავალა, თავად კი გიგოსკენ დაიხარა და ჭირის ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი დაადო.

თვალამღვრეულმა გიგომ უცებ ხელი დაუჭირა ილუმენიას და ბაგესთან მიიტანა. რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ პირიდან დაუნაწევრებელი, გაურკვეველი ბგერები ამოსდიოდა მხოლოდ, რომელიც თანდათან ხრიალში გადავიდა...

ილუმენიამ სასწრაფოდ პირჯვარი გადასახა რამდენჯერმე, თან განუწყვეტლივ ლოცვებს ჩურჩულებდა, თვალებიდან ღვარად წამოსული ცრემლის ნაკადი კი მომაკვდავს გულმკერდს უსველებდა.

– შენი... ცრემლები... დედაო... იქ... იქ... გამყვება... – უცებ გარკვევით ამოთქვა მომაკვდავმა და... ნათქვამს სულიც ამოაყოლა! ილუმენიამ თვალები დაუხუჭა მიცვალებულს.

გიგოს სახეზე სიმშვიდის იერი გადაკვროდა, ტუჩებს კი – ნეტარი ღიმილი შეეყინვოდა.

„მეც მალე მოგყვები, გიგო, შვილო!“

... სასთუმალთან მჯდარი იღუმენია ანა შეურხევლად დასჩერებოდა ცხედარს და ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, თითქოს იმ პატარა ბიჭს დასტიროდა ახლა, ოთხი წლისა რომ ჩაუსვეს კალთაში ქორწილის დღეს – ძველი წესისამებრ, და... თვალეგაფართოებული აქეთ-იქით რომ ატრიალებდა თავს და ვერაფრით გაერკვია, რა ხდებოდა მის ირგვლივ!

მაშინ ვინ წარმოიდგენდა ამ ანგელოზისსახიან, თმაქოჩორა, უმანკო ბიჭუნას რა სასტიკ ხვედრს უმზადებდა თურმე განგება! რომ ათეული წლების შემდეგ დამაბუნებულ-დალეული, ყველასაგან განკიცხული და დავიწყებული, უჭირისუფლოდ დარჩენილი – სწორედ იმ ადამიანის ხელში დალევედა სულს, ვინც ასე უღმობლად, ასე უმოწყალოდ გაწირა და გაიმეტა თავის დროზე, რომ სწორედ მისგან ნალალატევი ქალის ცხელი ცრემლი და ლოცვა გაუადვილებდა მარადიულ სამყოფელში გადასვლას.

მართლაც რომ: „შეუცნობელნი არიან გზანი უფლისანი!“

... გიგოს გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში ქეთევანმაც უფალს მიაბარა თავისი სული.

ეანეკზის წიგნ-ბუნჯა

ძველი ოდიშური თქმულება

საზი სევდიანად კენესოდა. თვალმინაბული მომღერალი გულსაკლავი ხმით მოთქვამდა:

„თუ შენი სახე არ იქნება, ნუ მზეობს მზეცა,

რად მინდა, მიწას ანათებდეს უშენოდ ზეცა“...

ბალიშზე ნებივრად მიწოლილი ჯემალ-ბეგის ტუჩებს ღიმილი შეეპარა:

„...დიდებულად მღერის, ეგ შაითანი!“ – კმაყოფილებით გაიფიქრა და... უცებ კილო იცვალა მომღერალმა. საზმა გამარჯვების საზეიმო ჰანგი დაუკრა.

ოსმალეთის ლაჟვარდ ცისქვეშ ცხოვრობს მზისწორი სულთნის საყვარელი სარდალი, უმამაცესი მამაცთა შორის, გმირი ლომგული, რისხვა ურჯულოთა, ნუგეში და იმედი მორწმუნეთა; გულუხვი, ბრძენი, სახელოვანი...

დაე, მუდამ დღეგრძელჰყოს იგი ალაჰმა და სამარადჟამოდ ნუ მოუშალოს ხონთქრის წყალობა.

„იცოცხლე და იხარე, სვებედნიერო ჯემალ-ბეგ“, – ითაფლებს მომღერალი. ყელს იღერებს, თვალებს ლულავს.

„სვებედნიერი ჯემალ-ბეგ!“ მთელი სტამბული – დიდი და მცირე – ასე ეძახის ოსმალთა რჩეულ სარდალს.

ბაზრის მოედნებზე, ქუჩებსა და ყავახანებში მოხეტიალე აშუღები და დერვიშები ქებათა-ქებას უძღვნიან ხონთქრის საყვარელ სარდალს.

„სვებედნიერი ჯემალ-ბეგ!“

ბაგიდან ბაგეს გადაეცემა ჩუმი ჩურჩული: მალე, სულ მალე ხონთქრის-მარად იყოს სახელი მისი – სიძე გახდება სვებედნიერი ჯემალ-ბეგი!

...ჩუმიად ჩაიღიმოდა, მერე ერთბაშად წამოჯდა და... მყისვე ხმა გაკმინდა მომღერალმა, მიჩუმდა საზიც. წამიც და დარბაზი ნახევრადშიშველი, ჰაეროვანი მოცეკვავე ქალებით გაივსო. მზერად იქცა.

იწმაწებიან თასმასავით მოქნილი სხეულნი ქალთა, თვალებს ნაბავენ, ალისფერ ტუჩებზე მაცთური ღიმი დასთამაშებთ.

„ალაჰსა ვფიცავ, მომხიბლავია გიული... ამალამ...“

თითქოს მიუხვდა ნააზრევს, ღიმილი მოეფინა ქალის სახეს, თვალები აუციმციმდა, თეთრი, შიშველი მკლავები მალლა ასწია და წამით გახევდა. მერე... ადგილზე დაბზრიალდა და ჯემალ-ბეგის წინ, ხალიჩაზე პირქვე დაემხო. ვაჟკაცმა შიშველი ზურგის ტოკვას შეავლო თვალი. თავზე ხელი დაადო ფრთხილად. გიულიმ სახე ასწია, ტუჩები გახსნოდა და თეთრი კბილები თვალისმომჭრელად უელავდა.

მარცხენა ხელით პატარა ტაბლაზე დადგმულ სავსე თასს დასწვდა, ქალისათვის თვალმოუშორებლივ ბავესთან მიიტანა და ნელ-ნელა, აუჩქარებლად დასცალა. მერე ნდობამორეული ქალის ტუჩებს წაეტანა.

როცა თავი ასწია, შენიშნა, მის თეთრ, მაღალ ყელზე შერბეთის წვეთი ჩამოცურებულიყო. ერთადერთი წვეთი.

– შერბეთზე უფრო ტკბილია შენი ტუჩები, გიული!.. – ჩასჩურჩულა და ნიკაპზე მოავლო ხელი, ბედნიერებისა და სიხარულისაგან დანისლულ თვალებში ჩახედა ქალს. მერე ისევ თასს დაწვდა. სწრაფად გაავსო იგი მონამ.

– დალიე! ჩემი სადღეგრძელო დალიე, გიული! – უთხრა დიმილით და ტუჩებთან მიუტანა თასი.

გიულიმ ორივე ხელით მაღლა ასწია თასი, მერე წელში გაიმართა და...

– იხარე და იცოცხლე, სვებედნიერო ჯემალ-ბეგ! – სულმოუთქმელად გამოსცალა. მერე გაიცინა, თასი მოისროლა. სასმისი რბილად გაგორდა ხალიჩაზე. მერე შუბლზე გადაისვა ხელი, ისევ გაიცინა, ვაჟკაცის ფერხთით ჩაემხო და ცრემლები ღაპაღუპით გადმოუცვივდა ლოყებზე.

საყვარელი მგოსნის სიტყვებმა გაუელვეს უნებურად ჯემალ ბეგს: „ღვინო მასვი, ვით ეს ცრემლი, კამკამა და დაწურვილი“.

ისევ აკვნესდა საზი, კვლავ ყელი მოიღერა მომღერალმა: „დრო მხიარულად გაატარე შავთვალა ქალთან, ცხოვრება ზღაპრის მაგვარია, მსგავსია ქართა“.

– ჩემო მბრძანებელო! – გაუბედავად გაისმა საჭურისის ხმა.

– ა? – უკმაყოფილოდ მოიღრცა მისკენ კისერი ჯემალ-ბეგმა.

– მაპატიე, ჩემო ბრძანებელო... ასლან-ბეგის მონები იცლიან... და...

– ასლან-ბეგი? ვინ ასლან-ბეგია? რას როტავ, ბებერო?! – მერე უცებ გონს მოეგო, გასწორდა: – ა, ა! ასლან-ბეგის ძღვენი! – ხალისიანად გაიცინა: – მაჩვენე ახლავე, ალი. გიული, შენ აქ დამიჯექ, ახლოს. ვნახოთ ერთი, რა მომიძვნა ბებერმა ბეგმა. „მისი ვაჟი ორი დღის წინ დიდი განსაცდელისგან ვიხსენი. სულთანმა, მარად იყოს სახელი მისი, მე მაპატიე მირზას თავი...“

საჭურისთა უფროსი და ჯემალ-ბეგის უახლოესი მრჩეველი ალი ისევ შემობრუნდა დარბაზში. მას ხელჩაკიდებული მოჰყავდა პირბადეფარებული ქალი.

– ქალი? სულ გამოშტერებული ბეგი, თუკი ფიქრობს ჩემს ბაღს ყვავილი აკლია! – ხმადაბლა გადაულაპარაკა გვერდით მჯდომ გიულის. მან ხალისიანად გადაიკისკისა და უფრო ახლოს მიუცოცდა ჯემალ ბეგს, თვალმოუშორებლივ, შეფრინვით შეაცქერდა სახეში.

– აგრე მოგახსენათ ასლან-ბეგმა: ჩიბარე ეს ქალწული, წყაროსწყალივით სუფთა, თოვლის ფიფქივით ფაქიზი, შირაზის ვარდივით სურნელოვანი და ავაზასავით ფიცხელიო.

– ამ ბებერ ასლან-ბეგს დამიხედეთ ერთი! – გაიცინა ისევ ჯემალ-ბეგმა, თასი აიღო, გიულის გადახედა, თვალი ჩაუკრა და უჩურჩულა:

– უამვარლოდაც ბევრი წარმტაცი ყვავილი ყვავის ჯემალ-ბეგის წალკოტში-თქო, ხომ მართალია, გიული?

ისევ გადაიკისკისა ქალმა და ვაჟკაცის მკლავს ჩაეჭიდა ორივე ხელით, თავი მხარზე მიადო.

– ალი, წაიყვანე ეგ ასული... თუმცა... მოიცადე... ნაჩუქარ ცხენს კბილს არ უსინჯავენო-ნათქვამია, მაგრამ მაინც... ახლოს მომგვარე, პირბადე ახადე! – საჭურისმა მყისვე შეასრულა მისი ბრძანება. ქალს პირბადე აუწია და თვითონ უკუდგა, თავის მბრძანებელს მიაჩერდა მოწიწებით.

ტუნებთან მიტანილი თასი გაუშეშდა ჯემალ-ბეგს ერთბაშად, სუსტად წამოიკივლა გიულიმ, მერე ცერზე იკბინა მწარედ და გაქვავდა. შეწყდა საზის ხმა – მომღერალს პირი ღიად დარჩენოდა. თითქოს ქანდაკებად იქცნენ მოცეკვავე ქალებიც.

პირველი გიული გამოერკვა, ფრთხილად ჩამოცოცდა ტახტიდან და ცოცვითვე გაშორდა ჯემალ-ბეგს, კუთხეში მიიყუჟა.

ჯემალ-ბეგი შეირხა. გოცებელი თვალები მიმოატარა დარბაზში. წამით თვალი შეავლო კუთხეში მინაბულ გიულის, მერე მომღერლის ფართოდ დაღებულ თვალებს ჰკიდა მზერა, ადგილზე გახევებულ მოცეკვავე ქალებს და...

— ალი! — ხმა ოდნავ უთრთოდა: — უბრძანე, ჩემი „შეკარდენი“ გამოიყვანონ საჯინიბოდან. ასლან-ბეგს მიაართვან და გადასცენ... — შეჩერდა.

შუბლზე მოისკა ხელი. ვერაფერი ხეირიანი ვერ მოისაზრა და გაიცინა ისევ: — არა, არ არის საჭირო რაიმეს თქმა... ისეც მიხვდება.

მერე მსუბუქად წამოხტა. ჭაბუკური სიხალისით შეარხია მხრები და ქალს ნელა მიუახლოვდა.

„ხორცშესხმული არსებაა თუ... მოჩვენება?“... — ჩვეულების-ამებრ, ნიკაპში მოავლო ხელი. ქალმა დახრილი თვალები ასწია. უნებურად მყისვე ხელი შეუშვა ჯემალ-ბეგმა და წამით მზერა დახარა — მხოლოდ წამით, მერე ისევ წაეტანა ქალის ნიკაპს, და თვალებში ჩახედა ჯიქურ.

მცირე ხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს: ქალი ცივი, ამაყი მზერით, ვაჟკაცი ნდომით, სურვილით, სინაზით და კიდევ რაღაც-ით, ენით გამოუთქმელი, თვით მისთვისაც შეუცნობელი გრძნობით.

ახლა ქალმა დახარა თვალი. ლოყები შეუფაკლდა ოდნავ: „გონებისწამლება ეგ ტუჩები, ალაპ! ვარდის კოკორს მაგონებს იგი. — ჯერ გაუშლელს. ხელშეუხებელს!.. რა ამაყად შეუკრავს კოპები, როგორაო, როგორ შემოთვალა ასლან-ბეგმა? ავაზასავით ფიცხელიაო ასული? ო, ალაპ!“

ქალმა სცადა მოეცილებინა ვაჟკაცის ხელი. ჯემალ-ბეგმა დაასწრო. მარცხენათი ნაზად მოუჭირა თითები. მერე ტუჩებთან მიიტანა:

— ნუ წყრები, ნაზო... — ტკბილად და როგორღაც დამამორ-ჩილებელი სიმტკიცით ჩასჩურჩულა ჯემალ-ბეგმა: — ალი! — მიუბრუნდა მერე საჭურისს მკვირცხლად.

— დიახ, მბრძანებელო!

— შესრულდა ჩემი ბრძანება?

იატაკამდე დაიხარა საჭურისი.

— ყოველივე შესრულდა, ჩემო მბრძანებელო. ასლან-ბეგი სინა-რულით ცას ეწევა, ალბათ, „შეკარდენი“ სომ რჩეული იყო თავის ჯილაგში.

„ვითარცა ეს ასულია ქალთა შორის“, — დაუმატა გუნებაში!

– ალი! წაიყვანე... და იცოდე, თვალისჩინივით გაუფრთხილდი... ტახტზე მოიკეცა ისევ. ნიშანი მისცა და კვლავ აჟღერდა საზი. შეირხნენ ადგილზე გაქვავებული მოცეკვავე ქალები;

გველივით იკლაკნებიან, ივრიხებიან, ვნების აღმძვრელად არხევენ თეძოებს, ნახევრად შიშველ გულმკერდს... ნდომით ნაბავენ თვალებს, მაცთური ღიმი დასთამაშებთ ალისფერ ტუჩებზე...

მაგრამ ჯემალ-ბეგი ვერაფერს ხედავს უკვე. ვერაფერს ამჩნევს. მთელი მისი არსება შეუპყრია უცნაურ ზმანებას. და ჟრუანტელად უვლის ტანში ჯერარგანცლილი სიამე...

მერე უცებ, თითქოს რაღაცამ უკბინაო გულზე, წამოიჭრა. ხელი დაიქნია. ისევე უჩუმრად გაილაღნენ მოცეკვავენი, როგორც შემოვიდნენ. გაიკრიფნენ მესაზენიც, მუსიკოსნი და მომღერალი. შეუმჩნევლად წაფარფატდა გიულიც.

მარტოდ დარჩენილი, ერთხანს მდუმარე, ჩაფიქრებული იჯდა. მერე წამოხტა და გვერდით ოთახს მიაშურა.

* * *

უსიტყვოდ, უხმოდ ემორჩილებოდა საჭურისს ყველაფერში. აბანოს შემდეგ საჭურისმა ამ ზღაპრულად მორთულ, პაწია ოთახში შემოიყვანა. ხელით ანიშნა საწოლი, შეგიძლია გაიხადო და ჩაწვეო. ქალმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და კარისკენ მიუთითა. იგი თითქოს შეეყოყმანდა წამით და მერე აუჩქარებლად გავიდა.

და აი, შუალამე გადავიდა. ლოდინით გადაღლილს ჩასთვლიმა წამით და სწორედ ამ დროს უჩუმრად გაიღო ფარდებში ჩამალული საიდუმლო კარი...

ჯემალ-ბეგი უხმაუროდ მიუახლოვდა საწოლს. გაუხდელი ქალი ორად მოხრილიყო, თავი მკლავებზე დაედო და... ეძინა თუ იმძინარებდა თავს?

ქალის რაღაც საოცარმა უმწეობამ ერთბაშად შეარყია ვაჟაკის გული. ადგილზე გაქვავდა.

თითქოს ძილში მყოფმა ივრძნო ეს დაჟინებული მზერა, ქალმა უცებ გაახილა თვალი, მყისვე წამოჯდა და სახეზე ძრწოლა, შემოფოთება თუ სასოწარკვეთილება გამოეხატა, მერე მზერა ძირს დაიღო...

ჯემალ-ბეგი იდგა და შეჰყურებდა წარბშეკრულ ქალს, მის მოკუმულ, პატარა ტუჩებს.

მერე ფრთხილად, ალერსით შეეხო ბაგით ქალის სალუქ ლოყას, თან დაჟინებით, მძაფრი სურვილით ანთებული მისჩერებოდა. „სხვა გზა არ მაქვს, შენი ტყვე ვარ და ვემორჩილები შენს სურვილს!.. მაგრამ ვერასოდეს ვერ გახდები ჩემი სულის მპყრობელი“... – აშკარად მეტყველებდა ქალწულის მღუმარე ბაგე-პირი, დახრილი თვალები, გაფითრებული სახე და მორღვეული, გათანგული სხეული.

მამაკაცი უცებ წელში გაიმართა, ხელი შეუშვა ქალს და შეტრიალდა. ერთ ხანს შეურხევლად იდგა და ტუჩებს იკვნეტდა. მერე ოთახიდან სწრაფად გავიდა.

გაოცებული მზერა დაადევნა ქალმა ვაჟკაცს. და როცა ჯემალ-ბეგმა კარი უხმაუროდ გაიხურა, კიდევ კარგა ხანს იდგა გაოგნებული, სახტადქცეული. თითქოს არ სჯეროდა, რომ ასე დასრულდა ყველაფერი. აკანკალებული ხელი თვალებზე მოისვა, მერე ლოყებზე. გაუბედავი სიხარულის ღიმილი გაუკრთა ტუჩებზე და... უეცრად, ტირილი წასკდა – შვების ტირილი.

* * *

მოუთმენლობით შეპყრობილი ჯემალ-ბეგი ოთახში ბოლთას სცემდა. ის იყო უნდა ეფეთქნა და... საჭურისიც გამოჩნდა.

წამსვე ტახტზე ჩამოჯდა, შეეცადა მშვიდი იერი მიელო, მერე საზს გადაწვდა, თითები ფრთხილად დაუსვა სიმებს, თან კითხვით ახელდა საჭურისს.

– ჩვეულებრივი ამბავია, ჩემო მბრძანებელო... – დაიწყო მან წყნარი, მშვიდი ხმით: – ქართველია. ოდიშიდან გაუტაცნიათ. ფოთშივე შეუძენია შარიფ-ალას. ასლან-ბეგისთვის მიუროთმევია ოდესლაც გაწეული დიდი სამსახურის სანაცვლოდ.

დაძაბული უსმენდა მას ჯემალ-ბეგი. მღელვარების დასაფარავად ქუთუთოები დაეხარა და საზის სიმებს უანგარიშოდ უსვამდა თითებს. საჭურისი დადუმდა. მღუმარებდა ჯემალ-ბეგიც. მხოლოდ საზის სიმების ტოკვა არღვევდა ამ სიჩუმეს.

ჯემალ-ბეგი ფიქრს მისცემოდა. „ასლან-ბეგმა საჩუქარი გამომიგზავნა. აქ უჩვეულო არაფერია, მაგრამ“... თავი გაიქნია. თითქოს

აბეზარ ფიქრს იშორებსო. მერმე ამღვრეული თვალები კვლავ საჭურისს მიაპყრო. ამჯერადაც მიხვდა ალი, რომ ჯემალ ბეგი მას კი არა, სადღაც შორეულ სივრცეში იქცირებოდა.

„უკვე ყველამ იცის, ხონთქრის სიძე რომ გავხდები მალე. თავის ქალიშვილს მადლევს ცოლად. გუშინ ვაზირთა დივანზე სულთანმა კვლავაც აღნიშნა ჩემი დამსახურება ქვეყნის წინაშე. ისკანდერ ფაშას სახე არ მეჭაშნიკა, მისი მეტისმეტად დათაფლული ღიმილი და გამოხედვა. არც სხვა ვაზირების. შურთ? ცხადია, მაგრამ მართო ეგ არა, კიდევ არის სხვა, რაღაც „სხვა“. არ უნდათ თვითონ დაივიწყონ და არც მე დამავიწყონ, რომ“...

– ალი!

– ჩემო მბრძანებელო!

– შენ, ალბათ, ანუგეშებდი ქალწულს შენებურად, ტკბილად...

– შეძპარავი ხმით დაიწყო ჯემალ-ბეგმა, თვალები კი მრისხანედ ბურღავდა საჭურისის ფერმკრთალ, დალეულ სახეს: – შენ, ალბათ, ეტყოდი...

– მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც ჩემს მბრძანებელს ეამება. – სასწრაფოდ შეაშველა სიტყვა საჭურისმა და ოთხად მოიხარა.

– კეთილი, ჯემალ-ბეგმა მამამისზე ნაკლებ როდი იცის ერთგულების დაფასება.

– შენი წყალობა ნუ მომიშალოს ალაჰმა, დიდო სარდალო!

– წადი, ის ქალწული კუთხის ოთახში გადაიყვანე და თვალით... გესმის, თვალთ არ დამანახო. ლაშქრობიდან რომ მოვბრუნდები, მერე... მოვიფიქროთ, ვის გავუგზავნოთ...

– მესმის, ჩემო მბრძანებელო!

– იცოდე, შენი თავით აგებ პასუხს, თუკი...

– გასაგებია, მბრძანებელო. ყოველივე ისე იქნება, როგორც შენ გსურს...

– კეთილი, ახლა წადი, გამეცალე.

* * *

მზითა და სინათლით უხვად განათებულ ოთახში შევიდა და კარი ჩაიკეტა. უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ ფუნჯებსა და საღებავებს დაწვდა, მიაღაგ-მოაღაგა.

ომებისა და სახელმწიფო საქმეებისგან თავისუფალ დროს აქ ატარებს, ამ ოთახში. ეს მისი, ჯემალ-ბეგის საიდუმლოებაა. ვერა და ვერ ელევა ფუნჯს და საღებავს. აქ ისვენებს, აქ პოვებს იმას, რაც მისი სულის უსათუთეს, ფარულ და სხვათაგან შეუმჩნეველ სიმებს ატოკებს.

აქ, ამ ოთახში, ამ ფუნჯებსა და საღებავებთან ჯემალ-ბეგი აღარ არის უშიშარი, მამაცი სარდალი, სისხლიანი ხმლის ქნევით რომ დააჯირითებს თავის ყორნისფერ მერანს.

აქ ჯემალ-ბეგის თვალები არ მძვინვარებენ შურისგებით, სიძულვილით, გაბროტებით. არ რიალებს მათში ხანძართა ალი თუ ნაპერწკლები. აქ აღარ არის იგი დაუნდობელი, მრისხანე, განუკითხავი, აქ აღარ აღწევს ცხენთა ფლოქვებით გადათქერილ-გადაქელილთა გმინვა-გოდება. აქ აღარ შემოდის სისხლმოწყურებული, გაავეებული იანიჩრების ზათქი და ზრიალი, ხმალთა ტრიალი და ცხენთა ჭიხვინი.

აქ ვეღარ ბუდობს სიძულვილი და მტრობა, ბოროტება და შური, ვერაგობა და სისასტიკე.

აქ მზე ანათებს უხვად და მზით გავსებულია მთელი დარბაზი. აქ დაღლილ-დამძიმებული სულის სავანეა, მისი მყუდრო თავშესაფარი.

აქ, ლაშქრობიდან დაბრუნებული, ჩაიკეტება ხოლმე და მთელი დღეები თავაულებლივ ხატავს.

და მაშინ აღარ არსებობს მისთვის არაფერი, გარდა ამ ნახატებისა. ყოველივე მიწიერი, აქამდე მნიშვნელოვანი, საყურადღებო, პატივდებული, – წვრილმანდება, ხუნდება, კარგავს თავის წონას, უფერულდება, იცრიცება და რჩება მხოლოდ ეს მზე და მზისფერი საღებავი, ეს ლურჯი ცა და ცისფერი სამყარო, საოცარი მირაჟები და უცნაური ზმანებები.

ჯემალ-ბეგი დივანზე ჩამოჯდა. დაფა მოიჩოჩა და ნახატს დააცქერდა, თითქმის დასრულებულ სურათს ხელახლა დაუწყობ სინჯვა-კირკიტი.

პატარა, მწვანემოლიან მინდორზე ქალი დგას. ცალი ხელი ყურებაცქვეტილი შველისათვის შემოუხვევია, მეორეში წითე-

ლი ვარდი უჭირავს. ნახევრადდახრილი წამწამებიდან ირიბად იმზირებიან შავი, ოდნავ ეშმაკურად მოჭუტული თვალები, მოშორებით კვიპაროსის ხეს ამოფარებული ვაჟის სახე მოჩანს. არა. არ ვარგა. ვაჟის თვალებს მეტისმეტად მონური გამოიმეტყველება აქვს. ვაჟკაცი ყოველთვის ვაჟკაცი უნდა იყოს, თუნდაც საყვარელი ქალის წინაშე. შველს კისერი არ უვარგა... ეგ ქალწულიც... არც ისე მომხიბლავია, როგორც უწინ ეჩვენებოდა, ერთობ წვრილი თვალ-წარბი აქვს, სხეულიც არც ისე ჰაეროვანია. აი, ის... ის ქალწული...

ჯემალ-ბეგი წამოხტა. ფუნჯი განზე მოისროლა, აჩქარებული ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა ოთახში. მერე ისევ თავის ნახატთან შეჩერდა. დაკვირვებით, დაჟინებით დაუწყო თვალიერება, თითქოს ამით სურდა გაეყუჩებინა მოუსვენრობა, მთელი მისი არსება რომ შეეპყრო.

სიმშვიდის ნაცვლად მხოლოდ იმედგაცრუება და მწარე სინანული მოჰგვარა სურათმა. კბილები ერთმანეთს დაასო, წარბები უნებურად მოეჭმუნა. ზურგი შეაქცია ნახატს. სარკმელთან მივიდა. რბილი საღამო მუქად ღებავდა ხეთა კენწეროებს, მუქლურჯად წვებოდა ჩრდილი. ფირუზისფერი ცაც ნელ-ნელა იცრიცებოდა და უფერულდებოდა.

ბალიდან ათასგვარ ყვავილთა სურნელი შემოჰქონდა ნიავს, გარკვევით მოისმოდა სიცილ-კისკისი იქ, აუზში მოჭყუმპალავე ქალებისა.

სწრაფად ჩაირბინა მარმარილოს კიბე. ხარბად შეისუნთქა სურნელოვანი ჰაერი. დღის ხვატის შემდეგ სასიამოვნოდ გრილოდა ბაღში.

ფეხს აუჩქარა. აგერ შადრევანიც. შეკვილება და... მერე ადგილზე გახევდნენ, გაინაბნენ ყველანი...

ანთებულმა თვალებმა გიული მოძებნეს. იგი წარმოუდგენელი ნალველით, მორჩილად შესციცინებდა სახეში ვაჟკაცს. ჯემალ-ბეგმა მისკენ გადადგა ნაბიჯი და რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო წელში იმართებოდა, სწორდებოდა ქალი, მით უფრო მაღლა სწევდა თავს, თვალებს ელვარება ემატებოდა, სახეს-სიწითლე.

თუმცა ამ ფოფინა თვალების შიგნით ჯერ კიდევ ბჟუტავდა იჭვვის ნატამალი: „ნუთუ... გავიმარჯვე?“

ჯემალ-ბეგმა მხრებში წაავლო ხელი, მოიზიდა და აფეთქებულ სახეში ჩახედა. მაგრამ არა, არ ილიმება „სკვებდნიერი“ ჯემალ-ბეგი. დაბღვერილი, კუმტი მზერით დასჩერებია ქალის მოლოდინით ალტკინებულ სახეს.

...დილის სიო ელამუნება ხეთა ტოტებს. ბალიდან ჩიტების ჟღერტული შემოდის, დაცვარული ვარდები ნაზად უდიმიან ქურდულად შემოპარულ მზის სხივებს.

ჯემალ-ბეგმა ალერსიანად გადაუსვა ხელი თავზე, შემწყნარებლურად, რბილად გაუდიმა, მერე დაიხარა, ლოყაზე აკოცა და... გავიდა.

„გათავდა. ყველაფერი გათავდა!“ – გლოვის ზარით დარეკა ქალის გულმა. – რატომ?... იგი ხომ ილიმებოდა. ჩინებულ გუნებაზე იყო, ეალერსებოდა!

მაშ, რა, რა უნდა გიულის მეტი? არა, გიული თითქოს ბევრს არ მოითხოვს განგებისგან. სულ ცოტა, სულ პაწაწინა ადგილი რომ დაიჭიროს მხოლოდ ჯემალ-ბეგის გულში?... სულ ერთი ციდა?... ერთი მისხალი?... და როგორც ბევრი სხვა, ამას დასჯერდეს?

სიზმარით გაქრა ეს ერთი ღამე – ნეტარებისა და ბედნიერების ერთი ღამე!

თუმცა... ქალური ალლოთი და გუმანით გრძნობდა: როცა ვაჟი ეხვეოდა და საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, იგი მას არ ეკუთვნოდა – მთლიანად!.. კაცის გონება სხვაგან ქროდა. მასსა და ჯემალ-ბეგს შორის უხილავად, უჩინრად ჩამდგარიყო „ის“, სხვა“ და მაინც... ეს ღამე გამარჯვებაა გიულისთვის! და ამ მონაპოვარს იგი არასდიდებით არ დათმობს. ნემსის ყუნწში გაძვრომა რომ მოუწიოს, გიული იბრძოლებს, დიახ, იბრძოლებს ბოლომდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. აკი უკვე დაეუფლა კიდევ მრავალ ფანდსა და ხრიკებს, რაც აქამდე მხოლოდ თვლემდა თურმე მის არსებაში.

სულთნის ცხვირპაჭუა ასული შეიძლება პირველი ცოლი იყოს, მაგრამ... პირველი ადგილი ვერ დაიჭიროს ვაჟკაცის გულში. ის უცხო, ზღაპრული ფერია კი – ასე მოულოდნელად, ასე ერთბაშად

რომ შემოიჭრა ამ ჭრელ საქალეთში, ამ „დახურულ ბაზრობაზე“ და ასე პირწმინდად, ასე უღმობლად რომ დაუმსხვრია დიდი ხნის ნალოლიაეები და ნანინანატრი ოცნება და იმედები, ასე ანაზღუდავდა რომ ჩამოუქუფრა ცის კამკამა თაღელი – ვერა, ვერ მოერევა გიულის და მის ზრახვებს – აქ, ტვინის და სხეულის განუწყვეტელი, მუდმივი ვარჯიშისა და ნებისყოფის წრთობის ალაგად ქცეულ – ჰარამხანაში!

დიახაჯ. გიული არავის დაუთმობს პირველობას ამ „სამოთხის ბაღში!“ – თუნდაც სხვათა გაქელვის, დამცირების, შეურაცყოფის და განადგურების ხარჯზე მოხდეს ეს! არ ითაკილებს არანაირ ღონისძიებას და ხერხებს ამ სასტიკ, უღმობელ და შეუპოვარ ომში, თუნდაც ალაპიც რომ გადაელობოს გზაზე. მის ძარღვებშიც დულს ბეგების ძველი სისხლი, მასშიც ბობოქრობს სული ურჩი წინაპრების. ამიტომაც, არავის დაინდობს. არავის შეარჩენს თავის წილ და კუთვნილ არჩივს ამ ქვეყანაზე, ამ სამზევოში! მით უფრო – მდაბიორის ნაშიერს.

მანამდე კი... მანამდე მართებს კვლავაც აღიჭურვოს მოთმინებით, მორჩილებით, თვინიერებით. თავი ისე მოაჩვენოს ყველას – მტერს და მოყვარეს (მოყვარე არ შეიძლება მას აქ ჰყავდეს!), რომ ბედს შეგუებული და შერიგებული მხევალია მხოლოდ, რამეთუ... თავის გადასარჩენად სიფრთხილე და სიფხიზლე უმთავრესი საშუალებათაგანია ამ ორპირობისა, სიყალბისა და ვერაგობის ბუდეში!

გიული შეიმართა. სახე დაესხიპა. თვალები დაუვიწროვდა და ავადკისერადერილ, სასიკვდილო გესლისა და შხამის დასათხევად გამზადებულ გიურზას დაემსგავსა, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება!

* * *

...ორი თვე ცხენიდან არ ჩამოსულა ჯემალ-ბეგი, ორი თვე იქნევდა ხმაღს. ორი თვე დაქროდნენ იანიჩართა რაზმელები ხმაღშემართულნი და სიკვდილს და უბედურებას თესავდნენ ირგვლივ. იწვოდნენ სოფლები, იწვოდა მიწა. სისხლით იღებებოდა მდინარეები, სისხლით ირწყვებოდა ყანა-ვენახი და გაჩენის დღეს იწყველიდნენ ადამიანები. აღარ იყო ხსნა და საშველი იანიჩართა

რისხვისაგან. აღარ იყო დანდობა და შეწყალება. აღარ იყო ღმერთი ცაზე და სამართალი-დედამიწაზე!

ახლა კი...

ახლა ომგადახდილი, გამარჯვებული სარდალი ჩაკეტილა თავის ცისფერ ზმანებათა ოთახში და სამი დღე-ღამეა თავაულებლად ხატავს, სამი დღე-ღამეა ცდილობს, დაივიწყოს სისხლის წვიმა და ცამდე აწვდილი ხანძრის ენები.

ზეგ ქორწილი აქვს, ზეგ ლეილი ხანუმი-სულთნის პირმშვენიერი ასული, დიდი ზარ-ზეიმით გადმოვა ჯემალ-ბეგის სამყოფელში. სულთნის სასახლე და მთელი სერალი ემზადება ამ დიდი დღესასწაულისთვის. ემზადება ჯემალ-ბეგიც. მან თავისი ნახელავი უნდა მიართვას პატარძალს ქორწინების დღეს. გულით გრძნობს, რაღაც ხაფანგს უმზადებენ ვაზირნი... ის ნაქართველარი ბაადურიც საეჭვოდ გატრუნულა. ხონთქრის სიძეობა მეტისმეტი პატივია. ბებერმა აღიმაც თითქოს რაღაც იყნოსაო...

უხმაუროდ, ფეხის წვერებზე შემოსული ალი მოკრძალებით მიესალმა პატრონს.

– ალი! ახლოს მოდი. შეხედე სურათს, როგორია?

ალი აღტაცებულია. ალი გახარებულია. არა, ეს არ არის ქვეშევრდომული, მონური აღტაცება, არც ქლესური პირფერობა. ამას ჯემალ-ბეგი უტყუარი ალლოთი გრძნობს და ამჩნევს და ამიტომ ორმაგად უფრო კმაყოფილია.

– რას იტყვი, ალი, ხომ ნასიამოვნები იქნება ლეილი ხანუმი თავისი სურათით?

– ჩემო მბრძანებელო... – უცებ ენა დაება ალის, ფერი ეცვალა.

– რა იყო? რა მოგივიდა? ცუდად ხომ არა ხარ?

– ო, ჩემო მბრძანებელო, იქნებ... მომესმა? ლეილი ხანუმის სურათი?

ჯემალ-ბეგმა ტახტიდან წამოიწია.

– მბრძანებელო...

– განაგრძე-მეთქი! რატომ გაჩუმიდი?

– ო, ჩემო მბრძანებელო, – საჩქაროდ დაიწყო ალიმ: – ამბობენ, სულთნის ასული ამომავალი მზეა და ჩამავალი მთვარეო, მაგრამ... ეს სურათი... ვშიშობ, არ ნახოს ასლან-ბეგმა...

– ასლან-ბეგი? რა შუაშია იგი? ან რატომ უნდა ნახოს?.. იტყვი თუ არა სათქმელს? – ჯემალ-ბეგმა მარჯვენა ხელი მომუჭა.

– ჯემალ-ბეგ!.. ეგ სურათი საოცრად ჰგავს იმ ტყვე ასულს, ასლან-ბეგმა რომ გამოგიგზავნა...

ჯემალ-ბეგი ანაზღად საღებავების კოლოფს დაწვდა და საჭურისს ესროლა. ალიმ აიცდინა კოლოფი და იგი კედელს შეეხეთქა.

ჯემალ-ბეგი გამოერკვა. წელში მოკაკულ საჭურისს შეხედა, მერე ძირს დაყრილ საღებავების ხორას და...

ისევ ტანტზე დაეშვა, თავზე ხელები შემოიწყო და გაირინდა. საჭურისიც გაუნძრევლად იდგა ხმაგაკმენდილი.

კარგა ხნის შემდეგ თავი ასწია ჯემალ-ბეგმა, ამღვრეული თვალები ჯერ სურათს მიაპყრო, მერე შეშინებულ საჭურისზე შეაჩერა მზერა და...

უცებ ფეხზე წამოიჭრა.

– გამიძეს! – უბრძანა და საჭურისიც მიუხვდა სურვილს. ორთავემ სასახლის კუთხის ოთახისკენ აიღო გეზი. წინ შიშნარევი გოცყებით მიცუხცუხებდა საჭურისი ალი.

...ჯემალ-ბეგი კარის ფარდაგს აეკრა ერთბაშად ზარდაცემული. ქალწულს მუხლი მოეყარა სარკმელთან და ხელებაპყრობილი ჩუმად ლოცულობდა. ცრემლი წკანწკარით ჩამოსდიოდა ფერმიმქრალ ღაწვებზე.

ეს არის! ამის სურათია!

ამდენი ხნის განმავლობაში თურმე ამ ქალის ხატებას დაატარებდა გულში.

სულთქმაშეკრული მიმტერებოდა მლოცველ ქალწულს, თავის გარშემო ვერავის და ვერაფერს რომ ამჩნევდა.

თითქოს ვიდაცამ ხელი ჰკრაო, შეტოკდა ჯემალ-ბეგი. მერე ფეხაკრეფით მიუახლოვდა ქალს და ანაზღად, თავისდაუნებურადვე თვითონაც მოიყარა მუხლი, მერე ქალის კაბის კალთას დაწვდა, ბაგესთან მიიტანა და ფრთხილად ეამბოროა.

შემკრთალი თათია შეურხევლად შეჰყურებდა ვაჟკაცს, მხოლოდ ტუჩებსღა აცმაცუნებდა უმწეოდ, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ხმა არა და არ ამოსდიოდა ყელიდან.

უცნაურმა სინაზემ შეარყია ჯემალ-ბეგი, კვლავ ცხელმა ტალღამ გადაუარა გულზე, მერე თავდაუჭერელი სურვილი აენტო მის თვალებში, ფეხზე წამოიჭრა:

– ალი, გადაეცი ქალწულს... თვითონ ღმერთი უნდა იყოს დამზობილი მის წინაშე და... პატიებას სთხოვდეს... – მღლევარებისგან ხმა უწყდებოდა... გული ისე გამალებით უცემდა, ლამის ამოვარდნოდა მკერდიდან.

ქალი ნელ-ნელა წამოიმართა. წელში გასწორდა. გაკვირვების ნაცვლად ახლა მრისხანება აღბეჭდვოდა სახეზე:

– საჭირო არაა! ნუ მითარგმნი, ალი! – სუფთა თურქულით უთხრა საჭურისს თათიამ ისე, რომ მზერა არ მოუცილებია ვაჟაკისთვის: – საზიზღარია ყველა, ვინც სამშობლოს ენას ივიწყებს, ვინც თავის ხალხის ღმერთს ჰკმობს და უცხო ხალხის ღმერთზე ლოცულობს.

ჯემალ-ბეგს ნირი ეცვალა. წამით უპეებდახრილი იდგა, მერე მზერა ასწია, თვალი თვაღში გაუყარა ქალს და წყნარი ხმით, სიტყვების დამარცვლით წარმოთქვა:

– მე... თორმეტი წლიდან აქ ვიზრდებოდი. აქ დავვაჟაკდი. ესაა ჩემი სამშობლო. ამ ქვეყანამ მომცა მე ყველაფერი: სახელი, პატივი, ქონება... ამიტომ ამ ხალხის ენა ჩემი ენაცაა, ამ ხალხის ღმერთი – ჩემი ღმერთიცაა!

– წვეთ-წვეთად რომ გაიღო სისხლი, ამათთვის შენ მაინც მუდამ უცხოელად დარჩები, გადამთიელად. ვერასოდეს დაივიწყებენ შენს წარმომავლობას, შენს გურჯობას... – ვერასოდეს! შენი ნამდვილი სამშობლოსათვის კი – მუდამ განდგომილი და მოღალატე იქნები.

ჯემალ-ბეგმა ტურნები მოიკვნიტა. მერე სძლია თავს და ყელში მომღგარი სიშმაგე ისევ უკან ჩაიბრუნა.

– მე არავისთვის მიღალატნია, ქალო... შენი ქვეყნის შვილებმა დაუნგრეეს მამაჩემს, სახელოვან და დიდებულ კაცს – სახლკარი; იძულებული გახადეს აქეთ გადმოხვეწილიყო. მე მაშინ ძალზე პატარა ვიყავი, არაფერი მესმოდა. ეს შენი ქვეყანაა, სადაც ძმა ძმას არ ინდობს და მამა-შვილს. სადაც შური, ბოროტება, ვერაგობა და ცბიერება ბუდობს თითოეულის გულში. შენც ხომ

შენი ქებული ქვეყნის შვილებმა გაგწირეს, გაგიმეტეს...

– ეგ ჩემი ქვეყნის უბედურებაა... – წაიჩურჩულა ქალმა და თავი დახარა, მაგრამ მყისვე ისევ ასწია, ამაყად, გამომწვევად შეხვდა ვაჟაკს:

– უბედურ დედას ხელს როდი ჰკრავენ შვილები, არამედ ცდილობენ შეუმსუბუქონ ჭირი და ვარამი. უშველონ, უჭირისუფლონ, მიეხმარონ...

– დიდი მადლობელი ვარ! მე, პირადად, არ მსურს უბედური ქვეყნის შვილობა.

– ასე მხოლოდ სულმდაბალი, ლაჩარი ფიქრობს!

ჯემალ-ბეგს მიწისფერმა გადაჰკრა. უცებ ეცა ქალს გაცოფებული:

– რაო... რა სთქვი? მაშ, მე ლაჩარი ვყოფილვარ?! – ამოიხრიალა და მძლავრად მოწურა ქალი თავის მკლავებში: – გაიმეორე, რაც თქვი! გაიმეორე-მეთქი... – კბილებში სცრიდა სიტყვებს გამძვინვარებული, სახეშეშლილი.

– მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი! – მშვიდად მიუგო ქალმა და თვალებში შეაცქერდა ისევ, ტუჩებს კი ოდნავი, ძლივს შესამჩნევი ღიმილი ურხევდა.

უცებვე გაუარა სიბრაზემ. უცნაურად დადრკა. ო, ეს თვალები, ეს ღიმილი – უცნაური, შეუცნობელი, მიუწვდომელი...

– თათია... – ძლივს ამოთქვა ბოლოს – თათია...

ძლეული, მოთვინიერებული, მზად იყო, დაუსრულებლად გაემეორებინა ეს სახელი.

ოღონდ ერთხელ მაინც დააკვდეს ამ საყვარლად შეტყუებულ ტუჩებს, ოღონდ ამ უნაპირო თვალებში ჩაიკარგოს თუნდაც წამით, მხოლოდ წამით...

წამიერად მონუსხული თათია მყისვე გამოფხიზლდა, ვაჟს ორივე ხელი მიაბჯინა მკერდზე, თავი უკან გადაიგდო.

– თათია!..

– მე აღთქმა მივეცი ღვთისმშობელს, ამ უცხო ცისქვეშ არავინ შევიყვარო...

ქალი დაუსხლტა ვაჟაკის მკლავებს, განზე გადგა, ალექილი, თვალანთებული.

– მაგრამ... – წამით იყურა და: – მე ხომ ტყვე ვარ შენი! –
წაიჩურჩულა... და თავი მორჩილად დახარა.

ყრუდ დაიკვნესა ჯემალ-ბეგმა და სახეზე ხელისგულები აიფარა.

* * *

ცრემლები გაუშრა, უკვე აღარ ტირის თათია. საწოლზე გულაღმა გაშოტილი მისჩერებია უცნაური ყვავილებით მოქარგულ ჭერს.

ორი წელიწადი სრულდება, რაც ამ უცხო მხარეს ტყვეობაშია. ორი წელიწადი სრულდება, რაც იტანჯება და საშველი არსაიდან ჩანს. ვერა და ვერ შეურიგდა ბედს. ვერა და ვერ შეეჩვია ამ ყოფას. აკი ამბობენ: ადამიანი ყველაფერს ერევეაო. ათასობით, ათიათასობით ქალი და კაცი აკი ეგუება. სტამბულის ჰარამხანები ხომ სავსეა მისი ქვეყნიდან მოტაცებული თუ გაყიდული ქალიშვილებით. იანიჩართა რაზმებს კი ყოველ წელს ემატებიან ჯან-ღონით სავსე, მამაცი, მაგრამ გულამოცლილი, სულდაშრეტილი მეომრები. ისინი ხომ მისი უბედური ქვეყნის შვილებია. ამბობენ, ყოველ მესამე ოსმალოს ქართველის სისხლი ურევიაო.

ჰოდა, ხომ ეჩვეოდნენ, ხომ ეჩვევიან ისინი ახალ ცხოვრებას, ზოგი-უკეთეს პირობებს? ასე რომ არ იყოს, ვერც იცოცხლებდნენ, ვერც გაძლებდნენ, დაიხოცებოდნენ. თუმცა, რამდენმა ვეღარ გასძლო, ალბათ! რამდენმა მოისწრაფა სიცოცხლე...

თათიას ახსოვს, თურქეთიდან მის მშობლიურ სოფელში რომ ჩამოვიდა ბებერი ასინეთი – ასმათი, – ჩხეტიას ქალი. მიატოვა შვილები, შვილიშვილები და სიკვდილი მაინც თავის მშობლიურ სოფელში არჩია. მაგრამ ათასობით, ათიათასობით ქალი და კაცი, ბოლოს და ბოლოს, ხომ ეგუება მაინც თავის ხვედრს – მონობას. ნელ-ნელა იშლება წარსული. ივიწყებენ იმ ცისა და მთების ფერს, სადაც პირველად აახილეს თვალი. ივიწყებენ, ანდა უნდათ დაივიწყონ. სადღაც, გულის კუნჭულში, ალბათ, კიდევ რჩება იმ წარსულის ნასახი, მაგრამ ქრთლისოდენად ქცეულს, თანდათან ეყრება ნაცარმტვერი და... უკვალოდ ქრებიან, საბუდამოდ იძირებიან ოსმალთა ზღვაში. თათიას კიდევ „ბეღმა გაუღიმა“: ჯერ იყო

და, ასლან-ბეგის დედამ შეიფარა სასოწარკვეთილი თვისტომელი, მერე... ოსმალთა სახელოვანი სარდლისა და უმამაცესი ვაჟკაცის გული დაიპყრო... სხვა რაღა უნდა ნდომოდა მის ბედში ჩავარდნილ უბრალო, უგვარო ტყვე მონა-ქალს, სოფლის საწყალი, ღარიბი დიაკვნის ქალიშვილს, რომელსაც ხანდახან მჭადი და ლობიოც კი ენატრებოდა?

რა უნდოდა, რას მისტიროდა? დაუბრუნებელ, სამუდამოდ წასულ, დაღუპულ დღეებს? რატომ ჯვითობდა, რატომ ურჩობდა? რისი იმედი ჰქონდა საბრალო ტყვეს, პირუტყვივით გაყიდულს და დამცირებულს? რას ეჯიბრება – ბედს თუ ბედისწერას? რატომ მიმდგარა სარკმლის ცხაურთან მთელი დღეები და გამოუთქმელი ნაღველით რატომ გასცქერის ცას? ლაჟვარდებში მონავარდე მერცხლებს? ღრუბლის მოსეირნე თეთრ ფთილებს? ნუთუ ეს იგივეა ცა არ არის, მის კოპწია, ლამაზ სოფელს რომ ახურავს, იგივე ცარგვალი, იგივე მერცხლები, იგივე ვარსკვლავები!..

ბალიდან სიცილ-ტკარცალის ხმა მოესმის ხშირად. შადრევანთან ქალები მხიარულობენ, ბედს შერიგებულ-შეგუებული ქალები ერთობიან.

ნუთუ ოდესმე გაიცინეს ასე თათია? ოდესმე გაეხსნება დახურულ-ჩაშავებული გული. ოდესმე მოილხენს? როდის იცინოდა უკანასკნელად თათია? ძალიან დიდი ხნის წინათ, საუკუნის წინათ...

ბიძია შიოს ნაღზე, ჰო, იქ მოილხინა თათიამ უკანასკნელად, იქ იცინოდა გულიანად თავის ტოლ-სწორებში. იქ ითამაშა, იცეკვა, იმღერა ყველაზე მეტი. თითქოს გული უგრძნობდა, რომ ეს უკანასკნელი მხიარულება იყო მის ცხოვრებაში. ერთი კვირის შემდეგ... ო, ერთი კვირის შემდეგ ავაზაკებმა მოიტაცეს ნოლას გზაზე მიმავალი ქალიშვილი და იმ ყაჩაღებში წულუკიას წუწკი ვაჟი ერია – თავისი მამის ნათლული არ დაინდო იმ გარეწარმა.

იცოდა წულუკიამ თათიას გაბედული ხასიათი, იცოდა, უბელო ცხენს თამამად რომ დააჯირითებდა და სატევარსაც ვაჟკაცივით ხმარობდა. ჰოდა, ვერაგულად, ცბიერად დაუგო მახე...

მონასტერში, ილუმენიასთან მიმავალს ჩაუსაფრდა – ათი დარჩეული ბიჭი ახლდა თან. კვლარ უშველა თათიას თავგანწირულმა

წინააღმდეგობამ, ვერც ორმა ბიძაშვილმა. ისინიც გათოკეს და შეუბრალებლად, უწყალოდ დაყიდეს;

ო, აღარ უნდა თათიას იმ დღის გახსენება... იმ უბედური, დაქცეული, შავი დღის გახსენება.

პატარა გორაკზე შემომდგარ მონასტერს და ილუმენია ანას წვდება მისი ფიქრი. ხშირად იგონებს მას თათია. ან რა დაავიწყებს იქ გატარებულ დროს!

როცა ტკვილი აუტანელი ხდება, როცა ჰკონია, რომ მორჩა, გათავდა, მეტს ვეღარ გაუძლებს გული, მაშინ მხსნელად და მფარველად ილუმენია ანას სახე მოეგვლინება თათიას.

წამოიჩიბა თუ არა, ილუმენია ანა საკითხავად აძლევდა თათიას უდიდესი სიფაქიზითა და რუდუნებით მოვლილ-შენახულ ფოლიანტებს, ჩვენი უპირველესი კაცის დაწერილიაო. იმ დროსაა შექმნილი, როცა ჩვენი დიდი სამშობლო, ერთიანი საქართველო ბრწყინავდა მთელს აღმოსავლეთ-დასავლეთში, როცა მეფეთ მეფედ დიდი თამარი იყო.

მეფეთ მეფე თამარი? უბრძნესი და უსათნოესი ქალი. ქალი მეფე, ქალი – სახელმწიფოს გამგებელი!

რა ფარული, ჩუმი სიამაყით ჟღერდა მხეიძის ქალის ხმა, ამ სახელს რომ წარმოთქვამდა. მის ჯერ კიდევ ახალგაზრდულ, ლამაზ სახეს სიწითლე ეკიდებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა ხოლმე. თათიამ გვიან გაიგო მისი მოუშუშებელი ჭრილობის შესახებ.

რაკი საყვარელ ჭაბუკს არ გაატანეს, მხეიძის ამაყმა ასულმა მონასტერს შეაფარა თავი-მისი ამაღლებული, კეთილშობილური სული ვერ შეურიგდა ძალადობას, უსამართლობას. აქ, ამ პატარა მონასტერში თესავდა ილუმენია ანა უჩინო მარცვლებს, აქ, ბავშვებთან ხარჯავდა თავის დაუხარჯველ სიყვარულს და სითბოს.

ილუმენია ანა!..

ნეტავ, სადა ხარ ახლა? შენს გრძელ, თლილ თითებში ისევ ისე თუ იმარცვლება კრიალოსანი? ისევ ისე თუ გიზის პაწია სენაკში თათიასნაირი გოგონა და ასწავლი – ღვთის და „ქართლის ცხოვრების“ სიყვარულს, აგრეთვე დიდი წიგნის სიყვარულს, დიდ ქალს რომ მიუძღვნა მგოსანმა?

ილუმენია ანა!

შენისთანები რომ არ იყვნენ, ღირს განა ამ ქვეყნად სიცოცხლე?
ილუმენია ანა!

უკვალოდ არ დაკარგულა შენს მიერ ჩაგდებული მარცვალი გოგონას გულში, მაგრამ... ეგების სჯობდა, არაფერი სცოდნოდა თათიას? მაშინ... მაშინ, ალბათ შესძლებდა ეკისკისა იმ ქალებივით, ბაღში რომ ნებივრობენ ახლა. შეიგუებდა და შეიფერებდა პატივს.

პატივი? გალიაში გამომწყვდეულ ჩიტს ამადლიან, გალია ხომ ოქროსიაო...

...თათია მთელი დღეები დგას ცხაურიან სარკმელთან და მის ლაჟვარდოვან თვალებში ირეკლება ის ცა, იქ, მის პატარა სოფელს რომ გადმომხობია თავზე. ცვარით დაჟვარული მოლი... პატარა დაძმების ჟრიაბული... და დედის საამო ხმა ჩაესმის ყურში: ნანა, შვილო, შემოგველოს დედაშენი...

მეზობლები ეუბნებოდნენ თათიას მამას – სადღეოფლო ქალი გეზრდებაო, სამსონ. არა, დედოფლობას არ ინატრებდა თათია, მაგრამ რა მოელის აქ, ამ ბრწყინვალე დიდებულ ჰარამხანაში თათიას? თუნდაც სულთნის პირველი ცოლი იყოს, მაინც სულერთია ყველაფერი!

ო, რატომ არ დაიბადა თათია დიდი თამარის დროს? რაღა ამ უბედურ დროს გაჩნდა? ქალთა ცხენოსანი რაზმის შექმნა მაინც მოესწრო! არ აპარპაშებდნენ ქვეყნის ორგულებს, ტყვეთა მსყიდველებს, ათასი ჯურის მპარავს, მმარცველს, გადამთიელს არ გადააქცევიდნენ ქვეყანას ფუნდუკად, სადაც ყოველ გაიძვერა გამვლელს შეუძლია თავის ნებაზე ათამაშოს ხალხი!

არა, ამადამ არ დაეძინება თათიას. არც ამადამ და, ალბათ, არც ხვალ. თათია მიეჩვია უძილობას, მარტობას. ეს კეთილი საჭურის-თუხუცესი რომ არა, ალბათ, აქამდე ვერც მოატანდა. მირიათ ხანუ-მის შემდეგ ალი მოველინა კეთილ ანგელოზად, შვილივით უვლის, თავს ევლება, ესათუთება ბერიკაცი. რაც მთავარია, საშუალებას აძლევს იყოს თავისთვის, განმარტოებით. შენს უბედურებასთან მარტო ყოფნა ხანდახან დიდი ნუგეშიც ყოფილა თურმე.

ვენეციურ სარკესთან მივიდა. სანთლების მოლიცლიცე შუქზეც ხელავს, აღარ არის ის თათია, თუნდაც ამ ერთი წლის წინ რომ

იყო. გაფერმკრთალდნენ სალუქი ლოყები, უპეები ჩაუშუქდა, თვალებილა შერჩა სახეზე – დიდრონი, ნუშისებური, შუქიანი თვალები... ეს თვალები ეკითხებიან თითქოს ცას და ქვეყნიერებას: რატომ, რისთვის არგუნა განგებამ ასეთი ხვედრი? ვის რა დაუშავა? რა დაუშავა თუნდაც იმ ქალებს, მის დანახვაზე სახეები რომ ესხიპებათ! ის ერთი მაინც, ყველაზე ლამაზი მათ შორის, ო, ის სულაც არ მალავს თავის სიძულვილს...

ამ რამდენიმე დღის წინ ბალში სეირნობის დროს გადაეყარა თათია მათ. ალი აქამდე ყოველთვის ახერხებდა აეცდინა მათთან შეხვედრა.

თათიამ ნაღვლიანი, სიბრალულჩამდგარი თვალები შეავლო ქალებს. მერე ადგილზე გახევებულ, დადუმებულ ქალებში ყველაზე მოხდენილ ასულზე შეაჩერა მზერა. სახე გაუნათდა. თანაგრძნობითა და გამგებიანად შეჰკლიმა მშვენიერ ასულს. მაგრამ მყისვე შეეყინა ღიმილი ტუჩებზე. გოგონას ლამაზი თვალები ისეთი გაავებით იცქირებოდნენ, რომ შეცბა. დაიბნა, ნაბიჯი აერია. რაღაცას წამოედო და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ წაქცეულიყო. ანაზღეულად ქალს გამომეტყველება შეეცვალა-ლაქუცა ღიმილმა გაუპო ტუჩები, სახეზე მონური მორჩილება და მოწიწება გამოეხატა – ქალი საჭურისთუხუცესს ეფინებოდა ფიანდაზად.

თათიას გული შეეკუმშა. უნებურადვე შეეკრა შუბლი. მერე, კარგა ხნის მერე ჰკითხა ალის:

– რა ჰქვია იმ ლამაზ გოგონას ალი? – ტვინს კი უხვრეტდა ერთი და იგივე კითხვა: „რატომ? რა დაუშავა?“

– რომელს, შვილო? – უხალისოდ ჩაიდუღუნა საჭურისმა და მოიღუმა. ეტყობოდა, არ ესიამოვნა თათიას შეკითხვა.

– აი, იმას... ყველაზე ლამაზი როა?

– გიული ჰქვია!.. მაგრამ რად გინდა მისი სახელი?

– არა, ისე ვიკითხე. ძალიან ნორჩი და... უმანკო მომეჩვენა...

– ჰმ, უმანკო... – ჩაილაპარაკა ალიმ. მერე ერთბაშად ბრაზიანად დაუმატა: – საშიში ქალია ეს ნორჩი არსება, ერთობ საშიშიც!

– ვინა? ეს პატარა გოგო? („თუცა... ის თვალები, ის გამოხედვა!“)

– ჰმ, პატარა!.. ამ პატარამ სულ მცირე ხანში მოახერხა აქ ყველა ქალი ერთმანეთისთვის გადაემტერებინა, მალე ალბათ ხონტქრის სერალსაც მიწვდება მისი შხამიანი ენა.

– უჰ, როგორ არ გყვარებია, ბერიკაცო, ის საბრალო გოგონა! – ამ ყოველმხრივ დაგმანულ და დახშულ სატუსალოში რა უნდა შეძლოს ერთმა სუსტმა, საცოდავმა ტყვე-ქალმა!

– ო, ო, ცხრა გალაგანშემორტყმული ციხე-კოშკიდან შეუძლია სიავის ჩადენა, თუ ქალმა მოინდომა. მერწმუნე ამაში, ჩემო მშვენიერო!

პირველად გაეცინა თათიას ასე გულიანად.

– ესე იგი... ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებს თუ გაიწიაო, არა?

– ჭეშმარიტად! ასეა ეგ!

– მაშ, მეც შემძლება... („მიზნის მიღწევა?“) – გაჩუმდა. ენა მოიკნინა.

– შენ... შენ სხვა ხარ!.. შეხედე თათია... ბროწეულები ყვავიან.

– ბროწეულები? აბა, სად, სად? –

აქეთკენ, ბალის ამ კუთხეში ადრე არასოდეს ყოფილა თათია. თვალეები გაუბრწყინდა, ხესთან მიიბრინა:

– ბროწეულები... – წაიჩურჩულა და ვარსკვლავყვავილებით აბრიალებულ ტოტს მიწვდა, ხელი ნაზად გადაუსვა: – ჩემი სოფლის ორღობეებში სულ ბროწეულები იზრდებიან, – თვალეებზე ცრემლი მოადგა: – ახლა იქაც ყვავიან, ალბათ! – ჩურჩულით თქვა და ორივე ხელისგული სახეზე აიფარა. გაყურდა.

– ჯემალ-ბეგსაც უყვარს ბროწეულები. ეს მისი საყვარელი ადგილია. ლაშქრობიდან რომ მობრუნდება, უეჭველად აქ მოვა ხოლმე. აქ უყვარს ჯდომა.

თათიამ ხელები ჩამოიღო სახიდან.

მერე გამომცდელად, დაკვირვებით შეხედა საჭურისს: – ალი ძია, რატომ არ სიამოვნებს ჯემალ-ბეგს თავისი გურჯობა?

– წამო, გაგბრუნდეთ, ვარდნარი დავათვალიეროთ.

– არ მინდა, აქ მიჩვენია, ბროწეულების ყურება მირჩენია. თუ შეიძლება მითხარი, რატომ არ სიამოვნებს-მეთქი იმის გაგონება ჯემალ-ბეგს, რომ წარმოშობით... ქართველია? რატომ? ა?

საჭურისი გაურბოდა თათიას თვალებს, ბროწეულის ხეს გარშემო უვლიდა. სათუთად უსვამდა ხელს ტოტებს, ცინცხალ ყვავილებს თითქოს გულს უსინჯავსო, დაჟინებით ჩასცქეროდა. მერე თათიასთან მივიდა ისევ და ქალწული გააოცა ანაზღად ბერიკაცის ბასრმა, მახვილმა გამოხედვამ:

— ჯემალ-ბეგი პატარა იყო, დედა რომ გარდაეცვალა, თათია. ცხონებული ქალბატონი მართა ღრმად მორწმუნე ქრისტიანი და სათნო, გულკეთილი ქალი გახლდათ. მწარედ განიცდიდა თავისიანებთან დამორებას. მაგრამ... ვერაფერს უბედავდა ქმარს. ნესტორი გოროზი, თვითრჯული კაცი იყო. რასაც ერთხელ ამოიჩემებდა, აღარ გადათქვამდა. ალბათ, შენც კარგად მოგეხსენება თათია, როგორი მნიშვნელობა აქვს დედას შვილების აღზრდაში. დედა ოსმალო ან სხვა ტომის თუ ჰყავს ქართველს — იგი თავის ქვეყნისათვის, თავისი ხალხისათვის დაკარგულია.

— გადაგვარებული, გადარჯულებული ქართველი კი მტერზე უარესიაო, ალი ძია, არა? — ჩაურთო ანაზღად თათიამ, რომელიც აქამდე შეურხევლად მდგარი, სულგანაბული უსმენდა ბერიკაცს. საჭურისმა თითქოს არ გაუგონიაო მისი შენიშვნა, განაგრძო თავისი ყრუ, თითქოს დაბეჭილი ხმით: — ჰოდა, არ დაცალდა იმ სულგანათლებულს თავისი ბიჭის აღზრდა. ჯემალ-ბეგი რომ წამოიჩინა, მამამისმა თავის კვალში ჩააყენა. ამ დროისათვის ნესტორმა, უკვე მუსტაფა-ბეგმა — მოასწრო სერალში გავლენის მოპოვება. ჯემალ-ბეგი მამის გზას გაჰყვა და...

— აი, შენ, შენც ხომ დიდი ხანია, აქ ცხოვრობ, ალი ძია! შენ რატომ არ დაივიწყე შენი ენა, შენ რატომ გახსოვს შენი სადაურობა?

საჭურისმა ჩალმაზე მოივლო ხელი, მერე თვალებზე აიფარა.

— მე? მე ერთი უბირი, უპატრონო და ბედდამწვარი კაცი ვარ, თათია-შვილო! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბერიკაცმა და იქვე, ჯვორკოზე დაეშვა. — კაცი კი არა, არაკაცი გამხადეს ამ... ურჯულოებმა. არაკაცისთვის კი სულ ერთია, ვინ იქნება: ოსმალო თუ ქართველი, ქრისტიანი თუ მაჰმადიანი. ის კი... დიდი სარდალია, შვილო, დიდი კაცი... — ისე განაგრძო საჭურისმა, თითქოს ვერ გაიგონა ქალწულის სიტყვა, ვერ დაინახა მისი თვალები; — ქვეყ-

ნის მთავარსარდალი და სულთნის უახლოესი კაცია ჯემალ-ბეგი. ამიტომ ბევრი მოშურნე ჰყავს, ბევრი მტერი და ავისმზრახველი! ფარული, უჩინარი და მით უფრო საშიში, სახიფათო. ისინი ხომ მხოლოდ ხელსაყრელ ჟამს ელოდებიან მიყურებულ-მიმალულნი, რათა კვანტი დაუდონ, წააქციონ. ო, მერე ძაღლების ხროვასავით ზედ შედგებიან, დაგლეჯენ, დაფლეთენ.

– მერე... ნუთუ ეგ ჯემალ-ბეგმა არ იცის?

– რომ იცის, იმიტომ ფრთხილობს ალბათ. ვინ იცის, რას ფიქრობს, რა განზრახვა აქვს, რა სურვილები! იგი დიდი კაცია, შვილო, დიდი ვაჟკაცი. ეს სახელი, პატივი და წარჩინება თავისი ნიჭით, ჭკუით და გულადობით მოიხვეჭა. ამხელა ქვეყნის პირველი სარდალი გახდა ახალგაზრდა კაცი...

– იმის ხარჯზე, რომ ჰკმო თავისი ღმერთი, თავისი ხალხი... აღარაფერი შერჩა თავისი მამაპაპეული. ამას სჯობია უბირ კაცად დარჩე და შენს ქვეყანას, შენს ხალხს არ უღალატო!

საჭურისმა თვალი მიაშტერა სახეანთებულ ქალს, რომელსაც ბროწეულის ტოტისთვის ისე მაგრად მოეჭირა თითები, რომ ერთიანად გათეთრებოდა.

ალიმ თავი გაიქნია. უცნაურად, გვერდულად ჩაიღიმა – ადამიანის გული ხშირად ამოუცნობია, შვილო, ვინ რა იცის, რა იმალება მის უამრავ კუნჭულში... – წამით იყუნა, მერე ისე განაგრძო, თითქოს ფიქრშიაო: – აი, შენ ამბობ, აღარაფერი შერჩა მამაპაპეულიო, ეს ბროწეულები ჯემალ-ბეგმა დაარგვევინა. დედამისს უყვარდა ბროწეულის ხე. შენი თქმის არ იყოს, ცხონებული ქალბატონი ამბობდა, ჩემს სოფელს მაგონებს ისინიო. ჯემალ-ბეგს უყვარს აქ მოსვლა და ფიქრი. მეც, გაუბედურებული და დაღუპული კაცი, შემივრდომა. იმ სულკურთხეულმა სიკვდილისწინ სთხოვა თავის ქმარ-შვილს, მოეხედათ ჩემთვის, ეპატრონათ. ჯემალ-ბეგმა შეასრულა მომაკვდავი დედის თხოვნა, თუმცა მაშინ ბავშვი იყო და ბევრი არაფერი ესმოდა. მერე მამაც მოუკვდა და მის შემდეგ უფრო დამიანხლოვა და ერთი წამითაც არ მიშორებს. და მეც ვცდილობ გამოვადგე, რითაც შემემლება, ხელი შევუწყო... გული კი... ადამიანის გულში ჩახედვა ადვილი საქმე არ არის, შვილო: ვინ იცის, რა იმალება შიგ!

...თათიამ პირველად გადაისახა. ღმერთო, შეუნდე ყველას შეცოდებანი მისნი. ღმერთო, ყოვლად წმინდაო მარიამ, შეუნდე თათიასაც, თუკი რაიმე უმართებულო გაიფიქრა ვინმეზე!

ღმერთო! ღვთისმშობელი მარიამ... ჩუ, ვინ არის?

შემკრთალმა თათიამ კარისკენ მოიხედა. საომრად აღჭურვილ-აღკაზმული ჯემალ-ბეგი მისკენ მოდიოდა. მის უკან საჭურისის ჩალმას ჰკიდა თვალი.

ჯემალ-ბეგი თათიასგან შორიანლოს შედგა:

– მოემზადე, თათია!

– ?!

– მივდივართ! – ჯემალ ბეგი თვალს არ აცილებდა ქალწულის გოცბებულ-დაბნეულ სახეს.

– სად... სად მივდივართ? – თათიამ უმწეოდ დააფახულა წამწამები, მერე შეხედა ჯერ ჯემალ-ბეგის კუმბ, მკაცრ სახეს, მერე საჭურისზე გადაიტანა დამფრთხალი მხერა.

– ახლა გოცბების დრო არ არის, შვილო, არც კითხვების. რასაც ჯემალ-ბეგი გეუბნება, გააკეთე. ოღონდ იჩქარე. ყოველი წუთი ძვირფასია.

* * *

...უხმაუროდ, ჩუმად, შეალო კაიუტის კარი. მერე კართანვე აიტუზა: – შენ მიხმე, თათია?

თბილმა, თბილმა ტალღამ გადაუარა თათიას გულზე, ასე ბავშვივით მორჩილი რომ იდგა ვაჟკაცი მის წინაშე. კარჭაპი ძლიერ ირწეოდა და ქალი კედელ-კედელ, ხელისცეცვით მივიდა ვაჟთან, წინ დაუდგა. მერე წონასწორობა რომ შეენარჩუნებინა, ორივე ხელი ჩასჭიდა მკლავში, დაბლიდან მალლა ახედა. სანთლების მკრთალ შუქზე უცნაურად ბრწყინავდნენ ქალწულის თვალები, ეს თვალები აშუქებდნენ თითქოს ირგვლივეთს.

– „ღმერთო, რა მშვენიერია!“ – გული მტკივნეული სიამით მოეწურა ჯემალ-ბეგს, მხერა ვერ გაუსწორა და იგრძნო, ხელები რომ უკანკალებდა.

– მართალია, რომ ხვალ საღამოს, საქართველოში ვიქნებითო, ჯემალ?

„ჯემალ!“ პირველად მიმართა ასე თათიამ ვაჟაკს.

– თუ ღმერთმა მოგვხელა და მშვიდობით ვიმგზავრეთ...

„ველარ მოითმინა მაინც ალიმ!“

– ო, ღმერთო! ყოვლად წმინდაო მარიამ, ნუთუ... ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ ეს ცხადია და მე სიზმარში არა ვარ?

– თათიას ხმა ჩაუწყდა და უცებ ცრემლი დაეკიდა წამწამებზე. ჯემალ-ბეგი გახევდა. სულ ახლოს იყო ქალწულის აფეთქებული სახე, აციმციმებული თვალები; მის სუნთქვას, მისი თმის სურნელს შეიგრძნობდა აშკარად, ცხადად.

– მაშ, სულ მალე ვნახავ ჩემს საბრალლო დედას, მამაჩემს! ო, ჯემალ... – თათია ანაზღად დაიხარა, რომ მუხლებში ჩავარდნოდა.

– თათია! – არ დაანება ჯემალ-ბეგმა: – რას შვრები, თათია?

თათია ახლა თავმეუკავებლად, გულამომოჯდარი ტიროდა, ტიროდა და ვაჟის ფართო მკერდში მალავდა სახეს. შეძრული, აფორი-აქებული ჯემალ-ბეგი ცდილობდა დაემშვიდებინა ქალი, გაუბედავად, ფრთხილად ეფერებოდა თმაზე, ლოყებზე... გული კი ლამის ამოვარდნოდა საგულედან, ბაგაბუგი გაუდიოდა...

– თათია... ჭირიმე შენი... გაჩუმდი, ნულარ ტირი... შემიბრალე, თათია...

თათიამ სწრაფად ასწია თავი, ცრემლით დანისლული თვალებით ახელა ვაჟს: მას საოცარი ტანჯვის იერი აღბეჭდვოდა სახეზე, ანთებულ თვალებში კი თითქოს ელვა იკლანებოდა.

ცრემლი შეაშრა თათიას. უკან დაიხია უნებურად, მაგრამ ჯემალ-ბეგმა ერთბაშად ორივე ხელი მოხვია, თავისკენ მოიზიდა ისევ, სახე მის თმებში ჩარგო.

– იცი... იცი, თათია, მე ძალიან ბედნიერი ვარ ახლა და... მესინია... – მერე თავი დაუჭირა ორივე ხელით, თვალებში ჩახელა ღრმად...

– იქ, რომ ჩავალთ... სამშობლოში, ჯვარს დავიწერთ და შენ ჩემი იქნები, თათია, ჩემი... ხომ გეყვარები?

თათია უსიტყვოდ ჩაეკრა გულში.

ჯემალ-ბეგმა უცებვე მოიშორა ქალი. თავბრუდახვეულმა კარი ძლივს გამოაღო და გარეთ გამოვარდა. ბარბაცით გაიარა კიჩომდე,

მერე ჩამოვდა და თავი ბოძს მიაყრდნო. გრილმა ნიავმა გამოაფხინხლა ნელ-ნელა. გახურებული შუბლი გაუგრძელდა.

აღმოსავლეთს გახედა. მტრედისფერი შეჰპარვოდა ცას: „მალე ინათებს!“ – გაიფიქრა და მუხლებზე შემოიხვია მკლავები. ნიჩბების ტლაშუნის ხმა და მეზღვაური ლაზების ხმადაბალი ლაპარაკი არღვევდა სიჩუმეს. ალიც, ალბათ, მეზღვაურებთან ზის ახლა და გულს იოხებს მათთან ლაყობით. ადრე გამოვიდნენ პორტიდან, სანამ სასახლეში გაიგებენ, რაც მოხდა, ნახევარზე მეტი გზა ექნებათ გამოვლილი. ო, რა ამბავი დატრიალდება დღეს სერალში. სულთნის გაცოფებული სახე დაუდგა თვალწინ, ვაზირების გესლიანი ღიმილი... ესეც თქვენი ერთგული სარდალი, ნიშნს მოუგებენ გუნებაში სულთანს. აკი ვამბობდით, არც ერთი გურჯი ბოლომდე სანდო არ არისო. ხმამაღლა თუ არ ვამბობდით, გულისგულში ხომ ვიცოდითო...

ისკანდერ ფაშა!.. ვაზირთუპირველესსაც აუხდება „წინათ-გრძნობა“, როგორ თქვა თათიამ? წვეთ-წვეთად რომ გაიღო სისხლი, მათთვის შენ მაინც გადამთიელი დარჩებიო. განა არა?

ისკანდერ-ფაშას მელისავით წვრილ, მოჭუტულ თვალებში ჟამიდან ჟამამდე იელვებდა ხოლმე ცბიერი ნაკვესები. დიდებული ჯემალ-ბეგი მაინც არათვისტომად, უცხოელად რჩებოდა ოსმალო წარჩინებულთა თვალში, ალბათ, სულთნის თვალშიც, თუმცა, თავის საყვარელ ასულს აძლევდა ცოლად... ეგების ეგეც საბოლოო გადმობირების მცდელობა გახლდათ? ვინ იცის!..

ლეილი ხანუმი! ჰმ... რა მოულოდნელი უსიამოვნება და იმედგაცრუება მოელის სულთნის ქედმაღალ ასულს!

ჯემალ-ბეგმა იცის, იქაც საქართველოშიც მიწვდება მას სულთნის რისხვა. ამიტომ დროებით, ალბათ, მოუწევთ დამალვა. ამაზე ალი იზრუნებს. ალიმ იცის იქაური გზა-ბილიკები, მთა თუ ხევი. ალიც ბედნიერია, მაგ საცოდავსაც სიბერის ჟამს ეღირსა სამშობლოს ხილვა.

ვარსკვლავებით მოჭიქულ ცარგვალს ახედა.

დმერთო! ამ ლამაზი, უკიდევანო ცისქვეშეთში რატომ არ ეცხოვრება ადამიანს მშვიდად? უომრად? უსისხლისღვროდ?

საიდანაა ასეთი უღმობელობა და სისასტიკე ადამის ნაშიერში? საიდანაა სურვილი, ერთმა სძლიოს მეორეს, ძლიერმა – სუსტს?

ერთმა დაჩაგროს, დაიმონის მეორე? თავისი ღმერთი აწამოს სხვას – ნებსით თუ არა – ძალით?

ცოდვის რკალში ვართ მოქცეულნი სუყველანი. დასაბამიერი ცოდვა მოგვღვეს, ალბათ, მითაჟამიდან და იმიტომ. შესაძლოა კი ამ რკალის გარღვევა? არის კი საშველი საიდანმე? უწყის ვინმემ, ბელისწერის განჩინება?

...წამოდგა ფიქრამღილი, აფორიაქებული. კატარღის მეორე მხრისკენ დააბირა წასვლა, იქითკენ, სადაც ალი ეგულებოდა. კაი-უტიდან გამომკრთალ შუქს მოუხედა უნებურად.

თათია!

სულში შემოჭრილი ნათღის ჩქერალი... ოცნება და ნატვრა აუხდენელზე, მიუწვდომელზე! იმედის სხივი მომავღის... იქ, გუღღის სიღრმეში ბავშვობიდან ჩარჩენიღი სამშობღოს ხატება...

ფიქრი გაუწყღა ერთბაშად. ზურგს უკან შემფოთებული ხმა შემოესმა:

– ჩემო მბრძანებეღო!..

– აღი? რა იყო, აღი?

– ჯემალ-ბეგ... უბედურება...

ჯემალ-ბეგი გადაფოთრდა ანაზღეულად.

– რა... რა მოხდა, აღი?

– ვიღაც წყეულმა გაგვცა... დავიღუბეთ!

– რა იცი?!

– გაიხეღე... ზომალღი!..

ჯემალ-ბეგი კატარღის მოაჯირს ეცა. შორს დიღის ბინდ-ბუნდში გემის სიღუეტი გამოიკვეთა. მისმა მახვიღმა მზერამ ზარბაზნების ლუღებიც კი გაარჩია. კბიღები გააღრჭიაღა. მერმე მუშტით მოისრისა შუბღი:

– ნაბირი?.. შორსაა ნაბირი?

– ვერ გავასწრებთ...

– ახ! – კვღავ გააღრჭიაღა კბიღები ჯემალ-ბეგმა. და ერთბაშად გაქვავდა.

ვის, ვის შეეღლო გაეცა ისინი? არავინ იცოღა ძე ზორციეღმა ეს ამბავი. არავისთვის გაუნღვია საიღუმღო. ვინ ჩამოხეღა გულში?

წამით კატარღის ნაკოსალარზე¹ მიიტანა ეჭვი. არა, შეუძლე-ბელია. მან არ უწყოლა-ვის მიაქირავა კატარღა, ესეც არ იყოს, ვერც მოასწრებდა დაბეზლებას. შუალამეზე გავიდნენ პორტიდან. მერე, აღის ვერ გამოაპარებდა ვერაგობას! მაშ, ვინ, ვინ?

– რა ვქნათ, აღი?

აღი თავჩაქინდრული იდგა უსიცოცხლო, მოღვენთილი.

– სულთნის წყალობის იმედი უნდა ვიქონიოთ, – ჩაიდუღუნა საჭურისმა და ტურები მოეღრიცა.

ჯემალ-ბეგი გალიაში მომწყვდეული ვეფხვივით აბორგდა.

– ეგება გავალწიოთ? ელაპარაკე ბიჭებს?

– ერთადერთი მცირე იმედილა დაგვრჩენია...

– რა? რა იმედი?

– იქნებ, არ იყოს მდეგარი, მაგრამ თუ გაცემული ვართ...

– ვინ, ვინ შეიძლება იყოს? ოხმე...

უცებ თავში ელვასავით გაჰკრა რაღაცამ აღის.

– ჯემალ-ბეგ! ქალის ხელი ურევია ამ საქმეში.

– ქალი?! არავისთვის მითქვამს, არავისთვის გამინდვია.

– ო, ღმერთო! შეყვარებული ქალი გუმანით ხვდება ბევრ რამეს. მით უფრო, უარყოფილმა ქალმა ძუ მგელივით იცის გააფთრება. „წმინდა გიორგი! შენ დალახვრე უბაღო ეშმაკი, ო, ღვთისმშობელო!..“

– აღი? ნუთუ?.. გიული?

– ო, წყეულიმც იყოს მისი სახელი.

თავზე ხელი იტაცა ჯემალ-ბეგმა. ხმა ჩაუწყდა. იდგა ასე ერთხანს გაქვავებულივით. გონება კი – გამალებით განაგრძობდა გამოსავლის ძებნას. გამოსავალი არ ჩანდა. თუმც... ერთიმეორეზე უფრო ფანტასტიკური მოსაზრებანი ელვის-უსწრაფესად ენაცვლებოდნენ ურთიერთს. ბოლოს შეირხა. მისგან მოშორებით ასევე ადგილზე გახევებულ, ენაჩავარდნილ და სასოწარკვეთილ საჭურისს მიუბრუნდა და მღელვარებისგან ოღნავ ჩახლექილი ხმით უთხრა – აღი! შენ... თათიასთან დაბრუნდი! ეცადე... არაფერი შეიტყოს მანამ, სანამ... – შეჩერდა.

1 კაპიტანი

„ეგებ... ქალი დაინდონ მაგ ძალღატაკობა“.

– თათიას შენ გაბარებ, იცოდე!

„ვინ იცის, ეგებ მოხდეს სასწაული და...“ – აზრი გაუწყდა, მუშტით კვლავ მოისრისა შუბლი და ისევ გაიყინა ადგილზე:

– შენ... შენ რას აპირებ, შვილო ჯემალ? – პირველად მიმართა თავის პატრონს საჭურისმა შვილოთი, მაგრამ ეს თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, არც შეუმჩნევია, როგორ მოხდა ასეთი ცვლილება ისევე, როგორც ჯემალსაც, რომლის ბაგესაც ასევე პირველად მოწყდა...

– ძია ალი!.. მომისმინე, ახლა დრო არ არის დავა-კამათის... მღევარს დავალებული ექნება ჩემი ცოცხლად შეპყრობა. ამიტომ ისინი ეცდებიან ნავს არაფერი დაუშავდეს. მე კიდევ-ცოცხალი თავით არ ჩავბარდები ამ ძაღლის გაგდებულებს. ხომ გასაგებია შენტვის ეს ძია ალი?.. ჰოდა...

– ჯემალ შვილო, ზოგჯერ ხონთქარიც შეიძლება გულმოწყალე იყოს...

– მიმიფურთხებია მისი გულმოწყალებისთვის და საერთოდ... ყველა ამათთვის! – მცირე პაუზის შემდეგ: – მე ახლა მენავეებს დაველაპარაკები, შენ კი... ჩადი თათიასთან... შენ იცი ძია ალი, თათიას მიმიხედე!.. „იქნებ მოახერხო რამე... და უშველო იქნებ!“ მერე უცებ დაიხარა და ბერიკაცის მხარს ბაგით შეეხო წამით. მერე წელში გასწორდა და თვალბეჭეტებით მიაჩერდა მუჭის-ტოლად ქცეულ საჭურისს, უფრო სწორად, მის მიღმა ჩამოწოლილ ბინდიან სივრცეს, ნელ-ნელა ალიონის სინათლით რომ ივსებოდა. მერე მკვეთრი მოძრაობით გაისწორა ქამარში გაჩრილი დამბაჩები და სწრაფად გატრიალდა.

მენავეებიც შეჩოჩქოლებულიყვნენ, ვერ გაერკვიათ, რა ხდებოდა, რატომ შეჩერდნენ, ან ის მოახლოებული სამხედრო ხომალდი რას უქადდა მათ!

ჯემალ-ბეგს დანახვისთანავე გარს შემოერთყნენ და ის იყო კითხვები უნდა დაეყარათ, მაგრამ ჯემალ-ბეგმა დაასწრო სუყველას და ოდნავ აჩქარებული ხმით, მოკლედ აუხსნა საქმის ვითარება, შემდეგ მტკიცე, მბრძანებლური კილოთი დაუმატა, რომ ყველას ძელურთან მოეყარა თავი და, რაც უნდა მომხდარიყო, იქიდან

ფეხი არ მოეცვალათ! მხოლოდ მე ვაგებ პასუხს ყველაფერზე და ყოველნაირ ჩარევას სასტიკად გიკრძალავთო, ისეთი იერით და ხმით იყო ეს ყოველივე ნათქვამი, რომ ვერავინ გაბედა შეპასუხებოდა. მხოლოდ მენავთწინამძღოლმა მაინც ვერ შეიკავა თავი და: – ბატონო!.. ბალახი არც ჩვენ გვიძოვია, გულდელლები არც ჩვენ ვართ. საჭირო შემთხვევაში... ჩვენც შეგვიძლია ხელი გამოვიღოთ!

– თუმც პატარაა, მაგრამ ზარბაზანი ჩვენც გვაქვს! – შეემველა თავის ზორბა ტანის თმაშეჭალარაკებულ წინამძღოლს ერთი მეზღვაურთაგანი.

– დიდი მადლობა. თქვენს სიმამაცეში ეჭვი არ მეპარება, ძმებო, მაგრამ უაზრო სისხლისღვრა არაა საჭირო.

ყველამ ხმა გაკმინდა. კეთილგონიერება და საღი აზრი თავდაც ამას უდასტურებდა და კარნახობდა თითოეულ მათგანს.

რიჟ-რაჟის სიჩუმე მკვეთრად დაარღვია სამხედრო ხომალდის საყვირის ხმამ, რასაც ყვირილი მოჰყვა: – გზა მოჭრილი გაქვთ! სულთნის სახელით გიბრძანებთ, დაგვენებდეთ!

ჯემალ-ბეგმა ხელით ანიშნა მენავებს, ხმა არ გაეღოთ.

ანძასთან დაძაბულ მოლოდინში გარინდებულს, თვალწინ ელვის უსწრაფესად გაურბინა მთელმა მისმა განვლილმა ცხოვრებამ – ბავშვობიდან ჭაბუკობამდე და... ამ გადამწყვეტ, საბედისწერო ჟამამდე.

ის თავბრულამხვევი წარმატება, ის სახელი, პატივი, დიდება რასაც მიაღწია ჯერაც ახალგაზრდა კაცმა – ყველაფერი სრულ არარაობად წარმოუდგა. აზრშერყეულს, გაოგნებულს ყოველივე ამოებად მოეჩვენა. თითქოს არც არაფერი ყოფილა, სიზმარეული მოლანდების გარდა.

გამძაფრებული შინაგანი მზერა კი კვლავ წყვეტებში იყო, კვლავ განაგრძობდა წარსულის სურათების წამიერ ჩხრეკას... და მისდაუნებურად, იმ წამებზე ჩერდებოდა, როცა... მუდამ თალხ კაბაში ჩაცმული, მწყაზარი სახის, სევდიანი დედა – გოროხი, ყველაზე და ყველაფერზე გაავებულ-გაბოროტებული მეუღლის უჩუმრად – პირჯვარს გადასახავდა ხოლმე ძილის წინ და... ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ჩურჩულით, სასოებით ავედრებდა

თავის ერთადერთ ძეს... როცა... არ იძინებდა, მანამ... სანამ დედა არ მოუყვებოდა ძველ, საგმირო ამბებს და ჯადოსნურ ზღაპრებს დევგმირებსა და მზეთუნახავებზე...

ან... არ უძღვრებდა თავისი ტკბილი, საამო ხმით ძილისპირულს.

დედის ნაღვლიან, დიდრონ თვალებს უცებ წაეფარა მუხლმოყრილი, მლოცველი ქალწულის ღვთაებრივი სახე და... ის მზერა, დაუმორჩილებელ, შეუპოვარ და უტეხ სულს რომ ირეკლავდა...

„თათია!“

და ერთბაშად, მოულოდნელად ხსოვნის სკივრიდან ამოფრინდა პაწია ჩიტი, „ნუ გათათრდებიო“, რომ იხვეწებოდა ჟამით-ჟამადის.

ნუ გათათრდები!

ანაზღვეულად მკაფიოდ, ცხადად შეიგრძნო, რომ დაჭიმულ-დაძაგრული ძარღვებში ძალუძად, გამეტებით აუჩქეფდა წინაპართა ცხელი სისხლი, სისხლი დიდი ბაბუის როსტომ დიასამიძისა. და მთელი მისი არსება მყისვე მოიცვა დაუმცხრალმა, უშრეტმა ენერგიამ დიდი ბაბუისა, ათ მომხვდურს რომ აკაფავდა თურმე-თვალის წამში თავისი უძღველი ხმლით, ვისი სახელი შიშის ზარს სცემდა მტერს და მოძულეს.

...ლოდინმა დიდხანს არ მოუწია. კვლავ გაისმა მოწოდება დანებების შესახებ. შემდეგ აბორდაჟით აყვანილ კატარღაში მეზღვაურების პირველი რაზმი გადმოვიდა ყიფინით და იარაღის ჟღარუნით.

ამ წამს ელოდებოდა ჯემალ-ბეგი. — მე ვარ, ვისაც ეძებთ, თქვე ძაღლისშვილებო! — მან ქამრიდან სწრაფად იძრო ორივე დამბაჩა და ერთდროული ზუსტი გასროლით ორი მოიერიშე გააგორა. მერე ხმალი იშიშვლა და... ვეფხისებური ნახტომით პირდაპირ ეკვეთა მოულოდნელობისგან დაბნეულ და დამფრთხალ მეწინავეებს და ჩეხვა დაუწყო. ეს იყო ზარდამცემი, წარმოუდგენელი სანახაობა. დეკაკაცი თითქოს ქონდრისკაცებს დარეოდა და ელვისუსწრაფესად მუსრს ავლებდა მათ.

ხომალდიდან ამ სურათის შემყურე ცოფმორეული ნავკოსალარი ახლა თავად წამოუძღვა სამარქაფო რაზმს.

ჯემალ-ბეგმა ის იყო ალყა გაარღვია და ნავკოსალარს უნდა სცემოდა... მაგრამ... უცებ გაისმა დამბაჩის სროლის ხმა და...

ჯემალ-ბეგმა ნელ-ნელა, ჯერ მუხლებით ჩაიჩოქა და სანამ ძირს დაენარცხებოდა, სანამ თვალებს სამუდამოდ დახუჭავდა, მისმა უკვე დაბინდულმა მზერამ წამიერად აღიქვა იარაღმომარჯვებულნი თათია როგორ წამოეგო დაშნის წვერზე...

...თავზარდაცემული ნავკოსალარი ერთ ადგილას გაშემებულიყო და უზომოდ გაფართოებულ თვალებს გარშემო ატრიალებდა... „ჯემალ-ბეგ!“

აი, თურმე ვისი გულისთვის დაეცნენ შუალემზე. საწოლიდან წამოაგდეს და უბრძანეს, სასწრაფოდ დასდევნებოდა გაქცეულ დიდ სახელმწიფო დამნაშავეებს და ცოცხალი ან მკვდარი მოეგვარათ ისინი სულთნისთვის.

ჯემალ-ბეგ! ვის მამაცობასა და ვაჟკაცობაზე ამდენი სმენია ისმაილ-აღას. ნავკოსალარის მზერა სარდლის მარჯვენა ხელზე შეჩერდა უნებურად. სახელოვანი სარდლის მარჯვენა, რომელსაც არაერთხელ უსახელებია ოსმალთა იმპერია, ახლა მოჭრილი ტოტივით ეგდო ძირს, იატაკზე. ჭრილობიდან კი ჯერ კიდევ მოჟონავდა თბილი სისხლი, მისგან მოშორებით ჩაკეცილიყო და სისხლის გუბეში ცურავდა საარაკო სილამაზის ქალი.

„ო, დიღო სარდალო, უშიშარო ჯემალ-ბეგ!.. მე ქედს ვიხრი შენი და შენი მზეთუნახავის წინაშე!“

ო, ალაჰ, რა უღვთოდ, რა უწყალოდ გაუწირავს განგებას ეს ორი რჩეული არსება!“

წამის წინ გააფთრებული ნავკოსალარი საოცარ სანახაობას დაეტყვევებინა, გადარჩენილი მეზღვაურებიც ხმაგაკმენდილნი, შეურხევლად იდგნენ თავიანთი მეთაურის გარშემო.

...საჭურისმა თავი ასწია, შეჯგუფებულ ხალხს ახედა. მრავლისმნახველმა და მამაცმა ნავკოსალარმა ველარ გაუძლო ამ მზერას და თვალები დახარა. უნებურად გააჟრჟოლა. სიჩუმე კი გრძელდებოდა. მძიმე, სულის შემხუთველი სიჩუმე.

ბოლოს პირველი ისმაილ-აღა გამოერკვა. მის ვაჟკაცურ, მზემოკიდებულ და ნაიარევ სახეზე ურყევი გადაწყვეტილება აღიბეჭდა. მან ხელის მბრძანებლური მოძრაობით ანიშნა თანმხლებთ — გაცლოდნენ აქაურობას.

– ბერიკაცო! – მიმართა შემდეგ საჭურისს წყნარი ხმით, – შეგიძლია, განაგრძო გზა. მიაბარე ესენი იმ მიწას, რომლის ნახვასაც ასე ეშურებოდნენ... – წამით იყუჩა, – ეგებ სიკვდილის შემდეგ მაინც ეღირსონ ამ ბედნიერებას... – ხმა შეუთრთოლდა. გაჩუმდა. მერმე რაღაც უხილავმა ძალამ წინ უბიძგა. არეული ნაბიჯებით მიეახლა ცხედარს, დაიხარა, გვერდზე გადავარდნილი სალტიანი მარჯვენა ნატყვიარ გულზე დაუდო, იქ, სადაც მარცხენა ესვენა. მერმე წელში გაიმართა და მოხუცს გამჭოლი, ბასრი მზერა ესროლა: – დანარჩენი მე ვიცი!..

„ო, ალაჰ, მოვიდეს, რაც მოსასვლელია!“

საჭურისი უსიტყვოდ შესცქეროდა მენავთწინამძღოლს. საჭურისის დალეულ სახეზე ახლა მხოლოდ თვალები ჩანდნენ, უცნაურად გაგანიერებული, მოყვითალო თვალები. მან მშვენივრად უწყოდა, რას ნიშნავდა ის მსხვერპლი, რაიც გაიღო ახლა თურქმა ნაკოსალარმა. და მის ჩანავლებულ, ჩაფერფლილ გულში ანაზღუელად შეირხა ის ძარღვი, რომლის არსებობაც დიდი ხანია დავიწყნოდა...

* * *

...მზე შუბისტარზე იყო უკვე, თვალსაწიერზე მიწის მოციხფრო-მომწვანო ბლონდი რომ გამოჩნდა.

აფორიაქებულ-აწრიალებულმა მენავებმა, ჯერ კიდევ სრულიად გონს რომ ვერ მოსულიყვნენ ყოველივე იმისგან, რაც თავს გადახდათ – თითქოს შვებით ამოისუნთქეს და უფრო მძლავრად დააწვნენ ნიჩბებს. კატარღა მთელი სისწრაფით მიეშურებოდა ხსნის და გადარჩენის ამ თითქოსდა ერთადერთი ზოლისაკენ.

მოაჯირთან, განმარტოებით მდგარ თავშიშველა, ღრმა ფიქრებში ჩაძირულ ალის ნავის წინამძღოლი და მისი თანაშემწე მიუახლოვდნენ და მოშორებით შეჩერდნენ.

– ალი ბატონო!.. ფოთს ვუახლოვდებით... – მორიდებული კილოთი უთხრა წინამძღოლმა.

ალის, თითქოს არაფერი გაუგონიაო, არ განძრეულა. – ამბობენ... – წამოიწყო ისევ წინამძღოლმა: – ამბობენ, ფოთში რუსის ჯარია შესულიო...

ალი კვლავ ღუძღა.

– ამბობენ... ნამეტანი თავი აქვთ აშვებული კაზაკებსო. ყველა უცხოურ გემებზე ნადირობენ თურმე... ძარცვავენ... ხალხს ხოცავენ... განსაკუთრებით კი ჩვენ არ გვწყალობენ, რასაკვირველია!..

„ბათუმში – თურქებია. ფოთში – უკვე რუსებიც! ვაი, ჩვენი ცოდვა!“ – გაუელვა თავში ალის და სახე დაეღრიჯა, მაგრამ კვლავ არ გატოკებულა.

– ეს ბებერი ვერაა მთლად ჭკუაზე – ხმადაბლა, ლაზურად გადაულაპარაკა წინამძღოლმა თანამემწეს: – მწუხარებამ, ეტყობა, სულ გამოაშტერა ეს საწყალი.

– რა გიკვირს, ძია ბექირ? რაც ჩვენ თავს გადაგვხდა ამ მოკლე ხანში!.. სრულ ჭკუაზე როგორ უნდა იყოს ეს საცოდავი!.. წინ კიდევ, ვინ იცის, რა გველოდება... – ჩუმაღვე შეეპასუხა სხარტი აღნაგობის, წარმოსადეგი ახალგაზრდა.

– მართალი ხარ, შვილო. შესაძლოა, კვლავ ფათერაკს გადავყაროთ...

– ნანაია, თქვენ... ლაზური იცით, ალი ბატონო?

– მეგრელი ვარ მე, ბიჭებო! – „აკია-ყოფილი“ – დაუმატა გონებაში ალიმ და ტუჩები დაუგრიხა მწარე ღიმილმა. ასეთივე ღიმილით გაეღიმა მაშინაც, ჩაღმა რომ მოისროლა ზღვაში და მოტვლეპილი თავით მცხუნვარე მზის ქვეშ მდგარი, თვალს აყოლებდა ტალღებზე მოქანავე უცხო თავსარქმელს, რომელსაც ტალღები ათამაშებდნენ ნება-ნება. მხოლოდ, როცა ნავმა მოიტოვა იგი უკან, ალის მოეჩვენა, მთელი მისი ბედუკუღმართი წარსული თითქოს ამ ჩაღმამ თან წარიტანა.

– არ ვიცოდი მე ეგ, ალი ბატონო!.. არ მეგონა... – ენა დაება წინამძღოლს და გაჩერდა.

– ეჰ, სამწუხაროდ, ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით, ჩემო ბექირ.

წამის წინ დარცხვენილი იერით მდგარი ბექირი უცებ შეიმართა, წელში გასწორდა და მზერა გაუსწორა მოხუცს:

– არ ვიცით... თუ... დავივიწყეთ, ალი ბატონო?

ალიმ სწრაფად შეავლო თვალი ახოვან, ბრვე ვაჟკაცს, თმამი ჭაღარა რომ გარეოდა, სახე კი – მზეს და ზღვას ერთიანად

გაერუჯა. მხოლოდ ცისფერი, დიდრონი თვალებისთვის ვერაფერი დაეკლო ვერც ასაკს და ვერც ავდარს – ისინი თანაბრად ირეკლავდნენ ზეცის და ზღვის ლაჟვარდოვან ფერებს.

– მართალი ხარ, ჩემო ბექირ. დასტურ, დავივიწყეთ!.. ან ეგებ... დაგვავიწყეს?

– მეც ასე ვაზრობ, ალი ბატონო!.. დაგვავიწყეს უთუოდ.

– ძალა აღმართსა ხნავსო! – უცებ სიტყვა ჩამოართვა წინამძღოლს მისმა თანაშემწემ, ახალგაზრდა მეზღვაურმა.

– ეს შავშელი ყმაწვილი ჩვენი ძმა და შვილობილია, ჩვენი ბედის თანაზიარი, ალი ბატონო! – გაიღმა ნავის წინამძღოლმა და ხელი გადახვია სახემოქურუმებულ ახალგაზრდას: – რას ვიზამთ, ჩემო გიო, დრონი მეფობენო, ნათქვამია...

– ისე... კაზაკები რას მიქვიან?.. თუ მეკობრობაზე მიდგა საქმე... ჩვენი მოგონილია მაგი, ლაზების... ჩვენ რომ ზღვებზე დავჯირითობდით, სად იყვნენ ეგენი მაშინ? – გაიცინა ბექირმა და საოცრად თეთრი, ქათქათა კბილები გამოაჩინა: – ისე გაჭირვებისაა მაგი საქმე... და თავის გამოჩენისაც... – აგრეთვე!

– კაზაკი ან ვინმე სხვა მაჯობებს მე რამეში?.. არ დაიჯეროს მაგი არავინ.

– დაიცა... გიო... რა ხდება მაქ?.. დურბინდი მომაწოდე... ჩქარა! ავაგაი. რა ამბავია, უყურეთ, უყურეთ! ალყაში მოუქცევიათ კაზაკებს ვენეციური ხომალდი. ეუპ, რამდენი არიან, ეს ძაღლიშვილები!

ალიც უკვე უჭოგრიტოდაც ხედავდა ყველაფერს: „დალაზვროს ეშმაკმა... ახლა იქ ჩვენი გამოჩენა... არ შეიძლება!.. ჩაგვიძირავენ... გვესვრიან ყუმბარას ...აუცილებლად გვესვრიან! ეს ბიჭები არ უნდა დაიღუპონ. ბიჭები უნდა გადარჩნენ... უსათუოდ!“

– ბექირ! ნავი მოაბრუნეთ, ნავი მოაბრუნეთ საჩქაროდ! – გასცა განკარგულება ალიმ და უცებ იგრძნო როგორ აუყალყდა თითქოს ჩაშრეტილი, ხნიერი სისხლი. მერე, წამიერად მხერა მოავლო ჯემალ-ბეგის და ნათიას ცხედრებს – „მოთმინებით“ რომ ელოდებოდნენ მშობლიურ მიწას – გულზე დასაყრელად!..

„...ნუთუ არაფერში ბედი არ ჰქონიათ ამ საცოდავებს? არაფერში? ვაი, ჩვენი ბრალი!“

– საითკენ... საითკენ გავწიოთ, ალი ბატონო?

ალიმ ხელის მოძრაობით ანიშნა, ზღვის შუაგულისკენო. მერე წამით ახედა ნიაზე მოფრიალე ოსმალურ დროშას და: – ჩამოხსენით, ახლავე ჩამოხსენით დროშა! – უბრძანა.

კატარღა თანდათან შორდებოდა ნაპირს, რომელზედაც გადმოსვლა, ღმერთმა უწყის, როდის მოუწევდათ მენავეებს ან... მოუწევდათ კი, საერთოდ?..

ვინ იცის!..

ათიღან – ათი

ზის შეურხეველად მოყანყალეულ მერხზე და უაზრო გამომეტყველებით დასჩერებია კალთაში ჩაყრილ თავის უღონო ხელებს.

დანიხლული გონება უძლურია აღიქვას რეალობა. დრო თითქოს გაიყინა. შეჩერდა ჟამთა სვლა. არსებობა შეწყვიტა ყოველმა სულიერმა. ირგვლივ უკუნი ბნელი ჩამოწოლილა.

მერე ნელ-ნელა, თანდათანობით, გათიშული გონი იწყებს გამოსვლას ბურუსიდან. და მაშინვე სულის ძღვრიე ფსკერიდან ამოტივტივებს ლამობს წარსულის სურათები – დაჩეხილ-დაქუცმაცებული კინო-კადრებივით რომ ირევა ერთიმეორეში.

მაგრამ ანაზღეულად ცნობიერება ისევ ისე იძირება ღრმა, შავ უფსკრულში და კვლავ წყვდიადი ისადგურებს გარშემო.

მერე... თავიდან მეორდება ყველაფერი.

მტკივნეული ცნობისწადილით, დაჟინებით, ჯიუტად ძაბავს მხსიერებას და აიძულებს, გონების დაფაზე აღადგინოს ის, რაც უკვე მოხდა და რაც გარდასულის კუთვნილებაა ამიერიდან. მაგრამ... ფიქრი ისევ განზე გაურბის. ვერა და ველარ ახერხებს ერთმანეთთან დააკავშიროს და გააერთმლიანოს დანაწევრებული სურათები, თანმიმდევრულად დაალაგოს ცალკეული ეპიზოდები, ფრაგმენტები თუ შთაბეჭდილებათა და განცდათა მკრთალი იდიოგრამები, თვალშეუვლები სისწრაფით რომ ენაცვლებიან ერთმანეთს. სიზიფეს შრომაა: მივა თუ არა იმ ადგილამდე...

„ვაიმე, მოკლეს!“

წარმოსახვითი კინო-ფირი მყისვე წყდება და გონებასაც ერთბაშად ეფარება შავი ფარდა.

გასავათებელი თავს აყრდნობს ჭუჭყიან, ალაგ-ალაგ ბათქაშაყრილ კედელს და... ქვავდება.

...ირგვლივ კი, ვით მუნჯ კინოში, გარბი-გამორბიან ლანდები თუ... მათი ანარეკლები. ისინი პირს ალებენ და ხელებსაც წამდაუწუმ იქნევენ, იმანჭებიან, იგრიხებიან და მაინც... გაუგებარია, რა უნდათ, რას ეზრახებიან ურთიერთს ეს გონჯი მარიონეტები.

„ღმერთო ჩემო, რა ტაკიმასხარობაა!“

ის უჩინარი, უხილავი რეჟისორი კი აღარ ისვენებს. ხელახლა, უკვე მერამდენედ, აკოწიწებს მრავალგზის გაწყვეტილ კადრებს. მერე ერთი მეორის მიყოლებით ალაგებს, ამწკრივებს მათ და იმართება ამ „დამონტაჟებული სურათის“ რეტროსპექტული ჩვენება, ანუ ჩვენება იმისა, რაც უკვე იყო, რაც ერთხელ უკვე გათამაშდა ბედისწერის ფარულ სცენარში.

„ვაიმე მოკლეს!“

მაგრამ აქ, ამ ალაგას ისევ და ისევ წყდება რის ვაივავლანით აღდგენილი კინო-ფირი, ირღვევა აზრთა დინებაც, ადიდებულ მდინარესავით რომ ეძებს სადინარს, რათა გაარღვიოს ჯებირი, გაიშალოს, გაიფანტოს და ბოლოს... სულაც გაუჩინარდეს ცნობიერების ლაბირინთებში.

...ფანჯრის რაფას ორივე მკლავით დაეყრდნო დაბურსალებული. ნათურები სუსტად ანათებენ ხეთა ტოტებით დაჩრდილულ ქუჩას. ღია იისფერ ცაზე აქა-იქ, კანტი-კუნტად ბჟუტავენ ფერმილეული ვარსკვლავები. ჰაერში აკაცის მძაფრი სურნელი დგას. ეჰ! ისე წავიდა გაზაფხული, ისე უცებ, თვალსა და ხელს შუა ისე გაიპარა, რომ ვერც კი მოასწრო მისით დამტკბარიყო.

ჩუმი და წყნარი საღამოა. დაუჯერებელიც კია, აქედან, სულ ორიოდ ნაბიჯზე, ქალაქის მთავარი გამზირი რომ იწყება.

თვალწინ დაუდგა გაბრდღვრიალებული, ხმაურიანი, ხალხმრავალი პროსპექტი და ერთბაშად მძლავრად, დაუოკებელი სურვილით გულმა გარეთ გაუწია. დაქანცულობაც თითქოს ერთი ხელის

მოსმით გაუქრა. შინაგანად შეიძარტა. ჯანდაბამდისაც წასულა ახლა ყველანაირი გრამატიკა – გულის გამაწვრილებელი და თავსატეხი ზმნების უღლებითურთ. ეყოფა, ბატონო, დღეს, რაც იმეცადინა...

კართან მისუელიც არ იყო, ნაცნობი მელოდია რომ ჩაესმა.

მოტრიალდა. ყური მიუგდო. მერე რადიო-რეპროდუქტორთან მიიბრინა, ხმას აუწია. ლისტის მეორე უნგრული რაფსოდის ჰანგმა მყისვე აავსო მთელი ოთახი.

წამით კისერზე ხელები გადაინასკვა კმაყოფილი ღიმილით და გაირინდა. მერე შეირხა. ნელა ააყოლა ფეხი რიტმს. ცეკვა-ცეკვით მაგიდასთან მივიდა, ფრთხილად, თითის წვერებით გამოსწია სკამი და ახლა მის გარშემო იწყო ბზრიალ-ტრიალი.

სახეზე ხან მინახებულ-მინახულ იერს იღებს და ფეხის წვერებზე შემდგარი, კაბის კალთებაწეული-კეკლუცი ღიმილით აქეთ-იქით თავს უკრავს უხილავ მაყურებელს, ხანაც ტემპს უმატებს ცეცხლოვანი მუსიკის კვალბაზე და მთელი არსებით ეძლევა თავბრუდამხვევ რიტმს.

ექსტაზში შესულმა უცებ ვერც შეამჩნია, რომ მუსიკა შეწყდა. მაღლა ხელებადმართულს და შესახტომად გამზადებულს – თეატრალური ღიმილი ტუჩებზე შეაცივდა. მცირე ხანს იდგა ასე დაბნეულ-გაწბილებული სახით და ყელმოღერილი, ხშირ-ხშირად აფახულებდა წამწამებს. მერე თავი გაიქნია. გაეცინა თავისსავე შეკრთომაზე. ცალფეხზე დატრიალდა და ოთახიდან შურდულივით გავარდა.

...სამზარეულოში თავი შეჰყო თუ არა, გაზის ქურასთან მოფუსფუსე ბებიას სულმოუთქმელად მიაყარა:

– ბებიკო, მე მამიდასთან მივდივარ, შეიძლება ცოტა შემაგვიანდეს. შენ არ შეგეშინდეს, გასაღები თან მიმაქვს.

– დაიცა, შვილო, სად გარბიხარ? შეჭამე რამე... მთელი დღე მშვიდი ხარ...

მაგრამ ბებიას უკვე ეზოდან შემოესმა შვილიშვილის წკრიალა ხმა:

– დეიდა სონია. უკვე მორჩით დალაგებას?

– სადამო მშვიდობისა, ძია სარდიონ, სასეირნოდ მიბრძანდებით, არა? მშვენიერი სადამოა!

– ოჰ, დიტო! ეს რა დიდებული ველოსიპედია. მშვიდობაში!

მარტო რომ დაიგულა თავი, თავდაღმართზე სირბილით დაეშვა. ისე გარბის, თითქოს მისწრებაზეა. ყოველთვის ასე არაა? სულ სადღაც ერქარება, სადღაც აგვიანდება: წარმოსახულ ზმანებებსა თუ ხილვებს ასდევნება კვალდაკვალ-გამალეული.

უამრავი ხალხი გამოფენილა გარეთ გაზაფხულის ამ კვირასაღამოს. სხვათა ხალისიანი განწყობილება და სიცილ-ტკარცალი გადამდებია. ნაბიჯი შეანელა. მერე წელში გაიმართა უნებურად. ყელი მოიღერა. თვალები აუჟუჟუნდა.

სანაყინესთან წამით შეჩერდა: – „ვაი! რა ცოტა ხალხია!“

...კუთხეში თავისუფალ მაგიდასთან რომ ჯდებოდა, ელვისუს-წრაფესი მზერა შეავლო მეზობლად მსხდარ ბიჭებს. სულ ოთხნი არიან. ისე ხმამაღლა, რიხიანად და დაუღევარ კილოზე საუბრობენ, უთოდ მალალკლასელები ან დიდი-დიდი, პირველკურსელები თუ იქნებიან.

ის იყო ჭამას შეუდგა და ერთი მათგანი, მაღალი, გაწრიპული ბიჭი გადმოიხარა მაგიდაზე და ხაზგასმული სერიოზულობით მიმართა:

– გოგონი, ხომ არ დაგვეწვევით?.. მაინც მარტო ხართ და...

დანარჩენები ვითომ არ იცქირებიან მისკენ, მაგრამ გოგო გრძნობს, რომ უჩუმრად ყველა უთვალთვალებს და ქვეშ-ქვეშად იღიმებიან.

– მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, მაგრამ... იცით, მარტო ყოფნა მირჩევნია რატომღაც! – პასუხობს სიტყვების დამარცვლით და უწყინარი იერით პირდაპირ სახეში უყურებს ბიჭს, შეკავებული სიცილისაგან თვალები რომ დავიწროებია.

– იცით... ჩვენ გულთ გეპატიჟებით... სხვანაირად არ იფიქროთ... – ეშველება ამხანაგს ჩაბოხებული ხმით ლოყებლაჟლაჟა, ბუთხუზა ყმაწვილი: – ასე არ არის, ბიჭებო? – ყასიდად ეკითხება მერე თანამეინახებს.

– რასაკვიორველია! აბა რა!.. ცხადია, მასეა! მარტო რაღაც

უხერხულია მაინც... – საჩქაროდ კვერს უკრავენ ისინიც გადამეტებული თავაზით.

ვითომ აქ არაფერიაო, გოგო მშვიდად განაგრძობს ნაყინის ჭამას.

„ჰმ, ამ ლაწირაკებს დამიხედეთ ერთი! მირევენ ვითომ თავიანთ ჭკუაში!“ – წყრომის გარეშე გაივლო გუნებაში და ერთხელ კიდევ ყურადღებით მოავლო მზერა თითოეულ მათგანს. მერე ძლივს შესამჩნევმა ღიმილმა შეუტოკა ტუჩები. თვალებში კვიმატური ნაპერწკლები აუკიაფდა და უცოდველი კრავის გამომეტყველებით თქვა:

– თუ ასე ძალიან გაწუხებთ ჩემი მარტო ყოფნა, გადმობრძანდით თქვენ თვითონ-ჩემთან!

ბიჭებმა სწრაფად გადახედეს ერთმანეთს. ეტყობა, არ მოელოდნენ ამ მიპატიუებას. წამიერი დაბნეულობა და ყოყმანი. მერე ერთბაშად წამოიშალნენ და ხმაურით, სიცილით შემოუსხდნენ მაგიდას.

გოგოს წარბიც არ შერხევია. ღინჯად, აუჩქარებლად მოასუფთავა თასი და... წამოდგა. უეცრად გაჩუმებულ ბიჭებს თავი დაუკრა: – გმადლობთ ყურადღებისათვის! – განაცხადა ტელევიზიის დიქტორის ხმით და გასასვლელისაკენ გაემართა.

– ვაა, უკვე მიდიხართ? – შეიცხადა მაღალმა ყმაწვილმა.

– გვტოვებთ? – დაადევნა მეორემ.

გოგო წამით შედგა ღია კარში, მერე უკან მოიხედა, ხელი დაუქნია სახტად დარჩენილ ბიჭებს, სასაცილოდ დაიჭყანა და... გარეთ გასხლტა.

– ვაა... ეს ვინა ყოფილა, კაცო!

– მოდი, გავეკიდოთ!

– შეეშვით. მე ვიცნობ ამ გოგოს. ჩვენი უბნელია, – გამოტყდა უცებ ერთი მათგანი, აქამდე ჩუმად რომ იყო.

– მერე ვერ თქვი, შე დებილო?

– ისე ვიცნობ, რა! შორიდან. კარგი გოგოა.

...გამზირზე მიმავალს, გუნებაში კვლავ უნგრული რაფსოდისის მოტივი აეკვიატა.

„რა ჰქვია ამას ფსიქოლოგიაში?.. მგონი, პერსევერაციას ეძახიან. ნეტა, რა მიმარბენინებს? ვერა და ვერ ვისწავლე ნელი სია-

რული. რა მოხდება, ახლა იმ კიბეზე რომ ავხტე და დავეუარო ჩემებურად, ჰა? გიჟი ვეკონები ხალხს. ასეა, სხვა ვერასოდეს გაიგებს... სხვას რომ ჰგონია... მე რომ მგონია... შენ რომ გგონია... ჰგონიათ... ეკონოთ, ბატონო! ერთს გემოზე ვიბუქნავები და... ჰერი ბიჭო! რაც გინახავს, ვეღარ ნახავ... რა სულელური აზრები მომდის თავში ხანდახან, არა? ეტყობა, ტვინი გამომილაცდა ამდენი მეცადინეობით.

მერედა, რატომ იკლავ თავს, ჩემო ძვირფასო?.. საკმარისია, ბე-ბიამ მხოლოდ ყურმილი აიღოს და... ხომ მოგეხსენება ყოველგვარი საზრუნავი? არც ამდენი ტვინის ჭყლეტა დაგჭირდება!“

ბებიას სახე აესვეტა წამიერად.

„აარავითარ შემთხვევაში, ბატონო! პროტექცია და შეღავათები არ გამავონოთ. კეთილ ინებოს და მოამზადოს საგანი. თავის სპეციალობა ყველამ კარგად უნდა იცოდეს. დიას!“.

ჩაელიძა.

„ოოხ! ჩემი საყვარელი, პრინციპული ბებო!.. ჩემი უიშვიათესი სამუზეუმო ექსპონანტი!“

– გამარჯობა, სოფიკო, გენაცვალე!

„როგორ დაიბნა. ასე მოუხდება. ვითომ ვერ შემამჩნია. თვალი ამარიდა. აქაოდა, ბიჭთან მოვდივარო. რა მიაძიბად შევცინე. ისე, კაი წუნკალი ვარ მეც!“.

მოიკვანწება. ლამაზად მთარხევს ტანს, თვალებში ისევ კვიმატური ნაპერწკლები უკიაფებს, ტუჩებზე მაცთური ღიმილი დასთამაშებს.

„რამდენი ხანია პროსპექტზე არ გამომივლია! რა ამბავია, ამდენი გოგო და ბიჭი, გოგო და ბიჭი!..“

„შენ კი მარტო მოდიხარ!“ – თითქოს ვილაცის ხმამ ჩასჩურჩულა ყურში. შეკრთა.

„ახია შენზე!“ – ნიშნს უგებს იგივე ხმა: – არავის იკარებ. ყველას ცხვირს უბზუებ. ასე თუ გააგრძელებ... თავის დღეში მარტო იქნები“.

„რატომ ვარ მარტო! რამდენი ამხანაგ-მეგობარი მყავს! ხოლო რაც შეეხება... „იმას“...“

„ბოლოს და ბოლოს, აღარ გამოჩნდა შენი უფლისწული?“

„არა, ბატონო, და რა ჩემი ბრალია?“

„მაშ, ვისი ბრალია? გულის სიღრმეში ბევრს როდი სჯერა თავისივე გამოგონილი კერპის, მაგრამ...“

„ჰოდა, მე კიდევ არ შემიძლია თვალთმაქცობა“.

„სცადე!“

„ვცადე!“

„მერე?“

„არაფერი გამოვიდა!“

„სდექ!“ ახალი კადრი:

„...მანქანიდან ლამაზი ქალი და ღიპიანი, მელოტი მამაკაცი გადმოდიან.

ისინი შენკენ მოემართებიან. არა. შენკენ კი არა. რესტორანის მიმართულებით აიღეს გეზი. მაგრამ შენ უნდა ჩავიარონ...

შენ კიდევ... ხეს ეფარები, არაფრით, არას დიდებით არ შეგიძლია ახლა შეხედო ამ ქალს.

კადრში შემოდიან: ბიჭის დიდრონი თვალები – არაბავშვურად სევდიანი და... პაწია გოგონა, ძმას რომ ჩამოჰკიდებია ხელებზე და ბავშვით მოსდევს გვერდით. აი, ბავშვების მამაც – ყოველ დილაუთენია – რძის რიგში დგომის შემდეგ სულმოუთქმელად რომ მიიჩქარის სამუშაოზე, სალამოს კი – დაღლილ-დაქანცული, მოღუშული სახით ნელა აუყვება აღმართს – შეკვრებითა და პარკებით ხელდამძიმებული. შინ ხვდებიან. ავადმყოფი, მოხუცი დედა – მეზობლებში ტირილითა, წუხილითა და ჩივილით გულმორხებული, თავისი ასაკისთვის შეუფერებლად სერიოზული ბიჭი და სულ მუდამ თვალცრემლიანი, ლაბუა გოგონა, ძმას რომ არ შორდება ერთი წუთითაც.

...ქალი ხმამაღლა კისკისებს. მოშიშვლებულ, თეთრ გულმკერდზე უბზინავს ძვირფასი ყელსაბამი. ბრჭყვიალებენ აღმასის საყურეები, სამაჯურები, ბეჭდები...

კბილს კბილზე აჭერს აცანცანებული.

მხოლოდ ის თუ გაუგებს ახლა, ვინც თავად გამოსცადა უდელობის სიმწარე, ვინც თვითონაც დანატრებულია დედის სითბოს და ალერსს, ვინც უჩუმრად იკლავს გულში დარდს და ნაღველს პატარა დათოსავით, ამაყად რომ შეკრავს ხოლმე წარბებს დედის

ხსენებაზე. ვერც ვერავინ წარმოიდგენს, რამდენად უსაშველო შეიძლება იყოს ეს დარდი და ნაღველი და რა ღრმად და მკვიდრად აქვს მას გულში ფესვები გადგმული. თუძცა...

თავად ამ ბავშვებზე უფრო ბედნიერად გრძნობს თავს, რადგან... დედა ცოცხალ-მკვდარი კი არ ჰყავს, არამედ... მართლა მოუკვდა!

ცოცხალ-მკვდარი! რა საშინელებაა! ალბათ ამიტომ ეწვის გული ასე ამ ბავშვებზე და ამიტომაც, არ სწყინდება მათი ალერსი და მოფერება. ქვეშეცნეულად ცდილობს შეუმსუბუქოს... რა? რა უნდა შეუმსუბუქოს? უდებობა?

ვერა. ვერაფერი აუნაზღაურებს ამ პაწიებს დედის დაკარგულ სითბოს. სულ ტყუილია! გულში სამუდამოდ დარჩებათ ცარიელი და მტკივანი ალაგი, მისდღემში შეუვსები და დაუამებელი.

და უძღურია ახლა, სძლიოს თავის თავში სიძულვილისა და გაბოროტების გრძნობას: ასე ერთბაშად რომ მოზღვავდა და ასე მთლიანად რომ წალეკა მისი გული, მთელი მისი არსება; არც მიტევების გრძნობა არსებობს ახლა, არც შენდობის...

და ძლივს იკავებს თავს, რომ არ მივიარდეს და არ მიახლოს... დაიცა!

როგორ გეკადრებათ! ცხოველიც არ ტოვებს თავის ნაშიერს, სანამ ფეხზე არ დააყენებს მათ.

„ყელში ამოვიდა თვიდან თვემდე ხელფასის ლოდინი. ადამიანი ერთხელ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე!“

სიმდიდრე-სიღარიბე-ღალატი. — ოდინდელი და თითქოს ჩვეულებრივი მელოდრამა. და მაინც! მთელი არსებით, სისხლის ყოველი უჯრედით ეჯავრება ახლა ეს ქალი — ფეხადგმული სიყალბე, განსხეულებული — ბოროტება.

„ენაცვალოს დედა ჩემს ქეთინოს და დათოს!“

„ჩემი გურამიკო! ჩემი სიცოცხლე!“

„როგორ უყვარს ქმარ-შვილი!“

„აბა, აბა! (სხვები).“

...უსაშველოდ დაბჩენილი პირი და გადმოქაჩული თვალები:

„იიციინე, ჯამბაზო!“

...ქალმა და კაცმა რესტორნისკენ გაუხვიეს.

უნებურად მომუჭული ხელი გაშალა. შეგუბებული სული მოითქვა. არ უნდა აჰყვეს ამ საშინელ გრძნობას, სიძულვილი რომ ჰქვია, თორემ... შეუძლია შორს, ძალიან შორს, უსიერ ტევრში შევიტყუოს, საიდანაც მერე გაჭირდება გამოსვლა.

„სდექ!“ კადრი იცვლება:

ხალხის ნაკადი ირევა გამზირზე.

გალმა, ტროტუარზე გადადის, ჭადრის ძირში ჩერდება. ზევით იყურება. მეოთხე სართულზე შუქი ანთია.

„შინ არიან!“

...სულმოუთქმელად არბის კიბეზე და ზარს აჭერს თითს. ცოტა ხანი და კარი იღება.

– ა, ა, რასაკვირველია, შენა ხარ! აბა, სხვა ვინ იქნებოდა ასეთი გადარეული!

– აბა, აბა! ცოტა წესიერად ილაპარაკე და საერთოდაც, დროა, ისწავლო სტუმრის მიღება, გიორგი ბატონო!

– ოჰ, პარდონ-ი, მადმუაზელი! – ბიჭი განგებ ატრიზავენს ფრანგულ სიტყვებს.

– ხელი, ხელი გააჩერე, თორემ...

– თორემ, რაო, მადმუაზელი?

– ვაიმე, დედიკო! – იკივლა უცებ გოგომ და ცალ ფეხზე ხტუნვა დაიწყო, თან თითებს სულს უბერავს გამწარებით.

– რა ამბავია მაქ? ა? მაიკო შენ ხარ, შემოგველე? რა მოხდა, შვილო?

– ვაიმე, მომკლა, მამიდა, ამ დათვმა, თითები დამამტვრია. ვაი, ვაი...

– სიცილ-ტირილით შესჩივლა მისკენ მომავალ ქალს გოგონამ.

– გია, არ გრცხვენია, შვილო? უიმე, ღმერთო კი მომკალი! მართლა რაფერა აქვს ბავშვს თითები დაწითლებული!

– არაფერი უჭირს, დედა. მაგი ისეთი ჯიშისაა, მალე გაუვლის. მაჩვენე ერთი, გოგო, მართლა გტკივა?

– არა, ტყუილა სტკივა, შე მართლა დათვო შენა! ეს რა გიქნია, ბიჭო?

– შენ დაწყნარდი, დედა, ემანდ შენს საქმეს მიხედე, რალაცას აკეთებდი, მგონია, სამზარეულოში. ამ ქალბატონს კი... არაფერი

უჭირს – შემდეგისთვის ისწავლის – როგორ უნდა ზარის დარეკვა. ასე არ არის განა, მადმუაზელი მაია? აბა, ჰოპ!

და მოულოდნელად ბიჭმა თავისი ვეება თათი დაავლო გოგოს, ილღიაში კატის კნუტივით ამოიჩარა და თითქოს აქ არაფერიაო, მშვიდად გააბოტა შიდა ოთახისკენ.

მაიკო უძწეოდ აფართხალდა. სიცილმორეულმა, ჯერ ხვეწნა დაუწყო, გამიშვიო, მაგრამ როცა მიხვდა, ვერაფერს გაავაწყო, გაისუსა – სამაგიეროს გადახდის იმედით გულმოცემული. მამიდა გვერდით მოსდევდათ და ამოდ ცდილობდა, გოგო ხელიდან გაეშვებინებინა ბიჭისთვის.

გიამ „ნადავლიანად“ ოთახში შეალაჯა, მერე შუა ადგილას შეჩერდა, გამარჯვებული მტაცებლის იერით მიიხედ-მოიხედა, მერე თოჯინასავით ძირს ჩამოსვა, გოგო თვითონ უკუდგა და ღრმა რევერანსი გაუკეთა.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს აპარტამენტში, პრინცესა მაია! ორე ვუარ, მონ შერ! ბატონებო! ნახეთ, ვინ გვესტუმრა! რა ძვირფასი სტუმარი!

– ვხედავ, ვხედავ. ზარით ვიცანი ჩვენი ძვირფასი სტუმარი. – ნახაზიდან თავაულებლად ჩაიბურტყუნა ზაზამ და შუბლშეჭმუნხულმა, თავის ხშირ, გრუზა თმაში წვერწამახული ფანქარი შეაცურა, თავი მოიქექა.

მაიკოს ის-ის იყო სილა უნდა გაელაწუნებინა მოხითხითე მამიდაშვილისათვის, მაგრამ ანაზღად სტუმარი ვაჟის მოცინარე თვალებს შეეფეთა და... თავი შეიმაგრა. სავარძელში მჯდარი, ფეხი ფეხზე გადადებული ვაჟი საჩქაროდ წამოუდგა გოგოს და თავის დაკვრით მიესალმა.

– ახ, პარდონ-ი! თქვენ, მგონია, არ იცნობთ ერთმანეთს? ვახო... ესე იგი, ვახტანგ ჯიბლაძე – ჩვენი ახლო მეგობარი, დიდი მომავლის მქონე, პერსპექტიული ინჟინერი. სხვათა შორის, ალპინისტიც გახლავთ და...

– ნუ ირჯები ზედმეტად, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს! – შეაწყვეტინა მაიკომ გიას, თან უჩუმრად თვალები გადაუბრიალა იმის ნიშნად, რომ შურისგებას უფრო ხელსაყრელი ჟამისთვის

აპირებდა. სასწრაფოდ მიიღო სახეზე მედიდური იერი და ხელი გაუწოდა სტუმარს.

მერე, ვაჟის მიერ შემოთავაზებულ სავარძელში რომ ჩაჯდა, მაშინ დაშვილისკენ მიაბრუნა თავი და მედიდური იერი თვე, სიტყვების დამარცვლით წარმოთქვა:

– გიორგი ბატონო! თუ შეიძლებოდა, გეთაყვა, მაგ ზრდილობით აღსავსე ყმაწვილს გადაეცით ჩემგან, პითაგორამდე კაი გვარიანი მანძილი გიდევეს-თქო. ასე რომ, მოიღეთ მოწყალება და გვადირსეთ თქვენი ძვირფასი ყურადღება-თქო.

– ოჰ, ღმერთო კი მომკალი, მაიკო ბრძანდებით? – უცებ თავი ასწია ზაზამ ნახაზებიდან, ორივე ხელი გულზე მიიჭლო და თვალები ისე გადმოკარკლა, მაიკომ ძლივს შეიკავა თავი, რომ მასაც დანარჩენებით არ გასცინებოდა.

ზაზამ ცქვიტად შემოურბინა მაგიდას, მაიკოსთან მიიჭრა, თავიდან წარმოსახვითი შლაპა „მოიდრო“ და ვითომ მარჯვენა ხელში დაიკავა, წელში ოდნავ მოიხარა, ცალი ფეხი გაჭიმა და ის-ის იყო ღრმა რევერანსი უნდა გაეკეთებინა „შლაპის“ ქნევით, მაგრამ ველარ მოზომა და... უცაბედად იატაკზე ფეხებგაჩაჩხული დაეპერტყა. სახეზე ისეთი ბრიყვული გაოცება ეხატა, ისე საწყალობლად ახამხამებდა წამწამებს, რომ ახლა მაიკოსაც წასკდა სიცილი. ვიატანტზე გორავდა. გულიანად იცინოდა სტუმარი ბიჭიც. წამიც და... ზაზამაც შეუერთა თავისი ხორხოცა ხმა დანარჩენებს.

შემფოთებულმა დიასახლისმა თავი შემოჰყო ოთახში. მოხარხარე ახალგაზრდების დანახვაზე ხელი ჩაიქნია და თავადაც ღიმმორეულმა-კარი გაიხურა.

მაიკოს დავიწყებოდა დედოფლის როლი და სავარძლის სახელურზე შემოსკუპებული, პატარა გოგოსავით იქნევდა ფეხებს.

სიცილით გულმოჯერებული ზაზა კვლავ ნახაზს რომ მიუბრუნდა, მაიკომ შუბლი შეიკრა. ისევ დაიბრუნა ზვიადი იერი:

– არ მორჩები, ბიჭო, შენ ბოლო-ბოლო? რა გახდა ამისთანა ეს შენი ნახაზი?

– ჯერ ერთი ეს ნახაზი ჩემი არ გახლავთ-იგი ვახოსია, მეორეც... შენი ფშუტა-ფშუტა ლექსები ხომ არ გგონია, ბიძია? პატარა რომ შეგეშალოს...

– აბა, აბა, შენმა მზემ. ფშუტა-ფშუტა ლექსები. ვითომ ძალიან გესმის ლექსების...

– არც მინდა მესმოდეს, არ მჭირდება და იმიტომ. გასაგებია?

– რაო, რაო, რა ბრძანე, ყმაწვილო? რა არ მჭირდებაო? ლექსები?

– დიახ. ლექსები. ლექსებისათვის კი არა, ჩემი სპეციალობისთვის ვერ მომიცლია.

– ეგ ძველი ამბავია. ფიზიკოსები თუ... ლირიკოსები! – გამოაჯავრა მაიკომ ბიჭი.

– არაფერი ძველი არ არის, წავიდა, ბიძია, ლექსების დრო. მოგჭამა ჭირი წყობილსიტყვაობამ, და ჰე?

– მაშ, შენის აზრით, რუსთაველი საჭირო არაა? არც გალაკტიონი?... თქვენც... მასე ფიქრობთ? – უცებ სტუმარს მიუბრუნდა მაიკო და გამომცდელად მიაჩერდა სახეში.

თვალეზანთებული, სახეაღანძული გოგო ამ წუთს ისე მშვენიერი, ისე მომხიბვლელი იყო, რომ ვაჟს მზერა ვერ მოეწყვიტა მისთვის. მაიკო ამჩნევდა ამას, უფრო სწორად, ქვეშეცნეულად გრძნობდა თავის ძალას, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ბაიბურში არ გახლდათ.

ამ მოულოდნელმა შეკითხვამ ვაჟი წამით დააბნია, მზერა ძირს დაიღო, თითქოს აზრებს იკრებსო, ჩაფიქრდა.

„რა სიმპათიურია! და... როგორ მიყურებდა?“ – სიამით შეუტოკდა გული გოგოს.

ბოლოს ვაჟმა თავი ასწია, მზერა გაუსწორა მაიკოს და წყნარი ხმით უთხრა: – იცით... მე, პირადად, მიყვარს!.. – წამით გაჩერდა და: – ძალიან მიყვარს კარგი ლექსები.

სუფთა და კრიალა იყო ბიჭის ღიმილი და მაიკოს კვლავ უნებურად შეუქანდა გული. თუმცა შეეცადა, გარეგნულად არაფერი შესტყობოდა. გამარჯვებულის იერით გადახედა მამიდაშვილებს.

– უყვარს არა... ფლავი! – ერთბაშად ფარგალი ნახაზზე დაანარცხა ზაზამ და ტახტზე ფეხმორთხმით მჯდარ გიას თვალი უყო უჩუმრად, მაგრამ გია განგებისი სერიოზულობით შესცქეროდა მეგობარს და ვითომ ვერ შეამჩნია ძმის მრავალმნიშვნელოვანი მზერა.

– უყვარს ბიჭს ლექსები!.. – კვლავ გაუტრიზავა ნათქვამი ზაზამ და თავისებურად ჩაიციინ-ჩაიხვიხვინა: – ერთი ლექსი მაინც თქვი, აბა, ზეპირად, თუ ბიჭი ხარ. ოღონდ... მე პატარა ქართველი ვარო, არ დამიწყო ახლა!..

– სავალდებულო არაა ლექსის ზეპირად ცოდნა, ბატონო ზაზა!
– გამოექომაგა მაიკო ვაჟს და თვალები დააკვესა.

– ვინ მოგახსენა? სწორედ რომ სავალდებულოა. თუკი უყვარს, თქვას აბა ერთი ლექსი მაინც!

ღუმილი ჩამოვარდა ერთბაშად. ზაზას ნიშნის-მომგებინი ღიმილი აღბეჭდოდა სახეზე, ანუ როცა წინასწარ იცი, გამარჯვებული რომ ხარ და ზეიმობ კიდევ.

ვახტანგი შეირხა, თითქოს გარიდებიდან გამოერკვაო, და მღელვარებაშეპარული ხმით დაიწყო:

„აჰყვე კიბეებს – სადაც სფინქსი ქვებს ეფარება და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება, –

ოჰ, რამდენია სიცოცხლეში ასეთი წამი!

სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი,

და ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე...

ოჰ, რამდენია, რამდენია ასეთი რამე!“

ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ბიჭს უნებლიეთ ენა დაება და... დადუმდა.

„როგორი ნათელი ღიმილი აქვს... ღმერთო!“ – გაუელვა გოგოს თავში და თვითვე ეოცა თავისი მღელვარება.

ზაზას ფართოდ გახელილ თვალებს რომ ჰკიდა მზერა, დაუფარავი ირონიით ჩაიღიმილა, მერე წამოდგა, თავი მოჩვენებითი მორჩილებით დახარა და ოდნავ წამღერებით წარმოთქვა:

– დიდად პატივცემული ზაზა ბატონო და ძმანო ჩემნო! განაგრძეთ თქვენი შრომითი საქმიანობა, ჩვენ კი – საწყალ ფილოლოგებს, დაგვიტოვეთ ასეთი ფშუტა-ფშუტა ლექსები. კარგად ბრძანდებოდეთ ახლა, ჩემო ბატონო! წავედი მე! ჩაო!

– დაიცა, სად გარბინარ? რა იყო? რა ბზიკმა გიკბინა? ჯერ ერთი, შენ რომ იცოდე, მე რუსთაველი და გალაკტიონი არ მიგულისხმია და მეორეც...

– აღარ მსურს მოსმენა თქვენი, ზაზა ბატონო!

– ბავშვებო, კინო-სურათი იწყება! – შემოიხედა ანაზღად ოთახში დიასახლისმა.

მას უკვე გაეწყო ვახშამი და ყველანი სუფრასთან მიიწვია.

მაიკოს კვლავ გაქცევაზე ეჭვითა თვალს. მაგრამ მამიდაშვილებმა აქეთ-იქიდან სტაცეს ხელი და თითქმის ძალით დასვეს მაგიდასთან.

იგი ერთხანს შუბლშეკრული, ამაყად გამართული იჯდა და დინჯად, ვითომდა უშფოთველი სახით ყლუპ-ყლუპით სვამდა ჩაისს. მხოლოდ ხანდისხან თუ შეათვალიერებდა ჩუმი ღიმილით ხან ტელეეკრანს და ხანაც გაფაციცებულ ბიჭებს, მზერა რომ ვერ მოეშორებინათ სურათისთვის. ერთ-ორჯერ მაიკომ სტუმარი ბიჭისკენაც გააპარა თვალი და მოეჩვენა, რომ მას სახეზე გულგრილობა ეხატა. ან ეგებ... უნდოდა ასე ყოფილიყო?

– გამაგებინა ერთი, რა გაყურებინებთ ამ გაუთავებელ ხოცვა-ჟლეტას და სისხლის ღვრას? გული არ გერევათ ხოლმე? ან არ გბეზრდებათ, ნეტავ?

„ყოველ ადამიანში ზის პოტენციური მკვლელი, სადღაც ამოვიკითხე...“

ნუთუ?

შეუძლებელია!

და მაინც“...

– შენ გაჩუმდი! – შეულრინა ბიძაშვილს ნამცხვრით პირგამოტენილმა ზაზამ, სკამიდან სავარძელში რომ გადამჯდარიყო, რათა მოხერხებულად მოკალათებულს, უფრო „გემრიელად“ ემზირა კინო-სურათისთვის.

– თუ ასე გსიამოვნებთ ეს სისასტიკე და სისხლისღვრა, მოდით ბარემ და დასცხეთ აგერ ერთმანეთს. ეს უფრო ბუნებრივი და რეალური არ იქნება, ვიდრე სურათის ცქერა!

– გესმით, რას ლაპარაკობს ეს პინგვინი? – ეკრანისთვის თვალმოუწყვეტლად წამოიძახა ზაზამ: – თუშეცა... რა გასაკვირია? რა იცის ამან ჩხუბის ეშხი, ამ გოიმმა, და საერთოდ...

– რა ამბავში ხარ შენ, ვაჟბატონო, როგორ ელაპარაკები გოგოს? – შემოუსწრო დიალოგს სამზარეულოდან მობრუნებულმა დიასახლისმა.

– აბა, რას ატლიკინებს ენას? ესეც ლექსი ხომ არ არის? რაც არ ესმის... გაჩუმიდეს მაინც, – იხტიბარი არ გაიტეხა ზაზამ, თუმცა სახეზე კი ოდნავ წამოწითლდა.

– ხმა არ გავიგონო შენი! ერთი ამას დამიხედეთ! ან ქალი არ იცი, ბიჭო, შენ, ან სტუმარი? რას ჰგავს ეს? რა სიტყვებს ეუბნები ვოვოს?

– ჩვენ ხომ ვეხუმრებით, დედა? – გამოესარჩლა ძმას გია.

– ლანძღვა-გინებას ხუმრობა არ ჰქვია. კამათი და დავა უნდა შეგეძლოთ ისე, რომ ერთმანეთს შეურაცხყოფა არ მიაყენოთ და მეორეც, შენ რომ იცოდლე, ვაჟბატონო, მაიკო მართალს ლაპარაკობს. მისკუპებული ხართ დლე და დამე ამ ტელევიზორს და უყურებთ, როგორ ასახიჩრებენ ადამიანები ერთმანეთს. ახლაც ყურებში მიდგას წუხანდელი კინოსურათიდან ტყვიების ზუზუნ-წივილის, ქვემეხების გრიალის, ავტომატების კაკანის, ველური ღრიალისა და ყიჟინის ხმა.

– ომი-ომია! – არ შეეკუა დედას ზაზა: – არ უჩვენონ, აბა, მტრის დახოცვა?

– მტერიც ადამიანია, ჯერ-ერთი. ესეც არ იყოს, შენ, ადამიანმა, რეჟისორი რომ გქვია, არ უნდა მიჩვენო, მე, ადამიანს, ისიც გადიდებულად, მსხვილ პლანში და დეტალურად – როგორ კლავენ ერთმანეთს ადამის ნაშიერნი – სულ ერთია – რისი გულისთვის და რატომ!

– ცხოვრებაში ასეა, ბატონო.

– ჰოდა, ცხოვრებაში კმარა, რაც სისასტიკე ხდება. ეს... ეს რაღაც ბნელი, ქვენა ინსტინქტების წახალისება უფროა, ვიდრე ხელოვნება!

– გენაცვალე, მამიდა! – უცებ ფეხის წვერებზე შემდგარმა მაიკომ ორთავე ლოყაზე აკოცა სახეშეფაკლულ და თვალაელვარებულ ქალს. ახლა, ამ წუთას ერთობ საცნაური იყო მამიდა ძმისწულის მსგავსება.

– მეც ასე ვფიქრობდი, ზუსტად ასე, ოღონდ... ასე ვერ გამოიმეტქვა!

– ოჰ-ოჰ, არ მონახეს ქალებმა საერთო ენა! სენტიმენტოს! – ჩაიქირქილა ზაზამ და ბიჭებს უჩუმრად თვალი ჩაუკრა.

მაიკომ ერთი მოხედა გამანადგურებელი მზერით და მერე ისევ მამიდას მიმართა:

— ერთი რამ მაინტერესებს, მამიდა, აი, შენ ბიოლოგი ხარ და... თუ არსებობენ ვეფხიჭამია ვეფხვები, ანდა... ლომიჭამია ლომები?

— არა, არ არსებობენ, მაიკო.

— ანდა... ერთი სახეობის ცხოველები თუ კლავენ ხოლმე ერთმანეთს?

— არათუ კლავენ, შვილო, ერთმანეთს არც ასახიჩრებენ, მაშინვე მოქმედებს ეგრეთწოდებული დამუხრუჭების ინსტინქტი: ასე იქცევიან, მაგალითად ჩვენგან ათვალწუნებული ძაღლები და სხვა ცხოველები, ტერიტორიული, ან მდედრის გამო კონფლიქტი არასოდეს გადაიზრდება უღმობელ სისასტიკეში. ასეა ეს და ამ მხრივ საოცრად მოწესრიგებული კანონები აქვს საჯუნგლეთს, ჩემო მაიკო.

— თუკი მხეცები არ ერჩიან თავიანთ ჯიშს და ჯილაგს, მაშ, ადამიანი, ეს უუგონიერესი არსება, როგორღა იმეტებს სასიკვდილოდ თავისსავე მსგავს ქმნილებას? ხომ არიან კაციჭამია ტომები დღესაც? მაშ, გამოდის, რომ მხეცებზე უფრო დაბლა დგას ადამიანი? ყოჩაღ, ჰომო საპიენს!

— მთლად მასეც არ არის, ჩემო კარგო: ადამიანი ადამიანისთვის წმინდათაწმინდააო-ნათქვამია!

— როგორაო, როგორაო, მამიდა? ადამიანი ადამიანისთვის წმინდათაწმინდააო? ეგ ვინა სთქვა, სენეკამ? ღმერთო ჩემო, რა სიტყვებია! თან... როდისაა ნათქვამი!

— „ხოლო მე გეტყვი თქვენ: გიყუარდეთ მტერნი თქვენნი, და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა, და ულოცევდით მათ“.

— რას იტყვით ამაზე, ჭკუის კოლოფი ფიზიკოს-ინჟინრებო? თუძცა, რა უნდა მითხრათ? უყურეთ და დასტკბით ამ მასობრივ მკვლელობათა ცქერით, რაკილა ასე გსიამოვნებთ ეს სასტიკი სანახაობა, მე კი — მივდივარ! კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო!

— კაი, ახლა, რას იფხორები? დარჩი პატარა ხანს. დამთავრდება აგერ ეს სურათი და მერე ჩვენ გაგაცილებთ.

— დიდად გმადლობთ, ჩემო ბატონო. მაგრამ... არავის გაცილებათ არ მჭირდება მე. პატარა კი არა ვარ. გზას როგორმე გავიგნებ

შინამდე... უთქვენოდ. მერე, არც ისე გვიანია.

– თუ შეიძლება... მე...

– რაო, შენც არ რჩები, ვახო? – რატომღაც ენა დაება გიას.

– შენც... ბრუტუს? – თეატრალურად გაიკვირვა ზაზამ და გულზე ხელი იტაცა.

– თუ მაიკო ნებას დამრთავს... მგონი, ერთი გზაც გვაქვს. –

– აჰა, გა-საგე-ბია ყველაფერი! წაბრძანდით, ბატონო, წაბრძანდით, რაკი ასეა, რა გაეწყობა. გზაში თუ მოგწყინდათ, ლექსები წაუკითხეთ ერთმანეთს.

– მაიკო შვილო, რაკი ამ ტუტუცებს, უკაცრაული პასუხია და, მეტი ზრდილობა არ გააჩნიათ... ვახო გაგაცილებს, მამიდა. მეც უფრო გულმშვიდად ვიქნები.

– აი, ძმაო, წაიღე შენი ნახაზებიც, კარგი ნამუშევარია. ვერაფერს იტყვის კაცი, შეგიძლია თუნდაც ხვალვე ახვიდე უშბაზე, ჩემი აზრით, ხუთიანი განაღდებული გაქვს.

* * *

...ნელა, ჩუმად მიაბიჯებენ გვერდიგვერდ. და მაიკოს სულაც არ ეჩოთირება, ხმას რომ არ იღებენ. არც იმას „იმჩნევს“, შეთანხმებულიებივით, გზა რომ გაიგრძელეს და სანაპიროთი წამოვიდნენ.

როცა იქ, მამიდაშვილებთან, გაცხარებული დაობდა, როცა ბიჭის დაკვირვებულ, ყურადღებიან მზერას გრძნობდა და უნებლიეთ დამუხტულ-დაძაბული – ანგარიშმიუცემლად ცდილობდა – კიდევ უფრო მოსწონებოდა ვაჟს... გული უჩვეულო სიამითა და სიხარულით უცემდა: იგი ქვეცნობიერად ზეიმობდა თავის გამარჯვებას.

ბიჭი აღრეც, ერთი-ორჯერ ჰყავდა ნანახი მამიდაშვილებთან, მაგრამ წამიერი თვალის შევლება თუ მოუსწრია მაშინ, თუმცა იმ წამიერი მზერიითაც სასიამოვნო განცდა დარჩენია, მაგრამ ამ საღამოს სულ სხვა იყო: ამ საღამოს შთაბეჭდილება არ ჰყავდა წინანდელს. მართალია, არ უნდოდა საკუთარ თავსაც გამოტყდომოდა, მაგრამ აშკარა და ცხადზე უცხადესი გახლდათ: ბიჭის სახის გამომეტყველებამ, მისი თაფლისფერი თვალების თბილმა გამოსხედვამ, ზედმიწევნითმა ზრდილობამ, და საერთოდ, მთელმა

მისმა გარეგნობამ, მიხრა-მოხრამ, მოზომილმა, ძუნწმა სიტყვა-პასუხმა – არაჩვეულებრივი ძალით იმოქმედა მასზე.

და ეს შთაბეჭდილება სულ უფრო და უფრო უძლიერდება. ყოველი წვრილმანი, თითქოსდა უმნიშვნელო ნიუანსი – განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ათასგვარად ფერადოვანი და ცხოველი ხდება და ერთიანად იმორჩილებს მის ფანტაზიას, მთელ მის არსებას.

და აი, ახლა მოდის ბიჭის გვერდით უხმოდ, უსიტყვოდ და სრულებით არ ეუცხოება ეს მღუმარება. პირიქით, მთელი გულით სწადია ასე მხარდამხარ, უჩუმრად და წყნარად იაროს დიდხანს, ძალიან დიდხანს, და უჩუმრადვე ყური მიუგდოს იქ, გულის უშორესი კუნჭულიდან დაძრულ საამო ძელოლიას, თანდათანობით რომ იპყრობს მთელ მის არსებას. ამ ღვთაებრივი ჰანგით იჟღინთება თითქოს მთელი გარემო, სისხლის ყოველი უჯრედი...

მხრის თავთან ზოგჯერ ვაჟის მკლავის უცაბედ, მსუბუქ შეხებას გრძნობს და ეღიმება-თავისთვის. – ჯერ არგანცდილი, უცხო ნეტარებით. ყელთამდე სავსეა სითბოთი და არაფერზე არ უნდა ახლა ფიქრი, სრულებით არაფერზე.

– ხომ არ დაიღალეთ, მაიკო?

„ოჰ, რა სასიამოვნო ხმის ტემბრი აქვს და... როგორ წარმოთქვამს ჩემს სახელს?“

– არა, რა დამღლიდა?.. – გაიღიმა გოგომ და წამით იყუჩა, მერე ფიქრიანი ხმით განავრძო, – რა ლამაზი ყოფილა სანაპირო ღამით, წყნარი, მყუდრო. მთვარეც სულ არ მეჩვენება ახლა ბუტაფორიად...

ბიჭმა წყნარად ჩაიცინა.

– თქვენ მართლა ალპინისტი ხართ, ვახტანგ? – უცებ იკითხა გოგომ და გვერდულად, ფრთხილად შეათვალიერა ოდნავ რწვევით მომავალი ტანმალალი, ბეჭებში გაზიდული ბიჭი.

მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც მამიდაშვილებთან იყო, მხოლოდ ერთხელ გაუძარტა მზერა ვაჟს, როცა კითხვით მიძარტა. ახლაც, რატომღაც გაურბის მის შეხედვას. თითქოს ეშინია იმ მომწუსხველი ძალის, ბიჭის თვალებიდან რომ იღვრება.

– იცით... ზუსტად რომ ვთქვა, ალპინისტებს დაყვები ხოლმე, როცა დროს მოვიხელთებ. ასე რომ...

– მაშ, მწვერვალზე არ ასულხართ? – შეაწყვეტინა გოგომ.

– როგორ არა... – გაელმა ბიჭს გოგოს მოუთმენელ კილოზე.

– ჰოდა, ესაა მთავარი... – მაიკო ისევ დადუმდა, მერე თითქოს ფიქრშიაო, განაგრძო: – საოცარი შეგრძნებაა ალბათ, მწვერვალზე რომ შედგამ ფეხს, არა? მანამდე კი... ყოველ წუთს, ყოველ წამს სიკვდილ-სიცოცხლესთან ჭიდილი... და ყოველივე ეს იმ სიამოვნების საფასურად, რასაც მწვერვალის დაპყრობა იწვევს? უცნაურია...

– ამაზე მაშინ არ ფიქრობ, ერთი სურვილია გამოძრავებს – დაეუფლო მწვერვალს. სხვა დანარჩენი აღარ არსებობს. სხვაზე აღარაფერზე შეიძლება ფიქრი მაშინ. აი, წელან თქვენ მთვარე ახსენეთ და ბუტაფორიას მიაშვავსეთ... რადგან დიდ ქალაქში თითქოს ასე აღიქმება იგი! იცით... იქ კი – იქ სულ სხვანაირად ხედავ მთვარესაც, მზესაც, ცას, მთას, მიწას, საკუთარ თავს და... მთელ სამყაროს... უსაზღვროებასთან მიახლოებისა და აბსოლუტური თავისუფლების შეგრძნება ბადებს ალბათ ამ თავისებურ შეგრძნებას, თუმცა... ამის გადმოცემა შეუძლებელია, ეს... საკუთრად უნდა განიცადო.

ბიჭი გაჩუმდა. დაოკებული მღელვარება მოისმოდა მის ხმაში: გოგოსაც მყისვე გადაედო ეს განწყობილება, მაგრამ ამჯერად დუმილი არჩია. არ უნდოდა ახლა შეკამათებოდა ბიჭს, თუმცა ზოგი რამ მაინც გაუგებარი და აუხსნელი რჩებოდა მისთვის.

– თქვენ და ზაზა ერთად სწავლობთ, არა? – ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ბიჭს ისე, თითქოს საკუთარ ფიქრს გაეხშიანაო.

– დიახ, ოღონდ სხვადასხვა ჯგუფში.

– ისე, საცა სამართალია, ზაზა თეატრალურზე უნდა შესულიყო. ჩემი აზრით, მსახიობობა უფრო უპრიანია მისთვის, ვიდრე ინჟინრობა...

– ზაზამ მათემატიკა და ფიზიკაც ბრწყინვალედ იცის... სხვა-თაშორის, გიამაც.

– იცით ალბათ, გია სალამოს დასწრებულზე რომ აპირებს გადასვლას.

– ვიცი... შეიძლება ჩვენთან დაიწყოს მუშაობა.

– თქვენთან?.. თქვენ სად მუშაობთ?

– ელექტროხელსაწყოების ქარხანაში.

ისევ დადუმდნენ.

„ამასაც, მგონი მამა არა ჰყავს... გულით ავადმყოფ დედას უვლის თურმე და პატარა დაიკოს... იმიტომაც... რა ქნას, აბა? ზაზა და გიაც ხომ იძულებული არიან... მაგათი მამა კი...“

უჰ, როგორ მომენატრა ჩემი მამიკო! როდის დაბრუნდება ექსპედიციიდან?..

იყო და არა იყო რა... ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო შაშვი მგალობელი... იყო ერთი პატარა გოგო, რომელსაც დედა ადრე გარდაეცვალა, მამამ... მეორე ცოლი არ შეირთო (გადახვევა სტერეოტიპიდან), ბავშვი დედინაცვალს არ ჩაუგდო ხელში, ისე, როგორც ეს ზღაპრებშია ჩვეულებრივ... დედინაცვალიო, თვალში ნაცარიო...

დედით თბოლ გოგოს ზრდიდა ბებია – მკაცრი და... სამართლიანი ქალი. კიდევ მამიდა... და... მამა!

მამა? ათი წელი უერთგულა ცოლის ხსოვნას... ახლანდელ დროში, ჩემო ბატონო!.. ყვარებია თურმე ცოლი (წარმოიდგინეთ!). ისე, მოგეხსენებათ... კაცია ბოლოს და ბოლოს... ის დრო წავიდა... ბერობის, მოლოზნობის. ჰოდა, ახლა ცოლიც ჰყავს და ბავშვებიც, მაგრამ... მაიკო მაინც სულ სხვაა მისთვის და საერთოდ, მთავარია (რა? რა არის მთავარი?)... უნდა შეეგუო გარემოებას! აკი მაიკოც შეეგუა იმას, რომ...

ვინც ვერ ეგუება...

აი, მამიდა ვერ შეეგუა და... წავიდა კიდევ კაცი ოჯახიდან. დედას ჰყავს თურმე მამიდა – მასავით მართალი და... უკომპრომისოა.

ო, ფაღავას ზვიადი ქალი! ერთგულების, ოჯახური სიწმინდისა და სიყვარულის სიმბოლო! სიმბოლო მშვენიერებისა და სილამაზისა!

პათეტიკა. ნამეტანი პათეტიკაა, დიმიტრი ბატონო!

იყოს პათეტიკა, ჩემო, იყოს!

ფაღავას ქალს რომ ვუყურებ, გინდა დაიჯერო, რომ ადამიანი მხოლოდ სიყვარულისთვის, სიკეთისთვის გაჩნდა ამქვეყნად. დიახ, დიახ, და არა აქვს უფლება ადამიანს ამ ულამაზესი ცის ქვეშ იყოს ბოროტი, კაცთმოძულე, მკვლელი, მძარცველი, ჯალათი, მჩაგვრელი, რამეთუ იგი ამ ქვეყანას მოევლინა სილამაზის, მშვენიერების მსახურად და არა – მსახვრელად მისდა.

მიბოძეთ თქვენი ხელი, ქალბატონო თამარ! უნდა ვეამბორო მოწიწებით და რიდით.

ო, ქალის ხელები! მოსაფერებლად და სათაყვანოდ გაუჩენია იგი არსთა გამრიგეს. წარმოიდგინეთ, ჯოკონდას ხელის მტევნები? და დააჭვინეთ ახლა ამ ღვთაებრივ ხელებს ქვაბი და... ახეხინეთ! ანდა... ყინწვისის ანგელოზს მიეცით ხელში... არა, გრძელი პერგამენტი, არა... ჩემო ბატონო, არამედ – გრძელტარიანი თოხი მიეცით ხელში და გაუშვით ყანაში... სათოხნელად! ანდა... ჩაის საკრეფად! ო, დიდებული სანახავი იქნება მე და ჩემმა ღმერთმა! დიდებული!.. შეხედეთ ამ მშვენიერ ხელებს? რა ღლეში არიან ისინი! ღმერთო დიდებულო!

ეჰ, რას იზამ? იცვალნენ დრონი, დიმიტრი ბატონო, იცვალნენ დრონი. და ამაოა ყოველგვარი მჭევრმეტყველება!

იყო და არა იყო რა...

... „რა ლამაზი, გრძელი თითები აქვს ვახტანგს... იქ, კიბეზე ჩამოსვლისას რომ შემეშველა...

თითქოს ჩვეულებრივი ყურადღების ამბავია და მაინც...

ის მზერა! ოჰ!“

მკლავებზე ხელი მოისვა ფრთხილად.

– ხომ არ შეგცივდათ, მაიკო?

„შეამჩნია!“..

– არა. არა, გმადლობთ... – „მე შემოდლია... იცი, მე შემოდლია ვიარო შენს გვერდით ასე მთელი ღამე, გათენებამდე და... არ შემცივდეს!“

– არ გაინძრეთ! ხმა, კრინტი!

„ვაიმე, ვახო!“ – პირველი აზრი, რამაც თავში ელვის უსწრაფესად გაურბინა. შემდეგ: „სანაპიროთი რომ არ წამოვსულიყავით... ჩემი ბრალა!“.

– აბა, სამკაულები! მოიდრე ჩქარა! – გვერდში დანის წვერის შეხება იგრძნო და მყისვე ყურებსა და ყელზე აფათურდნენ სლიპინა ხელები. თითქოს უხსენებელმა სხეულზე გადაუარაო.

მაგრამ... თავისი თავი აღარ ახსოვს ახლა. მთელი გულისყური ვახტანგისთვის მიუპყრია. თვალებიც ძალაუნებურად მისკენ გაურბის.

ბიჭს ჩუმი გინებით ეჯაჯგურებია.

„კურტკას ხდიან! ღმერთო, შენ მიშველე!“

– ჯინსიც... ჯინსიც გაინხადოს, მაგის!..

– „ვაიმე, ვახო!“ – ბიჭისკენ გაიწია უნებლიეთ:

– არაფერი მაქვს. აი, ხომ ხედავთ? არაფერი! – უანგარიშოდ იშვერს წინ ხელებს და ვახოსკენ დგამს ბიჯს.

– რატომ არა გაქვს მერე, შენი... – ერთმა მძარცველთაგანმა, მუშტი ჩასცხო სახეში გამეტებით. წამით თვალთ დაუბნელდა.

და უცებ, მოულოდნელად ერთს მოძალადეს ისე ამორატყა ვახტანგმა საჯდომზე, რომ იგი კვნესით ჩაიკეცა ასფალტზე. წამიც და მას მეორე მიჰყვა, მერე – მესამე...

„მოკლავენ. ვაიმე!“

– ვახო, გეხვეწები... გემუდარები... – თავადაც არ იცის კარგად, რასა სთხოვს, რას ეხვეწება. და ამ დროს მეოთხის ხელში ღანამ გაიელვა.

„გათავდა. ვაიმე!“

– გვიშველეთ ხალხნო! – თითქოს სხვისი ხმით აკივლდა.

– გაჩუმდი შენი!.. – დანიანმა წიხლი ჩააზილა გვერდში. ტკივილისგან გონი დაკარგა.

როცა გამოერკვა, ჩამი-ჩუმი არ ისმოდა ირგვლივ. ყრუ კვნესა შემოესმა ანაზღად:

„ვახო! ვაიმე!“

...თითქოს სხვისი მზერით უყურებს და აღიქვამს თვალისწამში დატრიალებულ ამ ამბავს. ის კი არადა, თავის ხმასაც ვეღარ ცნობს. სხვა დროს ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდა, ასეთი კივილი თუ შეეძლო. ეს რაღაც ველური, პირველყოფილი ადამიანის გულიდან ამოხეთქილი ყვირილი თუ ყმუილ-მოწოდება იყო!

...თითქოს ვიღაც სხვა გარბის შუა ქუჩაშიც, თმაგაწეწილი, სახეშემლილი... და ხელებს იქნევს გიჟივით. ერთმა მანქანამ ჩაუქროლა. მეორემ...

ალარ აჩერებენ!

...ეგებ უკეთესია... მთავარ ტრასაზე გავარდეს? მილიციელს გადაეყაროს ეგებ! ან ეგებ სასწრაფოში დარეკოს როგორმე? მაგრამ... იპოვის კი ქუჩაში დაუზიანებელ ტელეფონს? სანამ დარეკავს... სანამ სასწრაფო მოვა...

წამისწამში ენაცვლება ერთმანეთს აზრები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უჩერდება თავში... სანამ გმირთა მოედანზე ანდა რუსთაველზე აღმოჩნდება, დაიცლება ბიჭი სისხლისგან!

„ვაზო!.. ვაიმე! მისი აქ დატოვება არ შეიძლება!“

წამით კვლავ ბრუნდება გონდაკარგულ ბიჭთან. თავს ორივე ხელით უწევს:

– ნუ გეშინია... ნუ გეშინია, შენი ჭირიძე... – ჩურჩულებს უაზროდ, ხმაწართმეული. „ვაიმე! ასე ხომ დაიცლება სისხლისგან!“

„რა ვქნა? ღმერთო ჩემო!“

ისევ შუა ქუჩაში გარბის.

„ჩაუვარდები... ჩაუვარდები! მერეც არ გააჩერებენ?“

მის ფეხებთან დაამუხრუჭეს მანქანა. ღია სარკმლიდან თავი გამოჰყო მძღოლმა და შეუკუროთხა:

– გიჟი ხომ არა ხარ, შენი...

– თქვენი ჭირიძე... ბიჭი დაჭრეს. კვდება. მიშველეთ... საავადმყოფოში...

– მილიცია-პოლიცია მინდა ახლა მე? – ხელი აუქნია უცებ კაცმა და მანქანა ადგილს მოწყვიტა:

– საავადმყოფოში... სასწრაფოში... დარეკეთ...

„ღმერთო! რა ვქნა? როგორ მოვიქცე?“ – ხელებს იმტვრევს სასოწარკვეთილი. მერე წამით შეშდება. გონება ეთიშება.

მანქანამ შეუნელა. შეჩერდა. „ძლივს!“

სახეში შეაფრინდა მომღიმარე მძღოლს:

– ბიჭი დაჭრეს! მიშველეთ!..

მძღოლს ტუჩებზე ღიმილი შეეყინა. მერე გაზს ფეხი დააჭირა და... „ღმერთო! ამასობაში... ამასობაში...“

უკვე დამბლადაცემულივითაა და უიმედოდ თვალებსლა აყო-
ლებს კანტიკუნტად ჩაქროლილ მანქანებს.

— რა მოხდა, გოგონა?

„უცებ ნათლება თავში.“

„მშველელი!“

იმედის სხივი. ჩამქრალი თვალების აკიაფება.

— იქ... ბიჭი კვდება... ღვთის გულისთვის... — ყელში ბურთივით
აწვება რაღაც.

— აბა, სად? მაჩვენე, ჩქარა!

„ჩქარა, ჩქარა!.. ეგებ... გვიან არ იყოს...“

...ვახომ ყრუდ დაიკვნესა, როცა „იმან“ ხელში აყვანა სცადა.

„ცოცხალია! ღმერთო!“

— მომეხმარეთ!.. ფეხებზე მოჰკიდეთ ხელი! ფრთხილად!

გაჭირვებით, წვალებით აწვენენ მანქანის უკანა სავარძელში:

„ღმერთო ჩემო! რა მიძიმეა!“

თავადაც უკან ჯდება „იმის“ ბრძანებით, ბიჭის თავს კალთაში
იდებს, რომ არ გადმოვარდეს!..

„ეგება... ეგება... ღმერთო!“

ეს სიტყვები შუქნიშანივით ენთებიან თავში და მალევე ქრებიან:

„ეგებ... გადარჩეს?“

„ის“ რაღაცას ეკითხება. ჰო, რამდენი დრო გავიდა მას შემ-
დეგო... რაც...

აღარ ახსოვს. „იქნებ მთელი საუკუნე“?.. ველარ იგონებს.

მორჩა და გათავდა. ერთი შეგვრძნებულა შერჩენია: „გადარჩება?“
თუკი საავადმყოფოში დროზე მიიყვანდნენ, თუკი...

ღმერთო ჩემო! რამდენი „თუკი“ არსებობს თურმე ამქვეყნად!
და მაინც ამ „თუკის“ ჩაჭიდებია გამწარებით. სხვა ყველაფერი
ბნელშია, უკუნეთშია ჩაძირული.. ვერც ვერაფერს ამჩნევს გარშე-
მო. ვერც იმას, ცრემლები ღვარღვარად რომ ჩამოსდის თვალთაგან
და კალთაში ჩასვენებული ბიჭის სახეს რომ უღვთოდ ასველებს.

...უანგარიშოდ მოძრაობს. უანგარიშოდვე ემორჩილება უცნობის
ყოველ განკარგულებას, მის მოკლე ბრძანებებს.

თითქოს სიზმარშია, ანდა... კინოს შეყოვნებულ კადრებს უყურე-
ბდეს. „ის“, უცნობი აკეთებს ყველაფერს-მის მაგივრადაც...

იგი დარბის. იგი რეკავს სადღაც. ერთხელ მასაც ჩაჰკითხა, ვახტანგის ტელეფონის ნომერი ზომ არ იციო. თავი უხმოდ გააქნია, არაო. „ის“, უცნობი უხსნის ვიღაცას რაღაცას. თეთრხალათიანები მიმოდინ გარშემო.

ყოველ მათგანს იმედით შეჰყურებს.

მერე სადღაც შეჰყავთ. სისხლს უღებენ მასაც და „იმასაც“. იმ უცნობსაც: საავადმყოფოში თურმე სისხლი აღარ ჰყოფნით.

„იმისი“ სისხლი შესაფერისი აღმოჩნდა. მაგრამ... უშველის კი? გვიან არ არის აწი?

მერე... ისევ მისაღებში ზის მერხზე, მოშვებული. უმწეო გამომეტყველებით. ისეთი შეგრძნება უჩნდება წამით, თითქოს ფრთებდალეწილი ფრინველია, ვერასოდეს რომ ველარ აფრინდება ცაში, რომ აქ, ძირს, მიწაზე მოუწევს ფორთხიალი, აქ, მიწაზე უნდა აღმოხდეს სული...

– „ხმა! კრინტი! არ გაინძრეთ!“

კადრები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს. და ისევ გულში ჩაბრუნებული კივილი:

„ვაიმე, მოკლეს!“

...გვერდიგვერდ მოდიან სანაპიროზე. თბილი საღამოა. მშვიდი და წყნარი.

ამ იდუმალ სიჩუმესა და გარინდებას მხოლოდ ვაჟის ხმის გასაოცრად ლამაზი ტემბრი არღვევს დროდადრო, საამო, გულისამაჩქროლებელი ტემბრი. ხმის ეს კილო და არა თავად სიტყვები წარმოუდგენელი, გაუგებარი ძალით იზიდავს, მთელ მის არსებას იმორჩილებს... ხმის ეს ტემბრი, მისი იდუმალი, უჩინარი რხევა სულის სისავსის განცდას იწვევს: ესოდენ უცნაურსა და მოულოდნელს. და ყველაფერი, ირგვლივ ყველაფერი, ყოველი სულღებულნი, მთელი სამყარო მოლოდინს მოუცავს, სასწაულის მოლოდინს:

„სეზამ, გაიღე!“

და ოდესღაც, წარმოსახვაში, ბავშვური ცხელი ფანტაზიით ნაგები ზღაპრული სასახლე და იდუმალი სილამაზის ბაღი ხელახლა ცოცხლდება. სულს იღვამს ჩანჩქერები. ნაკადულები.

მარმარილოს თეთრი კიბის საფეხურები მაღლა-მაღლა მიიწვევს. ცის სამრეკლოდან რეკავს უხილავი ზარი და... ცათა საუ-

ფლოდან მოეშურება თეთრ რაშზე ამხედრებული მზეჭაბუკი – ლოდინით გულგალეული მეფის ასულისკენ. და ანაზღად:

„ხმა! კრინტი! არ გაინძრეთ!“

„ვაიმე, მოკლეს!“

...„ის“ გვერდით მოუჯდა. გონებას ძაბავს:

– გადარჩება?!

– ჯერ არავინ, იცის... ბევრი სისხლი აქვს დაკარგული...

„დროზე რომ“...

აღარ ამთავრებს მტკივნეულ აზრს. „ის“ რაღაცას ეუბნება.

„ა, აა... ჩემი ტელეფონი!.. ბებია გაგიჟდება. არაფერი იცის... არც მამილამ იცის... ბიჭებმა...“.

– ახლავე... 93, ნოლ-ორი, არა, ვაიმე! დამავიწყდა!

– არა უშავს რა. მერე მითხარით, როცა მოგაგონდებათ...

მკლავზე ხელს ადებს ფრთხილად და... უღიმის.

ახლალა შეხედა სახეში. ღმერთო ჩემო, თურმე რა ახალგაზრდაა. თითქოს სულ ბავშვი. მას კი ეგონა... მაგრამ ეს ხმა-ხმა თითქოს დიდი კაცის აქვს. მშვიდი, დინჯი, წყნარი, ამ ხმამ... როგორც კი დაილაპარაკა, ამ ხმით იცნო... უფრო სწორად, მიხვდა, რომ: „ისაა“! მხოლოდ „მას“ – მშველელს-შეიძლება ჰქონდეს „ასეთი ხმა!“

... „როგორი ფერმკრთალია!.. ალბათ სისხლი რომ ამოუღეს, იმიტომ“.

ხელ-ხელა უბრუნდება ცნობიერება. ახლა აგონდება, რომ ყველას, საავადმყოფოში ფეხის შედგმისთანავე, სუყველას, ვინც შეხვდა, ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: „რატომ... რისთვის?“

არავინ პასუხობდა. არავინ. ზოგი მხრებს იჩეჩავდა უსიტყვოდ. ზოგიც თვალს არიდებდა. ხოლო ერთმა თეთრხალათიანმა ესლა უთხრა: „დაწყნარდით, გოგონავ, დაწყნარდითო“, – მშვიდი, გულგრილი ხმით უთხრა.

დაწყნარდითო. ღმერთო ჩემო, როგორ დაწყნარდეს, თუკი არავინ პასუხობს მის კითხვას. არადა, უნდა უპასუხონ. მოვალენი არიან უპასუხონ. ამ თმაჭალარა კაცმა მაინც უნდა გასცეს პასუხი: „რატომ... რისთვის მოხდა ეს? ჩვრებისთვის? ნუთუ... ჩვრებისთვის?“.

უნდა აუხსნას, ვაღდებულია, მოვალეა... დიახ, მოვალეა, იმიტომ რომ... თვითონ თვრამეტი წლისაც არ არის ჯერ. ამ თმაჭალარა, ხნიერმა ექიმმა კი უნდა იცოდეს... მან უნდა აუხსნას, გააგებინოს; რატომ მოხდა ასე? აკი ადამიანები ყველანი კარგები იბადებიან. კარგები და კეთილები!.. თუკი ასეა ეს, თუკი მართლა ასეა...

ახლა ისიც აგონდება, თეთრხალათიანმა ქალმა სააბაზანოში რომ შეიყვანა და სისხლით მოთხვრილი ხელები დააბანინა, თან რაღაცას ეუბნებოდა ალერსიანი ხმით. ალბათ უყვავებდა. მაგრამ მის გონებადღე ვეღარ აღწევდა ქალის სიტყვები.

„ვახოს სისხლი!“ – ამის გაფიქრებამ შეზარა. ეს იყო ერთადერთი, რაც ტვინს უბურღავდა ახლა და სისხლს უყინავდა ძარღვებში.

მერე, მთელი სხეულით მორღვეული, მიბარბაცდა მერხთან, უილაფოდ დაეშვა ზედ და... გაქვავდა.

...გვერდით მჯდომ ბიჭს ფრთხილად შეახო თითები სახელოზე:

– უკაცრავად... თქვენი სახელი...

– ლევანი მქვია. – მყისვე შეეშველა ბიჭი და ფართოდ, გულდიად გაუღიმა.

„ღმერთო ჩემო! ეს ღიმილი... და როგორ გასცრეცია ფერი... რამდენი ამოუღეს ნეტა? ალბათ ბევრი... ჩემმა სისხლმა კი – არ ივარგა. ჰმ!“

– ლევან! ეგება სჯობია... რადგან... რომც გადარჩეს...

„შერეკილი ვეგონები ნაღდალ!“

– იცით... მე მინდა გკითხოთ: – ექვსიდან ერთი?.. ეგებ ძალზე ცოტაა? თქვენ... როგორ ფიქრობთ?

– დაწყნარდით, მაიკო, გენაცვალე. დამშვიდდით. ყველაფერი კარგად იქნება!

„ჩემი სახელი? საიდან? თუმცა... რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას?“..

– იცით... მე მინდოდა მეთქვა, რომ...

– მერე, მაიკო, გენაცვალე, მერე, სხვა დროს მითხარით, ახლა დამშვიდდით...

„ესეც მაწყნარებს პატარა ბავშვივით! ამანაც ვერ გამიგო“...

– მე მშვიდად ვარ, ლევან, ძალიან მშვიდად. სულ არ ვღელავ, ოღონდ... – წამით იყუჩა და კოპებშეკრულმა, ტუჩები უჩუმრად

ჩაიკვნითა: – საქმე ისაა, რომ... მე მიმაჩნია... ჩემი აზრით... – თავი გაიქნია უცებ ჯიუტი გამომეტყველებით: – თითქმის ხუთმა თუ ექვსმა მანქანამ ჩამიქროლა მაშინ... იქ, და არც ერთმა, გესმით... ლევან, არც ერთმა... მხოლოდ თქვენ... – ძალიან ცოტა ხომ არაა-მეთქი ექვსიდან – ერთი?

ასე მოეჩვენა, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს იყო ბიჭი მდუმარე.

– კიდევ ხომ უნდა ვიცოცხლოთ?.. ვინ იცის... ეგებ ოცი, ოცდაათი ან... სულაც ორმოცდაათი წელი? ღირს-მეთქი? რისთვის? რატომ? თუკი...

„თუკი ასეთი სასტიკია ცხოვრება?.. აი, უკვე მერამდენე დაჭრილი მოჰყავთ!..“

– მე... მესმის თქვენი, მაიკო! – წამოიწყო ბოლოს ბიჭმა ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ და შუბლი მოისრისა ფიქრიანად. მძიმედ წარმოთქვამდა სიტყვებს, თითქოს უჭირსო ლაპარაკი: – კარგად მესმის ყველაფერი და მაინც...

– მაინც?.. რატომ გაჩუმდით?

– იცი... ეგებ სჯობია – ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ... ახლა მთავარია-ბიჭი გადარჩეს...

– კი მაგრამ... ხომ შეიძლება... არ გადარჩეს? – გოგო ანთებულ მზერას არ აცილებდა ლევანის გადატეხილ სახეს.

– კი, შეიძლება!

– მერე?

კვლავ მოისრისა შუბლი ბიჭმა, თვალები წამით მოხუჭა. მერე თავი ასწია, მზერა გაუმართა გოგოს. სახეზე მტკიცე იერი გამოხატვოდა:

– იცი, მაიკო... მე ბიჭი მყავს, სამი წლის. და როცა წამოიზრდება, ვეტყვი ღირს-მეთქი! დალახვროს ღმერთმა, მაინც ღირს-მეთქი სიცოცხლე!

– ექვსიდან... ერთის დროსაც?

– თუნდაც ათიდან ერთი იყოს! მთავარია... ის ერთი იყოს! გესმის? ის ერთი. მერე, იქნებ ათიდან... ათივე გახდეს...

ერთ ხანს შეურხეველად, თვალეზაყვიანი შეჰყურებდა გოგო წელში გამართულ, სახედასხეპილ ბიჭს. შემდეგ მერხის საზურგეს მიაწვა ბეჭებით და... ხმამაღლა აკისკისდა.

„ათიდან-ათივეო?.. ხა, ხა, ხა...“

მერე უცებვე შეწყვიტა სიცილი, რომელიც უადგილო და მეტიხმეტად გამომწვევი მოეჩვენა თავადვე! მოიღუშა.

იქ, შიგნით კი, კვლავ განაგრძობდა ქირქილს ნიშნისმოგებითა და იქედნურად ის ვილაც, სხვა, უცხო არსება, გულ-გვამში რომ ჩასახლებოდა ანაზღეულად.

„ჰი... ჰი... ჰი... მაშ, ათიდან-ათი, არა? კარგია. ჩემმა მზემ, კარგი. აბა, ჰე! თქვენ იცით! იმედიანად იყავით ააამაღლებული სულის დოლონ-კი-ხო-ტე-ბოლო! ყველა დროსა და ყველა ეპოქაში ძლეულ-ნო მდაბალი სანჩო-პანსების მიერ და... მაინც, ქედმოუდრეკელნო და ამპარტავანნო! აბა, ჰე, არ გაიტეხნოთ გული!

იიცინე, ჯამბაზო!“

თავი გაიქნია კვლავ, თითქოს აბეზარ ფიქრებს თუ ჩვენებს იმორებსო.

– მაპატიეთ!.. – ჩაილაპარაკა ყრუდ, ძლივს გასაგონად და ახლალა შეამჩნია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ანგარიშმი-უცემლად სისხლით მოსვრილ ცხვირსახოცს აწვალებდა ხელში.

„ვახოს სისხლი!“ – გაჰკრა გულში მტკივნეულად. სასწრაფოდ ჩანთა გახსნა და ცხვირსახოცი შიგ ჩაკუჭა.

– მაპატიეთ... – გაიმეორა მერე ისევ ჩაწყვეტილი ხმით და ქვედა ტუჩზე იკბინა: – თქვენ შეიძლება... მართალიც იყოთ, შეიძლება! მაგრამ... – შეეყოვნდა, მერე ენის ბორძიკით, ისე, თითქოს ფიქრშიაო, განაგრძო: – მაგრამ ჩემთვის უკვე მნიშვნელობა არა აქვს... იცით, მე სრულებითაც არ მაინტერესებს აწი... – ისევ შეუბრკოლდა ენა. შუბლმეჭმუხნული, თითქოს ეძებდა და ვერ პოულობდა საჭირო სიტყვებს, რომლითაც შესძლებდა გადმოეცა თავისი გულისხმადები.

– ჯერ ყველაფერი წინ არის, მაიკო! დამშვიდდი. დაწყნარდი. გენაცვალე!

ბიჭი უღიმოდა თანაგრძნობით, გამგებინად.

გოგო ერთ ხანს უხმოდ შესცქეროდა გაოცებაჩამდგარი თვალებით:

„ღმერთოო, ეს... ეს ნათელი ღიმილი!“

მერე ყინულით შესალტული გული თითქოს ნელ-ნელა გაულხვა. სულში მზის სხივი აჭიატდა.

და ანაზღად მოსწყდა ბაგეს:

– ხო, მართლა... იცით... გამახსენდა! ჩემი ტელეფონის ნომერი გამახსენდა...

საყბღენი

მაღე მიხვდა, გულს რომ ვერ უღებდა კითხვას. მექანიკურად, თვალებითლა კენკავდა მარცვლებს, სიტყვების აზრი კი გონებამდე ვერ აღწევდა.

ჟურნალი განზე მოისროლა, ზე აიჭრა. ისე, კაცმა რომ თქვას, რა დროს სხვათა ჭირვარამის განცდაა, საკუთარიც მოსჭარბებია და ლამისაა – მოახრჩოს კიდევც.

მაგნიტოფონის ჩხავილმაც ტვინი წაიღო პირდაპირ! დილაუთენია რომ ჩართავენ, შუალამემდე აღარ არის საშველი. არც რიდი იციან და არც ხათრი.

თავადაც ასე არ იყო, განა არც ისე დიდი ხნის წინ? მაგრამ ახლა? ახლა ყველაფერი აღიზიანებს და თავს აბეზრებს, უმნიშვნელო წვრილმანიც კი.

აივანზე გავიდა და მოაჯირზე გადაეყუდა, ერთხანს იყო ასე შეურხეველად და უაზროდ დასცქეროდა ეზოში მოჟრიაბულე ბავშვებს.

„როცა გეტყვის ის-ს გა-მო-დი! როცა გეტყვი ე-ს, არ გამოხვი-დე!..“

გამოდითი ერთად ვიაროთ!..

„ეუჰ! მგონი, ავურიე!“

ისევე შიგნით შებრუნდა და ოთახიდან ოთახში იწყო ალაბალად სიარული.

„იქითკენ“ გახედვაც არ შეუძლია და ჰე, მომკალი თუ გინდა! თითქოს ჟამიანაო, ისე გაურბის იქაურობას. აკი გამოიტანა

კიდევ „იქიდან“ თავის ქვეშაგები და ლოჯიაში დაიდგა საწოლი. ოღონდაც „იმ“ ოთახში არ დარჩეს და... თუნდაც ხის ქვეშ გაათენ-დაალამებს.

ტელევიზორი რაღა ჯანდაბამ მოშალა ამ საღამოს? კინოს მაინც უყურებდა. ეგებ ცოტათი მაინც გადაეყოლებინა გული.

დარეკვის და ვინმესთან ლაი-ლაის განწყობაზეც აღარ არის. წასვლითაც ველარსად წავა, – უკვე გვიანია, ხოლო ახლა დედასთან დავიდარაბის თავი ნამდვილად არა აქვს. და საერთოდ, სიმართლე რომ თქვას, ძველებურად აღარ მიუწევს გული გარეთ – ლალის თუ გაყვება ხანდისხან სადმე, ესაა და ეს.

ღმერთო ჩემო, ისე, რამდენი გაჭირვებული და სასოწარკვეთილი ადამიანი გაიცნო ამ ბოლო დროს მკითხავებთან სიარულში. მართალია, ზოგი ცნობისმოყვარეობას დაჰყავს მათთან, ზოგს კიდევ „მოდური“ სახელი იზიდავს, მაგრამ უმეტესობას, მასავით დარდი და სატკივარი დაარბენინებს ამ „დროებით მკურნალებთან“.

ადრე თავშესაქცევად უყვარდა ხოლმე ყავაში ჩახედვა და ბანქოს გაშლა მეგობრების წრეში. ერთობოდნენ და, მაშინ აბა, როგორ წარმოიდგენდა, თუ ასე სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდებოდა მისთვის მარჩიელობა.

რადაცნაირი აუხსნელი გულისკანკალითა და მოლოდინით შეპყრობილი მიდის ხოლმე თითოეულ მათგანთან, თითქოს რაღაც სასწაულს ელოდება და... ყოველთვის იმედგაცრუებული და გულდაწყვეტილი ბრუნდება უკან, სანამ ისევ ახალი, „გადასარევი“ მკითხავი არ გამოჩნდება თვალსაწიერზე.

აი, ხვალისთვისაც შეჰპირდა ლალი, მაგარ ვინმესთან მივიყვანო. ეჰ, ლალისაც თავისი გასაჭირი ადგას, ვერც იმას გაუმართლა „სიყვარულობანას თამაშმა“, როგორც იცის ხოლმე თქმა ენაკვიმატმა ნუნუკამ, სასაცილოდ რომ არ ჰყოფნის თავისი მეგობრების ესოდენი გაწამაწია, მაგრამ სოლიდარობის გამო, აიძულებს თავს ანგარიში გაუწიოს და მხარი აუბას ამ „კომედიას“, თუმცა, შიგადაშიგ უწყინრად აქილიკებს მაინც თავის დაქალებს: ნეტავი თქვენ, მოცლილები არ იყოთ! რისთვის ან ვისთვის იკლავთ თავს ასე? ღირდეს მაინც რომელიმე კაცი ამდენ ფიქრად და დავიდარაბად?

თვითონ ხომ არაფერზე თავს არ იტკივებს და სხვების წუხილი და ტანჯვაც მხოლოდ ღიმილს ჰკვირის, შემწყნარებლურ და ირონიულ ღიმილს. სულ ორი წელიც არ უცხოვრია თვითონ ქმართან. გასცილდა თუ არა, ჩვილი ბავშვი დედას შეატოვა, თავად კი გულარზენიად მიეცა ე.წ. დროსტარებას. აბა, ახლა თქვენსავით თვალებს დავითხრი და გულს გავისიებ, მანამდე გვერდი არ აუდგეს ვინმესაო-დროდადრო ჩაუნისკარტებს დაუდევარი კილოთი თავის სიყრმის მეგობრებს და თავისებურად, გემრიელად გადაიკისკისებს ხოლმე.

ერთხელ გათხოვება თუ მოასწარი და ერთი შვილის გაჩენა, სავსებით საკმარისია, ჩემო ბატონო, – თან დროგამოშვებით მოძღვრავს კიდევ თავის შეჭირვებულ და გულშეღონებულ დაქალებს, – ამქვეყნად ერთხელ მოხვედი და შენი სიამოვნებისთვის უნდა იცხოვრო! თუ გაგიმართლა და შენი გუნებისა და განწყობილების ქმარი შეგხვდა, შენს გემოზე რომ არ დაგიშლის ცხოვრებას – ხორა კარგი, თუ არა და, – კარგად მეყოლე! მამაკაცების მეტი რაა ამ ქვეყანაზე! ღმერთო კი მომკალი, ერთი თითის დაქნევას საჭირო მხოლოდ – შენთან რომ გაჩნდეს, ვისაც კი ისურვებ. და საერთოდ, ჭკვიან ქალს თადარიგში მუდამ უნდა ჰყავდეს რამდენიმე თავყანისმცემელი. თუ ვინიცობაა, ერთმა უმტყუნა, მყისვე მეორეთი შეცვალოს იგი, – მეორე – მესამეთი და ასე შემდეგ – აბა, რა უბედურებაა ერთის ამოჩემა? ეს „პროსტო“ პროვინციალიზმი გახლავს, ჩემო ძვირფასო, მეტი არაფერი!

მაგრამ ნუნუკას „ქადაგებანი“ ჯერჯერობით ახლოსაც არ ეკარება ნათიას დაწყლულებულ გულს. ისინი ტყუილი ქაქანი და წყლის ნაყვია. ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს ჯერხნობით, ხოლო მერე?.. მერე რა იქნება, ერთმა ღმერთმა თუ უწყის... ნეტავი, მართლა ისეთი გულთმისანია ის ქალი, ლალი რომ უქებს? ხვალამდე გაძლება არ გინდა?

ეჰ, ერთი და მანც ჰყოლოდა... ძმასთანაც არ მოერიდებოდა ალბათ გულის გადაშლა. შენი სისხლი და ხორცი მანც სულ სხვაა. სხვისი ჭირის დღენიდაგ მოსმენა, გაუთავებელი ჩივილი და წუწუნი, რაც არ უნდა იყოს, ძნელი ასატანია. თუმცა... ნათია ცდილობს, თავი არ შეაბეზროს მეგობრებს, იშვიათად რომ დაიჩივ-

ლოს ვინმესთან, თავის გულში იკლავს ხოლმე დარდს თუ ვარამს. და მაინც...

მამა რომ მოსულიყო დროზე, იქნებ როგორმე აეცინცლა სივარეტი, თუმცა მოპარვაც რომ მოახერხო, სად მოწიოს? ახლა დედის კივილი უნდა კიდევ! ისედაც ამ ბოლო ჟამს სულ გაცხვირული დადის. გაუთავებლად იკბინება და ივესლება. წამითაც რომ შეაგვიანდეს სადმე, კოპებს მწყრალად შეიკრავს, იარე, იარე, მიტოვებული ქალის სახელი აღარ იკმარო, ახლა ქუჩებში იწანწალე და აალაპარაკე ხალხიო. თითქოსდა, საგანგებოდ ჩქმეტს მტკივან ადვილზე. საოცარია პირდაპირ! აკი დღედაღამ ჩასჩინებდა, გაეყარე და გაეყარეო, რა შენი ღირსია ეს ტუტუცი და ბოგანო ბიჭიო; ჰოდა, როცა მართლა გაშორდა, იმის მაგივრად, რომ დაშოშმინებულიყო, ახლა თავის კანში აღარ ეტევა. ხომ აისრულა გულის წადილი, აბა, მაშ ახლა რაღას იბოღმება, რომ იბოღმება? მაგრამ „მიტოვებული“ ქალიშვილი რომ უზის შინ, აი, ეს ვერ მოუნელებია, აი, ესაა რომ აგიჟებს და ცოფებს აყრევენებს.

მიტოვებული! ჰმ! კი მაგრამ, თვითონ ხომ ყველაფერი იღონა და მოიძოქმედა იმისათვის, რომ თავისი ერთადერთი ქალიშვილი დაეხსნა ქუჩიდან შემოსული იმ ჯამილოკიასაგან? „რა გასაჭირი ადგა, ბატონო, ჩვენს ქალიშვილს ჯიბეგახვრეტილ სტუდენტს რომ არ გაჰყოლოდა? ცოლს რჩენა უნდა, ჩემო ბატონო, მოვლას ბატრონობა. ეს კიდევ... ცოლისთვის კი არა, თავის თავისთვის ვერ მოუვლია. მაგრამ იმდენად ნამუსგარეცხილი და ურცხვია, რომ კიდევ აქეთაა დიდგულზე: მოვალედ გვთვლის, ვარჩინოთ, შევიწინააღმდეგოთ და თანაც სულ წითელი კოჭი ვუგოროთ, რომ არ გაგვინაწყენდეს. ბეჩა! აბა, არა? ეს ვინ გვეღირსა, ხომ როგორ გავბედნიერდით ასეთი ბიჭის სიძეობით!

ეს ჩვენი ტუტურუცანა გოგო კიდევ, — არაფერი აწყენინოთო, არაფერი შეამჩნევინოთო-თვალებს გვიბრიალებს აქეთ, ხოლო იმას, იმ ბოგანოს — კუდს უქიცინებს, სახეში შესციცინებს. აქაოდა, მართლა რა ბედს ვეწიეო, სიხარულით აღარ არის პირდაპირ. ღმერთო დიდებულო! ჩვენი ნათია, მთელი თბილისის ბიჭები რომ ჭკუას ჰკარგავდნენ მასზე და მის მზეს ფიცულობდნენ — ლამის-

აა მონა-მხევლად გაუხდეს ამ ღატაკ, გაღლეტილ მამლაყინწას! ღმერთი რატომ არ გაიცინებს?

გუნებაში გამოაჯავრა დედის კილოს. თავის თავი იმაზეც დაიჭირა, რომ სახის გამომეტყველებაც შეეცვალა, ისეთი გაუხდა, როგორც დედას აქვს ხოლმე ასეთ დროს.

ასე ეგონა, თავიდან მოიშორებდა თუ არა იმ „გლახა ამპარტავანს“ – მისი ქალიშვილის ხელის მთხოვნელთა რიგი დადგებოდა მაშინვე. რაკი იმედმა არ გაუმართლა, და ასე ვთქვათ, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა – გამწარდა ქალბატონი ლიზიკო და მერე როგორ? ჰოდა, მთელ თავის ჯავრს ახლა ქალიშვილზე იყრის.

თავი გაიქნია, თითქოს უკეთურ ჩვენებებს იშორებსო, მაგრამ... ახლა მამას გადაწვდა ფიქრით. ო, ო, მამა? ერთი შეხედვით, ღირსეული და საქმიანი ვაჟკაცი გეგონება, სინამდვილეში კი, ცოლს ყურით დაჰყავს: დიახ, ეს ვითომდა თავდაჯერებული, ქალების მუსუსი მამაკაცი ყველაფერზე კვერს უკრავს თავის ძვირფას მეუღლეს. ამით თავის ცოდვების მიჩუმათებას ცდილობს ალბათ, თუმცა... კუდი მაინც მოუჩანს, ანდაზის არ იყოს...

რაკი ლიზიკომ თქვა, რაკი ლიზიკომ ინება...

სულ ლიზიკო აკერია პირზე. ვითომ უიმიოდ წყალს არ გადააქცევს! ლიზიკო კი ამასობაში ლამის შინაურ ტირანად იქცეს. ბრძანებებსა და უსიტყვო, უხმო მორჩილებას დაჩვეული ქმარ-შვილისგან, ოჯახისთვის თავგადაკლული ქალის როლს იფერებს და ხელსაყრელ მომენტს არ გაუშვებს, ეს თავშეწირულობა არ დააყვედროს თავისიანებს.

თავი კვლავ დაიჭირა იმაში, რომ ღვარძლიანად ქირდავდა დედას გუნებაში – გუნებაში თორემ, აბა, ისე რა შვილია, შეპასუხებას გაუბედავს? ქალბატონი ლიზიკო ყოველთვის მართალია. ისეთ დასნეპილ იერს მიიღებს სახეზე დროდადრო, ისეთი დარწმუნებული ჩანს თავის თავში, თავის ჭკუა-გონების უმცდარობაში, რომ ვაგლახად, აბა, ვინ რას შეჰკადრებს? შეჰკადრებს და თავბედს არ დაიწყევლის? სახლში გაჩერება არ გინდა მერე? რეზიკო რომ არ შეეპუა, აკი ამიტომაც... მიაპინტრიშეს!

ისე, საინტერესოა მაინც... საიდანა აქვს ადამიანს სხვისი, კაცია თუ ქალი – დამონება-დამორჩილების ესოდენ ძალუმი სურვილი?

სხვაზე მბრძანებლობის ეგზომ დიდი მოთხოვნილება? ქალბატონი ლიზიკოსთანა პიროვნებას ფართო სარბიელი რომ მისცე? ოოჰ, როგორ იზეიმება განუკითხაობა და ძალადობა!..

იქნებ... აჭარბებს და გაღიზიანებულს-ეს ყველაფერი ეჩვენება? კაცმა რომ თქვას, ეს ახლავს, სიმწრისა და ტკივილების გადატანის შემდეგ – ახილა გონების თვალი და დაინახა ის, რასაც აქამდე ვერ ამჩნევდა, ანდა მხოლოდ ალლოთი თუ გრძნობდა, თორემ ადრე გონებაშიც არ უშვებდა დედის საქციელის კრიტიკას, მით უფრო მის განსჯას თუ გაკიცხვას.

ფიქრებიდან ქალის შეკვივლების ხმამ გამოარკვია. სამზარეულოში შევარდა. დედას მარცხენა ხელის იდაყვი მარჯვენათი დაეჭირა და სახედამანჭული, სულს უბერავდა:

– რა იყო, ადამიანო? გული გადამიტრიალდა...

– ჭირი და ოხრობა. ვერ ხედავ, დავიწვი მკლავი? მოიტაზეთი. ზემოთ არის შკაფში. ჩქარა გაინძერი. რა სტუმარივით ხარ საკუთარ სახლში? ბამბა, ბამბა მოიტანე!

– რას იკლავ თავს, ნეტა ვიცოდე? რად გინდოდა ამოდენა ნამცხვარი? ვინ არის ამის მჭამელი? – ველარ მოითმინა და საყვედური უთხრა დედას, როცა ზეთში დასველებული ბამბით უშუშებდა არც თუ ისე დამწვარ-დათუთქულ მკლავს.

– თქვენთვის ვაცნობ, ბატონო, თქვენ რომ ისიამოვნოთ...

– ისიამოვნოთ არა, ის...

– აი, ასეა ყოველთვის. მთელი ჩემი ცხოვრება გადაყოლილი ვარ აგენზე და რა მერე? უმადურობის მეტს რას ვხედავ ამათი მხრიდან?

– შენც ერთი!.. ისე იძახი გადაყოლილი ვარო, თითქოს ათი შვილი გაგეზარდოს. რა გახდა ერთი კინკილა გოგოს და ერთი კაცის მოვლა? შენი დღე და მოსწრება შინ იჯექი. სხვა რა საქმე გქონდა?

თავისი სითამამით თვითვე შეცბუნებულმა, სწრაფად აქცია ზურგი თვალებდაჭყეტილ ქალს და გასასვლელისკენ გაეშურა:

– დეიდა თინასთან ვიქნები, ტელევიზორს ვუყურებო – უკან-მოუხედავად დაავლო სიტყვა და კარი საჩქაროდ გამოიხურა.

გული ჯერაც გამალებით უცემდა, როცა მეზობლის კარის ზარის ღილაკს თითი დააჭირა: – დიტო, პრივეტ! თქვენი ტელევიზორი ხომ მუშაობს? მგონი, ილუზიონი იწყება ახლა!

მიპატიუებისათვის არც დაუცდია, შესასვლელი გაიარა, სასტუმრო ოთახში შეაბიჯა თუ არა-შედგა, მიიხედ-მოიხედა: – შინ არავინაა?

– მე თუ არ ჩამთვლი, მაშინ... – თავი დახარა ბიჭმა მოჩვენებითი მოკრძალებით: – მაშინ – არავინაა!

– ო, დიტო, მაპატიე! – გაეცინა: – სად არიან შენები მართლა?

– რა ვიცი, წავიდნენ სადღაც, მგონი... დაბადების დღეზე თუ... ნათლობაზე, კარგად არ ვიცი, სიმართლე რომ ვითხრა.

– თქვენი ტელევიზორი ხომ მუშაობს?

– მუშაობს, როგორ არა, ახლავე ჩავრთავ! – ბიჭი ტკეპნა-ტკეპნით წარმოთქვამდა სიტყვებს, თითქოს ლაპარაკი ეზარებო. იგი ზღაზვნით მივიდა ტელევიზორთან და ჩართო. მერე სავარძელი ახლოს მიუჩოჩა: – დაბრძანდი, ნათია!

– გმადლობ დიტო! მართლა, ხო არ გაგაღვიძე?

– რა დროს ძილია?..

– ან იქნებ წასვლას აპირებდი სადმე? თუ მასეა, არ მოგერიდოს!

– არსადაც არ ვაპირებდი წასვლას. აქეთკენ გამოიწიე. აქედან უკეთ ჩანს. რა კინო გადის?

– სულ ერთია, რაც იქნება, რამდენი ხანია კინოში არ ვყოფილვარ, ტელევიზორში მაინც ვუყურებ-მეთქი, ვიფიქრე: და მაინცდამაინც დღეს გაფუჭდა ჩვენი. ხო, მართლა, დიტო, რაკი თქვენები შინ არ არიან, მოვწევ რა! სიგარეტი ხო გაქვს?

– ახლავე! – ბიჭი აუჩქარებლად, დინჯად, გავიდა მეორე ოთახში და ცოტა ხანში სიგარეტით ხელში მობრუნდა.

– ინებე!

– რაო? ა, ხო, სიგარეტი... გმადლობ. კაი დროს მოვედი. იწყება. ჰოო, ძველი სურათია. მგონი, ნანახი მაქვს, მაგრამ... ვუყურებ მაინც. დიტო, შენ ჩემი გულისთვის არ მოცდე, იცოდე, თუ საქმე გაქვს რაიმე...

– საქმე არა! რა საქმე უნდა მქონდეს? მეც ვუყურებ... შენი ხათრით.

...თითქოს ყურადღებით მისჩერებია ეკრანს, მაგრამ სინამდვილეში მისი გონება სულ სხვაგან ჰქრის. ფიქრები ერთმანეთში ირევიან, იხლართებიან.

მერე გონების მზერა შიგნით, სულის ფსკერისკენ ჩააბრუნა და... იქიდან ხან ერთმა მოგონებამ წამოჰყო თავი, ხან მეორემ – ერთმანეთთან დაუკავშირებელი, დანაწევრებულ-დაქუცმაცებული – ისინი კალეიდოსკოპური სისწრაფით ენაცვლებიან ერთიმეორეს.

იმ დღეს...

რამდენი ხანია თვალი არ მოუკრავს და...

დაბარებულივით არ გამოეცხადა!

„ნუ წუხდები, თენგიზ! არა, შორს არ მივდივარ, გმადლობ, არა მიშავს, შენ ხომ კარგად“...

„კარგად ყოფნის რა მოგახსენო, ვარ რა! (ქარაგმული მინიშნება საკუთარ ოჯახურ უსიამოვნებაზე). ისე, შენ ყოჩაღ, ნათია, უცებ უნდა გაწყვიტო. ჯახირს და წვალებას ასე სჯობია. ხო, მართლა, მცხეთაში ხომ არ გაგვესიერნა? კაფეში დავსხდებოდით, ვისაუბრებდით!“

„იცი, ძალიან მეჩქარება, აი, მოვედით კიდევ. აქ გამიჩერე, თუ შეიძლება!“

„ასე მალე?!“

„აქ უნდა ჩამოვიდე. გმადლობთ თენგიზ! კარგად იყავი!“

„რისი მადლობა, როგორ გეკადრება?.. თუკი... რამე დაგჭირდა... ყოველთვის მზადა ვარ... ხომ იცი, დამირეკე ხოლმე!“

კუკუ!

ვიძალები!

თვალებზე ხელის გულები აგეფარებინა და... ვერაფერს ვხედავ, ვერაფერს ვამჩნევო – თამაშობდი!

...ოჰ, რა ყალბია ეს ბიჭი და რა გაცვეთილ, ყურით მოთრეულ სიტყვებს ეუბნება გოგოს – თენგიზივით. ჰმ, თემიზი! არადა, რეზიკოს ძმაკაცად კი ითვლება.

ხომ არ მოგეჩვენა? ეგებ?..

მაგრამ არა, ის ბილწი ღიმილი, ის თვალები?

ღმერთო!

ამ გოგოს კი სჯერა. და რა გინდა ქნა? სასწაულია პირდაპირ, როგორ ვერ ხვდება? ან ეგებ... ხვდება და ჩემი არ იყოს, ეგეც, კუკუდამალობანას თამაშობს? ან იქნებ, მართლაც ტყუევდება! რას გაიგებ? თუმცა რა, განა შენ არ გჯეროდა „შენი“ რეზიკოს გულწრფელობა? აკი სწორედ ეს ვითომცდა გულწრფელობა და ალაღმართლობა გიზიდავდა მასში. სუფთა და ნაღდი ბიჭი გეგონა! აი, ისეთი, რომ დაგიცავს, გიქომაგებს, გიმფარველებს, ისე, ვით შეეფერება კაცს, მამაკაცს, ვაჟკაცს.

...ახლა აკოცებს ბიჭი. აკოცა. გოგო ვითომ იბუტება, სინამდვილეში უხარია. გაიმარჯვა თავის ჭკუაში. ოჰ, ოჰ, რა თვალთმაქცობაა ყველაფერი. ყველგან მხოლოდ სიცრუეა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ადამიანები თვალის დაუხამხამებლად ატყუებენ ერთიმეორეს, ჰაერიც კი ტყუილების ბაცილებითაა გაჟღენთილი. მამა ატყუებს დედას. მორჩილი და თვინიერი მეუღლის როლს თამაშობს შინ, გარეთ კი – ცხვირსახოცებივით იცვლის საყვარლებს. არ ეთაკილება, თავის სტუდენტ-გოგონებსაც რომ დაუნიშნოს პაემანი. ისინიც, ოღონდაც კარგი ნიშანი მიიღონ და... ფუი! რა საძაგლობა! დედამ მშვენივრად იცის ეს ყველაფერი, მაგრამ... თავი ისე უჭირავს, ვითომ ბაიბურში არაა. ისიც თავისებურად თვალხუჭობანას თამაშობს და... თავის მხრივ, თვალს უხვევს თავის ძვირფას თანამეცხედრეს – ათასგვარ წვრილმან თუ მსხვილმან „ფინანსურ საქმეებს“ აკვარახჭინებს, რომ როგორმე ერთი ზედმეტი ბრილიანტის სამკაული შეიძინოს – ოღონდ უთუოდ „კარატის“ ბრილიანტი. ოქრო განძია. განძი კი-სჭირდება ოჯახს – სულ ერთია, რანაირი გზითა და საშუალებებითაა იგი მოპოვებული. მთავარია – მოიპოვო. აბა, სხვა რისი მაქნისია მამაკაცი, თუ მატერიალურად არ უზრუნველყოფს ოჯახს, არ შეუქმნის კეთილდღეობას!.. რომც ჩავარდეს ამის გამოისობით, მერე რა? მტერსა და ავს, მაგრამ... თუ საჭიროებამ მოითანა, ქე უნდა გასწიროს თავი ოჯახისთვის.

ციხეში იქნება თუ გარეთ – ოქრო და ბრილიანტი თავის ძალასა და ღირებულებას არ კარგავს არც ერთ დროში. ასეა ეს და სხვა დანარჩენი ზღაპრებია და ბოგანოების მოგონილი! (ოჰ, რა

ზიზლით და ტუჩების ბრეცით წარმოთქვამს ხოლმე „ბოგანოს“ – ამ ამოჩემებულ სიტყვას?).

შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს მუხრან-ბატონის შთამომავალი იყო. ერთი გუდამშიერი აზნაურები იყვნენ შენი წინაპრები, მეტი ხომ არაო, ვითომ გაეხუმრა ერთხელ – ყელში სულამოსულმა.

გუდამშიერიო? – იტკიცა და მერე როგორ?

გუდამშიერიო? ღმერთო კი მომკალი ახლა! ბაბუა რომ სუფრას გაშლიდა და ჩვენს ოჯახში რომ სტუმრები იყრიდნენ თავს, მასეთი ხალხი სიზმრადაც არ მოელანდება მამაშენის გვარსა და ჯილაგსო, დაგესლა ქალიშვილი.

...ოჰ, როგორ ვერ იტანს ამ უკულო ამპარტავნობას, სულიერად მწირი და გონებრივად დუხჭირი ადამიანების კუდაბზიკობასა და მედიდურობას...

ბებიო... სულ სხვანაირი ადამიანი იყო: კეთილი, თბილი, სულგრძელი. გასაოცარია, რომ ქალიშვილი ასე არ ჰგავს დედამისს. ამბობენ, და-ძმას შორის ყველაზე უფროსი, ბიძია შოთა იყო დედამისის ალი-კვალი.

როგორი ტკბილი მოფერება და როგორი ზღაპრების მოყოლა იცოდა ბებომ?

ჩაისვამდა პატარა ნათიას კალთაში და... იღებოდა ზღაპრების საოცარი სკივრი. დაუსრულებლად მოედინებოდა და მოედინებოდა ბებიას ბაგე-პირიდან ერთი-მეორეზე გასაოცარი და ჯადოსნური ამბები ოქროსთმიან მზეთუნახავებსა და გულად მზეჭაბუკებს, ცხრათავიან დევებსა და მოხერხებულ ნაცარქექიაზე...

და როგორ უხაროდა, რომ ბებიას ამსგავსებდნენ გარეგნობით. სამწუხაროდ, კაი ხანი აღარ არის იგი ცოცხალი, თორემ...

ეუჰ, ამქვეყნად ბევრი რამაა გაუგებარი. რას ან ვის მიენდო, არ იცი... არ იცი, როდის დაცურდები, რანაირად, რატომ!

რეზიკოსთვის მთავარი აღმოჩნდა საკუთარი პატივმოყვარეობა და ეგოიზმი, სიამაყე და არა სიყვარული. თუმცაღა... რა სიყვარულზეა ლაპარაკი? როდის უყვარდი? ეს შენ გადაირიე პირველი დანახვისთანავე, ახლაც თავიდან ვერ იშორებ იმ პირველ შეხვედრას... სრულიად მოულოდნელად და უალაგო ალაგას – სვანეთის მთებში განგების მიერ დაგებულ მახეს.

არა, აღარ ძალგემს ამის გახსენება... არც იმ უცაბედი, „გაუთვალისწინებელი“ ავადმყოფობის...

ოჰ, იმ დაღლილი, დაბინდული ლურჯი თვალების წამიერი შემონათება, სიყვარულის წამიერი ელდა.

ქმარა. არ გინდა. არ არის საჭირო. რა სიყვარული აგიტყდა ქალო? როდის უყვარდი-მეთქი? დედაშენის თქმით, თურმე შენს კეთილდღეობას და... მანქანას დახარბდა. და როცა მიხვდა, რომ ლიზიკოს ვერაფერს დასცინცლავდა, ვერანაირად გააცურებდა – გული აიყარა შენზე. მორჩა და გათავდა. ესაა სინამდვილე. მწარე სინამდვილე. შენ კი აქამომდე რაღაც გამოგონილ სიყვარულს ებლაუჭები, არარსებულ სიყვარულს, უფრო სწორად, სიყვარულის ილუზიას: ილუზია რომ იყო, იმიტომაც დაისმხვრა ყველაფერი ასე ადვილად, ასე იოლად:

სასამართლო?

არა, ამის გახსენებაც კი გზარავს ახლა. ბოლო წუთებამდე ფიქრობდი, რეზო არ დათანხმდებაო, ბოლო წუთებამდე გეგონა, მოვა, ფეხებში ჩამივარდებაო, პატიებას მთხოვსო.

გეგონა. ჰმ!..

შენ მართლა გეგონა, რეზიკო წამითაც ვერ გაძლებდა უშენოდ – თურმე ისეთი მომხიბლავი და ქალური იყავი, უწინარესად... დედის თვალში, რასაკვირველია და... შენც – დაიჯერე ეს.

ნათია გადასარევი გოგოა. ნათია ლამაზი გოგოა. ნათია ჭკვიანი, გონიერი გოგოა და შენც იწამე შენი ყოვლისშემძლეობა, შენი ხიბლი და თილისმა. სადღაც დედის ჰანგზე უკრავდი და ცეკვავდი და... იმიტომ. ის კი არადა, დედაშენის მიერ დანთებულ კოცონთან შენც მიგქონდა, იქნებ შენდაუნებურად, იქნებ გაუცნობიერებლად – თითო მუეუზალი, შენც შენეულად ედიდგულეობდი... ქმარს.

და აი, ოცდაექვსი წლის ასაკში ქმარგანაშვები ქალის დამღას ატარებ! და ამ აკვარიუმის თევზებივით, აქეთ-იქით აწყდები, რომ გამოსავალი იპოვო, დაიბრუნო სულის სიმშვიდე და წონასწორობა. მაგრამ... ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს შენს წრიალს.

ამ საცოდავ თევზებს ჰგონიათ ალბათ, ოკეანის ან ზღვის უსაზღვრო სივრცეებში დანავარდობენ და თავიანთ ჭკუაში-ტკბები-

ან კიდევ ამ მოჩვენებითი კეთილდღეობითა და თავისუფლებით. საცოდავები! ის კი არ იციან, რომ თავის დღეში ვერ დააღწევენ თავს ამ აკვარიუმს, რადგან... დახშულია მათთვის ყველა კარი, ყველა გასასვლელი, თუმცა...

ეს თევზები ბევრად უფრო ბედნიერები არიან შენზე: მათ არ იციან, რომ აკვარიუმის სამუდამო ტყვეები არიან, რომ ისინი თავისუფლების ილუზიით იკვებებიან მხოლოდ. შენ კი?

განა ბევრმა გაუძლო ეშმაკისეულ ცთუნებებს?

თუ ერთი არ გაგიმართლებს, მეორესთან სცადე ბედი, თუ მეორემაც გიმტყუნა, მესამე მონახე, მეოთხე... – ნუნუკას მსგავსად.

ყოველი მათგანი წინამორბედების დავიწყების საშუალებაა. სხვა შემთხვევაში, უსაშველო ტკივილს და სიმძიმის ვერ გაუძლებ, ვერ გადაიტანო, – ამბობენ აკი, უფრო სწორად – ამით უნდათ გამართლონ ალბათ თავიანთი დაცემა.

და აი, თითქოს, შეუმჩნევლად, მაგრამ უსათუოდ დაექანები დაღმართზე. ვით დაგორებული ქვა და როცა უფსკრულს იხილავ, უკვე გვიან იქნება, უკვე ხელი გექნება ჩაქნეული ყველაფერზე უწინარესად, ღირსებაზე – უღირსებო ადამიანი კი – საშინელება!

ჯანდაბას ყველაფერი, ეს ცხოვრება ხომ წამიერია, ცვალებადი, წარმავალი. წარსული თითქოს არც ყოფილა, იგი სიზმარივითაა. იყო და... არა იყო რა. არც ხვალინდელი დღის შესახებ იცი რამე. ჰოდა, იცხოვრე დღეს, ახლა. იცხოვრე დღევანდელი დღით, ამ წამიერი, მაგრამ სასიამოვნო წუთისათვის!

სასიამოვნო...

ეს „სასიამოვნო“ წუთებიც ყელში ამოგივა მერე, ყველაფერი მოგებზრდება, მოგყირჭდება. მაგრამ... თავს არ გაუტყდები და ინერციით მიყვები თვითდინებას... ნუნუკასავით! თუმცა, ნუნუკა ჯერაც თავდავიწყების, ანუ თავის მოტყუების ზონაშია და სინანულისთვის ჯერ ვერ იცლის.

ბავშვი მაინც დაგრჩენოდა...

„რა დროს ამის ბავშვია. ჯერ უმაღლესი უნდა დაამთავროს, ასპირანტურა!“

ესეც დაუჯერე დედას. და სიცოცხლე მოუსპე... ოჰ, მარტო ეს დაგტანჯავს მთელი ცხოვრება. დანაშაულის და ცოდვის ეს

შეგრძნება არ მოგასვენებს. მაგრამ... რა ადვილი ჩანს ყოველი დანაშაული და ყოველი შეცოდება, თუკი... დღევანდელი დღით ცხოვრობ მხოლოდ!

ბავშვი რომ გყოლოდა...

თუმცა, რას უშველიდა ბავშვის არსებობა ამ უზომო ტკივილსა და სიმწარეს? ბავშვი გაგინებდა განა დარდსა და ვარაძს? მოგიშუშებდა განა სულის იარებს? თუმცა... ვინ იცის... ეგებ დაეამბებინა?..

ადრე ხომ ისიც ვერ წარმოგედგინა, რომ შეგეძლო ასე განგეცა-და რეზიკოსთან დაშორება.

საკვირველია, რატომ გეიოლებოდა ადრე? რატომ დაიარხეინე თავი? რატომ გეგონა-ტკივილისა და ტანჯვის შესაგრძნობად შეუვალა იყავი, მეტადრე ასეთი ტკივილისათვის? ჩანს, დედაშენის თავდაჯერება შენშიაც გადმოვიდა!..

...ტირის ეს საცოდავი? ცრემლები ვერ გიშველის, ჩემო საყვა-რელო, ვერა. თავიდან უნდა გეფიქრა...

რა? რა უნდა ეფიქრა თავიდანვე? რომ ბიჭი-მიატოვებდა? გადაიყვარებდა? თუკი თავიდანვე ამაზე იფიქრებ, როგორ უნდა შეიყვარო?..

ისევ სიყვარული?!

ჩურჩუტო! ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე: სიყვარული მოჩვენებითობაა! გიყვარს შენი ლამაზი ოცნება, შენი ფანტაზიის ნაყოფი – ესაა და ეს. არც მეტი, არც ნაკლები. შენ თვითონვე ქმნი და თხზავ სიყვარულის საგანს და როცა რეალურად შეე-ჯახები სხვა ყოფიერებას – გიკვირს, გტკივა და იტანჯები...

ყველაზე ნაღდაა, სათოფეზე არ გაიკარო, არა თუ გულის კარი გაუღო – ამ ე.წ. სიყვარულს. ზუსტად ისე, როგორც ნუნუკა აკეთებს ამას. თუ მაინცდამაინც არ დაგიშლია, გულისგარეთ რამ-დენიც გინდა ატარე შენი „სიყვარულის ხატება“, ელოლიავე და ეფერე, რამდენიც გინდა, სანამდეც სურვილი გექნება. ოღონდ... შიგნით, გულის სიღრმეშია არამც და არამც არ შემოუშვა! ერთი სიტყვით, ითამაშე – ვიდრემდის შენს გულს გაუსარდება! მაგრამ იცოდე, ამქვეყნად სიყვარულის, ჭეშმარიტი სიყვარულის ღირსი

თითქმის არავინაა... სხვათა შორის შენც – როგორი მწარეც არ უნდა იყოს ეს!

მაშ... ნუთუ?

რაღა აზრი აქვს მაშინ ცხოვრებას, თუკი... წრფელი და ჭეშმარიტი გრძნობა არ იარსებებს?

ა, ა... ცხოვრებისთვის აზრის მისაცემად საჭირო სიყვარული, ცოლ-ქმრობა, დედა-შვილობა და მისთანანი-არა?

რა გამოდის?

ღმერთო! სად, სად არის ის საყრდენი, რაც სულის გადასარჩენად საჭირო? რასაც შეჭირვების ჟამს დაეყრდნობი უყოყმანოდ?

„მომეცით საყრდენი და!“...

ჰმ! საქმეც სწორედ საყრდენი გახლავთ, თორემ...

„მგონი სულ მთლად ავურიე“, – გაუელვა უეცრად თავში და რატომღაც მოიკუნტა სავარძელში: „თუმცა არა, არაფერსაც არ ვურევ. მეც იმ მეცნიერებით, ველარ ვიგონებ ახლა მის სახელს, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს გვარს და სახელს – მეც იმ მეცნიერებით ვეძებ საყრდენს. მართალია, სხვადასხვა მიზანი გვამოძრაებს მე და იმას – მგონი, იგი დედამიწის გადასაყვარებლად ეძებდა, – მე კი ბევრად უფრო მოკრძალებული სურვილი მამოძრაებს: მე ასე ვთქვათ, ამ მიკრო სამყაროში ჩემი პაწაწკინტელა სულის გადასარჩენად მინდა იგი! ასეა თუ ისეა, ორთავენი მაინც საყრდენს ვეძებთ...“

მერეღა... სად, სად არის ის ბალავარი, ის ბურჯი სულიერი სიმტკიცისა, რომელსაც დაეყრდნობი? კი. კაი ჭამა-სმა ასე ვთქვათ, კაი კვება და ჩაცმა-დახურვა არ დაუკლიათ შენთვის მშობლებს, კონტაპრუწობა და კეკლუცობაც ისწავლე ინგლისურთან, ფრანგულთან და მუსიკასთან ერთად. სხვათა შორის, ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი გაქვს დედ-მამასთან, მაგრამ... ის, რამაც უნდა გაგაძლებინოს სულიერი სატკივრისა და სატანჯველისთვის, ის რომ ვერ მოგაწამეს?

შენს ირგვლივ თითქმის ყველანი უფიქრელად, უდარდელად მიუყვებიან ცხოვრების მდინარებას. დღეს რასაც გთავაზობს იგი, – მიიღე, შეიტკბე, შეირგე. თუ საჭიროა, დახუჭე თვალები, დაიცევი ყურები და... ჩაიყურყუმალავე ზღვაში-ცხოვრების ორობ-

ტრიალი რომ ჰქვია. მერე... ან ამოხვალ, ან — არა! აი, ბებო რომ ცოცხალი იყოს! იმ ლოცვებსაც ვერ იგონებ ახლა, უჩუმრად რომ გასწავლიდა!.

...ოჰ, ეს საცოდავი, როგორ განიცდის. სულ ტყუილად, ჩემო კარგო, სულ ტყუილად. ერთი ადამიანის სიყვარულით... (ჰმ, ისევ სიყვარული), დიახ, ერთი ადამიანის სიყვარულით არ ამოიწურება ყველაფერი ამ ქვეყანაზე. არა. გული ბევრად უფრო ფართოა და ტევადი. უსაშველო არაფერი გჭირს. უნდა გამაგრდე! როგორ და რანაირად? არ ვიცი, მაგრამ... უნდა გამაგრდე! მორჩა და გათავდა! გამოჩნდება კიდევ ვინმე, ვინც ნამდვილად გიმეგობრებს, გიერთგულებს... და დაგავიწყებს დღევანდელ სატკივარს. შენც მიენდობი იმას, იმ ახალს და... გექნება ტკბილი ოჯახი, გეყოლება ბევრი ბავშვი და... ყველაფერი კარგად იქნება.

მაგრამ... ყველას რომ არ შეუძლია ეს? ყველას ერთნაირი გაძლების უნარი რომ არ გააჩნია? ამ გოგოსაც... ეტყობა, მეტისმეტად უჭირს პირველი დიდი ტკივილის გადატანა. აკი, მაკამაც ვერ გაუძლო და... თავი მოიკლა! ნანიმ კი — გაუძლო. თუმცა მასაც დაახლოებით ისე მოექცენენ, როგორც მაკას. პირიქით, უფრო კეთილიც გახდა თითქოს. უფრო გამგებიანი და ადამიანების მოსიყვარულე. ეტყობა, იპოვა ის საყრდენი, რასაც შენ ამაოდ ეძებ...

ყველას არ შეუძლია-მეთქი ეს — ზოგი თავის ნაჭუჭში იკეტება და... ცხოვრობენ მერე ასეთ „აკვარიუმებში“ და ხან ერთმანეთს ძიძგნიან და კორტნიან, ხანაც — საკუთარ თავს.

საქმეც რომ არ გაქვს ისეთი... საინტერესო! სამსახურშიც ზომ ტყუილუბრალოდ მიდი-მოდიხარ, როგორც ბევრი სხვა, ხელფასსაც იღებ თითქოს, — დედა რა ვნახეო, იმისთანას არა, ცხადია, მაგრამ მაინც...

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

ვისთვის არის შენი არსებობა საჭირო? სჭირდები განა ვინმეს?

სჭირდები არა! ზერელე, სასხვათაშორისო ურთიერთობებია და მოჩვენებითი სიახლოვე ადამიანებს შორის შენს გარშემო.

ცოდვას ვერ იტყვი: შენს დედ-მამას სჭირდები უთუოდ. მაგრამ... მერე რა? მშობლიური გრძნობა ნადირ-ფრინველთაც გააჩ-

ნია. საკუთარი ნაშეიერი ცხოველებსაც უყვართ, საქმე ისაა... და საერთოდ...

რას შერება ეს სულელი გოგო? მართლა თავს იკლავს? ეუჰ!.. თუმცა არა... ბოლო წუთებში, რასაკვირველია, ვაჟი მოუსწრებს და... გადაარჩენს. მერე პატიებას სთხოვს და... შერიგდებიან. „ჯერ მწარე ნახე, კვლავ ტკბილი... ვაშა!“

– გმადლობ, დიტო, ყველაფერი ნამეტანი კარგადაა მოწყობილი ამ ქვეყანაზე. კაი ხანს მეყოფა ეს „სულიერი საზრდო“. აბა, კარგად იყავი, ჩაო!

– უკვე მიდიხარ? გერქარება? დარჩი კიდევ ცოტა ხანს... კონიაკი დავლიოთ!

წამით შეყოყმანდა:

– კონიაკი? – მერე უცებ გადაწყვიტა, – ეგრე იყოს, თითო ჭიქა დავლიოთ.

ბიჭმა ჭიქებში კონიაკი ჩაასხა.

– ეს შენ გაგიმარჯოს, დიტო! – უცებ გადაჰკრა: – ახლა, წავედი!

– მოიცა ნათია! კიდევ დავლიოთ...

– არა, გმადლობთ. მეტი არ მინდა. დიდი მადლობა ყველაფრისთვის – „პაკა“!

გასასვლელისკენ გაემართა. ანაზღად ბიჭმა გზა გადაუღობა:

– სად მიგერქარება-მეთქი? დარჩი პატარა ხანს!

ჯერ ვერ მიხვდა. გაოცებით შეაცქერდა კართან ასვეტილ ვაჟს.

– არსად არ გაგიშვებ ახლა... ჩემთან უნდა დარჩე!

თითქოს ხელშესახები სიცხადით დაინახა, როგორ გადმოუცვივდა ბუდიდან თვალები.

რაო, რაო?! ხომ არ მოეყურა ნათიას? მაგრამ... ეს თვალები? ნუთუ? ნუთუ დიტოა ეს ბიჭი? არა. შეუძლებელია. რაღაც გაუგებრობაა. რაღაც ერვნება ნათიას. ცხადია, ერვნება... შუბლზე აცვენილი თვალები კვლავ საკუთარ ბუდეს დაუბრუნდა.

– გამატარე! – ძალზე მშვიდი, ძალზე წყნარი ხმით ამოთქვა ბოლოს მზერადახრილმა და კარისკენ გაიწია კვლავ.

– არ გაგიშვებ-მეთქი, ხომ გითხარი! – ბიჭი კარს აკვროდა და კბილები უცნაურად დაეკრიჭა.

სახეში შეაჩერდა ისევ.

მაშ, არ მოჩვენებია ნათიას? ეს ბიჭი დიტოა ნამდვილად. ძმასავით თანშეზრდილი, დღე და ღამ რომ ერთად იყვნენ ბავშვობისას. ერთი თევზიდან უჭამიათ, ერთი ჭიქიდან უსვამთ. ხშირად ხელი-თაც უტარებია, მასზე ოთხი წლით უმცროსი.

ღმერთო ჩემო! ცხადია ეს, თუ სიზმარში ხდება ყველაფერი?

ან... ხომ არ შეიშალა ნათია? მაგრამ... ეს სახე, ეს ბილწი ღიმილი!..

დიტოს სახით თენგიზი ხომ არ მოევლინა უცაბედად?

თვალისწამში ენაცვლებიან აზრები ერთმანეთს. საკუთარი სახის ყინულივით სიცივე შეიგრძნო ერთბაშად...

– გააღე კარი! – მშვიდი, ძალზე, მშვიდია ქალის ხმა.

– არ გავაღებ!

– გააღე-მეთქი, ახლავე... პირუტყვო!

კარს აყუდებული ბიჭი როგორღაც გვერდულად იღიმება, უფრო სწორად, ტუჩები ღიმილისმაგვარ რალაცას დაუგრეხია. სახეაღწეილს, წვრილი, შავი თვალები ამღვრევია.

თითქოს ახლალა შეამჩნია პირველად, როგორ აუყრია ტანის ბიჭს.

– ახლავე მოშორდი კარს! – მრისხანედ აენტო ქალს თვალები.

დიტო ადგილიდან არ იძროდა და ისევ ისე გვერდულად იღიმებოდა... თუ იჭყანებოდა, – ვერ გაარკვევდი.

ნათიამ ხელის კვრით სცადა მოეცილებინა ბიჭი კარისთვის, მაგრამ უცებ მან მკლავი დაუჭირა და ძალუმად მიიზიდა თავისკენ.

წამით თითქოს ბინდი გადაეკრა გონებას, მერე შიგნიდან, გულ-ღვიძლიდან წამსვე დაიძრა ცხელი სისხლის ნაკადი და სახეზე მოაწვა. სუნთქვა შეეკრა. აქამდე ვერ წარმოედგინა, თუ ასე ხელშესახებად მკაფიო შეიძლებოდა ყოფილიყო ზიზღი, ზიზღი – უნაპირო, უკიდევანო...

სხვა ყველაფერი ერთიანად წაიშალა და... დარჩა მძულვარების ეს შმაგი, ყოვლისწამლეკავი გრძნობა.

მწყობრიდან გამოსული, განრისხებული ქალი ბიჭის სახეს წაეტანა. ბიჭმა მყისვე აარიდა თავი, მაგრამ ნათიამ მაინც მოას-

წრო, და... ქალის ნაკლანჭი წითელ ზოლად დააჩდა მის ლოყას.

– ახლავე... გესმის შენ, ახლავე გამიღე კარი! – ხმის ნაცვლად ხავილი ამოსდიოდა გამშრალი ყელიდან. სიბრაზისგან გონდაკარგული, კვლავ ბიჭის თვალებისკენ მიიწევდა ფრჩხილებით.

არა, ეს ნათია აღარ იყო უკვე: თითქოს მძვინვარე აფთარი ჩასახლებოდა სხეულში: უღმობელი, სასტიკი, დაუნდობელი. კრუნჩხვამორეულს ერთი მიზანილა ამოძრავებდა: თვალები ამოეკორტნა ამ ნადირისთვის, ასე უტიფრად, ასე ურცხვად რომ უსწორებდა მზერას.

წამით მიმოიხედა ირგვლივ, მერე უცბად მკლავებიდან დაუსხლტა ბიჭს და ოთახის შუაგულში მდგარ მაგიდასთან მიიჭრა. მაგიდაზე ფაიფურის ვეება ლარნაკი ყელყელაობდა. ნათიამ წამსვე აიტაცა იგი ორივე ხელით:

– გააღე კარი, თორემ ახლავე დავამსხვრევ ამ ლარნაკს.

ბიჭი კვლავ კარს მიყრდნობოდა ბეჭებით და ფეხს არ იცვლიდა, თუმცა წამიერად მის ამღვრეულ თვალებში შიში გამოკრთა.

ნათიამ უფრო მაღლა შემართა ლარნაკი და... მერე მთელი ძალით დაახეთქა იატაკს. ლარნაკი საშინელი ხმაურით ნამსხვრევებად იქცა. სახეგამეხებული ქალი ჯიქურ გაემართა გასასვლელისკენ.

ბიჭმა უნებლიეთ უტია გზა.

...აბაზანაში შესულმა ნათიამ ყველა ონკანი მოუშვა, რომ წყლის თქრიალ-ჩხრიალს დაეფარა მისი ხმამაღალი ქვითინი.

დიდხანს ტიროდა ცხარედ, გულამოსკვნით, თან ხშირ-ხშირად პეშვით ისხამდა წყალს პირისახეზე: იქნებ ცრემლის ნიაღვარი შევაჩერო. არაფერი შეელოდა. დაწყნარების ნაცვლად უფრო და უფრო უჯდებოდა გული და უფრო და უფრო უცხოველდებოდა სურვილი, იატაკზე ეგორავა, ებლავლა, ეკივლა, თმები დაეწეწა-პირველყოფილი ქალის სიმწარით.

ერთხანობას თავში გაუელვა, უთუოდ გული გამისკდება, ნალველი ჩამექცევა, ვეღარ გაუძღლებ ამ სატკივარს, მოგკვდებიო.

„გაუძღლებო!“ – ჩასძახა ვილაცის უხილავმა ხმამ ანაზღად: „უფრო მეტსაც გაუძღლებო!“ – გაიმეორა თითქოს იმავე ხმამ და... ერთბაშად გაყუჩდა. დაწყნარდა. თითქოს ამ ცრემლებს გააყოლა.

თუ თვით ცრემლებმა გაიყოლიეს თან ის უსაშველო სიმძიმელი, გულს რომ ლოდივით აწვა და ლამის არის გაესრისა.

...იწვა და ჭერს მიშტერებოდა. დილაბინდზე რომ გაახილა თვალი, მას მერე ვერა და ვერ შეიბრუნა ძილი. ღამეც ბორგვაში გაატარა.

რული წაართმევდა თავს თუ არა, საკუთარი ზმუილი აღვიძებდა. წამდაუწუმ გვერდს იცვლიდა. ხან პირქვე ჩაემხოვოდა ბალიშზე, ხანაც პირადმა გაშოტილი მისჩერებოდა სიბნელეს. თავისი მთავარი სადარდებელი გადავიწყნოდა – ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოგონებია ყოფილი ქმარი. სამაგიეროდ, დიტოს სახე უტრიალებდა თვალწინ გამუდმებით, დაჟინებით, გამომწვევად.

რწმენის და ნდობის კიდევ ერთი ძარღვი ჩაგიწყდა გულში ნათია ნემსაძევ! და კიდევ რამდენი უნდა ჩაგიწყდეს მომავალში, ვინ იცის?

გაუძლებ კი ამდენ დარტყმას, ბედისწერა რომ გიმზადებს თურმე ყოველი მხრიდან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე?

რომ აღარც თენდება? ღამეც თითქოს ჯიბრში ჩაგიდგა...

ჩქარ-ჩქარა აპყრობს თვალებს სარკმელს, მაგრამ წკვარამს ჩაუნთქავს ირგვლივ ყოველივე და ისევ ისე წრიალებს, შფოთავს, კვნესის და გმინავს.

...ჩიტების ჟივილ-ხივილს თვალებდაჭყეტილი შეეგება. გასავათებულს, უკვე განძრევის თავი აღარ ჰქონდა. მთელი სხეული დაბეგვილ-დაბეჟილივით მორღვეოდა.

...ეზოდან დილის ჩვეულებრივი ხმაური ამოდიოდა. კარგა ხანია ჩაიარა მემაწვნემაც.

ნათია კი კვლავ შეურხევლად იწვა და ამოღამებული, გამოცარიელებული თვალები ჩაცვივებით მიეშტერებინა კრიალა ცის ნაგლეჯისთვის, ფანჯრიდან რომ მოჩანდა. მერე დედის ნაბიჯების ჩქამი შემოესმა სამზარეულოდან. მოაგონდა, რომ დღეს კვირა იყო. მამა გვიანობამდე საწოლში ნებივრობდა უქმე დღეებში და ცოლიც ლოგინში მიართმევდა ხოლმე მეუღლეს რძიან ყავას, ესოდენ რომ უყვარდა დილ-დილაობით.

ანაზღად ქალის ნაცნობმა ხმამ გამოარკვია გარინდებიდან.

თინა დეიდა!

ყურები ცქციტა, სმენა დაძაბა უნებლიეთ, თუმცა განძრევით არც ახლა განძრეულა.

ნათიამ ხმაზე შეატყო თინა დეიდას, რომ იგი ჩვეულებისამებრ, მხოლოდ ენის მოსაქავებლად არ იყო მოსული. იგი გაბმით, უპაუზოდ და ხმამაღლა გოდებდა თითქოს: – რავა ვიქნები, ჩემო ლიზიკო? ჯავრით აღარ ვარ ქალი! მთელი ჩემი ცხოვრება, შენი არ იყოს, ქმარ-შვილს შევალიე. წელებზე ფეხს ვიდგამ. დღე არ არის ჩემთვის მოსვენება და ღამე. ხანდახან სხვის მაგივრადაც ვმორიგეობ, რომ რაცხა კაპიკები შემოვიტანო ოჯახში. გინეკოლოგი რომ ვარ, ზოგს ჰგონია ჩეჩქივით მაქვს ფული. რა მაქვს შენ გენაცვალე? გროშებს თუ მოგცემენ და ესაა. მარა მაგიც არ გექნება, თუ არ იწვალე, არ იჯახირე. შენც კარგად იცი, შემოგეველე, ქალიც მე ვარ ოჯახში და კაციც. ჩემს ბედლოლათ მეუღლეს ამქვეყნად არაფრის დარდი არა აქვს – ოღონდ თავის ძმაკაცებში აქეიფე და დრო ატარებინე. თავისი ახალგაზრდობა სულ ასე ჰარი-ჰარალეში გაატარა და ახლაც არაფერი ენაღვლება. აბა, შენი ვალიკოსთანა რომ იყვეს, ჩემო ლიზიკო, რა მიჭირს? იმისთვის ვიკლავ თავს ასე, იმისთვის ვწვალობ, რომ ბიჭს არაფერი დააკლდეს, გული არ დაწყდეს და არ დაიხაროს-თქვა თავის ტოლ-სწორებში. ვცდილობ, გულისწადილი შევეუსრულო. ამწინებზე მანქანა მინდაო, ჩემს ამხანაგებს თითქმის ყველას აქვსო და მე ვიზე ნაკლები ვარო. ჩავჯექი ვალებში და მანქანა ვუყიდე; აი, დიტო ეს. აი, დიტო – ის... ამ ერთადერთ ბიჭს შევეყურებ და რა ვქნა? შენც კარგად იცი, რას ნიშნავს, ერთი რომ გყავს, ჩემო ლიზიკო! მარა სულ წყალში მყვრება ამდენი შრომა და ჯაფა, სულ ტყუილა ვხლავფორთობ ამდენს, ტყუილა ვიმოკლებ დღეებს...

– რა მოხდა ამისთანა, შე ქალო, არ იტყვი? ამისთანა რა დაამავა ბოვშემა? ვინ გეიგონა დიტოს ცუდი? დიტოსნაირი ბარე ორი არ დადის მთელ თბილისში, – როგორც იქნა, მოახერხა სიტყვის ჩაგდება ქალბატონმა ლიზიკომ.

– ისე დაუმშვენდეს მაგას ცხვირ-პირი, კარგი ეგ არ იყოს. ყოვლად დაუდევარი და უდარდელია მამამისივით, მაინცდამაინც თავის ჭკუამხიარულ მამას გამოემსგავსა ყველაფერში. ესეც ბეღია ალბათ!.. წუხელის გვიან მოვედით შინ, თავისნაირ თავქარ-

იან და ჩიტირეკია ძმაკაცთან წამათრია ძალით გრიშამ, ნათლობა აქვს და რომ არ მივიდეთ, სირცხვილიაო. ოღონდ სადმე დანა-ჩანგალმა დაიჩხარუნოს და ჩემს ვაჟბატონს შენ გააჩერებ მერე შინ? ჰოდა, დავრჩით გვიანობამდე იმ დასაქცევ ნათლობაზე. გული ავს კი მითქვამდა, ქალო. ნემსებზე ვიჯექი თითქოს. რავარც იქნა, წამოვედით მაქედან, შემოვდივარ სახლში და რას ხედავს ჩემი დასავსები თვალები? — ქალმა სული მოითქვა და ქალბატონმა ლიზიკომაც დრო იხელთა:

— რა, რა ნახე, შე ქალო, ამისთანა?

— რა და ჩემო ლიზიკო, ზალაში რომ „სტოლზე“ დიდი იაპონური, ძვირფასი ვაზა იღო — თავის დროზე სამი ათასი მანეთი მაქვს მაგიზა მიცემული-ძირს არ ყრია ნაფშხვენებად?

— რას ლაპარაკობ, ქალო? უჰ, რავა მეწყინა, ბერა! რა ძვირფასი ვაზა იყო. სად იშოვი ახლა იმისთანას, სანთლითაც რომ ეძებო! კი მარა, რა მოუვიდა? რაფერ გადმოვარდა მაგიდიდან? ღმერთო კი მომკალი!

— შენ ყველაფერი სიკეთე, ჩემო ლიზიკო, მეც აგი არ ვკითხე ჩემს ბელოვლათ შვილს და იცი, რა მიპასუხა? ანაშა ახლადმოწეული მქონდა და არაფერი მახსოვსო. წარმოგიდგენია? ამხელა ვაზა დაიძვრა და არაფერი გამიგიაო. ეს ლოყა ვინ ჩამოგპოტნა, შე სასიკვდილე-მეთქი — ვეკითხები და ისევ არ მახსოვსო, იძახის, ამ სიფართის ნაფრჩხილები აჩნია ლოყაზე ზოლად! წარმოგიდგენია!

— გაფუჭდა ქვეყანა, ჩემო თინიკო, სულ დაკარგეს სირცხვილ-ნაბუსი ამ გოგოებმა! — კვლავ მოასწრო სიტყვის ჩართვა ქალბატონმა ლიზიკომ, მაგრამ ქალბატონმა თინამ არ მისცა საშუალება გაეგრძელებინა და უფრო მყარად დაესაბუთებინა თავისი მოსაზრება სირცხვილ-ნაბუსის ირგვლივ. ქალბატონი თინასთვის ამჯერად მთავარი იყო არა სხვისი აზრის მოსმენა, არამედ თავისი გულისტკივილისა და წყენა-ბოღმის გადმონთხევა და გადმოპირქვაება.

ცალყბად დაუმოწმა ნათქვამი თავის ქნევით ქალბატონ ლიზიკოს და სულმოუთქმელად განაგრძო: — არაფერი მახსოვსო, დაუჩემებია ეს სიტყვები და „ვისიო“. სულ ფეხებზე ჰკივია, რომ ასეთი ძვირფასი ნივთი დაიმტვრა, ამხელა ზარალი ნახა ოჯახმა. აპა, პა, პა, შენ არ მომიკვდე, ლიზიკო, არაფრის დარდი არ აქვს. გაშხლარ-

თულა ლოგინზე, მიჩერებია ჭერს უაზრო თვალებით და არის ასე. ყურებში არ უშვებს არც ჩემი და არც მამამისის სიტყვებს. კიდევ აქეთ შემოგვიტია, რა გაღრიალებს, ქალო, მეზობლები გაიგებენ, სირცხვილიაო. წარმოგიდგენია? სახლში რომ კახაბეს დაათრევს, ეს სირცხვილი არ ყოფილა თურმე, ხოლო მე თუ ხმას ავუწიე... მარა ელაპარაკე რამდენიც გინდა! შეაყარე აგერ კედელს ცერცვი. გინდა შენ ვითქვამს რამე და გინდა ქურთის ქალს ნადეს, ანდა ძაღლს უყეფია ეზოში.

ნათია თვითონაც ვერ იტყოდა, რამ ჰკრა ხელი, რა ძალამ უბიძგა: უცბად წამოფრინდა საწოლიდან და საღამურის ამარა, თმაგაჩეჩილი, ტირილისგან სახედასიებული და ქუთუთოებზემუპებულო-ფეხშიშველა შევარდა სამზარეულოში ერთბაშად სახტად დარჩენილ ქალებთან. ქალბატონ თინას წინ დაუდგა, მარჯვენა ხელისუგლი ლამის ცხვირთან მიუტანა და:

– მე, მე გავტეხე ის თქვენი ძვირფასი ვაზა, თინა დეიდა-მე! მე ჩამოვბოტნე სახე თქვენს „ახლად ანაშამოწეულ“ ბიჭს, დიას მე! თვალების ამოთხრაც მინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვეღარ მოვახერხე, – გამოსცრა კბილებში და სწრაფადვე შეტრიალდა, კვლავ თავის საწოლს მიაშურა, ლოგინში ჩაწვა და თავზე საბანი წაიხურა.

...არ იცის, რამდენი ხანი გავიდა. ყურებში შიშინი გაჰქონდა სიჩუმეს და გარკვევით ესმოდა თავის გულის ბაგა-ბუგი.

„მთავარია, ძვირფასი ვაზა რომ დაიმსხვრა. ღმერთო! ღმერთო!“

– რა ამბავში ხარ შენ, ქალბატონო? რა გემართება ამ ბოლო დროს ნეტა ვიცოდე? – დედა თავს წამოდგომოდა და ცივად სცრიდა სიტყვებს-გაავებული. საბანი გადაიდრო უცებ:

– თავი დამანებეთ, თავი დამანებეთ სუყველამ! გესმის? თავი დამანებეთ! არავის ნახვა არ მინდა, შემეშვით ყველანი, მამყოფეთ ჩემთვის მარტო, თუ შეიძლება! – განწირული ხმით დაიყვირა და ისევ დაიფარა საბანი თავზე.

– გაგაგიჟა ხომ შენმა გამჩენმა? შეიშალე, ხომ? შენ მოუკვდი, შვილო, შენს დედას! შენ დამიწდი და დაქვესკნელდი მაინცდამაინც... ერთხელ კიდევ მოსჭერი ხომ დედ-მამას თავი? დაასხი ხომ თავსლაფი ოჯახს?

კიდევ დიდხანს იწყევლებოდა და ილანძებოდა ქალი. ერთი-ორჯერ სცადა საბნის გადაძრობა და რაკილა ეს ვერ მოახერხა, საბანს ზემოთ რაც ძალა და ღონე ჰქონდა, უთაქა და უთაქა ქალიშვილს, ხმა რომ გაეკმინდა და გასუსულიყო ლოგინში.

ნათიას მაგრად ეჭირა საბანი და ჩუმად ყლაპავდა ცრემლებს. გული კი კვლავ ისე უცემდა, ლამის ამოვარდნოდა საბუდარიდან.

როცა საბანი გადაიხადა, ლოჯიაში და მთელს ბინაში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

...წევს ახლა გაუნძრევლად, უგრძობელი, ერთიანად მოშვებული, განადგურებული. საშინელი სიცარიელე დაუფლებია სულს. თავში აზრის ნატამალიც არ ჭაჭანებს.

დაეკარგა დროის შეგრძნებაც. ხსოვნაც, გაიყინა ფამის მსვლელობა. გაქვავდა და თვალახშულს, გარესამყაროსგან გათიშულს – ანაზღად ეზმანება:

დგას საუცხოო, თეთრი ტაძრის წინ და განცვიფრებული თვალს ვერ ამორებს ამ ზღაპრულად წარმტაც ნაგებობას, უცნაური ნათლის ჩქერალში რომ ცურავს... დგას შეურხველად და ხარბად, ცნობისწადილით ანთებული მზერით უცქერის ენითუთქმელ, საარაკო მშვენებას და ვერა და ვეღარ ძღება მისი ყურებით. ტაძრიდან მოისმის ზესთაზენური გალობის ხმა, ნეტარების ჟრუანტელად რომ უვლის მთელ სხეულში, მერე... უცნაურად აფორიაქებულ-აწრიალებული ლამობს შევიდეს შიგ და უფრო სრულად დასტკბეს ღვთაებრივი ჰანგებით, მაგრამ... კარს ვეღარ პოულობს. დადის, უვლის ტაძარს გარშემო გაოგნებული, ეძებს შესასვლელს სულიმწარედ. ამოდ. აღარსად ჩანს სარკმელიც კი. ამასობაში გალობა თანდათან ძლიერდება, ზეაღმტაცვი ხდება და ირგვლივ მთელ სივრცეს ავსებს, ტაძარსაც თითქოს სხვიოსნობა ემატება, მალღლება უფრო და უფრო, ლამისაა – მოწყდეს მიწას და თეთრი გედივით გაფრინდეს ცაში, ზეცის უსასრულობას შეერწყას.

უკვე კი არ დადის-დარბის ტაძრის გარშემო აქლოშინებული და წარმოუდგენელი ძალით სწყურია შეაღწიოს შიგნით როგორმე.

„ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა არა აქვს ტაძარს შესასვლელი? – ფიქრობს შემფოთებული: – ნუთუ აღარ მიწერია შიგნით შესვლა?“

„კარი აგერაა, შენ წინ!“ – ჩაესმის ანაზღად თითქოს უსაზღვრო შორეთიდან წამოსული ჩუმი, წყნარი ხმა.

ჩერდება წამით სულთქმაშეკრული, აზრშერყეული. და რას ხელავს?

მართლაც, აგერ არაა კარი, მის ცხვირწინ!

ღმერთო ჩემო!.. რამდენჯერ შემოურბინა ტაძარს და ეს კარი აქამდე რომ არ შეუმჩნევია? ეს სასწაული არაა?

...რიდით ალებს ხის მიძიმე, კვება კარს და ფრთხილი, მოკრძალებული ნაბიჯებით შედის თითქოს არაამქვეყნიური, ზემიწიერი ციალით განათებულ დარბაზში. გრილი სიო არხვეს ურიცხვი სანთლების აღს კანდელებში და თვალისმომჭრელად პარპალებენ ცეცხლის ენები. საიდანღაც მონაბერი გრილი სიო მასაც საამურად ელაძუნება ლოყებზე, მთელ სახეზე. ღრმად ისუნთქავს საკმეკლის და კიდევ რაღაც საოცნებო სურნელს.

ღმერთო! აქ თითქოს ოდესღაც ყოფილა, უნახავს ოდესღაც ეს დიდებული სილამაზე, მაგრამ... როდის იყო ეს?

ვერა, ველარ იხსენებს.

სულისშემტაცი გალობა კი ისევ ისე გრძელდება და გულში უტკბილეს ნაკადულებად ეღვრება, მთელ მის არსება იპყრობს.

„...ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, – უეცრად მკაფიოდ არჩევს სიტყვებს.

ოჰ! კაცთა შორის სათნოებას შეჰღალადებენ უფალს მგალობლები.

სათნოება!

სადღაა იგი კაცთა შორის?

და გრძნობს, ცხელი ცრემლი უსველებს ღაწვებს, მაგრამ შვების, სიხარულის ცრემლებია ისინი და რატომღაც გულიც ჯერ არგანცდილი სიამით და ნეტარებით უძგერს. ოჰ, რა თავისუფლად და ლაღად სუნთქავს იგი მკერდქვეშ, თითქოს არც არასდროს ყოფილა შეჭირვებული, არც არასდროს უკვნესია და უვალალნია. არასდროს! ჰო, მაგრამ თავად მგალობლები სადღა არიან? რატომ არ ჩანან ისინი? საიდან მოისმის ეს ზეციური ხმები?

თვალეებს აცეცებს ცარიელ დარბაზში.

„ღმერთო ჩემო!“ – აღმოხდა უცებ თავის გუნებაში.

მისგან ხელმარჯვნივ, უზარმაზარი დარბაზის კუთხეში, ღვთისმშობლის ხატის წინ პატარა გოგო ღვას ანთებული სანთლით ხელში, მის გვერდით ასაკოვანი მანდილოსანი დაჩოქილა და ხელებაპყრობილი, სასოებით შესციცინებს ღვთაებრივი მშვენებით გაცისკროვნებულ სახეს ღვთის დედისას.

უნდა ფეხი წინ წადგას გახარებულმა და დაუძახოს ორთავეს: მეც აგერ ვარო, მაგრამ... ხმა არ ემორჩილება, ყელში თითქოს ბურთი გასჩხერია და სუნთქვას უხშობს.

და ღვას ასე ფეხმოუცვლელად, გაჩხიბულივით, ჯადოქმნილი და მონუსხული შესცქერის თავის პატარა ორეულს, რომელსაც ბებო ახლა ყურში რაღაცას ეჩურჩულება. პატარა ნათიას მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადააქვს სანთელი და გულმოდგინედ, ბავშვური მონღომებით რამდენჯერმე იწერს პირჯვარს.

მერე ბებო დგება, ხელში ხელს ჰკიდებს პატარას და ჯვარცმულის ხატთან მიჰყავს, იქ, სადაც მიცვალებულთ სანთლებს უნთებენ ხოლმე.

ლიცლიცებენ სანთლები საამოდ და უხილავ მგალობელთა ზეაღმტაცი გალობა ავსებს მთელ დარბაზს. არამიწიერი იერი დაჰკრავს თითქოს ირგვლივ ყოველივეს.

და ანაზღად გულზე მწვავედ გაჰკენწლა რაღაცამ: თავად რომ არასდროს დაუნთია სანთელი მიცვალებულთათვის? არც ბებოსთვის!

გულით სწადია, მიაწვდინოს ხმა ბებოს და პატარა ნათიას-გააგებინოს, რომ ხედავს და ესმის ყველაფერი, მაგრამ... კვლავინდებურად გადაკეტვია ყელი, ვეღარც განძრევა მოუხერხებია თითქოს ხელფეხშეკრულს, დამბლადაცემულს.

და თავის უწმეობით დაღონებული, თვალცრემლიანი, ნაღველნარევი ღმილით შეჰყურებს ბებია-შვილიშვილს, ხელიხელჩაკიდებულნი რომ მიმოდიან ამ უჩვეულო ნათლით გაკაშკაშებულ დარბაზში, სანთლებით ხელში, და ხან ერთ ხატთან ჩერდებიან, მუხლს იყრიან და ჩუმად ლოცულობენ, ხანაც მეორესთან.

მერე ბებო ყელზე ჰკიდებს ნათიას ოქროს ჯვარს და ყურში უფურჩუნებს: „მუდამ ატარე, შვილო! არ დაკარგო!“

უნებურად ყელზე ისვამს ხელს და... მყისვე აგონდება: ბებიას ნაჩუქარი ჯვარი ხომ სადღაც, რომელიღაც უჯრაში გდია? დედამ

ჩამოხსნა იგი ჯერაც პატარა ნათიას ყელიდან და... გადამალა.

...ტელეფონი?

ნუთუ... ბურანში იყო და ეს ყველაფერი ეზმანა?

„რეკოს ვილაცაა... მობეზრდება და გაჩუმდება...“ – გაივლო გუნებაში უსიამოდ, ჯერაც ძილ-ღვიძილის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა.

მაგრამ ტელეფონი არა და არ ცხრება.

დაზარებით გადაწვდა ყურმილს ერთბაშად გუნებაგაფუჭებულმა:

– ალოო!

– ნათია, შენა ხარ?

– ჰოო... მე ვარ!

– პრივეტ! რავა ხარ! იცი, უცებ ვერ გიცანი ხმაზე, სურდო ხომ არ დაგემართა?

– ნამძინარევი ვარ...

– აქამდე გეძინა, გოგო? არ გადამრიო. იცი, რომელი საათია?

– არა, არ ვიცი...

– პირველი ხდება! ჰო, მართლა როგორა ხარ? რას შვრები?

– ისე რა...

– რამე ხომ არ მოხდა კიდევ, რაღაც ვერა ხარ ხმაზე...

– არაფერი ისეთი. ჩვეულებრივი ამბებია! – ერთბაშად მოაგონდა ბურანში წამიერად გადავიწყებული წუხანდელი შემთხვევა და მწარე ღიმილმა დაუმანჭა ბაგე-პირი.

მერე თვით მისთვისაც მოულოდნელად მოწყდა ტუჩებს:

– იცი, საყრდენს ვეძებ, ჩემო ლალიკო და... ჯერჯერობით ვერ მიპოვია!

– რაო, რაო რას ვეძებო? ვერ გავიგე...

– არა. არაფერი. ვიხუმრე ისე.

– კაია, თუ ხუმრობის ხასიათზე ხარ. იცი რა ხანია გირეკავ? შინ არავინაა შენს მეტი?

– მგონი, არ არიან.

– იცი, რისთვის გირეკავ? დღეს მე, შენ და ნუნუკას გვეპატიუებიან რესტორანში.

– ჰოო?.. ვინაა?

– არის ერთი, მერე გეტყვი. ძალიან მინდა წამოხვიდე. წამოხვალ?

– შენ ხომ იცი, არსად რომ არ დავდივარ ამ ბოლო დროს?

– ვიცი, ვიცი. მაგრამ ძალიან გთხოვ ჩემი ხათრით წამოდი ახლა. თუ შენ არ წამოხვალ, მეც დავრჩები... იცოდე!

– რა ქარავმებით მელაპარაკები? ვინაა?

– მერე... მერე გეტყვი. დედაშენი არ გამოგიშვებს, რასაკვირველია. მაგრამ მოიფიქრე რამე, შესძლებ?

– მოფიქრებას და ტყუილის თქმას რა უნდა... – ისევ ჩაეცინა უხალისოდ, უამურად.

– სუსანასთან ხვალ წავიდე. იცი, ერთი მიქეს კიდე. თურმე სუსანა მაგასთან ვერ მოვა...

– სისულელეა ეს ყველაფერი.

– რა თქვი? ვერ გავიგონე.

– სისულელეა-მეთქი სირბილი მკითხავენთან და საერთოდაც... გაჩუმდა. ტელეფონის მეორე ბოლოშიც დადუმდნენ.

– მოკლედ, დაგირეკავ! – ალაპარაკდა ისევ ლალი მცირეოდენი პაუზის შემდეგ საქმიანი და მხნე კილოთი: – წამოხვალ, ხომ?

– არ ვიცი, ვნახოთ, იქნებ... წამოვიდე კიდეც! ისე... ნუნუკა გასაგებია, მაგრამ შენ... შენ რამ აგაცუნდრუკა ასე, საინტერესოა...

– კაი ერთი, ნუ იცი ხოლმე... აბა, სულ სახლში უნდა იჯდე? სულ ერთი და იგივეს ფიქრით უნდა გაიხვრიტო ტვინი ადამიანმა? მერეღა რისთვის? რატომ, ვინ დაგიფასებს?!

– შენ რალაც სხვანაირად ჭიკჭიკებ ამ დილით, ჩემო ლალიკო, მოხდა რამე? – პაუზა. ხანგრძლივი, გულის გამაწვრილებელი, მერე მეგობრის დაბეჭილი, ყრუ ხმა გაისმა სულ ახლოს, ყურის ძირში:

– არაფერიც არ მოხდა, უბრალოდ... გადავწყვიტე მტერი არ გავახარო... – ისევ პაუზა: – გოგის ცოლი შეურთავს... იცი!

„ა, ა... აი, თურმე რა!“

– ვინ გითხრა? ტყუილი იქნება!

– არა. ნამდვილია, – ისევ პაუზა.

„მაშ, შურისგება?... ნუთუ ლალიც... ამ გზით... ცდილობს?... ნუნუკას სტილით? მის ყაიდაზე აპირებს სამაგიეროს გადახდას?“

– რაღაც არა მჯერა... ლალიკო!

„თუმცა... რა არის დაუჯერებელი?.. ყველაფერი მოსალოდნელია... ამქვეყნად!“

– რა არის დაუჯერებელი ჩვენი კაცებისგან? – თითქოს მის ფიქრს ხმამაღლა გაეხმინა ლალი: – იცი კი ვინ მოუყვანია? – ისევ პაუზა, – ვიკა.

– აბა ვიკა? – „ნუთუ ის?.. არა. შეუძლებელია. არ დავიჯერებ“... – ვიკა... შუბლაძე?

– დიახ, სწორედ ვიკა „გააბედნიერა“ მაგ სალახანამ.

„ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რაღა მაინცდამაინც ის?.. თუმცა ახლა ხომ მოდაშია... თენგიზიც ხომ რეზიკოს „ძმაკაცად“ ითვლება და მაინც...“

აი, შენც გეძლევა ნათია საშუალება „შურისძიების“ – შენი, თუნდაც ყოფილი ქმრის – ძმაკაცთან თუ... ახლობელთან!..

„ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!“

– ლალიკო, ჩემო საყვარელო, უნდა გამაგრდე, გესმის? უნდა გამაგრდე, არ აჰყვე... ახლავე ჩავიცვამ და მოვდივარ შენთან! რესტორანი არა!.. ფეხი არ მოიცვალო. გესმის?

„იქნებ რეზიკომაც... რატომაც არა. რა დაუშლის? მით უმეტეს, რომ ოფიციალურადაც გავიყარეთ...“

გულის არეში ყრუ ჩხვლეტა იგრძნო. თვალები მოხუჭა, ბაგე მოიკვნითა.

ყურმილი დადო თუ არა, წამსვე ისევ აწკრიალდა ტელეფონი.

„თენგიზი?! ეს ნაძირალა მინდოდა ახლა მე?“

და მყისვე, ანგარიშმიუცემლად, შეიმართა. თვალებში ყინულივით სიცივე ჩაუდგა, ხოლო ცნობიერების სიღრმიდან უცებ ამოტივტივდა დიდი ხნის წინანდელი სურათი, სულის ფსკერში ჩაღეჭილი და მივიწყებული:

„ბავშვების სათამაშო მოედანი. ქვიშის პატარა ბორცვზე შემთხვევით ან იქნებ სულაც ბოროტი ხელის მიერ ჩაგდებულ ბოთლის ნატეხზე გადაფატრული ტერფი. მიდის, მიკელანოს გოგონა და სისხლიან კვალს სტოვებს მიწაზე. ცალ ხელში ფეხსაცმელი უჭირავს, მეორე ხელის მჯიღით თვალებს ისრეს ზღუქუნით. ცალკერძ დედის რისხვა აშინებს, რომ არ დაუჯერა, ფეხსაც-

მელი გაიძრო და ისე ითამაშა, – ცალკერძ ტკივილი. და – რაც უფრო უახლოვდება სახლს, მით უფრო უმატებს ტირილს, რადგან ქვეშეცნეულად გრძნობს, ცრემლები თავდასაცავი, დედის გულისწყრომის შესაოკებელი თუ არა, შესარბილებელი საშუალება მაინც არის.

მოშორებით, გაზონის კუთხეში ეზოს მოზრდილი ბიჭები დგანან და რაღაცაზე ბჭობენ. წამსვე მოჰკრა თვალი. „იმას“-„ისიც“ ჩამდგარა მათ შორის.

გოგონას თვალში ეს ზორბა ბიჭი ბოროტების სიმბოლოდ ქცეულა. მის დანახვაზე იზღარბება, მაშინვე გული ეკუმშება ძალაუნებურად, რადგან „ის“ არასოდეს არ გაუშვებს ხელსაყრელ მომენტს, რომ არ წაუთაქოს პატარებს, თმაზე არ დაქაჩოს, ანდა არ გაამასხარაოს ისინი. განსაკუთრებით ჰყავს „გადამტერებელი“ ნათიას. ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენება თვით ნათიას. ამიტომ ყოველ მის დანახვაზე ელეთ-მელეთი მოსდის. მერედა, რა სიამოვნებით ხითხითებს ხოლმე, როცა პატარებს აწვალებს. ხითხითებს, ხითხითებს გაუთავებლად, თან პაწია, ჭროლა თვალებს წკურავს და იწმაცნება. „მაენე ტურა“ შეარქვა თავის გულში ნათიამ, რადგან გარეგნულად ნახატი ფილმების ცხოველს ამსგავსებს.

ჰოდა, ის „მაენე ტურა“ აგერ არ დგას ახლა, დანარჩენებთან ერთად!

ოჰ, რას გაიხარებს, ნათიას ცრემლებსა და ჭრილობას რომ დაინახავს, როგორ ახითხითდება!

და გოგონამ, თვით მისთვისაც მოულოდნელად-ტირილი შეწყვიტა. თვალები ხელის ზურგით შეიმშრალა სასწრაფოდ, ტერფი ასფალტს დაადგა და ვითომ აქ არაფერიაო, გამართულად გაიარა.

არა, არ უნდა დაინახოს იმ „მაენე ტურამ“, ჭრილობიდან სისხლი რომ სდის, ტერფი რომ საშინლად სტკივა და ძლივს რომ იკავებს თავს, ხელახლა არ მორთოს ბლავილი.

...შინაგანად ერთიანად დაძაბულმა, დასხეპილი იერით ჩაუარა ერთად შევგუფებულ ყმაწვილებს, რომელთაც გახურებულ დაგაკამათში არც შეუმჩნევიათ ცეროდენა გოგონა, სახეგაკერპებული რომ მიაბიჯებდა სადარბაზოსკენ.

როგორც კი სადარბაზოში შეჰყო თავი, მაშინვე ფეხის წვერზე შედგა კვლავ. შუბლზე მოხეთქილი ჭირის ოფლი მოიწმინდა და წამიერად მოუხედა თავის სისხლიან ნაკვალევს, მაგრამ ახლა რატომღაც ტკივილისა და დედის რისხვის მიმართ შიშის გრძნობა გაქრობოდა, თუმცა გული ისევ ისე გამალებით უცემდა.

მთავარია, რომ იმას, იმ „მავნე ტურას“ არ დაუნახავს ნათიას გასაჭირი. არ დაუნახავს, როგორ აღვარვარებდა ცრემლებს და როგორ იცლებოდა სისხლისგან“.

– კი, ნათია ვარ, თენგიზ! – ხმა ჩაეხრინწა, და ერთბაშად სახეზე ისეთი გამომეტყველება გამოეხატა, როგორიც ჰქონდა მაშინ, დიდი ხნის წინათ, „მავნე ტურას“ რომ ჰკიდა თვალი.

...დღეს კვირაა. ნათიას თავისუფალი დრო ექნება ალბათ, ჰოდა, იქნებ შეხვედროდნენ ერთმანეთს... რამდენი რამე აქვს სათქმელი... ჩვეულებრივი იწილო-ბიწილო...

„კუკუ! ვიმალები!“

– აღარ დარეკო, გესმის? მეორედ აღარ დარეკო!

ყურმილი რომ დაახეთქა, რაღაცნაირი მძიმე, უსაშველოდ მძიმე ლოდი აეხსნა თითქოს გულიდან. შვებით ამოისუნთქა.

„ესეც ასე!“

ალბათ ასეთი შეგრძნება უჩნდება სარდალს მოგებული ბრძოლის შემდეგ. რამეთუ ნათიასთვისაც თავის თავზე ეს თუნდაც პატარა გამარჯვება ტოლფარდი გახლდათ ახლა დიდი ომის მოგებისა, ვინაიდან: იგი იმედის ნასახს უტოვებდა მერმისისთვის, რწმენისა და ღირსების გრძნობას უბრუნებდა.

შემდეგ კვლავ ყურმილს დაწვდა და სწრაფად აკრიფა ნომერი: – ლალიკო! შენთან მოვდივარ ახლავე! ფეხი არ გაადგა-მეთქი უჩემოდ. უნდა გელაპარაკო!..

სხარტად წამოხტა და გამოკეტილ ბეზოს პატარა ოთახს მიაშურა. ძველებური კარადის უჯრებს ეცა და სულმოუთქმელად დაიწყო ქექვა.

აი, ისიც! იპოვა! ბეზოს ნაჩუქარი ჯვარი იპოვა, ასე გულდაგულ რომ ჰქონდა გადამალული დედას. მყისვე ჩამოიკიდა ძეწკვი ყელზე და...

...პირველად, მთელი ამ ერთი წლის განმავლობაში ახლა შეამჩნია, როგორ გაელამაზებინათ მათი სახლის წინ მდებარე პატარა სკვერი. სკვერი სავსე იყო ცუგრუმელა ბავშვებითა და პენსიონერი ბებია-ბაბუებით.

წამიერად კვლავ თვალწინ დაუდგა წელანდელი სიზმარ-ჩვენება თუ ზმანება და... ტკივილნარევმა სიამემ ხელახლა ძალუძად შეუტოკა გული.

1988 წ.

„ასათაყრო ინტერვიუჭი“ *

პირველი ინტერვიუერი

* * *

– ვიცნობ თუ არა, ჯაბა ხვილარიას? –

სანამ თქვენს კითხვას პირდაპირ პასუხს გავცემდე, ჯერ მინდა ცოტა უკან დავიხიო და ერთი ამბავი გავიხსენო, რომელსაც შეიძლება უშუალო კავშირი არ ჰქონდეს იმასთან, რაც თქვენ გაინტერესებთ, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მე მაინც უნდა მოგიყვებოდეთ.

ჩემი ძმა, მოგეხსენებათ ალბათ, მხატვარი გახლავთ. როგორც თითქმის ყველა მხატვარს, მასაც უყვარს მარტოდმარტო ხეტიალი და ფეხით აქვს მოვლილი მთელი საქართველო, მისი ყოველი კუნჭულ-ალაგი ზედმიწევნით იცის.

ჰოდა, ერთხელ დგას თურმე ფოთიდან ზუგდიდისაკენ მიმავალ გზაზე და ელოდება გამვლელ მანქანას. იმდენმა მანქანამ ჩაუქროლა, მაგრამ არც ერთი არ გაჩერებულა. შუბლზე ჩამოფხატული ფეტრით, რიუკზაკიანი, დაუდევრად ჩაცმული კაცი, ეტყობა, თვალში არ მოსდიოდათ მძღოლებს. ბოლოს, კაი ხნის ლოდინის შემდეგ, ერთი საბარგო მანქანა, ბრეზენტით გადახურული, გაუ-

ჩერდა, კაბინეტიდან ბრგე, ახოვანი, გრუზათმიანი, ხორბლისფერი სახის, შუახნის მძლოლი გადმოვიდა, დინჯად მივიდა გზის კიდე-თან მდგარ კაკოსთან და მორიდებული ხმითა და გამოკვეთილი მეგრული აქცენტით, უთხრა:

– უკაცრავად ვარ, ჩემო ბატონო, მაგრამ რა ვქნა, ვერ წაგიყვანთ. კაბინაში ისედაც ორი კაცი მიზის, ხოლო ძარაში საქონელი გადაწყავს და იქაურობა მობინძურებულია და იქ ადგილს ვერ შემოგთავაზებთო.

კაკო გაოცებული უყურებს თურმე ამ კაცს:

– ამის სათქმელად მოხვედითო? – ჰკითხა ბოლოს: – მეც ხომ დავინახე, ადგილი რომ არ გქონდათ!

– რა ვიცი... იქნება გეფიქრა, თ ადგილი აქვს და არ გამიჩერაო! – თქვა თურმე რაღაცნაირი მოკრძალებული ღიმილით, შეტრი-აღდა და წავიდა.

მანქანა კაი ხანია თვალს მიეფარა, მაგრამ კაკო ვერა და ვერ გამორკვეულიყო თურმე. იმ გოლიათი მძლოლის სახე ედგა თვალწინ და მისი სიტყვები ჯერ კიდევ ყურში უტრიალებდა!

მერე „ვოლგა“ გაჩერდა მის წინ. მანქანაში ახალგაზრდა კაცს სამი შაოსანი ქალი ეჯდა. ოჩაჩირეში, სამიძარზე მიჰყავდა თურმე ბებია, დედა და და. რომ გაიგო, კაკო ზუგდიდში მიდიოდა, ბებია უკან გადმოსვა და თავის გვერდით შესთავაზა ადგილი. კაკოს თავი მოუკლავს, მაგრამ, რაკილა ნათქვამი ჰქონდა უკვე, სადაც მიდიოდა – უარი არ გაუვიდა. მაგრამ ეს ამბავი მაინც არ ჩაუთვლია კაკოს რაღაც განსაკუთრებულად, უჩვეულოდ! გრუ-ზათმიანი მძლოლის საქციელს კი, ყველას უყვებოდა თბილისში. ვერა და ვერ დაევიწყებინა იმ კაცის სიტყვები. თქვენ გესმით, რამხელა შინაგანი კულტურა და მაღალი სული იდგა იმ უბრალო, თითქოსდა, ჩვეულებრივ ადამიანშიო.

„იქნებ გეფიქრა, რომ ადგილი მქონდა და არ გაგიჩერეო“!

მე კი მახსოვს ბავშვობაში ბაბუამ სტუმრად წამიყვანა თავის ახლობელ მეგობართან ძველ სენაკში. ბავშვი ვიყავი, მართალია, სულ ერთი ციდა, მაგრამ მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა მასპინძლების თავაზიანობა, ის თუ, რა განსაკუთრებული, რაღაც მისტიკური პატივითა და რილით ექცეოდნენ ქალებს და პატარებს,

თითქოს დედოფალი ვიყავი ცეროდენა გოგონა: მოწიწებითა და კლემით მესიყვარულებოდნენ და მეფერებოდნენ. მეც შევიფერე ჩემი „დედოფლობა“ და მართლა დედოფალივით მეჭირა თავი! ეს ცხოველი ბავშვური შთაბეჭდილება მთელი ცხოვრება გამყვამეთქი, გითხარით წელანაც ისევე, როგორც მათი ახლობლები და მოკეთებები დამამახსოვრდა სამუდამოდ.

ღიას, ჩემო ბატონო. ეს ცოტა შორეული ექსკურსი კი იმისთვის დამჭირდა... თუმცა თქვენ თვითონაც მშვენივრად მიხვდებით, რისთვისაც და რატომ გავიხსენე ის ძველი ამბები.

...ამ ხუთიოდე წლის წინ ჩვენი თეატრის ერთი ჯგუფი ეწვია საჩინოს. საღამოს შემდეგ, რომელმაც სხვათაშორის, დიდი წარმატებით ჩაიარა, ჩვეულებრივ, როგორც წესია, დაგვპატიჟეს ბანკეტზე. სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან არ მიყვარს ხოლმე ეს ჩვენებური ბანკეტები, ცერემონიები, გაუთავებელი, მოსაწყენი სადღეგრძელოები, თავი ამტკივდება ხოლმე. სულ ნემსებზე ვზივარ, მაგრამ არც უარი არ შეიძლებოდა, რადგან ასე იყო თუ ისე, ჩემი იქ არყოფნა საწყენად დაურჩებოდათ მასპინძლებს.

სუფრას თამაძობდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, ესეც იქაური წესია. თამადა ინტილიგენტური გარეგნობის, ღინჯი, დარბაისელი სიტყვა-პასუხის მქონე კაცი ჩანდა. მაგრამ თამადას და საერთოდ სუყველას, ლაპარაკს არ აცლიდა მოდლლეზილი, შავგერემანი, მსხვილთვალეა ახალგაზრდა კაცი, ჭიპამდე ჩახსნილი პერანგიდან ბანჯგვლიანი მკერდი რომ მოუჩანდა და რომელიც ღვინისაგან აპრიალეზულ თვალეზს დაურიდებლად და უდიერად ატრიალებდა გარშემო.

ახალგაზრდა კაცი ერთობ თავდაჯერებულად ჩანდა. ჯერ იყო და სწრაფად გაუშინაურდა სტუმრეზს, თუმცა, როგორც გამოირკვა, ზოგ მათგანს ადრეც იცნობდა თურმე. მერე საკმაოდ ბინძური, უხამსი ანეგლოტეზის მოყოლა დაიწყო. ყველაზე მეტს თვითონ ხორხოცებდა თავის ნათქვამზე. ერთი სიტყვით, წავგვჭამა ყველას თავი. ეს უბოდიშო ლაზღანდარობა და ყიამყრალობა ნერვეზს მიშლიდა. სიბრაზე ყელში მაწვებოდა და ძლივს ვიკავებდი თავს მწარე შენიშვნეზისგან. განსაკუთრებით მალიზიანებდა ზოგი ჩვენი ქალის სიცილ-ტკარცალი და მათი გაუთავებელი: ჯაბა შენ

გენაცვალე, კიდევ მოყვეი რა, ჯაბა შენი ჭირიმე, კიდევ რა, — ეხვეწებოდნენ ყელგამოწევით. ჯაბასაც მეტი რა უნდოდა: როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობდა თავს, საყოველთაო ყურადღებით გალაღებული. სრულიად დაიჩრდილა და დაიჯაბნა ჩვენი თავაზიანი, ინტელიგენტური გარეგნობის თამადა. ჯაბა კი გამარჯვებული ყოჩივით აბრიალებდა თვალებს და სულ უფრო უფრო ილესავდა ენას.

ჯერი ჩემზე რომ დადგა, ჯაბამ საერთო ყურადღება მოითხოვა და დაახლოებით ასეთი რამ თქვა; ქალბატონო მაიკო! თქვენი სწორუბოვარი სილამაზე და ნიჭიერება იმდენადაა საყოველთაოდ აღიარებული, რომ მე რა უნდა შევმატო ამ ხოტბა-დიდებას. სხვათაშორის, ყმაწვილი ბიჭების საუბარს მოკვარი ყური, სანამ აქ შემოვიდოდით, ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, ნეტაი რამდენი წლის იქნება, ასე გოგოშკასავით რომ გამოიყურებაო. მაგ „გოგოშკაზე“ თქვენ კი არა, თქვე ლაწირაკებო, დიდებიც არანაკლებად აწკაპუნებენ ენას და ნერწყვი მოსდით-მეთქი, — დავუტატანე ბიჭებს, თქვენი ეს უბერებელი სილამაზე დიდხანს იყოს საყოველთაო აღტაცების საგანიო... და ამგვარი რამეების გაგრძელებას კიდევ დიდხანს აპირებდა ალბათ, მაგრამ ფეხზე წამოვუხტი. სისხლი თავში ამივარდა. თუმცა შევეცადე, გარეგნულად მშვიდად დამეჭირა თავი:

— ყმაწვილო! ჯერ-ერთი მე თქვენთვის მაიკო კი არა-მარამ ჯაყელი გახლავართ, მეორეც — სწორედ თქვენი სიმაღლის და ხნის ვაჟი მყავს. ვინმეებში ხომ არ გეშლებით, ჩემო ბატონო? და შემდეგ: აჯობებს ჯერ სუფრაზე ჯდომა და წესიერი საუბარი ისწავლოთ, სანამ სადღეგრძელოს იტყოდეთ!

იცოცხლეთ, ნირი ეცვალა! ალბათ სილის გაწნა ისე არ შეაცბუნებდა, როგორც ამ სიტყვებმა იმოქმედეს მასზე.

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ იტყვიან, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. მე კიდევ ამაყად კისერალერილი ვიდექი და რისხვით პირგამეხებულს, თვალს ვერავინ მისწორებდა. რა ვქნა, ნამეტანი ყელში ამომივიდა ამ ბიჭის უტიფრობა.

თამადა თავჩაქინდრული, დარცხვენილი იერით იჯდა და ჩანგალს აწვალებდა ხელში. ვერც მას გაებედა ჩემთვის პირდაპირ შემოხედვა.

წამიერად დაბნეული და საქციელწამხდარი ჯაბა გონს მოეგო. შეეცადა უკბილო ხუმრობაში მიეფუჩეჩებინა უხერხული მდგომარეობა. ხელები ფართოდ გაშალა ნაძალადევი სიცილით:

– ქალი ბრძანდებით, ქალბატონო... მარიამ და თანაც ასეთი მშვენიერი ქალი! რა უნდა გკადროთ...

– ქალი რომ ვარ და თანაც სტუმარი, სწორედ იმიტომ ვიკავებ მეც თავს, თორემ მე ვიცი, თქვენ რისი ღირსიც ბრძანდებით ამდამ! – მივანალე დაუნდობლად: – ბოლოსდაბოლოს, ვინ ბრძანდებით, რას წარმოადგენთ ასეთს, ამდენ უფლებას რომ აძლევთ თქვენს თავს?

ძალიან აღმაშფოთა მისმა საქციელმა, ჩემო ბატონო, და მეც აღარ დავინდე. თუმცა მერე კი ცოტა შემეცოდა კიდეც, ისეთი დაბნეული სახით იყურებოდა. პატარა ხანში ადგა და სუფრიდან გაიძურწა. კარგი გაკვეთილი კი მიიღო, მე მგონი. იქნებ შემდეგისთვის ჭკუა ისწავლოს!

– ქალბატონო მაიკო! ეს ხომ ჩვენი ჯაბაა, ჯაბა ხვილარია. იმისგან როგორ გეწყინათ! მან ხომ ასეთი ლაპარაკი იცის საერთოდ! – ჩამიურჩულა ღვინისაგან სახეალეწილმა ლიკამ შეწუხებული სახით.

– არ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე ასეთ უზრდელ და ტუტუც კაცს! – მოვუჭერი ცივად ლიკას, საკმაროდ ხმამაღლა. ამ გამოსარჩლებამ უფრო დამისხა ცეცხლზე ნავთი. „რომ არ მეწყინოს საწყენი, ხომ არ გგონივართ ბაღლია“–ო, ენის წვერზე მიტრიალებდა ვაჟას ეს სტრიქონი, მაგრამ აღარ ვთქვი. საკმარისად ჩავთვალე, რაც ვუთხარი.

იცით, რა უნდა გითხრათ, ამით ჩემო ბატონო? გააზნაურებული მდაბიო, მაინც მდაბიო რჩება ყოველთვის. მე წარმოშობას არ ვგულისხმობ, რასაკვირველია, არამედ სულის მდაბიობასა და სილატაკეზე მოგანსენებთ. ჩემთვის ყოველთვის გაუგებარია ისეთი უკაცრაული პასუხია და „პიროვნებების“ ეგზომ დიდი სითამამე და ამბიციები. მესმის – ზოგი არმად ნაშოვნი, ასე ვთქვათ, ნაქურდალი ფულით არის გადიდგულეებული და გალაღებული. ზოგს დაუშსახურებელი სახელისაგან თავში აქვს ავარდნილი და ველარ გუობს, ვერ შეუფერებია ბედის ასეთი უცაბელი წყალობა

და რა ქნას, არ იცის! ქერქში ვერა და ვერ დატეულა. ზოგს თანამდებობა ასულელებს და ყოველგვარ საზღვარს გადადის... მაგრამ... სულის სილატაკის შევსება, მისი დაფარვა ოინბაზობით-შეუძლებელია! მაშინ, ჩვენთან სუფრაზე იჯდა სანდრო შენგელია, მართლაც რომ დიდებული მეცნიერი და პიროვნება, მაგრამ მისი ახლობლების მეტს არავის გაუგია ამხელა კაცის იქ ყოფნა! ასეა: – ნიჭით და თავისი საქმეებით გამორჩეული ადამიანები ყოველთვის თავმდაბლები არიან! ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ ეს ამბავი!

მე მესმის, ჩემო ბატონო, ქართულ სუფრას უხდება მხიარულება, მახვილსიტყვაობა, ზომიერი ოხუნჯობა, სილაღე, სიმღერა და ცეკვა-თამაში, ამის მეტი რა მინახავს ჩემს ცხოვრებაში! მაგრამ... უზრდელობა და ტუტუცობა კი – ნურას უკაცრავად! ეს არ გახლავთ ჩვენი ტრადიცია, ჩემო ბატონო! მით უმეტეს, როცა სუფრას მანდილოსნები უსხედან. ისევ ვიმეორებ, ბატონ ჯაბა ხვილარიანების ნაირთა თავგასულობასა და უდიერობას ვერ ვიტან!

მერედა, არც ისე უწყინარები არიან ეს ტიპები, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს ადამიანს. ო, ო, თუკი ოდნავადაც არის შეეხე მათ პირად ინტერესებს, ოდნავადაც არის შელახე მათი ამბიციური გრძნობა – სასიკვდილოდ გადაგემტერებიან. არ დაგზოვავენ, ასე რომ ვთქვათ, ტანკივით გადაგივლიან ზედ! დიანხ, დიანხ, ამათ, ამ სულთ პლებეებს, მძიმე და საშინელი საქმეების ჩადენა შეუძლიათ პირადული ანგარიშსწორების ნიადაგზე. სამწუხაროდ, ამის უამრავი მაგალითი ვიცით ჩვენს სინამდვილეში – როგორც წარსულში, ისე ახლაც!

* * *

მეორე ინტერვიუერი

„კაბინეტში ისეთი რია-რია იყო, იმდენი შედიოდა და გამოდიოდა, რომ თვალს ვერც კი გაადევნებდი, ვინ-ვინ იყო.

ჯუგუტევიჩი სავარძელში გაშხლართულიყო, გრძელი ფეხები გაეჩაჩხა, ცალ ხელში ერთი ყურმილი ეჭვირა, მეორეში – მეორე და ხან ერთს ჩასძახოდა თავის ბარიტონით, ხან – მეორეს. მერე, როგორც

იქნა, მორჩა ტელეფონზე ლაპარაკს. ვიღაცას გასძახა ღია კარებში: – შენ... ისა... შემოდი. შენ... ისა... წაილე ეს! შენ... რა გქვია, დამავიწყდა? ჰო, რენო, ისა... ერთი ფეხი აქ იყოს, მეორე – იქ!

ბოლოს, როგორც იქნა, მეც მოვხვდი მისი მხედველობის არეში. – შენ... ისა... რა გინდა?

შიგნით ყველაფერი ამიღულდა. უკვე ვნანობდი, რომ აქ შემოვედი. ამ უზრდელი ვირგლასთვის, ჰოი, რა მისწრება იქნება ახლა ერთი ლაზათიანი ალიყური-მეთქი, გავიფიქრე, – მაგრამ, ვაგლახ!.. აბა ვინ უთავაზებს სილას? ვისა აქვს ცხრა თავი?

ენა ისე დამება, ძლივს მოვუყარე თავი სათქმელს. უკვე ვიცოდი, რომ არაფერი აზრი არ ჰქონდა ჩემს თხოვნას და მაინც ავუხსენი, რომ ახალგაზრდებმა გადავწყვიტეთ გაგვემართა პოეზიის საღამო და თბილისიდან მოგვეწვია ახალგაზრდა პოეტები-მეთქი.

– ახალგაზრდა პოეტებიო? – გაასავსავა ხელები ჯუჯუევიჩმა სახემოჯღუნულმა: – ახლა ფუტურისტებისთვის მცალია მე? მათი თვალების გადატრიალება, ოთახის ჩაბნელება და სანთლების შუქი მინდა მე? – ირონიულად ჩაიცინ-ჩაიხვიხვინა: – არა, ბიძია, არ გეცალია საიმისოდ. აბა, შემდეგი. შენ... ისა რა გინდოდა? ხო, შენ... ისა... ფუტურისტო! მოიცადე! – კარებში შემაჩერა უშნო ღრეჭით: – რა ამბავია ეს? ჯინსი რომ ჩაგიცვამს, რუსთაველის პროსპექტზე ხომ არ გგონია შენი თავი, ა?

– მე მეუბნებით? – წამით ენა წამერთვა დამბლადაცემულივით. ვიგრძენი, ცხელი სისხლი ლოყაზე მომაწვა, თვალთ დამიბნელდა.

– დიახ, შენ! სად გგონია შენი თავი?

– ჯინსი სამუშაო ტანსაცმელი გახლავთ, ბატონო ჯაბა! – ამოვმარცვლე ერთბაშად სულთქმაშეკრულმა: – ხოლო... როდის ჩავიცვამ მას და როდის არა – ეს უკვე ჩემი პირადი საქმე გახლავთ!

ამკარად დავინახე ჩემმა სიტყვებმა თუ კილომ წამიერად როგორ დააბნია. დამცინავი ღიმილი ბაგეზე შეეყინა. არ მოელოდა ეტყობა, ამ ახლად გამოჩეკილი „წვრილფეხა“ ჟურნალისტი გოგონასაგან (ჟურნალისტიო, წელან ისე ახსენა, თითქოს კბილის ტკვილმა შეაწუხაო!) ასეთ მკვახე პასუხს. უყურე შენ ამასო, ჩაილაპარაკა ბოლოს თავისთვის და გვერდულად ჩაიღიმა, მაგრამ მე უკვე დემონსტრაციული იერით გამოვიხურე კაბინეტის კარი.

ჩემს მაგიდას რომ მივუჯექი, ხელები და ფეხები ჯერაც მიკანკ-
ალებდა აღშფოთებისაგან. ჩემს სიცოცხლეში პირველად შეურაც-
მყვეს და დამამცირეს ასე რიგად!

„ეგ ტუტუცი ეგა!.. ეგ ტუტუცი... მაგლენიც არ ესმის, ჯინსი
გამოსასვლელი ტანსაცმელი რომ არაა!.. ჯერ ერთი... ვინ ჰკითხ-
ავს მას!.. ვინ ჰკითხავს ამ ვირგლას!.. ოჰ, რა სიამოვნებით გა-
ვულაწუნებდი სილას მაგ თვითკმაყოფილ სიფათში!.. თუმცა რა!..
რა შეიცვლებოდა ამით? მე მომიწევდა სამსახურიდან წასვლა!
ეს იქნებოდა და ეს!.. მაგ ბრიყვს ხომ მაინც ვერაფერს შეასმენ!
ძარღვიც არ აუტოკდება!..

ჩემივე უმწეობის შეგრძნება ცოტათი გამინელა ამ ზოგადმა
და ირონიულმა მსჯელობამ, მაგრამ პირად წყენასა და შეურაც-
ხყოფაზე უფრო გულსატკეპნი გახლდათ ის, საღამო რომ უნდა
ჩაშლილიყო! რა უნდა ვუთხრა ყველა იმათ, ვინც ესოდენ მხურ-
ვალე მონაწილეობა მიიღო ჩემს წამოწყებაში...

„ესეც შენი ხელოვნების მეცენატი!“ – მწარედ მეღიმებოდა.

გაგონილი მქონდა, რომ რაც ჯუგუევიჩი (ასე ეძახიან ბ-ონ
ჯაბა ხვილარიას აქაურები), მშენებლობის უფროსის მოადგილედ
გადმოიყვანეს, მოხშირდა თურმე სახელგანთქმული მსახიობების
ვიზიტები მშენებლობაზე, მანამდე კი ისინი მალ-მალე სტუმ-
რობდნენ თურმე საჩინოს, სადაც ადრე მუშაობდა ბ-ონი ჯაბა.

რაკილა ადგილობრივ მკვიდრთა თვალში ბ-ონი ჯაბა ხე-
ლოვნების მოყვარული ბრძანდებოდა, როგორც ახალ მუშაკს, მირ-
ჩიეს მისთვის მიმემართა, მით უმეტეს, რომ ამ მრავალათასიან
კოლექტივში ჯერ არ ჩატარებულყო ამგვარი ღონისძიება. ეგებ
უშუალოდ დირექტორთან შევსულიყავი-მეთქი, გამიელვა წამი-
ერად და ეს ფიქრი გაუუზიარე კიდევ ჩვენი გაზეთის ლიტმუშაკს
ნანული ბართაიას, შეთავსებით შემანქანეც რომ იყო.

მაგრამ ნანულიმ ცივი წყალი გადამასხა. დირექტორი ჯუგუევი-
ჩის გარეშე და მისი დაუკითხავად ნაბიჯსაც არ გადადგამსო.
ჯუგუევიჩის ესოდენ დიდი ავტორიტეტი კი სხვა მრავალთა შო-
რის, გეგიას მინისტრობითაც არის განპირობებული, ვინაიდან გე-
გია ჯუგუევიჩის ღვიძლი მამიდაშვილიაო და ა.შ.

გამოსავალი თითქოს არ ჩანდა, თუმცა ფარხმალის დაყრას მაინც არ ვაპირებდი, თვალწინ მედგა ჩვენი გოგოებისა და ბიჭების სახეები – ძალღონეს რომ არ იშურებდნენ საღამოს მოსაწყობად. ამასობაში მშენებლობაზე მოხდა ისეთი ამბავი, რამაც მთელი ჩემი გეგმები და მიზნები ყირაზე დააყენა.

ერთ მშენებელს დღეს დირექტორთან სასწრაფოდ დაგვიბარეს გაზეთის რედაქტორი ბ. სარდიონი და – მე.

გრძელ მაგიდას მისხდომოდა მშენებლობის თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი. რასაკვირველია, აქვე იყო ჯუგუევიჩი. იგი მაგიდის თავში იჯდა, დირექტორთან ახლოს.

რედაქტორი და მე შემოსასვლელის შორიახლოს დაგვსვეს, დირექტორი ზორბა ტანის, ჩასუქებული, შუახნის მამაკაცი – შუბლშეკრული დასჩერებოდა რაღაც ქაღალდებს, მერე როგორც გაირკვა, ჩემი ნარკვევი იყო, სტამბიდან რომ ამოეღოთ საჩქაროდ და წითელი ფანქრით რომ იყო თავიდან ბოლომდე გახაზული.

ჰაერში თითქოს დენტის სუნი ტრიალებდა. ყურში რაღაცას წუილი გაჰქონდა. გული გაშმაგებით მიცემდა, ლამის ბუდიდან ამომვარდნოდა. ნებისყოფის დაძაბვით ვცდილობდი სახეზე მშვიდი იერი ამეხატა.

ღიას. გუჰმანით ვგრძნობდი, საქმე ჩემს ნარკვევს ეხებოდა. მაგრამ რა მოხდა, რა დავაშავე? ვერა და ვერ მივმხდარიყავი.

– თქვენა ხართ დალი შელეგია, არა? – მხოლოდ ერთხელ გამომხედა დირექტორმა კუშტი მზერით და ფანქრის კაკუნი წამით შეწყვიტა. დასტური რომ მიიღო, ისევ დახარა მზერა და დიდი, წითელი ფანქრის კაკუნი განაგრძო მაგიდაზე.

– მდაა! – ამოთქვა ბოლოს ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად და ფანქარი ნაწერზე დააგდო.

თოფის გასროლასავით გაისმა ეს ხმა, უფრო სწორად, ასე აღვიქვი მე და უნებურად შევტოკდი. უფრო დავიძაბე. – ხელჩართული ბრძოლისათვის შევემზადე თითქოს.

დირექტორმა ლაპარაკი დაიწყო. შეკავებული მრისხანება ისმოდა მის ოდნავ ჩახლეჩილ, ხრინწვარეულ ხმაში.

როგორ? რედაქტორმა და რედაქციის მუშაკებმა განა არ უნდა იცოდნენ, რომ მშენებლობაზე არავითარი ტიფი არ ყოფილა, რომ

მოხდა გაუგებრობა, ექიმები შეცდნენ და ჩვეულებრივი კუჭნაწლავის აშლილობა ტიფად მიიჩნიეს, რომ კომისიამ ყველაფერი ეს დაადგინა და გამოირკვია?

როგორ შეიძლება ასეთი შეუძომებელი წერილის გამოქვეყნება? სად გაგონილა ასეთი უპასუხისმგებლობა? ან ვინ მოგცათ უფლება, ამხანაგო გეგენავა, დირექციასთან შეუთანხმებლად ბეჭდოთ ამგვარი წერილები?

ასე როგორ შეიძლება, ამხანაგებო? რას ჰგავს ეს? ასე როგორ შეიძლება? „ასე როგორ შეიძლება! ასე როგორ შეიძლება! ასე როგორ შეიძლება!“ – კაკუნობს თავში სიტყვები – ნანულის საბეჭდი მანქანასავით. რამდენჯერმე შევიშმუშნე. მერე როგორღაც, სრულიად დავმშვიდდი. რაკი დაგვიძახეს, ალბათ სიტყვის თქმის საშუალებასაც მომცემენ-მეთქი, – გავიფიქრე და ცოტათი დაარხენებულს, ცნობისმოყვარე მზერა გადამქონდა ერთი სახიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე... მერე ისევ პირველს ვუბრუნდებოდი და თავიდან ვიწყებდი თვალთვლებას. ყველანი ერთობ გულმოდგინედ და სერიოზული სახეებით დასჩერებოდნენ წინ გადამლილ საქალდეებს. მინდოდა, რომელიმე მათგანის მზერა დამეჭირა, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი ჯუგუვეიჩი იყო, ხანდახან თვალებს რომ გამისწორებდა, უფრო სწორად, სადღაც რაღაცას ჩემს შუბლს ზევით – მიაცქერდებოდა მოღუშული სახით.

უცებ შევნიშნე – ფილიას მოტვლეპილ, პრიალა თავს ზამთრის მსხვილი ბუზი დასჯდომოდა, მაგრამ ბატონი ფილია, ეტყობა, ვერ გრძნობს ან... ახლა არ ცხელა მისთვის – სრულებით არ აქცევს ყურადღებას, დრო კი მიდის. ბუზი არ ინძრევა. ჩანს, გაფრენას სულ არ აპირებს ფილისა თავიდან. სურვილმა წამომიარა – ფეხისწვერებზე შემდგარი-მივპარვოდი და ბუზისთვის ამექმია.

ისე, რითი სჯობია ბუზის გადენა? ხელით თუ... არა! პეპლების დასაჭერი ბადე უფრო ივარგებს, ვფიქრობ. და აი, ნელ-ნელა ვეპარები ფილიას თავს სულთქმაშეკრული. წამიც და!.. ჰოპლა! ბუზიც და თავიც ერთავე ბადეშია!

სიცელი ამიტყდა იქ, შიგნით. პირს მაგრად ვკუმავ, რომ ღიმილი შევიკავო, – სხვათა შორის, ფრიად უადგილო ღიმილი! და საერთოდ, რას ჰგავს ეს! რა დროს ბუზია და ბადე!.. მაგრამ

იქ, შიგნით ჭინკა რომ გაუთავებლად ხითხითებს და ვერაფრით დამიოკებია? გაგონილა? წარმოიდგენს განა ვინმე ახლა, ასეთ სერიოზულ ვითარებაში – ასეთი არასერიოზული ფიქრები და აზრები რომ მომდის თავში? ეგ კიდეც არაფერი, ეგრევე ხელი მექავება, რომ სათითაოდ ყველას ჩამოეურიგო წარმოსახვაში წამიერად დახატული კარიკატურები.

ასე ვიცი ხოლმე ხანდახან. წამომივლის რაღაცა და წარმოსახვაში ვიწყებ ხატვას. ჯერ საკუთარი თავიდან შევუდგები საქმეს: ყურცქვიტას ჯინსსა და საბოს ჩავაცმევ, ხელში ქოლგას დავაჭერინებ, ორ ხეს შუა გაჭიმულ თოკზე შევასკუპებ და... ჰა და ჰა! ძლივს იკავენს თავს, რომ არ ჩამოვარდეს. ქვემოთ კი, უშველებელ უფსკრულს დაუღია ხახა.

ყურცქვიტა ცალი ფეხით ცდილობს წონასწორობის დაცვას და იკრიჭება... უაზროდ. ნეტა, რა აცინებს ამ სულელს?

„დალახვროს ეშმაკმა! საიდან გაქვთ, ქალბატონო დალი უპასუხისმგებლობისა და ავღებული დამოკიდებულების გრძნობა ეგზომ მნიშვნელოვან, ეგზომ დაძაბულ სიტუაციაში!“

იქ, შიგნით ისევ ისე ქილიკობს ვიღაცა თუ... რაღაცა!..

– არავითარი მუცლის ტიფი არ ყოფილა, ეს თქვენც მშვენიერად მოგეხსენებათ, ამხანაგო სარდიონ! კომისია იმის კომისიაა, რომ სიმართლე დაადგინოს. კომისიამ კი ყველაფერი დეტალურად, დაწვრილებით შეამოწმა, გამოიძია, გამოირკვია – არავითარი მუცლის ტიფი! ამის შემდეგ არაკვალიფიციური ნარკვევის გამოქვეყნება...

– ჯერ არ გამოქვეყნებულა, პანტელეიმონოვიჩ! – სიტყვა შეაწყვეტინა ღირექტორს ჯუგუვეიჩმა და გაიღრიჭა: – ასე ვთქვათ, მცდელობაა მხოლოდ!.. და სხვათა შორის, ჩემის აზრით, კარგად დაწერილი ნარკვევია, ნიჭიერად!

– ჰო... დიას. მით უმეტეს. მით უმეტეს: – („რა შუაშია... მით უმეტეს?“) – ასეთი ნარკვევის გამოქვეყნების თუ გნებავთ მცდელობა, დანაშაულია, რადგან საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად. ამას იქით ასეთი სახის წერილების და ნარკვევების დაბეჭდვის საკითხი უნდა შეუთანხმობთ ადმინისტრაციას. გასაგებია, ამხანაგო გეგენავა?

– დიახ, რასაკვირველია... გასაგებია ყველაფერი. გავითვალ-
ისწინებთ მომავალში... მოგესხენებათ ახალგაზრდები...

– თქვენ თქვენს სიმაღლეზე უნდა იდგეთ და მაშინ ასეთი
სახის შეცდომები არ მოგივათ!

– რასაკვირველია... რასაკვირველია... გამოვასწორებთ შეც-
დომებს... – ენა ებმის აჭარხლებულ რედაქტორს და სათვალესა და
ჭირის ოფლს, შუბლზე მოხეთქილს – ცხვირსახოცით იმშრალებს.

საოცარია, თითქოს უცხოს მზერით აღვიქვამ ყოველივეს,
თითქოს ის, რაც აქ ხდება ახლა, მე სულაც არ მეხება. ან არადა,
თითქოს კინო-სურათს ვუყურებ გულმშვიდი და არხეინი მზერით.

„ეს ორმოცი წლის აწოწილი მამაკაცი რა უძწეო ბავშვივით
ლულუღებს!“ – ერთბაშად შემეცოდა რედაქტორი და თან...
შემეზიზლა კიდევ.

„თვითონ დამავალა დამეწერა ეს წერილი და ახლა... უყურე
შენ!.. ქვეშიდან გამოძვრა! ლაჩარი!“ – არ დავინდე იგი გუნებაში
და წამოვიწიე.

– თუ შეიძლება...

– მიბრძანდით ახლა. არ არის საჭირო. მიბრძანდით. და მომა-
ვალში არ უნდა დაუშვათ ასეთი შეცდომები!

– მე მინდა გითხრათ, თუ შეიძლება, ბატონო...

– ყველაფერი გასაგებია, მიბრძანდით! საქმეს მიხედეთ! რა
გვაქვს შემდეგი საკითხი? ჰო. დაუძახეთ პაპასკირს...

„მოწმესავით შემეყვანეს და ასევე უხმოდ, უსიტყვოდ გამოძ-
ახუნბულეს გარეთ!“ – აღშფოთების და გაოგნებისაგან თითქოს
ენა წამერთვა. ნერწყვს ვერ ვყლაპავ ხახვამშრალი.

დერეფანი დამდუღრებულებივით გავიარეთ. მერე წინ მიმავალი
რედაქტორი ერთბაშად შევაჩერე:

– ბატონო სარდიონ, რას ნიშნავს ეს საქეტაკლი? ქვეყანამ ხომ
იცის, რომ...

– რაკი კომისიამ არ დაადასტურა მუცლის ტიფი, – შემაწყვებთ-
ნა რედაქტორმა გაგულისებული სახითა და ხმით. – მაშასადამე,
არც ყოფილა. მორჩა და გათავდა!

– კი ბატონო! მე კი დაგიჯერებ ამას! ვთქვით, წერილი ამ-
ოვარდება. მაგრამ იმ 50 მუშას, რომელიც საავადმყოფოებში იწვა

მუცლის ტიფით დაავადებული, და ძლივს რომ გადაარჩინეს – იმათ რას ეუბნებით?

– მთავარია არა ის, თუ მე და შენ, ან ის ორმოცდაათი მუშა რას ფიქრობს, არამედ ის, თუ ზემოთ, – მზერა ჭერისაკენ ასწია რედაქტორმა: – რას იფიქრებენ! ამას ღირექციისთვის აქვს მნიშვნელობა, ეს მისი პრესტიჟის საქმეა. გაიგე ეს, დალი! თუმცა შენთან რა მინდა? შენ რა შუაში ხარ? მე უნდა გამეთვალისწინებინა ეს, მე! ჩემი ბრალია!

„თქვენი ბრალია, რომ ვიღაცას რაღაცა სჭირდება სიმართლის დაწინხვლის გზით, არა?“

– კი, მაგრამ, ბატონო სარდიონ, ის კომისიები...

– დავამთავროთ ამაზე ლაპარაკი! – შემაწყვეტინა ისევ რედაქტორმა მისთვის უჩვეულო გაცხარებით და ნაბიჯს აუჩქარა.

გაეჩუმდი, ენა მოვიკვნიტე.

„ეჰ, რას იზამ! თავს ზევით ძალა არ არის! მაგრამ... ეს ფარი-სეკლობა! ეს სიყალბე!.. რა გულის ამრევია ყოველივე ეს!“

რედაქციაში რომ შევდიოდით, კარებში დავეწვიე და ისევ შევაჩერე რედაქტორი:

– ბატონო სარდიონ! ერთი წუთით... უკაცრავად, მაგრამ... თქვენ ხომ იცით, თქვენ მაინც ხომ იცით... რომ მე არაფერი ტყუილი არ დამიწერია! სათითაოდ ველაპარაკე იმ მუშებს, ექიმებს, მომვლელებს. ბოლოსდაბოლოს, კანალიზაციის მიღები აქამდე რომ შეუკეთებელია – ეს ხომ სინამდვილეა!

– ვიცი, როგორ არ ვიცი, დალი! – უცებ დადრკა, როგორღაც მოიმჩვართა და დაპატარავდა ეს აყლაყულა კაცი, მერე თითქმის ჩურჩულით განაგრძო ლაპარაკი, სახეში რომ არ მიყურებდა ისე: – განა არ ვიცი, რომ სიმართლე დაწერე, მაგრამ... რაკი კომისიამ არ დაადასტურა, მაშასადამე, არც მომხდარა რამე! გაიგე, ახლა ასეა საჭირო ეს... ჩვენთვის, ჩვენი რედაქციისათვის! – ბოლოს ხმას შეუმაღლა – ჩემს უნებლიე ღიმილზე ალბათ!

წარამარა სათვალეს ისწორებდა თითით, უხერხულობისა და მღელვარებისაგან თვალეები უპარპალებდა. მერე შემოუპებულ-დაწითლებული ქუთუთოები ასწია და თითქმის უწამწამო, ჭროლა თვალებით კუშტად მომაჩერდა: – გაიგე, დალი, ასეა საჭირო-მეთქი...

დირექციისათვის! მეტს ნურაფერს მკითხავ! – გატრიალდა და წავიდა მხრებწახრილი. სადღაც შემეცოდა კიდეც, მაგრამ მაინც არ დავინდე გუნებაში – „ლაჩარო“-მეთქი – შევეუკუროთხე.

მაგიდას რომ მივუჯექი, ვიგრძენი, მუხლები მიკანკალებდა ნერვიულობისგან. თავზე ხელები შემოვიწყე და უაზრო თვალებით დავაჩერდი მაგიდის მიკაწრულ-მოკაწრულ ზედაპირს.

ბატონი ჯაბას თვალები დამიდგა ანაზღად თვალწინ, იქ, დირექტორის კაბინეტში რომ მიყურებდა: რას ნიშნავდა მისი სიტყვები? ვითომ... გამომესარჩლა და თან... რაღაცნაირად იკრიჭებოდა!..

ვერა და ვერ გავშიფრე ის ღიმილი!..

და... ტანში უსიამოდ გამცრა!

...ამ შემთხვევიდან მესამე თუ მეოთხე დღეს, რედაქციის მორიგი დავალებიდან რომ ვბრუნდებოდი, სოფლის ცენტრში, მანქანის მოლოდინში მდგარს, უცებ წინ „ვოლგა“ გამიჩერდა. მოულოდნელობისგან დავიბენი – მძლოლი ბატონი ჯაბა აღმოჩნდა.

მან წინა კარი გამიღო და მანქანაში შემიპატიჟა. თავდაპირველად უარის თქმა დავაპირე, მაგრამ მეორე წამს თავში გამიბრინა ელვასავით, რატომ ვაფიქრებინო, ქაჯიყო.

იგი რაღაცას მელაპარაკებოდა გზაში. მე ალაღბედზე ვპასუხობდი.

„რატომ ჩავეუკეცი... ან თვით რაში დასჭირდა ამ ყურადღების გამოჩენა?... ხომ შეიძლებოდა, არ „შევემჩნიე“ და ისე ჩაველო? დავემდურებოდი თუ რა?... მაგრამ... ესეც ხომ არ არის დიდკაცური შესტი, აი, მე „ამხელა“ კაცი როგორი თავმდაბალი ვარ!“

„რა კარგი ხარ, რა კარგი, შუშპარა და მჩქეფარე!“ – კინაღამ ხმამაღლა გამეცინა გუნებაში წარმოთქმულ ამ სიტყვებზე. მაგრამ რომ იტყვიან, დროზე „დავატორმუზე“.

უგულისყუროდ ვუსმენდი ბატონ ჯაბას, თავის „სოფლურ“ ვოიაჟებს რომ მიყვებოდა.

ასლა ჩემს გულში რომ ჩამოეხედა, დარწმუნებული ვარ, აღმოფოთდებოდა: როგორ თუ მე... ასეთი თანამდებობის პირი თავს ვუყადრებ ამ ბლარტს, ეს კი... მე ასე და ისე, ის კი ისე!.. და მისთანები და მისთანები.

დონ-ჟუანის ანუ ჩვენებური მექალთანის ყურადღება რომ არ არის ეს – ნაღლია.

ან რა ქალი უნდა ვიყო მე მისთვის! ისევე, როგორც მე ვერ წარმომიდგენია მასში დავინახო ქალთა გულისმპყრობელი, როგორადაც მონათლულია იგი თურმე აქაურების მიერ!..

ბატონი ჯაბა ერთბაშად უნივერსიტეტის ბოლოდროინდელ ამბებს გადაწვდა (ალბათ იმის ნიშნად, აი, მე ყველაფრის კურსში ვარო). მერე ჟურნალისტის პროფესიას და საერთოდ, ჟურნალისტებს მისდგა. აბა, რა ჟურნალისტები შეიძლება იყვნენ საბჭოთა ჟურნალისტები. ჩვენში ჟურნალისტიკა საერთოდ გაყიდული დარგაო და ა.შ. („შემომხედეთ, რა გაბედული ბიჭი ვარ! რა დისიდენტურ აზრებს გამოვთქვამო!)...ყოჩაღ! მიდი, მიდი-მეთქი“, – ვაქეზებდი გუნებაში და რატომღაც სიცილს ძლივს ვიკავებდი. ბატონი ჯაბა კი ენამზებდა: – თუმცა... ზოგჯერ მაგარი რამეებიც იბეჭდება, განსაკუთრებით რუსულ პრესაშიო, – დაასკვნა ბოლოს.

ანაზღად... ჩემი წერილები ახსენა: ნიჭიერად, ემოციურად არის დაწერილიო, კარგი ენითო. მხატვრულადო.

უცებ მომაგონდა: ერთმა ჩვენი ოჯახის ახლობელმა მითხრა, რომ იცოდე, ერთხელ სუფრაზე როგორ აქო ჯუგუევჩიმა შენი ნაწერები, როცა რედაქცია ახსენესო. ჯაბამ მაქო-მეთქი, გავიკვირვე მაშინ ფრიად. გაუგებარია გზანი უფლისანი, თან თითქოს მეცენატობს ხელოვნებას, თან კიდევ... პოეზიის სადამო არ ჩამატარებინა! რაც მთავარია – შეურაცყოფა მომაყენა. ამიგლო. დამცინა, მერე ვითომ... დამიცვა კიდევ იქ – კაბინეტში!

მის ხმაში ახლა ისეთ ინტონაციას ვიჭერ, პატარა ბავშვს რომ დაუყვავებენ ხოლმე უფროსები! „ყოჩაღ პატარავ! აბა, კიდევ თქვი: კურდღელო, ყურქვიტავ!“

დიახ, ბატონ ჯაბას ისე უჭირავს თავი, თითქოს არაფერი, არანაირი კონფლიქტი არ მომხდარიყოს ჩვენს შორის. სხვათა შორის, ბატონმა ჯაბამ ჩემი ბოლო ნარკვევიც ახსენა:

– ისე, მაგ წერილის გამოქვეყნება მაინც არ ივარგებდა, თუმცა კარგად არის დაწერილი... მის პუბლიკაციას შეიძლებოდა მრავალი უსიამოვნება მოჰყოლოდა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით...

თუმცა ვიცი, ახალგაზრდები მაქსიმალისტები და რადიკალისტები ხართ, — შეაჯამა ბოლოს თავისი „რეჩი-მონოლოგი“ ბ-მა ჯაბამ და მცირე ხნის შემდეგ დასძინა: — მეც მაქსიმალისტი ვიყავი, ინსტიტუტი რომ დავამთავრე, მაგრამ... ცხოვრება, რეალობა — სულ სხვა რამეა. დონკიხოტოზა აღარ გამოდგება!

მღუპარედ ვიჯექი და სიმართლე რომ ვთქვა, ცალი ყურით ვუსმენდი მის ლაყობას. აუ, რამდენი ლაპარაკი სცოდნია მანც ამ დალოცვილს! შიგა და შიგ თავის ნაკითხობის, განათლებულობის და თანამედროვე მოაზროვნე კაცის შთაბეჭდილების მოხდენა რომ უნდოდა — ეს ცხადად ჩანდა. ოღონდ — რისთვის? რატომ? რაში სჭირდებოდა ეს თავის გამოჩენა, ეს მარიაჟობა ჩემთან, ვილაც ცხვირმოუხოცავ ბლარტთან, როგორადაც ვესახებოდი უთუოდ!

— ხომ მეთანხმები, რომ წერილის დაბეჭდვა არ იყო სასურველი? — უცებ კვლავ დაუბრუნდა იგი ამ თემას, ხანმოკლე პაუზის შემდეგ: — მართალია, პანტელეიმონოვიჩი ცოტა ზედმეტად გაცხარდა, მაგრამ... პრინციპში მართალი იყო! იმ წერილის დაბეჭდვა არ შეიძლებოდა. ეს შენთვისაც, შენი კარიერისთვისაც არ ივარგებდა! არ მეთანხმები?

— არა. ვერ დაგეთანხმებით! — მოვუჭერი ერთბაშად.

— აი, ხომ ვთქვი! ახალგაზრდები ზედმეტად მაქსიმალისტები ხართ-მეთქი! მით უმეტეს, შენ ხომ — ბავშვი ხარ!

— რატომ ვარ ბავშვი?

— აბა არა? რამდენის ხარ, თუ საიდუმლოება არაა?

— 23-ის გახლავართ!

— ო, ო, დაბერებულხარ და ეგაა! — თავისებურად ჩაიხვიხვინ-ჩაიფრუტუნა ჯუჯუევიჩმა. — ისე, ბევრად უფრო პატარად გამოიყურები!

უკვე ყელში ამომდიოდა ყველაფერი. ეს ფამილარული „შენ“ კი — საშინლად მალიზიანებდა.

რატომ „შენ“? რა უფლების ძალით მელაპარაკება ასე შინაურულად?

— მაშ, სიმართლე... სიმართლე... — წამოიწყო ისევ ხვილარიაშვილმა. მერე ერთბაშად მკვეთრად შემობრუნდა ჩემსკენ და: — კი მაგრამ,

სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, არ გა-
ვიგონია, პატივცემულო ჟურნალისტო?

– გამიგონია!

– სიმართლე გამოვიღევეს სინათლესო, ესეც გსმენია ალბათ! –
ილრიჭებოდა ისევ-ისევ ბ-ნი ჯაბა.

– მსმენია ესეც!

– თუ გსმენია, მაშ...

– სიმართლე ისეთი რამაა, – შევაწყვეტინე ერთბაშად, –
დედამიწაც რომ გადაეფაროს, მაინც არ დაიმალებო.

– ეს ვინ თქვა? ვერ ვიგონებ...

– შექსპირმა, რუსთაველმა კი ბრძანა: „ნუ ამრუდებ სიმართლე-
სა, ნუ წაიწყმედ ამით სულსაო“. ხოლო სახარებაში წერია...

– აჰ, სახარება და მისთანები არ მიხსენო ახლა, თუ ქალი ხარ!
სახარება მინდა მე – გაქანებულ ათეისტ-კომუნისტს? ხა, ხა, ხა...

– მე აქ უნდა ჩამოვიდე, თუ შეიძლება გამიჩერეთ!.. დიდი მად-
ლობელი ვარ...

– უნდა ჩამოხვიდე? რატომ? ჯერ ქალაქამდე ხომ...

– აქ რაღაც პატარა საქმე მაქვს...

– კი ბატონო. როგორც გნებავს, თუმცა... შეგვეძლო გაგვეგ-
რძელებინა ჩვენი საუბარი. ქალაქში ახალი ბარი გაიხსნა.
გპატიჟებ...

– გმადლობთ, გამიჩერეთ!

ხაზგასმული თავაზიანობით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. რამ-
დენიმე ხანში რედაქციიდან წამოვედი. შემდეგ – რაიონიდანაც,
მაგრამ... ეს ცოტა გრძელი ამბავია და... ახლა ამაზე არ ღირს
საუბარი!

ფიქრთა გალა

„მირბის, მიმაფრენს... რაც მართალია, მართალია, დიდებული რა-
მაა ქროლა! ფრთებგამოსხმულივით რომ მიფრინავ, მიაპობ სივრც-
ეს! ეუჰ! გერმანიის გზებივით რომ იყოს – იცოცხლე, ქროლა,

მაშინ უნდა გენახათ! ახლა რა? რა შედარებაა? გინდა არ გინდა, იძულებული ხარ მოთოკო ჟინი. რა იცი, უცებ რა გამოგიტყვრება. მით უმეტეს... არა, მერსედეს-ბენცი არც ეგაა, მაგრამ იმ ტარაკნებს მაინც ჯობია. ტყუილად რომ მომცენ, არ მინდა, ძმაო, არა. ერთი წიკპურტიც კმარა, რომ ნაწილ-ნაწილ დაიშალოს-ჟემტებით. თავმომწონე კაცი არც უნდა ჩაჯდეს მაგაში. ნაღდად არა. თუცა... ეგ ხომ ჩვენი გზებისთვის არაა გათვალისწინებული. უუჰ. რა მანქანებია საზღვარგარეთ! ყიდვა რომ შეიძლებოდეს! აფსუს!

რას იზამ. უნდა დასჯერდე იმას, რაცა გაქვს. ისე, კაცმა რომ თქვას, ურიგო მანქანა არც ეგაა. თვინიერია, ადვილად გემორჩილება და მოგყვება ხელში. ქალივითაა რა! ჰმ. – ირონიულად ჩაიღიმილა – ერთი შენი ცოლია თვინიერი და მორჩილი!.. მაინც რა წიოკობას ატეხავს ხოლმე, კაცო, ყოველი წამოსვლის წინ! არც საჩუქრები ჭრის ამ დროს და არც მოფერება და ტკბილი სიტყვა. აპა, აპა. არაფერს იკარებს. რომ ჩაერთვება, გათავდა. აღარ გამოერთვება. ტვინს გიბურღავს რა. სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე... რომ აღარც ბეზრდება, კაცო? საიდან მოაქვს ანდა ამდენი სალანძღავი სიტყვები ამ შობელძაღლს, რომელ ლექსიკონებში პოულობს?

შენც ითმენ. სხვა რა გზა გაქვს. არადა, უკვე ყელშია ამოსული. ჰა და ჰა. ძლივს იკავებ თავს, რომ... ეუჰ, რამდენ ენერგიას ხარჯავს, კაცო! მერედა, რისთვის, რატომ? ხომ სულ ტყუილად უბრალოდ იჭაჭება ამდენს. ხომ იცის, რომ შენ მაინც შენსას გაიტან. იცის, როგორ არა! იცის, იცის, რომ შენ ხედები, რომ მან იცის, მაგრამ... ვითომ არ იცი და თავს იკატუნებ. ახლა; ბიჭი ხარ და არ მოიკატუნო – ქვეყანას შეგეყრის! ჰოდა, შენც იძულებული ხარ, ითმინო. „ვოლბშემც“ ცირკია რა! ახლა რო იგონებ... მაგრამ მაშინ, იმ დროს... სული კბილით გიჭირავს, სიბრაზე გახრჩობს. სამაგიეროდ, – ცოტაც და... ჰერი, ბიჭო! ჩიტივით თავისუფალი ხარ. და მიქრიხარ აგერ ახლა – ფრთებშესხმულივით. მალე თბილისში იქნები!

ეჰ, რა სჯობია თავისუფლებას. კაცმა რომ თქვას, ისე ხშირად ხარ თბილისში, ბევრს ვერც დაარწმუნებ, იქ რომ არ მუშაობ.

ერთი-ორი წელიც და... საერთოდაც გადავალ, მაგის რჯუ-
ლიც არ იყოს! პროვინცია მაინც პროვინციაა. ამასობაში ბავშ-
ვებიც წამოიზრდებიან. ცოდვას მათი საჩინოში გაჩერება. მერე
ქეთისთვის მით უმეტეს – აუცილებელია თბილისი... (ელიძეა
სიამოვნების ღიმილით. სახე ებადრება). ხელიდან ხელში გა-
დადიოდა ბავშვი. ყველა აღტაცებული იყო და გაკვირებული.
ხუმრობა საქმეა, იმ სივრცე რუსული ლექსი თითისტოლა ბავშვმა
ზეპირად რომ თქვა. მერე როგორი გამოთქმით, რა უაქცენტოდ!
სულ პაწაწკინტელა იყო მაშინ – ოთხი წლის ხდებოდა. რამ-
დენს შეშურდა. რამდენი დაიბოლმა. „როგორ შეიძლება ასეთ პა-
ტარა ბავშვს ამოდენა პოემა ასწავლოთო... მერე, შუალამისას რა
უნდა სცენაზე ცეროდენა „ბალანასო“! – გამოაჯავრა გუნებაში ეს
ვითომცდა „კეთილისმდომნი“ – ბავშვის ტვინის გადაღლა თურმე
არ შეიძლება!

ჰმ. იცის, განა არ იცის, რა კუჭის წვაც ჰქონდათ ამ ვითომდა
„მზრუნველებს“! სინამდვილეში, შეშურდათ ბავშვის ნიჭიერება,
ასეთი საყოველთაო ყურადღება. ეს იყო და ეს. ისედაც ხომ
ყველაფერი შურთ შენი, შურთ კარგი ბიჭი რომ ხარ, პურმარილ-
იანი, ამდენი ცნობილი პოეტები, მწერლები და მსახიობები შენი
ძმაკაცები რომ არიან, კარგი ცოლი რომ გყავს – ერთგული,
მეოჯახე, კაი შვილები რომ გეზრდება – ნიჭიერები, ლამაზები!
წუწურაქი რომ არა ხარ და კაპიკებს რომ არ დაკანკალებ –
ზოგ-ზოგივით! რატომ არა, რატომ არ იქნება ხალგაშლილიო –
ჩუმ-ჩუმად იგესლებიან. თითქოს იმათ წაართვი რამე. მათხოვრე-
ბი! სულით არიან მათხოვრები და შურიანები! ამ შურიანობამ,
ერთმანეთის მიმართ გაუტანლობამ არ დააქცია ოდითგან საქა-
რთველო?... მწუსარება სხვათა სიკეთის გამო... ვინა თქვა ევა?
ისევ ქართველმა! ჯანდაბადის ჰქონია გზა ყველა მოშურნესა და
ფლიდს...

კარგი ამინდია. მზიანი. თბილი. გაზაფხული გეგონება. ნოემ-
ბრის მიწურული კია. კაი შემოდგომა იცის ჩვენსკენ...

ოთხი საათისთვის თბილისში ვიქნები.

კიდევ ცოტა და – გაინავარდებ თბილისში. თავს აიწყვიტავ
შენებურად, ძველებურად...

ეხ. მართლა რა სჯობია თავისუფლებას?

ეს მუსიკაც პირდაპირ ცეცხლს გიკიდებს, მარღვებში სისხლს გიდუღებს. მაგარი მუსიკაა, ძმაო, რაც მართალია, მართალია! იაპონურ მაგნიტოფონსაც, ტყუილია, სხვა ვერ შეეღრება... როგორ ესიამოვნა ალექსანდროვიჩს ვიდეომაგნიტოფონი რომ მიართვი დაბადების დღეზე... საჩუქარი ყველას სიამოვნებს, ბაბა! მართალია, შენ კი დარჩი უვიდეომაგნიტოფონოდ. მარა... არა უშავს. პატარა ხანში ისევ გექნება. მალე აინაზღაურებ „დანაკლისს“. ალექსანდროვიჩი კი საჭირო კაცია... რასაცა გასცემ შენიაო...

მართლაც, ხურავს ეგ მუსიკა. უჰ, კარგია ასე: მიქრიხარ მუსიკის ქვეშ და გულში ტაქტს აყოლებ... ახლა გვერდით რომ ჰმხ. ჰმხ... სასურველი მანდილოსანიც გეჯდეს... თუნდაც მარინა, ანდა ლალიკუნა. არა. ხათუნა. ხათუ სულ სხვა ვინმეა. ოხ, რა მოფერება იცის მაინც... რომ წარმოიდგენ, ჟრუანტელი გივლის ტანში... მაგარი ქალია, რაც მართალია, მართალია! და როგორ გელოდება ახლა — ვინ იცის... ხათუსაც ჩამოუტანე ჰოლანდიიდან კაი რამეები. სხვებსაც. პრინციპში, არავისთვის დაგიწყვეტია გული. ისე კაცმა რომ თქვას, ყოველი შენი სტუმრობა თბილისში ზეიმიად შენი ძმაკაცებისთვის, თუმცა... რა სტუმარი, რისი სტუმარი? რას მიქარავ? შენ ყველგან მასპინძელი ხარ — იქაც და აქაც! ისლა გაკლია ახლა, შენ სუფრასთან იჯდე და სხვა ვინმე გაიქაროს... როგორ გეკადრებათ, ჩემო ბატონო! მართალია, დრო თითქოს წახდა, მაგრამ... ზრდილობა ჯერ არ დაგვიკარგავს, გვესმის მაგდენი! ჰოდა, რომ იციან შენი ამბავი, იმიტომ უფრო უხარიათ შენი ჩამოსვლა. აბა, ზოგ-ზოგივით კი არა ხარ — მხოლოდ ანგარიშით რომ იცის პურ-მარილი: რაღაცას რომ გამოელის შენგან, იმიტომ მოიქაჩლავს ხოლმე თავს! ღვთის წინაშე, შენ ამ მხრივ პირნათელი კაცი ხარ. თუმცა... მთლად უანგაროაო, არც შენზე ითქმის მაინცდამაინც! ამისთანა სახელგანთქმულ, ცნობილ ხალხში ქეიფი და დროსტარება — სახუმარო საქმე არ გახლავთ: აქ პრესტიჟის ამბავიცაა, სხვას რომ თავი დავანებოთ. ნუ... როგორც არის, რა!

ამის წინ რომ იყავი თბილისში — რა შაუბერეთ! სუფრა იყო, ნუ, მართლა ზღაპარი. რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა. შენც

ზენიტში იყავი, არის ხოლმე ზოგჯერ... ყველაფერი რომ აეწყო! ყველაფერი რომ კარგად გამოვდის.

ოხ, რა ამბავში ვიყავით, რა სიცილ-ხარხარი, რა მასხრობა-ოხუნჯობა!.. არა, მსახიობთა ამქარი მაინც სულ სხვა ხალხია, ძმაო, სულ სხვა ემში და ლაზათი აქვს მათთან ქეიფს და დროსტარებას, რაც მართალია, მართალია.

ხა, ხა, ხა... რა ამბები დატრიალდა იმ საღამოს, ხა, ხა, ხა... ცირკები იყო სწორედ. ცოდვა გატენილი სჯობს – გიყვარს შენ ეგეთი „პიკანტნი“ რამეები და... თავის დაძვრენა თითქოს გამოუვალი სიტუაციებიდან. ეგეც თამაშია, ძმაო, და შენც ურიგოდ არ თამაშობ – მგონი. აკი გეუბნებიან კიდეც შენი ძმაკაცები, ცოდვის კითხვა არ არის, ასეთი აქტიორული ტალანტი იკარგებოდესო... ხა, ხა, ხა!

ჰო, თამაშზე მოაგონდა:

„პოკერის თამაშს უნდა შეეშვა, ბიძია... ჯერჯერობით! როგორც იქნა, გაისტუმრე ის ვალები, ხოლო თუ იმ „ოპერაციამ“ კარგად ჩაიარა, მერე... შეიძლება! ახლა კი – სტოპ! უნდა მოითმინო, ბაბა! სხვა გზა არ არის! ისე, ვალიკო დიდი ახვარი ვინმეა. ყველაფერი კი არ უნდა იკისრო კაცმა – აქაოდა, ჩეჩქევით მაქვს ფულიო. ხვადავია, სუფთა ხვადავი რა! ის წიწკვები... ნამეტანია, მე და ჩემმა ღმერთმა. საზღვარი ხომ უნდა იცოდე კაცმა!

თუმცა... პრინციპში შენც მასე არა ხარ, კაცმა რომ თქვას? შენც თავგზას არ გიბნევს ლამაზი ქალი? სექსი, ბაბა, სექსი. ასე ყოფილა ათადან-ბაბადან. ახლა, მე-20 საუკუნეში კი არა, ლერი მიყვებოდა, თურმე მე-17 საუკუნეში, როცა ჭერი გვექცეოდა თავზე, ჩვენი ეპისკოპოსებიც კი დროსტარებას და არშიყობას ყოფილან გადაყოლილი, მუხლმოდრეკით სვამდნენ თურმე მანდილოსნის სადღეგრძელოს – მანდილოსნისვე ფეხსაცმლით! აბა, ასეა საქმე, ჩემო კეთილო!

ისე, წიგნის ჭია კია მართლა ის ოჯახქორი ლერი! რა აკითხებს ამდენ წიგნს, კაცო! გულახდილად რომ თქვა, ერთი წიგნი არ გექნება ბოლომდე ჩაფურცლული, თუმცა წიგნებით კი გაქვს გამოტენილი კარადა და დიდ მწიგნობრადაც მოგაქვს კიდეც თავი სხვებთან!

ასე, ყურმოკვრით, აქა-იქ იცი ხოლმე რაღაც-რაღაცეები და ოსტატურად აყრი თვალში ნაცარს ხალხს. ოსტატობაა, აბა, რა? მცოდნის პოზით გაჩუმდე იქ, სადაც იცი, რომ ფონს ვერ გახვალ შენი ნაკითხობით. ის კი არა, მთლად გულახდილი რომ იყო საკუთარ თავთან, მხოლოდ იმ პოეტის ისეთ ლექსებს იმახსოვრებ, ხალხში პოპულარული რომაა, თორემ... არც ერთი მათგანი ბოლომდე არა გაქვს წაკითხული. ნუ, ეს ეხლა მარტო შენ იცი და... სხვები ამას ვერ მიხვდებიან ვერასოდეს. მით უმეტეს, ქალბებთან... იოლას გადინარ! თუმცა, იმ ცხვირაბზეკილმა „სახალხო არტისტი-მა“ კი გიფრინა ერთხელ მაგრად!.. მაგის დედა... ახლაც – რომ გახსენდება – სისხლი გაწვება გულზე.

„ყმაწვილო! ჯერ – ერთი, მე მაიკო კი არა – მარიამი მქვია!“... უუხ, მაგის!..

ისე, ახი კია. გადავყევით, ლამის თავზე დავისვით, ისეთი პატივი ვეცით და ერთი უბრალო გახუმრება რაა – ისიც ვერ აიტანა ქალბატონმა.

მაგ შობელძაღვლმა პატარა ბავშვივით არ ავიწია ყური? მერედა, ამოდენა ხალხის თანდასწრებით! ოჰ, რას გამწარდი მაშინ! სიბრაზემ ყელში წაგიჭირა. ასე ქალს არასოდეს დაუმცირებინარ, მერედა – საჯაროდ, ყველას თვალწინ! მზად იყავი – იქვე მიგესიკვდილებინა. კი, კი. შესაძლებლობა რომ გქონოდა, სასიკვდილოდ გაიმეტებდი, მიახრჩობდი იქვე, ან ტანკივით გადაუვლიდი! ო, ო, დამცირებას და შეურაცხყოფას არავის აპატიებ, თუკი მოგეცა სამაგიეროს გადახდის საშუალება! მაშინ კი... მაშინ იძულებული იყავი გადაგეყლაპა ყველაფერი, ის კი არადა, თავი ისე მოგეჩვენებინა, ვითომ არაფერი მომხდარაო. რას იფიქრებდი, თუ ასეთი ამპარტავანი ბრძანდებოდა ის ქალბატონი, თორემ რა ღმერთი გაგიწყრებოდა და...

დალახვროს ეშმაკმა! ცოტა ხანში დამნაშავესავით გაიპარე სუფრიდან. იცოცხლე, მერე კი ინანე: არ უნდა წამოსულიყავი ჯინაზე. მაგრამ... ვიქტოროვიჩის მოგერიდა უფრო. მერე კიდევ მაშინ უფრო ახალგაზრდა იყავი და იმოდენა სითამამე და გამოცდილებაც აღარ გაგაჩნდა, ახლა რომ გაქვს, თორემ... აბა, ახლა

სუფრას როგორ მიატოვებ – მარიამ ჯაყელი კი არა, თვით ღმერთიც რომ ჩამოვიდეს ციდან!

მერე როგორ არ ეცადე, მაგრამ ვერანაირად ვერ მიუღექი „ამ პატიოსნებითა და სათნოებით სახელგანთქმულ, ულამაზეს „სახალხო არტისტს“. აფსუს! მაშინ რომ არ აჩქარებულყავი, ვინ იცის!.. ქალი მაინც ქალია, რაც არ უნდა იყოს!.. აკი გეგონა ხათუნაც არ გაგიკარებდა ახლოს მაგ ამბების შემდეგ, მარა... ისეთი საჩუქრები მხართვი და თანაც ისეთი ლექსი უძღვენი – რომ გახეთქს ქვასაცა მაგარსაო, მით უმეტეს... ამ მხურვალეხას ვერ გაუძლებდა გულჩვილი, მგრძნობიერი და ალერსმოწყურებული ქალის გული.

ლექსებიც, ეტყობა, ურიგო არ გამოგდის! ყოველშემთხვევაში, ასე გარწმუნებენ შენი ძმაკაცები. აკი თვით ხათუნაც... წაება! მათი გამოქვეყნება კი არასოდეს გიცდია. ღმერთმა დაგიფაროს. შენ თვითონ არ მიგაჩნია ეს საჭიროდ, თორემ... წინ რა დაგიდგება? მით უმეტეს – ახლა! ზოგი შენი ახლობელი პოეტის ლექსებს არც არაფრით ჩამოუვარდება ისინი, კაცმა რომ თქვას, მარა... არა ხარ მათსავით გულნამცეცა და ხარბი, ოღონდ დაიბეჭდოს და ყოველგვარ ნაგავს რომ აქვეყნებენ! ახალგაზრდა რომ იყო, იქნებ შენც გეკისრა დაბეჭდვა! მაგრამ... აწი არ ღირს. საკმარისია ისიც, რომ საკუთარ ჭიას ახარებ და ზოგ სხვასაც სიამოვნებას ანიჭებ! ისე, კაცმა რომ თქვას, ახალგაზრდა რომ იყავი, სად გეცალა ლექსებისათვის, ანდა რედაქციებში სირბილის თავი სად გქონდა! დღე და ღამე ლალიძის წყლებთან იყავი აყუდებული... თუ ვინმეს შენი ნახვა უნდოდა, რუსთაველზე გიპოვნიდა, ანდა „ზემელზე“...

ეუპ, რა გოგოები გამოდიოდნენ მაშინ რუსთაველზე! ერთი მეორეზე უკეთესები. არ იცოდი, რომელისთვის დაგედგა თვალი. ახლა რა? სადღა ნახავ ახლა ქუჩებში იმისთანა გოგოებს? სულ მანქანებში არიან ახლა შეყუჟული. ფეხით გავლას რაფერ იკადრებენ ახლა რუსთაველზე!

...ამ დედაბერს შევსვამ ახლა სწორედ მანქანაში – თავის ფუთებიანად! რას წევს ხელს, რომ წევს? არ იცის, რო არავინ გაუჩერებს მანქანას?

ჰმ... იმ გოგომ... ამის წინ მანქანა რომ გაგაჩერებინა თბილისში... როგორ გადაგრია, კაცო! სულ წიწკვი კი იყო ის, მამაძალი,

მაგრამ ეუპ, რა „ნაგლი“ ვინმე გამოდგა, კაცო! ბიძიას კი გეძახდა, ჰმ! ხი... ხი... ხი... რას არ კისრულობენ „შმოტკების“ და რესტორანში ქეიფის გულისათვის!

კაცო, მაინც რამ გადარიათ ასე? ეპ, წახდა დროება. ამ მანქანებმა მთლად... გააოხრა ხალხი. შენს ახალგაზრდობაში სად იყო ამდენი მანქანები, ახლა როა! არც ტელევიზორები გახლდათ ისე ხშირი, მაგნიტოფონებსა და ვიდეოებს რომ თავი გავანებოთ. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობია – შენც კაი ხანია ფეხით არ გივლია თბილისის ქუჩებში. თუმცა, რაღა თბილისში – საჩინოშიც აღარ დადიხარ ფეხით. გეზარება და... იმიტომ! მანქანამ მიჩვევა იცის და მერე როგორ! საჩინოში უკვე ისეთი მოძრაობაა, იმდენი მანქანებია, რომ ფეხით ვერც გაივლი, მგონი. ყველა ნაბიჯვარს ჰყავს მაინც მანქანა. ავარიებიც ამიტომ მოხშირდა, ბაბა! ასეა ეს! ვინ დაგიდევს მოძრაობის წესებს?

შენც ხომ მასე ხარ? რამდენჯერ მთვრალი მისჯდომიხარ საჭეს!..

ეპ, მაშინ მანქანა არ გყავდა, მართალია, მაგრამ მაინც კაი დრო იყო... სესიებზე კი გქონდა ციებ-ცხელება და ენაგადმოგდებულნი კი დარბოდი პროტექტორის ძებნაში, მაგრამ იმ სიმწარეებსაც ახლა სიამოვნებით იგონებ. მაინც სულ სხვაა ახალგაზრდობა, სულ სხვანაირი ხარ მაშინ! ხალასი. მართალი. ეს მერეა, ცხოვრება... თუმცა გულწრფელად რომ თქვა, სულ არა ხარ ცხოვრების უკმაყოფილო! მართალია, ძლივს მოახრჩვე ინსტიტუტი, მაგრამ მერე ხომ გამიმართლა? იღბალი როგორ არ არის, კაცო!.. ხელის წამკვრელიც დროზე გამოვიჩნდა... რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო? თანამდებობა, ფულები, მანქანა, კაი ჭამა-სმა, საზღვარგარეთის სავაჭურები, კაი დროს ტარება... „კაროჩე“, ყველაფერი საათივით აეწყო.

ამის წინათ ის ყიამყრალი ბენია ვითომ გეხუმრა, ცოდვის კითხვა არააო, შენ იტალიაში იყო ნამყოფი, ხოლო რეზო ბჟალავას საჩინოდან ფეხი ვერ გაუდგამსო. გასაკვირია პირდაპირ ამ ხალხის ამბავი! კი, ბატონო, ნიჭიერი მხატვარია, როგორც ამბობენ, რეზო ბჟალავა! არაფერი მაქვს მისი საწინააღმდეგო, მაგრამ რეზო ბჟალავამ შეიძლება თავის დღეში იტალია ვერ ნახოს. თანხის

საქმეც რომ მოაგვაროს, ვინ მისცემს, კაცო, ბჟალავას იტალიის საგზურს? ჰოდა, აქაოდა, ბჟალავა ვერ ნახავსო და შენც არ უნდა გეხილო, — როცა არის ამის შესაძლებლობა, — ნახო ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი თუ... მიკუკო და მაკუკო? ხა... ხა... ხა... კი მართალია, ინჩი-ბინჩი არ გესმის მხატვრობის, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მაინც უნდა ნახოს ისინი ადამიანმა! მით უმეტეს — პრესტიჟულმა! მასე არც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ბრძანდები, ჩვენ შორის რომ დარჩეს, მარა — მარა რა? ჩვენს ფეხბურთელებს ხომ ახლდი სწორედ საზღვარგარეთ! სხვა თუ არაფერი, სიმაღლე და წონა მაინც გაქვს იმოდენა, რომ საჭიროების შემთხვევაში, უქომაგო გუნდს; სხვა თუ არაფერი, ზოგიერთ „ვითომ“ გულშემატკივარ ქონდრისკაცს ხომ სჯობიხარ ამ მხრივ? ხა, ხა, ხა...

ჰო, ერისშვილობასა და მამულიშვილობაზე იცის ზოგმა ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი, ვითომ ესაო და ისაო... საინტერესოა, რითი ვარ მე ვინმეზე ნაკლები პატრიოტი? რაო, ვითომ ვინმეზე ნაკლებად შემტკივა გული ჩემს ხალხსა და ქვეყანაზე?.. დამიმტკიცოს მავანმა და მავანმა, რომ მე მარტო ჩემი კარიერისათვის ვიღწვი — ზოგიერთივით! მარტო ჩემი პირადული მაინტერესებს, რომ მხოლოდ ჩემი სიამოვნებისთვის ვარ გადაგებული, რომ მხოლოდ მუცლის ამოყორვისთვის და საკუთარი ნაშეიერებისთვის ვზრუნავ დღე და ღამე (თუმცა, არც ის უნდა იყოს საძრახისი, შვილების მომავლისთვის იფიქროს წესიერმა კაცმა!). კაი ცხოვრება, კაი ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვა — არავის აწყენს, ჩემო კეთილო! ვიღაცამ თქვა, ახლა არ მახსენდება, კაი ცხოვრებისათვის ხდება რევოლუციებიო! აბა, თუ ისევ ისე მშვივრები, ტიტვლები და პროლეტარები დავრჩებოდით, რა აზრი ჰქონდა ამდენ სისხლისღვრას, ამდენ მსხვერპლს, ამოდენა ხალხის დახოცვასო! მართალია ეს! აბა არა!

ვისაც არ უმართლებს ხოლმე ცხოვრებაში, ვისაც ხელი ეცარება, აი ისაა ყოველთვის დაბოღმილი და სხვასაც კბენს. ელემენტარულად შურს შენი და — იმიტომ! შენ თუ ლაყე ხარ, დოყლაპია, უგერგილო, არ იცი ცხოვრების ალღოს აღება, ბუნებრივია, სხვისი ფხიანობა, საზრიანობა, გონების სიმკვირცხლე, მოხერხებულობა და ალღოიანობა — შეგშურდება. ასეა ეს. მაგრად კი იყო სოლიკო

იმ დღეს გაღეშილი, მაგრამ სიმართლეს ამბობდა; (სიმთვრალეში ზოგჯერ მეტისმეტად გულახდილი ხდება ადამიანი!), მე რომ მოვკვდები, ვიცი, არაფერი დარჩება ჩემი, ერთი სტრიქონიც კიო. ეს ბევრ სხვასაც მშვენივრად მოეხსენება თავის გულში, ოღონდ ხმამაღლა თავს არ გაუტყდებო. ჰოდა, რაღა დამრჩენია მე? სანამ ცოცხალი ვარ – უნდა ვიცხოვრო კიდევ, ჩემო ძმაო, „სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქ: ვახარებ ჩემსა იასა, მოვკვდები, გაუხარდება სამარის კარზე ჭიასა“-ო, ასეა ეს. სანამ ვარ, აქ, ამ დედამიწაზე – ხოლო იქ რა არის, არავინ უწყის – უნდა ვიცხოვრო კიდევ გემოზე! დიახ, უნდა მოვასწრო და ამ ბინდისფერ წუთისოფელს გამოვტაცო სიამის ყოველი წამი, ყოველი წუთი. სწორედ აქ, ამ მიწაზე – ახლავე, დღესვე! გუშინდელი დღე თითქოს არც ყოფილა! – სიზმარივითაა წასული! დღესვე, ახლავე უნდა მოასწრო! ხვალე იქნებ გვიან იყოს! ან: გაგითენდება კია ხვალინდელი დღე?

მართალია სოლიკო – რაკი ერთხელ მოდიხარ ამ ქვეყანაზე – უნდა მოასწრო, რასაც მოასწრებ: სახელი იქნება, პატივი, დიდება თუ... ქონება. თავს ხომ არ მოიტყუებ მართლა და მართლა! მოკვდები თუ არა – გათავდა! სამუდამოდ გაქრება შენი სახელი. მიწა შეგჭამს და მორჩება ყველაფერი. მეორე დღესვე დაავიწყდება სუყველას!..

ჰოდა, დღეს, ახლავე უნდა მიიღო, უნდა შეირგო და შეიტკბო ყოველი ამქვეყნიური სიამე, რაზეც კი ხელი მიგიწვდება. ვინც რა უნდა თქვასო... და თუ ვინმე გადაგიდგება ამ გზაზე... არავითარი დანდობა, არავითარი შეწყალება! თუმცა... მე რა? მე რა სახსენებელი ვარ ვიქტოროვიჩთან! ო, ო, აი ვინ არის ხვითო: მტრისას! რა დაუნდობელი და სასტიკი შეუძლია იყოს, თუკი გზაზე გადაელობა ვინმე! ტანკივით გადაუვლის. ანდა, ისეთ მუხანათურ, ვერაგულ მახეს დაუგებს, რომ მისი მსხვერპლი აზრზეც ვერ მოვა – რა გაუკეთეს. რანაირად! ოხოხოხო! რა საშიში კაცია და როგორი გულღრძო! საკუთარ დედას არ დაინდობს – არამცთუ სხვას! დაუფიქრებლად გამოჭრის ყელს სულყველას – პირადი განდიდებისათვის! შენ ვერაფერს გიბედავს ჯერჯერობით, რადგან იცის, ზურგი რომ გაქვს მაგარი, თორემ... გულზე რომ არ ახატიხარ – ეგ ცხადზე უცხადესია! პოტენციურ მეტოქეს ხედავს

შენში და... იმიტომ! ჯერჯერობით, პირიქით, გეპირფერება კიდევ. და საერთოდ, რა მურტალი ქლესაა იმათთან, ვინც სჭირდება!.. ნემსის ყუნწში გაძვრება ხოლმე უფროსის გულისთვის, სამაგიეროდ, თავის ხელქვეითებთან უნდა ნახოს კაცმა — რა უხეში და დაურიდებელია... ოხოხო, მტრისას! ასეთი კაცი უნდა აქო და... ერიდო! სახეზე კი სულ ღიმილი დასთამაშებს, თავაზიანი და ზრდილი ჯეელია ვითომ! ასე გეგონება: ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამსო. გულბოროტ ადამიანებს ნიღბის ღიმილი და დახვეწილი ჯალათის მანერები აქვთო, ამბობენ... პატარა ფეხი თუ გადაუბრუნდა „იმას“... ოხ, რას შედგება!

სტოპ! გამოსულან საშოვარზე! სადა გაქვს ახლა ამათთან ჯიჯღინისა და ლაილაის თავი! შეუხელე, რა გენაღვლება... ისე, მაგრად კი არიან გაწუწუკებული. ასეც არ შეიძლება, კაცო! რაღაც ზომიერება ხოა საჭირო? მაგრამ კაცი რომ გაღორდება, „ჩვენი“ ვილის არ იყოს... უბედურებაა! ხარბი და უძლომელი ხდება.

„რამდენადაა მიზანშეწონილი... და გამართლებული ბუნებაში ასეთი უცერემონიო ჩარევები“, — „თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო ჯაბა?“ „რა აზრის ბრძანდებით, ბატონო ჯაბა!“

ჰოო... ეკოლოგიის პრობლემები ახლა მოდაშია თურმე! ტელევიზიის ის მატრაკვეცა კორესპონდენტიც, ენას რომ არ ასვენებდა... საჯდომი უნდა აუჭრელო წკეპლით ამისთანებს...

ვითომ არ იცის, რომ მე არ ვადგენ ამ პროექტებს.

„თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო ჯაბა!“ — გამოაჯავრა გუნებაში კორესპონდენტს და ჩაიქირქილა: „ვითომ არ იცის... მე, მაგალითად, დამავალეს და მუხურის მცხოვრებლებს განვუძარტე გასახლების საჭიროება და ის სიკეთე, რაც ელექტროსადგურს მოაქვს მოსახლეობისათვის... ეს სულ სხვა საქმეა, ბაბა! კი. შეიძლება ზოგი რამ მეც არ მიმაჩნდეს მართებულად, მაგრამ საჯაროდ ამის თქმა? ისიც ტელევიზიით? ეუჰ! ესენი ვინ არიან, კაცო! არა, დიდი შერეკილი ხალხია, ღმერთმანი ეს ყურნალისტები და ფილოლოგები! რალა შორს მიდინარ, შენმა ნათესავმა ყურნალისტმა ქალმა არ წამოგაძახა ამის წინეებზე სუფრაზე, სადაც პოეტები და მწერლები ისხდნენ: შენ ქართული პოეზიის სადღეგრძელოს თქმის უფლება არა გაქვსო, შვილები არაქარ-

თულ სკოლაში დაგიდისო! ელაპარაკე ახლა ამისთანა ჭკუანადრძობს. კი სცადე, გაგექარწყლებინა ის უსიამო შთაბეჭდილება, მისმა სიტყვებმა რომ მოახდინეს, მაგრამ რალაცნაირად უგერგილო გამოვიდა ხუმრობა!.. გულზე იყავი გამსკლარი და... იმიტომ! ენა უნდა წააჭრა ამისთანა ენაგრძელებს. ნამეტანი დიდი წარმოდგენის ბრძანდებიან თავიანთ თავზე, თავიანთ ვითომდა „სიმართლის მოყვარულობაზე“! დაიცა, როგორა თქვა იმ კორესპონდენტმა: ჰო, სიმართლის მოყვარულებად იბადებიანო, ბატონო ჯაბა! გამოუდექ სიმართლესო, გამოგილევს სინათლესო... თუ... როგორც არი, რა!

ვინ კითხავს, კაცო, ამათ ქვეყნის აკარგს? ვისი ტიკი-ტომარა არიან? იმ დალი შელეგეასი არ იყოს! რას წარმოადგენენ ბოლოსდაბოლოს? ვინ დანიშნა ეგენი მომრიგებელ მოსამართლედ? იგივე დალი შელეგეას რაში ესაქმებოდა იმ სოფლის გასახლების ამბავი? სახელგანთქმული მწერალი, პოეტი თუ სახელმწიფო მოღვაწე ბრძანდებოდა? ტყუილუბრალოდ, რად უნდა გაიფუჭო თავი კაცმა? არ სჯობდა, თავის ტყავში დატეულიყო? ლამაზი გოგო იყო. ნიჭიერი. ჰოდა, თავის საქმისთვის მიეხედა. გათხოვილიყო. ოჯახი შეექმნა, შვილები გაეჩინა. შვილები რომ გააჩინო, ისინი ხომ სიმართლის მოყვარულებად უნდა გაზარდო, ხოლო თუ თავად ცრუ და ყალბი პიროვნება ხარ, შვილებიც ხომ ასეთები გაიზრდებიანო, — ატლიკინებდა ენას ის აშაღლარი კორესპონდენტი.

„კარგი მოქალაქე რომ იყო, აუცილებელი როდია უეჭველად საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება ბრძანდებოდე. მარტო რანგი და წოდება პიროვნებას ვერ ქმნისო. სამასი არაგველის ვინაობა არავინ უწყის, მაგრამ თითოეული მათგანი, საჭიროებამ რომ მოითხოვა, გმირი გახდა, უსახელო, უსაფლაო გმირიო“.

ოხოხოხო. ელაპარაკე ამისთანა დაქოქილს! ტყუილად წყლის ნაყვა გამოვა. ელემენტარულად არ ესმის, რომ... ხართან მორქუნალ კამერს, რქები არ შერჩება! დიახ, ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს ცხოვრებაში, ბაბა. და იმ ბაყაყვიით არ მოუვიდეს — ფეხი რომ ააშვირა, მეც ხარივით დამჭედეთო... ასეა, ეს. მთავარია, შენი ადგილი იცოდე! და... დროს მოერგო! დროს ალლო აულო! სულაც არ არის ცუდი სიტყვა-მედროვეობა! დიახ. დროს უნდა გაუგო — ესაა მთავარი.

„ჩვენ უჩინონი, ჩვენ უჩინონი, თქვენ ჩინიანთა ბუზად გგონივართო“, ვითომ სუმრობით ჩაგინისკარტა იმ ენაგალესილმა, მეტიჩარა კორესპონდენტმა. რა შუაში იყო ილია? ვითომ რაო? ვაი მაგის პატრონს უბედურს!

მაგ დალის ამბავში კი — მე მართლა არაფერ შუაში არა ვარ. ღმერთი. ხატი, რჯული! თუმცა ბევრს კი ჰგონია, რომ... მე გავაგდებინე სამსახურიდან.

მე მაშინ თბილისში ვიყავი... და მერე: აზრი არ ჰქონდა არაფერს... უკვე ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ყველანი, ასეა თუ ისეა, გულმოწყალე და კეთილები ვართ, როცა... უშუალოდ ჩვენ არ შეგვეხება რამე, თორემ... თუკი შენს პირად ინტერესებს დაემუქრა რამე, თუკი ვინმე შენს პიროვნებას დაუპირისპირდა, ო, ო, მაშინ ფრთხილად! დანდობა არ იქნება! ყველანაირი საშუალებით უნდა სძლიო და მოერიო მოწინააღმდეგეს! დიახ. ასეა ეს — და რას იზამ, ცხოვრება ასეა მოწყობილი და! მით უმეტეს. თუ შენ ამ დროს არც ხარი ხარ და არც კამეჩი და ერთი პატარა სკინტლილა ხარ, დაეტიე ბაბა შენს ტყავში, რას ძვრები კანიდან? რაც მოგივა ღავითაო, ნათქვამია. ჰოდა, ამიტომ დალი ხარ თუ... ჩემი ფეხები, როცა იცი, რომ ერთი პატარა ჭიალუა ბრძანდებმეთქი მხოლოდ, არ უნდა ჩაჰყო ცხვირი ისეთ საქმეში... შენ რომ არ გეკითხება!

...ცხვირზე მოაგონდა. მოაგონდა კი არა, ქვეცნობიერად მგონი სულ ამაზე ფიქრობდა, ოღონდ არ უნდოდა თავის თავსაც კი გამოტყდომოდა ამაში. და მაინც... ძალაუნებურად, ხსოვნის ფსკერიდან ამოუტივტივდა...

„საიდანა აქვთ მაინც ბავშვებს ამგვარი წარმოსახვა?.. მასწავლებელს დაუვალვია — მშობლების სურათი დამიხატეთო, ჰმ! რომ დახედა თავის ბიჭის ნახატს... პირკაბა ეცა.

საიდან სადაო... უცნაური ამბავია სწორედ!

ვეება, ფეხებგაჩახულ, უსაშველოდ გრძელცხვირა და ღოინჯშემოდგემულ მამაკაცს ორი პირი გამობმია: ერთი ფართოდ დაუბჩენია, მეორე კი — მოუძეწავს.

„რას ნიშნავს ეს? სად ნახე, ბიჭო, ორი პირის მქონე კაციო?“ — ეტაკა ელდანაცემი დედა. „შენ არ ამბობ მამაზე, ორპირიაო? სამ-

სახურში ერთს ამბობს, შინ კი – სულ სხვას იძახისო! მეც ამიტომ ორი პირით დავხატეო, თავი იმართლა თურმე იმ მამაძაღვმა“.

კაცო! მაშინ ვიქტოროვიჩის, ანდა ვილიკოს შვილებმა რა უნდა ქნან! რამდენ პირიანებად დახატონ თავიანთი მამები?.. ხა, ხა, ხა... საოცარი არიან, კაცო, ბავშვები! როგორა აქვთ მაინც ტვინი მომართული? ისე, საინტერესო ამბავია: ქართული ზმნა შეიძლება იყოს თურმე არა მარტო ერთპირიანი, ანდა ორპირიანი, არამედ სამპირიანი და ოთხპირიანიც კი. ოთხპირიანი და სამპირიანი ზმნები კი უნიკალური მოვლენა ყოფილა მსოფლიოში! გაზეთშიც ეწერა ამის წინ: ვიღაც ამერიკელი ენათმეცნიერი იკვლევს თურმე ამ საკითხს! ოთხპირიანო! მართლა და მართლა, რა ამბავია, კაცო?

დაიცა, როგორ იყო... ნატო რომ გიხსნიდა, ჰო, ვთქვათ, სიტყვა – მაკეთებინებს – ავიღოთო: მაკეთებინებს ის მე მას მისთვის. ოთხი პირი იგულისხმება ამ ერთ სიტყვაშიო. მართლაც, გასაოცარია. თუმცა... რატომაა გასაკვირი? თუ ადამიანს შეუძლია იყოს ორპირიანი, სამპირიანი, ანდა ოთხპირიანიც კი – ზმნამ რა დააშავა? ზმნამ ხომ უნდა გამოხატოს თავისი შექმნილი ადამიანის ნიშანთვისება? ა? ხა, ხა, ხა...“

ჰოო... ნატოზე გამახსენდა... იმ ჩემმა მატრაკვეცა ბიძაშვილმა იმ საღამოს ვერ მოისვენა და გამკილავი ღიმილით და მოჭუტული თვალებით გეუბნება:

– როცა ქართველს თავისი შვილი არაქართულ, კერძოდ, რუსულ სკოლაში შეჰყავს, ამით ის არა მხოლოდ უგულვებელყოფს დიდებულ მშობლიურ ენას, არამედ სულიერადაც ალატაკებს თავის ნაშიერს, გადაგვარების გზაზე აყენებს მასო.

შენ და შენისთანებმა არ გინდათ დაინახოთ, – არ შევეპუე მე, – რომ მსოფლიოსთვის ჩვენ ვართ საბჭოთა ხალხი. დიას. ხალხი და არა... თუნდაც – ხალხები! ანუ: Великий советский народ! ამ ერთ ხალხს – ენაც ერთი უნდა ჰქონდეს – ანუ ამ შემთხვევაში – რუსული! ისე, სხვათა შორის, ყოველთვის ასე იყო: მრავალრიცხოვანი ყოველთვის ჯაბნდნენ მცირერიცხოვანთ... ხვალ, შეიძლება ინგლისური, ჩინურთან ერთად – მოგვევლინოს გაბატონებულ ენად. დიას. ასეა ეს. მძლავრი, ანუ მრავალრიცხოვანი ყოველთვის იმორჩილებს უძლურს, პატარას – სხვადასხვა საშუალებით: ხან იარაღით, ხან

– ხერხით! შენ კიდევ... ერთი პაწაწკინტელა წერტილიდა ხარ უზარმაზარ რუკაზე და არც არავინ უწყის – ვინა ხარ? ქართველი... თუ ჩუქჩა! ამიტომ რამდენიც არ უნდა იხტუნო – ვერაფერს გახდები! რადგან... ასეთია რეალობა! ვერც ვერაფერს შეცვლი!.. ასეა ეს, ბაბა და... მოიკალი თუ გინდა თავი!

ისე კი, გულახდილად რომ ვთქვა – დიდი ბითური ვინმეა ეს... ჰომო – საპიენსი, ანუ – ეს ბოროტი, ბინძური, უძლები, მოძალადე, სასტიკი, პირ-მეტყველი პირუტყვი, ადამიანს რომ ეძახიან! როგორც ჩანს, ვერც წარღვნამ უშველა რაიმე ამ ბინძურ ქმნილებას – ანუ ღვთის რისხვამაც ვერ მოიყვანა გონს იგი, ვერც ბუნების კატაკლიზმებმა!..

კი სცადა ქრისტიანობამ მისი გაკეთილშობილება, მარა... როგორც ვხედავთ – არაფერი გამოუვიდა. პირიქით, ქრისტიანობის სახელით, მრავალი სისასძაგლე ჩაიდინეს მისმა მიმდევრებმა, რადგან: თვით ამ რელიგიაშია შინაგანი წინააღმდეგობანი და... იმიტომ! მაცალე, მაცალე ნუ მაწყვეტინებ, თუ შეიძლება, დამამთავრებინე-მეთქი. ქრისტიანობის უმთავრესი პოსტულატი ხომ ეგაა: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა საკუთარი თავიო. საკუთარი თავის სიყვარული კი ნიშნავს, რომ... უწინარესად გსურს საკუთარი თავის კეთილდღეობა ანუ გინდა კაი ცხოვრება, კაი ჭამა-სმა, ლხინი, შექცევა ე.ი. დროის ტარება, გიყვარს ფულები, თანამდებობები, სახელის ქუხვა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. „კაროჩე“: ჯერ თავო და თავო, მერე – სხვაო და სხვაო. ჰოდა, ქე ვართ ის, რაც ვართ!

შენ ფილოლოგი ბრძანდები, ჩემო ნატო და ხაზს ვუსვამ: პირმეტყველი პირუტყვები ვართ-მეთქი და... რაკი ასეა, ჩემო მშვენიერო, გირჩევ, შეეშვი ამ აბდა-უბდას, გაანებე თავი ტვინის ჭყლეტას, ფუჭ ფილოსოფოსობას და ამ ე.წ. პატრიოტიზმს და მსგავს უაზრობებს და სისულელეებს – რომელიც არავის სჭირდება... თითო-ოროლა შერეკილის გარდა!..

აი, აგერ... გაშლილია დიდებული სუფრა! რა გინდა, სულო და გულო, აქ არ იყოს... მიირთვი, ისიამოვნე, დასტკბი, მოილხინე. აკი რუსთაველმაც ბრძანა: ჭამა-სმა დიდად შესარგო. ჰოდა, შეირგე შე დალოცვილო, ეს მაღლი! რას იშლი ნერვებს, რაზე იტკიებ თავს?

შენთან მართლა არ ღირს ლაპარაკიო, — ხელი ამიქნია ნატომ, გაცეცხლებულმა. მიყვარს, როცა გაწიწმატდება ხოლმე! კაი გოგოა, გულწრფელი, განათლებული, ნიჭიერი, მარა... ნამეტანს უფშტკვენს ამ „ეროვნულ ნიადაგზე“. არა და არ უნდათ გაიგონ, შეისმინონ მან და მისთანებმა, რომ... საყოველთაო ინტერნაციონალიზმის ანუ გლობალიზმის ეპოქა დგება! დღეს იქნება თუ ხვალ, ყველა მცირე ერი გაქრება და მამასადამე, გაქრება მათი ენებიც! გინდა არ გინდა — კოსმოპოლიტიზმისკენ, ინტეგრაციისკენ მიდის კაცობრიობა! და სწორიცაა: რა საჭიროა ამდენი ხიჭუ-მაჭუ ენები! აკი, ბაბილონის გოდოლის აშენების მცდელობამდე ყველა ადამიანი ერთ ენაზე უბნობდა თურმე! ერთფეროვანი მსოფლიო აუტანელი და... მოსაწყენი იქნებაო. მრავალფეროვნებაშია მშვენიერებაო. კი ბატონო, მოსაბეზრებელია ერთფეროვანი... თუნდაც სტეპები! მარა... ვინ გვკითხავს-მეთქი ჩვენ, უბრალო მოკვდავებს — რა, როგორ და რანაირად უნდა იყვეს?

ვისი ტიკი-ტომარა ხარ შენ კაცო: ჯაბა ხარ, დალი თუ ნატო... და... ასე შეძგე!

ვის დაკარგვიხარ-მეთქი? როგორც მოსვლას და წასვლას არ გკითხავს არავინ, ისე კაცობრიობის განვითარების კანონზომიერებაში არავინ მიგასუნინებს! დაეტიე ბაბა შენთვის! რას ფხაკურობ? რას იჭიმები?

მორჩა და გათავდა! ადამიანის ბუნებას ვერაფერი შეცვლის, თუნდაც ათჯერ მოხდეს წარღვნა, ანდა... რევოლუციები! ვინ იცის, ნოემდე რამდენი წარღვნა მოხდა მსოფლიოში, მარა... შეიცვალა რამე ამ უწმინდურ ცხოველში? როგორიც იყო, ისეთი დარჩა აქ... ამ დედამიწაზე! ხოლო იქ, არ ვიცი რა იქნება! არც მაინტერესებს! დღევანდელი ყოფიერებაა ჩემთვის უმთავრესი, ანუ ის, რასაც რეალობაში ვხედავ, აღვიქვამ, განვიცდი! ასეა ეს, ჩემო ბატონო!

...აქეთაც დიდებული დარია! რა ჯობია მზიან, თბილ ამინდს. წვიმა და თოვლჭყაპი მეზარება! ცუდ გუნებაზე მაყენებს!“...

...მაგნიტოფონი კაი ხნის გამორთული ჰქონდა. ახლა ოდნავ გადაიხარა და მიძღების სახელური გადაატრიალა. რადიოში რაღაც ახრიალდა, მერე დიქტორი ქალის ხმა გაისმა: „—თქვენ მოისმინეთ გადაცემა (ჩხკ. ჩხკ. ჩხკ.). გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი შთაბეჭ-

დილებები და შენიშვნები ამ გადაცემაზე (ჩხკ. ჩხკ. ჩხკ.)... როგორ გესახებათ ჩვენი გმირების შემდგომი ბედი უახლოეს სუთწლედში. ჩვენი მისამართია: თბილისი... „(ჩხკ. ჩხკ. ჩხკ.)...“

დიქტორის ხმა ერთბაშად დაიკარგა. ერთხანს კიდევ ატრიალა სახელური, მერე გამორთო, „გასაკეთებელიაო“, – გაიფიქრა და წელში გაიმართა.

„ესეც თბილისი. ჩემი თბილისი!“ – სახეზე სიამე მოეფინა, ბაგესაც კმაყოფილების ღიმი ურხევდა.

„ვოლგა“ კი შურდულივით მიქროდა ღიღმის ფართო, სწორ გზაზე.

1983 წ.

სიყვდილის ზევაი

ტანჯვის ღიმილი გაყინულა ტუჩებზე.

ტანჯვისა და წუხილის ნაკვალევია შეჭმუნულ შუბლზეც, მთელ სახეზე.

სახეზე?.. სადღაა სახე?.. დაღეწილ-დასახინრებული სახე არ ჩანს! – იგი სუდარის ქვეშაა მოქცეული.

და მაინც... ჰგონია – ის კი არადა დარწმუნებულია, რომ მიცვალებულის ყოველ ნაკვთზე უეჭველად, უსათუოდ ტანჯვა-წვალება იქნება ალბეჭდილი!

ხალხი კი... მოღის და მიღის. უხმაუროდ. ფეხაკრებით. მზერადახრილნი. ერთობ ცოტანი არიან. არცთუ მრავალრიცხოვანი ჭირისუფალნიც მღუმარედ ჩამორიგებულან სკამებზე და... თითქოს ტირიან და... არც ტირიან...

მხოლოდ სახეგამტკნარებული დედა ჩუმად ზუზუნებს თავისთვის: დედა, შვილო, დედა შვილო. მხოლოდ ეს ორად ორი სიტყვა ამოსდის გამშრალი ყელიდან. დანარჩენები კი იქ, შიგნით, ხორხში იკარგებიან. გარეთ ვეღარ გამოულწევიათ. კალთაში ჩაყრილი,

ერთმანეთში ჩაწულ-ჩაგრეხილი თითები უფრო მეტს მეტყველებენ, ვიდრე ბაგე-პირი.

არა ყვავილების ზღვა, არა ხალხის უწყვეტი ნაკადი – არამედ გაშიშვლებული, შეუნიღბავი და ამდენად უფრო შემზარავი სილატაკე და სიღუხჭირე, ქვეცნობიერ შიშთან ერთად შავ ჩარჩოსავით შემოვლებია აქაურობას და ჰაერს ამძიმებს, სუნთქვას უხშობს ადამიანს.

სწრაფად ადგა. კარში გავიდა.

კუთხეში აუტუხუხლი, ნაცრისფერსახიანი წოწოლა, მხრებში მოხრილი მამაკაცი გაფაციცებულ მხერვას თითქოს არიდებს მოსამძიმრეებს, რომელთაც ასევე გაურბით თვალი განზე.

გვერდით, პაწია სამზარეულოში შაოსანი ქალები და ბავშვები შეკუნჭულან და ხმადაბლა, დამფრთხალი იერით რალაცას ტუტუნებენ ერთმანეთში.

... ხმაურიან ქუჩას აჩქარებული ნაბიჯით დაუყვა. ვერა. ველარ გაუძლო ბოლომდე. თითქოს ვილაცას თუ რალაცას გამოექცა, უჩინრად და დაჟინებით რომ ეძალებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში და საშველს არ აძლევდა...

ტაქსმა სვლა შეანელა.

„ჰმ!.. იპოვა რაღა კლიენტი!“

საფულეში მხოლოდ ათკაპიკიანი უდევს.

დაძრულ ტროლეიბუსს შეახტა. „დემოსის ტრანსპორტი“, როგორც თავად უწოდებს ირონიულად, ჩვეულებრივსამებრ ნელა მიჩაქჩაქებს, ხალხით საკმაოდ დატენილი.

ბაქანზე მიყუჟული, სახელურზე ორივე ხელით ჩაფრენილი, ამრეზილი სახით რატომღაც ტროლეიბუსის მარშრუტს ზომავს გუნებაში.

ვაჟა-ფშაველას ბოლოს იგი შემოტრიალდება და კვლავ ცენტრისკენ გასწევს ნება-ნება, მერე მოედანზე წრეს დაარტამს და ისევ საბურთალოსკენ იბრუნებს პირს და ასე გრძელდება ყოველდღე. ასეთია მისი გრაფიკი. ასეთია ცხოვრების ყოველდღიური განრიგიც – ერთი და იგივე, ერთი და იგივე, არაფერი არღვევს ერთფეროვნების, ამ თითქოსდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ

წესს, ხანდახან ამოვარდება ხოლმე კალაპოტიდან „რალაცა“, ერთ-ბაშად, მოულოდნელად რომ ამღვრევს მღორე, ზანტ მდინარებას. მერე... კვლავ ძველებურადაა ყველაფერი...

მგზავრები კი ჩადიან და ამოდინ ფაციფუციტო, ხმაურით.

„არც ისე მცირეა ქალაქში ხუთკაპიკანთა რიცხვი!“ – ელიბა სარკასტულად, თუმცა...

სტოპ!

უბილეთო მგზავრო! როგორ არა გრცხვენიათ?.. ეკადრება განა ეს თქვენს ჭაღარას, პატივცემულო? ან შენ.. „ნაშიმშილარო“ სტუდენტო, ბუღალსავით რომ ატრიალებ თვალებს?.. დასაშვებია განა ასეთი უმსგავსოება საბჭოთა მოქალაქისათვის?

ტროლეიბუსი რატომღაც სინქარეს უმატებს, გზის სიფართოვის თუ სხვა რამ პირადული მოსაზრების გამო, მძლოლი გამაღებით მიაქროლებს მანქანას.

„ბიჭოს! რა გაუტია!.. ნეტა რა მოელანდა?.. მაგრამ... ეყოფა კი ბოლომდე ჰოფსილა?

ააარა! ბოლომდე ვეღარ შეძლო!.. ასეა! ბოლომდე ყოველთვის ჭირს ლელოს გატანა!..

ღმერთო ჩემო! რა აბსურდული აზრები მომდის თავში!.. რადროს ეგეთებია!..

თუმცა... რატომ აბსურდული?.. აბსურდული იქნება განა, აი, ახლა რომ შევევარდე შიგ, ტროლეიბუსის შუაგულში და ხმამაღლა დავიძახო:

– ხალხნო! ვინც აქ ბრძანდებით და ვინც აქ არ არის, ხომ ვართ ყველანი სიკვდილის შვილები? – ჯერ გაოცება. სახტად დარჩენილი სახეები, მერე ჩოჩქოლი.

– ვინაა, კაცო, ეს სულელი გოგო?

– საწყალი... ეტყობა, აურია...

– საცოდავი! ვაი, უბედურ დედამისს!..

– სიტყვას ბანზე ნუ მივდებთ! ხომ ყველანი მოვკვდებით-მეთქი, დღეს იქნება თუ ხვალ თუ მაზეგ, ან ოცი, ოცდაათი, ანდა ორმოცდაათი წლის შემდეგ? ეგ სულერთია ბოლოსდაბოლოს! მთავარია, რომ ყველანი დავიხოცებით, მართალია, თუ არა?

ისევ გნიასი. რია-რია. ლანძღვა-გინება.

– კაი, ბატონო! ვიყო მე შეშლილი! მაგრამ კითხვაზე გამეცით პასუხი! ვართ თუ არა სუყველანი, სათითაოდ, უგამონაკლისოდ – სიკვდილის შვილები-მეთქი? ჰო, თუ არა?

აი, შენ! თვალეზბრიალა გოგოვ, წელან რომ ასე გულიანად კისკისებდი. როცა იქნება, ხომ მატლები შეგიჭამს მაგ ლამაზ თვალებს, სახეს, მთელ სხეულს და გამოსრული ძვლებიდა დარჩები მიწაში!..

შენც, „ჩვენი ქვეყნის რაინდო“, ასე მედიდურად და ამაყად რომ იჭიმები, შენგანაც ხომ ბუნდლა არ დარჩება ამ დედამიწაზე?..

შენც, „ფილოსოფიურად“ მომზირალო, მსცოვანო ბერიკაცო, არც შენგან დარჩება არაფერი, მატლისა და ჭიისგან შეჭმული ჩონჩხის გარდა!.. და შენც, გაკაპასებულო და გაფუებული ქალბატონო, რატომღაც ტროლეიბუსით რომ მგზავრობ – როგორც ჩანს, მანეთიანი დაგენანა ტაქსისათვის – ასე კაპუეტივით რომ ქაჩავ თვალებს – თუ გგონია, გიშველის დაგროვებული განძი და სიკვდილს გადაურჩები?

– გააჩერეთ! ვინ უშვებს, კაცო ამისთანებს გარეთ!

– ასათიანზე ადგილი არ არისო. ასე ამბობენ!

– მილიციას დაუძახეთ! დაიჭიროს ეს გადარეული გოგო!

– ჰა, ჰა, ჰა, ბატონებო, ვერ დაიჭირავს სიკვდილსაო, ასე ბრძანა რუსთაველმა!.. ვერც თქვენი მილიცია-პოლიცია, ვერც მთელ „პოლიტბიუროს სასტავს“ რომ გამოუძახოთ ახლა, ვერაფერს გახდება. ტყუილია!.. ყველანი გავფშეკოთ ფეხებს, რა დღეს, რა ხვალ! მორჩა და გათავდა! გარდაუვალა ეგ ამბავი!

– კისერი გიტეხია და კინჩხიც! თუ გინდა, ახლავე გაგიცხია სული!.. რას გვერჩი, შე შეჩვენებულო?

– ბოლშაა, გველის წიწილია, ვერა ხედავთ!

– ჰა, ჰა, ჰა, გულზე მოგხვდათ განა? კუჭი მოგეწვათ? სულ ტყუილა გეგონათ, აბა, დედამიწის ღერძი თუ არა, მისი ჭიბი მანც ბრძანდებოდეთ! ვერ მოგართვეს! აარაო, მელა მატყუარაო!.. სინამდვილეში მხოლოდ მოლოდიალე ლანდები და აჩრდილები ვართ, საიმქვეყნიოდ განხაზირებულნი! მეტი არაფერი! სრულიად არაფერი!..

...ჰოდა, რაკი მასეა, რას ვედიდგულებით ერთმანეთს, თქვე ცოდვისშვილებო, თქვენა! თქვე უღმერთოებო! მაშ, რათა ვჭამთ ერთმანეთის ხორცს, რომელსაც მიწა შეგვიჭამს?.. რას ვერ ვიყოფთ ერთმანეთში, სალაფავს თუ... სამარეს? იმ სამარეს ხომ არა, საცა რიგირიგობით ჩავგტენიან სუყველას, ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს, ჭიალუის გასახარად?.. მაშ, რად ვისტუმრებთ-მეთქი ერთმანეთს უდროოდ იქითკენ, საითაც უკლებლივ ყველანი წავკუსკუსდებით? ჰა, მიპასუხე, შე ვიშიანო, შენა!

— ამ გაქანებული ტროლეიბუსიდან უნდა მოისროლო ეგ გარეწარი, ეგ ნაბიჭვარი ეგა! ამის... რა გაცინებს, კაცო, რა არის სასაცილო?

— გიჟია, ვერა ხედავთ!

— აბა, ჰე, დაქინძაჩნდით და მოისროლეთ აქედან ეს გიჟი!.. რას უცდით? რას ელოდებით?.. მაგრამ აარა! საქმე საქმეზე რომ მიღგება, მშიშრები ხართ, მხდლები, ლაჩრები! პირდაპირ ვერ გაბედავთ!.. ზურგში ჩასაფრება უფრო გეხერხებათ!

მილიცია-პოლიციაო, ვაი, თქვენს პატრონს!

— ჰეი, მძლოლო! გააჩერე მანქანა!.. ჩავდივარ! არ მსურს ამ ნახირში ყოფნა — თუნდაც დროებით! გააჩერე-მეთქი, გეუბნებიან!

თქვენ კი, თქვე ბლენძია, ამპარტავანო, კუდაბზიკა აჩრდილებო, უბადრუკო სულებო, იფიქრეთ იმაზე, რაც წელან გითხარით!.. გეყურებათ თუ არა? დიახ, თქვენ გასაგონად ვამბობ, უკვდავობანას რომ თამაშობთ ამ ტაკიმასხრულ სცენაზე, ცხოვრებას რომ ეძახით...

მომენტო მორი!

გახსოვდეთ სიკვდილი, ბატონებო! თუმცა... მეტი არაა ჩემი მტერი, თქვენ რაიმე შეიგნოთ, რაიმე შეისმინოთ!

აბა, მაშ ნახვამდის — საიქიოში შეხვედრამდე!.. „პაკა“, „ჩაო“!

... დიდხანს ეძება გასაღები, მერე მოთმინებადაკარგულმა, ზარის ღილაკს დააჭირა თითი გამეტებით, მერე ისევ ჩანთა ამოქექა. იპოვა, როგორც იქნა. სწრაფად შეაღო კარი. დიდ ოთახში შუქი არ ენთო, მაგრამ, იქედან ტელევიზორის ხმა გამოდიოდა.

„ნატა, ალბათ თავის დაქალებთან ზის და“... — აზრი გაუწყდა.

ბაზანის სარკესთან ახლოს მიიტანა სახე: „მართლა შეშლილს ვგავარ“, გაიფიქრა და მოულოდნელად ტუჩები დაებრიცა, ცრემლები წასკდა. ამ ხნის განმავლობაში არ უტირია. ცრემლი თითქოს გაუშრა და აი, ახლა... გულამოსკვნილი აქვითინდა.

ტირილით გული რომ მოიჯერა, სახეზე პეშვით შეისხა წყალი. დაწითლებული თვალები საგულდაგულოდ ამოიბანა.

მოშლილი ონკანიდან ისევ ისე შეუწყვეტლად მოედინება წყალი, მეტლანაცვნილ იატაკზე დაფენილი ჩვარი სველია. ირგვლივ მიმოავლო მხერა მინგრეულ-მონგრეულ სააბაზანოს, არაფრისმხედველი თვალი შეავლო სამზარეულოში კარჩამოფრიალებულ კარადასაც.

უანგარიშოდ, უფრო ინსტიქტურად გაზქურასთან მივიდა და ქებას სახურავი ახადა. უფროს დას აჯაფსანდალი გაეკეთებინა. უგულოდ, მექანიკურად გადმოიღო საინზე კერძი და უგულოდვე გადაყლაპა ორიოდე ლუკმა.

ვერა. ვეღარ შეძლებს ახლა ჭამას.

კვლავ ცივი წყალი შეისხა სახეზე, სავსე ჭიქა ბოლომდე, სულ-მოუთქმელად გამოცალა და საძინებელი ოთახისკენ გაემართა.

წამით შესასვლელთან შეჩერდა. მერე მკვეთრად მოტრიალდა და... დიდ ოთახში შეაბიჯა.

ტელევიზორს მართლაც მისხდომიან ნატა და მისი მეგობარი ქალები და ხმამაღალი კომენტარებით, სიცილ-კისკისით უყურებენ გადაცემას. პატარა მაგიდაზე ყავისა და კონიაკის ჭიქებია დახვავებული. ოთახი გაბოლილი.

– ვა, ლიკა?.. როდის მოხვედი?.. პრივეტ!.. ვერც შეგამჩნიეთ!..

– ყავა ხომ არ გინდა!.. იცი, ძალიან საინტერესო გადაცემაა...

– შუქი ანთე,

– არა. არ მინდა, ასე იყოს!

– რათა ხან უხასიათოდ, გენაცვალე? რამე ხომ არ მოხდა?

– ხო, მართლა, გოგოებო!.. ლიკას თანამშრომელმა ქალმა თავი მოიკლა ამ ორი დღის წინ... მერვე სართულიდან გადმოსტა!..

– რას ამბობ?!

– რა საშინელებაა, ღმერთო ჩემო!..

– საცოდავი!.. რატომ?.. რა მოხდა?

– ა... ააა! ვიცო... ვიცო! მეც გავიგე! რაღაც სასიყვარულო ამბავია, „სლუჟებნი“ რომანივითაა. რა! ქალს რომანი ჰქონია თავის უფროსთან, ცოლს შეუსწორია სტამბაში თუ... რაღაც ამდაგვარი...

– რა რომანი?.. რის რომანი?... რას ამბობ, ნინი?.. მორიგეობის დროს განყოფილების გამგე ცუდად გამხდარა. ჰოდა, ის საცოდავი რუსიკო, აბებს რომ ასმევედა საგარძელში გულშეღონებულ კაცს, მაშინ შემოიჭრა თურმე მისი ცოლი. ეტყობა, მანამდეც ეჭვიანობდა მათზე. ჰოდა, დაუდარაჯდა, და... ჩახვეულებს მიუუსწარიო, ქვეყანა შეუყრია! უშვერი სიტყვებით გაულანძღავს ის უბედური. ერთი სიტყვით...

– გაჩუმდი, ნატა!.. რაებს ლაპარაკობ? – წამით იყუჩა: – უსამართლოდ შეურაცხვევს, გესმით?.. დაამცირეს, მიწასთან გაასწორეს. სულში ჩააფურთხეს. ვერ აიტანა, გესმით? ყველა ვერ ურიგდება ღირსების შელახვას. ასე იყო, მორჩა და გათავდა.

ხანგრძლივად ჩამოვარდნილ სიჩუმეს მხოლოდ ტელევიზორის ხმა არღვევს. ენაჩავარდნილი ქალები ერთხანს უსიტყვოდ, უაზროდ შესცქერიან ეკრანს.

ნატა გავიდა და ცოტა ხანში დას ყავა მოუტანა. ლიკამ უსიტყვოდ ჩამოართვა ჭიქა და ნელა შეუდგა სმას.

– არა, ერთი შეხედვით, გოგოებო, ამათ – რა კაბები აცვიათ, რა სამკაულები უკეთიათ! – დაარღვია უხერხული ღუმილი ნინიმ, ალბათ იმისთვის, რომ რაღაც ეთქვა. აყვნენ.

– ჰო... აბა, რომელ ამათგანს მოუვა თავში აზრად თვითმკვლელობა?

– შენ ეგა თქვი და!

– რატომ? თავთავისებური პრობლემები ყველასა აქვს. ალბათ ამათაც ექნებათ!

– პრობლემებს გააჩნია!

– გახსოვთ, კენედის ნაცოლარის, ჟაკლინას კაბების ღირებულება რომ ეწერა გაზეთში? მეფის შთამომავალი არ ბრძანდებოდა, მაგრამ რამოდენა სიმდიდრის მფლობელი ყოფილა თურმე ის ქალბატონი!

– ონასისის წყალობით!

– ვისი წყალობითაც იყო, ხომ ჰქონდა?

– მე მგონი, არც მანამდე უჭირდა მაინცდამაინც...

– ისე, მე რომ მკითხოს კაცმა, მილიონობით ჩვეულებრივი ადამიანისთვის, ძლივს რომ გააქვს თავი, სადღაც შეურაცხმყოფელია ქონების ასეთი აფიშირება! ვინც უნდა იყოს ის!

– შეიძლება მართალი ხარ, მარიკა. მართლაც არის ამამი რაღაც... პლებეური, მდაბიური თავმოწონება, აი, შემხედეთ, რა მდიდარი ვინმე ვარო.

– შენი და ჩემისთანების აზრი სულ ფეხებზე არ ჰკიდიათ ამ გაქსუებულ მილიარდერებს, მთელი მსოფლიო ხელში რომ უჭირავთ ფულის წყალობით. შენ ვის დაკარგვიხარ!

– ისე, რა მალე დაივიწყა მაგ ქალბატონმა თავისი სახელოვანი ქმარი!

– აბა, ახლა ქართველი ქალივით დაჯდებოდა და წლობით იგლოვებდა. ნეტაი შენ! ეგენი მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობენ...

– ჰოდა, სწორადაც იქცევიან. ამ ქვეყნად ერთხელ მოდიხარ და თუკი შეგიძლია, სწორედაც ისე უნდა იცხოვრო, როგორც გინდა, როგორც გსიამოვნებს...

– ნუ გეშინია შენ, არც ჩვენი, კომუნისტური ნომენკლატურა თუ პარტოკრატია ამათზე ნაკლებად არ გრიალებს შინ თუ გარეთ! მათ ძვირფას თანამეცხედრეებსაც არანაკლები ღირებულების კაბები აცვიათ და მათ სამკაულებსაც ჟაკლინაც წუნს ვერ დასდებს!

– გაჩუმდი, თუ ქალი ხარ!.. ონასისის საგანძურთან თავვის ცურცლის ხელა თუ გამოჩნდება ჩვენებურების ავლა-დიდება – ერთად აღებული! თქვა ამანაც რა!..

– იცინეთ, იცინეთ თქვენ! ჩვენი ხელფასის პატრონებს სასაცილოდ გვაქვს სწორედ საქმე!

– შეხედეთ ერთი მართლა, რა ბრწყინვალეაა!.. რა ფუფუნებაა!.. „უყვარდა ჩუმაღ, თავისთვის. მანამდე არავინ ჰყვარებია! არც იგი ჰყვარებია ვინმეს! იყო თავისთვის. თავის ოცნებებსა და ზმანებებში!“

– ნეფე-დელოფლის კორტეჟი ნახეთ!.. ამას ზომ ახლა თითქმის მთელი მსოფლიო უყურებს ალბათ!

– ისე, პრინცი უფრო წარმოსადეგი და უფრო სიმპათიურია, ვიდრე პრინცესა!

– რატომ, რატომ? პატარძალიც კაი გოგო ჩანს! რას ერჩი? ჯიში მაინც ეტყობა...

– ჯიში არა!.. ამისთანა გოგოებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხედები ჩვენში!.. ერთი ამათი დედოფალია კიდევ ჯიშიანი!.. კოლმეურნეობის მწველავსა ჰგავს!

– ოჰ, რა მწარე ენა გაქვს შენ, ნინი!.. ყველაფერი უნდა გააბიაბო!.. ამით რომ არისტოკრატია ჰყავთ და ამით დედოფალს რომ სიმდიდრე აქვს...

– კოლონიებიდან ნაძარცვი!.. ერთი ჩვენს დღეში ყოფილიყვნენ, საუკუნეების განმავლობაში სისხლში რომ ვცურავდით, მაშინ ვნახავდი, რა თვალ-მარგალიტებს დააგროვებდნენ!

– მარიკამ ცხადია, მომენტი არ გაუშვა და პატრიოტული „რეჩი“ დაურტყა!.. ახლა თამარის ხანა არ მოინატრო, თუ და ხარ!

– და თამარის თავმდაბლობა! მართლაც ზღაპრული სიმდიდრე რომ ჰქონდა და თავი კი ისე ეჭირა, თითქოს არაფრის მქონებელი იყო! შიშველი გამოვედ დედის მუცლიდან და შიშველს მეგუელების წარსვლადო!

– დაწყნარდით, გოგოებო, და მოშმინდით! ამ ქვეყნად ყველაფერი ამოაა მაინც! ყველაფერი დანაცრდება და მტვრად იქცევა, პაიკიან-დედოფლიანად!.. ყველანი მხოლოდ თავს ვიტყუებთ ჩვენივე მოგონილი თამაშით. ესაა და ეს!.. ამოება ამოებათა და ყოველივე ამო არს!

„პლატონური სიყვარული! ჰმ! ვინ წარმოიდგენს ამას ამ ჩვენს გათახსნირებულ დროში! როცა აქ ფარულად, ხოლო იქ ამკარად მხოლოდ სექსი ბატონობს – შიშველი, ურცხვი სექსი!

ღმერთო ჩემო! მისი სახელის ხსენებაზე როგორ გაებადრებოდა ხოლმე სახე, თვალები როგორ აუციმციმდებოდა!.. რა მშვენიერი იყო მაშინაც, გიტარაზე რომ უკრავდა!.. ღმერთო ჩემო! სულ სხვა ქალი ხდებოდა – მომხიბვლელი, სანდომიანი...“

– ჩემმა მზემ, პრინცი მართლაც უფრო მიმზიდველი ჯეელია!

– ღმერთო! რა ბედნიერები არიან მართლაც!

უცებ ჭიქაში ჩარჩენილი ყავის ნალექი ტელევიზორის ეკრანს შეასხა.

– წავიდნენ ამათი... – კბილებში გამოსცრა გინება და ზეზე აიჭრა, წამიც და... კარის ჯახუნმა თითქოს მთელი ოთახი შეაზანზარა.

ნირწამხდარ, სახტად დარჩენილ ქალებს განძრევა ვერ მოეხერხებინათ. პირველი ნატა გამოერკვა:

– ჩემი სიკვდილი! ნერვებმა უმტყუნა... ძალიან განიცდის... ოთხი წელი ერთ ოთახში ისხდნენ, მეგობრობდნენ... ძალიან განიცადა... ბებიის სიკვდილსაც ვერა და ვერ შეგუებია ჯერაც... თუმცა... გარეგნულად არ იმჩნევს...

– რასაკვირველია... ცხადია...

– ძნელია შეეგუო ასეთ თავზარდამცემ ამბავს...

– საშინელებაა პირდაპირ!..

– საცოდავი ქალი! როგორ უნდა გამწარებულიყო, რომ ასეთი ნაბიჯი გადაედგა, ასეთ ცოდვაში ჩაედგა ფეხი...

– არის ამ საქციელში რაღაცნაირი გაბედულებაც... ვაჟკაცობაც, თუ გნებავთ!

– არა, არ შეიძლება! დაუშვებელია! თვითმკვლევობა – დიდი ცოდვაა!.. უპატიებელი რამაა!

მერე... სტუმრები ერთიმეორის მიყოლებით გაიკრიფნენ.

...საძინებელ ოთახში, საწოლზე პირქვე დამხობილი, ორივე ხელით ჩაფრენოდა ბალიშს. „მემოვა ახლა. დამადგება თავზე და... დაიწყება! ასე როგორ შეიძლება! ეს რა ჰქენი სტუმრებთან?“

– ლიკა, ეს რა ჰქენი?.. რა მოგივიდა... ასე როგორ შეიძლება?

ერთბაშად წამოვარდა საწოლიდან და დას სახეში შეაფრინდა ხელის პარჭყვით:

– შენ მეკითხები, რა მოგივიდაო? შენ? შენ?.. კი მაგრამ, შენ თვითონ რა მოგდის?.. ჰო, შენ! რას მიყურებ გაშტერებით?.. ამხელა ქალი, ორმოც წელს მიტანებული, მიჯდომიხარ ტელევიზორს შენ უმაქნის, შინაბერა დაქალებთან ერთად და... ყავის სმაში, მარჩიელობასა და ჭორაობაში ატარებთ დროს!..

შენ, შენ რა გემართება-მეთქი, ჩემო ძვირფასო დაო?.. იმის ნაცვლად, ერთი ხუთი შვილი მაინც გეხვიოს გარშემო, ოჯახს

დაგურგურებდე, მეუღლეს თავს ეკლებოდე, რაღაც სისულელებში კარგავ დროს!..

კი, ბატონო, კვირაში რამდენიმე საათს უტარებ გაკვეთილებს „გეპეის“ გამოყვეჩრებულ სტუდენტებს და... კიდევ რაღაც-რაღაცეებს თარგმნი თითქოს... ესაა და ეს! სხვას რას აკეთებ-მეთქი? რაში ხარჯავ ენერჯიას?

უწყვეტად მოედინებოდა, სიტყვების ნაკადი, თითქოს თვითონვე იწვევდა შიგნიდან მრისხანებას და თვითონვე იხრჩობოდა თავის სიბრახეში – აცახცახებული, თვალებგადმოკარკლული, სახეგაფითრებული, და რაკილა შეცბუნებული უფროსი და არ ეპასუხებოდა, უფრო და უფრო მძვინვარდებოდა და მწარე, გესლიან სიტყვებს ტყვიასავით აყრიდა. თანაც, ქვეცნობიერად სწაღდა, წყობიდან გამოეყვანა, რომ მერე უფრო მოეკლა მისთვის გული, უფრო გაეწბილებინა.

– რას გაჩუმდი? გემწვავა ხომ?.. არ მოელოდი შენი „პატარა“ დაიკოსგან ამგვარ რეაქციას? აკი, შენი გაზრდილი ვარ! ხოლო, აი, მე თურმე როგორი უმაღური და გულბოროტი აღმოვჩნდი, ხომ მართალია? ხომ ამას ფიქრობ ახლა?

– დაწყნარდი, გენაცვალე... დამშვიდდი. ახლავე მოგიტან ვალერიანის წვეთებს...

– არ მჭირდება შენი ვალერიანის წვეთები!.. რაც თავი მახსოვს, გადაყოლილი ხარ სხვებს... ჯერ ლოგინად ჩავარდნილ ბებიას უვლიდი, მერე მამას, მე – უდედურს – დედობას მიწვედი. პატარაობიდანვე უცხო ენაზე, მუსიკაზე დაგყავდი. რა მერე? რა მიიღე სანაცვლოდ?.. კარგად მახსოვს, რა ტანაშოლტილი, ლურჯთვალება, ლამაზი გოგო იყავი! რა მერე? დარჩი ასე გაუთხოვარი. გაუთხოვარი ხარ, აბა რა? ცვედანი და ნარკომანი ქმარი შეგხვდა და ექვს თვეში გაეყარე. უფრო დიდხანს უპირებდი ნამუსის შენახვას იმ ნაძირალას, აღარ გამოგივიდა ოღონდ!.. ახლაც თვალში მოსახვედრი დედაკაცი ბრძანდება. რა მერე? რა-მეთქი? ზედ ვინ გიყურებს? თუკი თავად ლოგინში არ ჩაუგორდი ვინმეს, რომელიც შეიძლება შენი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირდეს!

– კარგი, გაჩუმდი, გეყოფა!

– არა, არ მეყოფა, არ გავჩუქდები!.. ვიღაც პრინციისა და პრინციესას ქორწილს შესციცინებთ შენ და შენი ჭკუისკოლოფა დაქალები... რაო, რამ გაგაკვირვათ? რითი გჯობია შენ ის პრინციესა? რითი?... ერთი ჩვეულებრივი გომბიოა... ან რა დამსახურება მიუძღვით კაცობრიობის წინაშე, ასეთი პატივითა და ზარზეიმით რომ იხდიან მათ ქორწილს და ლამის მთელ მსოფლიოს აყურებინებ ამ ცერემონიალს? რა?... მარი კიურია ერთი და მოცარტია მეორე, თუ რა? ვინ არიან ბოლოსდაბოლოს, გეკითხები? მხოლოდ ის, რომ სამეფო სახლში დაიბადნენ – აგერ, გუშინ გამოჩეკილი ღინასტიის ნაშიერებად! ესაა და ეს!..

არ მითხრა ახლა, უსამართლო ხარო, შური გალაპარაკებსო, ქორწილებს ყველა ქვეყანაში, ყველგან და ყველა წრეში, მით უმეტეს სასახლეებში, პომპეზურად აღნიშნავენო. კი. ასეა. ასეა! მაგრამ მე რა შუაში ვარ? მე რატომ უნდა მიხაროდეს განსაკუთრებულად? რატომ უნდა დავტკბე მათი ბედნიერების ხილვით? რატომ უნდა ვზვიამობდე, როცა ვიცი, რომ ხვალ ან ზგ ან ერთი გაიჩენს საყვარელს, ან მეორე, ან ერთდროულად იმრუშებენ და მერე სკანდალურად განქორწინდებიან, პოლიუდის ე.წ. ვარსკვლავებით. – მათი გარყვნილი და უზნეო ცხოვრების, უფრო სწორედ, ჯამბაზობის და მატრებაზობის წვრილმან და პიკანტურ დეტალებს რომ ლამის ბუკ-ნალარით ამცნობენ მთელ ქვეყნიერებას!..

კერპთაყვანისმცემლები განა მარტო პოლიტიკურ მოღვაწეებს ჰყავთ?... ჰოდა, ფანატიკური მასა სიამოვნებით და ხარბად კენკავს სიბინძურეში აზელილ ჭორსა და მართალს!.. ამ დროს კი – ბევრს ლუკმა-პური ენატრება, გესმის? ლუკმა-პური... დედამიწის ნებისმიერ კონტინენტზე!..

ფილანტროპობაზე არ ვდებ თავს, ბატონო, არა! მაგრამ შენ, შენ რა გიხარია, მხეიძის ქალო?... ბრბოს ფანატიზმით იწონებ თავს, არა? არადა, ჩვენი გვარი ხომ ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში ბრწყინავდა!.. სახელოვანი მამულიშვილებისა და რაინდების შთამომავალი ხარ!.. ყოველ შემთხვევაში, ასე გვაუწყებენ ჩვენი ისტორიული ქრონიკები...

– ჩვენი გვარი რა შუაშია, ლიკა გენაცვალე?... ესენი ევროპის უწარჩინებულესი სამეფო ღინასტიის წარმომადგენლები არიან, ესეც არ იყოს...

– მიმიფურთხებია მაგათი უწარჩინებულესი დინასტიისთვის – აგერ ჯერ კიდევ გუშინ მათი წინაპრები, ფართალს რომ ჰყიდდნენ... სარფიანად!

არ მითხრა ახლა ვაჭრობა განა საძრახისიაო. არა, ბატონო, არა! ოღონდ – როცა ყველამ თავ-თავისი ადგილი იცის! დღევანდელი მაგნატების წინაპრები ხომ ყველანი თავის დროზე მეჯღან-უაშვილები და გობსეკები იყვნენ. ჰოდა, ყველა ამათთვის ერთადერთი სალოცავი და სათაყვანებელი კერა – ფულია, ანუ ყვითელი ემმაკი, რომელზეც გვარსაც იყიდიან, დინასტიასაც, მონარქიასაც, ქვეყნებსაც და ხალხებსაც, და საერთოდ, სუყველაფერს ამ ცისქვეშეთში და... ყიდულობენ და ყიდიან კიდევც!.. მეზიზღებიან, მეზიზღებიან, თავის ფულის ტომრებიანად, სუყველანი!

არეული სახით დარბოდა აქეთ-იქით, წამით საწოლზე წამოჯდებოდა თვალანთებული, სახე გაკერპებული, მერე ისევ ზეაიჭრებოდა და იწყებდა უთავბოლო მონოლოგს და სირბილს, თითქოს თავის თავს უფრო ეპაექრებოდა და ედავებოდა:

– მამაჩემის მოძღვრების თანახმად, გესსომება ალბათ, მხოლოდ პატიოსანი შრომით და ცოდნით მიიღწევა თურმე წარმატება და ყოველი სიკეთე ამ ქვეყნად! ჰა, ჰა, ჰა... – სიცილი აუვარდა ერთბაშად, მერე უცებვე შეწყვიტა და დონინჯშემოყრილი წინ დაუდგა ადგილზე გაშეშებულ დას:

– კი, ბატონო! პატიოსნად ვიცხოვრე აქამდე: ოცდარვა წლამდე!.. არ მომიპარავს. არ მისიძვია. ღმერთი. ხატი. რჯული!.. არავინ მომიტყუებია... ცილი არავისთვის დამიწამებია – უფრო ჩემთვის დაუშავებიათ, ჩემთვის უტკენინებიათ გული...

რა მერე?.. რას მივალწიე? 80 მანეთი თვეში და კორექტორობა „პრესტიჟულ“ გაზეთში – ისიც ნაცნობობით! აი, რას მივალწიე ამ ექვსი წლის განმავლობაში!.. თუ ზურგს არ გიმაგრებს გავლენიანი ბიძა ან ფული-ნული ხარ! მათხოვარი! ასეა ეს ჩვენს „დიად, სოციალისტურ სამშობლოშიც“ – თანასწორობისა და სამართლიანობის ეტალონად რომ მიიჩნევს თავის თავს მთელს მსოფლიოში და – ასეა ყველგან! ყველგან! არადა, არავისზე ნაკლები არ გახლავარ არც ნიჭით, არც განათლებით, არც თუ

გნებავს – გარეგნობით. წერთაც სხვებზე ნაკლებად არ ვწერ. კარგი ექიმის შვილებიც ვიყავით, ძველი, ტრადიციული ოჯახიდან, თუმცა ექიმის, რომელიც პრინციპულად არ იღებდა პაციენტებისგან ფულს, პრინციპულადვე არ შევიდა სატანების პარტიში და რიგითი ექიმის სახელს და ჯამაგირს დასჯერდა!..

ჰოდა, როცა მოკვდა, სულ ოციოდე მანეთი აღმოაჩნდა „დანაგროვები“ თანხა.

ეს იყო და ეს!.. და მეგობრებმა და ნათესაობამ ლამის სამოწყალოდ დამარხეს!..

ღმერთო ჩემო, რო გამახსენდება!..

ვიცი, ვიცი ახლა რასაც იტყვი, სამაგიეროდ პატიოსანი კაცის სახელი დატოვაო... რომელიც არავის სჭირდება დღეს, გესმის? არავის! და არც არასოდეს სჭირდებოდა ვინმეს... მხოლოდ მოსაჩვენებლად და ფარიველურად თუ აქებ-ადიდებენ „ღირსეებს“, რომელიც... არც შენ და არც მე პურს არ გვაჭმევს, ჩემო ძვირფასო დაიკო!..

მოზრდილები ვართ და ჩვენს თავს ჩვენ თვითონ მივხედოთო, მეტყვი ალბათ.

კი, ბატონო, მაგრამ რომ არ გამოდის არაფერი? ხელფასიდან ხელფასამდე რომ ძლივს გაგვაქვს თავი?.. არადა, მომბეზრდა, გესმის? უკვე მომბეზრდა ასეთი ყოფა!..

ერმიტაჟს ვინლა ჩივის, საზღვარგარეთზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – მოსკოვში ვერ ჩავსულვარ, ისე, საექსკურსიოდ! როცა ძალლი და კატა, ვინ არ დარბის აქეთ-იქით, აღმა-დაღმა!

ისევ გაჩუმიდა ერთ ხანს, მერე თავი გაიქნია და ხმამაღლა, თითქმის ჩურჩულით განაგრძო: – ახლა უცებ სიკვდილი რომ მეწვიოს, რა უნდა მოვიგონო სულის ამოსვლისას, რომელი სასიამოვნო, ტკბილი წამები, რომელი ახდენილი ოცნება გავისხენო?

ისევ წამოვარდა საწოლიდან:

– არა. მორჩა. გათავდა. აღარ მინდა ასე გაგრძელებს! უკვე ყელში ამოვიდა სუყველაფერი!..

სხვათა შორის, აქამდე ვაკეთებდი იმას, რაც მამაჩემს უნდოდა, რაც შენ გინდოდა, ბებიას, ბაბუას... დღეის ამას იქით მოვიქცევი როგორც... მე მინდა! როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ. მორჩა და გათავდა!

ალეწილ-გავარვარებულ სახეზე წამით თვალები გაეყინა, მერე ძლივს გასაგონი ხმით აბუტბუდტა: – იმასაც... ეტყობა იმასაც მობეზრდა, გესმის? მობეზრდა უაზრო, უმიზნო, უფუნქციო არსებობა... უღიმღამო, უფერული, უსიხარულო ცხოვრება!..

მერე ისევ ხმას აუწია, შეიმართა, თვალებიდან კვლავ ნაპერ-წკლები დაყარა:

– კარიერაზე არასოდეს უფიქრია – რომც ნდომოდა, ვინ მიაშავებდა კარგ ადგილს! ვინ დააწინაურებდა! უბრალო, ჩვეულებრივ ქალად ყოფნა მოენატრა, გესმის? რომელიც უყვართ და რომელსაც... უყვარს! ალერსი და სითბო მოენატრა... ერთხელ გამომიტყდა, არასოდეს თავყვანისმცემელი არ მყოლია, არასოდეს არავის ჩემთვის ყვავილი არ მოურთმევეიაო. გესმის? ღარიბი ძმის ოჯახში თავისი კუნჭულიც არ გააჩნდა... თითქმის ერთი კაბით დადიოდა წლების განმავლობაში, გესმის?.. ერთი კაბით! მხოლოდ ოცნებები და ილუზიები ჰქონდა თავზე საყრელად! და... ასე გავიდა წლები... ოცდათექვსმეტისა გახდა ამასობაში, ოცდათექვსმეტისა! გესმის? უკან დარჩა ახალგაზრდობა – უსიყვარულოდ, უხალისოდ, უსახურად გავლილი წლები!

ჰოდა, იქ, სულის სიღრმეში გროვდებოდა ალბათ პროტესტის გრძნობა. რატომ, რისთვის ასეთი სასჯელი? და რამდენია ასეთი ჩვენს გარშემო? რამდენი?..

...მართალია, გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, არაფერს. თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. იყო თავისთვის კვლავინდებურად მშვიდი, წყნარი, მომთმენი და ყველას მიმართ საოცრად კეთილგანწყობილი!.. მაგრამ მის გულში, ვინ იცის, რა ცეცხლი ტრიალებდა!..

ჰოდა, თავისთვის შექმნა... არარაობისგან შექმნა იდეალი! არაკაცისგან, ბითურისგან გამოიგონა ღიდი ვაჟკაცი! გესმის? გესმის, რა საშინელებაა ეს? რამხელა ტრაგედიაა!.. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

ისევ გაჩუმიდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ აჩურჩულდა:

– მაგრამ... ოცნებაც არ აპატიეს... ჩვენში ხომ ხშირად ის გვიკითხავს მორალს, ვინც თავად ამორალურია!.. ზნედაცემულია! იმან კი, იმან, მისმა გულის რჩეულმა ერთი სიტყვითაც არ დაიცვა, გესმის? საერთოდ, ხმა არ ამოუღია თურმე! არადა, ამ ზვადავის

წინ თათხავდნენ მართალ, სუფთა, წრფელ ადამიანს!.. გესმის? ვერ გაბედა ენის დაძვრა იმიტომ, რომ... ლაჩარია, მხდალია, ახვარია!..

დარწმუნებული ვარ, ამან, ამ სულმდაბლობამ ყველაზე მეტად ატკინა გული ალბათ, ამან, ამ არაკაცობამ მოსპო და არა აშარაშკა, ნა-რი დედაკაცის ქურქურმა ლანძღვა-გინებამ და უკეთურმა საქციელმა!.. ასეა ჩემო დაია, ეს! ასეა!.

– გასაგებია, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ... შენ... რას უშველი შენ... შენი განცდებით?

– მაშ, როგორ მიბრძანებ განვიცადო?.. სხვათა შორის, მეც ასეთი პერსპექტივა მელოდება!.. დიახ! ზუსტად ასეთი! არ მითხრა ახლა... გივას რატომ არ მიყვებიო, სკოლიდან რომ უყვარხარო! მე არ მიყვარს და იმიტომ! გასაგებია? არ მიყვარს! მორჩა და გათავდა! დანარჩენი... ნაგავი აღმოჩნდა ყველა, ვინც შემხვდა. ჩემს ირგვლივ ღირსეული, საცოლო ბიჭს რომ ეძახიან, არ გაჭაჭანებულა... გასაგებია? და ეს შენ ჩემზე უკეთესად იცი... არ ვიძახი, მეფრთიანი ანგელოზი ვარ-მეთქი, მაგრამ... არ მინდა კომპრომისული გარიგება, ანუ უსიყვარულო ცოლქმრობა და საერთოდ... კაცის და ქალის სექსუალური ურთიერთობა რომ ჰქვია, დიდი სიყვარულის გარეშე – ჩვეულებრივ მაკინტლობად მიმაჩნია – მეტი არაფერი! გესმის? მეტი არაფერი. ჰოდა, არ მსურს პირუტყვი ვიყო, გესმის? მინდა პიროვნებად დავრჩე. ღირსება შევინარჩუნო, ყოველ შემთხვევაში... ასე ვფიქრობდი აქამდე!.. დაარქვი თუ გინდა ამას ამპარტავნობა, რაც გინდა ის დაარქვი! სულ ფეხებზე მკიდია, უკვე! და კლევ: გაბოროტება არ მალაპარაკებს ამას – არა! შენ კარგად იცი: ბავშობიდან ვერ ვიტანდი უსამართლობას! არც ჩემს თავს ვპატიობ ხოლმე სიმრუდეს!..

ბალიშში ჩაემხო კვლავ და მხრები კონვულსიურად აუთახთახდა.

– იქნებ... ილოცო?... მოგეშვება...

– ვილოცო?! – ისევ წამოიჭრა საწოლიდან და თვალები ავად დააკვესა: – ვილოცო რაზე? ხომ ღვთის გაჩენილი ვარ? მაშ, ღმერთმა უკეთ არ უწყის ჩემი გასაჭირი?... ჩემი სურვილი, ნატვრა, თუ ოცნება?... რა მინდა და რა არა?... რა ვთხოვო მუხლმოდრეკით?... რას ვევედრო? ანდა, ვერ ხედავს – სხვისი ყურმოჭ-

რილი მონები რომ ვართ? ათეისტურ ნახირად რომ გადაგვაქციეს წითელმა სატანებმა?

– მაშ რა ვქნათ?.. არ ვიცოცხლოთ მართლა?

– მე არ მინდა ასეთი სიცოცხლე, გასაგებია? არ მსურს!.. დაიცა... როგორ... როგორ ამბობს ანტიგონე? ღმერთო, გამახსენე!.. ჰოო... „მე მინდა ყველაფერი... და ახლავე, ამ წუთას. დაე, ჩემი ბედნიერება იყოს სრული. არადა, სულ არ მინდა იგი. არა. მე სულაც არ მსურს ვიყო მოკრძალებული და დავეძაფოფილდე რაღაც მოწყალებით, რომელიც მომიგდეს მე მორჩილების აღსანიშნავად... მე მინდა ჩემი ბედნიერება იყოს ისეთივე მშვენიერი, როგორადაც მე იგი მესახებოდა ჩემს ბავშვურ ოცნებაში თუ არადა, დაე, მოგკვდე, ნუღარ ვიცოცხლებ!“ – ჟან ანუი. ანტიგონე! – უცებ თეატრალური შესტითა და ხმით დაასრულა ციტატა, თავი დაუკრა პირლიად დარჩენილ, თვალებგაფართოებულ დას, შეტრიალდა და ციბრუტივით გავარდა ოთახიდან.

...რამდენჯერმე აუქროლ-ჩამოუქროლა წიგნების უზარმაზარ კარადას მტრული, ალმაცერი მხერით.

მერე შეჩერდა. ხელები გაშალა:

– ოჰ, ჩემო ძველო მეგობრებო!.. თქვენ რას მეტყვით ნეტაი?.. რით მანუგეშებთ?.. ეგების არ მეთანხმებით „რაღაც-რაღაცებში“ ჰა?.. სისულელეებს ვროშავ განა?.. ჰა, ჰა, ჰა...

დარბაზში თავი შემოჰყო ნატამ.

– გამომდიე, ხომ?.. ნუ შიშობ. ჯერ არ შევშლილვარ!.. ისე, ჩემთვის ვიცინი... – პაუზა და მერე: – ამათ შეხედე ერთი, რამდენია?.. მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, ლამის ძალით მაკითხებდი, თან განრიგს მიდგენდი, რა – როდის წამეკითხა!.. ა, ბატონო! ეს „საუნჯე“ – მამაპაპეული – სულ გადაბულბულეული მაქვს. რა მერე?.. რა მომცა? რაში გამომადგა?

ისევ ისევ გრძელდება სიკეთის დაუსრულებელი ჭიდილი ბოროტებასთან, ვით წმინდა გიორგის მოქნეული ბოძალი, რომელიც ვერა დ ავერ კლავს გველეშაპს!.. არ კვდება ის გველეშაპი და ჰე, იძახე: ბოროტსა სძლია კეთილმანო...

პოეტის ნატვრად და ოცნებად რჩება ალბათ ეს შეგონება, ანუ ვითარცა უდაბნოსა შინა ღალადი, გესმის?.. ამ ქვეყნად ბოროტება

მძღაგრობს ყველგან. ბოროტები გალადებულან... ჩემშიც, ჩემს გულშიც ხანდახან ბოროტი სძლევს ხოლმე კეთილს: კი. კი. ასეა ეს! ბებო ლოგინად რომ იყო ჩავარდნილი, ერთი-ორჯერ გავიფიქრე კიდევ, ნეტაი, მალე მოკვდეს-მეთქი, რადგან... ჩემი აზრით, ტყუილუბრალოდ წვალობდა და სხვებსაც, უფრო სწორად, შენ გაწვალებდა! თითქოს ბებოს სიკვდილით ყველანი მოვისვენებდით!.. დიახ, დიახ, ასე გავწირე ჩვენი გამზრდელი ბებია!..

მამაჩემზეც აუგი აზრები არ მასვენებდა დრო და დრო!.. მართალია, დედინაცვალი არ მოუყვანია ჩვენთვის, სახლში, მაგრამ საყვარელი რო ჰყავდა – გუნებაში არ ვპატიობდი! არ ვპატიობდი დედაჩემის ხსოვნის ღალატს – ასე ვნათლავდი მის საქციელს!.. არ ვპატიობდი იმასაც, რომ მარტო ეს ბინა და წიგნები და ბებიის ნამზითევი, ადამისდროინდელი როიალი რომ დაგვიტოვა მხოლოდ! რომ შეეძლო და არ ინდომა უზრუნველყოფილი ცხოვრება „ავაზაკი“ კომუნისტების ხელში! და ერთ ჩვეულებრივ, უბრალო ექიმად მოკვდა. – ისევ გაჩუმდა წამით, მერე კვლავ აჩურჩულდა:

– ჩემს გულში რუსიკოსაც არ ვპატიობდი და ჩემთვის... უჩუმრად კვილავდი კიდევ, რამ შეაყვარა ეს არარაობა-მეთქი. მხოლოდ... შეხედულებით რომ ბრჭყვიალებს და... მეტი არაფერი! მეტი არაფერი!

ანაზღეულად სიტყვა ბაგეზე მიეყინა. თვალები შუბლზე აუცვივდა – ოთახში არავინ იყო! სანამ რაიმეს მოისაზრებდა, ნატა ისევ გამოჩნდა... წყლით სავსე ჭიქით ხელში.

ისტერიული სიცილი აუტყდა კვლავ.

– ვაიმე, დედა!.. რა შეშინებული სახე გაქვს, გოგო!.. ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო! – ნატა კვლავ სარგადაყლაპულივით იდგა და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მერე სუსტმა, მოკრძალებულმა ღმიღმა შეურხია ტუჩ-პირი. მერე... თავადაც გაეცინა როგორც ხმადაბლა, ხათრიანად.

– ჰო, კაი, კაი, მომეცი ჭიქა!.. ნუ გეშინია, შენ არ შეგასხამ! – ისევ გაეცინა, ოღონდ როგორღაც უგემურად, ნაძალადევად და ერთბაშად გამოცალა ჭიქა. მერე ღრმად მოითქვა სული და სავარძელში ჩაეშვა. ორივე მკლავი მოწყვეტით დაუცვივდა სახელურებზე. თავი ჩაჰკიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ალაპარაკდა:

– პრინცს და პრინცესას ყავა რო შევასხი ეკრანზე, წამით შენი მზერა დავიჭირე... ოჰ! რა სიფათი გქონდათ შენ და შენს დაქალებს! ჰა, ჰა, ჰა... – კვლავ თეატრალურად გაიცინა. მერე უცებ სახეზე ხელის გულები აიფარა და... გაიღურსა.

ღუმილი დიდხანს გაგრძელდა.

მოულოდნელად მხრებზე დის მკლავები იგრძნო. ნატა ეხვეოდა და ჩუმად, სათუთად ჰკოცნიდა თმაზე, ლოყებზე, კისერზე, თან ცრემლი ლაპალუპით ჩამოსდიოდა თვალებიდან.

– ნუთუ... ნუთუ მართლა არაფერი გახსოვს კარგი, გენაცვალე?... ნუთუ მხოლოდ ცუდი გინდა მოიგონო?... ბედნიერი, სასიამოვნო წუთებიც ხომ გვქონდა?... გული მიკვდება ასეთ დღეში რომ გხედავ... ნუთუ თუნდაც ჩვენი სიყვარული – ჩემი და შენი სიყვარული – არაფერს ნიშნავს, სულ არაფერს? შენ შემოგვევლოს შენი ნატა, ჩემო პატარა დაიკო...

შეიმშუმნა. სახე დაელრიჯა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ჰო, კარგი. კარგი. ეს სენტემენტალურობა მაკლდა ახლა... წადი, შენს ოთახში, დაისვენე!.. ნუ გეშინია, მეტს აღარ „ვიბუნებ“... – წამიერად იყუჩა და: – ცოტა ხანს დავრჩები აქ. მარტო მინდა ყოფნა!..

ნატა, მცირე ყოყმანის შემდეგ, უსიტყვოდ, ფეხის თრევით გავიდა ოთახიდან – თითქოს უკან რაღაც უხილავი ძალა ექაჩებო.

...ერთხანს იჯდა გარინდული. თვალებდახუჭული, ვნებაჩამცრალი. გული მოღლილად უცემდა.

ღამის მყუდროებას და სიჩუმეს ჩქამიც არ არღვევდა. ძალაგამოლეული გული უკვე ყელში არ აწვებოდა. გამოცარიელებულ თავში კი მოულოდნელად ისევ ისე ახშიანდა ანტიგონეს სიტყვები: „დაე, მოვკვდე, ნულარ ვიცოცხლებ!“

სწრაფად წამოდგა. თავი გაიქნია. თითქოს მოშორება სურდა ამ აკვიატებული აზრის თუ ფრაზის.

როიალთან მივიდა. რამდენიმე აკორდი აიღო.

...,მამას უყვარდა ეს მელოდია. და საერთოდ შოპენს აღმერთებდა. იშვიათად თუ მიუჯდებოდა ინსტრუმენტს, მაგრამ როცა მოეგუნებებოდა, თავდავიწყებით იცოდა ხოლმე დაკვრა. მუსიკის

ჰანგში იძირებოდა სულით-ხორცამდე. ალბათ ასეთ დროს გულს იონებდა, უამურ ფიქრებსა და უემურ აზრებს გაუბოდა“...

ცრემლი მოაწვა თვალზე უნებურად. თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი, თითქოს გუშინ უკრავდა მამა ამ სონატას... არადა, სამი წელი გავიდა უკვე, რაც აღარაა...

ღმერთო დიდებულო! გაზეთს კითხულობდა კაცი – სავარძელში მჯდარი და უცებ... გათავდა. ცხედრად იქცა. უსულო, გაქვავებულ ლოდად. გაყინული, ცივი ქვის ნატეხად! ნაიარევმა გულმა უმტყუნა, თავის თავის მიმართ უყურადღებობამ და დაუღევირობამაც!

...დაკვრა ერთბაშად შეწყვიტა. ფანჯარასთან მივიდა. კვლავ მოედგა წამით მიყურებული დარდი. კვლავ დადგა ფიქრების კორიანტელი. კვლავ ტან-იოგში შეუძვრა მოუსვენრობა და წრიალი.

კვლავ შფოთვა, ჭიდილი და პაექრობა ვილაცასთან თუ... საკუთარ თავთან!

„ნეტა, რას მეტიჩრობ?... რას მისტირი?... მართალია, ბალერინობა ოცნებად დარჩა – მამას ბალერინობას ვერ უხსენებდი... თუმცა, ეგ ამბავი საოცარი კი იყო: მუსიკისმოყვარული კაცისთვის!..

მაგრამ თუნდაც, დიდი მოცეკვავე გამოსულიყავი, რა მერე?... რა შეიცვლებოდა ამით?..

კი. გექნებოდა სახელი, პატივი. იქნებ დიდებაც. არ მოგაკლდებოდა, ვთქვათ, ხალხის აღტაცება და ოვაციები (თავის გამოჩენის სურვილი ვის არა აქვს! თვითდამკვიდრებას ვინ არ ესწრაფვის!) გექნებოდა შემოქმედებითი სინარული და თუნდაც პირადული ბედნიერება – გეყოლებოდა ღირსეული, მოსიყვარულე მეუღლე!..

რა მერე?... აქვს კი რაიმეს მნიშვნელობა, ან აზრი, ამ უაზრო წუთისოფელში, საცა ვიბადებით თუ არა... იქვე საფლავიც მზა არის!

„აი, ხომ ხედავ?... რა მართული ხართ მიწისშვილები დედამიწაზე? – არც მოსვლას გეკითხებიან და არც წასვლას!.. ასეთია თქვენი ხვედრი სააქაოში!“

„ა, ა, შენ მოხვედი!.. გამომეცხადე!.. სხვა დროსაც მეჩითებოდი ხოლმე ხანდახან!.. მესმის, განა არ მესმის, რისი თქმაც გსურს!.. დიახ, უნდა გამოვტყდე: ვერ ვეგუები ჩემს ხვედრს ვერასდობით!..

მინდა ჩავწვდე ჩემი არსებობის, ყოფიერების საიდუმლოს.

რისთვის მოვედი, რატომ მივედივარ, სად მივედივარ? და... მინდა ვიყო თავისუფალი და... ვიმოქმედო მხოლოდ ჩემი გონის კარნახით, მაგრამ...“

„ვერა. ვერ შეძლებ ამას!.. ტყუილია!.. ვით ეგების შექმნილი იყოს თავისუფალი – შექმნილისგან?.. განა თავის მიერ გაკეთებულ თოჯინას, ხელოსანი კისერს არ მოუგრეხს მაშინვე, როცა კი ამას მოიწადინებს? მით უფრო ხელეწიფება ეს ყოველივე არსთა გამრიგეს!..

...ჰოდა, რამდენიც უნდა იზვანცალო, ვერ გაექცევი შენი შექმნილის ნება-სურვილს... შენ ამას ხვდები გუძანით, გრძნობ და გინდა გათავისუფლდე კირთებისაგან, მაგრამ... ველარ ბედავ!.. გეშინია!.. აკეთებ იმას, რაც შექმნიელს უნდა და არა იმას, რაც შენ გწადია... ანუ უნდა დღენიადავ ეწამო და იჯახირო. ესეც არა კმარა: თან უნდა ზიდო გამუდმებით მარტოოდენ შენი კი არა – წინაპართა ცოდო-ბრალეც! მონანიო და მაინც მარადის ცოდვილი იყო.

როდემდე?.. როდემდე გინდა ასეთი უტყვევი მორჩილება?.. დროა. აუშხედრდე იმას, ვინც ასე გჩაგრავს!.. აუშხედრდე შენს ბედისწერას! დროა შენი გაიჭანო და – არა მისი!“

„ჰო, დიახ, დიახ შენ მართალი ხარ. სხვა თუ არა, წასვლას მაინც არავის ვკითხავ, რაკილა მოსვლას მართლაც არავინ მეკითხება!“

„ჰოდა, მიდი! ეურჩე-მეთქი იმას, ვინც წინასწარ დაგისაზღვრა შენი სვე-ბელი!“

„დიახაც რომ ასე ვიზამ!.. რაც გადავწყვიტე, იმას არაფრით აღარ შევცვლი! – დაე მოვკვდე. ნულარ ვიცოცხლებ!“

„მეც სწორედ ამას მოგიწოდებ! ნულარ აყოვნებ!“

...საბაზანოში ცხელი წყალი მოუშვა ონკანიდან. მერე მოფაფალებული კარი საგულდაგულოდ გადარაზა. სანამ საბაზანოში შევიდოდა, კარგა ხანს აყურადებდა საძინებელ ოთახს, კარს აკრული. ჩამიჩუმი არ ისმოდა იქიდან. ემოციებისგან დაღლილ ნატას, ალბათ უკვე ჩაეძინაო, დაასკვნა გუნებაში და...

აბაზანა წყლით გაივსო თუ არა, მშვიდად, აუჩქარებლად გაიხადა, თუმცა გულს მაინც ბაგა-ბუვი გაუდიოდა. ცოტათი შეამცივნა კიდეც.

ემა ამიტომაც თითქმის ცხელი წყალი – ოდნავ განელებული. ფეხები გაჭიმა. მცირე ხანს იწვა ასე თვალმძიმეული. გალურსული. მერე სამართებელს გადაწვდა, პირი მოუსინჯა. საკმაოდ მჭრელი ჩანდა.

„მაშ, არსებობა-არსებობისთვის?..“

ო, ნურას უკაცრავად!.. ან ყველაფერი, ან – არაფერი!

დიახ, რაკილა ყველაფერი – ილუზიაა, არაფრის ამარად სწორედ რომ აღარ მსურს აქ დარჩენა! დაე, მოვეკვდე, ნულარ ვიცოცხლებ!“

თვლები მაგრად, მაგრად დახუჭა. პირი მოკუმა და უცებ... მოულოდნელად იქ აღმოჩნდა... თვალწარმტაც კუნძულზე, სადაც... სხვა დროსაც არაერთხელ ყოფილა ოცნებით თუ... წარმოსახვით, იქნებ რეალურადაც? ვინ იცის?

„ეს შენა ხარ, ჩემო ასულო?.. დიდი ხანია არ მწვევიხარ!“

„ო, დიახ, დედოფალო!.. ისევ მოვედი, რადგან... უზომოდ მომენატრა შენი წალკოტი და ის სიმშვიდე, ამ სანახებში მუდამ რომ სუფევს!“

„რაო, ჩემო, ველარ გაუბეღე იქაურობას?“

„ვერა. ვერც ერთი საწადელი ვერ შევისრულე, დედოფალო!.. მომავალშიაც საშველს ვერ ვხედავ!..“

ყველგან სიყალბე და სიცრუე გამეფებულა, ყველგან, ფეხის ყოველ ნაბიჯზე მასხრად იგდებენ და იჩაგრება პატიოსნება!.. დიდი უსათუოდ ჩაგრავს პატარას, ძლიერი – უძლურს, რიცხვმრავალი, ვრცელი ქვეყანა – მცირერიცხოვანს. ადამიანებს, ხალხებს, რასებს სძულთ ერთმანეთი. ბოლმის ჭაობში ჩაფლულნი და ჩამყაყებულნი – დრო და დრო ღვარძლსა და ბაღდაძის ანთხევენ გარეშემო – ომების სახით!

მოწამლულია ჰაერი შხამით და სამსალათი. სათაყვანებელ კერპად ქცეულა მხოლოდ ოქრო. მას ეწირება მსხვერპლად მთელი კაცობრიობა – ჩარჩ-მევახშეებად გადაქცეული!..“

„სამწუხაროდ, შენ მართალი ხარ. სამყაროს, კოსმოსს აბინძურებს კაცთა მოდემის სიბილწე და უხამსობა. მაგრამ ვალია შენი – პიროვნულად უნდა სძლიო ამ სიბოროტეს, უზნეობას. შენს ირგვლივ შენ უნდა შექმნა სიყვარულის დიდი ველი – სიძულვილის საპირისპიროდ! შენ ამისთვის გმართებს ბრძოლა...“

„ო, ო, მაპატიე, დედოფალო! შეგაწყვეტინებ... ოღონდ ბრძოლას ნუ მიხსენებ!.. არ გამაგონოთ ძალიან გთხოვთ, არანაირი ბრძოლა-რკინება! რადგან... მომბეზრდა ყოველგვარი ბრძოლობანა!

რას ვეჭვიდაო? ამაოებას?

რისთვის? რატომ? ბოლოს მაინც ხომ უნდა მოვკვდე?

აღარ ვფიცავ, მეც მინდოდა მიწიერი ბედნიერება, მეც მიველტვოდი ამქვეყნიურ სიამოვნებას, მაგრამ რაკილა ამოა ეს წადილი... რაკილა უიღბლობა მარგუნა ჩემმა გამჩენმა... ესეც არ იყოს, რაკილა ვერასდობებით ვერ ვეგუები, რომ ასე სათითაოდ, რიგრიგობით ვკარგავ ჩემთვის ძვირფას ადამიანებს, რაკილა ამ სიყვარულის და მონატრების გრძნობას უკვე ველარ ვერევი, რაკი არ ვიცი, იქ, მიღმიეთში ვნახავ თუ არა მათ ოდესმე – და რაკი თურმე გარდუვალია განშორება – აქ რაღა დამრჩენია?..

ამიტომაც, საბოლოო გასასტიკებას და სულიერ გაბოროტებას – სჯობს გავეცალო ამ წუთისოფელს.

კმარა! მორჩა! ამას იქით ვერ მოვიტყუებ ჩემს თავს ფუჭი ოცნებით და იმედებით. მეტის მოთმენა აღარა მსურს!“

„მაგრამ... არსებობს გზა ღვთაების შესაცნობად – უაზრობას ცხოვრებისას რომ გაგიქარწყლებს და დაგიბრუნებს აღტკინებას, აღმაფრენას, წვას, შთაგონებას, დიდ სიხარულს და ნეტარებას რომ გაზიარებს!“

„ის გზა-დავკარგე! ვერ ვპოულობ! ველარ ვაგნებ!.. სიმართლე რომ ვთქვა, დიდად აღარც მიძებნია!.. ალბათ ძალა აღარ შემწევს და არც სურვილი მაქვს მის მისაღწევად!.. ჩანს, დამტოვა ჩემმა მფარველმა ანგელოზმა!.. შორს გაფრინდა, და დამეკარგა დედაჩემივით!..

ჰოდა, მასავით მეც მწადია ამ მუხთალ საწუთროს დავემშვიდობო სამუდამოდ! სამარადისოდ!“

„მაგრამ შენ ძალგდის გაიარო განკაცების საფეხურები, სულიერების ის გრძელი გზა, რჩეულებმა რომ გაიარეს ტანჯვის ქურაში, გარდასახვის წრთობა რომ ჰქვია და... გამოიწვრთნენ. მეც ხომ ბევრი იმათთაგანი გავარონინე ამ გზაწვრილზე!.. ანდა თუ გნებავს, განდევილად შეგიძლია დაეყულო წმინდა ტაძარში!“

„ო, არა-მეთქი! აღარა მსურს არანაირი ჭაპან-წყვეტა, ბრძოლა-ჭიდილი და არც განდგომა ამ ქვეყნიდან ლოცვა-მარხვით!..

...ოჰ, ეს ღორების კოლტი ურიცხვი – ეგზომ ნაცნობი წარსულიდან!.. აუ, თურმე, რამდენი გყავს ამჟამადაც!“

„ღიას. ეს ველი კაცთა მოდგმის მანკიერების თავშესაყრელი ადგილია, ჩემო კეთილო!.. განკაცების საფეხურების გავლა ვინც ვერ შეძლო დედამიწაზე – აქ პირუტყვებად ვაქციე ყველა. თუ გსურს, შენს თვალწინ ერთ-ერთ ამათგანს, ყველაზე უფრო თავაშვებულს და გაუმიძღარს – უწინდელ სხეულს დაეუბრუნებ, რომ შეხედო და გულიანად იხარხარო!“

„ოჰ, არა, დედოფალო!.. მეყოფა, რაიც მე ვიხილე ჩემს გარშემო ლაფში მგორავი და მოჭყვიტინე!“

„ნუთუ ასეთი ახალგაზრდა, ამდენ სიგლახეს გადაეყარე?“

„ო, ღიას! საკმაოდ... სულ დამემსხვრა ყმაწვილური წარმოდგენები და ოცნებები. აკი ვითხარი – უკვე სიკეთეს და სილამაზეს აღარ ვერძებ დედამიწაზე, კარგა ხანია!..

ოჰ, ეს გელების ტბა საკვირველი! რა მშვენიერი სანახავია! დედამიწაზე მცხოვრებთათვის ესენი ნეტა ვინლა არიან?“

„სიყვარულისთვის თავშეწირულნი!.. მათ მხოლოდ სიყვარული მიაჩნდათ სათაყვანოდ!.. ჰოდა, აქაც, ამ საგანეში უყვართ მხოლოდ ერთი მეორე!“

„აი, აი, ეს ტბა მიზიდავს სულიმწარედ!.. ოდესღაც იგი ჩემს ბავშვურ წმინდა შთაგონებას კვებავდა ფრიად!

ოჰ, ეგების გედად მაქციოთ, დედოფალო! გარდავისახო ჩემს საყვარელ ფრთოსან არსებად, ერთხელ რომ უყვარს თურმე სიცოხლეში და მხოლოდ ერთხელ რომ ამღერდება სიკვდილის წინ!“

„ნუთუ არ იცი, ჩემო კეთილო, რომ სიკვდილი სულაც არ ნიშნავს არყოფნას ქვეყნად?.. იგი ხომ გადასვლაა სხვა სამყაროში, სხვა სივრცეში, მზის საუფლოში, მზის ნათელ გულში, მარადისობას რომ ეძახიან!!!

მაგრამ... რაკილა ასე ძალუმაღ მიისწრაფი იქაურობის განმორებისკენ – კი, ბატონო! თეთრ ფრინველად გადაგაქცევ ახლავ, ამ წუთას!“

„ოჰ, რა კარგია, დედოფალო!.. თილისმინი შენი ჯოხის წყალობით ვიგრძენ, რომ გავდივარ ჩემი გარსიდან!.. ვტოვებ ჩემს სხეულს, ვით ნახმარ სამოსს!.. ფრთები მესხმება!..

ღმერთო ჩემო! რა საამოა ეს გაფრენა!

რა შვებასა და ნეტარებას ვგრძნობ... მზით და სინათლით მეცსება სული!

ჩემი ბავშვობის ფერადოვანი სიზმრები ისევ მიბრუნდებიან!..

ჩუ!.. ლაჟვარდ ცაზე რაღაც უცებ გაიკლაკნა ელვასავით!

ვაიმე!

ჯადოსნური ჯოხი გადატყდა!

და კუნაპეტი ღამე ჩამოწვა. შავი სიბნელე გარს შემომერტყა. სუნთქვა მეხშობა!..

არა, არ მინდა ეს წყვილი, სულის მხუთავი შავი ჯურღმული!

...ოჰ, სინათლის თეთრმა სხივმა ისევ ისე გაიკვესა, გამოანათა.

თეთრი აჩრდილი მიახლოვდება!..

ნუთუ?.. ნუთუ ეს შენ ხარ, ჩემო დედიკო?! აქ როგორ გაჩნდი?..“

...ვიღაც კარს ამტვრევს, ვიღაც კივის განწირული ხმით...

– ლიკა! ლიკა! ლიკა!

– ნატა?

– ჰო, მე ვარ... მე ვარ! ნატა ვარ! რად ჩაიკეტე?.. ეს, ეს... რას ნიშნავს?

– ნატა, აქ ახლა ჩემთან დედა იყო!.. გესმის?! დედა გამომეცხადა!..

– ნუთუ... შენთანაც?!

– ღმერთო, გვიშველე! ღმერთო... შენით!

„იპოელოფი“

სარკმელი ფართოდ გამოაღო და ფარდები მისწი-მოსწია. მცირე ხანს იდგა და ფიქრიანი თვალებით გადასცქეროდა ზღვის უკიდევანო სილურჯეს.

...როცა თანამეინახეებმა მეზობელი მაგიდიდან დამსვენებელი ქალები გადმოიპატიჟეს, წასასვლელად წამოიძარტა. შენიშნა, რეზომაც აიხეხეურა.

სანაპიროზე ტევა აღარ იყო ხალხის. ადამიანის მოზიშხიძე ტალღები დაუსრულებლივ მიედინებოდნენ და მოედინებოდნენ და თითქოს ბოლო აღარ უჩანდა ამ დინებას.

სიჩუმე რეზომ დაარღვია. ხმადაბლა, ჯავრიანად ჩაილაპარაკა:

– ამ ძუკნების ხროვამ გააუფასურა ქალი. ყველაფერი გაიაფდა, გაიოლდა. გატიალდა.

გაოცებით შეათვალიერა. რატომღაც არ მოელოდა რეზოსგან ამ სიტყვებს, არც იმას, რომ დარჩენას არ მოისურვებდა კაფეში, თავის მოხორხოცე, შეზარხოშებულ ტოლ-ამხანაგებთან:

– ძნელი ასატანია, როცა მხოლოდ ეს პირუტყვეული, მხოლოდ ბიოლოგიური საწყისი გეჩხირება თვალში... მხოლოდ გაშიშვლებული ნდომა, მეტი არაფერი, – განაგრძობდა იგი მოგუდული ხმით, ისე, თითქოს თავის ფეხსაცმელების ჭვინტს ეზრახებო. მერე გეზად გახედა გვერდით მომავალს: – თუმცა, შენ აღარ გაგიკვირდება... ეს, შენც ხომ – ზღვისპირელი ხარ!

...გონებაში უნებურად ამოუტივტივდა ახლა ეს დიალოგი და როგორღაც გვერდულად ჩაიღიმია. სარკმელს მოშორდა და ნელი ნაბიჯით მივიდა მაგიდასთან. ტელეფონების წიგნს დასწვდა. ერთხანს გაუნძრევლად დასცქეროდა, მერე ისევ მაგიდაზე დადო ცნობარი და კვლავ სარკმელთან მივიდა. სიგარეტს ნელა, აუჩქარებლად მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

სწაღდა აღედგინა სიმშვიდე, უცაბედად დარღვეული წონასწორობა სულისა, მაგრამ რატომღაც აწრიალებული გული არ წყნარდებოდა. ვერა და ვედარ ერეოდა ამ შინაგან, ფარულ მოუსვენრობას, მთელ სხეულში რომ გასჯდომოდა.

ისევ მაგიდასთან დაბრუნდა. უნებლიეთ შეავლო თვალი კარადის სარკეს. მერე შეჩერდა, დაკვირვებული მზერით თხემით ტერფამდე გაზომა თავისი ზორბა, სიმსუქნეშეპარული ტანი. მოკლედ შეჭრილ, ოდნავ შეჭლარავებულ გრუზა თმაში მარჯვენა ხელის თითები შეაცურა, და...

ზურგი აქცია თავის გამოსახულებას. მაგიდასთან მიიჩოჩა სავარძელი და მძიმედ ჩაეშვა. კვლავ აიღო წიგნი ხელში და გაღაშალა.

„ეგება არცა აქვს ტელეფონი?“

სწრაფად ჩაავლო თვალი სიას. ორად-ორი გვარი აღმოჩნდა კობახიძე და ერთი მათგანის ინიციალი იყო: მ. დ.

წამით ისევ შეყოყმანდა. მერე უცებ აკრიფა ნომერი, თან საათზე დაიხედა, ათი სრულდებოდა.

„რაც იქნება, იქნება!“

ყურმილს არავინ იღებდა და ის იყო გულდაწყვეტილს და თან თითქოს შეგებაშიცემულს, ყურმილი უნდა დაედო, რომ ანაზღად გაისმა ქალის მკერდისმიერი ხმა:

– ალოო!

ტყვიანაკრავით, სასწრაფოდ დაკიდა ყურმილი. იგრძნო, ცხელმა ტალღამ ერთბაშად როგორ დაუარა ძარღვებში და გულზე გადაეველო ნაკადებად.

წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე, თითქოს წყალში ჩასაყვინთად მოემზადაო, ხელახლა აკრიბა ნომერი.

– ალო, გისმენთ! – გაისმა ყურმილში ქალის იგივე ხმა.

– უკაცრავად... მაკა მინდოდა, კობახიძე! – თავისივე ხმა ეუცნაურა, დაბეჭდილივით მოეჩვენა იგი.

– მე ვარ, ბატონო!

– გამარჯობათ, მაკა...

– გაგიმარჯოთ! – ქალს გაკვირვება ედგა ხმაში.

– როგორ გიკითხოთ... მაკა?... ხომ კარგად ბრძანდები?

– გმადლობთ. უკაცრავად... ვერ გიცანით...

– ჰმ... ჰმ... არ ვიცი, მოგაგონდებათ თუ არა... ოდესღაც, დიდი ხნის წინ, ერთი თიანელი ნაცნობი გყავდათ... რამაზ დიასამიძე.

დუმილი. „აღბათ ყურმილს დამიგდებს ახლა!“ – ჩხვლეტის-
მაგვარი ყრუ ტკივილი იგრძნო გულის არეში.

– რამაზ... ნუთუ... შენა ხარ?.. – ქალმა წამით იყუჩა: – ველარ
გიცანი. იცი, სრულებით ველარ გიცანი ხმაზე!.. უფრო სწორად...

– ისევ გაჩუმიდა.

„არ დამიკიდა!“

– როგორა ხართ, მაკა?

– რა ვქნა, ვარ. შენ... რას შვრები?.. ხომ.. მშვიდლობაა შენკენ?

– გმადლობთ, მაკა... მეც ვარ რა, ისე. – პაუზა.

– ცოლ-შვილი როგორა გყავს?

– გმადლობთ. კარგად არიან, მაკა! – ისევ პაუზა.

– რამდენი გყავს, რამაზ, ბავშვი?

– ორი.

– ბიჭები? გოგონები?

– გოგონებია ორივე.

– ოჰო.

შუბლზე მომსკლარი ოფლი ცხვირსახოცით შეიწმინდა, სული
მძიმედ მოითქვა. გრძნობდა, რომ საუბრის ძაფი დაეკარგა, არ
იცოდა, რა ეთქვა. ისევ ქალს გამოჰყავდა მდგომარეობიდან.

– საიდან რეკავ, რამაზ? რამ გაგახსენა ჩემი თავი?

– აქა ვარ, თქვენს ქალაქში.

– ჩვენთან? აქ ისვენებ?

– არა. თათბირი გვქონდა რაღაც და...

– ააა... რესპუბლიკური თათბირი რომ იყო? მგონი, დამთავრ-
და, აა?

– კი. დღეს დამთავრდა.

– შენ... ისევ იქა ხარ?

– არა. ახლა ჩაის მეურნეობაში გადავედი.

– დაგაწინაურეს?

– დამაწინაურეს. დირექტორად.

– ოჰო. კაია. მომილოცავს!

– გმადლობ, მაკა!

– გაგიტკბა დირექტორობა თუ ჯერ... ვერა?

– ჯერ ვერა, ვეჩვევი თანდათან! – თავადაც ხუმრობა სცადა და ჩაიცინა, ოღონდ როგორღაც ნაძალადეგად, უხალისოდ.

– როგორ მიატოვე თბილისი, მაკა? რატომ გადმოსხვედი აქეთ-კენ?

– ჰო, მართლა, შენ ვინ გითხრა, რომ აქ ვცხოვრობ?

– ვიცი.

– საიდან? ვინ გითხრა?

– დავრეკე ერთხელ შენთან სამსახურში და იქ მითხრეს.

– ჩემთან დარეკე?.. როდის?

– ასე... – შეყოყმანდა, – სამიოდე წლის წინ.

– აა... – ქალმა კვლავ ჩაიცინა.

– რამ გაგახსენა ჩემი თავი, რამაზ?

– მაკა, შენ, რასაკვირველია, არ დაიჯერებ... თუმცა ახლა ამის თქმას აღარცა აქვს მნიშვნელობა, ალბათ, მაგრამ მაინც... მინდა გითხრა, რომ... მე არასოდეს დამვიწყებინარ...

– ნუთუ?! – ქალმა ისევ გაიცინა.

ო, რა სიცილი იყო. თითქოს სამართებელი დაუსვესო გულზე. თვითვე ეოცა ეს სიმწარე:

– არ თქვა ახლა, ყოველ წუთს, ყოველ წამს მახსოვდი, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოვახერხე დამერეკა შენთვისო, თუმცა... სამი წლის წინ ხომ დაგირეკავს, რას გერჩი? – ქალი გაჩუმდა. კაციც დუმდა. როგორც იქნა, ხელში შერჩენილ მოუკიდებელ სიგარეტს სანთებელა მიუძარჯვა.

– რატომ გაჩუმდი, რამაზ?

– ჩემი ფანჯრიდან ზღვა მოჩანს, მაკა. იცი, ზღვა შენ შემაყვარე, თუმცა ზღვისპირზე კი გავიზარდე.

– ნუთუ?

– კი, ასეა, მაკა! შენ... დამანახე ზღვა სხვანაირად... და როცა ზღვას ვუყურებ, ყოველთვის... შენ მახსენდები.

– საინტერესოა...

– ზღვა მაკავშირებს ხოლმე ჩემს ფიქრებში შენთან... – და უცებ დაუმატა: – მაკა, უნდა გნახო. ვიცი, არ მაქვს არავითარი უფლება... ადრე, რამდენჯერაც დავრეკავდი, ხმის ამოღებას ვერ ვებღავდი; მეგონა, ყურმილს დამიკიდებდი, არ მომისმენდი. დღე-

საც ასე მეგონა, მაგრამ რაკი შენ... ერთი სიტყვით, უნდა გნახო აუცილებლად. ბევრი სათქმელი მაქვს, მაკა.

— რა აზრი აქვს, რამაზ? ან... რა უნდა მითხრა ისეთი, რაც... ტელეფონით არ ითქმის?

— გასაგებია. ალბათ, ქმარი იეჭვიანებს, არა?

— მე ქმარი არა მყავს, რამაზ. ასე რომ, ეჭვიანობა გამოორიციხულია. „ვიციოდი. ვიციოდი, რომ არ გათხოვილა. და მაინც... ყალბად გამომივიდა რაღაც!“

— მესმის... — კაცმა ხმა ჩაიწმინდა მღელვარების დასაფარავად, — ვიცი, რომ შენ უფლება გაქვს ასეთი ტონით მელაპარაკო. შენ გაქვს უფლება ჩამთვალო... უსინდისო კაცად, მაგრამ... გეფიცები, ყოველივე იმას, რაც კი ძვირფასი და წმინდა გამაჩნია ამ ქვეყანაზე, რომ... — სულთქმა ეკვროდა, თითქოს აღმართზე აღიოდა და ზურგზე უშველებელი ტვირთი ჰქონდა მოკიდებული: — თუკი ვინმე ოდესმე მყვარებია, თუკი ოდესმე რაიმე გრძნობა მქონია ქალის მიმართ, ეს შენა ხარ. თუმცა... მესმის, რომ ამას... არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ახლა... — გაჩუმდა. მთავარი სათქმელი ითქვა, ის, რაც ესოდენ მძიმე ლოდად აწვა. ღრმად ამოისუნთქა. ქალიც ჩუმად იყო, მაგრამ უცებ რაღაც გუმანით იაზრა, რომ იგი ტიროდა. თავადაც გორგალი მოაწვა ყელში, სუნთქვა გაუჭირდა.

„რა გულჩვილობაა? რა მემართება?“ — გაიფიქრა ირონიით. ჩამქრალ სივარეტს წვალებით მოუკიდა. ღრმა ნაფაზი დაარტყა ისევ. აღარც ახსოვს, როდის აუჩუყდა გული უკანასკნელად!

— მაპატიე, რამაზ... — ქალს ხმა შეცვლოდა და ისე ახლოს გაისმოდა, ისეთი სიცხადით და გარკვევით შეიგრძნობდა მის ყოველ მიხრა-მოხრას, თითქოს თავადაც აქვე იდგა, გვერდით: — მოგეხსენება, ქალები მაინც სენტიმენტალურნი ვართ სადღაც, ხანდახან პატარა რამეც კმარა, რომ... შენმა სიტყვებმა და ხმამ გამახსენა... — დუმილი ახლა კარგა ხანს გაგრძელდა. კაცსაც უჭირდა ხმის ამოღება.

— ნუთუ... მართლა გახსოვდი, რამაზ! ნუთუ მართლა?

— ყველაფერი მახსოვს, მაკა. ყოველი წვრილმანი. ყოველი დეტალი: პირველი გაცნობიდან იმ... უკანასკნელ შეხვედრამდე. და ვერც ვერასდროს დავივიწყებ!

– მერე... ნუთუ... ერთხელაც ვერ მნახე ამ ექვსი წლის გან-
მავლობაში ან... არ დამირეკე? ან იმ წერილზე... ის წერილიც
უპასუხოდ დატოვე...

– ვიცოდი, რომ ამას მკითხავდი... მეც ხშირად ვუსვამ ჩემ
თავს ამ შეკითხვას: რატომ? როგორ მოხდა?... რატომღაც მეგონა,
შენ ადვილად აიტანდი ამ დაცილებას. ალბათ იმიტომ მეგონა ასე,
რომ... – გაჩუმდა. აზრი არ დაამთავრა.

– გეგონა, მორიგი გატაცება იყავი ჩემთვის, არა?... გასაგებია.
თქვენ, მამაკაცები, ხშირად ვერ არჩევთ ნამდვილს ყალბისგან.
თანაც, ქალები ისე ოსტატურად თვალთმაქცობენ თურმე, რომ...

– შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ... ჩემში ალბათ მეტი აღმოჩნდა
ე. წ. აზიელობის კომპლექსი... მეგონა, რაღაც-რაღაცეებს ვერ
მოვიწინებდი და... გაცლა ვამჯობინე. ვფიქრობი, ასე უკეთესი
იქნებოდა შენთვისაც და ჩემთვისაც რაც მთავარია... ჰო, დიახ,
მშიშარა აღმოჩნდი. ჩემს თავს უფრო გავექეცი... მაგრამ, თურმე,
სად გაექცევი საკუთარ თავს!.. შენ არ იფიქრო... გარეგნულად
ყველაფერი რიგზეა, შენზე და ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა ჩემი
ცოლი. კარგი ქალი გამოდგა, მეოჯახე, შვილებზე გადამკვდარი
დედაა. ყველაფერი ჩინებულადაა გარეგნულად. მეც ისე ვარ ჩა-
ფლული ყოველდღიურ, წვრილმან საქმიანობაში... ოჯახზე და
შვილებზე მზრუნველობა და სამსახურის საქმეები ისე მითრევს,
რომ ხშირად თავი მავიწყდება. მოკლედ, გარეგნულად ყველაფერი
რიგზეა. ყოველ შემთხვევაში... ასე მიაჩნიათ სხვებს. სინამდვილე-
ში კი... ეს ის არ არის, მაკა... ის არ არის, რაც შენს მიმართ
მქონდა, რაც... შენთან მექნებოდა, რაც მე და შენ შეიძლებოდა
გვექონოდა... – გაჩუმდა ისევ. ხანგრძლივი, დაძაბული ღუმილი
ჩამოვარდა. მერე ქალმა წამოიწყო:

– შენ ერთ რამეში მართალი ხარ, რამაზ, იმდაგვარი კომპლექ-
სები ყველას გაგვაჩნია, მეტნაკლებად, რასაკვირველია. უფრო
ახალგაზრდა თაობა ალბათ იმით გვჯობნის ჩვენ, ძველებს, რომ
მათ თითქმის წარმოდგენა არა აქვთ ამ კომპლექსებზე. აი მეც,
რამაზ, ღამე ტკივილისაგან გული მეფლითებოდა, დღე კი, სამსახ-
ურში, თავი ისე მეჭირა, ვითომ არაფერი მჭირს. სხვას არავის
უნდა შეემჩნია ჩემი საწუხარი. და მართლაც, ჩემს ირგვლივ, უახ-

ლოესი მეგობრების გარდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ხშირად თავის მოკვლას ვაპირებდი – დარდისა და ტკივილისაგან სასო-წარკვეთილებამდე მისული. მაგრამ... რამდენჯერაც დავაპირებდი, იმდენჯერ მოვალეობის გრძნობა მახევიებდა უკან. ჩემი ავადმყოფი დედა? ის ხომ ვერ გადაიტანს ამ უბედურებას? სირცხვილის გრძნობა მოუღებს ბოლოს, სხვას რომ თავი დავანებოთ-მეთქი. და აი, გამოდის, რომ მე არ ვიყავი ჩემი სიცოცხლის გამგებელი, სიცოცხლის, რომელიც არაფრად მიღირდა.

– მე მოვალე, მაკა. ისე, დაგხედავ და... წამოვალ მაშინვე.

* * *

უნდოდა, ფეხით გაეგლო. ჯერ ეერთი, დრო სჭირდებოდა, რომ რამდენადმე გონებაში მოეკრიბა, ჩაჰკვირვებოდა თავის შინაგან ფიქრებს თუ განცდებს. მეორეც, ფეხით გავლა ცოტათი მაინც გამოუნელებდა ღვინის ნარჩენს, სხეულში რომ ჩაღვრილიყო მათრობელა ნაკადად.

ქუჩებში კი ყელგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე წყვილები, გადახვეული წყვილები ხვდებოდა და ისმოდა გაუთავებელი, ჟინიანი სიცილ-კისკისი.

ჰაერშიც თითქოს მდედრის მომწოდებელი, დაუფარავი წადილი ტრიალებდა და ალაგზნებდა გულს, ძარღვებს ათროლოებდა, ცხვირის ნესტოებს ბერავდა და სისხლში სურვილად და ნატვრის ქრუანტელად უვლიდა.

ამაოდ ცდილობდა განმარტოებოდა თავის შინაგან გულისხმას, ჩაებრუნებინა მზერა გულის უშორეს კუნჭულებში. პირიქით, გაღიზიანება და რალაცნაირი მოუსვენარი ფორიაქი ეუფლებოდა.

უცებ ცარიელი ტაქსი დაინახა. ხელი აუწია უანგარიშოდ.

როცა მანქანაში ჯდებოდა, იგრძნო, რომ დაღლილიყო, უფრო სწორად, სხეული რალაცნაირად მომჩვაროდა, მოშებებულიყო. თვალები დახუჭა. თავში აკვიატებულ ფიქრს კვალდაკვალ ასდევნებოდა: „აქვს აზრი?“

ქალის ხმა გამოიკვეთა ანაზღეულად, გასაოცარი, თითქმის ხელშესახები ინტონაციით.

ხმის ამ კილომ, ოდნავ წამღერებულმა, ნაზმა, – ერთბაშად ჟრიალით დაუარა ძარღვებში. ისე ძალუმი იყო ხმის ეს აღქმა, რომ სუნთქვაც კი გაუწყდა წამით. ლოყაზე ქალის სათუთი, საამო სუნთქვის მოლამუნებაც შეიგრძნო თითქოს. თვალმინაბულს ნეტარმა, ჩუმმა ღიმილმა შეუტოკა ბაგე... ისეთი ნატიფი იყო ქალის ნაკვთები, ეშინოდა უნებლიეთ ხელში არ შემომსხვრეოდა. და საოცრად მოუქნელი, უხეში და ტლანქი ეჩვენებოდა საკუთარი ხელები, ამ ნაზი, სათუთი სხეულის მოსაფერებლად.

...მერე, ცრემლჩამდგარმა, ფართო, მოსიყვარულე და შეკრთალმა თვალებმა შემოანათა წამიერად.

მოლოდინით შეპყრობილი სახე, ოდნავ, სულ ოდნავ გაპოხილი, სავესე, ალუბლისფერი ტუჩები... თითქოს საბოლოო განაჩენს ელოდებოდნენ ისინი და... შეწყალებას ითხოვდნენ.

...რამდენჯერაც მოელანდებოდა ეს სახე, იმდენჯერ ფართო, უხეში ხელის მტევანი აეფარებოდა მას და უკან, შორს გასწევდა.

ამ დიდი ხელის ზურგით ცდილობდა თითქოს მის საბოლოო მოცილებას და იმ ყრუ ტკივილის ჩახშობას, გულს რომ ბწყენდა ჟამით ჟამამდე.

„რა უღმერთოდ მოქექცი, არა, მაშინ?“ თავისივე სისატიკისა და უღმობელოების გახსენება აკრთობდა.

მაგრამ ახლა ტლანქი, ვეება ხელისგული აღარ ეფარებოდა ამ სახეს, არ სწევდა შორეთში, სადღაც იქეთ, სივრცის მიღმა;

პირიქით, ახლოს, სულ ახლოს მოიწევდა იგი...

იქნებ სჯობს გაბრუნდე? კიდევ არის დრო უკან დახევისათვის. მაგრამ...

ის „ვილაცა“... იგი იღებდა გადაწყვეტილებებს „მის მაგივრად“, იგი მოქმედებდა.

...ზარის ღილაკს ფრთხილად დააჭირა თითი. ცოტა ხანში კარი გაიღო.

კიბის ქვედა საფეხურზე შემდგარი, თავაწეული შეჭყურებდა დირეზე ასვეტილ სილუეტს.

– მობრძანდი, რამაზ! – ქალმა ღიმილით უკან დაიხია, გზა მისცა კაცს.

– გამარჯობა, მაკა! – დაბნევით ჩაიდუღუნა და ხელი ინსტი-
ქტურად გაიშვირა. ქალმა ჩამოართვა. გრილი და პატარა ხელის
მტევანი ჩაიკარგა მამაკაცის უზარმაზარ ტორში. მხოლოდ წამით
მოასწრო თვალის შევლება ქალისთვის, მერე მზერადახრილი
მიჰყვა უკან. ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა ახლა, როგორმე
დაეოკებინა მღელვარება, სახეზე მოწოლილი მზურვალე სისხლის
ტალღა როგორმე უკუეცია.

ქალის მშვიდმა ხმამ და სახემ თითქოს უშველა კიდევ, რამდენ-
ნადმე მორეოდა თავს.

პატარა დერეფანი გაიარეს, მერე ქალი საკმაოდ მოზრდილ
ოთახში შეუძღვა კაცს.

– დაბრძანდი, რამაზ! – ქალის წყნარმა ხმამ გამოიყვანა
გარინდებიდან, ასე უცებ და მოულოდნელად რომ დაუფლებოდა.

შეთავაზებულ სავარძელში ნელა ჩაემვა. ქალი მოპირდაპირედ
მღვარ ხის მოჩუქურთმებულფეხებიან, დაბალზურგიან სკამლოგ-
ინზე ჩამოჯდა. ასევე მოჩუქურთმებულფეხებიან გრძელ ტაბლაზე
ხილი, ნამცხვრები და სასმისები ელაგა. ქალისთვის რომ მზერა
აერიდებინა, ირგვლივ მიმოავლო თვალი. კუთხეში როიალი იდგა
მხოლოდ, ხოლო ოთახის ოთხივე კედლიდან იღვრებოდა ცის-
ფერი, ნარინჯისფერი, ლურჯი, ხასხასა მწვანე, წითელი ფერების
ჩქერალი...

დაუფარავი გაოცებით შესცქეროდა ამ უჩვეულო, გამაოგნებელ
ნახატებს.

...აქაფებულ ზვირთებზე პეპელასავით შესკუპებულა თეთ-
რაფრიანი ორჩხომელა.

...უცნაური ფორმის მქონე ღრუბლები წვერწამასულ ქონგურე-
ბიან ციხე-კოშკებს ჰგვანან, ხანაც საზარელ, ხანადაბჩენილ ურ-
ჩხულებს.

...გვირილებით მოფენილ მინდორზე პეპლებს დადევნებულ
ბაფთებიან გოგონებსა და ბიჭუნებს ცის მაგივრად – ბაყბაყ დე-
ვის უზარმაზარი ფიგურა გადმოშობია...

...მგლისსახეობა, ხანაც აფთრისთვალეობა არსებანი თათებაღე-
რილნი მოიწვევენ ერთად შეჯგუფებულ, დამფრთხალი შვლებისა
და ნიამორებისკენ...

...დიდი, ნარინჯისფერი მზე წითელი ლაქებით დაფერილ ცაზე იღვენთება.

...თმებგაშლილი, სატეკარმომარჯვებული ამორძალები ყიჟინით მიაჭენებენ ცხენებს ტრამალზე.

ადგა. ახლოს მივიდა კედელთან. ერთხანს ჩუმად ათვალიერებდა.

– ვისი ნახატებია? – იკითხა ბოლოს და მზერა გაუსწორა ქალს, რომელსაც წყნარი ღიმილი ურხევდა ბაგეს.

ოქროსფერი, ოდნავ ტალღოვანი, სქელი თმა კეფაზე დაეგრავნა. ღია მწვანე, ნუშისებრი თვალები კაცისთვის მიეპყრო და... დუმდა.

თითქოს არაფერი შეცვლილიყო ქალის სახეზე მას აქეთ, რაც უკანასკნელად ნახა. მხოლოდ ეს ჩუმი, ბაგის კუთხეებში ჩანაოჭებული ღიმილი იყო ახალი, საიდუმლოებით აღსავსე. ეს ღიმილი სულს უფორიაქებდა, აშფოთებდა.

იგრძნო, წამიც და ველარ გაუძლებდა ქალის მზერას.

– ჩემია, რამაზ! – თქვა უცებ ქალმა მშვიდი ხმით და თავადაც ნახატებს შეავლო თვალი წამიერად.

– შენი?!.. შენ... ხატავ, მაკა?

– ისე. ჩემთვის. ხანდახან.

ამოდებული სიგარეტის კოლოფი ისევ ჯიბეში ჩაიბრუნა.

– მოსწიე, რამაზ, თუ გინდა. ნუ გერიდება.

– შეიძლება? აქ?.. ნახატებთან?

– არა უშავს რა. მომეცი. მეც მოვწევ შენთან ერთად.

თავის ადგილზე დაბრუნებულმა, საჩქაროდ გაუწოდა სიგარეტი, მერე სანთებელაც მიუმარჯვა. როცა უკიდებდა, გონებაში თითქოს წითლად აენთო „შუქნიშანივით: „ეწევა!.. ადრე... არ ეწეოდა“.

სიგარეტმა დაუბრუნა გარეგნული სიმშვიდე, თავდაჯერებულობაც კი:

– დიდი ხანია ხატავ, მაკა? მე არ ვიცოდი, თუ შენ მხატვარიც იყავი.

– მხატვარი არა... – ქალმა ჩაიღიმილა: – სულ ორი-სამი წელია... მოკლედ, რაც აქეთ გადმოვედი, მას მერე დავიწყე.

– ადრე არასოდეს გიცდია?

– არა, – ქალმა თავი გაიქნია და ნაფაზი დაარტყა. – ისე, პატარაობისას, როგორც ყველა ბავშვი, მეც ვჯღაბნიდი რალაცეებს. მუსიკა ბევრ დროს მართმევდა. აქ რომ გადმოვედი, უცებ, ერთბაშად გამიჩნდა ხატვის სურვილი. ზღვამ, ეტყობა, შემახსენა, ჩემი ძველი გატაცება... ჰოდა, მეც ვერთობი ჩემთვის.

ქალს ყვითელფოთლებიანი, თეთრი პერანგი ეცვა, სახელოე-ბაკაპიწებული. შეუბნეველი ზედა ღილიდან მოუჩანდა მზემოუკიდებელი, თეთრი, ნაზი კანი. როგორც ადრე, ახლაც ერთადერთი სამკაული – ფირუზისთვლიანი ოქროს ბეჭედი ეკეთა გრძელ, ნატიფ თითზე. ეს იყო და ეს. მოლურჯო-მოშავო, ნაოჭებიანი ქვედაკაბა მუხლისთავებს უფარავდა. სადად და უბრალოდ ეცვა, როგორც ადრე.

და როგორც ადრე, ახლაც სულაც არ იყო გამომწვევი და თვალში საცემი ქალური სინაზითა და სინატიფით აღბეჭდილი მისი გარეგნობა.

ყველაფერი ეს თითქოს ნაცნობი და ახლობელი იყო, მაგრამ უცხო და შორეული რჩებოდა მამაკაცისათვის ეს იღუმალი ღიმილი და უსურვილო, უწადინო თვალები.

„ნუთუ.. სულ, სულ არ ღელავს? ისე, უბრალოდ, მოგონებათა გამო მაინც? ნუთუ ასეთი გულგრილი და ცივია მართლა? აკი წელან... ტელეფონზე ლაპარაკის დროს მომეჩვენა, რომ... ტიროდა? მერედა, ეს სიგარეტიც!“

განსაკუთრებით ქალის ღიმილი აგდებდა საგონებელში. ვერ ამოეხსნა მისი იღუმალი შინაარსი. ვერც ამ ყოველგვარი სურვილისგან დაცლილ თვალებს შეგუებოდა, უწინდელი, ვარსკვლავებით აციმციმებული თვალების ნაცვლად. ეს „დეტალები“ ქვეშეცნეულად აღიზიანებდა, თითქოს მის მამაკაცურ თავმოყვარეობას თუ ღირსებას ლახავდა. მართალია, ამ მზერამ თავად მასაც მოუტანა ერთგვარი სიმშვიდე, შეაძლებინა საკუთარ თავს დაუფლებოდა, მოეთოკა და მოეზღუდა აყალყებული სისხლი და მაინც...

– როგორც ჩანს, შეეგუე აქაურობას, არა, მაკა? – მამაკაცის ჯიქური მზერა ახლა ცდილობდა შეენიშნა ქალის სახეზე წამიერი ფორიაქის ნასახი, მღელვარების ნაკვალევი, მისი ნატამალი მაინც.

ქალმა მხრები აიწურა ოდნავი ღიმილით. მერე ჭიქები უხმოდ შეავსო კონიაკით.

— ცუდი მასპინძელი ვარ, ხომ ხედავ, რამაზ? მიირთვი რამე. ეს შინაური ნამცხვარია.

— არა, გმადლობ, მაკა, არაფერი მინდა. სუფრიდან მოვდივარ.

— როგორ გითხრა, რამაზ? — წელანდელ კითხვას გაეპასუხა ქალი: — ვარ ჩემთვის. უფრო სწორად, ვცდილობ ვიყო ჩემთვის, რამდენადაც შესაძლებელია ეს ამ პატარა ქალაქში. დღე — მუსიკალურ ტექნიკუმში ვასწავლი, საღამოობით — ვხატავ. თუმცა... უკვე ვეღარ ვხატავ... ესენი ძველი ნახატებია... დედაჩემის შემდეგ არ შემეძლო თბილისში დარჩენა... და წამოვედი აქეთ.

— დედა... ღიმილი ხანია გარდაიცვალა?

— მეოთხე წელია უკვე! — ქალმა იყუჩა.

კაციც ღუმდა თავჩახრილი და ხელში შერჩენილ ჩამქრალ სიგარეტს დასჩერებოდა. მერე მზერა ასწია. ქალს პირდაპირ შეხედა:

— ისე... მასსოვს... შენ სულ აქეთკენ გეწეოდა გული, მაკა, ზღვისკენ!

— მართალია, რამაზ. ალბათ იმიტომ, რომ აქაურობა ჩემი დედუღეთია. და მეორეც, ეტყობა, ზღვაზე უხომოდ შეყვარებული, ზღვაზე გადარეული წინაპრების სისხლის ყვილია ალბათ ჩემში... — ქალს თვალები გაგანიერებოდა, არაამქვეყნიური სევდა და კიდევ რაღაც ამოუცნობი, მიუწვდომელი ილანდებოდა მათში, ის, რასაც კაცი გუმანით გრძნობდა და სახელი ვერ დაერქმია, რაც ასე უშფოთებდა სულს და აფორიაქებდა...

— მიხარია, რომ... გაგიმართლა და... კმაყოფილი ხარ, მაკა!

— გამიმართლა?... თუმცა, ჰო, ბინა ილბლიანად გადავცვალე, და რაც მთავარია... ვცდილობ, ბავშვებისთვის მართო მუსიკის მასწავლებელი არ ვიყო... სასიამოვნო შეგრძნებაა, როცა ბავშვებს ეღვიძებათ ლტოლვა სილამაზისკენ, მშვენიერებისკენ... თუმცა... ბევრი სიძნელეც არის... სიმართლე გითხრა, ხანდახან ძალიან მიჭირს კიდევ, მაგრამ... რას იზამ. უნდა შეეგუო. აიტანო. სხვა გზა არ არის... — წამიერი ღუმილის შემდეგ:

— ეს შენ გაგიმარჯვოს, რამაზ! — წარმოთქვა და კონიაკის სავსე ჭიქა პირთან მიიტანა.

– არა, არა, – გამოერკვა ერთბაშად კაცი: – ჯერ მე მინდა დავლიო...

– მგონი, როგორც მასპინძელს, მე მეკუთვინის...

– არა, – კვლავ შეაწყვეტინა კაცმა მტკიცე ხმით: – ნება მიბოძე, ჯერ მე შევსვა შენი სადღეგრძელო... – წამით დადუმდა, მერე სიტყვების შერჩევით, ნელა, დინჯად წამოიწყო: – ეს შენ და შენს ნახატებს გაუმარჯოს, მაკა... მოიცა, ნუ შემაწყვეტინებ, ვთხოვ. ამ ნახატებში შენი სული ცოცხლობს, სილამაზით, სიკეთით და სიყვარულით სავსე. ესენი შენი მონატრებაა... შენი წუხილი და სიხარულია... ჩვენ, ადამიანების უმრავლესობას, სამწუხაროდ, ხორციელი, მატერიალური უფრო გვიზიდავს და ეს სულს გვიმახინჯებს ხშირად. მე ეს აქაც... ამ ქალაქშიც შევნიშნე... ყმაწვილი ბიჭების მზერაშიც, მათ ქცევაშიც... აქ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ხორცის დღესასწაულია, აფუებული, გაზულუქებული ხორცის... აქ, ამ ოთახში კი – სულის ოაზისია. მარტვილი სულის სავანეა. აქ ეს მშვიდი, ნაზი ქალი ახერხებს იყოს თავისთავადი, განუმეორეელი, იყოს პიროვნება. ეს... ეს მისი სამყაროა; მისი სულის ზეიმია აქ!.. რატომ მიყურებ ასე, მაკა? ჩემგან გიკვირს არა ეს სიტყვები?

ქალმა თავისი სავსე ჭიქა გულისყურით შეათვალიერა, თან ოდნავ, ოდნავ იღიმებოდა ისევ ისე. ოჰ, ეს იდუმალი ღიმილი როგორ აფრთხობდა მამაკაცს, როგორ უკაწრავდა გულს რაღაც ნაირი აუხსნელი, მწვავე ტკივილით.

– შენ მიგაჩნია, რომ ჩემგან... თუმცა... შენ მართალი ხარ, შენ უფლება გაქვს იფიქრო, რომ... – გაჩუმდა ისევ. ყელში მომდგარი უეცარი ბურთი ლაპარაკს უშლიდა.

„იქნებ შენ, რამაზ დიასამიძე, არც გქონდა უფლება შემოჭრილიყავი აქ, დაგერღვია ეს მყუდროება, სულის ეს ფაქიზი ლაბირინთი, შემოგელაჯებინა აქ შენი დიდი ფეხებით და გამოგეწვია რაღაც მშვენიერის და ლამაზის მსხვერვა...“

აკი ერთხელ მოგეცა შემთხვევა და ჩაიდინე ეს ჯვალათობა...

თუმცა, იქნებ მთლად ასეც არ იყოს?“

ქალი მაგიდაზე რაღაცეებს ადგილს უცვლიდა მზერადახრილი. ქალის ხელის მტევანი – თეთრი და სალუქი, ისე ახლოს აღ-

მოჩნდა უცებ მის ხელთან, რომ ძლივძლივობით მოერია სურვილს, სწვდომოდა და სათითაოდ დაეკოცნა მისი ნებები...

სიგარეტს მოუკიდა კვლავ. მოქაჩა.

– შენ დალევა დაგავიწყდა, რამაზ!

სწრაფად ახელა ქალს. იგი ახლა ფართოდ იღიმებოდა და ეს ღიმილი ისეთი უზაკველი, უეშმაკო მოეჩვენა, რომ ერთბაშად გულზე მოეშვა და თავადაც გაუღიმა გულლიად. უცებ, სულ-მოუთქმელად გამოსცალა ჭიქა.

– მადლობელი ვარ, რამაზ!.. შენ ერთი რამე სწორად შენიშნე: ამ ქალაქში მართლაც უფრო ძალუმად იგრძნობა ხორცის ზეიმი... ამ დროს დაღადება ჭეშმარიტ სიყვარულზე, მშვენიერებასა და სილამაზეზე სასაცილო უფროა... ამ ნახატებში ალბათ ეს ტკივილებიც აისახა...

– გამოფენაზე თუ გიცდია ამათი გამოტანა, მაკა... მე მხატვრობის ბევრი არაფერი გამეფება, მაგრამ ესენი, ჩემის აზრით, საოცარი ნახატებია!

– მოდი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, რამაზ.

– ნუთუ მართლა არ გამოგიტანია არასდროს?

– ღმერთმა დამიფაროს. განა გამოფენისთვის ვხატავდი, რამაზ?... უბრალოდ, ჩემთვის...

...ანაზღად, ტელეფონის გაბმული ზარი გაისმა. რატომღაც ამ მყუდრო, თითქოს გარესამყაროდან მოწყვეტილ სამყოფელში, რომელიც ფერების, უჩუძარი მუსიკისა და გულის მიჩქმალული ღელვის საბუდარი ჩანდა, როგორღაც უცნაურად მკვეთრად, დაჟინებული ძალისხმევით თუ მოწოდებასავით შემოიჭრა მეოცე საუკუნის ხმა.

გამჭოლი მზერა შეაჩერა უნებლიეთ შეტოკებული ქალის სახეზე. იგი ყურმილს გადაწვდა.

– გისმენთ! – მშვიდი, უსიცოცხლომდე მშვიდი იყო ქალის ხმა, მაგრამ სახეზე ერთიანად გადაფითრებული, თითქოს მოჭრილად, მკვეთრად გამოთქვამდა სიტყვებს.

– რა მიჭირს... ჩვეულებრივად. ჰოო? შენ იცი. არა. ნორმალურად. არა, მარტო არა ვარ. ერთი ძველი მეგობარი მესტუმრა.

არა. კაცი. კი. ძალიან. ალბათ. არ ვიცი. არ არის საჭირო. ნამდვილად არა. ასეა. კარგად იყავი.

ფერდაკარგულ სახეზე მხოლოდ თვალები ანთებოდა. ტუჩები ნერვიულად უთრთოდა და თუშცა, ცდილობდა ალელვება არ შესტყობოდა, აღარ გამოსდიოდა.

ყურმილი დადო თუ არა, ორივე ხელი მომუჭა და კალთაში ჩაიწყო, გაირინდა სახედასხეპილი.

კაცს უნდოდა მზერა მოეცილებინა მისთვის, სხვა რამეზე გადაეტანა; ალლოთი გრძნობდა, რომ ასე აჯობებდა ახლა ქალისთვის, მაგრამ ველარ ახერხებდა, დაჟინებული მზერა ვერა და ვერ მოეწვიტა ამ ერთბაშად შეცვლილი სახისთვის.

როგორც იქნა, სძლია თავს, წამოდგა. ერთ-ერთ ნახატთან შეჩერდა. უზარმაზარი, წითელი მზე ჩადიოდა ცის დასალიერში, ზღვის კიდესთან. ნარინჯისფერი, მეწამული, ლურჯი, იისფერი ერთმანეთში არეულიყო. ყომრალი ღრუბლები აწეწილ-დაწეწილიყვნენ და რიალით მისდევდნენ მნათობს;

მზის გარდაცვალება, ეწერა სურათის ქვეშ. იდგა და შეურხევლად შესტყეროდა ნახატს არაფრისმხედველი თვალებით. მისი გონება მთლიანად დაეპყრო ტელეფონზე საუბარს.

მკვეთრად შემობრუნდა. ქალი კვლავ გაუნძრევლად იჯდა იმავე პოზაში, როგორშიაც დატოვა – თითქოს დათრგუნული, თუ გატეხილი. ნაზი პროფილი ყინწმოწყვეტილი ყვავილივით დახროდა.

– ვინ იყო? – უნებურად მოწყდა ენის წვერს ეს სიტყვები. იცოდა, არ უნდა ეკითხა არაფერი და მაინც ველარ შეძლო თავის შეკავება. ჩამოჯდა. სიგარეტი ისევ ამოიღო ანგარიშშიუცემლად.

– თუშცა... მე ვხვდები... – ჩაილაპარაკა ხმადაბლა და ნელა ამოიღო კოლოფიდან სიგარეტის ღერი, თან წარბებს ქვემოდან გამომცდელ მზერას არ აშორებდა ქალს.

იგი წელში გაიმართა, კისერი ააღერა. მერე თითქოს გამომწვევად შეაცქერდა კაცს, სახეზე გადამწყვეტი იერი აღბეჭდოდა.

– ეს ის კაცია... ვინც შენ შეგცვალა, – ამომარცვლა მკვეთრი, ცივი ხმით. თითქოს ყინულის ლოლუები სცვიოდა ბაგიდან. თვალებიც ცივად უბზინავდა.

უცებ, თვით მისთვისაც მოულოდნელად მუხლები მოიყარა ქალის წინ და ხელებში სწვდა, ტუჩებთან მიიტანა: – მაკა, მაკა... მაპატიე... თუ შეგიძლია...

ისე ახლოს იყო ქალი, მის სითბოს და სუნთქვას მთელი არსებით შეიგრძნობდა. თავბრუ ეხვეოდა.

ნუთუ... ოდესღაც ეს ნაზი ხელები ეფერებოდნენ მის თმებს, მის სახეს? ეს სხეული – უმწეო და მორჩილი – ეჭირა მკლავებში?

ნუთუ იყო ეს? ნუთუ?

და როგორ დაკარგა, რანაირად?

– რა უნდა გაპატიო?... ადექი, რამაზ. ძალიან გთხოვ. რა უნდა გაპატიო? ის, თუ რატომ არ გიყვარდი? სისულელეა ყველაფერი. სისულელე. ადექი, თუ ღმერთი გწამს.

– შენ ყოველთვის არაჩვეულებრივი გოგო იყავი, მაკა, ყოველთვის და მე... შემეშინდა, რადგან... ვიცოდი, ყოველთვის ვიცოდი, რომ... შენი ღირსი არა ვარ. მე ხომ ერთი ჩვეულებრივი, პროვინციელი ბიჭი ვიყავი – უნდო და ეჭვიანი, სულელი და ბრყვი... სანამ არ დაკარგავ, თურმე მანამდე ვერ გაიგებ მის ფასს...

ქალი დაუსხლტა კაცის ხელებს. თვალები ავად, მრისხანედ უელავდა.

– მე სულაც არა ვარ არაჩვეულებრივი ქალი. გესმის შენ? სულაც!.. პირიქით!.. ერთი ჩვეულებრივი, უბრალო კახა დედაკაცი გახლავარ, რომელსაც თვეში ერთხელ ჩამოაკითხავს ხოლმე საყვარელი – ცოლშვილიანი კაცი და, რომელსაც უსიყვარულოდ, უსურვილოდ უწვება ლოგინში:

– მაკა... გაჩუმდი, გთხოვ!

– რატომ? რატომ გაჩუმდე?! სიმართლე არ უნდა ვთქვა, არა?! სიცრუე უფრო ტკბილი და საამოა, არა?! მაშ, გიმეორებ: მაკა კობახიძე ერთი ჩვეულებრივი კახა დედაკაცია, რომელსაც არ შეუძლია მამაკაცის ალერსის გარეშე გაძლება, ვისა სთხოვ პატიებას?!

თვადაც არ იცის, როგორ მოხდა, რანაირად. გონს მაშინ მოეგო, როცა ქალის ლოყაზე ალისფრად გამოიკვეთა მისი ნათითურები.

ქალმა ორივე ხელი თავზე იტაცა, მერე ყრუ კვნესით ჩაეშვა სავარძელში.

წამსვე მივარდა, ორივე მკლავი მოხვია, ჩაიჩოქა: — მაკა... ღვთის გულისათვის... მაპატიე... მე თვითონ არ ვიცი... რა მომივიდა.. მაკა! ქალს კვლავ ორივე ხელი წაეველო თავში და ფერმიტეტილი, ულონოდ მისვენებოდა სავარძლის ზურგს.

— ოჰ, რა მძიმე ხელი გქონია, ბიჭო... — ჩუმად, ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა ბოლოს და ახლა სახეზე აიფარა ხელისგულები კაცი უხმოდ, ტუჩების ოდნავი შეხებით უკოცნიდა ხელებს და თან შეშფოთებულ მხერას არ აცილებდა ქალის სახეს.

ქალმა კიდევ ერთი ღილი ჩაიხსნა, აკანკალებული ხელი უბეში შეიყო.

— ცუდად ვარ... — გათეთრებული ტუჩებით ძლივს ამოთქვა თუ ამოიკვნესა და თვალი მოხუჭა.

— მაკა!

— იქეთ... საწოლ ოთახში, ლოგინის თავთან... უჯრა გამოსწიე... წამლებია... მომიტანე, თუ შეიძლება...

კაცმა ბორძიკ-ბორძიკით მიაღწია საწოლ ოთახამდე, ლოგინის თავით მდგარი პატარა ტუმბოდან უჯრა გამოალო... უჯრა წამლებით იყო სავსე.

რამდენიმეს ერთად დაავლო ხელი და საჩქაროდ დაბრუნდა ქალთან. იგი ისევ ისე მისვენებოდა სავარძელს და ნაპირზე ამოგდებული თევზივით აღებდა პირს.

— მაკა... — დაიხარა კაცი, — რომელი დაგაღევენო?

— სულ ერთია...

წამალი დაღია თუ არა, კვლავ ღონემიხდილი მიესვენა სავარძელს, თვალმიღული. ტუჩებზე სიმწრის ღიმილი უკანკალებდა.

— ახლა გამივლის, ნუ გეშინია... ფიზიკური ტკივილი უფრო ადვილი ასატანია, — გაღიმება სცადა, მაგრამ ძალა არ ეყო და ქვედა ტუჩზე იკბინა. მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოთქვა:

— მაგან... გადამატანინა მაშინ შენი ამბავი... სიცოცხლე აღარ მინდოდა და ჩემთვის უკვე... ყველაფერი სულ ერთი იყო... ყველაფერი. უფრო ჯიბრით გავაკეთე, ჩემივე თავის ჯიბრით... მერე... აღარ მეყო ძალა, ნებისყოფა — ჩამომეცილებინა. აქეთ გადმოვედი, აქაც მომდია. საშველი აღარ მომცა. ვიფიქრე, ბავშვი, იქნებ ბავშვი მაინც... სუსტი აღმოვჩნდი. გლახაკი.

– არ გინდა, ჭირიმე შენი, ნუ ლაპარაკობ.

– დავიღალე. ო, როგორ დავიღალე, რამაზ. დავიღალე ყველაფრისგან. ამდენი სულმდაბლობისგან... ამდენი სიგლახისგან... სიცოცხლე... არ მინდა ხანდახან...

– მაკა!

– ახლა წადი, დამტოვე, რამაზ!

– შენი ასე ჯდომა არ შეიძლება, მაკა. ლოგინში დაგაწვენ. ეგება... სასწრაფოსთვის გამოგვეძახა?

– არა. არა. არაფერი არ არის საჭირო. გამივლის მალე, მე ვიცი...

– დიდი ხანია... გული გაწუხებს, მაკა?

– კაი ხანია, მაგრამ... ხომ გეუბნები, ფიზიკურ ტკივილს უფრო უძლებს-მეთქი ადამიანი, ვიდრე სულიერს... – წამოდგომა დააპირა, მაგრამ ერთბაშად სახე დაემანჭა და ჩუმი კვნესით კვლავ სავარძელში დაეშვა.

კაცმა ფროთხილად აიყვანა ხელში და საწოლი ოთახისკენ გააღაჯა.

– ახლა წადი, რამაზ. უკეთა ვარ, – უთხრა ქალმა მას შემდეგ, რაც კაცმა იგი ლოგინზე დააწვინა და ქალის თხოვნით თავით ტელეფონის აპარატი დაუდგა.

– ნუ გეშინია, მაკა, არ დავრჩები, აგერ ჩამოვჯდები ცოტა ხანს და გიყურებ. იქნებ რაიმე დაგჭირდეს. ასე როგორ დაგტოვო? ეგება ჯობდა მანც გამოგვეძახა სასწრაფო? მერე უფრო გულმშვიდად წავიდოდი.

– არა, არაფერი არ მინდა... გამივლის... – მაღალ ბალიშზე თავით მიწოლილი, უღონო, სუსტი ხმით ჩურჩულებდა ქალი და ეტყობოდა, თავს ძალას ატანა, რომ ყოჩად იერი ჰქონოდა.

* * *

მის ცნობიერებაში წამიერად ფრაზების ნაწყვეტებიღა შემოიჭრებოდა და მერე, ისევ ისე ითიშებოდა გონება, აღარ იკარებდა სიტყვებს, რახუნით რომ ცვიოდნენ სადღაც მისგან მოშორებით.

გამოცარიელებული, უსიცოცხლო თვალები მიემტერებინა სარკმლისთვის და მოჩვენებითი გულისყურით ათვალიერებდა

გარემოს. სინამდვილეში კი, თავის წარმოსახვაში ხან სწრაფი, ხანაც შეყოვნებული კინო-კადრებივით გაცოცხლებულ სურათებს ჩასციებოდა შინაგანი მზერით. მანქანაში მსხდომნი კი განაგრძობდნენ დავას. ერთმანეთს აწყვეტილებდნენ, ერთმანეთს არ უსმენდნენ ბოლომდე, ყოველ მათგანს საკუთარი აზრი მიაჩნდა მნიშვნელობის მქონედ. აღარ აცლიდნენ ლაპარაკს ერთიმეორეს. სინამდვილეში სულ არ აინტერესებდათ, თუ რას იტყოდა მეორე. მთავარი იყო: თვითონ რას ფიქრობდა და რა აზრის იყო იმ წერილის შესახებ, დილის გაზეთში რომ დაებეჭდათ.

„...თავადაც არ უწყოდა დანამდვილებით, რა ერქვა იმას, რაც წუხელ მოხდა, მხოლოდღა ქალის შეძრწუნებული თვალები, უზომო ტკივილისგან დამანჭული და ცრემლით მორწყული სახე წარამარა აესვენებოდა მის მზერას და როგორც არ უნდა აეფარებინა ხელისგულები, ვერასდიდებით ვერ მოეშორებინა იგი, რადგან, რაც უფრო იცილებდა და უკან, თითქოს სიღრმეში სწევდა მას, რომ ბოლოს და ბოლოს, სულაც გაეუჩინარებინა, მით უფრო მეტის დაჟინებით და თავგამეტებით მოიწევდა მისკენ. ვერა, ვერას გზით, ვერანადირი საშუალებით ვერ მიეხურა სარკმელი ამ უსიამო ჩვენებისთვის, ასე გამეტებით რომ ეძალებოდა და საშველს არ აძლევდა“.

...მანქანაში მსხდომნი კი კვლავ გაცხარებით დაობდნენ წერილში მოთხრობილ საზარელ მკვლელობაზე, დაობდნენ იმაზე, თუ საიდან არის ადამიანში ამდენი სისასტიკე, ბოროტება, სიძულვილი, ბოლმა და შური.

„...წუხანდელმა შეხვედრამ დაუნდობელი სიცხადით გააშიშვლა ის, რაც თვით მისი გონებისთვის, შესაძლოა, ამოუცნობი ან ბუნდოვანი იეროგლიფივით დარჩენილიყო, თუმცა არცთუ მთლად გაუცნობიერებელი გახლდათ, რადგან ერთხელ უკვე მიეცა საშუალება ამ მთვლემარე, თითქოს მიყუჩებულ „იეროგლიფს“ თავი ეჩინა, გამოაშკარავებულყო, მაგრამ მაშინ იმ საქციელს მისატყვევებლად თვლიდა. ყოველ შემთხვევაში უწყინარი თუ არა, საძრახისად არ მიაჩნდა თავად, გამართლებას თუ ახსნას უძებნიდა საკუთარ თვალში.

წუხელის მერე კი... და საერთოდ, თავს ვეღარ მოიტყუებდა, რადგან ამიერიდან თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ამ მთვლემარე „რადაცას“ ძალუძდა დროდადრო, ხანგამოშვებით, თავის აწყვეტა და მაშინ... ხშირად სავსებით უსუსური და უძლური ხდებოდა თურე ნებისყოფა მის წინაშე. გამარჯვება ან დამარცხება მართო ბრძოლის ველზე როდი მოიპოვება: ჭიდილის სარბიელად როცა გული და გონება იქცევა, ხშირად მოუთოკავი, შეუზღუდავი რჩება თურმე ის შეფარული, ქვეცნობიერი ინსტინქტი თუ კოდირებული რეფლექსი. არადა, დამარცხება საკუთარ თავთან კი – შეიძლება არანაკლებ საშინელი იყოს, ვიდრე საომარ ველზე ბრძოლის წაგება!

„...ქალს წამით ჩათვლიმა და მის ფერგაცრეცილ, გამხდარ ლოყებსაც თითქოს სიცოცხლე დაუბრუნდა, ვარდისფერმა გადაჭკრა, სუნთქვაც ზომიერი გაუხდა.

იჯდა საწოლისგან მოშორებით და რაღაცნაირი სინანულით, სიბრაღულით თუ აუხსნელი, თითქოს გაუგებარი სინაზით შესცქეროდა ამ სახეს, რომელსაც ახლა, როცა ქალს მიერულა, გადატანილი ტანჯვისა და შეფარული წუხილის ნაკვალევი დასტყობოდა.

ის იყო ჩუმად ადგომას და ფეხაკრეფით გამოსვლას აპირებდა, რომ ანაზდად ქალმა თვალეები გაახილა. და ამ ერთმა წამმა, ამ თვალეებში არეკლილმა უნებლიე შიშმა შესაძლოა გადაწყვიტა შემდგომ ყველაფერი.

– შენ... კიდევ... აქა ხარ? – აღმოხდა ქალს გოცებით თუ შიშით და საწოლზე წამოჯდა დამფრთხალი, დაფეთებული იერით.

– ახლა... ვაპირებდი წასვლას... – დააბნია რატომღაც ქალის სახის გამომეტყველებამ, ხმის კილომ და გულის არეში უნებლიეთ მწვავე ჩხვლეტა იგრძნო ისევ.

– გაგაცილებ... – დაფაცურდა ქალი ასადგომად.

– არ არის საჭირო, იწექი.

– არა, გაგაცილებ... უკვე კარგად ვგრძნობ თავს. თან... კარსაც ჩაკვეტავ.

– მერე... მე რომ წავალ, მერე ჩაკეტე.

უკვე ფეხზე ამდგარი ქალისკენ დაიხარა, რომ ლოყაზე ეკოცნა გამომშვიდობების ნიშნად. და მყისვე იგრძნო, რომ ქალი თითქოს შინაგანად აიზღარბა, და როგორღაც საჩქაროდ მიუშვირა ლოყა საკოცნელად, თითქოსდა ეწადა, რაც შეიძლება მალე მოემორები-ნა თავიდან. კვლავ ჩხვლეტისმაგვარი იგრძნო გულში და უცებ... ის „რადაც“ – სულის უშორეს, ბნელ ხვეულებსა თუ მღვიმეებში რომ იყო ჩაღეჭილი და აქამდე თვით მისთვისაც გაუცნობიერებელი ჩანდა, – აზავთდა, დაიგრაგნა და დაიძრა...

ლოყაზე რომ შეახო ბაგე, კვლავ შენიშნა, როგორ შეტოკდა ქალი უსიამო გრძნობისგან, თუმცაღა უანგარიშოდ ეცადა მის დაფარვას ნაძალადევი, ნაწვალევი ღიმილით.

ერთბაშად წელზე შემოხვია მკლავები, თავისკენ მოიზიდა:

– მაკოცე! გამოსამშვიდობებლად მაკოცე. ისე არ წავალ აქედან, იცოდე! – ხმა ჩაეხრინწა, სახე აელეწა კაცს. ის „რადაც“ ბნელი, ავი, ბოროტი შინაგან ჯებირებს მოსკდომოდა და გადმოლახვას ლამობდა.

ახლა დაუფარავი შემფოთება ჩაელვარა ქალს გაფართოებულ თვალებში. მაგრამ შეეცადა სახისთვის არაფრისმთქმელი, უდარდელი გამომეტყველება მიეცა.

– რასაკვირველია... ოღონდ ხელი გამიშვი, რამაზ.

უფრო ძალუმაღ მოიზიდა კაცმა.

– ისე გეზიზღები... რომ ერთ კოცნასაც არ იმეტებ ჩემთვის?

კაცი უკვე ველარ ფლობდა თავს, ველარ დაემორცილებინა გულისთქმა, რომელშიც ვნებასთან და მძაფრ სურვილთან ერთად ცნობიერად შენივთებულ-შეზავებულყო გრძნობა-შურისგებისა. რატომ? რისთვის? რის გამო? ამის გასარკვევად აღარ ეცალა მის გონს და ახლა არც იყო ეს მთავარი მისთვის.

– რატომ მიძალიანდები, მაკა?.. რომ აღარ გიყვარვარ, ეგ ვიცი უკვე, მაგრამ... შენი თქმითვე, აკი... უსიყვარულოდ შეგიძლია დაუწვე იმას... იმ ტიპს, წელან რომ გირეკავდა...

– რამაზ! – ხვეწნა გაისმა ქალის ჩამწყდარ ხმაში.

– ნუთუ... ყველაფერი დაივიწყე? აღარაფერი გახსოვს კარგი?

უკვე გაშმაგებით უკოცნიდა სახეს, თვალებს, ტუჩებს, ყელს,

მერე პერანგის საკინძე ბოლომდე ჩაუწყვიტა: – მე რო მახსოვს?.. მე რომ ვერ ვივიწყებ?..

– რამაზ... ოღონდ შენ... ოღონდ შენ არა... – შიში ახლა შეძრწუნებით შეცვლოდა ქალს სახეზე. ამან, ამ უნებლიე ძრწოლამ უფრო მეტად გაახელა.

– სწორედ მე... სწორედ მე... – უგონოდ, უაზროდ ბუტბუტებდა და მეტის გამწარებით ეხვეოდა და კოცნიდა ქალს, რომელსაც წინააღმდეგობის ძალა უკვე წართმეოდა.

– ეგ ხომ... ძალადობაა, რამაზ! – უკანასკნელად სცადა ქალმა კაცის გონზე მოყვანა და ცრემლები თქრიალით გადმოცვივდა თვალებიდან: – ველარ გადავიტან... ველარ გადავიტან ამას... შენგან რამაზ! – წაიხურჩულა მიღეული, განწირული ხმით და უღონოდ ჩაიკეცა კაცის მკლავებში“.

...მანქანაში მსხდომნი აღარ ცხრებოდნენ. დავა-კამათი ლამის ჩხუბსა და ლანძღვა-გინებაში გადაზრდილიყო.

– რა ამბავში ხართ? რად იწყვიტავთ ასე ყელის ძარღვებს? – წამიერად ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა უცებ საჭესთან მჯდომი თამშეთხელბუღი, სათვალისანი კაცის მშვიდი, წყნარი ხმა: – განა ახალი ამბავია თქვენთვის, ყოველ ადამიანში პოტენციური მკვლელი რომ ზის!

თითქოს მღუმარების ანგელოზმა ჩამოიარაო, ყველას ენა ჩაუვარდა, განცვიფრებული თვალებით შეაცქერდნენ საჭესთან მჯდომს.

ამ უეცარმა და ხანგრძლივმა სიჩუმემ გამოიყვანა რამაზი გარინდებიდან. თანამეზავრებს გაოცებით მოხელა ძილბურანიდან ახლადგამოღვიძებული ადამიანის მზერით.

რა მოხდა? რატომ შეწყდა ხმაური, ყურში მომაბეზრებელი, მონოტონური ზუზუნი რომ გაჰქონდა?

– რას გაჩუმდით? გიმეორებთ: თითქმის ყველა ადამიანში ზის პოტენციური მკვლელი-მეთქი. ოღონდ ზოგს ხელსაყრელი პირობები ექმნება ამ პოტენციის გამოსავლენად და ავლენს კიდევ მას, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა: ზოგი კიდევ – შეფარულად, იქნებ თვით მისთვისაც შეუცნობლად ატარებს მას.

– მაშ... გონი? გონი რაღაა? – იკითხა რომელიღაცამ ირონიულად.

– გონი საითეენაც უნდა იქეთეენ წარმართავს ადამიანს: უნდა ბოროტებისკენ, უნდა სიკეთისკენ...

ახლა ყველანი თითქმის ერთდროულად აყაყანდნენ. საჭესთან მჯდომმა აცალა მათ დაცლილიყვენ ემოციებისგან და შემდეგ ძალიან მშვიდი, დინჯი, მაგრამ დაბეჯითებული ხმით განაგრძო: – აი, ყველანი ხომ სიამოვნებით ვუყურებთ კინოსურათებს, სადაც ომია გადაღებული, განსაკუთრებით ე.წ. ბატალური სცენები მოგეწონს, მასიურად რომ ხოცავენ ადამიანებს. ხომ ასეა?

– ეს ხომ ომია... ისინი ხომ... მტრებია? – რომელიღაცამ ენის ბორძიკით წამოიძახა.

– ხა-ხა-ხა... – მოკლედ გაიცინა რეზომ: – მერე რა, რომ მტრები ჰქვიათ? ადამიანები ხომ არიან? ჩვენნაირი აგებულების, ჩვენი ჯილაგის, კაცთა მოდემის?... ე.წ. ნადირობაც ხომ სისხლის წყურვილის დაკმაყოფილებაა ქვეშეცნეულად?

მონადირე კლავს, ვთქვათ... ირემს თუ კურდღელს, ეგ სულერთია, და უხარია უხომოდ, რომ მოკლა, სისხლი დაღვარა... ეგ სიმბოლურად იგივეა, რასაც ველური ტომები სჩადიოდნენ, როცა თვისტომთა სისხლში იბანდნენ ხელებს... მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ერთნი ფიზიკურად კლავენ ადამიანებს, ხოლო სხვები – სიტყვიერად, სულიერად, ყველა შემთხვევაში – მაინც მკვლელობასთან გვაქვს საქმე... და საერთოდ, ადამიანს ადამიანად აქცევს და აკეთილშობილებს, როგორ ტრაფარეტულადაც არ უნდა ჟღერდეს, მხოლოდ რელიგია და კულტურა. სხვა შემთხვევაში იგი ჩვეულებრივი მხეცია – თავის ქვენა ინსტინქტებს დაქვემდებარებული ეგოისტი...

...წამით მოეჩვენა, რომ გული გაუჩერდა. რეზოს კეფას მიუშტერა თვალები. გულში ხომ არ ჩამოხედა ამ კაცმა? უშორესი, თვით მისთვისაც შეუცნობელი კუნჭულები თუ ხვეულები ხომ არ მოიხილა უჩინარი მხერით? მის უშინაგანეს, შეფარულ ზრახვებს ხომ არ მიუხვდა?

თუშცა... ნუღარ შფოთავ. დაწყნარდი, რამაზ დიასამიძე! აი, ჩახვალ შინ და შენს ოჯახში, შენს ცოლ-შვილთან დაიგულებ

თავს თუ არა, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. და შენც თანდათანობით დაივიწყებ ამ ამბავს, ყოველ შემთხვევაში, გაგინდობა სიმწვავე განცდისა, სინდისის ქენჯნაც ნელ-ნელა გაგივლის; ის კი არა, დროთა ვითარებაში, შესაძლოა, გაამართლო კიდევ ძველებურად შენი საქციელი, გულდინჯად გამოიძიო მიზეზ-სათავე და შედეგიც კანონზომიერად ჩათვალო. აკი – უმიზეზოდ არც არაფერი ხდება ამ ქვეყნად. ყველა მოვლენას ეძებნება გამამართლებელი საბუთები. ყოველ შემთხვევაში, დაგიცხრება და შეგიმსუბუქდება სინანულის განცდა. მერე რა, რომ აქეთკენ, გამოღმა მხარეს მარტო ტოვებ თავის უსაშველო დარდთან და სატკივართან იმას, ვისაც ასე უღმობლად და სასტიკად მოექცევი, ვინც ასე გაწირე და გაიძებე. უფრო მეტიც, დაწიხლე, სულში ჩააფურთხე და მიატოვე ბედის ანაბრად.

როგორც უნდა, ისე მოიშუშოს სულიერი იარები, არა?

ვერ მოერევა, ვერ გადაიტანს? მით უარესი მისთვის. დააბრალოს თავის თავს – უფრო სწორად – თავის უსუსურობას, უძლურებას და თუ გნებავთ, უგუნურობას, ბოლოს და ბოლოს. შენ არა ხარ პირველი ცთომის ამ გზაზე და არც უკანასკნელი იქნები ალბათ.

მაშ, რაღად სწუხარ, რატომ ვერ ისვენებ?

– ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში, – განაგრძობდა რეზო, – ორივე სახის – სულიერი, სიტყვიერი თუ ფიზიკური მკვლელობა – თავს დამნაშავედ არ ცნობს. ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამართლებს თავის საქციელს.

კვლავ ატყდა ზრიალი. ერთმანეთს აღარ აცდიდნენ ლაპარაკს. როგორ? რანაირად? ხომ არის წინასწარგანზრახული, მოფიქრებული და შემთხვევითი, უნებლიე მკვლელობა? ანდა, რას ნიშნავს, „სულიერი მკვლელობა?“ ვინ თქვა ეს? რა სახისაა იგი? ან საერთოდ – არსებობს ამგვარი რამ?

– არსებობს, დიახ, არსებობს!.. და იგი შეიძლება ფიზიკურ მკვლელობაზე არანაკლებ საშინელი იყოს!

თავადაც არ იცის, როგორ, რანაირად, რა გვარად მოსწყდა მის ბაგეს ეს ფრაზა. ყველანი ჯერ რეზოს მიატკერდნენ. რატომღაც სუყველას მოეჩვენა, ამ სიტყვების მთქმელი ისევ რეზო

იქნებოდა, მაგრამ როცა რეზომაც უკან მოიხედა და თვალით მოიხია ის, ვინც ეს სიტყვები წარმოთქვა, მაშინლა შენიშნეს აქამდე ჩუმად, მანქანის ნაპირას მიყუყული რამაზ დიასამიძე, სახეზე გულგრილი გამომეტყველება რომ გამოხატვოდა; მხოლოდ ძალიან დაკვირვებული მზერა თუ შეამჩნევდა მის თვალბში მიმალულ სასოწარკვეთის, თუ შეძრწუნების ნაკვალევს.

ან...

შეამჩნევდა კი?

ნღობის ტელეფონი

* * *

უცებ დაწვდა ყურმილს. „ღმერთო, გამახსენე!“ – ნელა, დაყონებით აკრიფა ნომერი.

– ალო, ნღობის ტელეფონია?

– დიახ. ნღობის ტელეფონი გისმენთ, ქალბატონო!

– გამარჯობათ... იცით, რისთვის გირეკავთ?... სიკვდილი მჭირს. დიახ, სიკვდილის შიში დამეუფლა... ამ ბოლო დროს – განსაკუთრებით. (წამიერი ღუმელი): – არა, შეშლილი არ გეგონოთ... ნორმალური ფსიქიკის გახლავართ... ოღონდ... შეგრძნება იმისა, რომ... რა დღეს, რა ხვალ – აუცილებლად, ყოველ მიზეზ გარეშე უნდა მოვკვდე – გარწმუნებთ, ტვინს და გონებას მიმღვრევს... ვერა და, ვერ ვეგუები ამ... პერსპექტივას!.. არადა, სიცოცხლეც, მომძულებია. პარადოქსია, არა?

– სიკვდილის შიში... ბუნებრივი, თანდაყოლილი გრძნობაა ადამიანისათვის, ქალბატონო...

– ელენე მქვია. შეგიძლიათ, ელიკოთი მომმართოთ! თქვენი სახელი...

– მე – ნანა გახლავართ!

– ჰო, ნანა, საყვარელო! ვიცი, განა არ ვიცი, რომ ეს გრძნობა თანდაყოლილი, ანუ სიკვდილის – ამ ბუნებრივი მოვლენის – ემინია ყველას – ფრინველების და ცხოველების ჩათვლით! და მაინც... იქნებ სწორედ ამიტომაც ასე განვიცდი ამ გარდაუვალობას... (პაუზა).

– იცით... ხშირად ისე მკაფიოდ, ისე ცხადად წარმომიდგება ხოლმე ჩემი თავი... სასახლეში არა – კუბოში – ისე, ხომ საინტერესოა, იმდენად ემინია ადამიანს სიკვდილის, რომ... ჭურჭელს, რომელშიც ასვენია მიცვალებული – თავის ნამდვილ სახელს არ არქმევს, ტაბუირებულია იგი... ჰმ. სასახლე! (პაუზა)... ჰო, იმას ვამბობდი, კუბოში ისე თვალნათლივ ვხედავ ჩემს თავს, ვხედავ, დამარხვის ყოველ წვრილმანს, ყოველ ნიუანსს, ასე ვთქვათ, მთელ ცერემონიალს... ისე ცხოვლად აღვიქვამ მატლებს, როგორ ღრღნიან ჩემს ტანს, „ნასათუთებ“ ხელებს, გულმკერდს, ფეხებს, ტუჩ-პირს... მოკლედ, მთელ ჩემს სხეულს, რომ... ჭირის ოფლი მასხამს შუბლზე... ტაო მეშლება... ხანდახან ღპობის, ხრწნის სუნსაც ისე მკვეთრად შევიგრძნობ ხოლმე, რომ უმწეობის, განწირულობის გრძნობით შეპყრობილი – მზადა ვარ, ძალღვივით ვიყმუელო... მოკლედ, ვერა ვარ კარგად, საყვარელო! ლამის მართლაც გავვიჟღე...

– უკაცრავად, ქალბატონო ელენე!.. რაიმე... მძიმე სენით ხომ არ ბრძანდებით... დაავადებული? ე.ი. იმის თქმა მინდა – რაიმე უკურნებელი დაავადება ხომ არ გჭირთ-მეთქი?

– სიკვდილზე უფრო უკურნებელი განა რა უნდა იყოს ამ ქვეყნად? (უამურად ჩაიცინა): – არა, საყვარელო! ჯანმრთელი ვარ, სრულიად ჯანმრთელი – ფიზიკურ ჯანმრთელობას ვგულისხმობ, რასაკვირველია (პაუზა).

– რამდენი წლის ბრძანდებით, ქალბატონო ელენე, თუ... საიდუმლოება არაა, ცხადია!..

– ორმოცდაათოთხმეტის გახლავართ!.. სხვათა შორის, ვერასდროს ვიტანდი წლოვანების დაფარვას...

– გასაგებია... დიდი ხანია... ასეთ უსასოობაში ხართ?

– სიკვდილის შიშს გულისხმობთ, არა? ო, ო, ეს შიში ჯერ კიდევ ბავშვობიდან მქონდა, თუმცა... ვცდილობდი ამაზე არ მეფიქრა...

მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, ჩემს თავს კითხვას ვუსვამდი: რატომ უნდა გავიზარდო, რა საჭიროა დიდობა, თუკი ბოლოს მაინც უნდა მოგკვდე-მეთქი? ამ უკანასკნელ ხანს... უფრო ზუსტად, ეს ორიოდე წელია, განსაკუთრებით მომეძალა ეს... განწყობილება...

– შვილები გყავთ, ქალბატონო ელენე?

– ერთი ქალიშვილი მყავს, გათხოვილი. ჰოლანდიაში ცხოვრობს. მეუღლეს კი – დიდი ხანია გავცილდი... ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში.

– მაშ, სახლში მარტო ბრძანდებით?

– დიახ. მარტო. გამზრდელი დეიდა რამდენიმე წლის წინ გარდამეცვალა. დედა კი – შარშან მომიკვდა. მამის გარდაცვალება არ მახსოვს. ორი წლისა ვყოფილვარ.

– დედა... თქვენთან იყო?

– დედა, დეიდა და მე – ერთად ვცხოვრობდით.

– შვილიშვილები თუ გყავთ, ქალბატონო ელენე?

– კი, ერთი. ჩემს ქალიშვილს ჰოლანდიელი ქმარი ჰყავს-მეთქი. ასე რომ, შვილიშვილიც ჰოლანდიელია, ცხადია. კოტეს ვეძახი – მამაჩემის სახელს. ისე, იოჰანესი ჰქვია.

– ალბათ... ხშირად ვერ ნახულობთ ერთმანეთს?

– აბა, საიდან? წელიწადში ერთხელ თუ ახერხებენ ჩამოსვლას. ეს არის და ეს!

– ამიტომაც გაწუხებთ ალბათ, მარტოობის გრძნობა...

– იცით, ბევრი ახლობელი მყავს, მეგობარი, ნათესავი... ასე რომ, ვერ ვიტყვი, მარტოსული ვარ-მეთქი.

– იცით... მე ვიგულისხმე... ახლო მეგობარი... მამაკაცი...

– ა, ა... გასაგებია, გასაგებია (გაცივინა)... თქვენ გინდოდათ გეკითხათ – საყვარელი მყავს თუ არა... არა? (კვლავ ჩაიცინა) – ჩემს ასაკში?

– რატომაც არა, ქალბატონო ელენე, რატომაც არა! თქვენზე ხნიერებიც თხოვდებიან, ზოგი-მეორედ, მესამედ, მეოთხედაც კი! ან არადა...

– ბოი-ფრენდი ჰყავთ, არა? ახლა მოდაშია ეს სიტყვა.

– თუ გნებავთ, ასე დაარქვით!

– არა, ქალბატონო ნანა – საყვარელი ახლა ნამდვილად არა მყავს, მადლობა უფალს!.. როცა მყავდნენ, ნეტავ, მაშინაც არ მყოლოდნენ!

– ესე იგი... გყავდნენ... მაინც!

– არ მინდა ახლა ამაზე საუბარი...

– კი, ბატონო, თქვენი ნებაა და მაინც... თუ კანდიერებაში არ ჩამომართმევთ... მეუღლეს რატომ გაეყარეთ? რა მიზეზით?

– ჩვეულებრივი ამბავია. ორდინალური. იმდენი დრო გავიდა მას შემდეგ, გახსენებაც არ ღირს...

– რატომ?... თქვენ ხომ გინდათ ალბათ გულახდილი იყოს. ჩვენთანაც ხომ ამისთვის დარეკეთ?

– იცით, სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, რა მოვალეობა გაკისრიათ... შემთხვევით მოვკარი თვალი თქვენს ნომერს ერთ ჩემს ახლობელთან. რატომღაც... დამამახსოვრდა, და, აი, უძილობამ, ფიქრებმა რომ ძალიან დამტანჯეს... უცებ გადავწყვიტე დამერეკა... ამ შუალამისას!.. და რაკილა გიჟად არ ჩამთვალეთ და ყურმილი არ დამიკიდეთ... (შეჩერდა).

– როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ელენე. ჩვენი მოვალეობაა, მოვუსმინოთ ყველას, ვინც ჩვენგან თანაგრძნობას ან რჩევას ითხოვს... ანდა, ვისაც, უბრალოდ, გულის მოოხება სწადია ხოლმე.

– გმადლობთ, ჩემო კარგო. დიდად გმადლობთ! სხვათა შორის, თქვენი ხმა რომ არა, შესაძლოა, გადამეფიქრებინა მუსაიფის გაგრძელება, მაგრამ... საოცარი ხმის ტემბრი გაქვთ... თანაც ძალიან ახალგაზრდული... ასაკს არ გეკითხებით... საგანგებოდ.

– დიდი მადლობა, ქალბატონო ელენე, კომპლიმენტისათვის.

– სიმართლეს გეუბნებით. ისე, მირჩევნია, ელიკო დამიძახოთ. ასე უფრო შინაურულად, უფრო ინტიმურად ჟღერს. ისე, ალბათ, ბევრი გაწუხებთ... ჩემისთანა შეჭირვებულნი...

– საკმაოდ. დროა ასეთი!

– ჭეშმარიტად. დროა ასეთი. ეს კარგად თქვით და მაინც... ღირს კი შეწუხება, არც თუ ისე დალაგებული აზრების მქონე პიროვნებისათვის, როგორიც მე ვარ? აქვს კი აზრი...

– როგორ არა. როგორ არა ქალბატონო... ელიკო! ნამდვილად აქვს აზრი გაუზიაროთ სხვას, თუნდაც უცნობს თქვენი

გულისწუხილი და შეშფოთება. კაცი კაცის წამალიაო, ნათქვამია. აკი რუსთაველიც ბრძანებს – „დიდი ღზინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდესო“. ისე, რასაკვირველია, თქვენი ნებაა, მაგრამ... რატომღაც მგონია, გამოგვივა საუბარი. თქვენ, ისეთი ინტელექტუალური პიროვნება ბრძანდებით...

– საიდან იცით, გეთაყვა, რომ... ინტელექტუალური პიროვნება ვარ?

– გეტყობათ!

– არ მითხრათ ახლა, ნაკითხიც, განათლებულიც ჩანხართო.

– ასეც რომ არ იყოს, ეს ჩვენს თანაღმობას ხელს არ შეუშლის...

– რა ბრძანეთ, გეთაყვა? თანაღმობასო?

– დიახ, თანაღმობას. რატომ გაიკვირვებ?

– ამ სიტყვას ახლა თითქმის არავინ ხმარობს. (პაუზა) – როგორც ჩანს, თქვენ ფილოლოგიური განათლება გაქვთ მიღებული. სხვათა შორის, მე ეს თქვენ შეგატყვეთ... ისე, არც მოწყალების, უფრო სწორად, არც გულმოწყალების ხმარებაა ახლა მოღაში... უმოწყალონი რომ გავხდით, ალბათ იმიტომ.

– შესაძლოა, ასეც იყოს, ქალბატონო... ელიკო!

– და რაკი უმოწყალონი ანუ ღვთის გარეგანად ვიქეცით, ეტყობა, ღმერთმაც ამიტომ აგვადო ხელი, ანუ დავრჩით ღვთის მადლის გარეშე, ხომ მართალია?

– ალბათ, მაგრამ... ხომ უნდა დავიბრუნოთ ღვთის წყალობა და მადლი? მეთანხმებით თუ არა, ქალბატონო ელიკო?

– გეთანხმებით. მაგრამ... (პაუზა).

– რა პროფესიის ბრძანდებით?

– პედაგოგი, უფრო სწორად... ვიყავი პედაგოგი, ისტორიას ვასწავლიდი სკოლაში. სხვათა შორის, 25 წლის სტაჟი მაქვს პედაგოგობის. ახლა აღარ ვმუშაობ. წამოვედი სკოლიდან.

– რატომ? რატომ დაანებეთ თავი მასწავლებლობას?

თქვენ ხომ ჯერ საპენსიო ასაკი არა გაქვთ?

– იყო მიზეზი... უფრო სწორად – მიზეზები.

– გასაგებია. ალბათ უწინარესად... ეკონომიურად გაგიჭირდათ...

– ახლა ვის არ უჭირს, საყვარელო? თუმცა, არა – ყველას არ უჭირს. მცირე ნაწილს ნამდვილად არ უჭირს. პირიქით, მეტად

გაზულუქებულნიც კი არიან – საერთო სიღუხჭირის ფონზე! მაგრამ... მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობის გამო არ ჩავვარდნილვარ ამ... დეპრესიაში (პაუზა).

– დეპრესიაში რომ ხართ... თქვენს გარდა სხვამ თუ იცის, ქალბატონო ელიკო?

– მაპატიეთ... ვერ გავიგე შეკითხვა?

– ექიმთან თუ ბრძანდებოდით?... თუ გიმკურნალიათ-მეთქი?

– გარშემო ნათესავები თუ ახლობლები-სულ ექიმები მყვანან. სხვადასხვა წამლებს გამომიწერენ ხოლმე, მაგრამ... მე მათ არ ვიღებ!

– რა მიზეზით, ქალბატონო ელიკო? წამალი ხომ...

– ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩემო საყვარელო, რომ ქიმიური პრეპარატები ჩემს სულს ვერ განკურნავს, ვერც ბიოდენები მიშველის რამეს, ვერც ეგრეთწოდებული, წინასწარმეტყველები თუ ნათელმხილველები... წელანაც გითხარით, უცებ, მოულოდნელად მომინდა-მეთქი სრულიად უცნობი, უცხო ადამიანისათვის გადაამეშალა გული... ბოლომდე ამომეფერთხა ყველაფერი... და აი, დაგირეკეთ კიდევ... თუმცა... იქნებ სჯობდა კიდევ... თავი შემიკავებინა. არ ვიცი...

– პირიქით, ქალბატონო ელიკო, მე მგონი, კარგი ჰქენით რომ... დარეკეთ... უკაცრავად... აქამდე ვერ გკითხეთ, მორწმუნე თუ ბრძანდებით?

– მართლმადიდებელ ქრისტიანად მიმაჩნია ჩემი თავი, თუმცა... სინამდვილეში ზერელე მორწმუნე უფრო გახლავართ, ვიდრე ჭეშმარიტი, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი. არადა... ერთხელ, მრავალი წლის წინათ, ჩემში, ურწმუნო პიროვნებაში-რწმენის გაღვიძებამ უზარმაზარ, სულიერ კატასტროფას გადამარჩინა... მაგრამ მოგეხსენებათ ალბათ ადამიანების დაუდევრობისა და ფუქსავატობის ამბავი... იშვიათად დავდივარ ეკლესიაში... უფრო სწორად, ვესწრები წირვა-ლოცვებს. ზოგჯერ მეზარება, ზოგჯერ ვერ ვახერხებ და ასე შემდეგ. ადრე, სხვათა შორის, უფრო აქტიური ვიყავი ამ მხრივ, ანუ... როცა აკრძალული იყო, მაშინ უფრო დავდიოდი ხოლმე სიონში.

– მოძღვარი თუ გყავთ?

– მყავს. ოღონდ... იშვიათად მიწვევს მასთან აღსარებაზე მისვლა. ბევრი მრევლი ჰყავს. მე კიდევ... უნდა ვაღიარო – არ შემიძლია დიდხანს რიგში დგომა! ლოდინს ვეღარ ვუძლებ... ვლიზიანდები, ვიღლები. მერე... სურვილიც მეკარგება აღსარების და... მაშასადამე, იშვიათად ვეზიარები ხოლმე... ანუ მაშინ, როცა ვახერხებ ამ ბარიერების გადალახვას. მოკლედ, ცოდვებს – ცოდვას ვუმატებ...

– ბევრი ცოდვა გაწუხებთ, ქალბატონო ელიკო?

– ო, ბევრი. ძალიან ბევრი. აი, თქვენ გელიძებთ, აქედან გატყობთ. არადა, უძძიმესი ცოდვები მაქვს ჩადენილი... უნდა გითხრათ, ჩემს ხატებთან უფრო გულახდილი ვარ და დაუნდობელი საკუთარი თავის მიმართ, ვიდრე... ჩემს მოძღვართან. და მაინც... (შეჩერდა)

– რელიგიურ ლიტერატურას თუ კითხულობთ... მამების ცხოვრებას...

– ხანდახან. იშვიათად.

– ლოცვებს?

– მთავარი ლოცვები ზეპირად ვიცი...

– არ გამხსნევებთ? არ გაწყნარებთ?

– მცირე ხნით. მერე... ისევ მეწყება... თავიდან მეწყება ყველაფერი. ჩემი მიცვალებულების სულებს ვესაუბრები ხშირად, უფრო სწორად, სულ მათთან ვარ. სულ მათთან ვტრიალებ...

– და ალბათ... თვითგვემას და თვითგანკითხვას ეძლევი, არა, ხშირად?

– დიახ. დიახ. მიმიხვდით! არ ვიცი, რით და რანაირად ვუწამლო ჩემს თავს... ხშირად ვუხმობ სიკვდილს და თან... მეშინია -მეთქი მისი! როგორ მოვერიო ამ სულიერ ფორიაქს, უფრო სწორად, ფსიქოზს – არ ვიცი. ფილოსოფიურად თითქოს ყველაფერი გასაგებია.

სხვათა შორის, ძალიან მიყვარს მარკუს ავრელიუსი და პლატონი... თითქოს რელიგიურადაც ცოტა რაღაცეები მესმის, ვიცი, რომ – ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, რომ მცირე ხნით მოველით ამქვეყნად, რომ... უნდა მოვემზადოთ სამარადისო ცხოვრებისათვის...

ჩემი უსაყვარლესი ადამიანების სიკვდილმა, უფრო კი მათმა უძღურმა სიბერემ თვალნათლივ დამანახა, რა უბადრუკია და...

წამიერი-ყოფიერება, რომ... მართლაც წამის წამია ეს წუთისოფელი! ხომ გენიალური სიტყვაა – წუთი-სოფელი? დიახ, ვიცი, რომ... დავიბადებით თუ არა, იქვე – საფლავიც მზად არის. ყოველივე ეს ვიცი! და მაინც პლატონის, უფრო სწორად, სოკრატეს თქმით ვიცი, რომ არაფერი ვიცი. არ ვიცი საიდან მოვედი, სად მივდივარ საერთოდ, რისთვის იკლავს თავს ადამიანი ამ წუთისოფლის იწილო-ბიწილოთი? აკი – ყველაფერი ხომ ამოა ამ ცისქვეშეთში! ყველაფერი წარმავალია, უხანოა, მსხვერველია. განჯავრებადია... ანუ... ღრობითია. ჩვენი ძველი ჰიმნოგრაფის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მოხვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა, სადა არს შური, საოცრება და ხდომა, სადა არს ძვირის ხსენება და ზვაობა, და გულისთქმანი? აჰა, ესერა მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი! ანდა: „რასა ცუდად ვმალლოთ, ოდეს ყოველი მოკვდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი?“ ჭეშმარიტად, მიწა, თიხა და ნაცარი ვართ!..

– ჩვენმა გენიოსმა ბარათაშვილმა, ჩემი აზრით, სულ რამდენიმე სტრიქონში მოათავსა უამრავ ფილოსოფიურ ტრაქტატებში დასმული კითხვის პასუხი და ადამიანის რაობის მიზანი: „მაგრამ... რადგანაც კაცნი გქვიან, შვილნი სოფლისა...“-ო

– დიახ. დიახ. და მაინც... ყოველივეს მიუხედავად, მაინც გაუგებარია ჩემთვის ადამიანების ეგოლენი აქტიურობა! რა აზრი აქვს? რისთვის? ყოველივეს ხომ სიკვდილი უსვამს საბოლოო წერტილს! და ყოველი ხომ დავიწყებას ეძლევა!

– და მაინც, რაკი ვაზროვნებ, მაშასადამე – ვარსებობ.

– კი, ბატონო. ვარსებობ ახლა. ამ წუთს, მაგრამ – როდემდე-მეთქი? ან... რისთვის? ზვალ, ზეგ, მაზეგ-ვიქნები? ანდა, ვიყავი კი გუშინ თუ... მართლაც, ბინდისფერია სოფელი?... ყველაფერი რაც იყო, ხომ სიზმარივითაა ამ საწუთროში? ყველაფერი მოჩვენებაა, მოლანდებაა წამიერი, თუმცა... კმარა! მსგავსი ფილოსოფიური დიდაქტიკური მსჯელობანი სხვა დროსაც არაერთგზის მქონია მავანთან და მავანთან-უფრო სწორად – პრიმიტიული გონის, პრიმიტიული ტვინის ჭყლეტა... – ყოველთვის უშედეგოდ დასრულებულა ჩემთვის.

– ამიტომაც, იქნებ სჯობდეს, ჩვენი ძველების თქმით, კვლავ პირველსავე სიტყვასთან მივიდეთ, ანუ კონკრეტულ პრობლემებზე

ვისაუბროთ, ანუ... მაინც რატომ გაშორდით მეუღლეს? რა იყო მიზეზი? თქვენ კი ბრძანეთ, უინტერესოა ეს ამბავი, მაგრამ... მე მაინც ინტერესით მოვისმენდი თქვენს მონაყოლს...

– მერწმუნეთ, ქალბატონო ნანა, ეს ამბავი მართლაც არ გახლავთ ყურადღების ღირსი, ჩვეულებრივი ადიულტერი იყო, თანაც – როდინდელი! მე იგი დავიწყებული მაქვს კიდევ, როგორც... დავიწყებული მყვანან, სხვათა შორის, ჩემი საყვარლებიც.

– ბევრი გყავდათ... ისინი, ქალბატონო ელიკო? თუ არ მიწყენთ...

– აქვს კი მნიშვნელობა რაოდენობას, ჩემო ძვირფასო?

– აარ ვიცი... აალბათ – არა!

– ძალიან კარგი. მაგრამ რაკი გაინტერესებთ, გეტყვით: ორი მყავდა.

– ქმრის შემდეგ თუ... მაპატიეთ-კი არ გეძიებით, ისე, უბრალოდ... გეკითხებით...

– გასაგებია. მესმის. მეც უბრალოდ გიპასუხებთ – ქმრის შემდეგ, რასაკვირველია!

– რატომ... რასაკვირველია?

– ჰოო... (ჩაეცინა) მერწმუნეთ, ერთგული ცოლი ვიყავი – ნამდვილად. პირველმა მან მიღალატა! არადა... როგორც ბევრს, ისე მეც მეგონა – მხოლოდ მე ვუყვარდი ჩემს ძვირფას მეუღლეს. თანაც – განსაკუთრებული სიყვარულით!

– რამდენ ხანს... ცხოვრობდით ერთად?

– ექვსი წელი.

– და... ასე მოკლე ხანში...

– დიახ. ასე მოკლე ხანში მიღალატა. ეტყობა, სწორედ ამან გამამწარა მეც თავის დროზე! მოკლედ, არ გამოვიდა სიყვარული... კუბოს კარამდე! რას იზამ, ასეთია ცხოვრება! სელ-ავ-ვი!

– სიყვარულით გათხოვდით?

– მომიტაცა (პაუზა).

– თბილისელი ბრძანდებით?

– თბილისელი გახლავართ მამით-პაპით. მაგრამ... მე მესმის თქვენი კითხვის შეფარული აზრი. დიახ, სწორედ თბილისში, დღისით, მზისით, მომიტაცეს... (პაუზა). საქმე ისაა, რომ ჯერ

კიდევ სკოლიდან მოვწონდი გოგას (ასე ჰქვია ჩემს ნაქმარევს). კულში დამდევდა. საშველს არ მამდევდა. ერთ უბანში ვცხოვრობდით, ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ჩემზე სამი წლით იყო უფროსი. სიმართლე რომ ვთქვა, მეც მომწონდა ოღონდ-ისე რა, რომ იტყვიან, მაგრამ... ახლოს არ ვეკარებოდი, გათხოვებას არ ვაპირებდი. ჯერ უმაღლესში უნდა მესწავლა... ერთი სიტყვით... წარჩინებული მოსწავლე ვიყავი, საუკეთესო და... სწავლაზე უფრო ვფიქრობდი – ვიდრე გათხოვებაზე.

– ესე იგი ერთმანეთს სკოლაში არ ხვდებოდით?

– იცით... ძალიან მკაცრი დედა და დეიდა მყავდა. ორივე პედაგოგი იყო. სულ განრიგით დავდიოდი. რამდენჯერმე ჩემს მეგობარ გოგოსთან ერთად შევხვდი. ერთი ორჯერ – მარტოც! ეს იყო და ეს. უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე შევიტანე საბუთები. რაკი ოქროსმედალოსანი ვიყავი – მაშინ, ჩემს დროს – მედალოსნობა იყო – უგამოცდოდ ჩავირიცხე. ისტორია მიყვარდა, ქართული ლიტერატურაც, საერთოდ ჰუმანიტარული საგნები. ჩუმად, ჩემთვის ლექსებსაც ვწერდი.

– მაშ, პოეტიც ყოფილხართ...

– პოეტი ალბათ არა. ჩემთვის ვწერდი. არასოდეს მქონია მათი გამოქვეყნების სურვილი.

– რატომ? თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ამბიციები არ გაწუნებდათ და იმიტომ?

– არა, ნამდვილად არა. არ მიმაჩნდა ჩემი ლექსები დაბეჭვდის ღირსად... ძალიან გულუბრყვილო და ალალი ბავშვი ვიყავი!.. ალბათ ამიტომაც ვიწვინე ამდენი სიმწარე, ამდენი გულისტკენა... და საერთოდ, ახლა რომ ვიხსენებ – სიყვარული რა იყო, არც მესმოდა მაშინ. წიგნებიდან და კინო-სურათებიდან თუ ვიცოდი და საერთოდ, სიყვარულის უფრო სურვილი მქონდა... ანუ... სურვილი ვილაცას ვყვარებოდი, ვილაცა – მყვარებოდა...

– ვილაცა, თუ...

– ჰო, ჩემს უფლისწულს ვგულისხმობ, ცხადია.

– როგორი ბიჭი იყო თქვენი მეუღლე?

– კარგი ბიჭი ჩანდა. არც ნარკომანი იყო და არც მსმელი. ეს მაშინაც, ჩემს დროშიც – პრობლემა გახლდათ – ოღონდ ცხადია,

არა ისეთი, დღეს რომაა! გარეგნულადაც წარმოსადეგი ყმაწვილი ბრძანდებოდა, მაგრამ... ბუნებით აღმოჩნდა – ფლიდი! არა იმიტომ მხოლოდ, რომ მე – მიღალატა! ისე მექცეოდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა საყვარელი ჰყავდა, ვითომ მე ვიყავი მისთვის... უპირველესი! ერთადერთი! და... ასე შემდეგ. ისე, ცოდვას ვერ ვიტყვი, ხელს კი მიწყობდა სწავლაში. უკვე მეორე კურსზე ბავშვი მყავდა... ცალკე ვცხოვრობდით. დედაჩემი და დეიდა კი მენმარებოდნენ, მაგრამ მაინც ძნელი იყო შეთავსება...

– როდის გაიგეთ, რომ...

– ძღალატობდა? შემთხვევით, სრულიად შემთხვევით (პაუზა) – იცით... ჩვენს საძინებელში, ჩვენს საწოლში შევუსწარი საყვარელთან...

– თქვენს საძინებელში?!

– დიახ. ჩემო საყვარელო. ასე იყო. თავზე დავადექი ორივეს ჩვენს საწოლში... მე, ბორჯომში ვეგულეობდი ჩემს ვაჟბატონს, ბავშვთან და დეიდა-დედასთან ერთად... უცებ მომიწია თბილისში წამოსვლა. დაქალმა ჩამომაკითხა ბორჯომში და პროტექცია მთხოვა ჩემს ნათესავთან. ბინაში მივედი, რომ ტანსაცმელი გამოემეცვალა. მოვწესრიგებულისყავი. მოკლედ, ასე იყო!

– წარმოდგენილი მაქვს თქვენი მდგომარეობა, თუ... მით უმეტეს... არაფერი იცოდით!..

– საქმეც ეგაა. სრულიად მოულოდნელი იყო ყველაფერი და... წარმოდგენელი... მახსოვს, თვალთ დამიბნებლდა. სხვათა შორის, პირველად მაშინ შევიცანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობა: თვალებზე თითქოს შავი ბინდი გადამეფარა, ერთბაშად დამიღამდა. ფეხებიდან კი თითქოს იატაკი გამომეცალა. როცა თვალში სინათლე დამიბრუნდა, პირველი, რაც აღვიქვი იყო იმ... ქალბატონის რაღაცნაირი... ნიშნისმომგები, გველური ღიმილი და... ჩემი ქმრის გამოლენჩებულ-გამოთაყვანებული სიფათი... (პაუზა)

– მაპატიეთ... ალბათ ძძიმეა თქვენთვის ეს მოგონება, მაგრამ... მერე... რა მოხდა?

– შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ... უხმოდ, უსიტყვოდ გამოვბრუნდი. ერთადერთი სიტყვა დამცდა უნებურად: პარდონ-მეთქი.

ახლაც არ ვიცი, ეს ფრანგული სიტყვა რატომ მომადგა ენაზე... მერე კი ვნახობდი, როგორ არ დავეგსლე მაშინ ორივე-მეთქი, მაგრამ... არ ვიცი, რა ჯობდა: თქმა თუ უთქმელობა?.. თუმცა... ჰქონდა კი მაშინ აზრი რაიმეს თქმას?..

– ალბათ არა. მეც ასე ვფიქრობ. ქალბატონო ელენე! თუმცა... „პარღონ“ მაინც... მომწონს...

– ჰოო... მახსოვს, კიბეზე რომ ჩავრბოდი დამდუღრულივით... უცებ, მოულოდნელად კიბის მოაჯირზე დავემხე მკლავებით და... სიცილი ამივარდა... ვიცინოდი ხმამაღლა, ისტერიულად... ჩემ დაქალთან რომ მივედი, მასაც სიცილით მოვუყევი, ასე და ასე იყო-მეთქი. სიცილი მახრჩობდა... ჩემმა დაქალმა ერთბაშად ხელები მომხვია და გულში ჩამიკრა. მეც... მთელი ძალით ჩავეხუტე და... უცებ ავქვითინდი. ვტიროდი ხმამაღლა, გულამოსკვნით და ერთსა და იგივეს ვიმეორებდი: რატომ... რატომ, რატომ-მეთქი, ციციო?

ჩემი დაქალი მხოლოდ თავზე მისვამდა ხელს, პატარა ბავშვივით მეფერებოდა და ჩურჩულებდა: – იტირე, იტირე, იტირე... გულზე მოგეშვებაო...

როცა მართლაც მოვიჯერე გული ტირილით, ვიგრძენი – გავთავისუფლდი. რაღაც დიდი ლოდი ამეშვა თითქოს გულიდან, თუმცა... მთელ სხეულში საშინელ მოთენთილობას ვგრძნობდი... მახსოვს, ჩემთვის მაშინ მთავარი ის კი არ იყო, რომ... ვიღაც სხვა ქალთან მიღალატა გოგამ. შეიძლება შენზე უკეთეს, შენზე მშვენიერს გადაეყაროს კაცი, შეუყვარდეს და.. წავიდეს შენგან. ეს თუმცა ძალზე მტკივნეულია, მაგრამ რაღაცნაირად გასაგებია, მაგრამ... სახლში მოიყვანო ქალი... რატომ შემიღალა-მეთქი ასე თავმოყვარეობა, ღირსება, ქალობა და ბოლოსდაბოლოს, – მისი შეილის დედა ვიყავი! თუმცა... ღირსება თუ არ გააჩნია, ქალი იქნება ის თუ მამაკაცი, მაშასადამე, ადამიანიც აღარ არის. აი, ამას, ამ ღირსების შელახვას ვერ ვაპატიებდი ვერასოდეს! ეს იყო და ეს.

– თვითონ... როგორ ხსნიდა თავის საქციელს?.. თუ უცდია თავის მართლებას?

– საქმე ისაა, რომ... ჩემთვის უკვე არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა რაიმე ახსნა-განმარტებას მისი მხრიდან. ჩემთვის იგი

უკვე მკვდარი იყო, არ არსებობდა. სამუდამოდ ამოვიღე გული-
დან ისე, როგორც მტკივნა კბილს ამოვიღე და გადაადგე.
ისე, ცდილობდა, როგორ არა, თავი გაემართლებინა!.. მოსკოვიდან
აღვირახსნილობის გამო გამოძევებული „პუტანკა“ რომ იყო ის
ქალბატონი, ეს თურმე ლამის მთელმა თბილისმა იცოდა. ინტერე-
სისთვის, ასე ვთქვათ, სპორტული ჟინისთვის, ამასთან – თავისი
„ძლიერი“ მამაკაცობის დასამტკიცებლად დაიჭირა თურმე მას-
თან კავშირი!.. ხოლო ჩვენს ბინაში სტუმრობა ქალის ინიციატივ-
ით მომხდარა, ანუ როგორც იციან ხოლმე მეტწილად მამაკაცებმა,
ყველაფერს ქალს აბრალებდა. ისე კი... დარწმუნებული ვარ იმაში,
რომ სწორედ ქალმა დაუგო მახე და არა-პირიქით.

– რატომ გგონიათ ასე?

– ასეა და იმიტომ. გარკვეული ყაიდის ქალბატონებისთვის,
არაფერი არაა მიუღებელი. ნათქვამია, ადამიანს თუ შუბლის
ძარღვი გაუწყდაო... მაგრამ ეს არ არის მთავარი! უნდა გენახათ,
როგორ ლანძღავდა და თათხავდა თავის საყვარელს, „სპორტული
ჟინისთვის“ ორი წელი რომ ჰქონდა თურმე რომანი და რომელ-
მაც ბოლო დროს ბავშვიც გააჩინა და რომელსაც, რასაკვირველია,
ჩემი ქმარი თავისად არ მიიჩნევდა – ღმერთმა უწყის, ვისგან
ჰყავსო, ამბობდა თურმე ყველასთან. ამისდა მიუხედავად, ბოლოს
მანც, როცა დარწმუნდა, არ შევურიგდებოდი, – მისგან ესოდენ
გათათხული ქალი ცოლად მოიყვანა. აი, რაა საინტერესო, ჩემო
ძვირფასო, მთელს ამ ამბავში.

– თქვენთან შერიგებას მანც ცდილა... მაშასადამე...

– ცდილობდა რომელია?.. ნემსის ყუნწში არ ძვრებოდა? რა
მონდა ასეთი? რომელ კაცს არა ჰყავს საყვარელიო. ქმრები
კი არა, ცოლებიც არანაკლებად ადგამენ ქმრებს რქებს და განა
ერთს ან ორს? ბორჯღალა რქები „ამშვენებთ“ ზოგ-ზოგებს, ცხვი-
რაწეულები რომ დაიარებიანო. ამ „არგუმენტებით“ არა მარტო ის,
ჩემი შინაურებიც კი ცდილობდნენ ჩემს დაყოლიებას... რატომღაც
თავადაც დარწმუნებული იყო, რომ მე... შევუნდობდი. ვაპატიებდი.
ალბათ იმიტომ ეგონა ასე, რომ... მე მართლა ძალიან მიყვარდა.
ძალიან შეამაყებოდა, რომ ასეთი ჭკვიანი, განათლებული ბიჭი იყო

ჩემი მეუღლე, რომ ასე უყვარდა ოჯახი, ბავშვი, და... ცხადია-მე!.. ისე, საოცარი არიან კაცები: „რატომღაც“ ვერ წარმოუდგენიათ, რომ... შეიძლება შეიჯავრონ ისინი.

– მაინც ისე გამოდის, რომ... პატიება ვთხოვთ მეუღლემ და... თქვენ არ მიუტყვევით... შერიგებას მაინც ოჯახის დანგრევა არჩიეთ.

– რომელი ოჯახის დანგრევაზეა ლაპარაკი? სიცრუესა და სიყალბეზე აგებულ ოჯახზე?.. მე მესმის, რომ არ შეიძლება პირველი გზებით გიყვარდეს ცოლი, თუ გნებავთ – ქმარი – წლების განმავლობაში. თუმცა ვიცი ოჯახები, ცოლ-ქმარს სიბერემდე რომ უყვარდათ ერთმანეთი. მაგრამ სიყალბე, ორპირობა, თვალთმაქცობა, ღალატი ყოველ შემთხვევაში ცოლ-ქმრობაში ყოველთვის დაუშვებლად, ამორალობად მიმაჩნდა. არ გიყვარს, არ გინდა – გაშორდი ბატონო, და – წადი! მაგრამ – ნუ ფარისევლობ! ეს საზიზღრობად მიმაჩნდა! მით უმეტეს, ის უზნეობა, რაც ჩემმა ქმარმა ჩაიდინა... ის წარმოუდგენელი უზნეობა!

იცით, ცოტა სხვანაირ ოჯახში ვიყავი აღზრდილი, სხვა მორალურ პრინციპებზე... შეიძლება მეტისმეტად თავმოყვარეც ვიყავი მაშინ... მერე ცხოვრებამ ბევრი რამ დამანახა ისეთი, რასაც სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ... მთავარი მაინც ის იყო, რომ... გოგა შემძაგდა, მისი დანახვაც კი გულს მირევდა, მისი ხმის გაგონებაზე ვძაგძაგებდი, ფიზიკურ სიახლოვეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და, ვიმეორებ, ძალიან თავმოყვარე... ისე, ჩემს თავს, მანსოვს, ნიშანს ვუგებდი, ახია შენზე, ღირსი ხარ-თქო. უნდა... უნდა დასჯილიყავი სიყვარულისთვის, ნდობისთვის, სიწრფელისთვის, ერთგულებისთვის-თქო. ისე, იმ მწარე გაკვეთილმა წლების განმავლობაში მამაკაცის სახელის ხსენებაც კი შემაძულა. თითქოს შინაგანად გავქვავდი. მთელი ჩემი ყურადღება ბავშვის აღზრდასა და მოვლაზე გადავიტანე – ოჯახური ტრავმები ყველაზე მეტად მაინც ბავშვებზე მოქმედებს, ისინი არიან უპირველესი მსხვერპლნი დედების თუ მამების თავქარიანობისა და უმსგავსობისა, ქარაფშუტობისა და ეგოიზმისა... ამიტომ, როგორც შემეძლო, ვცდილობდი ჩემს ნინიკოს უშამობა არ ეგრძნო... ეს უკვე სხვა თემაა და ამაზე აღარ მინდა საუბარი გავაგრძელო... ისე, სკოლამ და ბავშვების სიყვარულმა

მიშველა, მომაშუშებინა სულის ჭრილობა, თუმცა სამუდამო დამ-
ლად მაინც დამრჩა... მერე, წლების მერე, უკვე მოწიფულ ასაკში,
როცა ჩემზე ბევრად უფრო ახალგაზრდა ბიჭი შემიყვარდა, გუ-
ლის სიღრმეში გადავწყვიტე, როგორადაც არ უნდა წარმართუ-
ლიყო ჩვენი ურთიერთობა – ცოლად არასდროს გავყოლოდი.

– რატომ? რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება ქალბა-
ტონო ელიკო? ძალიან საინტერესოა...

– ჯერ-ერთი, არ მინდოდა კვლავ მიმეღო სულიერი ტრამვა.
აკი, ნათქვამია, რძით პირდამწვარიო, დოსაც სულს უბერავდაო...
თუმცა შეიძლება, ვერ გამიგოთ, ამით რისი თქმა მინდა, თუ...
მგონი ისედაც უკვე თავი მოვაბეზრეთ ალბათ.

– არა, არა. პირიქით. დიდი გულისყურით გისმენთ ქალბატონო
ელიკო! თქვენ ისე საინტერესოდ ყვებით...

– ვითომ?

– გულწრფელად გეუბნებით. დედას გეფიცებით...

– ჰმ! ყოველ შემთხვევაში ვცდილობ სიმართლე ვილაპარაკო.
დმერთია მოწმე – არ ვაკეკლუცობ. თითქოს აღსარებაზე ვარ.

– თქვენც ხომ ეს გინდოდათ, ქალბატონო ელიკო? და... მერე
სიყვარულზე რატომ თქვით მაინც უარი? ცოტა ვერ გავიგე...

– არა, უარი კი არა, თუმცა... ჯობია, თანმიმდევრულად მოვყვე,
რაკი დავიწყე...

– დიას. დიას. გისმენთ ყურადღებით.

– პირველად პლაჟზე გავიცანი, ჩემი მამიდაშვილი ბათუმშია
გათხოვილი. ჰოდა, მასთან ერთად, მახსოვს, საჩრდილობელის ქვეშ
ვიწექი, პირაღმა გაშოტილი. მამიდაშვილის ბავშვები და ჩემი
ნინიკო – იგი უკვე 14 წლის გოგონა იყო, – მოშორებით კარტს
თამაშობდნენ. უცებ ჩემმა მამიდაშვილმა ძახილი მორთო: რეზიკო,
რეზიკო, აქეთ, აქეთო! ცალი თვალთ გავიხედე: ვის ეძახის ასე
გამწარებით-თქო. ჩვენსკენ მოემართებოდა მაღალი, მხარბეჭიანი,
ახალგაზრდა ბიჭი. თეთრი, ქათქათა თეთრი პერანგი ეცვა და ჯინ-
სის შორტები. უპირველესად, თვალში მეცა მისი ფართო ღიმილი
და თეთრი, კრიალა კბილები მზისგან გარუჯულ სახეზე. თვა-
ლებიდან კი თითქოს ნაპერწკლები ცვიოდა. ჩემი მამიდაშვილის
მეუღლის ახლო ნათესავი გამოდგა რეზიკო. პლაჟზე მეგობარ

ბიჭს ეძებდა თურმე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და რომელიღაც მეურნეობაში აგრონომად მუშაობდა. იმ საღამოს ჩემმა მამიდაშვილმა მიიპატიჟა შინ. გვესტუმრა. ჩემმა სიძემ, ქურდს რა უნდოდა და ბნელი ღამეო, ცხადია... სუფრა გამალა და... ჩემი იმედგაცრუებული, ნაჭრილობევი გული, ჯერაც წლების შემდეგ, მოუშუშებელი – არავის დანახვა, არავის შემჩნევა რომ არ უნდოდა – თითქოს შეტოკდა! ამ ბიჭმა თავისი უშუალობით, სისუფთავით, სიწრფელით ძალაუნებურად მიიპყრო ჩემი ყურადღება...

სუფრა კარგი საშუალებაა დასაახლოებლად: ცოტა ღვინო, ცოტა ეშხი, სიმღერა და... ბიჭი ლექსებად დაიღვარა. თითქმის ყველა ცნობილი პოეტის ლექსები იცოდა ზეპირად და თან... რალაცნაირი განუმეორებელი მანერით და კილოთი კითხულობდა: ლალად, თამამად... სულაც არ უგრვძნია თავი შებოჭილად სტუმრებთან, კერძოდ, ჩემთან, თუნდაც როგორც თბილისელთან...

ჩანდა, რომ გულწრფელად უყვარდა პოეზია და გულწრფელი ექსტაზითვე გადმოსცემდა თავის განცდებს – ყოველგვარი პროვინციული მორცხვობისა და კომპლექსების გარეშე.

სანამ იქ ვიყავი, საბაბი არ ელეოდა მოსვლისა: ხან პლაჟზე, ხან შინ, იმდენად, რომ ჩემმა მამიდაშვილმა ერთხელ დაუცაცხანა კიდევ ხუმრობით: ბიჭო, შენ სამსახური არა გაქვსო. თან მე თვალი ჩამიპაჭუნა მალულად, ხომ ხედავ, შენს გამოა ეს ხშირ-ხშირი ვიზიტებიო... იყო სხვადასხვა რესტორნებში დაპატიჟება, ქეიფი, სიმღერა, ცეკვა, ლექსები, გართობა, ხუმრობა, სიცილ-თამაში... და როცა საფრთხე ვიგრძენი, უკვე გვიან აღმოჩნდა ყველაფერი. გათოშილ-გაყინული გული... თურმე გამლღობოდა. მერე თავს თითქოს გაქცევით ვუშველე – ვადაზე ადრე დავბრუნდი თბილისში, ჩემი ჭკუით გავერიდე საფრთხეს. მდია. ეს „ღევნაც“ რალაცნაირად რომანტიკული მეჩვენებოდა ამ ჩვენს საშინლად არარომანტიკულ საუკუნეში – სასიამოვნო ღევნად! რეზიკო თავისი ახალგაზრდული, მჩქეფარე ენერგიით, წარმოსადგობით, ეშხიანი, დიდი თვალებით სწორედ, ეს მშვენიერი თვალები და ღიმილი აღვიქვი თავდაპირველად – შემჩნეული მაქვს, უწინარესად ჩემი მოწონება იწყება თვალებიდან, მით უმეტეს ცისფერი თვალების

მიმართ გულგრილი ვერ ვრჩები. რეზიკო, ამასთან, თავშეკავებულ-
ლი, დინჯი გახლდათ თითქოს ახალგაზრდისთვის შეუფერებელი
დარბაისლური მანერებით — სწორედ ეს მხიბლავდა და თავბრუს
მასხვევდა. მოკლედ, თითქოს ხელახლა დავიბადე. თითქოს დამი-
ბრუნდა ყმაწვილქალობა... სადღაც ამოვიკითხე, ახლა არ მახსოვს,
სად: რომ ჩვენი, ქალბატონების ბედნიერებაა თურმე ის, რომ
ჩვენ თვითგანახლების, თვითაღორძინების საოცარი უნარი გვაქვს
თურმე! ჩვენში, შიგნით, ჩვენს არსებაში დევს ისეთი „დვრიტა“,
რაც ხელახლა იყლორტება, იფოთლება, ხარობს. ძლიერები ვართ
სულით — სწორედ ამით. ჩვენ შეიძლება მოგვეგრიხონ, მაგრამ
ვერ დაგვამტვრევენ. შეიძლება დავეცეთ ტლაპოში, ჭაობში ჩავე-
ფლათ ხანდახან, მაგრამ იქიდან მაინც განახლებული, სუფთანი
ამოვდივართ ხოლმე ხშირად!

დიახ, საოცარი უნარი გვაქვს ჩამოვირეცხოთ ჭუჭყი, სიბინძურე,
რადგან ჩვენი სული — ფენიქსივითაა! — (ხანგრძლივი პაუზა).

— მერე, რა მოხდა მერე, ქალბატონო ელიკო?

— მოკლედ, ხელახლა ვიქეცი-მეთქი ყმაწვილქალოდ, პატარა
გოგოდ — ძოლოდინით, დიდი სიყვარულის ძოლოდინით რომ გა-
ნაბუღა ია-იასავით... საოცარი განცდები მქონდა — ზღაპრული,
აქამდე არგანცდილი აღტაცება, აღმაფრენა, აღტკინება, გზნება...
არ ვიცი, ვერც გადმოვიცემ ჩემი სულის მაშინდელ სისავსეს...
კვლავ პოეტურმა სულმა გაიღვიძა ჩემში... ლექსები თავისთავად
იბადებოდა ჩემს გულში. სხვათა პოეზიაც მეგზურობას მიწევ-
და... ასე გაგრძელდა კარგა ხანს... თითქმის ორი წელიწადი...
იქნებ სჯობდა ასე, ამ ნოტზე დამთავრებულიყო ყველაფერი. ასე
ვფიქრობ ახლა... მაგრამ რაღაც მომენტში... მოხდა ის, რაც...
აღბათ უნდა მომხდარიყო და რაც, როგორც ვითხარით, როგორ
აგინხნათ, არ ვიცი... ეს რომანტიკული დევნა უფრო მსიამოვნებ-
და, მომწონდა, მხიბლავდა: შეველივით რომ თავს არიდებ მეძებარს,
ის კი — მაინც მოგდევს, გეძებს, გეძებს, რომ ხელთ მოგიგდოს,
ბოლოს მაინც მოგიმწყვდიოს საფანგში: სამწუხარო ფინალია.
სამწუხარო ბოლო აკორდია!

— თქვენ... მართლა პოეტივით ლაპარაკობთ, მაგრამ... რატომ
სამწუხაროდ, ქალბატონო ელიკო?

– ჯერ ერთი, რატომ უნდა იყოს საკვირველი ის, რომ ყველა ჩვენგანში მეტნაკლებად პოეტი ზის, რომანტიკოსი, მეოცნებე... ოლონდ ეგაა – ეს გრძნობა ზოგჯერ ძაან ღრმადაა შემაღული ადამიანის სულის სიღრმეში. მაგრამ დგება ზოგჯერ ჟამი, მომენტი, როცა იგი ამოტივტივდება, ამოღალანდება ზოლმე ღიღილოსავით, მაგრამ... ჩვენ, რატომღაც უფრო ხშირად ქვენაგრძნობებს, ქვენაინსტიქტებს ვანიჭებთ უპირატესობას და ვაძლევთ გასაქანს და არა – ზესთაზენურს. ჩვენს ყოველდღიურობაში, თანადროულობაში თითქოს უფრო გვესახელება თუ გვეამაყება, რომ... ცხოველები ვართ. პირუტყვები... ვუფროთხით და გაფურბივართ ყოველივე მშვენიერს, ნათელს, ზეციურს ჩვენს გულში რომ ბინადრობს, თითქოს გვერცხვინება, გვეჩოთირება სულის ამაღლებულობა, კეთილშობილება!.. მაინცდამაინც ვიჩხრიკებით, ვიქექებით გულის ბნელ კუნჭულებში და სამზეოზე გამოგვაქვს ამორალური, მიჩქმალული სიბინძურე, ჭუჭყი... მით უმეტეს ახლა, ამ მოზღვავებული უცხოური სერიალების თუ კინო-ფილმების ნიაღვარში – შიშველი, უტიფარი, ურცხვი და შემტვევი სექსის ფონზე ხომ სასაცილოდ და სათაკილოდაც ჩანს ყოველივე წმინდა, ამაღლებული, ფაქიზი, წრფელი, უანგარო, ნაღდი გრძნობა. მხოლოდ ლოგინი, მხოლოდ საწოლი – თანაც თითქმის ყოველგვარი „შესავლის“ გარეშე, ხუთ წუთში – პირდაპირ „საქმე“!

– მაგრამ... მაგრამ საწოლიც ხომ ბუნებრივია, ქალბატონო ელიკო, მის გარეშეც ხომ...

– ვიცი. ვიცი, რასაც იტყვით ახლა. მის გარეშე ხომ შეუძლებელია დაგვირგვინდეს სიყვარული. დიახ, ასეა. გამომიციდია ეგ და ვიცი. მაგრამ ღმერთმა კაცისა და ქალის ურთიერთობა – ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით – სექსი – გააკეთილშობილა სიყვარულით! გესმით? ყოვლისმომცველი სიყვარულის ძალით. სხვა დანარჩენი, მათ შორის – სქესობრივი აქტივც პრინციპში მხოლოდ ფიზიოლოგიური ჟინის მოკვლაა, ანდა, დიდი, დიდი – გამრავლების ფუნქცია თუ აკისრია, ანუ, რუსთაველის თქმით, მხოლოდ უგულო ხვევნა-კოცნა და მტლამა-მტლუშია იგი, ანუ სიყვარული სხვაა – სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი. არ მეთანხმებით, ხომ?

– იცით... ზოგადად გეთანხმებით, მაგრამ... ამის შესახებ ნაირ-გვარი აზრი არსებობს მაინც და...

– პლურალიზმი ხომ არ გინდოდა, გეთაყვა, გეთქვამთ? ჰა, ჰა, ჰა... მაპატიეთ. თავი ვერ შევიკავე სიცილისაგან... გრძნობათა „პლურალიზმს“ ემსახურება აკი სექსის თავისუფლებაც, ჰომოსექსუალისტების ქორწინებაც და ა.შ. რადგან როგორც „იქ“, ჩვენშიც ასე უნდა იყოს. მორჩა და გათავდა. ხომ მართალია?

– მაგრამ... თქვენ ხომ... თქვენ ხომ ნამდვილად გიყვარდათ. უყვარდით. მაშასადამე...

– დიახ. გვიყვარდა... ერთმანეთი წრფელად, ნამდვილად გვიყვარდა... ამიტომაც მიმაჩნია ჭეშმარიტი სიყვარული – ამაღლებულ, ღვთიურ გრძნობად. დიახ. მარად შეურყვნიელ, შეუბღვრელ გრძნობად დარჩება რომეო და ჯულიეტას სიყვარულის ამბავი. ეს ასეა და მაინც... ჩემში სხვა რამეები დატრიალდა. სხვა კომპლექსები ჩაერთო. ყველაფრის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ზეალმატებულმა რომანტიკულმა გრძნობამ შემიპყრო და მთელი ჩემი არსება მოიცვა, მე ქვეშეცნეულად ვცდილობდი, რომ... დავმორებოდი მას. უცნაურია არა? დაუჯერებელიც? თუკი ასე ძალუმად გიყვარს, როგორღა გწადია ეს? არადა, ზუსტად ასე იყო. რამდენადაც ძლიერი იყო ჩემი გრძნობა, ლტოლვა, იმდენად – მტანჯველიც, რადგან ტვინს მიხვერეტდა ერთი და იგივე აზრი: მე არა ვარ მისი ღირსი – მე, ქმარგაყრილ, შვილიან, „ბებრუხანა“ ქალს, არა მაქვს უფლება – ვუყვარდე მას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ამიტომაც იყო, თითქოს გაუზრბოდი მასთან შეხვედრებს, მით უმეტეს იგი თბილისში არ ცხოვრობდა. და ეს თითქოს მიაღვილებდა კიდევ განზრახულის შესრულებას, მაგრამ... როგორც კი „მტკიცედ“ გადავწყვეტიდი დაცილებას – მაშინვე, ჩემდა უნებურად, მყისვე ვიწყებდი გზების და საშუალებების ძებნას მასთან შესახვედრად. ხოლო მოლოდინი შეხვედრისა – ენით უთქმელი სიხარულის და ნეტარების მომნიჭებელი გახლდათ. შევხვედებოდი და... ისევ თავიდან იწყებოდა განშორებაზე ფიქრი, ისევ და ისევ გრძელდებოდა ბრძოლა საკუთარ თავთან, საკუთარ სურვილებთან... როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს – ასე იყო სინამდვილეში.

– მერე?... მერე რა მოხდა ქალბატონო ელიკო? ბოლოს რითი დამთავრდა თქვენი ჭიდილი და ორთაბრძოლა საკუთარ თავთან?

– იცით... რით?... ერთ მშვენიერ დღეს სრულიად შემთხვევით, საერთო ნაცნობისაგან ვივებ, რომ... მან ცოლი შეირთო! (პაუზა, ხანგრძლივი).

– ღიახ, ცოლი მოიყვანა! – გაიმეორა ქალმა დაბეჭილი, ყრუ ხმით და განაგრძო: – ისე წესით, უნდა გამხარებოდა!.. აკი თითქოს მეც იმას ვნატრობდი, რომ ბოლო მოლებოდა ჩვენს კავშირს, ანუ ყმაწვილი კაცის ურთიერთობას „დედაბერთან“, რომ მომხსნოდა სინდისის ქენჯნაც, ფორიაქიც, შფოთიც. რომ ყოველივე ეს მეც მინდოდა გულით! მინდოდა, შეექმნა ოჯახი (რაკილა მე პრინციპულად არ ვაპირებდი გავყოლოდი, ცოლად თუმცა ერთ-ორჯერ შემომთავაზა ხელი), ეთხოვა ნორჩი, ლამაზი, კეთილი, კარგი, უბიწო გოგონა, გაეჩინა შვილები და ამგვარად, მეც გავთავისუფლებულიყავი რალაცნაირი დანაშაულის თუ ცოდვის შეგრძნებისაგან, ჩემდაუნებურად გულს რომ მიღრღნიდა დღენიადაგ და ბედნიერების წუთებს რომ მიწამლავდა. მინდოდა ეს, ღმერთია მოწამე – მინდოდა და მაინც... ისე თავზარდამცემი, ისე მოულოდნელი დარტყმა აღმოჩნდა ეს ცნობა ჩემთვის, რომ... თითქოს დამბლა დამეცა. ასე მეორედ დამემართა, თუმცა... გარეგნულად, საოცარია ეს, მაგრამ გარეგნულად არაფერი შევიძინე, რალაც ძალამ, რალაც შინაგანმა ძალამ შემადლებინა შემენარჩუნებინა სიმშვიდე, წონასწორობა. მახსოვს, ვიღიმებოდი კიდეც, ოღონდ, – ინსტიქტურად. ოდნავ გვერდზე მივაბრუნე თავი, რომ... ჩემი თვალები არ დაენახა „მაცნეს“... ღიახ, ასე იყო! ასე „მამაცურად“ შევხვდი ამ მეორე დარტყმას, თუმცა... – ისევ სიჩუმე.

– მერე... მერე არ გინახავთ ის... ყმაწვილი? არ შეგხვედრიათ მერე?

– კი, მოვიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ჩემთან და... პატიება მოხოვა. ჰა, ჰა, ჰა, ხომ სასაცილოა, არა? ისევ ისე მიყვარხარო. თურმე გარემოებამ აიძულა, გადაედგა ეს ნაბიჯი – მშობლებმა, ტრადიციული მშობლები ჰყავდა, ცხადია, ისე მოაწყვეს ყველაფერი, რომ... ქალი შინ დაუსვენს. ვიცოდი, მართალს ამბობდა და მაინც... უკვე არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა

ჩემთვის არაფერს. ცოლი-ცოლად, საყვარელი-საყვარლად?... ჩემს დიდ გრძნობას ამას ვერ ვაკადრებდი, ცხადია. ჰო, ვგრძნობდი, რომ... შინაგანად თითქოს მე მაბრალებდა „რაღაცეებს“...

საყვედურიც არ მითქვამს, მახსოვს. ასე ჯობდა-მეთქი – ეს კი ვუთხარი ძალიან მშვიდად, ძალიან წყნარი ხმით. ეს იყო და ეს ამით.... ასე დამთავრდა ჩემი მეორე სიყვარულის ეპოპეა.

– მაპატიეთ, ქალბატონო ელიკო... მაგრამ არ შემძლია არ გკითხოთ... რატომ გახდა თქვენთვის ასე გადაულახავი ბარიერი წლოვანება? ასაკი? რამდენი შემთხვევა ვიცი, ასაკოვანი ქალები რომ მოუყვანიათ ცოლად ბევრად მათზე უმცროს ახალგაზრდებს? რაღა შორს წავიდე? ჩემმა ბიძაშვილმა ლამის თხუთმეტი წლით უფროსი, ნაქმარები ქალი შეირთო. თუკი... ნამდვილი სიყვარულია, მაშინ...

– მგონი წელან ვითხარი, მე – ქმარგაყრილი, მოზრდილი შვილის პატრონი ჩემზე ცხრა თუ ათი წლით უმცროსს ბიჭს ცოლად ვერ გაყვებოდ! ეს ჩემს მორალურ კოდექსში არ ჯდება, იცით! შეიძლება სასაცილოდ ჩანდეს, მაგრამ... ასე იყო! არავის ვათქმევინებდი, რომ მე... „ბებერმა“, დედაკაცმა „გამოვიჭირე“ ბავშვი, თავი შევასალე და ა.შ. ეს ჩემი ღირსების და თავმოყვარეობის შელახვადა, ჩემი მეობის დამცირებად მიმაჩნდა. დიახ. არ დამიჯეროთ იქნება ეს, მაგრამ... მაშინ ასე ვფიქრობდი და... წარმოიდგინეთ, დღესაც ამავე აზრზე ვარ – მის მეუღლედ უბიწო, უმანკო გოგონას თუ წარმოვიდგენდი – საოცრად ლამაზს, სათნოს, ოჯახის ერთგულს, რომელიც ბევრ შვილებს გაუჩენდა და... ა.შ. ჰმ! მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ... ცხოვრება კიდევ უარეს სიურპრიზებს მიმზადებდა... ისე კი, სიმართლე რომ ვთქვა... მისგან არ მოველოდი მანც ასეთ... არავაჟკაცურ საქციელს, ანუ... რომ მოსულიყო და პირდაპირ ეთქვა – ასე და ასეა ჩემი საქმეო, რასაკვირველია, გაუგებდი, მივუტევებდი, თუმცა... ცხადია, გული მეტკინებოდა, მაგრამ... ასე, ამნაირად, ასე მოულოდნელად... თანაც, ვილაც შემთხვევითი პირისაგან გაგება იმისა, რომ... დაქორწინდა... ისე, რომ ვითხრათ... ძალიან მაღალი შეხედულების მის ინტელექტზე არასოდეს ვყოფილვარ, არც განათლების მაღალი დონით

გამოირჩეოდა მაინცდამაინც – ამ მხრივ ჩემს ქმარყოფილთან ნამდვილად ვერ მოვიდოდა, მაგრამ... გარშემო ამდენი სიყალბის, ფარისევლობის, მოცვეთილი გრძნობების ფონზე – სულიერად, შინაგანად ისეთი შეურყვნიელი, ალალი, სუფთა ჩანდა, რომ... სხვა რამეებს ანუ... ნაკლოვანებებს შეგნებულად თუ შეუგნებლად თვალს ვუხუჭავდი, არ მინდოდა დამენახა, შეემჩნია... მოკლედ, როგორც იტყვიან – სიყვარული ბრმაა, რაც სხვათა შორის, სულაც არ მგონია ნორმალური ამბავი... მაგრამ... ეს სხვა, რთული, ფსიქოლოგიური თემაა. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, იქ შიგნით, გულში – ერთი მთავარი ძარღვი კვლავ ჩამიწყდა, კვლავ დაიმსხვრა და გაცამტვერდა რაღაც ძალიან დიდი, ღირებული, ძვირფასი რამ. სული – კვლავ ცარიელი დარჩა. და თავს ისე დამცირებულად, შეურაცხყოფილად ვგრძნობდი, როგორც მაშინ... პირველად! მაშინდელივით თითქოს ახლაც საგულდაგულოდ, გამიზნულად, მოფიქრებულად სულში ჩამაფურთხეს... ამის შემდეგ არანაირი აზრი არ ჰქონდა ჩემთვის მის სინანულს თუ... ხვეწნა-მუდარას – არანაირი! პირიქით, უფრო გამიკერპდა გული, რადგან... ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნდა მის მიმართ მქონდა ის გულწრფელი გრძნობა, რაც მანამდე გამაჩნდა... ანუ, ამ რომანის გაგრძელება ნიშნავდა, რომ... უნდა მეთვალთმაცვა, მეფარისევლა, რასაც არ ვაკადრებდი არც მას და არც ჩემს თავს, უფრო სწორად – ჩემს გრძნობას, რაც მის მიმართ მქონდა ადრე!

ასე და ამგვარად, ძირითადად ალბათ ჩემი ფანტაზიით შექმნილი, ალბათ სიყვარულის მოთხოვნილებით ნაკარნახევი და ნასაზრდოები, რომანტიკული ფანტაზიით და განცდებით შეთხზული ამბავი სიყვარულისა – დასრულდა „ვითა სიზმარი ღამისა“ (გაიცინა ნერვიული, ხმამაღალი სიცილით, და მცირე ხნის შემდეგ ისევ განაგრძო მკაფიო, მკვეთრი კილოთი): – ანტერესო ის გახლავთ, რომ როგორც პირველად, ისე ახლაც ჩემს თავზე უფრო ვიყავი გამწარებულ-გაბრაზებული... მიუხედავად იმისა, რომ... გარკვეული სინდისის ქენჯნა მომეხსნა და ამ მხრივ თითქოს შვება ვიგრძენი. ჩემს საკუთარ თავს ვერ ვპატიობდი ჩემი სიყვარულის მორიგ მარცხს, ამ მორიგ უიღბლობას. და ალბათ ჩემი ბედუკუღმართო-

ბით დაბოლმის შურისგების გრძნობა გამიჩნდა საკუთარი თავის მიმართ. დიახ, დიახ. შურისგება – ჩემი პერსონისადმი! ჩავთვალე, რომ უფრო მაგრად უნდა მომზლოდა, უფრო მტკივნეულად – ჩემი ყბადაღებული ნდობის, ერთგულების თუ ჩემი სიყვარულის სანაცვლოდ, ანუ: უფრო უარესი სასჯელის ღირსი ვიყავი! მაგრამ ეს გრძნობა უფრო ქვეშეცნეული, გაუცნობიერებელი გახლდათ, რეალური და თვალში საცემი ჩემთვის ის იყო, რომ... ვკარგავდი რწმენას საკუთარი თავის მიმართ! ჩემი ძალების მიმართ... ბოლობოლო ჩემი ქალობის მიმართ. ვატყობდი რომ ვკომპლექსდებოდი, თუმცა... ორივეს – ქმარყოფილს და საყვარელს თითქოს ვუყვარდი! დიახ, გოგა დროდადრო თავს შემამსხენებდა ხოლმე იმ იმედით, რომ შესაძლოა შევრიგებოდი. ხომ პარადოქსია – ოფიციალურად უკვე ცოლი ჰყავდა, ქალი, რომელსაც ადრე უშვერი, ბილწი სიტყვებით მოიხსენიებდა, და ვისთანაც ერთად სხვის ბიჭს ზრდიდა, ამისდა მიუხედევად, რატომღაც კარგა ხანს ეგონა, რომ მე მის მიმართ გულგრილი არ ვიყავი, რაკილა... ამდენ ხანს არ გავთხოვდი! არ ვიცი, რას ფიქრობდა – საყვარლად თუ ვუნდოდი დავესვი!.. საოცარი ჩამოსხმაა საერთოდ მამაკაცები...

თუმცა, ასეთ ილუზიებს მათში ბადებს, ეტყობა, ის გარემოება, რომ ხშირად მიტოვებული თუ მოტყუებული ქალები, ოღონდაც „მტერს თვალები დაუბრმაჟონ“, ანდა უბრალოდ, „გულის ბუნარი ამოიყარონ“, მართლაც მიდიან ყოველგვარ კომპრომისებზე, ხან – ოჯახის შენარჩუნების მომიზეზებით, ხანაც „ვიღაცეების“ ჯინაზე „თვალის დასათხრელად“ და ა.შ. და განაგრძობენ მსახიობობას, – მეტნაკლები ოსტატობით, რასაკვირველია. ხოლო ჩვენს აზიატ მამაკაცებს ხელს აძლევს ამგვარი დათმობანი: ცოლიც და საყვარელიც (ხშირად – საყვარლებიც!) ერთდროულად – რითია ურიგო? მაგრამ ... ამაზე აღარ შევჩერდები, იგი უფრო ღრმა განსჯის საგანია... ვატყობ, ისედაც გამიგრძებლდა სიტყვა. ისე კი, ცხადია, ყველას თავისებურად ესმის თავმოყვარეობა... გონის და ინტელექტის პრიმატობა ვნებებზე, ავხორცობაზე, ქვენა ინსტინქტებზე... (ეს ისე – სასხვათაშორისოდ!..)

დიახ, თითქმის სამუდამოდ ამოვირეცხე გულიდან ჩემი საყვარელი, ანუ... თითქოს როგორც მოვიდა, ისე წავიდაო, და მაინც –

ერთობ მძიმე და რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი სულიერად: ჩემი არასრულფასოვნების, ჩემი არარაობის შეგრძნება მტანჯავდა, ჩემი შელახული თავმოყვარეობა დროდადრო არ მასვენებდა... ან სამუდამო მელანქოლიას და წუხილს უნდა მივცემოდი – რაც ბუნებრივი იქნებოდა, რადგან მაშინ ურწმუნო, უფრო სწორად – ათეისტი გახლდით და სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი, ანდა...

ამ სულიერი კატაკლიზმის დროს, გზაჯვარედინზე მყოფს საშინელ გულის ტკენის, წყენის, შფოთის პროცესში ასე ვთქვათ, ჩემსავე წვენი რომ ვინარშებოდი – ანაზღუდად ჰორიზონტზე, სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ერთი ფრიად სიმპათიური, ახალგაზრდა კაცი, საჯაროდ ცნობილი და ნიჭიერი ექიმი, ესეც ჩემზე გვარიანად უმცროსი, ცოლშვილიანი (ეს სიტყვა ხაზგასმულად, მრავალმნიშვნელოვანი ინტონაციით წარმოთქვა ქალმა);

ამ ახალგაზრდა კაცს შორიდან ვიცნობდი – ბევრი საერთო ნაცნობიც გვყავდა – მაგრამ ადრე, არასდროს მიმიქცევია მისთვის ყურადღება, ან სად მეცალა მისი პერსონისათვის... თუმცა, როგორც გითხარით, საკმაოდ პოპულარული პიროვნება გახლდათ ექიმთა წრეში, შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე და მღეროდა. მოგეხსენებათ, ეს ერთობ მძლავრი ფაქტორია მამაკაცისათვის, რომ... ქალები ფარვანასავით თავს ევლებოდნენ. ის ამ შანსს, როგორც ჩანს, ხელიდან არ უშვებდა... მოხდა ისე, რომ ერთი ჩემი ახლობლის, ექიმის დაბადების დღეზე ერთად აღმოვჩნდით სუფრაზე, ისე, მაინცდამაინც დიდი სურვილი არ მქონდა ამ დღეობაზე წავსულიყავი, ჩემი გულნაღვლიანობის გამო სულაც არ მექეიფებოდა, მაგრამ... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მოვხვდი ამ საიუბილეო ღზინში და ჩემდა გასაოცრად და მოულოდნელად, შევიმართე რაღაცნაირად... დავიმუხტე. თითქოს მეძებარევიტ გეში ავიღე და... ნახტომისათვის მოვემზადე... მოკლედ, მივალწიე იმას რომ... ყურადღების ცენტრში მოვექეცი იმდენად, რომ ზოგიერთ თანამეინახე მანდილოსანში დაუფარავი შურის გრძნობაც კი გამოვიწვიე, ეს მაშინ, როცა სული ცარიელი, ხოლო გული – გამოფიტული მქონდა. დიახ, თუმცა ჩემი დაღლილი გული თითქოსდა ძლივსღა ფეთქავდა მკერდქვეშ, თუმცა მამრების მიმართ საოცარ ანტიპათიას, უფრო უარესი – აგრესიას ვგრძნობდი – ერთბა-

შად, მოულოდნელად ჟინმა შემიპყრო – ეს ქალების კერპი ჩემს ფეხქვეშ დამხოხილი მეხილა. და უცებვე გამიელვა ერთმა რუსულმა ცინიკურმა ანდაზამ: „КЛИН КЛИНОМ ВЫНЫВАЮТ!“ და მართლაც, ისე ოსტატურად ჩავერთე თამაშში, ისე ხერხიანად და მარჯვედ, რომ ამ მეტიისმეტად თვითდაჯერებულ ახალგაზრდა კაცს ძალიან მოკლე ხანში მორიგი გამარჯვების ილუზია შევუქმენი. დიას – შევუქმენი, გავუჩინე ეს ილუზია – ნაცადი ქალური ე.წ. „ატრიბუტიკის“ მეშვეობით – ეს ღიმილი იყო, თვალების ჟუჟინი, სიცილი, მიხრა-მოხრა და ა.შ. და ა.შ. მოგესხნებათ, ქალები ამ მხრივ, დიდ შესაძლებლობებს ვფლობთ, რაც საჭიროების შემთხვევაში საუკეთესო იარაღია მამრის დასაბრუნებლად – უკაცრავად ამ ჟარგონზე, და რასაც თუ მოინდომა, ნებისმიერი ქალი – ლამაზია იგი თუ უსახური – შესანიშნავად იყენებს, ანუ ქალურობის არსენალი – ამოუწურავია! გაბადრული სახით, აციმციმებული თვალებით ვუყურებდი სახეში „ჩემს“ ღონ-ჟუანს და გუნებაში ვეჭილიკებოდი კიდევ ჩემდა უნებურად: ვინ-ვის წააბამს – ეგ ჯერ კიდევ საკითხავია, ჩემო ძვირფასო-თქო! ისე, ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე გეტყვით: ე.წ. თაყვანისმცემლები – ფარული თუ აშკარა – არასდროს მაკლდნენ ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან მოყოლებული. მომხიბვლელ, ეშხიან ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით – შარმიან ქალად ვითვლებოდი ჩემს წრეში, თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, შინაგანად მაინცდამაინც დიდად დარწმუნებული არ ვიყავი ამ გარემოებით. ისე, მოგესხნებათ ალბათ, ჩემო საყვარელო, საზოგადოდ ყველგან, მით უფრო ჩვენში, ქმარგაყრილი ანდა ქვრივი ქალი – ადვილად წამოსაგები ჰგონიათ ანკესზე. ამის მცდელობა არაერთხელ ყოფილა ჩემს მიმართაც, როგორც კი ქმარს გავშორდი. მაგრამ მაშინ ძალიან ადვილად და მარჯვედ ვიგერიებდი ხოლმე ამგვარ შემოტყვევებს – მოგესხნებათ: თუ ქალს არ უნდა – მისი მომრევი ძალა არ არსებობს დედამიწის ზურგზე, ხოლო თუ უნდა – ცხრა უღელი ხარ-კამეჩიც ვერ დაამაგრებსო, ნათქვამია აგრეთვე – ჭკვიანი ქალი არასოდეს არ შეიქმნის ისეთ სიტუაციას – საიდანაც გამოსავალი არ არის, ხოლო მე შემიძლია ვთქვა – შეუვალი, წესიერი, პატიოსანი ქალის რეპუტაციით ვსარგებლობდი, რაც სხვათა შორის, ახლა ვხვდები

ამას – ბევრ ჩემს ირგვლივ მყოფში, გაღიზიანების გრძნობას იწვევდა, ზოგი ჩემი ახლობლისათვის ძნელად წარმოსადგენი და გაუგებარი რჩებოდა ეს მიუკარებლობა. როგორ? თანამედროვე ქალს, დღეს, დღევანდელ ვითარებაში, თუკი ის ნორმალურია, მით უმეტეს, ნალალაბტევს, ერთი საყვარელი მაინც არ უნდა ჰყავდეს? ისე, სხვათა შორის, ნათქვამია, შეძახილით ხეც გახმაო. ბევრი ვიცი, ფეხის ხმას რომ აჰყვას, ანუ მოდას არ ჩამორჩა და... აუშვა აფრები და... მერე როგორი?.. საზღვარი და საზომი რომ არ იცის!.. ვინაიდან, ლამის გოიმებად ჩაითვალოს ახლა, თუ ერთი ე.წ. ბოიფრენდი მაინც არა გყავს, ოღონდ, ცხადია – ჯიბესქელი! ხოლო თუ ვინმეს დაუნგრევს ოჯახს – ეს მთლად „პრესტიჟული“ საქმე გახლავთ. მაშასადამე, მაგარი ვინმე ხარ, ანგარიშგასაწვევი! და... უწევნ კიდევ ანგარიშს! იმდენად, თითქოს ბუზიც არ აფრენოდეთ თავზე. მით უმეტეს, შემაკავებელი ფაქტორი, ისეთი, როგორიცაა – რელიგიურობა – არ არსებობს!

ჰო, იმას ვამბობდი: ამჯერად თვით ჩემში იყო უკვე ნიადაგი შემზადებული, რომ... გურამიშვილის თქმით, ურცხვი გაემხდარიყავი, შეიძლება, ქვეცნობიერად პროტესტის გრძნობაც მქონდა ალბათ – ჩემი დედის თუ დეიდის ცხოვრების წესის მიმართ – როცა დედა სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ქმრის სსოვნის მიმართ, ხოლო დეიდა – ომში დაღუპული შეყვარებულისადმი. ანუ... პროტესტი, ერთგულებისადმი, მით უფრო იმ პერიოდში ღვთის შიში არ მაკავებდა, მით უფრო „გასამართლებელი“ საბუთი ასეთ დროს ყოველთვის მექნებოდა, მით უფრო, თუ გადაწყვეტილი გაქვს შურისგება საკუთარი თავის მიმართ!.. დიან არსებობს თურმე ასეთი გრძნობაც: საკუთარი თავისადმი შურისძიება! მოკლედ, ასე იყო თუ ისე – ხელათმანი გადავაგდე... გამოწვევა – მიღებულ იქნა! – (პაუზა. ამჯერად საკმაოდ ხანგრძლივი).

– იცით ჩემო ძვირფასო, ქალბატონო ნანა, მახსოვს, მე მაშინ ჩემს თავს ასეთი „ნაკაზი“ მივეცი – ქალბატონო ელენე, საყვარელო ელიჩკა! რაკი გაწბილებული დარჩი, რაკი ცხოვრებაში სიყვარულობანას წყალობით, გულმოკლული და დამცირებული დაიარები, ვითარცა ერთი ტუტრუცანა, სულელი და უბირი დედაკაცი, დღეის ამას იქით თვალები ფართოდ გაახილე და სანამ

დროა, სანამ ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა ხარ, და მთლად არ დამწნილებულხარ, ამასთან, ვინაიდან და რადგანაც გმართებს აგრეთვე როგორმე გაიყუჩო ტკივილი, მოიშუშო როგორმე მიყენებული ჭრილობები (ბოლოსდაბოლოს, 39 წლისა ხარ უკვე!) და მოერიო აუტანელ დარდს და ნაღველს – შენ, ამ ფრიად მიმზიდველ ახალგაზრდა კაცს გაიხდი საყვარლად! დიახ, საყვარლად! (თუნდაც, დედაშენის და დედის ცხოვრების წესის ჯინჯზე, სხვა რომ არაფერი ვთქვათ!), ამასთანავე, ეს საქციელი შენი მხრიდან – ეს – იქნება ნაცვალგება შენს სიბრიყვეზე, ე.წ. შენს ამპარტავნობაზე, შენს გულწრფელობაზე, ერთგულებაზე და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჯავრს იყრი შენი და შენიანების მოძველებულ, ყავლგასულ მორალურ-ზნეობრივ კოდექსზე თუ ეთიკურ ნორმებზე, ასე ულმობლად, ასე სასტიკად რომ იქნა გათელილი და ჩაწიხლული მავანთა მიერ, ოღონდაც... ეს არ მოხდება ძალიან ჩქარა, როგორადაც შეიძლება ეჩვენებოდეს ეს ამ დიაცთა გულთამპყრობელს. აარა! ნურას უკაცრავად! ასე იოლად, ასე ერთბაშად და მეყსეულად, როგორც მიჩვეულია სხვებთან – ვერ ჩაგიგორებს საწოლში. არაო, ძელა მატყუარაო. ნწუ! ჯერ ვნებისგან, სურვილისგან, ჟინისგან, ნდომისგან უნდა შეშალო, ჭკუა დააკარგვინო. მუხლმოყრილი უნდა გევედრებოდეს, რომ გაიღო მოწყალება, დიახ, მოწყალება და არა – სიყვარული. სიყვარულის თამაშობა მორჩა, სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას, სიყვარულმა ჩაიღურის წყალი უნდა დალიოს ერთხელ და საბოლოოდ! დიახ. კაი ხანს უნდა აწრუწუნო ეს ვაჟბატონი, კაი ხანს უნდა გააწვალო, სანამ სანუკვარ მიზანს მიაღწევდეს. შენ კი ამ დროს – მხოლოდ ცივი გონებით იმოქმედებ, მხოლოდ ანგარიშით განსჯი ყოველივეს და გათვლი ყოველ ნაბიჯს. რაც მთავარია, იფიქრებ მხოლოდ და მხოლოდ შენს თავზე, შენს სიამოვნებაზე... ყოველთვის და ყველაფერში გადამწყვეტი იქნება შენი-მე, წინა პლანზე დადგება მხოლოდ შენი ეგო და არა მაგ მუსუსის, ოღონდ... ყოველივე ამას განახორციელებ, რასაკვირველია, შენიღბულად, შეფარულად, გეგმაზომიერად. ამგვარად, შენი მე იქნება გადამწყვეტი ფაქტორი და არა – მისი! მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე გათვლი ყოველ ნაბიჯს, ყოველ საქციელს, ყოველ დეტალს-თქო

და... არ დაუშვებ არანაირ ფანტაზიას, რომანტიკულ აღტკინებებს, ანუ თვითშემოქმედებას, წვას თუ გზნებას – მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიციზმი! მორჩა და გათავდა!

ეს ექსპერიმენტი დაექვემდებარება მხოლოდ გონს, ანუ იმ მიზანს, რაც წინასწარ დაისახე. ანუ სანჩო-პანსასავით, მხოლოდ მდაბალი ინსტინქტებითა და მოსაზრებებით იხელმძღვანელებ და ამიტომ დაუნდობლად, სასტიკად მოსპობ და გაანადგურებ შენს სულში ღონ-კიხოტიზმის ყოველგვარ ნარჩენებს. მორჩა და გათავდა. ეს იქნება შენი კრედიო. შენი მრწამსი და არა სხვა რამ, ანუ სწორედ შენგან იქნება მართული ვნებათაღელვის პერიპეტიები და არა – მისგან!

ასეთი სტრატეგიული გეგმა დავუსახე მაშინ საკუთარ თავს და... ასეთი განაჩენი გამოვუტანე იმასაც, ვინც თავის მახეში გაბმას მიპირებდა, როგორც მორიგ რიგით ნადავლს – დროს სატარებლად, ანუ წამიერად ჟინის მოსაკლავად გამიზნულ მსხვერპლს...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მიზანს მივალწიე. დიახ. ზუსტად ისე შევასხი ხორცი ჩანაფიქრს, როგორც მქონდა მოაზრებული, თან ისე ოსტატურად, ისე ხერხიანად, რომ ჩემზე მონადირეს აზრადაც არ მოსდიოდა თავში, ჩემი ასე ვთქვათ, ტექნიკური მონახაზით რომ მიმდინარეობდა ეს ნადირობა და არა-მისით! რომ ჩემს მიერ წინასწარ შემუშავებული პროგრამით ხდებოდა ეს, რაც ხდებოდა – „შემთხვევითი“ შეხვედრების ჩათვლით! რომ ის კი არ მახამდა. როგორც მას ეგონა ეს, არამედ სწორედ მე ვუგებდი მახეს. ყოველივე ამას, რასაკვირველია, ტვინის დამამბვა, გონის მობილიზაცია, ნერვები და სიმტკიცე სჭირდებოდა, რისი უკმარისობას არ ვუჩიოდი. მოკლედ რომ ვთქვა, ამ შეფარულ ორთაბრძოლას თითქმის წელიწადი დასჭირდა.

იოლ და მარტივ გამარჯვებებს მიჩვეულ ჩემს ღონ-ჟუანს, რომელსაც აქამდე სად ეცალა ვინმეს სადევენელად და „დროს დასაკარგად“ – ისედაც ხომ გაურჯელად, ზედმეტი ძალისხმევით თუ აქტიურობის გარეშეც ეწეოდა ხოლმე საწადელს, რაკილა ლამის იყო, ზედახორა ჰქონდათ გამართული მის მიმართ ქალებს თუ გოგონებს...

ჰოდა, ასეთი გამარჯვებებითა და წარმატებებით გალაღებული ახალგაზრდა კაცი – რომელსაც მეტიხმეტად გაუჭიანურდა ლოგინში ჩემი შეთრევა – ზომასზე მეტად ჟინატანილი – ჩანდა, უკან დახევას არ აპირებდა! ზოგჯერ ქალს ამდენი დრო და „მაქინაციები“ არც სჭირდება – არის შემთხვევები, როცა პირველსავე შემთხვევაზე, პირველივე დანებებით შეუძლია საშუალოდ „დააბას“ მამაკაცი, მაგრამ ჩემი „პაკლონიკი“ მამაკაცების ასეთ კატეგორიას არ განეკუთვნებოდა და გულის სიღრმეში არც მე მინდოდა ასეთი „დაპყრობა“..

ასე იყო თუ ისე, ჩემო საყვარელო, დავრწმუნდი, რამდენ ხრიკებს ფლობს ქალი თურმე, როცა ვინმეს „გამოჭერას“ მონღოლებს! ხანდახან მევე მოცებდა ჩემი საზრიანობა, ეშმაკობა, წინდახედულობა, გამჭრიახობა. საიდან-თქო, რანაირად ჩემში – ასეთი ამოუწურავი უნარი, აქამდე თვით ჩემთვისაც დაფარული და შეუცნობი შესაძლებლობანი თვალთმაქცობისა, მზაკვრობისა, ხრიკებისა, ტყუილისა, აფერისტობისა და ვინ იცის კიდევ, რისი არა?.. აუ, რამდენი რამ შესძლებია თურმე ქალს – მხოლოდ და მხოლოდ – ჭკუით მოქმედს, ანგარებიანს ანუ: საერთოდ, რა ბიწიერი შეიძლება იყოს თურმე გონი ადამიანისა!

მე, რასაკვირველია ადამიანის ამ თვისებებზე ბევრი რამ მქონდა წაკითხული, გაგონილი, მაგრამ... პირადი მაგალითი მაინც სხვა რამ ყოფილა! (კვლავ პაუზა).

– დიახ. უნდა გამოვტყდე და ვაღიარო, თავად მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამგვარი „უნარების“ მატარებელი ვიყავი. არადა, როგორ ჭრიდა ეს ფანდები! სულ ტყუილად ჰგონია ზოგ-ზოგ მამაკაცს, თითქოს სტრატეგოსი იყოს. თუნდაც – სასიყვარულო ამბებში! (სხვა რამეებშიც რომ დიდი ვერაფერი შვილები ბრძანდებიან, ეს ჩვენმა დღევანდლობამაც დაადასტურა, სამწუხაროდ!), ანუ: ურთიერთობებს ქალებთან – რასაკვირველია, ვგულისხმობ, გარკვეული კატეგორიის დიაცებს და არა – ქუჩის მეძავეებს. ქალის ნებასურვილის წინაშე ეს ვითომდა გაყინული მამრები, ანუ გაფხორილი მამლები ისე უმწეონი, ისე უსუსურნი ხდებიან ხოლმე მეტწილად, ისე საცოდავად, ისე შესაბრაღისად გამოიყურებიან ხოლმე მომენტებში, რომ... მტრისას!.. გული აგერევა.

ჩემს შემთხვევაში, როგორც გითხარით, მე გახლდით სინამდვილეში, ასე რომ ვთქვათ, მბრძანებელი, ის — მორჩილი აღმსრულებელი. მაგრამ... დროთა ვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ მე ვიყავი წარმმართველი — თანდათან რაღაცნაირი ყრუ, აუხსნელი მოუსვენრობა მიპყრობდა ხოლმე, სულ უფრო და უფრო მეუფლებოდა რაღაცნაირი უკმაყოფილების გრძნობა საკუთარი თავის მიმართ. დროდადრო თითქოს სირცხვილი თუ... ამდაგვარი რაღაც გრძნობა მაწუნებდა, თითქოს სინდისის ქენჯნაც მიპყრობდა ხანდახან, თითქოს რაღაც დანაშაულს ჩავდიოდი... ბუნდოვნად მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ... ჩემთვის ბუნებრივი, როგორც იტყვიან, ჩვეულებრივი ამბავი არ იყო ის, რასაც ვაძულებდი ჩემს თავს ეკეთებინა, რომ... ეს მდგომარეობა — ფარული პაემნები, ტყუილები — თუნდაც შვილის წინაშე, ფარისევლობანი — საღდაც გულს ძირევდა უკვე! უნებურად, ჩემდა დაუკითხავად, განვიცდიდი ამ ძალდატანებას საკუთარი მესადმი, თუნდაც... წამიერი სიამოვნების გულისთვის! მაგრამ... ამასთან, ჩემი ქმარყოფილის არ იყოს, თითქოს სპორტულ ჟინს ვყავდი ატანილი — აბა, სანამდე გაგრძელდება ეს ამბავი, სანამ შევძლებ სრულ მორჩილებაში მყავდეს ეს ახალგაზრდა, ბედოვლათი კაცი. თითქოს სულში ჩასახლებული ეშმა მიბიძგებდა და მკარნახობდა — რაც შეიძლება მეტად გამომეხმო გულის უშორესი კუნჭულებიდან ბნელი, ქვენა გრძნობები თუ ზრახვები, არადა... ჩემი საყვარელი, პრინციპში, კარგი პიროვნება აღმოჩნდა — თხემით-ტერფამდე ინტელიგენტი! კულტურული. განათლებული, გამგებიანი, გულკეთილი და... საოცრად ტაქტიანი ურთიერთობაში, რაც საღბუნად ედებოდა ჩემს გატანჯულ, ნაიარევ გულს და რაც მთავარია: ამ ახალგაზრდა კაცს... შევუყვარდი! დიახ, დიახ. გულწრფელად შევუყვარდი — ასეთი რამ ქალს არ გამოეპარება ხოლმე. ეს ცხადია, ჩემი სრული გამარჯვება იყო! მაშასადამე, ჩემს მონდომებას ანუ შემოქმედებით უნარებს — ამოდ არ ჩაუვლია. მაგრამ... საქმე ისაა, რომ... რატომღაც ისე არ მახარებდა ეს გამარჯვება, ანუ ჩემი ჩანაფიქრის წარმატება, როგორც გაახარებდა ეს საერთოდ ქალს — მით უმეტეს, ჩემს მდგომარეობაში მყოფს! ხოლო, როცა დავრწმუნდი, რომ შემძლო ცოლად გავყოლოდი ანუ დამენგრია ოჯახი — გავოგნდი,

შევცები. ასეთ ფინალს არ მოველოდი. აქამდე, ამ ზომამდე თითქოს არ მინდოდა მისულიყო საქმე! რომ იტყვიან, დავთარი დამეხნა. არ ვიცი... ალბათ ვერ ავიხსნით, ვერ... გაგაგებინებთ მაშინდელ ჩემს სულიერ მდგომარეობას, გუნება-განწყობილებას, აზრთა ჭიდილს, ფიქრთა დინებას... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ცხადად, მკაფიოდ დავრწმუნდი, რომ... ოჯახის დანგრევის მკისრებელი – არ ვიყავი! როგორ ტრაფარეტულადაც არ უნდა ყლერდეს – სხვის უბედურებაზე ვერ ავაგებდი ჩემს ბედნიერებას!

ჩემი საყვარლის ცოლს პირადად არ ვიცნობდი და არც არასდროს მქონია სურვილი, შორიდან მაინც თვალი შემეველო მისთვის, თითქოს არც არსებობდა იგი ჩემი გონების არეალში. ისე კი, ყურმოკვრით ვიცოდი, რომ კარგი გოგო იყო, ორი ბავშვის დედა... თავიდან, როგორც გითხარით, აინუნშიც არ ჩამიგდია მისი არსებობა, მაგრამ ახლა, როცა შესაძლო იყო, ქმარი წამერთმია მისთვის... მოკლედ შევდრკი! შეიძლება იმიტომაც, რომ... ტოლფარდი გრძნობა არ გამაჩნდა ჩემი საყვარლის მიმართ... ვერა და ვერ აღეგზნო ჩემი გული ძველებური ცეცხლითა და გზნებით, თუ... აღმაფრენით. დიახ. სული ჩემი არ ზეიმობდა ამ გამარჯვებას ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ვმრუშობდი – მრუშობისათვის! ვმრუშობდი შეგნებულად, განზრახვით, უგულოდ.

ახლა რომ ვიგონებ მაშინდელ ჩემს ყოფას – არადა მის მერე რამდენი წელი გავიდა! – მრცხვენია, საშინლად მრცხვენია ჩემი თავის, ჩემი ზრახვის და წადილის. როგორ გავთელე-მეთქი ასე შეგნებულად, ასე გააზრებულად საკუთარი პიროვნება, გავანადგურე ჩემი მეობა, თავმოყვარეობა. მოვსპე და მიწასთან გავასწორე ჩემი ქალური ღირსება და სიამაყე...

ახლა ვიცი, რომ... ჩემმა ურწმუნოებამ, უღმერთობამ ჩამადენინა ეს ცოდვა. მაშინ კი... მაშინ გონებადაბნელებულს, სურვილის და მოწონების კვალობაზე – იქნებ სხვაც კი ჩამენაცვლებინა ჩემი საყვარლისათვის – თუკი საამისო განწყობა და პირობები შემექმნებოდა. გამართლებას კი – როგორც წელანაც ვთქვი – ყოველთვის მოუძებნი ზოლმე საკუთარ თავს: აკი მძიმე დამნაშევეებიც, ბოროტმოქმედნიც, მკვლელებიც თავის გასამართლებელ „საბუთებს“ ყოველთვის პოულობენ!.. არ შემიძლია ამასთან დაკა-

ვშირებით ერთი შემთხვევა არ მოგიყვით... რამაც თითქოს უფრო გასაგები და ნათელი გახადა ჩემთვის, თუ რა უფსკრულის პირას ვიდექი თურმე, თუ როგორ შეიძლება დაეცე და წუმპეში ამოჰყო თავი, საიდანაც შესაძლოა ვერც ამოხვიდე ვერასოდეს! და დარჩე ბოლომდე – ჭუჭყიან, ბინძურ ჭაობში!..

... ჩემი ბიძაშვილის დღეობაზე გახლდით (ისევ დღეობა, ღვინო და სუფრა, ღვინო და მუსიკა: „ღვინო, ღუდუკი, ქალების“ არ იყოს – ხომ საცთურთა საცთური იყო თავის დღეში!)

ეს გახლდათ ის დრო, როცა, როგორც იტყვიან, გახურებული რომანი მქონდა ნიკასთან. სუფრაზე საკმაოდ ბევრი ხალხი იყო, ასე ვთქვათ, რჩეული საზოგადოება, ხოლო თავად სუფრას რაც შეეხება – უკეთეს ვერ ინატრებდი. რა გინდოდა სულო და გულო, იქ არ ყოფილიყო. რა საჭმელები, რა ნუგბარი, რა ღვინო. რა შამპანური. რა სიმღერები, ცეკვები, ხუმრობა – ლაზღანდარობა. მოკლედ – დროს ტარება ჩვენებური! დიდებულ ხასიათზე დავდექი. რალაცნაირი შინაგანი ბორკილები დავყარე თითქოს – ხანდახან, იშვიათად, მაგრამ მომდიოდა ხოლმე ასეთი რამ... როცა არ მზღუდავდა პედაგოგის პედანტური სამოსელი... იმ საღამოსაც ისე ლალად, თავისუფლად ვგრძნობდი თავს, როგორც სტუდენტობის თუ ახალგაზრდობის დროს... ვიცეკვე, ვიმღერე, ვიმარიაჟე... იმ საღამოს მე თითქოს ამორძალთა დედოფალი ვიყავი ტყვედაყვანილი მამაკაცებს შორის – ამაყად ყელმოღერებული, როცა იცის, რომ მის სურვილზეა დამოკიდებული – ვის აირჩევს? ვის გააბედნიერებს ამაღამ თავისი მწველი ალერსით!.. და ეს ყველაფერი, ანუ ეს განწყობილება შემიქმნა ერთმა შუახნის მამაკაცმა, რომელიც თავად უკვე არ მალავდა, რომ ჩემგან ტყვედქმნილი იყო და ჩემი ნება-სურვილის უსიტყვოდ მონა-მორჩილი იქნებოდა. კარგა გვარიანად ვიყავი შეზარხოშებული: საერთოდ ღვინოს კარგად ვიტან, ადვილად არ მეკიდება, თუმცა კი არ მიყვარს, როცა ქალები სუფრაზე თვრებიან კაცებივით და მერე ათასგვარ სისულელეს სჩადიან გონწართმეულნი, რაც ფხიზელთა თვალში მეტწილად გამკილავ ღიმილს და დაცინვას იწვევს ხოლმე. და საზოგადოდ, ზედმეტი სითამამე და თავშეუკავებულობა, სიგარეტის გამოძწვევ ქაჩვასთან და ბილწსიტყვაობასთან

ერთად – ვითომ იუმორში რომაა განზავებული – მეჯავრება და ვერ ვიტან, რადგან... არის ამაში რაღაც პლებეური, ვულგარული, ნაძალადევი, წამხედურობასთან ნაზავი და რაც ჩემის აზრით, ქალისთვის დამაკნინებელ-დამამცირებელია და თუმცა, როგორც გითხარით, საკმაოდ შექეიფიანებული ვიყავი-მეთქი, ზღვარს არ გადავსულვარ ანუ ყოველ ჩემს საქციელს თუ სიტყვას მაინც გონი აკონტროლებდა, გონი არეგულირებდა, თუმცა, უნდა ვაღიარო, ღვინო ხშირად ცუდ სამსახურს უწევს ხოლმე ამ მუხრუჭს, ერთი სიმღერის არ იყოს – ღვინომ გამათამამაო... მაგრამ მთავარი ის იყო, რომ... ჩემს წარმოსახვაში შესაძლებლად ჩავთვალე ამ ჩემს მოწონებულ, სუფრაზე გაცნობილ კაცთან... მარტო დარჩენა, აქედან გამომდინარე შედეგებითურთ! და... ეგეთივე სურვილი, როგორც ვატყობდი, გავუჩინე ამ არც თუ ახალგაზრდა, ჭარმაგ მამაკაცსაც და ეს იმიტომაც, რომ დამატყვევა მისმა არაჩვეულებრივმა მწვანე თვალებმა და... ზარხოშმა!

სუფრა რომ აიშალა და დაიწყო გაცილება-გამოცილების რიტუალი, ჩემმა მოწონებულმა ბატონმა გოჩამ, დააპირა გავეცილებინე შინამდე, თავისი „ვოლგით“, ღრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ კალმახი ბადეში გაეხვა და ამდენად... მხარს ავუბამდი ამ ინიციატივას, ანუ მეც იგივე მიზანი მამოძრავებდა, რაც მას, ანუ... ასეთი პირი უჩანდა ჩემ შეფარულ თუ დაუფარავ არშიყობას, თუ თუმარს, მაგრამ... სწორედ წამში მოხდა მოულოდნელი რამ: უცებ რაღაც ძალამ შეგნიდან, რომ იტყვიან, შემაჩერა – აბა, ჭკვიანად იყავი, დედაკაცო! და... ჩემს ბიძაშვილთან დარჩენა გადავწყვიტე ანუ... თავიდან ავიცილე გაცილების და ფლირტის შემდგომი გაგრძელების თუ... განვითარების პერსპექტივა! რომ იტყვიან, სიამოვნების მოლოდინით აღვზნებულ ბუღას ცივი წყალი გადავასხნი, კოვზი ნაცარში ჩაუუგდე, მაგრამ... ვიმეორებ, მთავარი ეს არ იყო-მეთქი, ჩემო საყვარელო, მთავარი ის განხლდათ, რომ მე... ჩემს წარმოსახვაში, ჩემს გონებაში დაუუშვი მასთან სიახლოვე!.. აი, ამან დამცა თავზარი... მიწასთან გამასწორა: არადა... ხომ მე შევექმენი ეს სიტუაცია? მე ვიყავი ძირითადად ინიციატორი, თუმცა... ბოლომდე მაინც ვერ გავრისკე... რაღაც უხილავმა ძალამ, ალბათ ჩემმა მფარველმა ანგელოზმა, გამაფრთხილა... შემაჯანჯლარა!..

არადა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა ჩემი მდგომარეობა, რომელშიც ჩემივე ნებით ჩავივლე თავი... ბოლო დროს უკვე აშკარად გავუზრბოდი ნიკასთან შეხვედრებს, რომელიც... სხვათა შორის, ისედაც იშვიათად ხერხდებოდა – და ეს არიდება უკვე არ იყო წინასწარ გამიზნული, ასე ვთქვათ, ტაქტიკური სვლა! კავშირის უეცარ გაწყვეტასაც ვერიდებოდი, ვინაიდან... ხათრის და პატივისცემის გრძნობა, მის მიმართ რომ მქონდა – ხელ-ფეხს მიკრავდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად... იყო სხვა მიზეზებიც, არადა... ისე გამოდიოდა, ჩემდაუნებურად ტყვე ვხდებოდი ჩემივე, ასე ვთქვათ – შეთქმულების!.. ამასთან, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ნიკას აქტიურობაც, რომელიც მზად იყო, ნებისმიერ დროს გაეყოდა ცოლს..

ამ თითქოსდა გამოუვალ სიტუაციაში უცებ, მოულოდნელად მოხდა სასწაული. დიახ, დიახ. სასწაული, სხვა სახელს ამას ვერ დაარქმევ... ეს სასწაული ალბათ ღვთის ნება იყო. როგორც ჩანს, ღმერთმა საბოლოოდ არ გამწირა მაშინ: (პაუზა).

... ერთხელ, ერთობ შეჭირვებულ გუნებაზე მყოფი, ჩემს დაქალთან მივედი, რომ, როგორც იტყვიან, გული მომეოხებინა... სხვა დროსაც არაერთხელ გადმომიფრქვევია მასთან ჩემი მოზღვაგებული ემოციები... გარეგნულად მშვიდი, ღინჯი ვჩანდი, მაგრამ სინამდვილეში შიგნით ყველაფერი ამითუხთუხდებოდა ხოლმე ზოგჯერ, თუმცა შემეძლო თავის ხელში აყვანაც...

საოცარი უნარი აქვს ჩემს დაქალს მოსმენის და გაგების. იშვიათია ახლა მოსმენის ასეთი ნიჭი! დიახ, ნიჭი გახლავთ, ჩემი აზრით, ეს თვისება და ფრიად დიდი ნიჭიც! მეტწილად ხომ ადამიანები თავის პრობლემებით იმდენად არიან დაკავებული, იმდენად არიან ჩაძირული საკუთარ გულისთქმაში, რომ არა აქვთ არანაირი სურვილი, არც უნარი – მოუსმინონ სხვას, მით უფრო – გაიგონ და გაითავისონ სხვისი გასაჭირი... თუნდაც ახლობლის... თუ არა – ზერელე, მოჩვენებითი ყურადღებით... ჩემს ციციოს კი შეუძლია ბოლომდე მოგისმინოს ანუ გაცალოს ემოციების გადმოღვრა, შემდეგ კი ტაქტიკურად, დელიკატურად, ანალიზის მეშვეობით – დაგანახოს რეალობა და... გონივრული რჩევით, შეძლებისდაგვარად, გამოვიყვანოს რთული მდგომარეობიდან... ამასთან, თავის პოზი-

ციას არ გადაუხვიოს!.. ჰოდა, როგორც არაერთხელ სხვა დროსაც – იმ საღამოს აფორიაქებულ-აწრიალებული მივაღეჭი ბინაში. მაგრამ... ციციო მარტო არ იყო: მასთან სტუმრობდა მისი ახლო ნათესავი ბიჭი, საკმაოდ ცნობილი პროფესორის შვილი და რომელიც... მღვდლობისათვის ემზადებოდა თურმე! მშობლები, მთელი სახლეულობა, ცხადია, წინააღმდეგნი იყვნენ ერთადერთი ვაჟის ამ განზრახვისა. სამი წლის ბავშვი ჰყავდა და როგორც ჩანს, ცოლიც არ თანაუგრძნობდა მის ამ სურვილს და მაინც, ამდენი დაბრკოლების მიუხედავად, სოსო არ აპირებდა უკან დახევას, თავის გადაწყვეტილების შეცვლას. ყველაფერი ეს თანდათან, საუბარში გაირკვა ჩემთვის. მაგრამ... მახსოვს შთაბეჭდილება, მისი მღვდლად კურთხევის განზრახვამ რომ მოახდინა ჩემზე! სახტად დავრჩი! ენა ჩამივარდა-შეცბუნებულს. მაშინ იშვიათი გახლდათ ასეთი საქციელი, მით უმეტეს, ესოდენ ახალგაზრდა ბიჭისაგან, ცნობილი ინტელიგენტური ოჯახის შვილისაგან!..

თუმცა ძალიან ვიყავი ჩემი პირადული განცდებით აღგზნებული – საშინლად დამაინტერესა ამ გარემოებამ. უპირველესად ყმაწვილის (მაშინ ის 24 წლის გახლდათ) უჩვეულოდ ლამაზმა, თაფლისფერმა თვალებმა მიიქცია ჩემი ყურადღება. რაღაც ენით უთქმელი სილბო, სიკეთე, ლმობიერება იღვრებოდა ამ მშვენიერი თვალებიდან. ამასთან, უჩვეულო სიმტკიცე და ურყევი ნება იყო მათში. თითქოს მისი ასაკისთვის უჩვეულო ჩანდა ეს ყველაფერი ერთი შეხედვით. როგორ, რანაირად, საიდან ეს გადაწყვეტილება და ეს სიმტკიცე?

დაბნეულობისაგან, მახსოვს, ენაც კი მეხმებოდა... მერე და მერე მოვთოკე ჩემი თავი და... შევეყევი. ბიჭი შავ კრიალოსანს დინჯად, მშვიდად მარცვლავდა ხელში და სიტყვებსაც კრიალოსანივით მშვიდად, დინჯად წარმოთქვამდა. პრინციპში მე ვუტყედი, კითხვას კითხვაზე ვაყრიდი თითქმის სულმოუთქმელად. ის კი – მპასუხობდა მშვიდად, ნირშეუცვლელად! მე უფრო მორალურ-ზნეობრივი და ეთიკური ასპექტები მაინტერესებდა და ამათ ვუტრიალებდი გარშემო, ჩემდაუნებურად. ის კი, თითქოს ჩემს გულში იხედებო, დაუსმელ კითხვებსაც სცემდა პასუხს და... პირდაპირ მიზანში, უფრო სწორად, კაკალ გულში მირტყამდა! ოღონდ... საოცრად

ტაქტიანი სიტყვებით და შემწყნარებლური კილოთი, ამან მთლად გადამრია... მგონი, გითხარით, კარგ პედაგოგად ვითვლებოდი, ენაც მიჭრიდა და რომ იტყვიან, სიტყვა-პასუხები არ მეშლებოდა ხოლმე. ამასთანავე, როგორც უცნაური არ იყოს წესიერ, პატიოსან ქალად მივაჩნდი ჩემს კოლექტივს და საერთოდ – ჩემს ნაცნობებს, გარშემო თითქმის სუყველას... ქალად, რომელსაც ქვრივ დედასავით, თავის სიცოცხლეში სხვა მამაკაცებისაკენ არ გაუხედავს. მოკლედ, ქმარგაყრილ ქალებს შორის – თითოთ საჩვენებელი! ეს სახელი, ანუ თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ იმიჯი – ბოლო წლებში უკვე შინაგანად მალიზიანებდა – იყო მომენტები, როცა მზად ვიყავი მთელი კოლექტივისათვის, ახლობლებისათვის, უწინარესად კი – ჩემი ქალიშვილისათვის, რომელიც უკვე სტუდენტი იყო და რომელსაც ზოგჯერ თვალებში ვერ ვუყურებდი მიზეზთა გამო – მეთქვა – მე სულაც არა ვარ ისეთი, თქვენ რომ გგონიათ. მეყო წლების განმავლობაში ტანჯვა-წამება, თვითგვემა და, ასე ვთქვათ, თავშეწირულობა. მეყო! გაიგეთ ეს ბოლოს და ბოლოს. მინდა ჩემი ცხოვრებით ვიცხოვრო, ანუ ისე, როგორც მე მიმაჩნია ახლა საჭიროდ, როგორც მე მინდა! როგორც მსურს! რადგან... მეც მაქვს უფლება, როგორც ყველა ადამიანს – გავიხარო. დიას, გავიხარო! თუნდაც წამიერი, მოჩვენებითი იყოს ეს სიხარული! თუნდაც ილუზორული, მორიგი თავის მოტყუება იყოს იგი! მე ქალი ვარ – ბოლოსდაბოლოს! მინდა – თაყვანისმცემელი მყავდეს. ვიღაცას მივაჩნდე სასურველ, სანატრელ არსებად და ა.შ. და ა.შ. არ მინდა – ქვრივი დედაჩემივით, ან დედასავით – დღემდე რომ ელოდება ომში უგზოუკვლოდ დაკარგულ სატრფოს – ვიცხოვრო ასკეტური, პურიტანული ცხოვრებით. მეყო ეს ყველაფერი, ბატონო, მეყო. ახლა – სხვა დროა, სულ სხვა სულისკვეთებაა, სხვა ფასეულობანია – ისე, ჩემს ახლო მეგობრებთან არც ვფარავდი ხოლმე ჩემს ინტიმურ ამბებს, რადგან მიმაჩნდა, რომ უახლოეს ადამიანს, მეგობარს არ შეიძლება რაიმე დაუმალო! ეს ჩემი მხრიდან იქნებოდა უნდობლობის ნიშანი, ასეთი რამ კი – უპატიოსნობიდ მიმაჩნდა, თუმცა მოგვიანებით დავრწმუნდი: თურმე ზედმეტ გულახდილობას –

სიჩუმე სჯობია! ჰო, ეს სხვა თემაა.. იმას ვფიქრობდი... იმ პატარა ბიჭმა, მისმა სიტყვებმა ძალიან რბილად, ტაქტიანად რომ იყო ნათქვამი, თითქოს დამმეწყრა. მასთან საუბარ-პაექრობაში, სადაც ჩემი შინაგანი პროტესტის გრძნობაც არ დამიმაღლავს – ანაზ-დად, ერთბაშად თითქოს სავსებით გავშიშვლდი საკუთარი თავის წინაშე! თითქოს უხილავი მზერით ჩამომხედა არსთა გამრიგემ სულში და... უნიღბოდ დარჩენილი – შევძრწუნდი!

რაც მთავარია – შევშინდი ჩემი ჩაღენილი ცოდვების გამო. დიახ, უფლის რისხვის შემეშინდა. აქამდეც, სამუშ-სამუშ შემიპყრობდა ხოლმე სინანულის თუ სირცხვილის გრძნობა – საყვარლის დამამცირებელ როლში ყოფნის გამო... მე ხომ ადრე ვერც წარმოვიდგენდი, თუ... ასეთ შეურაცხყოფელ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი ოდესმე; მე ხომ – „ასეთი“ არ ვიყავი თავიდან! თავიდან ხომ რომანტიკული ოცნებებით სავსე, მაღალ იდეალებს მიველტვოდი. ქმართან განშორების შემდეგაც თითქმის ათი წელი წესიერი ქალის ცხოვრებით ვიცხოვრე. მაშ, რა მოხდა მერე? რა ეშმაკი შემიჩნდა? რატომ დავადექი მოლიპულ გზას?.. მოკლედ, ამ შეხვედრამ დამზაფრა ჩემდაუნებურად და ათასგვარი ფიქრებისა და განცდების კორიანტელში ჩამავლო. თითქოს ლიბრგადაკრული თვალები გადამეწმინდა... შესდექი-მეთქი, შე უგუნურო, დიაცო – შევუძახე საკუთარ თავს მარტოდ დარჩენილმა: ვიდაცის თუ რალაცის ჯიბრით ხომ შეიძლება ერთ ჩვეულებრივ, რიგით კახზად იქცე – თუ არა ხარ უკვე! ხომ შეიძლება, კვლავაც „სულეერი ტკივილების“ გასაყურებლად ერთი შეცვალო მეორით, მესამით, მეოთხით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ანუ დაუსრულებლად იცვალო პარტნიორები, ანდა – სულაც ერთდროულად იმრუშო რამდენიმესთან, ასე ხომ ყოველგვარი უზნეობის გამართლება შეიძლება და აკი... ამართლებენ კიდევ: ამიტომ და იმიტომ. ამის გამო და იმის გამო!.. არც ოჯახების დანგრევას ერიდებიან, ოღონდ თავისი გაინაღდონ, თავის გულის საწადელს ეწიონ, თუნდაც სხვის ხარჯზე „გაბედნიერდნენ“. აკი ამართლებენ-მეთქი კიდევ თავის ავხორცობას, გარყვნილებას, აღვირახსნილობას – შეჩერდი-მეთქი, შე რეგვენო დედაკაცო!

ჩემთვის მაშინ ერთბაშად, მეცხეულად ცხადი შეიქნა და ცხადად გამოიკვეთა, როგორც წელანაც ვთქვი, ქალთა სქესის გარკვეული კატეგორიის დაცემის შემზარავი სურათი და ამ დაცემის განმაპირობებელი მიზეზ-საბაბი, წყარო ანუ სათავე სიბილწისა და სიბინძურისა. დიახ, იმ საოცარ ბიჭთან საუბარმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემი ცხოვრების იმ ეტაპზე, როცა... აზრშერყეული, დაბნეული, აწრიალებულ-აფორიაქებული ვაწყდებოდი აქეთ-იქით, ვეჭვიდავებოდი საკუთარ მე-ს და ვცდილობდი დამეყოლიებინა იგი იმ კომპრომისებზე, რაც მე მაშინ მართებულად მიმაჩნდა! უცებ თითქოს გონება გამინათდა და თვალნათლივ დავინახე ის საშიშროება, რაც შემდგომი დაღმასვლის საწინდარი იყო. ამან, ამ საშიშროებამ მკვეთრად შემომაბრუნა ეკლესიისკენ, რწმენისკენ, ღმერთისაკენ!.. სწორედ ამის შემდეგ დავიწყე რეგულარული სიარული სიონში, წირვა-ლოცვებზე. პირველად ძალიან გამიჭირდა, მაგრამ აღსარება მაინც ჩავაბარე, სხვათა შორის, სრულიად ახალგაზრდა მღვდელს. მონანიება, ზიარება უკვე აუცილებლობად მექცა.

მაშინ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად ილია მე-2 ახლად იყო აღსაყდრებული. მისი საოცარი პიროვნებაც იზიდავდა მაგნიტივით მრევლს... თუმცა... საბჭოთა პედაგოგისათვის და საერთოდ, საბჭოთა ადამიანებისათვის – ეს დაუშვებელი გახლდათ – როგორც მოგეხსენებათ, ალბათ! არც ისე შორეული ამბავია: რელიგიურობა ადმინისტრაციული წესით რომ ისჯებოდა, მაგრამ... მე უკვე არ ვეპუებოდი ამგვარ აკრძალვებს, რაც მთავარია... (პაუზა) მტკიცედ გადავწყვიტე, გამეწყვიტა ყოველგვარი ჭოჭმან-მერყეობა. მორჩა. დამთვრდა ყველაფერი! საბოლოოდ წერტილი დაესვა წარსულს!.. ასეთი ვერდიქტი გამოვუტანე საკუთარ თავს!.

– ქალბატონო ელენე, ალბათ დამეთანხმებით, ერთია გადაწყვეტილების მიღება და მეორე... მისი შესრულება! ალბათ... გაგიჭირდებოდათ მაინც საკუთარი თავის დაძლევა...

– მართალი ხართ... გამიჭირდა, მაგრამ... შემჩნეული მაქვს: თუკი რაიმე მტკიცე გადაწყვეტილებას ვღებულობ... უსიკვდილოდ უნდა შევასრულო იგი. ვარიანტი არაა – გადავიფიქრო, უკან

დავიხიო. მაშინ, რაღაც კურსების მომიზეზებით – მოსკოვშიც კი გადავედი ჩემს ძმასთან საცხოვრებლად, ოღონდაც... ამეცილებინა თავიდან თუნდაც შემთხვევითი შეხვედრები ნიკასთან... ისე, თუკი აღამიანმა მოიწადინა რამე, თუკი ნებისყოფას მოუხმო, მიაღწევს კიდეც მიზანს. ასევე შესაძლებელია საკუთარი თავის მოთოკვა, თუ... ღვთის ნებაც იქნება, ცხადია.

– ქალბატონო, ელიკო... მაპატიეთ მაგრამ... მაინც უნდა გკითხოთ: ის პიროვნება... ის... თქვენი მეგობარი, როგორც შეხვდა ამ გადაწყვეტილებას?... როგორ შეეგუა ამ ამბავს?

– იცით... სიმართლე გითხრათ... ძალიან გამიჭირდა მისთვის ამეხსნა ჩემი მდგომარეობა... ჩემი სულიერი კრიზისი... მოსკოვში ჩემი წასვლის შემდეგ იგი სახლიდანაც წამოვიდა ერთხანობას... ვიცოდი, რომ გაუჭირდებოდა ამის გადატანა, ვიცოდი, რომ... მოკლედ, რუსთაველის თქმით, „უცებნი მოსრნის მცოდნეთა ცოდნამან ხელოვნებამან“. ისე მთაღვრულად რომ ვთქვა, სადღაც, გარკვეულ პერიოდში, ჩემს თავმოყვარეობას ესაღბუნებოდა კიდეც, რომ... ეგ ზომ განიცდიდა... ჩემთან დაშორებას! მეც, დროდადრო, მიპყრობდა მელანქოლია, მაგრამ... წელან გითხარით კიდეც, ეს რომანი თითქოს საკუთარი თავისადმი ჯიბრით გავაბი. შემდეგ და შემდეგ, ქვეცნობიერად მთრგუნავდა იგი... ეს ფარული, ქურდული შეხვედრები მისი ძმაკაცის დაკეტილ ბინაში... მართალია, იშვიათად ხდებოდა ეს, მაგრამ... პრინციპში რა მნიშვნელობა ჰქონდა პაემნის სიხშირეს? სხვათა შორის, რეზიკოსთან ფარული რომანი ასე არ მტანჯავდა, რადგან... ჯერ ერთი, მიყვარდა იგი ძალიან გულწრფელი, დიდი სიყვარულით და ამასთან იგი – თავისუფალი, უცოლო ბიჭი იყო, ხოლო ნიკასთან, ამ ცოლშვილიან კაცთან ურთიერთობა – ჩემს პიროვნულ ღირსებას და თავმოყვარეობას ლახავდა მაინც... თავიდან კი, როგორც გითხარით. ასეთ რამეზე არ მიფიქრია... უფრო სწორად, ფეხებზე დავიკიდე ყოველგვარი მორალი, ზნეობა, სიამაყე...

– კი მაგრამ... თქვენივე თქმით, თქვენ ხომ შეგეძლოთ, თუკი ასე განიცდიდით „უკანონო კავშირს“ – კანონიერი ფორმა მიგეცათ მისთვის?

– ჰო, მაგრამ... აკი ვითხარი, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ანუ როცა დავრწმუნდი, რომ შემქმლო ცოლად გავყოლოდი – უკან დავიხიე, შევდრკი-მეთქი! ეტყობა, – არ დაიჯერეთ, რომ ეს – ასე იყო! დიახ, შემქმლო, მაგრამ... ძალიან დიდი როლი ითამაშა-მეთქი იმ ახლგაზრდა მორჩილთან შეხვედრამ, მე მიმანჩია, რომ ეს პროვიდენციალური შეხვედრა... იყო!

– გასაგებია, მაგრამ... თქვენ ხომ უსიყვარულო ოჯახის მომხრე არა ხართ... თქვენს მეგობარს კი – ცოლი არ უყვარდა, ამდენად...

– არ ვიცი, ასე იყო, თუ ისე, ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა ეს ალტერნატივა, თუმცა თავიდან, ვიმეორებ, ასეთ საჩოთირო რამეებზე ფიქრით ვცდილობდი თავი მაინცდამაინც არ შემეწუხებინა, ალბათ იმიტომ, რომ... გულგრილი ვიყავი რელიგიის მიმართ. უფრო სწორად – ათეისტად ვთვლიდი ჩემს თავს. ასეა თუ ისეა, მადლობა ღმერთს, რომ... ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ოჯახი ჩემი წყალობით, არ დაინგრა... ერთი წუთითაც არ ვნანობ, რომ ასე მოხდა. პირიქით. კმაყოფილი ვარ რომ... მოვერიე ჩემს ეგოიზმს, პატივმოყვარეობის გრძნობას, ვნებებს, ინსტინქტებს და ა.შ. და მერე იცით, რა? ვნება ანუ ნდობა და სიყვარული – ერთი და იგივე არაა. სიყვარული იშვიათი რამაა. იგი ნიკო ლორთქიფანიძის თქმით – ბრილიანტივითაა. მე, რომელმაც გამოვცადე ბედის წყალობით ალბათ ეს უიშვიათესი, ჭეშმარიტი გრძნობა – თანაც ორჯერ – რომელმაც ვიცოდი მისი ფასი და ძალა – სიყვარულად ვერ მოვნათლავდი, იმ გრძნობას, ნიკას მიმართ რომ მქონდა! საკუთარ თავთან ვერ ვითვალთმაქცებდი იმის გამო, რათა სხვათა თვალში გამარჯვებული გამოვსულიყავი! „დავმტკბარიყავი“ გამარჯვებულის პოზით – მავანის და მავანის წინაშე! თან... „ვიღაცეებზე“ ამით – შური მეძია! თუმცა... ჩემი ეს პოზიცია მეორე მხარეს შესაძლებელია ძვირად დაჯდომოდა, თუნდაც იმიტომ, რომ, მას – უკვე შემდეგ და შემდეგ – ვნება – სიყვარულში გადაეზარდა. ხდება თურმე ასეც და ... პირუკუც! ისე, კაცმა არ იცის, როგორ, რანაირად ხდება ეს ყველაფერი... „სიყვარულს რას გაუგებ, ჩემო ოლლა...“ აი, თქვენც გაგეცინათ... მოკლედ, იმ ახალგაზრდა მორჩილთან შეხვედრა რომ არა, ზუსტად ვერ ვიტყვი, როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი.

სულიერი შფოთისა და წყვეტების ჟამს ის ყმაწვილი მომეკვლინა-მეთქი მხსნელად! მე ასე ვთვლი, ასე მიმჩნია ღღემდე! სწორედ მისი დამსახურებაა, შესაძლოა გაუცნობიერებლად, მისდაუნებურადაც – ჩემ თავთან ჭიდილში მორალური გამარჯვება რომ მოვიპოვე, რომ ჩემში გადაწონა საღმა აზრმა და არა ემმაკისეულმა ცთუნებებმა. ანუ, რომ იტყვიან, გამოსწორების გზაზე რომ შევდექი, თუკი... შეიძლება საერთოდ ადამიანის გამოსწორება...

– რატომ? არ გჯერათ ცოდვის მიტევეებისა?

– იცით... როგორ გითხრათ, ღმერთი გულმოწყალეა, მაგრამ... არის ისეთი რამეები, რასაც შენ თვითონ არ პატიობ საკუთარ თავს... ამაზეც მომიწევს, ალბათ თქვენთან საუბარი, უფრო ზუსტად რომ ვთქვა: ამ უპატიებელის გამო უფრო მინდოდა თქვენთან გულის გადაშლა... ოღონდ ერთი რამ კი შემიძლია თამამად და გულახდითად განვაცხადო: იმ დღიდან ე.ი. ნიკასთან დაშორების შემდეგ, სამუდამოდ ამოვიშანთე ჩემი არსებიდან, ასე ვთქვათ, სექსი და საერთოდ, მამაკაცის სახსენებელი. ამას სამუდამოდ დაესვა წერტილი და თქვენ წარმოიდგინეთ, უზარმაზარი შეება მომგვარა ამის შეგრძნებამ. ანუ საბოლოოდ გათავისუფლებამ ვნებისაგან, ასე რომ იპყრობს და თრგუნავს ხოლმე ადამიანის არსებას – დედაკაცი იქნება ის, თუ მამაკაცი. მოკლედ, მამაკაცები, როგორც ასეთი, უკვე დიდი ხანია აღარ არსებობენ ჩემთვის, სამეგობროდ – კი ბატონო, მყავდნენ და ახლაც ბევრნი მყვანან ძმაკაცები. სხვაფრივ – გადაშენდნენ. არაფერში მჭირდებიან. როგორც იტყვიან, ჩემი თავი ჩემადვე მეკუთვნის და ავად თუ კარგად ვეზიდები კიდევ ცხოვრების ჭაპანს, ანუ იმას, რაც ბედმა მარგუნა.

– და მაინც, თუკი კვლავ გეწვიათ ჭეშმარიტი სიყვარული? აკი, არავინ იცის, როდის მოვა იგი – წასვლის არ იყოს? ნუთუ თქვენ კატეგორიულად გამორიცხავთ თუნდაც... შემოდგომის სიყვარულს? აკი: „Любви все возрасты покорный“–ო.

– ჩემო საყვარელო, ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი და საერთოდ, რაც ხდება, ღვთის ნებით ხდება ალბათ. მათ შორის – სასწაულიც! ოღონდ ეგაა – ჩემთვის არ ვუშვებ ამ სასწაულს – უფრო სწორად – გამოვრიცხავ მას!

– რატომ, რატომ, ქალბატონო ელიკო? რატომ ფიქრობთ ასე?

– მე იმდენი სიმწარე განვიცადე სიყვარულის გამისობით, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს ამ ასაკში ხელახლა გამოვიარო ის სატანჯველი, დიახ, სატანჯველი, რადგან დიდ სიხარულთან ერთად, ის ციებ-ცხელება, რაც მაშინ გემართება – სნეულებასთან არის წილნაყარი და რასაც შეიძლება გაუძლოს ახალგაზრდა, ჯანსაღმა ორგანიზმმა, ასაკოვანისათვის ამის ატანა ყოვლად შეუძლებელი მეჩვენება. ის კი არადა, ვცდილობ, არ გავიხსენო წარსული სიყვარული, თუმცა... მაინც ვერ ავცდი მის მოგონებას, ცხოვრების განვლილი გზის გახსენებას, არადა... თითქოს სულ სხვა რამისთვის დავრეკე თქვენთან...

– მაშ, წარსული აღარ არსებობს თქვენთვის? სამუდამოდ დაივიწყეთ იგი?

– როგორ შეიძლება, საყვარელო, წარსულის სამუდამო დაივიწყება? როგორც თანამედროვე სერიალებშია ხოლმე ხშირად: მოდი, დაივიწყეთ წარსული და დღეიდან დაივიწყეთ ახალი ცხოვრება და ამდაგვარი... სისულელეები! სანამ სული გიდგას ადამიანს, გინდა არ გინდა, გსურს თუ არ გსურს, შენი წარსული შენთანაა. შენთან ერთად ცოცხლობს. ოღონდ... რასაკვირველია, დროთა განმავლობაში იგი ხუნდება, ფერმკრთალდება, უწინდელი სიმწვავეით არ გაწუხებს ჭრილობა! მაგრამ ხდება ხოლმე, რომ გარდასულის რომელიღაცა მომენტი უცაბედად შეგაჟრიალებს, ლოყებს ავიწვავს ხოლმე უნებლიეთ. მე პირადად, ახლაც მრცხვენია ზოგიერთი ჩემი საქციელისა თუ სიტყვისა! მონანიების მიუხედავად, კვლავაც ვნანობ იმ ნების თუ უნებლიე შეცდომებს თუ შეცოდებებს, რაც წარსულში ჩამიდენია. იცით, ახლა ერთი შემთხვევა წამომიტივტივდა გონებაში... ერთხელ... ნიკამ ჩემს დაბადების დღეზე, არ ვიცი, როგორ გაიგო, მე არ მითქვამს მისთვის... საჩუქრად არაჩვეულებრივად ლამაზი კოლიე მომართვა საკმაოდ მორიდებული იერით და... როგორღაც გადარაჯებული ღიმილით. ამდენი ხნის შემდეგ ახლაც სირცხვილის ალი მწვავს ამის გახსენებაზე. თითქოს რა მოხდა? ჩვეულებრივი ამბავია. საყვარელმა საყვარელს რაღაც ძვირფასეულობა აჩუქა. რა მერე? მაგრამ... მახსოვს ჩემი რეაქცია სრულიად არაადეკვატური რომ იყო. გველნაკბენით შეეკრთი. ავიზღარბე შინაგანად. ესეც ასე! თურმე, რუსების

თქმის არ იყოს – по всем правилам – საყვარელი ხარ, ჩემო ელიჩკა-მეთქი, ეს ატრიბუტიკალა გაკლია და აი, ესეც – მიიღე! კმაყოფილი უნდა იყო-თქო, ნიშანი მოვუგე საკუთარ თავს! მერე... ვითომ ზრდილობიანი ღიმილით, მაგრამ ერთბაშად გუნებაგაფუჭებულმა, უკან დაუბრუნე ძვირფასი ნიეთი. ჯერ ვერ გაიგო – ალბათ გაიფიქრა, არ მოეწონაო. მითხრა კიდევ – წუნობო? არ ვიცი, არ მახსოვს, რა ვუბასუხე – ძვირფასი სამკაულები საერთოდ არ მიყვარს-მეთქი, ასე ვუთხარი და მართლაც დიდი მოტრფიალე არა ვარ სამკაულების. ეტყობა, ისეთი სახე მქონდა, უსიტყვოდ, უხმოდ, მორჩილად შეახვია კოლიე და... მას მერე არ უცდია რაიმე საჩუქრის მორთმევა. ალბათ ახირებულად მოეჩვენება მავანთ ჩემი საქციელი, ისევე, როგორც მასაც ალბათ ასე მოეჩვენა! შე დალოცვილო, მამაკაცთან საწოლს არ თაკილობ და ასე ვთქვათ, მისგან საჩუქრის მიღება რა ყოფილა? რა საპროტესტოა ეს, არა? ალბათ ასეა! და მაინც... როცა ერთ ჩემ დაქალს მოვუყვიე ეს ეპიზოდი, გაიცინა – შენგან სხვა რამეს არც ველოდიო. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო, მომიძღერა თანაც. ერთხელ მახსოვს, ნიკამ თითქოს სასხვათაშორისოდ მითხრა: შენ შეგიძლია ისეთი რამეები გააკეთებინო კაცს, რომ... მაგრამ არ აკეთებო!

წელან ვთქვი მგონია, ბევრ რამეს ვნანობ-მეთქი, რაც წარსულში ჩამიღენია, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ... ადამიანი მაინც უშვებს შეცდომებს ყველა ასაკში. მართალია, სექსის პრობლემა კი გადავჭერი თავის ღროზე, მაგრამ... მერე და მერე, არანაკლებ მწვავე პრობლემებმა იჩინა თავი. მით უმეტეს – ამ არეულობის ჟამს. თუმცა... მგონი ძალიან შევიჭერი მოგონებებში, უფრო სწორად – მოგონებებმა გადამფარა... თქვენ ალბათ, უკვე მოგწყინდათ კიდევ, ანდა დაიღალეთ ამ უინტერესო ამბების მოსმენით, რაც ერთ ჩვეულებრივ, მოკვდავ ქალს გადახდა...

– არა. არა პირიქით, ქალბატონო ელიკო! მე ძალიან გულდასმით გისმენთ. თქვენ თითქოს ჩვეულებრივ ამბებს ყვებით და მაინც... თქვენი თავგადასავალი, თქვენი თქმის არ იყოს – ინდივიდუალურია. მხოლოდ თქვენეულია და ამდენად – საინტერესო!

– გმადლობთ, ჩემო საყვარელო. თუმცა... წარსულის მოგონება არც თუ იოლი საქმეა. მაგრამ... მე მინდა... ბოლომდე ვთქვა-

სათქმელი. (პაუზა) – მგონი, გითხარით, ბავშვები ძალიან მიყვარს-
მეთქი. ბავშვებთან ურთიერთობა ისეთი რამაა... ამდენი ბავშვის
სული ხელთ რომ გიპყრია... არა, დაპყრობა ცუდი სიტყვაა...
ბავშვი უნდა მოხიბლო, მონუსხო, თავი უნდა შეაყვარო – ამაზე
დიდი სიამოვნება არ არსებობს... მე მგონი, ვახერხებდი ამას.
ბავშვებს ვუყვარდი და... მიჯერებდნენ, მენდობოდნენ და იცით,
რატომ? გარდა იმისა, რომ ბავშვები – ისინი ხომ უტყუარი
აღლოთი გრძნობენ მასწავლებლის ჭეშმარიტ დამოკიდებულებას
მათ მიმართ – გარდა ამისა, ცოტა მსახიობიც უნდა იყო, ცოტა
პოეტიც, ცოტა მეცნიერიც, ენამჭვერიც, მკაცრიც, მომთხოვნიც და
რაც მთავარია – სამართლიანი!

ყველაფერ ამის გარდა, არასოდეს ვცდილვარ განსაკუთრებულ
ჩარჩოში შექმნულა მათი აზროვნება, დამეთრგუნა მათში თვით-
გამოხატვის უნარი – არადა, ისტორია თითქოს ერთხელ და სამუ-
დამოდ დადგენილი ფაქტების კონსტანტაციაა და მათი თხრობა!
მე ყოველთვის თავისუფალი ინტერპრეტაციის მომხრე ვიყავი, მო-
სწავლეს ყოველთვის ვაძლევდი საშუალებას თავისი შეხედულება,
თუნდაც უმართებულო, პრიმიტიულიც კი – გამოეთქვა უშიშრად,
თამამად, ოღონდ, რასაკვირველია, მე შეუმჩნევლად მაინც ვაძლევდი
მათ სწორ მიმართულებას – განსაკუთრებით საქართველოს ის-
ტორია იყო ჩემთვის უმთავრესი საზრუნავი. არადა, სწორედ საქა-
რთველოს ისტორიას არ ასწავლიდნენ სკოლებში ჯეროვნად. და
ეს იყო აშკარად გამიზნული ქმედება – ბავშვებისათვის სსრკ-ს
აბრით – რუსეთის ისტორია ესწავლებინათ. ეს თქვენც გეხსომე-
ბათ, არც თუ ისე დიდი ხნის წინ იყო ეს ყველაფერი. მე როგორ-
ღაც ვახერხებდი, საათები მომეპარა, ასე ვთქვათ, რუსეთისათვის
და საქართველოსათვის მიმემატებინა. საქართველოს ისტორიის
შემსწავლელი წრეც ამ მიზნით შევქმენი. ექსკურსიებით ხომ
მთელი საქართველო გვექონდა შემოვლილი. ეს არც ისე ადვილი
იყო მაშინ, რადგან დასმენის სისტემა – სადაც ჯერ არს – უმაღ-
ლეს დონეზე იყო დაყენებული. მაგრამ ჩემი დირექტორის, ქალ-
ბატონ რუსუდანის წყალობით, რომელიც გადასარევი პიროვნებაა
და რომელიც ჩემი ხათრით თვალს უხუჭავდა ბევრ რამეს – მე
ჩემი გამქონდა.

ხშირად მსაყვედურობდნენ შინ თუ გარეთ – ასპირანტურაში რატომ არ აბარებო, მეცნიერულ მოღვაწეობაზე რატომ ამბობ უარსო და ასე შემდეგ. მაგრამ... იცით, სკოლის ბავშვების გარეშე ჩემი არსებობა ვერ წარმომედგინა. ხოლო პატივმოყვარეობის ჭიის გასახარად, ჩემს ნამდვილ მოწოდებას ვერ ვუღალატებდი. შეიძლება ეს ცოტა პათეტიკურადაც ჟღერდეს მაგრამ... ასე იყო სინამდვილეში! არადა, არასტანდარტული აზროვნების გამო განათლების რაიონულ განყოფილებაში თუ სამინისტროში, უფრო „ზემოთაც“ – უკვე ნიშანში ვიყავი ამოღებული, განსაკუთრებით ბოლო ხანს!

სხვათა შორის დედაჩემის დაჟინებული თხოვნით, რომელიც წლების განმავლობაში დირექტორობდა ქალაქის ერთ-ერთ ცნობილ სკოლაში, იძულებული გავხდი პარტიაში შევსულიყავი, მაგრამ ეს კომპრომისი დავეუშვი აგრეთვე იმისთვის, რომ ხელი არ შექმლოდა ჩემს საქმიანობაში და ნაკლებ ვეცეულიყავი სამიზნედ. ანუ, ეს იყო პრაგმატული მოსაზრებით გადადგმული ნაბიჯი ჩემი მხრიდან, რადგანაც პარტიის იდეოლოგიასთან არაფერი მქონდა საერთო, ეს ამასთან ანგარიშის გაწევაც იყო დედაჩემისთვის. ასე იქცეოდა მაშინ სხვათა შორის, ინტელიგენციის დიდი ნაწილი... ამიტომაც, 9 აპრილის შემდეგ ბევრმა რომ მანდატი დააგლო, ჩემთვის ეს სულაც არ იყოს რაღაც მოულოდნელი ან საკვირველი! გულის სიღრმეში მე ყოველთვის დისიდენტად ვთვლიდი ჩემს თავს, თუმცა ციციოსაც მიაჩნდა, რომ პარტიულობა ხელს უწყობდა, უფრო სწორად ხელს უხსნიდა ადამიანებს უფრო გაბედულად და მარჯვედ ემოქმედა – სწორედ პარტიის საწინააღმდეგოდ!

მოკლედ რომ ვთქვა, ეროვნული სულისკვეთებით ვზრდიდი, რასაკვირველია შეძლებისამებრ – ჩემს მოსწავლეებს და მათ შორის, ჩემს გოგონასაც, ჩემს თათიას. და აი, ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს, უფრო უბედურს ჩემი 24 წლის გოგო, რომელსაც რატომღაც აქ, ჩვენში თავყვანისმცემელი არ გამოუჩნდა, არადა მშვენიერი გარეგნობის, გონიერი გოგონაა, ასეც ხდება ხოლმე – ჩვენი გოგონები ჩვენი ბიჭების ინტერესის მიღმა რჩებიან ანუ თითქოსდა უგულებელყოფილნი არიან მათგან – ტურისტული მოგზაურობის დროს გაცნობილ ერთ ჰოლანდიელს გაჰყვა ცო-

ლად. (პაუზა) – დიახ, როგორ ტრაფარეტულადაც ჟღერდეს, აღ-
მოჩნდა, რომ... სიყვარულს მართლაც არა აქვს საზღვარი თურმე!
თუმცა... იქნებ სულაც პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე,
ანუ ვერგათხოვების შიშის გამო მოიქცა ჩემი გოგო ასე? არ
ვიცი. ზუსტად ახლაც ვერ გეტყვით, რა მოხდა!.. რა იყო მთავარი
ფაქტორი. ასე იყო თუ ისე, ჩემი თათია უცხოელზე გათხოვდა!

– თქვენ... ეტყობა, განიცდით ამ ამბავს...

– არ დაგიძალავთ – ძალიან! ჩემთვის ეს იყო დიდი უბე-
ღურება, რომელსაც დღემდე ვერ ვინელებ.

– რატომ, რატომ, ქალბატონო ელიკო? ასეთი რამ ხომ ძალიან
ხშირია ახლა და...

– საქმეც ეგაა, რომ ხშირია!.. იცით, ხანდახან ჩემი ქალიშვილი
და სიძე დამირეკავენ ხოლმე და ჩემი შვილიშვილი ინგლისუ-
რად მეჟღერტულება. თითო-ოროლა ქართულ სიტყვასაც გაურევს,
დედამისისაგან ნასწავლას – წამით თითქოს გავინარებ, მერე
ისევ დეპრესიაში ვვარდები, რატომ არ უნდა მელაპარაკებოდეს
ჩემი შვილიშვილი ქართულად? ჩემი ნაგრამი მენტალიტეტითაც
მინდოდა ქართველი ყოფილიყო. არ დავებებ, თუ ჩამთვლიან არა-
ცივილიზებულ, ჩამორჩენილ პიროვნებად – განსხვავებით ჩემი
ნაქმარევისგან, რომელმაც ერთობ მშვიდად და არხეინად მიიღო
ეს ამბავი, როგორც ბევრი სხვა რამ ცხოვრებაში. ამის წინეებზე
ჩემი ახლობლის გოგო ამერიკელს გაჰყვა. მისმა მშობლებმა დიდი
ზარზეიმით აღნიშნეს შვილის გადაკარგვა უცხო, შორეულ მხარე-
ში. ერთმა ნათესავმა ბიჭმა – გერმანიაში ყოფნისას, იქაური გოგო
შეერთო და მგონი, საერთოდ არც აპირებს დაბრუნებას, კიდევ
ერთმა – რუსის ქალი მოიყვანა, ერთი ქართველი გოგონა კი ვი-
ლაც ზამბიელს გაჰყვა. დიახ. ზანგს და რამდენია კიდევ ისეთი –
მე რომ არ ვიცი. შორს რატომ წავიდე? ჩემს ერთადერთ ძმას –
მოსკოვში რომ ცხოვრობს, აგერ რამდენიმე ათეული წელია უკვე
და რომელსაც რუსის ქალი ჰყავს ცოლად – სხვათა შორის
კარგი ქალია – შვილები გარუსებულები ჰყავს: ერთი სიტყვაც
არ იციან ქართული და არც უნდათ მისი ცოდნა და საერთოდ,
აქეთკენ გამოხედვას არც აპირებენ. ასე თუ გაგრძელდა და
ისეთი პირი უჩანს, რომ გაგრძელდება – სულ მცირე ხანში

ისედაც მცირერიცხოვან ჩვენ ერს, რომელსაც ახლა კი არა, ამ უკიდურესი გაჭირვების დროს, არამედ ე.წ. კაი ცხოვრების ჟამსაც, გამრავლება პრობლემად ჰქონდა გადაქცეული და თავისსავე ტერიტორიაზე ლამის უმცირესობას წარმოადგენს – ხომ გადაშენება უწერია? ჰოდა, რა მგელს შეეუჭამივარ და რა მგლისფერ ძაღლს. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ვინ, როგორ, რა საშუალებით აღგვის პირისაგან მიწისა აქამდე დიდი ვაი-ვაგლახით, საშინელი ჭაპან-წყვეტით მოღწეულ ქართველობას?... იცით, ჩემმა გოგომ ამ ბოლო ჩამოსვლაზე რა მითხრა: რა გააჭირე საქმე ამ შენი ქართველებით, მსოფლიოში არავინ იცნობს მათ, რუკაზეც ძლივს ჩანს, ისე პაწაწკინტელააო. არც შენი ათასხუთასწლოვანი მწერლობა იციან, არც შენი ხანძოელი, არც მთაწმინდელები, არც დავითი და თამარი, არც რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟაო. როგორებიც ვართ – გამოჩნდა აგერ: ძმთაძმ-კვლელების, ბანდიტების, ტერორისტების, მაფიოზების სახითო! და ა.შ. დიან, ჩემმა ქალიშვილმა, ჩვენს კულტურასა და მწერლობაზე რომ ვზრდიდი-ბრძანა ასე!.. კი, ბატონო, შეიძლება ეს სიტყვები ცხელ გულზე იყო ნათქვამი, უფრო ჩემ გამოსაჯავრებლად, მაგრამ... მე ხომ ტყვიასავით მომხვდა ისინი, გულში ხომ ლახვარივით გამიარა ისევე, როგორც გულს მიკლავს ხოლმე ესოდენ საოცნებო, ნანატრი დამოუკიდებლობა და თავისუფლება ქვეყნისა – ძარცვა-გლეჯის, ხალხის ყვლეფის თავისუფლებად რომ იქცა! ეს ცოდვის შვილები ვირთხებივით შესევნიან საკუთარ სამშობლოს და ხრავენ გაუძლომლად. საქართველოში სიკვდილი შიმშილისგან ვის გაუგონია? ამასაც მოვესწარით! ანდა... ამდენი თვითმკვლელობა გაგიგონიათ ოდესმე? ან და – ამდენი მათხოვარი?

ჰო, ჩემმა თათიამ ამ ბოლო დროს რამდენჯერმე შემომთავაზა, ბინა გამეყიდა და მასთან, ჰოლანდიაში, გადავსულიყავი საცხოვრებლად. ერთხელ ვიყავი იქ... ჩინებული ქვეყანაა. მშვიდი, წყნარი, მდიდარი, მშვენიერი, ხალხი-მაძლარი, კმაყოფილი, მაგრამ... მეზობელი მეზობელს არ იცნობს! ნათესაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!.. იმ სერიאלების შემყურეს, რაც ჩვენში გადის, აბა, რა უნდა გამოიკ-

ვირდეს? – დეიდაშვილი, მამიდაშვილი, ბიძაშვილების ერთმანეთზე დაქორწინება, თუ ის, რომ ძმებს ქალი ვერ გაუყვიათ ერთმანეთში, თუ ჰომოსექსუალისტის – ჰომოსექსუალისტზე დაქორწინებაა, ანუ ის, რაც ჩვენთვის წმინდათა-წმინდაა, რაც ჩვენთვის ყოვლად წარმოუდგენელია, იქ – ნორმადაა ქცეული, ცივილურობის მანიშნებელია! არა. ჩემს გალატაკებულ, მშიერ-მწყურვალ ქვეყანაში სიკვდილი მირჩევნია იქ, უცხო მხარეში ასეთ ცხოვრებას. ეს პათეტიკა არ გახლავთ. გულწრფელად ვამბობ ამას.

– მეც ასე ვფიქრობ, ქალბატონო ელიკო!

– შენ გაიხარე!.. იცით, თითქოს კარგი სიძე მყავს, კულტურული, კეთილი, საქმიანი, სერიოზული, მიყვარს კიდევ თავისებურად, როგორც პიროვნება, მაგრამ... რა ვქნა, ისე არ შემოვიდა ჩემს სულში, როგორც... ჩემიანი! მანც... უცხოელად რჩება. ჩემთვის უცხოა იგი თავის ბუნებით, მენტალიტეტით. ასეა ეს და... მომკალით ახლა! (პაუზა) – ჩემთვის ცხადზე უცხადესია – წყალში ჩამეყარა მთელი ჩემი მონდომება, ე.წ. პატრიოტული აღტკინება. ადრე, როცა ბავშვების უმანკო, ანგელოზისებურ თვალებს ვუყურებდი, ისინი ძალას და ენერგიას მმატებდნენ, თითქოს მასაზრდოებდნენ და მკვებავდნენ იმედით, რწმენით, ნუგეშით, ხალისს მანიჭებდნენ, არსებობის მიზანს მაძლევდნენ. ეს თვალები ჩემი რაობის, ჩემი სულის საყრდენი იყვნენ თითქოს. ამ თვალებში ირეკლებოდა მხოლოდ სიკეთე, უშუალობა სიწრფელე, უბიწოება. მათში ჩემი ბავშვობის ხატებას ვხედავდი! ახლა ეს თვალები აღარ მზიანობენ ჩემთვის. ჩაქრა ჩემთვის მათი სხივოსნობა. თითქოს სიბნელემ და უკუნმა დაისადგურა ჩემს სულში. ამიტომაც... წამოვედი სკოლიდან, ველარ შევეძელი...

– ნუთუ... მიატოვეთ სკოლა ქალბატონო ელიკო?... საბოლოოდ?

– დიახ. საბოლოოდ!

– ძალიან გულდასაწყვეტია. თქვენისთანა პედაგოგები...

– ჰმ. ჩემისთანები!.. მიმაჩნია, რომ სწორედ მე არა მაქვს არანაირი უფლება ვიყო პედაგოგი. ვესაუბრო ბავშვებს მაღალ იდეალებზე, პატრიოტიზმზე, ზნეობაზე... ეს – ფარისევლობა იქნება. მე ვიცი, რასაკვირველია, ჩემი საყვარელი პასკალის არ იყოს, ყველა ადამიანში ზის ანგელოზიც და... ეშმაკიც. თუკი შენში, შენს

არსებაში იმპლაგრა ეშმაკეულმა – არანაირი ზნეობრივი უფლება არა გაქვს ანგელოზებს ანუ ბავშვებს უქადაგო ზნეკეთილობა. არიგებდე და ასწავლიდე ჭკუას...

– ქალბატონო ელიკო! მაპატიეთ, მაგრამ ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ ბევრს, ძალიან ბევრს მოუწევს თავისი თანამდებობიდან წამოსვლა, ასე ხომ...

– უკაცრავად. შეგაწყვეტინებთ. სხვა – არ ვიცი. მაგრამ მე მინდა ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვიყო. ისე, განსაკუთრებით ბოლო ორმა წელმა მიმიყვანა ამ დასკვნამდე!

– ქალბატონო ელიკო. მაპატიეთ, მაგრამ... რაკი მორწმუნე ადამიანი ბრძანდებით...

– მიმაჩნია ჩემი თავი მორწმუნედ, უფრო სწორად – მინდა ვიყო მორწმუნე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჭეშმარიტად მორწმუნე ვარ.

– თუნდაც მცირე მორწმუნე ბრძანდებოდეთ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ... თქვენი საქციელი, ცოტა არ იყოს...

– რატომ შეჩერდით? ამპარტავნებააო – გინდოდათ გეთქვათ, ხომ მართალია? ალბათ – ასეცაა! ეს კი, დიდი, დიდი ცოდვაა, არა? მაგრამ... მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს ჩადენილი, ვიდრე ამპარტავნებაა – ვიდრე ის ცოდვებია, რაც მოგიყვით... თუ შევძელი და... ბოლომდე ჩავედი... ამ კონკრეტულ საქციელს ანუ პედაგოგობაზე უარის თქმას – ჩემი დაქალიც არ მიწონებს... თვითონ ფარ-ხმალს არ ჰყრის არც ერთ სიტუაციაში – ყოფილი დისიდენტია და რომ იტყვიან, ძალი შესწევს ქადლისა, თანაც ზნეობრივად სუფთა და გაურყენელია.

სხვათა შორის, გაუთხოვარია და ხანდახან ახლობლებისაგანაც საქილიკო ობიექტი ხდება ხოლმე, თითქოს ყოველი მეოთხე თუ მესამე მარტოხელა არ იყოს საქართველოში! არადა, ამ შინაბერობას ისე უკიჟინებენ, თითქოს მისი ბრალი იყოს – მთხოვნელი რომ არ გამოუჩნდა ისეთი, ვისაც სიყვარულით გაჰყვებოდა ცოლად! ყოველ ნორმალურ ქალს უნდა ოჯახის, შვილების ყოლა. მაგრამ ბევრი „რატომდაც“ ივიწყებს, რომ ერთი უცხოტომელი რძალი – ერთი გაუთხოვარი ქართველი ქალია. ესეც შენი უცხოური ბუმი! რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი ბიჭების საგრძნობ ნაწილზე, ასე რომ ვთქვათ, ნემსებზე რომ ზიან! ან... ლოთები

გახლავან, ან... მპარავნი, ავაზაკნი და რაც არც ისე იშვიათია – ცველენები და ჰომოსექსუალისტები ბრძანდებიან. ჩემი თათიაც ამ გარემოებათა მსხვერპლი მგონია მე, თორემ ერთი ნორმალური ქართველი ბიჭი დაიღვინა მისთვის? ჰოდა, უკვირთ მერე, ამდენი დაუოჯახებელი ბიჭი და გოგო, ამდენი ქმარგაყრილი ქალი რომაა საქართველოში! ხომ საინტერესოა არა? ჩემი ციციოსთვის, დიდი შინაგანი ოპტიმიზმით დამუხტული და სულიერების მქონე ადამიანისთვის – გაუთხოვრობა ტრაგედია არაა, მაგრამ... ყველა ხომ ვერ იქნება ასეთი კერკეტი კაკალი? უფუნქციოდ ყოფნას ყველა ვერ იტანს!.. აქედანაა ამდენი გადახრები, ამდენი უბედურებანი... ჰო, სიტყვა გამექცა... ხო, ციციოს აზრით, ყველაფერი, რაც ხდება, ის ჭუჭყი და სიბინძურე – გარდამავალი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი და ამდენად, დროებითი, წარმავალი, ხანმოკლე ჟამიანობაა – წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო. მეც, როგორც ისტორიკოსს, მესმის, რომ საქართველოში ჟამიანობა საკვირველი არ უნდა იყოს! და მაინც... საშინლად განვიცდიდი და განვიცდი ყოველგვარ უსამართლობას, ყოველ სივლახეს – ჩემსას თუ სხვისას!..

მახსოვს, ეროვნულ მოძრაობაში გათიშულობის შესახებ ციციო რომ მიყვებოდა – თავად აქტიური მონაწილე ამ მოძრაობისა – ხშირად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, თვალცრემლიანი მეტყოდა: რა უბედურებაა ჩვენს თავზე... ორი ქართველი ერთად ვერ დამდგარაო, უსათუოდ უნდა გაიხლიჩონო. ანდა, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა გადაეკიდნენო, რომ ყველა პირველობას ჩემულობსო, ანუ... „უჩემოდ ვით იმღერეთას“ კაკაფონია გაუმართავთო და ა.შ. ეს სენი ხომ ისტორიულადაც მოგვდგამს, ღალატთან და გაუტანლობასთან ერთად. ჰოდა, დღევანდელ ვითარებას რომ ვუყურებ, ვრწმუნდები, ჩვენი ერი ალბათ ვერც ვერასდროს შეიკვრება ერთ მუშტად!.. შაგრენის ტყავივით დალეული, ერთმანეთის მოქიშპე პარტიებად თუ ბანაკებად დაყოფილი, მხოლოდ საკუთარ პირად ინტერესებს გადაყოლილნი, ილიას თქმით, გათითოკაცებულნი – ვერასდროს შევქმნით ძლიერ, სამართლიან სახელმწიფოს, სამწუხაროდ ჩვენდა!.. (პაუზა)

– ჰოო... ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს დედაჩემი გამიხდა მძიმე ავად და ამიტომაც მიტინგებსა და სხვადასხვა აქციებზე ვერ ვახერხებდი წამდაუწუმ სირბილს, მაგრამ... ერთ-მა-ორმა მიტინგმა, რომელსაც დავესწარი, მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე... ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა და... ამიხდა კიდევ!...

რუსთაველზე გახურებული ომის დროს მომიკვდა ჩემი და ჩემი ქალიშვილის გამზრდელი, ჩემი უსაყვარლესი დეიდა: მისმა დაავადებულმა გულმა ვერ გაუძლო ამდენ სტრესებს და... ჩიტივით დაღია სული... ორი წლის შემდეგ კი დედაჩემს ინსულტი დაემართა და... მარცხენა ხელ-ფეხი წაერთვა.

იმ ხანებში ჯერ კიდევ დავდიოდი სკოლაში, მაგრამ... გახსოვთ ალბათ, რა დღეშიც ვიყავით. არც ახლა ვართ დაღვინებული, მაგრამ მაშინ ხომ მთლად გაუსაძლისი იყო ცხოვრება. უშუქობა, უგაზობა, უტრანსპორტობა, უხელფასობა და რაც მთავარია, აფხაზეთის დაკარგვა და დევნილები... ჩემი ქვეყნის ტრაგიკული ისტორია კარგად ვიცი, მაგრამ... შენი საკუთარი თვალით რომ ნახავ ამ ტრაგედიას – ეს მაინც სხვაა... სიკვდილი... სიკვდილი ახლობლის, ნათესავის, ნაცნობის და რაც მთავარია, ამდენი ახალგაზრდების... პანაშვიდებს და გასვენებებს ვეღარ ავუდიოდით და ახლაც თითქმის ისეთივე მდგომარეობაა ამ მხრივ... ამდენი გულისხეთქვა, ნერვიულობა, ცრემლები, ქვეყნის მასშტაბით გაუთავებელი სერიები კონფლიქტებისა, სისხლის ღვრისა, მკვლევლობებისა, ტერორისა, ბანდიტობისა – აუტანელი ხდებოდა და ახლაც ამ მხრივ თითქმის არაფერი შეცვლილა... ტელევიზორს ვერ ჩართავდი, რომ რამე საზარელი ამბავი არ მოგესმინა... ამ საყოველთაო, მასიური სიკვდილიანობის, შიმშილობის, სიდუხჭირის ანუ ჟამიანობის ფონზე – ზოგ-ზოგის მიერ გამართული ტაშ-ფანდურას, ღუბაიში გრიალს, სრა-სასახლეების შენებას ანუ ფულის ანუ ფულის მომხვეჭელობას სხვათა უბედურების ხარჯზე – წონასწორობიდან გამოვყავდი, ხშირად უკიდურესად დაჭიმული ნერვებით დავდიოდი, საშველიც არსაიდან ჩანდა...

ერთხელაც, ასე დაძაბული, ნერვებმოშლილი ვუზივარ ტელევიზორს და ვუყურებ ტამიშში დაღუპულ ბიჭებზე გადაცემას...

სწორედ ტამიშში მოკლეს ერთი ჩემი ძალიან ახლობლის ვაჟი... დედაჩემი, ჩვეულებისამებრ, ადრე დაწვა, ისედაც ვცდილობდი მისთვის ამერიდებინა ასეთი გადაცემების ცქერა. მისი საძინებელი ოთახის კარი კი ღია დავტოვე... ყოველშემთხვევისათვის.

შუაგულ გადაცემის დროს, როცა მთლიანად ჩართული ვიყავი ამ საშინელი კადრების ყურებაში, დედაჩემის ძახილი შემომესმა, მაგრამ იმდენად ვიყავი მიჯაჭვული ტელევიზორის ეკრანს – წავეყრუე. ხშირად იცოდა დედამ უმიზეზო ძახილი და ამჯერადაც, ეტყობა ასე ჩავთვალე... დედაჩემი კი განაგრძობდა ძახილს. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს მდგომარეობა. სიბრაზე კი თანდათან მიპყრობდა, რადგან ეს ძახილი ძალაუნებურად არ მაძლევდა საშუალებას მთელი გულისყურით მეზიარა იმისთვის, რაც ეკრანზე ხდებოდა.

უსებ... თითქოს რაღაცამ დამარტყა, წამოვიჭერი, დედაჩემთან შევეარდი და დავუყვირე: რატომ მეძახი, რატომ მეძახი-მეთქი. და... ჩქმეტა დავუწყე მკლავზე გააფთრებულმა, ჭკუიდან გადასულმა, თავში კი წამიერად გამირობინა: ამდენი ახალგაზრდები იღუპებიან, ეს კი... ეს ჭირვეულობს აქა“. მერე, ხელის მტევანზე დავარტყი ხელი რამდენჯერმე: რა გინდოდა, რა გინდოდა, რისთვის მეძახი-მეთქი!

უსებვე მოვეგე გონს. მივხვდი, რომ... რაღაც საშინელება, წარმოუდგენელი რამ ჩავიდინე!

შემოიღი ლოჯიაში შევქანდი. ფანჯრის რაფას გადავეყუდე. თვალებზე ლიბრი მქონდა გადაკრული. ვერაფერს ვხედავდი. არც არაფერი მესმოდა. მხოლოდ ყურში რაღაცას შიშინი გაჰქონდა...

„ეს რა ვქენი?... ეს რა ვქენი?... მოხუცებული, სნეული, ინვალიდი დედა – ცვემე!.. ცემაა აბა, რა? ცემაა, აბა, რა!“

სულ მიკვირს, როგორ არ გადავხტი მაშინ ფანჯრიდან... რა ძალამ შემაჩერა?... ან... როგორ არ გამისკდა გული – დეიდაჩემით – ტელევიზორში სხვისი შვილების დაღუპვის ამბის ყურებას რომ ვერ გაუძლო და... სული განუტევა!

ის ღამე, კომმარული ღამე, დიდხანს არ გათენდა...

ალიონზე, ღამენათევი, გატანჯული, ტირილისგან სახედასიებული დედას საწოლზე ჩამოუჯექი და თვალებდახრილმა (პირისპ-

ირ შეხედვა ვერ გაგებდე) მიღებული ხმით პატიება ვთხოვე. გამომხედა ქუთუთოებს ქვემოდან როგორღაც საოცრად მახვილი, გამჭოლი მზერით და მითხრა: – შენი ხელების სიმწარე საფლავში ჩამყვებაო.

არ მაპაატია!

გველნაკებნივით წამოვხტი და... გავეცალე. ხუთ დღეში დედა გარდაიცვალა. ძილში გაიპარა, რომ მეძინა ისე... ჩემს მიერ დაჩქეტილი მკლავი გულზე ედო, კუბოში რომ ესვენა...

მას მერე... ვკვდები ყოველდღე და... არც ვკვდები. თითქოს თვალბეჭეტი ვუყურებ სიკვდილს და თავადაც მბურღავს იგი გამყინავი მზერით... დიახ, დამოკლესის მახვილივით აღმართულია ჩემს თავზე და... გასაქანს არ მაძლევს... შებოჭილ-შეპყრობილი, ვერ გავტოკებულვარ...

მთვარეულივით დავდიოდი ხან ნათესავებში, ხან მეგობრებში, სასაფლაოზე ხომ ლამის ვათენ-ვადამებდი, ახლა ცოტა მოვუკელი სიარულს, ეკლესიაში ვანთებ სანთლებს, ვიხდი პანაშვიდებს, თითქოს ვფუსფუსებ, ვცდილობ, ყველანაირი ქრისტიანული წესი შევასრულო, არ დავაკლო, რაც კი მიღებულია... ჩემი ციცოს თანაგრძნობაც თითქოს წამიერად მესაღებუნება, ოღონდ... წამიერად, დროებითად. ყველაფერი ამოა, როცა ჩემ თავთან მარტო ვრჩები... ცხადია, ვიყავი მოძღვართან, მინდოდა ეპიტიმია დაელო... მაგრამ... მოხდა ისე, რომ... შემინდო. სასჯელი არ დამადო. თუმცა... მე არ შევუნდე ჩემს თავს. არ მშველის არანაირი ფილოსოფიური რელიგიური ტრაქტატები, არც სულის უკვდავება, არც მარადისობის კანონი, უსასრულობა, ტრანსცენდენტურობა, კოსმიურობა და ა.შ. ყველაფერი სიტყვების რახა-რუხად, ყველაფერი ამოებად მეჩვენება. მთელი ცხოვრება ამოების ბახარია ჩემთვის. მოკლედ... ვკვდები ზეზეურად, თვითმკვლელობას კი ვერ ვბედავ – ჯერ-ჯერობით!.. ვიცი, რომ... უმძიმესი ცოდვაა და მანც... ხშირად გამიელვებს ხოლმე ეს აზრი თავში... არადა, მზარავს სიკვდილის გარდაუვალობა და მისი... ყოველდღიური მოლოდინი... დაიშრიტა ჩემი სულიერი წყარო, ჩემი მკვებავი და მასაზრდოებელი... გამუდმებით იქა ვარ, ჩემს მიცვალებულებთან, ჩემი საყვარელი ბებიის,

ბაბუის, დედის და დეიდაჩემის ლანდებს ველაციციები... მწერლის თქმის არ იყოს... მათი ლანდები მღეკენ ყველგან, როგორც ჩემი საკუთარი აჩრდილი. წარმოუდგენელი ძალით მინდა ხოლმე შევეხო მათ ფიზიკურად, მოვისმინო მათი სიტყვები, ხმა... ძილშიაც ხშირად მესიზმრებთან და კიდევ იცით რა უნდა გითხრათ? ჩემს ბავშვობაში მინდა დაბრუნება – რაღაც ერთ უთქმელი სურვილით მენატრება, საოცრად მენატრება ჩემი ბავშვობისდროინდელი პატარა ოთახი, ჩემი საწოლი, ჩემი კოპწია თოჯინები, სხვადასხვა ქვეყნის დედოფლებად რომ ესახებოდა ჩემს ბავშვურ ფანტაზიას, ის ქოთნის ყვავილებიც მენატრება, სარკმლის რაფაზე რომ გვქონდა ჩამორიგებული...

უსაშველოდ მენატრება ჩვენი ეზოს ის ნამცეცა კუნჭული, სადაც სილის სახლებს, – „თვალუწვდენელად“ მალღებსა და დიდებს რომ ვაშენებდით... მენატრება იასამნის ის ბარდნაღაც, ის ზღაპრული ბუჩქი – ოკეანეთა და ზღვათა სივრცეებში სამოგზაურო სომალდის მაგივრობას რომ მიწვედა, მენატრება ჩემი „ოქროს კუნძული“, რომლის გამგებელი მე ვიყავი მხოლოდ! მე – ჩემი მფრინავი ხალიჩით – შემემლო ჩამეყვანა ამ კუნძულზე ბებო, ბაბუა, დეიდა და დედა და მამა, რომელიც ბუნდოვნად მახსოვდა. ამ კუნძულზე მხოლოდ კეთილი ფერიები, მზეთუნახავები, მზეჭაბუკები, უფლისწულები სტუმრობდნენ. იქ ვერ გაჭაჭანდებოდნენ ავსულები, ალქაჯები, კუდიანი დედაბრები, მზაკვრები, ჯადოქრები, ბაყ-ბაყ დევები, გველეშაპები...

ო, როგორ მინდა დამიბრუნდეს ჩემი უმწიკვლო, უზრუნველი ბავშვობა, ის ხანა, როცა ციცქნა გოგო ზღვარდაულები, საოცარი ოცნებებით სულდგმულობდა... მახსოვს, ერთხელ ბებომ, ზღაპრის მოყოლა რომ დაამთავრა, მითხრა, აი, როცა შენ დიდი გოგო გაიზრდები... მე შევაწყვეტინე, მივვარდი, მუხლებზე მოვეხვიე და ტირილით შევეხვეწე, არ მინდა გავიზრდო, არ მინდა გავიზარდო-მეთქი! გაზრდა სიბერეს დაგუკავშირე. სიბერე კი – სიკვდილს! სიკვდილი კი... რაღაც წარმოუდგენელ საშინელებას – ვინაიდან ვიცოდი – ქვეშეცნულად ვგრძნობდი მას! აკი ზღაპრებშიც ხომ ხშირად კვდებოდნენ ჩემი საყვარელი გმირები...

ნეტამც, მართლა არ გავზრდილიყავი! ნეტამც, მაშინ, ბავშვობაში მოვმკლარიყავი, თურმე... რამდენ ცოდვას ავირიდებდი, მათ შორის სიკვდილის მოლოდინის შიშს... დიახ. სიკვდილის მოლოდინით ვეგებები ყოველ გათენებას, თითქოს მწაღია იგი და... თან მზარავს... ყოველი პაპაშვიდი თუ ქელეხი ჩემს დატირებად მიმაჩნია... მთავარი მაინც ისაა, რომ... განაჩენი მევე გამოვუტანე ჩემს თავს: შენ არ ივარგე როგორც დედამ, როგორც ქალიშვილმა, როგორც მეუღლემ, როგორც საყვარელმა და როგორც – მოქალაქემ!

ყველაფერში უვარგისი აღმოჩნდი, უმაქნისი, არარაობა. ჰოდა, ახია შენზე ყველაფერი. შენ დაიმსახურე შენი ხვედრი. არადა... მინდოდა, როგორ არა, მინდოდა კარგი, ღირსეული პიროვნება ვყოფილიყავი. მაგრამ... სრული კრახი განვიცადე. ყველა ჩემი იდეალი, ყველა ჩემი ოცნება დაიმსხვრა, განქარდა. ყველაფერს ნაცარ-მტვერი დაედო! ჰო, ასეა: გულახდილად რომ ვთქვა – ცოცხლად ვიხრწნები და ვლპები, რამეთუ: „ზესთა თავისა ჩემისა აღემატეს უსჯულოებანი ჩემნი, რამეთუ განმრავდეს უფროის რიცხვისა ქვიმისა, შეყროლდეს და დალპეს ნაგვემნი სულისა ჩემისანი სიმრავლისაგან ბოროტა ჩემთასა...“ ასეა: ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის!... არ არის! (პაუზა)

– ქალბატონო ელიკო, თუ შეიძლება, მეც მომიხმინეთ ახლა, გთხოვთ, ორიოდე წუთით მეც დამიგდეთ ყური... ყურმილი არ დაკიდოთ, გთხოვთ...

– ჰო, დიახ... გისმენთ, გეთაყვა!

– იცით... მე... თბილისელი გოგო ვარ – არც დედა მყავს და არც მამა... ბიძამ – მამაჩემის ძმამ და ბიცოლამ გამზარდეს... თავის შვილებში არ გამოვურჩევივართ. ბიცოლამ მთხოვა სწორედ ამ დღით, თვითონ სიცხიანი წვეს, შევნაცვლებოდი ამაღამ... ასე რომ, პირველად მოვისმინე – ასეთი აღსარება!.. და მინდა გთხოვოთ, გულით გთხოვოთ... კვირას ჯვარს ვიწერ სიონში... ძალიან მინდა თქვენ იყოთ ერთ-ერთი ჩემი მეჯვარე და... დედობილიც! თუ ღვთის წყალობით შვილი მეყოლა, თქვენ უნდა მომიხატოთ. ძალიან გთხოვთ... უარს ნუ მეტყვით, არ გამაწბილოთ,

გემუდარებით: კვირას, 3 საათზე, სიონში მობრძანდით, ლიკა ვარ
სამხარაძე... გთხოვთ...

– მე?! მე... მთხოვ? ასეთ ცოდვილ დედაკაცს? ასეთ...

ქალმა ყურმილი გადასდო, მაგიდაზე დაემხო და... აქვითინდა
– ყრუდ, მწარედ, გულამოსკვნით.

– დეიდა ელიკო!.. დეიდა ელიკო? ხომ მოხვალთ?.. უარს ხომ
არა მეტყვით? დეიდა ელიკო... დეიდა ელიკო!..

2003 წ.

ნაფელუბი

ქვაჩასი

ასტამურმა გვერდზე ჩამოცურებული ყაბალახი გაისწორა და სადავე მიუშვა ცხენს.

„სი სოულ ბატა, მა დომტალენქო“... – კესარიას მიბნედილი სახე და ჟუჟუნა თვალები დაუდგა წინ.

ალარ უშვებდა კესარია. კიდევ ორი დღე შეაგვიანდება ჩემს ქმარსო, არწმუნებდა, მაგრამ ასტამურმა ქვა ააგლო და თავი შეუშვირა.

დაცდილი ჰქონდა, ყოველთვის იმის საწინააღმდეგო უნდა გაეკეთებინა, რასაც დიაცი ურჩევდა.

ჰოდა, დაემშვიდობა დანაღვლიანებულ მიჯნურს, მოახტა თავის ღამისფერ „ყორანას“ და...

მოდის ახლა მთვარით განათებულ შარავზაზე. ცალკე ღვინით და ცალკე ქალის ეშხით შემთვრალი და გულსევდიანად ღიღინებს საყვარელ სიძღერას: „გურს გენია მონტებულსუ, ვაშემბრალენქო, ვაშემბრალენქო“.¹

და ასე ერგენა:

ჩახჩახა ვარსკვლავები ღიმილით უპაჭუნებდნენ თვალებს და მთვარე ეშმაკურად ქირქილებდა მუჭში.

აი, გასცდება მოსახვევს და გამოჩნდება ლოლუების „დოხორე“.² ჩუ... რა ხმაურია?

უცებ „ყორანამ“ ყურები ცქციტა, კისერი ააღერა. ასტამურმა სასწრაფოდ ცხენი განზე გაახტუნა და მუხის ჩრდილს შეეფარა.

ქარივით ჩაუქროლეს ნაბდიანმა მხედრებმა. ქარივით ჩაუქროლეს და მაინც თვალი შეასწრო ასტამურმა თეთრი ყაბალახით თავწაკრული ცხენოსნის სახეს.

თვალი შეასწრო და წამით გაქვავდა, ენა ჩაუვარდა, მერე... თავზე იტაცა ხელი.

1 „სად მიდიხარ ბატა, მე მტოვებ, გულს ცეცხლ(გენია) მოკიდებულს, არ შემობრალე, არ შემობრალე?“

2 სასახლე

– ახავაია, ჩემი ცოდვაო, – დაზაფრული ხმით იბღავლა და ცხენს მათრახი წყვიტა. მათრახი მაკადრესო, გადაირია „ყორანა“.
ცხენის ჭინვინმა და ვაჟკაცის კიჟინამ შეძრა მძინარე სოფელი...

* * *

- ხალხო, რა ამბავია, რა მოხდა?
- რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავზე?
- თურქები ხომ არ დაგვესხნენ?
- ხალხნო, ომარ ლოლუას ქალი გაუტაცნიათ!
- ომარის ქალი გაუტაცნიათო
- ვინ გაბედა?
- ვაი, იმის უბედურ დედას!
- ლოლუებს ვით გადაურჩება!
- ცოცხალი თავით როგორ გაასწრებს?
- ბონდო მალიას გაუტაცნია.
- ბონდო მალია?! ბონდო მალია?! ბონდო მალია?!
- ო, ო, დიდი ვაჟკაცია ბონდო!
- პირველი მონადირეა.
- პირველი მომღერალი!
- პირველი მოცეკვავე!
- და მაინც... გლეხია.
- მამამისი ომარის მამის ნაყმევა.
- წავიდა ის დრო!
- მაგრამ ომარი დროს არ დაგიდევთ.
- სისხლი დაიღვრება.
- ეჰ, ფათულიას გულისათვის ღირს, ძმაო, თავის გაწირვა.
- მაგ აფთრებს არა ჰგავს.
- დიდი ხანია, ერთმანეთი ჰყვარებიან.
- ღმერთო, შენ უშველე! მამაზეციერო, შენ დაიფარე! წმინდა გიორგი, შენი სახელის ჭირიმე, შენ შეეწიე ორთავეს!
- ტყუილია, არაფერი უშველით. ლოლუების მთელი ხროვა დასდევნებიან.

- დაეწევიან. მოიმწყვდევენ.
- ლოლუების რაშებს სად გაექცევიან!
- ომარმა თავისი ღვიძლი შვილები გაწირა და ბონდოს დაინ-
დობს ახლა?
- სისხლი დაიღვრება უთუოდ!
- ღმერთო! როგორ გათენდება ეს უბალო ღამე?

* * *

ცხენების თქარა-თქური, თოფების ხათქა-ხუთქი, ყურისწამლები
ყიჟინი ირევა ერთმანეთში.

მიჰქრიან ლოლუების განთქმული რაშები. ცეცხლს აკვესებენ
თვალებიდან, გაავებულნი ფრუტუნებენ.

ომარი წინ მიუძღვის მღვერებს. ხანდახან მეზივით დაიქუხებს
მისი ხმა:

- ჰაიტ, გაფრინდი, ჩემო შევარდენო. მივეწიოთ აბრაგებს!
ბაგრატ, ბეგლარ, ოტია, კოჩია!
- აქა ვართ, მამა ბატონო, მოგყვებით.
- საკუთარ სისხლში ვაბანავებთ ყაჩაღებს!
- შავად გაუთენდებათ დილა!
- ჰაიტ, მომყევით!

სწრაფად მოკლდება მანძილი. იკვრება წრე, გამტაცებლები
შედგნენ. გზა აღარ არის. ალყაში მოექცნენ.

წამიერი ჩოჩქოლი, ყაყანი, გაწევ-გამოწევა, მერე თეთრყაბალახ-
იანმა იძალა, ცხენიდან ჩამოსრიალდა და მღვერების შესახვედრად
გამოქანდა.

– ფათულია?!

მაგრამ თეთრყაბალახიანს უკან არ მოუხედავს, მღვეართა მეწი-
ნავესთან მიიჭრა და ერთბაშად ცხენს ფეხებში ჩაუვარდა. ყა-
ბალახი გადაძვრა და ოქროსფერი, გრძელი თმა ტალღასავით
დაცურდა ნაბაღზე.

ცხენი დაფრთხა, ყალყზე შედგა, მაგრამ რკინის ხელებმა ჰაერ-
შივე გააქვავეს, მერე ნელა, ფრთხილად დაეშვნენ ძირს წინა ფეხები.

– მამავ ბატონო, დამნაშავე მე ვარ! – შესძახა ქალიშვილმა ომარს და მიწაზე დაემხო.

– ჰაიტი, შე კახპავ! – გაიწია მისკენ სამმა ძმამ და სატევარზე გაიკრეს ხელი. მეოთხემ, ყველაზე უმცროსმა, თავი ჩახარა და ტუჩი მოიკვნიტა.

– ფათულია!

ვაჟკაცის ძლიერმა ხელმა წამოაყენა ქალიშვილი:

– თავს ნუ იმცირებ!

ბონდოსაც სატევარზე უღევს მარჯვენა. მეორე ხელი კი ათახ-თახებულები ფათულიასათვის შემოუხვევია და უშიშრად შეჰყურებს ომარს, უშიშრად და გამომწვევად. გარს კი დაქვეითებული ძმაკაცები შემორტყმნიან.

– მამავ ბატონო, რას ველოდებით?

– გვიბრძანე!

– ომარ ბატონო?

ომარი კი ღუმს, თავი ჩაულუნავს და ხმას არ იღებს გახევებული.

ძმები და ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ძიძიშვილები, ლოლუების თითქმის მთელ საგვარეულოს აქ მოუყრია თავი.

ელოდებიან. ელოდებიან ომარის სიტყვას. მის განაჩენს.

რატომ აყვონებს ომარი? რატომ არ უბრძანებს – ამოხოცონ გველის წიწილები? რომ სისხლით ჩამოირეცხონ შეურაცხყოფა? მაგრამ... ვინ იქნება ის მამაცი, ვინც გაბედავს და საყვედურს შეჰკადრებს ომარს?

ბოლმამორეულნი ღუძან და ელოდებიან ლოლუები.

ელოდებიან ომარის განაჩენს.

ბოლოს შეირხა მოხუცი. თავი ასწია, მათრახის ტარით ყაბალანი გაისწორა, მერე მათრახიანი მარჯვენა გაიშვირა ბონდო მალიასკენ და ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ უთხრა:

– ვაჟო, მომწონს შენი გამბედაობა. – წამით იყუჩა: – პატივს ვცემ გულად ადამიანებს!

ლოლუები დაიძბნენ, დაისხიპნენ. ხომ არ მოესმათ? ყურებმა ხომ არ მოატყუეს?

ომარი კი განაგრძობს:

– ჰოდა, გაძღვევ ქალს. კვირას, საღამო ჟამს მოდი და წაიყვანე ჩემი ქალიშვილი.

წამით ყველანი გაშეშდნენ – მღვერებიც და გამტაცებლებიც. თითქოს ერთბაშად სიჩუმის ანგელოზმა ჩამოიარაო.

თავზარდაცემულნი დგანან ლოლუები და თვალეგაფართოებულნი შესცქერიან ომარს.

– მამავ ბატონო! – გაბედა ბოლოს უფროსმა ვაჟმა.

– ჰა? რა გინდოდა, ბაგრატ? – ავად დაიკვესეს ომარის თვალებმა.

– არაფერი, ბატონო! – სასწრაფოდ ჩაიდუღუნა შემცბარმა ბაგრატმა და ხმა გაკმინდა, მორჩილად დახარა თავი.

– წამოიყვანეთ! – თვალით ანიშნა ომარმა ფათულიასკენ.

სამი ძმა უსიტყვოდ, ენის შეუბრუნებლად ჩამოხტა ცხენიდან, დასთან მიიჭრნენ და ხელი დაავლეს.

ომარმა ცხენი მიაგდო ადგილზე გახევებულ, ამხანაგების რკალში მოქცეულ მალიასთან.

– მაშ ასე, ვაჟო, დაიხსომე: კვირა საღამოს, მზის ჩასვლის ჟამს მოხვალ და წაიყვან ქალს! – დამარცვლით წარმოთქვა და ცხენს სადავე მოსწია.

* * *

ნაბიჯით მიჰყავს ცხენი თავდახრილ ომარს და ღუმს. მღუმარედვე მიჰყვებიან უკან ლოლუები, რომელთაც შუაში ჩაუყენებიან სახეგამშრალი ფათულია.

ვერავენი ბედავს ხმის ამოღებას.

ვერავენი ბედავს დაარღვიოს დამუხტული სიჩუმე.

„...დიდხანს არ დაეძინა ომარს ამ ღამეს. ლოგინში მოუსვენრად წრიალებდა. დღესავით ნათელი ღამე თუ უფრო ხობდა ძილს. სიჩუმე თითქოს ყურებში შიშინებდა.

და უცებ ელვასავით გაჰკრა თავში: რატომ არ ისმის თუნთიას და გერიას ხმა? ჩვეულებისამებრ, რატომ არ დარბიან ეზოში, და არ უყეფენ რაღაც არჩდილებს, გაავებულთ წარამარა რომ ელანდებათ?

ძაღლები არ ჰყეფენ – აი, რატომაა თურმე ასეთი უჩვეულო სიჩუმე;

წამოდგა. ფლოსტებში ფეხები გაჰყო. საცვლებისამარა გამოვიდა აივანზე.

– თუნთია, გერია! – გასძახა ძაღლებს მჭახე ხმით და მერე დააყურადა. ჩამი-ჩუმი არ ისმის არსაიდან. დუმილს მხოლოდ ჭრიჭინობლების მონოტონური გაუთავებელი ჭრიჭინი თუ არღვევს.

აჰმა წინაგრძნობამ გულზე გაჰკრა ომარს, ოთახში შებრუნდა, ჩოხა შემოიცივა, მერე ეზოში ჩავიდა. სავსე მთვარე გაბადრულა ცაზე და ქარვის ფერებში ცურავს ირგვლივ ყველაფერი.

ოდის და ხეთა ჩრდილები მკაფიოდ, გარკვევით გაწოლილან ამ თითბრისფერ სხივებზე.

– თუნთია, გერია! – ახლა უფრო ხმამაღლა უყვილა ომარმა ძაღლებს.

და უეცრად ოდის გვერდითი კედლის ღია სარკმელს ჰკიდა თვალი. წამით ადგილზე გახევდა.

„ღია დარჩენია ფანჯარა ფათულიას!“ – უთხრა დასამშვიდებლად გულს, უცებ ბაგა-ბუგი რომ ატეხა მკერდქვეშ.

სწრაფად აათავა კიბის საფეხურები და ფათულიას ოთახის კარები შეადო. მერე ფეხაკრეფით, ჩუმად მიუახლოვდა საწოლს.

– გძინავს, ფათულია? – ჩუმადვე იკითხა და ხელი მოაფათურა საწოლზე. ჯერ კიდევ თბილი იყო ლოგინი...

– მომიკვდი, შვილო? – ჩაიღუდუნა ხმაჩამწყვდარმა და საწოლზე მუხლმოკვეთილი დაეშვა. თავი ჩაჰკიდა.

მერე...

მერე ერთბაშად იხუვლა სისხლმა, აზვავდა, აყალყდა და ღამის მყუდროება შეარყია დაჭრილი ნადირის ბლავილმა:

– ბავრატ, ბეგლარ, ოტია, კოჩია! ცხენები!

მერე ის იყო, ის ჩიტირეკია ასტამურაც შემოიჭრა ეზოში ღრიალით.

* * *

ექვსი დღე-ღამეა სოფელი დულს და ქოთქოთებს. ექვსი დღე-ღამეა ხალხმა ძილი დაკარგა და მოსვენება. ექვსი დღე-ღამეა უთვალთვალეებენ ომარის „დოხორეს“, მაგრამ იქედან ჩქამიც არ ისმის. სახედაძმარებულნი მიდი-მოდინ ლოლუები.

ომარ ლოლუას სახლი ემზადება. ომარი ემზადება...

მაგრამ რისთვის?

ნუთუ მართალია, აპატია ბონდო მალიასო?

წარმოუდგენელია, შეუძლებელია.

მაშ, რატომ ჩამოსტირით ცხვირ-პირი ლოლუებს? დანა პირს არ უხსნის არც ერთ მათგანს, თითქოს ენა ჩაუყლაპავთო, ხმას არ იღებენ და მღუპარედ, ჩუმად მიდი-მოდიან. ემზადებიან. მაგრამ რისთვის? რისთვის ემზადებიან ასე საიდუმლოდ?

და ახლა თითოეული მათგანი ხელახლა იგონებს იმ დღეს, როცა ომარ ლოლუამ ორი უფროსი ვაჟი სასიკვდილოდ გაიმეტა. ხელახლა ცოცხლდება მივიწყებული ამბავი:

* * *

„...ომარის აბრაგად გავარდნილი ორი უფროსი ვაჟი მარლანას ნასახლართან მოიმწყვდიეს კაზაკებმა. მაგრამ ლოლუები არ ნებდებიან. წისქვილში ჩასაფრებულნი, ტყვიას ტყვიაზე უგზავნიან კაზაკებს. რაზმის უფროსი, ოფიცერი თენგიზ დანელია ეახლა ომარს. ტყუილ-უბრალოდ რად უნდა დაიღვაროს სისხლი? თქვენს ვაჟებს გასაქცევი გზა მოჭრილი აქვთ, ერთადერთი გამოსავალი დარჩენიათ – დანებდნენ რუსებს. რუსის ხელმწიფე მოწყალეა, იქნება აპატიონ, ან მცირე სასჯელი აკმარონ.

– რას მოითხოვთ ჩემგან, პორუჩიკო? – გააწყვეტინა ომარმა დანელიას ენამზეობა და თავისი ბასრი, გამჭოლავი მზერით თავით ფეხებამდე გაზომა სტუმარი. დანელია წამით შეცბა. აირია. მერე მსწრაფლ მოეგო გონს და პირდაპირ დასძულ კითხვას პირდაპირივე პასუხი არჩია:

– ომარ ბატონო, თქვენი შვილები თქვენ დაგიჯერებენ. თქვენ თუ ეტყვი, რომ იარაღი დაყარონ... – თვალბეჭდით ვერ უყურებდა დანელია ომარს. რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ვერა და ვერ შესძლო მზერა გაესწორებინა ლოლუასთვის: – ტყუილად სისხლის ღვრას ავცდებით, ბატონო ომარ.

ბრაზი მოსდიოდა საკუთარ თავზე, რომ უმწეო და უსუსური ჩანდა ამ ზვიადი, ამპარტავანი თავადის წინაშე. და გაგულისებ-

ულმა, ბოლო სიტყვები მკვეთრად, მკაფიოდ დამარცვლა.

ომარმა ძლივს შესამჩნევად, ჩუმად ჩაიღიმა.

მერე უხმოდ, უსიტყვოდ გამოყვა დანელიას.

წისქვილს რომ მიუახლოვდნენ, ომარმა ცხენი ყალყზე შეაყენა, თვითონაც უზანგებზე წამოიძარათა და დაიჭექა:

– ჰეი, ტურუ, გელა!

– აქა ვართ, მამა ბატონო, აქა!

– ჩემი ხმა ხომ კარგად გესმით?

– გვესმის, მამავ ბატონო, კარგად გვესმის!

– მაშ, გაიგონეთ: მოკვდით, მაგრამ ამ ძალღიშვილებს არ ჩაბარდეთ. ხომ გაიგონეთ, ბიჭებო?

– გავიგონეთ, მამავ ბატონო, გავიგონეთ! – ერთხმად იბღავლა ორივე ვაჟმა: – მაგ ძალღიშვილებს ცოცხალი თავით არ დავენებდებით.

– ეს რა ჰქენით? – მივარდა ომარს გაცოფებული დანელია.

ომარმა კვლავ თავით ფეხამდე გაზომა წონასწორობიდან გამოსული, გაანჩხლებული დანელია. ომარის მზერას ვერავინ უძლებდა. ქვის გამხვრეტი თვალები აქვსო, ამობდნენ მასზე და აკი ქვაკაცას ეძახდნენ კიდევ ზურგს უკან.

დანელიამ ამჯერადაც ველარ გაუძლო ამ მზერას, უნებურად თვალები დახარა.

– ეგ ხმა შენი კახაკებისათვის შემოინახე, დანელიავ!

– მე... არ მიყვირია თქვენთვის, ომარ ბატონო... მე მინდოდა მეთქვა...

– სხვას რას მოელოდით ჩემგან, ბატონო დანელია? – გესლიანად ჰკითხა ომარმა და თვალები მოწკურა; მერე ზურგი შეაქცია შემცბარ ოფიცერს და გაეცალა.

სახტად დარჩენილი დანელია გამოერკვა. თავის ხელქვეითებს მივარდა:

– რას დავგილიათ პირი, თქვენი... ესროლეთ, ამოხოცეთ, არ დაინდოთ მაგათი... ომარ ლოლუა, განანებ, თუ კაცი ვყოფილვარ!

იმ დღეს მარღანიას ნასახლართან ჩაწვა ომარის ორი ვაჟი.

ომარს არ უგლოვია შვილები, არც შავები ჩაუცვამს. ერთი თვის შემდეგ დანელია თავის ოთახში იპოვეს შუბლგახვრეტილი.

ხალხში ამბობდნენ, ძველი ნააბრაგალის, ომარის ხელი ურევია ამ საქმეშიო. არ შეარჩინა დანელიას შვილების სისხლი, შური იძიაო. მაგრამ ვინ გაბედავდა და ხმამაღლა იტყოდა ამას?

ომარი მაინც დაიბარეს პოლიციაში. მაგრამ რა? ვერაფერი დაუმტკიცეს და შეწუხებისათვის ბოდიშებით გამოისტუმრეს შინ.

* * *

კვირას, გამთენიისას საზარელმა წივილ-კივილმა ჟრუანტელად დაუარა სოფელს და მერე ცას შეასკდა. დაფეთებული ხალხი ლოლუას „დოხორეს“ მიაწყდა. საშინელი სურათი გადაიშალა მათ წინაშე:

ვრცელი ეზოს შუაგულში, ფანჩატურში, დაბალ ტახტზე ოქროსფერი, შუშის სახურავიანი კუბო იდგა, რომელშიც იწვა თეთრ კაბაში გამოწყობილი, გულხელდაკრეფილი ომარის ერთადერთი ქალიშვილი მართა, საალერსოდ და სასიყვარულოდ ფათულისა რომ ეძახდნენ შინაურები და გარეშენი. კუბოს ნახევარკალად ძაძებში შემოსილი თმაგამლილი, პირდანოკილი ქალები შემორტყმოდნენ და ცივი, გამყინავი ხმით გაჰკიოდნენ – მამაკაცები უფროს-უმცროსობის მიხედვით კუთხეში იდგნენ, მკლავზე შავი არშია ჰქონდათ შემოვლებული, თავიც შავი თავსაფრით წაეკრათ და სახეგამშრალნი, მღუმარედ ჩასცქეროდნენ მიწას.

...გამრიგეები მარჯვედ ტრიალებდნენ და ზღვასავით მომსკდარ ხალხში თადარიგს იჭერდნენ. ხალხი კი მართლაც ზღვასავით დაუსრულებელივ მისწრაფოდა კუბოსკენ, მერე უკუქცეულნი, ეზოსა თუ მის შემოგარენში, ახლო-მახლო გზებსა თუ შუკებში ჯგუფ-ჯგუფად იყრიდნენ თავს, მერე იშლებოდნენ, ისევ იკრიბებოდნენ და იყო ერთი ვაი უშველებელი, ზუზუნი და ტირილი, ცრემლების ფრქვევა და გულისშემძვრელი მოთქმა-გოდება.

მაგრამ აი, პირველმა ელდამ გაიარა და... ხალხში ჩურჩული გაისმა, ატყდა მითქმა-მოთქმა:

– ვაი, უბედურო ფათულია, ვაი, შენი ცოდვა, ეს რა შავი დღე გაგითენდა!

– შეხედეთ, რა ცოცხალივით წევს კუბოში, თითქოს ეს-ესაა მიიძინაო.

– კუბოში? გინახავთ ოდესმე ასეთი კუბო? შუშის სახურავიანი კუბო სად ნახულა ჩვენში, სად თქმულა?

– რას არ მოიგონებენ ეს ღვთის პირიდან გადავარდნილები...

– მართლა გული გაუსკდა მაგ უბედურს თუ...

– გული გაუსკდა კი არა. შენც დაიჯერე ზღაპარი!

– აბა...

– მაგ სულწაწმედილი ქვაკაცი მოუსწრაფებდა სიცოცხლეს.

– ფათულიას სასიკვდილოდ გაიმეტებს ადამის ნაშიერი, დედის ნაშობი კაცი?

– კაცი არა, მაგრამ ომარი – კი. ვაჟები არ დაინდო და ფათულის აპატიებდა შერცხვენას?

– თუ მაგრეა, ჯერ ბონდო მალღას გაუსწორებდა ანგარიშს ჯერ მას მოუღებდა ბოლოს.

– აცალეთ. ბონდოსაც მისწვდება, რა იცით რა აქვს გუნებაში? ომარის აზრებს თვით ეშმაკიც ვერ მიუხვდება.

– ნახეთ, რა სახე აქვს ომარს? თითქოს შვილი კი არა, კნუტი მოჰკვდომოდეს!

– ვინ არის ეს მართლა სულკატიანი? კაცია თუ მართლა ქვაკაცი? ლოდია თუ ყინულის ნატეხი?

– ნადირსაც კი უყვარს შვილი.

– ჩიტი რაა, ჩიტიც კი თავს ევლება თავის ბარტყებს.

– მერედა, რა შვილი უსვენია კუბოში.

– ეს ექვსი დღის სამზადისი რაღა იყო, ხალხნო?

– ფათულიას თუ იმავე ღამეს გული გაუსკდა, ექვსი დღე-ღამე ჩუმად იყვნენ? რატომ მაშინვე არ შეიცხადეს? რას ელოდებოდნენ?

– შეხედეთ, რა სახე აქვს ომარის უფროს დას? ერთი წვეთი ცრემლი არ ჩამოუვდია. გამშრალია ქალი, გაყინული.

– ყველანი რაღაც უცნაურად იქცევიან.

– თითქოს ტირიან და ვერც ტირიან მაგ საცოდავს.

– ძმებს უყურეთ, ძმებს, ყინჩად რომ ღვანან, აფთრებივით რომ აბრიალებენ თვალებს.

– ავტორის შვილები ავტორები იქნებიან, აბა რა!

– ახავაია, ამ მხეცების ბუნაგში ანგელოსი გამოერია და მასაც მოუსწრაფეს სიცოცხლე.

– კოჩია რომ არა ჩანს, ქვაკაცის უმცროსი ვაჟი? სად არის ნეტავი? მაგიც თეთრი ყორანივითაა ამ წყეულთა ჯილაგში...

– ახავაია, შენი ცოდვა ფათულია. რა მზეთუნახავი უნდა შეჭამოს მიწამ.

– ეჰ, რა არის ადამიანის ცხოვრება? რისთვის ვიკლავთ ხოლმე თავს, რისთვის ვჭამთ ერთმანეთს? რომ მიწამ შეგვჭამოს ბოლოს?..

– უბედური. უბედური, გეგონება, აი – ესაა წამოდგება და დაგელაპარაკებაო.

– ღმერთო, შენ მიშველე, ფუი ეშმაკს, მომეჩვენა თითქოს...

– მეც, მეც მომეჩვენა, რომ...

– დალახვროს წმინდა გიორგიმ მზაკვარი და ავი სული. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა!

– ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო მარიამ, შენ დამიფარე!

– ხალხნო, ეს რა ამბავია? რა ხდება?

ჩოჩქოლი მატულობს. ხალხი კუბოს აწყდება. მაგრამ გამრიგებები ფხიზლობენ. კუბოსთან აღარ უშვებენ ზედმეტად ცნობისმოყვარეებს.

ომარი სად არის? ომარი რას შვრება?

ომარი ხანდახან გამოჩნდება ხოლმე ეზოში და ისე გაივლ-გამოივლის, თითქოს თითისწვერზე შემდგარი ეპარება ვიღაცას თუ რაღაცასო. შავ ჩოხა-ახალუსშია გამოწყობილი, ფეხებზეც შავი აზიურები აცვია, შავტარიანი სატევარი ჰკიდია ქამარზე. თავშიშველაა – დანარჩენებივით შავი თავსაფარით არა აქვს წაკრული შუბლი. ორივე ხელი სატევრის ტარზე დაუწყვია და ოდნავ თავდახრილი, გაყინული სახით მცირე ხანს დადგება ფანჩატურის ახლოს. წამიერად შავ, ბასრ თვალებს გამოანათებს წარბქვეშიდან და მერე ისევ ეზოში იწყებს უთავბოლო ბორიალს, თითქოს თითისწვერებზე შემდგარი ეპარება ვიღაცას თუ რაღაცასო.

სახეში არ უყურებს სამიძმარზე მისულს, ოდნავ თავგადახრილს, თვალები სადღაც, სივრცისთვის მიუშტერებია, და ჩუმაღ,

უხმოდ უსმენს მოსამძიმრეს. მერე მარჯვენა ხელს დამუშტავს, მკერდში ჩაირტყამს და „ახავაიო“, ჩაიდულუნებს...

და ისევ ისე იწყებს ბოლთის ცემას.

* * *

„...შუალამე გადასული იყო, როცა ომარმა ერთხელ კიდევ თვალი გადაავლო ხვალისთვის სამზადისს.

უხმაუროდ საქმიანობდნენ ქალები, სიჩუმე იდგა, მოჟამული, ცივი სიჩუმე. ომარის დანახვაზე უფრო ჩახარეს თავები, უფრო სწრაფად ამოძრავდნენ ხელები.

ომარმა საჭირო განკარგულება გასცა მშვიდი, წყნარი ხმით და გარეთ გავიდა. მერე ღინჯი, მსუბუქი ნაბიჯით შეუყვია ოდის უკანა კიბეს. უცებ გული შეუქანდა; წამით თვალთ დაუბნელდა და მოაჯირს დაეყრდნო მარჯვენა ხელით, მცირე ხანს ასე იდგა თავდახრილი და თითქმის უსუნთქველი. მერე ღრმად ამოიოხრა, „ტიალი სიბერე!“ – გაიფიქრა დანანებით და უფრო ნელა, ფრთხილი ნაბიჯით აათავა საფეხურები.

დარბაზში თავი მოუყრია ლოლუებს: ომარის ვაჟებს, აქ არის ომარის უფროსი დაც – ქვრივი და უშვილო მაკა – მამისეულ სახლს დაბრუნებული და ძმისშვილების გამზრდელი. ომარის ძმისწულები, ბიძაშვილები, ახლობლები, სისხლით ნათესავები. სხედან და რაღაც უჩვეულო, საშინელის მოლოდინში ხმა გაუკმენდიათ, გარინდულან.

ამ მიჩუმებულ-მიყუჩებული ხალხის დანახვაზე ომარს კვლავ ირიბმა ღიმილმა შეურხნია ტუჩები, მერე სახედასხეპილი, მოქუფრული, ტახტისკენ გაემართა. შიშით და რიდით გააყოლეს თვალი ამ მორჩილი ტანის, წელწვრილ, თხელ მოხუცს, რომელსაც ჭაბუკივით მსუბუქად, მკვირცხლად მიჰქონდა ჩოხაში კონტად გამოკვალთული სხეული.

ომარი ტახტზე ჩამოჯდა და თავისი განუყრელი ქარვის კრი-ალოსნის მარცვლას შეუდგა ნელ-ნელა. იგი არავის არ უყურებდა პირდაპირ და მაინც ყველას ეგონა, რომ სწორედ მისთვის

მიეჩერებინა მოხუცს თავისი გამხვრეტი მზერა და უნებურად იმშუშნებოდნენ, თვალებს ძირს, იატაკისკენ სრიდნენ.

— მაშ ასე, ჩემო კეთილნო, — დაიწყო ომარმა მშვიდი, წყნარი ხმით: — როგორც ხედავთ, ჯერ გაუგონარი, არნახული შეურაცხყოფა მოგვაყენეს ჩვენ: ლოლუებს, გუშინდელი ჩვენი ყმების შვილებმა, — ომარი თავის კრიალოსანივით მარცვლავდა სიტყვებს და ასე ეგონათ დარბაზში მყოფთ, სიტყვები კი არა — ყინულის ნატეხები ცვიოდა მის წვრილ, თხელ ტუჩებს: — როგორც მოგესხენებათ, ეს მარტო ჩემი, პირადი შეურაცხყოფა არაა, — ომარმა დამცინავად მოჭუტა თვალი, — ჩვენი ძველი, დაუწერელი კანონებით შინა გამცემი, მოღალატე ორმაგად უფრო ღირსია სასჯელის, ვინმე გარეშე მტერი. მე სხვას რას ვერჩი, ვაჟო? მტერი იმის მტერია, რომ მტრობა გიყოს, მაგრამ, ვაგლახ, რომ ჩემს უბეში გამიზრდია გველის წიწილა, გვარისა და ოჯახის შემარცხენელი და თავლაფისდამსხმელი. ჰოდა, ომარ ლოლუა, ცხადია, არ აპირებს შეუნდოს დანაშაული ვინც არ უნდა იყოს იგი, მით უფრო შინაურს არ აპატიებს ღალატს და შურს იძიებს, ისე იძიებს შურს, რომ აქ, ჩვენს კუთხეში დიდხანს არ დაავიწყდეთ, დიდხანს დაამახსოვრდეთ ეს ამბავი.

ომარი გაჩუმდა. ახლა მხოლოდ კრიალოსნის მარცვლის ხმა თუ არღვევდა სამარისებურ სიჩუმეს, დარბაზში რომ დასადგურებულიყო.

ომარი წარბებს ქვემოდან უყურებდა ენაჩავარდნილ და სახედაძაბულ საკრებულოს.

ბოლოს ღუმილი დაარღვია ომარის უფროსმა დამ — მაღალმა, ხმელმა დიაცმა. შეკავებული მღელვარებისაგან ოდნავ აწეული ხმით ძმას მიმართა:

— რას აპირებ, ომარ? რა გადავიწყვეტია?

ომარმა აუჩქარებლად, დინჯად გადამარცვლა კრიალოსანი. მერე ტუჩებზე დათაფლული ღიმილი აისახა, დას ქვემ-ქვემ გახედა და ალერსიანად ჰკითხა:

— ველარ გავიგონე, რა მითხარი, ჩემო დაია?

ქალი არ შეეპუა, თვალი თვალში გაუყარა ძმას:

— ხომ უნდა გავიგოთ ბოლოს და ბოლოს, ომარ, რა ხდება ამ სახლში?

ომარი ზეზე წამოიჭრა, კრიალოსანი მუცში მოიმწყვდია. მყის ჩამოირეცხა პირიდან ხელოვნური, ყალბი ღიმილი. თვალები ავად დააბრიალა:

– იმედი მაქვს, ისე მოიქცევით ყველანი, როგორც საჭიროა, როგორც საქმეს მოუხდება, როგორც საქმე მოითხოვს. დანარჩენი კი, დანარჩენი ჩემზე იყოს. მე დამანებეთ, მე მომანდეთ!

არავის გაუცია ხმა, ყველამ – ომარის უფროსმა დამაც, თავი დახარა მორჩილების ნიშნად.

* * *

...„კაშკაშა მთვარე დაურიდებლად იჭყიტება ღია სარკმელში და ძილს უფროთხოვს ომარს, შამფურზე წამოგებულებით რომ ტრიალებს ლოგინში.

„მთვარე არ მაძინებს ტიალი!“

მხარი იცვალა. ახლა მთვარის შუქი სახეზე არ სცემს და შვებით მოითქვა სული. აწი დამეძინებო, გაიფიქრა და თვალები მაგრად დახუჭა. ახლა მაფშალიას¹ სტვენამ მოსტაცა სმენა. უნებურად ყური მიუგდო.

სულის სიღრმიდან ამოჰქონდა მაფშალიას უნახესი და უფაქიხესი ბეგრები, თითქოს წვეთ-წვეთად იცლებოდა გული სისხლისაგან. რაზე მოსთქვამდა ასე გულმწარედ ომარის ეზოს მაფშალია? ვის მისტიროდა ასე მდულარედ – გულის მიჯნურს... თუ?

იწვა ომარი, უსმენდა ბულბულს და უცბად კურცხალი მოწყდა თვალს – ლოყაზე ჩამოუგორდა. შეკრთა, ეუცნაურა. ცერა თითით მოიშორა ცრემლის წვეთი და აღმაცერად გაიხედა სარკმლისკენ: მთვარელა იყო ამ წამიერი სისუსტის მოწმე.“

* * *

...მზის სხივებს ფეხზე ამდგარი შეეგება ომარი. დარბაზში მარტო მამაკაცებს მოეყარათ თავი – თვრამეტი წლის კონიასაც აუკრძალეს აქ შემოსვლა.

1 ბულბული

ომარი ტახტზე ჩამოვდა და, ჩვეულებისამებრ, კრიალოსანი გადამარცვლა. ერთხანს სახედაბლვერილი, მოწკურული თვალებით უჭკერეტდა ფერწასულ ლოლუებს, მისთვის მზერის გასწორება რომ ვერ მოეხერხებინათ.

დარბაზის შუაგულში დაბალ, ნოსგადაფარებულ ტახტზე ოქროსფერი, შუშისსახურავიანი კუბო იდგა.

ომარი დუმდა. დუმდნენ ლოლუებიც. ბოლოს ომარმა შეწყვიტა კრიალოსნის მარცვლა და უფროს ვაჟს ბაგრატს თვალით ანიშნა რაღაც, იგი მყისვე გავიდა ოთახიდან. მას დაუყოვნებლივ მიყვა მომდევნო ორი ძმა.

ფანჯრები ღია იყო, დილის გრილი ნიავი არხევდა ფარდებს და მაინც ეჩვენებოდათ, რომ ოთახში შეხუთული, მძიმე ჰაერი იდგა. სუნთქვა უჭირდა სუყველას და... იპარავდნენ სუნთქვას.

კარის ჭრიალის ხმა ისე გაისმა, თითქოს ანაზღად ყურის ძირთან თოფი დაცალესო. ყველანი შეტორტმანდნენ, მერე თვალები კარს მიაწყვიტეს.

ძმებს დარბაზში შემოჰყავდათ თეთრსამოსიანი თმებგაშლილი ფათულია. თვალდახრილი, გაფითრებული ქალიშვილი ნელა მოაბიჯებდა, მის სიარულში, სახეზე აშკარად იხატებოდა შინაგანი სიამაყე და ქედმოუხრელობა; სული, რომელიც შეიძლება მოდრიკო, მაგრამ გათელვას ძე-ხორციელი ვერ შეძლებს. ესაა ის ძალა, რითაც ადამიანი ადამიანია და რითაც განსხვავდება იგი დანარჩენი სულიერისაგან.

ეს ცხადად ამოიკითხა ყველამ ქალიშვილის სახეზე და თითქოს მაცოცხლებელმა სიომ დაიქროლაო, წამით გაუნათდათ სახე, წელში გაიმართნენ.

ომარი ზეიჯრა, თვალები გადაავლო შეკრებილთ... ამ მზერამ, მტაცებლის ბასრმა მზერამ კვლავ მონურად წაახრევეინა ქედი წამით აღზევებულ და ფრთაგაშლილ სულს.

– ჩააწვინეთ! – მოსჭრა ომარმა მოკლედ და ნახტომისთვის გამზადებული ფოცხვერივით შეიმართა.

ანაზღად კარი ყურთამდე მოიღო. ზღურბლზე სახეარეული, თმააწეწილი, თვალანთებული ომარის უმცროსი ვაჟი – კონია გამოჩნდა.

მოულოდნელობისგან წამით ომარიც დაიბნა. კოჩია წყლიდან ამოყვანილი თევზივით ალებდა პირს. ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა და ხმა აღარ ამოსდიოდა ხორხიდან. ბოლოს ახალუხის საკინძი ჩაიწყვიტა, თითქოს იგი უშლიდა ხელს ლაპარაკს: მერე ბიჯი წინ წადგა.

– მამავ... ბატონო, აპატიე ფათულიას... ნუღარ იზამ ამას...
– შელალადა მუდართით სავსე, ჩახრინწული ხმით და მამის წინ, მუხლებზე დაეცა. გაისმა გულამომჯდარი, ყრუ ქვითინი. ტიროდა იატაკზე დამხობილი კოჩია და მხრები უცახცახებდა.

აქამდე ქანდაკადქცეული ომარი შეირხა, დანარჩენებიც თითქოს ომარის მოძრაობას ელოდნენო, შეტოკდნენ.

ომარს წვრილი თვალები უფრო დაუვიწროვდა, პირგამეხებულს ყბა მოეღრიცა...

– მომაშორეთ, თავიდან მომაშორეთ ეს ქალაჩუნა დიაცო! – დაისისინა უსაშველო ზიზლით და ჩექმის ჭვინტი გაჰკრა ძირს დამხობილ შვილს.

რამდენიმე ლოლუა, ერთდროულად მივარდა ყმაწვილს, მაგრამ უეცრად თავად წამოიძარტა კოჩია. ცრემლით მორწყულ სახეზე საშიშრად დაიკვესეს მამისეულმა თვალებმა, სატევარზე გაივლო ხელი ყმაწვილმა:

– ომარ ლოლუა... შენ მამა კი არა... მართლა ქვაკაცი ყოფილხარ. შემირცხვენია შენი კაცობა!

მოქუფრულ ცაზე თითქოს მეხი გავარდაო. უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, თითოეულს საკუთარი გულის ცემა ესმოდა, ყველას მზერა ომარ ლოლუას მიეჯაჭვა. საშინელების მოლოდინში სული განაბეს, სუნთქვა შეწყვიტეს.

წამით ბოროტად გაიელვეს ომარის თვალებმა, წამით სატევარზე აფათურდა მისი თითები. მერე... საზარელი, გულისწამლები, სულისშემძვრელი სიცილი გაისმა, და ამ სიცილმა საწამლავივით დაუარა ყველას ძარღვებში და სისხლი გაეყინათ, გული გაუჩერდათ...

– ლლაპი, საცოდავი ლლაპი... – გამოსცრა მერე კბილებში და უცებვე შეწყვიტა სიცილი: – მომაშორეთ!

ძმები კოჩიას მისცვივდნენ და ციმციმ გაიყვანეს დარბაზიდან. მერე ოთახში შემობრუნებულ უფროს ვაჟს ომარმა ფათულიაზე თვალით ანიშნა.

აქეთ-იქიდან ამოუდგნენ ლოლუები გაშეშებულ ფათულიას, სახ-
ვზე მიტკლისფერი რომ დასდებოდა.

უცებ ფათულიამ ხელით ჩამოიშორა ძმები, წელში გასწორდა:
– მე თვითონ! – თქვა და თავაწეულმა გასწია კუბოსკენ.

* * *

...ხალხი სულ უფრო და უფრო მატულობს. მოდიან სხვადასხვა
სოფლებიდან წინასწარ გაფრთხილებული ახლობლები, ნათესავეები,
მოყვრები. მოდიან უბრალოდ ცნობისმოყვარენი.

ოდის უკან, ვაშლებისა და მსხლების ძირში გაჭიმულა
ვეებერთელა სეფა. ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინება იქეთ, და
ისევ უკან ბრუნდება.

ყველაფერი სრული წესრიგით ხდება. ათასი წლობით დადგენილი
ეს წეს-ჩვეულება სპექტაკლივით ყოველ დეტალშია გააზრებული.
ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული და გათვალისწინებულია.

...მოტირალების პროცესია შუკის დასაწყისშივე იწყებს კვილს
და პირის ხოკვას. ქალები წინ მიუძღვებიან მღუმარე მამაკაცებს.
კუბოს გარშემო შემოკრებილი ჭირისუფალნი ასევე კვილ-წი-
ვილით, თმების გლეჯითა და პირის ხოკვით ეგებებიან მოსულებს.
კუბოსთან მეორედ მოსვლაა თითქოს: გარეშე, უცხო თვალს შეი-
ძლება მოეჩვენოს, რომ აქ სრული ქაოსია, რომ ძალღიპატრონს
ვერ ცნობს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით არის ასე, სინამდვილეში
კი არავინ სცდება წესით და რიგით დადგენილ ზღვარს.

მერე ახლადმოსულნი უერთდებიან დანარჩენებს და იწყება
„თვალუა“, ანუ მოთქმა, დამხვდურნი და მოსულნი რიგრიგობით,
თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან მჭევრმეტყველებაში.

* * *

...მზე მაღლა იწევს. ჰაერი იხუთება, იზრდება ხალხის მოუს-
ვენრობაც.

და უცებ ეს ზღვა თავყრილობა ერთბაშად გაიჭვრინა: შუ-
კაში მხედარმა შემოაგელვა ცხენი. ჭიშკრის სიანხლოვეს შეაყენა,
ჩამოხტა, ლაგამი მესერზე მიაგდო და ფანჩატურისკენ გაეშურა.

ხალხმა მყისვე გაიწ-გამოიწია, თითქოს ვიღაცის ბრძანებით, ვზა დაუთმო თეთრ ჭაბუკს.

და ხალხს მოეჩვენა, კაცი კი არა — ორი თვალი, ორი დიდი, ელვარე ვარსკვლავი მოდიოდა ცოცხალი ადამიანების დერეფანში. ის იყო ფანჩატურს დაუახლოვდა და ჭაბუკის წინ მიწის მგელივით აღიმართა ომარ ლოლუა.

ორმა წყვილმა თვალმა დასხიპა ერთმანეთი.

— მე შენ სალამოსთვის დაგიბარე, ვაჟო! — გამოსცრა კბილებში ომარმა და თვალებით გაბურღა ჭაბუკი.

— მაგრამ მე ახლა მოვედი, ომარ ბატონო, და უკან მხოლოდ სიკვდილი გამაბრუნებს! — მოსჭრა ვაჟმა ერთბაშად. ტანშემართულს, მასაც სატყვერის ტარისთვის ჩაუვლია ხელი და მარჯვენა ფეხი ოდნავ წინ წაუდგამს მზადყოფნის ნიშნად.

ჯერ არ გაჩენილა ძე-ხორციელი ომარის მზერისათვის რომ გაეძლოს. ეს ბიჭი კი, რძე რომ არ შეშრობია ტურნებზე, ასე უშიშრად, გამომწვევად დგას და თვალებში უყურებს თამამად!

თითქოს ნირი ეცვალა ომარს და თუმცა წამით, მაგრამ მაინც დახარა მზერა.

— შენ მართლა ბედისწერას აუტანიხარ, ვაჟო! — დაისისინა ბოლოს ომარმა და ცალი თვალი წაჭუტა.

— რას ვაქნევ ბედისწერას! ერთხელ ვიბადებით და ერთხელ კვდებით.

— ჰმ! შენ თურმე ვაჟკაცობაზე დებ მართლა თავს, მალიას ბიჭო. ვაჟკაცები კი — არ იპარავენ სხვის საუნჯეს!

— მონადირე მიპარვით იტაცებს ლომის ბოკვერს. მე ასე გამიგონია ძველებისგან.

— გველის წიწილო! როგორ ბედავ? — ეს ომარის უფროსი ვაჟია. ვაჟები შეუძნეველად ამოსდგომიან მამას გვერდში. ისე აბრიალებენ თვალებს, ლამისაა ნაკუწ-ნაკუწ დაჭრან, დაგლიჯონ, დაფლითონ ეს თავხედი ბიჭი, ასე უტიფრად, ასე უტეხად რომ უსწორებს თვალს ომარ ლოლუას!

— მამავ ბატონო!...

ომარმა სწრაფად გადახედა შვილს... და ენაზე იკბინა ბაგრატი-მა. გაჩუმდა. თავი დახარა.

ომარი ბონდოს მიუბრუნდა ისევ:

– მე ქალიშვილი მომიკვდა, ვაჟო. და იგი ისე დავიტირე, როგორც ჩვენი წესი და რიგი მოითხოვს. რა გაეწყობა, თუ გინდა... წაილე შენი მიცვალებული. მე ნებას გაძლევ. ოღონდ მიფრთხილდი: დღეიდან არსად შემომეყაროთ! – და ომარი განზე გადაგა, გზა მისცა ჭაბუკს. ერთბაშად საერთო ოხვრა აღმოხდა ხალხს და მერე ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

კუბოს გარშემო შემოკრებილ ქალებს თითქოს ალაღმა დაქროლაო, კუთხეში ზრიალით მიიყუვნენ. ბონდო კუბოს მივარდა, წამით, მხოლოდ წამით გაიყინა ადგილზე და თუმცა უკვე ყველაფერი იცოდა კონიასგან, მაინც თავზარდაცემული იდგა და არ იძროდა. მერე გონს მოეგო, კუბოს სწრაფად ახადა შუშის სახურავი, ფრთხილად, სათუთად დაწვდა ქალიშვილს და მკლავებზე გადაიწვინა.

მერე კვლავ გაიარა ორად გაყოფილი ხალხის მწკრივი და შუკაში გავიდა.

რამდენიმე ხელმა ცხენის აღვირი მიაწოდა, ვიღაცა უნავირს მოეჭვიდა...

მერე... ხუთი თუ ექვსი მხედარი მიყვა უკან და მათ შორის იყო ფათულაის უმცროსი ძმა – კონია ლოლუა.

* * *

ბროწეულის ტოტები გადმოზნექილან მესერზე. პირდახლე-ჩილი ბროწეულები თითქოს მზით გავსილან.

ასტამურმა ხარბად ჩაკბიხა ნაყოფი. ეამა მომჟავო-მოტკბო გემო, ხელახლა ჩაასო ალმასა კბილები.

სადავემიშვებული ცხენი ჭიშკართან შედგა და დაიფრუტუნა. ასტამურმა გულამოჭმული ბროწეულის კანი ზურგს უკან მოისროლა, მერე პირი მოიწმინდა ხელის გულით და მათრახის ტარით შეალო ჭიშკარი.

გვიანი შემოდგომის გადაწვერილი მზე კრიალა, ლურჯ ცაზე თითქოს დაზარებით, ზარმაცად იზმორება.

მყუდრო და ჩუმი დღეა, ფოთლებიც უხმაუროდ ცვივიან ხეთა ტოტებს. სამზადიდან ამომავალი გამჭირვალე, მქრქალი კვამლი

კლაკენით მიიწევს ლურჯი ცისაკენ. სიმინდის ყანიდან, სადაც ახლა გადასხებილი ღეროები ჩარიგებულან, ძროხის ბლავილი მოისმის. მას საწყალობელი ზმუილით ესიტყვება უზარმაზარ მწვანე ეზოში ბაწრით დაბმული ბოჩოლა. სადღაც ახლოს კრუხი ქოთქოთებს, მამლები ხანგამოშვებით ესიტყვებიან ერთმიმეორეს მაღალ ხმაზე.

ასტამური გალურსული იყო მცირე ხანს. საოცარი, უჩვეულო სიამე ჟრჟოლვით უვლიდა ტანში. შემოდგომის ეს დაღლილი მზე, ძირს ფარფატით დაცვენილი ქარვისიფერი ფოთლები და ფერმიძქრალი, გადაყვითლებული მოლი რაღაც უხილავ, უცნაურ ზმანებას აგონებდა.

და ერთბაშად გული შეეკუმშა იმ გამოუთქმელი სინანულით, რასაც წელთა სვლა შეუმჩნევლად ტოვებს ადამიანის სულში. და ეს გარინდება ჰგავდა იმ უცხო ზმანებას, უცაბედად რომ მოეკლინებოდა ხოლმე ასტამურს დრო და დრო: თითქოს საოცრად თეთრ, თეთრ ქალს – ტყის მაფას გაუშლია თავისი ხშირი, ოქროსფერი თმა და იდუმალი, ცბიერი ღიმილით ჩქარ-ჩქარა ბუტბუტებს რაღაც შელოცვებს და... აღარ არის ხსნა და საშველი ამ შემოდგომის ბალახივით ყვითელი და სურნელოვანი, აბრეშუმივით რბილი და ფაფუკი თმის ტევრისაგან. ეს რაღაც ჯადოთილისმაა, გაუგებარი, აუხსნელი. ეს ჩვენება თუ ზმანება უეცრად, მოულოდნელად გაახეებს, დაატყვევებს ხოლმე ასტამურს. და ეს ტყვეობა ისე საამო და ტკბილია, მთელი სხეული ისეთი მსუბუქია, ვით იმ სამზადიდან ამომავალი ცისფერი კვამლი, რომელიც მალე შეუერთდება უსასრულო ცის ლაჟვარდს.

ასტამური გამოერკვა – ომარის მეჯინიბე ბაჯა გვასალია მორბოდა მისკენ.

ასტამური ცხენიდან ჩამოხტა, სადავე ბაჯას მიუგდო დაუდევრად: – ცოლი რომ გაგქცევია, შე თავმკვდარო, რას შერები ახლა? – უთხრა მისალმების ნაცვლად ასტამურმა, თან ქამარ-ხანჯალი გაისწორა, ბეჭები შეაქანა.

ჩაფსკვნილმა, ტანდაბალმა და ბანჯგვლიანმა ბაჯამ მუჭი აიფარა პირზე და ჩაიხითხითა, აქაოდა, რა ხუმარა ბრძანდები ბა-

ტონო, უფრო კი თავისი დაჭიანებული, გაფუჭებული კბილების დაფარვას შეეცადა.

„ოჩოკოჩია ეს ოჯახქორი, ნამდვილი ოჩოკოჩი“, – გაურბინა ასტამურს თავში და წამით წარმოიდგინა, როგორ ეხვეოდა და ჰკოცნიდა ბაჯა თავის შოლტივით მოქნილ, ლამაზ ცოლს.

– რა გაცინებს, შე უპატრონო? ამ დილით ინგურს გაღმა ვნახე – შენი ცოლი მებორნე გვაჯის მიყვებოდა ხელგაყრილი. ჩემი თვალთ ვნახე-მეთქი, არ გჯერა?

კვლავ მუჭი აიფარა ბაჯამ პირზე.

– ხი, ხი, ხი, იმან იკითხოს პატონსქუა, ვისაც არც გასაქცევი ჰყავს და არც გაქცეული...

– აჰ, რაო? რა თქვი? – ასტამური წამით შეჩერდა, მერე თავი უკან გადაიგდო და ახარხარდა. – რა თქვი, ბიჭო? ახავაი შენ ჩემო თავო. კაკალ გულში არ მომარტყა კაცო? ხა, ხა, ხა...

ბაჯაც იცინოდა მორიდებით, ხმადაბლა, პირზე მუჭაფარებული.

– შენ გაიხარე, ბაჯა. რა გულიანად მაცინე! – ასტამურმა მხარზე დაჰკრა ხელი: – ისე, ჩემო ბაჯა, დამიჯერე, გასაქცევად გამზადებულის ყოლას უყოლობა სჯობია. თუძცა...

წამით იყუჩა, თვალი გაუშტერდა: – თუძცა სულ ერთია. ერთი ფასი აქვს ყველას, – მოსჭრა ანაზდად და თვალთ ანიშნა ოდისკენ: – აქაა?

– კი, აქ ბრძანდება, პატონსქუა.

– რა გუნებაზეა თუ იცი?

– ვერაფერს გეტყვი, პატონსქუა. ბუხარში ცეცხლის დანთება ბრძანა. იქაა, თავის ოთახში.

– ჰო, კარგი, ჩემო ბაჯა, შენს ლამაზ ცოლს გაფიცებ, ცხენს კარგად მიმიხედე. აბა, ჰე, შენ იცი.

ასტამურმა თავისებური, მოხდენილი რხევით გაიარა ეზო და ოდის უკანა კიბეს შეუყვა. უცებ გაახსენდა ის მთვარიანი ღამე, დაზაფრულმა ცხენი რომ შემოაგდო ამ ეზოში...

„ფუი, დასწყევლა ღმერთმა. რა მალრიალებდა, კაცო? ბონდ-ოსთანა ბიჭი ბარე ორი თავადიშვილი არ მეგულემა ჩვენს მხარეში. ერთი გვანჯი რომაა ანჩაბაძე, იმიტო სჯობია ბონდო მალიას! დალახვროს ეშმაკმა“...

ომარი მოგუზგუზე ბუხარს მისჯდომოდა და თავის განუყრელ, ქარვის კრიალოსანს მარცვლავდა. ურთიერთი კითხვა-მოკითხვის შემდეგ ასტამურმა მეორე „კველა“¹ მოიჩოჩა ბუხართან და ომარის ნებართვით, მის გვერდით ჩამოჯდა.

– სადა ხარ, ვაჟო, დაკარგული? ახალ მთვარესავით რომ გამოჩნდები ხოლმე ხანდახან... – ომარი მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა ლაპარაკის დროს. მთელი მისი სახე, თვალები – კი უძრავად გაყინულიყვნენ. „ვერრა გუნებაზე. უნდა ვიმარჯვო ახლა“, – გაიფიქრა ასტამურმა.

– ეჰ, რა ვიცი, ბიძია ბატონო. ხან რა საქმე გამოტყვრება უცაბედად და ხან რა. ვერ მოვიცალე, ანდაზის არ იყოს, დედაბერს შვიდი სოფლის დარდი აწუხებდა, მისი დარდი კი არავის ჰქონდაო, ისეა ჩემი საქმეც.

– არ ჰგავხარ ბედისგან დაჩაგრულს, – ჩაელიმა ომარს ისე, რომ ცეცხლისთვის თვალი არ მოუცილებია.

– ეჰ, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, ნათქვამია, ბიძია ბატონო.

– რა გაგჭირვებია ასეთი, შე კაცო? ახლო-მახლო თუ ლამაზი ქალი იყო, მგონია არ დაგიტოვებია... იქნებ მოგრჩა ვინმე, ა? იმის დარდი თუ გაწუხებს? – ისევ ჩუმად ჩაილიმა ომარმა.

– არც ისეა საქმე, ბიძია ბატონო. ნათქვამია, როგორც ქუხს, ისე როდი წვიმსო. ნიკოიას ცოლს ვინცხა ბენია რომ მიუწევს, ნიკოია ხატზე დაიფიცავს: ღმერთი, ხატი, რჯული ჩემი თვალით ვნახე, ასტამურა იყოო. ეჰ, სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობნებია თურმე და ეგაა.

ომარმა უხმოდ ჩაიცინა, ცერად გამოხედა ძმისშვილს:

– შენ რომ ყური გიგდოს კაცმა, მამა აბრამის ბატკანი ეგონები. რას ელოდები, არ მოგბეზრდა ასე ყიალი? როდის უნდა მოეკიდო ოჯახს, ვაჟო?

– ცოლის შერთვას კაი საფანელი უნდა, ბიძია ბატონო. მე ჩემი გახრეკილი, ცარიელ-ტარიელი თავის და ერთი ცხენის მეტი არა მამადია რა. ესეც არ იყოს, ჯერხნობით მიჩვენია – ქალი სახელად სხვისი იყოს და სახრავად ჩემი, ვიდრე პირიქით.

1 კველა – სამფეხა სკამი

– შენ ენაზე ჭალი არ მოგედება, ასტამურ ჩემო.

„მგონია, ცოტა გამოუკეთდა გუნება... აბა, ჰე, ასტამურ, გაუტეი“...

– მამაჩემმა ეგლა დამიტოვა მემკვიდრეობად და ამასაც შეველიო? რალა დამრჩება?

– რატომ? ვისაც ენა აქვს, ყოფაც იმას ავქსო, ნათქვამია.

– ენისგან აშენებული კაცი ჯერ არ მინახავს მე, ბიძია ბატონო, დაქცეული კი – რამდენიც გნებავს. ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი – აქლემი ისე არ დავარდებო, ვირის საპალნე კიდევ ვერ აიკიდოსო... ჩვენი ბაგრატიის ამბავი გავიგე, გამიხარდა. ანჩაბადის ქალს ძან აქებენ, ლამაზი და სათნო ქალიშვილიაო.

– ვნახოთ. ამბობენ მასე. ყველა ქალიშვილი, სანამ გათხოვდება, ანგელოზიაო, ეგეც გაგეგონება ალბათ ასეთ მეანდაზე კაცს.

– ეგეც მართალი ნათქვამია, ბიძია ბატონო. მარა, არა მგონია ანჩაბადის ქალს ეხებოდეს ეს ანდაზა. ისე, რაც მართალია მართალია, ფათუღიამ ყველას გვაჯობა, ლოლუებს. ისეთი ბიჭი ჰყავს თურმე...

ასტამურს სიტყვა შუაზე გაუწყდა. ფერი ეცვალა. განრისხებული ომარი სახეში მიშტერებოდა ნირწამხდარ ასტამურს.

– ბიძია ბატონო, ღმერთმანი... მე... მე მეგონა... – აბლუკუნდა ასტამური და ჭირის ოფლით დაეცვარა შუბლი. თვალები აუხამხამდა.

– კარი გაიხურე!

ძლივს აითრია წელი ასტამურმა. კარისკენ წალასლასდა საქციელ-წამხდარი.

– მეორეჯერ აღარ ვნახო აქ, ფეხშემოდგმული! – დაადევნა ომარმა ძმისშვილს და გამეტებით მომუჭა კრიალოსანი ხელში.

* * *

– რას ჩავიქინდრია თავი, ასტამურ? რა მოგივიდა, ბიჭო?

– შენა ხარ? – ასტამურმა თავი ასწია და უსიცოცხლო, ჩაფერფლილი თვალები მიაპყრო ახალ ჩოხა-ახალუხში გამოწყებილ და ცხენზე ამხედრებულ ბიძაშვილს, რომელიც ფიქრში წასულ ასტამურს უცებ შეეჩეხა შუკის მოსახვევში.

– ჰო, რა მოგსვლია-მეთქი? რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის?

– ეჰ, ხომ გაგიგონია, ენამ რა მიყო და თავში კაკუნო.

- დაიწყო ახლა ანდაზები...
- მართლა გეუბნები. კბილები იმისთვის აქვს კაცს, რომ როცა ენა სისულელის თქმას დააპირებს, კბილებმა დროზე მიძეგონ.
- ვერ მეტყვი, რა მოხდა?
- რა უნდა მომსვლოდა უარესი... – უცებ გაცეცხლდა ასტამური, – მამაშენმა, ჩემმა ბიძამ, ბატონმა ომარმა გამომადლო სახლიდან. სამუდამოდ ამომაკვეთინა ფეხი თქვენი ოჯახიდან. გაიგე ახლა, რაც მომსვლია?
- რას ლაპარაკობ, ბიჭო? – შეწუხდა ბაგრატი, ახლოს მიიწია ბიძაშვილთან: – რისთვის, რატომ, რა დააშავე?
- დავაშავე? არ იცი მამაშენის ხუშტურების ამბავი? გამიწყრა ღმერთი და ფათულია ვახსენე. გაგიჟდა, გადაირია. სულ ცეცხლი ჰყარა პირიდან. აქ მეორედ ფენშემოდგმული არ გნახო. რა მრჯიდა, რა მეწეოდა ენაზე, გეკითხები მე შენ? მარა წერა რომ აგიტანს კაცს და სამგლე გოჭივით ატყდები...
- ეგ როგორ ჰქენი, ბიჭო? როგორ ახსენე იმ უნამუსოს სახელი მამაჩემთან?
- უნამუსო? ვინაა უნამუსო?– უცებ იფეთქა ასტამურმა და გაანჩნლებულმა ახლოს მიიწია ბაგრატთან: – ფათულიაა უნამუსო? ისემც თქვენ შეგარცხვინათ ღმერთმა და თქვენი ნამუსიც! უნამუსო, ჰმ!
- ასტამურ!
- ასტამური ძქვია მე და ლოლუა ვარ გვარად, არ დაგავიწყდეთ ორთავეს – მამა-შვილს!
- ასტამურ, რა მოგივიდა, ბიჭო...
- გაყინებული ასტამური უცებ მოეშვა, მხრები ჩამოუცვივდა, თავი ჩაჰკიდა.
- წავედი ახლა მე. გულზე ვარ გახეთქილი და... თავი გამანებეთ.

* * *

ჭერისათვის მიებჯინა თვალები და არაფერზე არ ფიქრობდა, სისხლის ზანტ მიმოქცევასლა შეიგრძნობდა მთელ სხეულში და სისხლის ამ ჩქამს მიუგდებდა მხოლოდ ყურს.

იწვა შეურხველად აივნის სკამლოგინზე, სიგრილეში. ღია კარიდან ახალგაზრდა ქალის – ომარის რძლის ხმა მოისმოდა, ქალი აკვანს არწევდა და რალაცას ელულუნებოდა პატარას.

ომარს ნელ-ნელა მოეხუჭა თვალი.

...ღარბაზიდან ფათულია გამოვიდა უცებ, თეთრი კაბა აცვია, გრძელი, ოთხად დაწნული ნაწნავები თითქმის კოჭებამდე სცემს. სკამლოგინზე ჩამოუვცდა მამას. თვალები უციმციმებს, თავი ოდნავ გვერდზე გადაუხრია – ასე იცის ომარმაც თავის გადახრა, და შეკავებული ღიმილით შეჰყურებს მამას.

– რისთვის მიხმე, მამიკო? (ომარის შვილებში ერთადერთი ფათულიაა, ვისაც შეუძლია ასე მიმართოს ომარს).

ომარმა თვალები მოიფშვინტა, კინალამ ჩამეძინაო, გაიფიქრა და უცებ ვეღარ მოისაზრა, რას ეკითხებოდა ქალიშვილი. „რისთვის დაუუბახე? ჰოო...“ მოაგონდა, გვერდი მოინაცვლა.

– ჩონგური გამოიტანე და დაუკარი რამე.

– დავუკრა?

– ჰო. მიძღერე რამე. დიდი ხანია არ მომისმენია შენთვის, მომენატრა შენი სიმღერა.

– იცი რა, მამიკო! გიმღერებ, თუკი... – ფათულიას ისევ ისე უცინის თვალები, თავს აქეთ-იქით ატრიალებს წარამარა და ნაწნავებიც რიტმულად ერხევა ყოველ მოძრაობაზე. ქალიშვილის მალაღლი, თეთრი ყელი რომელიღაც ყვავილის ყლორტს აგონებს ომარს.

– თუ კი... რაო? თქვი ბარემ, ალბათ სანაცვლოდ რამეს მოხვ. ფათულია, ამდენ ხანს თავს რომ იკავებდა, უცებ გულიანად აკისკისდა:

– როგორ მიმიხვდი, მამიკო?

ომარმა ოდნავ გაიღიმა.

– დიდი მისახვედრია სწორედ. სახეზე გახატია ყველაფერი. რას მოხვო სანაცვლოდ, თქვი ბარემ! („ნამეტანი გაჩეჩებულნი მყავს ეს ბავშვი. არ ვარგა, მაგრამ რომ არ გამომდის სხვანაირად? ყველაზე პატარა რომაა, ნაბოლარა, და დედით ობოლი, იმიტომ თუ დამჯაბნა ასე“...).

– „მიმინოზე“ ერთხელ სეირნობის ნება მომეცი რა, მამიკო!

– სულ ეგაა?.. მომიცია ნებართვა. ერთხელ კი არა, რამდენჯერაც გინდა.

– ვაიმე, რა კარგია! – ფათულიამ ხელი ხელს შემოჰკრა, უცებ მივარდა და ლოყაზე აკოცა.

– ჰო, კაი, კაი გეყოფა. წადი და გამოიტანე ჩონგური! – განგებ შეიკრა წარბი ომარმა.

– ახლავე, მამიკო! – ფათულია გატრიალდა. წამი და ისევ წინ დაუჯდა მამას, ხელში ჩონგურმომარჯვებული.

– რა ვიმღერო, მამიკო?

– რაც შენ გინდა. ჩემთვის სულ ერთია. – ომარმა მუთაქა გაისწორა, გულზე ხელები დაიკრიფა, თვალები მიღულა და მოსასმენად მოემზადა.

ფათულიამ ნელა ააწყო სიმები, თავისი ჩამოქნილი, გრძელი თითები დაუსვა ლარებს და წამით გაინაბა. მერე... ყელი მოიღერა თავისებურად, და...

„ასე ჩონგური ქოფთქუათ, სქან დო ჩქიმი გაჭირება... ჰოუ ნანა, დიდა ვოი ნანა, დიდა ვოი, ნანა“...¹

სევდიანად ლულუნებს ჩონგური, სევდა ჩამდგარა ქალიშვილის თვალებშიც, სულის სიღრმიდან წამოსულა ეს უსაშველო, უნაპირო სევდა, გულს ტკბილ-მწარედ რომ წურავს.

„ვოი ნანა, დიდა ვოი ნანა“...

თითქოს მარტვილის ფრესკა ჩამოსულა კედლიდან... მისი არამიწიერი სილამაზის სახეზე, ბუღემურა თვალებში ჩატბორებულა, ჩაგუბებულა ის უსაშველო ნაღველი – გაჩენის დღიდან რომ თან დაყვება ადამიანს; აი, საცაა გაარღვევს იგი წამწამებს და წკვარწკვარით დაედინება ლოყებზე.

„ვოი ნანა“...

დაფლეთილ-დაღველფილი გულის მოთქმაა ეს სიმღერა. უსაშველო წუხილია იმ წარსულ, დაუბრუნებელ დღეებზე, ენგურის ტალღებივით რომ ჩაიარეს და თან გაიყოლეს რამდენი განცდა, რამდენი ფიქრი და ოცნება, ის ზღაპრული, საოცარი ბედნიერების მოლოდინი, გულს რომ გითრთოლებდა ოდესღაც, სულს რომ ავივსებდა ტკბილი ზმანებით;

– უბედური ჩქიმი დუღსუ, ირ სიავე ჩქიმდა მურსუ, ჰოუ ნანა,

¹ „ახლა ჩონგური ვთქვათ, შენი და ჩემი გაჭირება...“

დიდა ვოი ნანა, დიდა ვოი ნანა...¹

ფათულიას სახეზე კაემანი ერთბაშად თითქოს ხელშესახები გახდა. და ანაზღეულად იმ სათუთ, ყვავილის ნაზ ღეროს რაღაც შავი ჩრდილი თუ ლანდი წაეპარა... საცაა, ხელს წაატანს... გადაამტვრევს.

– კმარა. გეყოფა!

წამოვარდა ომარი. გულს ბაგა-ბუგი გააქვს. დაუოკებელი ზაფრა აცანცანებს სხეულს.

თვალეებზე მოისვა ხელი.

„დალახვროს ემმაკმა! ჩამძინებია“. მერე უცნაურად დაბეჭილი, მოთენთილი ტანი შეარხია, წელში გაიმართა. აივანზე გაიარგამოიარა. ღია კარებში თვალი ჰკიდა: ქალს არტახები გაუხსნია და ჩუმი რუდუნებით ამოჰყავს ბავშვი აკვნიდან. გახარებული ბაღლი ჭყლოპინებს, პაწაწა ხელებს ასავსავებს, ხითხითებს.

ომარი ისევ სკამლოგინზე დაეშვა, მცირე ხანს იჯდა ასე გაუნძრევლად, მერე მიწვა ისევ, მუთაქაზე მიდო თავი და ჭერს მიაშტერდა. აივნის კუთხეში, მალლა მერცხალს ბუდე მიუშენებია. ბუდიდან პაწია ბარტყებს ამოუყვიათ თავები და საწყალობლად ჭყლოპინებენ. დედა და მამა მერცხალი წარამარა გარბი-გამორბიან, საზრდოს უზიდავენ პატარებს.

ომარი დაკვირვებით მიაჩერდა ბუდეს. თითქოს პირველად ახლა შეამჩნია იგი.

„დაილოცოს ბუნების ძალა! რამ მისცა ამ უგუნურ ფრინველებს ამდენი მოხერხება და გამჭრიახობა, ამდენი თავდადება! საოცარია!“.

უცებ ერთი გულთეთრა ბარტყი, ალბათ ყველაზე მსუენავი და ცელქი, ზომასე მეტად გადმოიხარა ბუდიდან და ტყვიასავით წამოვიდა ძირს.

– ჰაიტ! – უნებურად წამოიძახა ომარმა და ფიცხლად წამოხტა.

– რა იყო, ბატონო მამა? – აივანზე ახალგაზრდა ქალი გამოსულიყო ბავშვით ხელში. ომარს თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, აირია წამით, მერე უმაღ ხელით ანიშნა რძალს:

– აი, ბარტყი გადმოვარდა...

– უი, საცოდავი...

¹ უბედურო ჩემო თავო, ყველა სიავე შენზე მოდის...

უსუსური, უგინგლო ბარტყი უმწეოდ აღებდა პირს და უღონო ხმით წრიბინებდა.

ბავშვმა ორივე ხელი გაიშვირა ბარტყისკენ.

– არა, დედა გენაცვალოს, ცოდოა, შვილო! შეხედე, როგორ იკლავს თავს დედამისი, საწყალი...

და მართლაც დედა მერცხალი საშინელი ჭყვივლით ასკდებოდა კედლებს, გარეთ გაიჭრებოდა, მერე ისევ ბუდეს მივარდებოდა. მოფრინდა ბარტყების მამაც.

ომარი შეურხველად იდგა ერთ ხანს და თვალს არ აცილებდა ამ სურათს. მერე ერთბაშად გატრიალდა და ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯით გაიარა აივანი. კიბის თავთან შედგა.

– ბავა!.. – დაიძახა მოუთმენელი ხმით, – ბავა!

– ახლავე, ბატონო! – ბავა თავკუდმოგლეჯილი გამოიქცა აივნისკენ.

– სად ხარ ამდენ ხანს, შე მამაძაღლო! კიბე მოარბენინე ჩქარა. რას დაგიღია პირი, შე ბრიყვო, კიბე მოიტანე-მეთქი. ჩქარა, შე ლენჩო!

როცა ბავამ კიბე მოარბენინა, ომარმა უბრძანა აივანზე ამოეტანა იგი.

– ამოიტანე აქ! ნელა, შე უტვინო. მიაღვი კიბე აიმ კედელს. მასე. აიყვანე ახლა ბარტყი, ადი კიბეზე და ბუდეში ჩასვი. ნელა, შე დათვო! ფრთხილად, შე ლაყვევ! ჩამოეთრე, ახლა და წაილე კიბე.

ომარის რძალი გაშტერებული შესცქეროდა მამამთილს. და როცა ბავში გაჭირვეულდა, ჩიტი მინდაო, საჩქაროდ ოთახში შებრუნდა ისევ, გაოგნებულ-განცვიფრებული.

ომარს კი ზურგზე ხელები შემოეწყო და აივანზე ბოლთას სცემდა. დადიოდა და ელვასავით დაკლაკნილ რაღაც აზრს დაჟინებით ჩასციებოდა, მერე თითქოს მართლა იელვაო, რაღაც განათდა წამით გონებაში და...

წამსვე შეტრიალდა, ოთახში შევიდა. მცირე ხნის შემდეგ ისევ გამობრუნდა აივანზე. მხარზე ყაბალახი გადაეგდო, ხელში მათრახი ეჭირა. რძალს ოთახში შესძახა, ამბაკო ჩქოტუასთან მივლივარ, ამალამ აღარ დამელოდოთო და... კიბე მსუბუქად ჩაირბინა.

კოწიამ ერთხელ კიდევ გადაუსვა დახლს ტილო, მერე გარეთ გამოვიდა: „დალახვროს ეშმაკი წმიდა გიორგის ბოძალმა... რა ნავსი დღეა დღეს? ერთი მუშტარი რაა, ერთიც არ გამოჩენილა! აგერ მზე ლამის ჩავიდეს... ის ეშმაკის ფეხი უტუიაც სად დაიკარგა ამდენ ხანს“...

ისევ შებრუნებას აპირებდა ღუქანში და ამ დროს ცხენის ფეხის ხმა მოესმა. შეჩქვიფდა. შუბლზე ხელი მოიჩრდილა.

„ეუჰ. ომარ ლოლუა?.. რა ხანია ამ ქვაკაცს აქეთკენ არ გამოუვლია. დღეს რა მოგეუნება ნეტაი... დალახვროს წმინდა გიორგიმ. ეს მინდოდა ახლა მე?“.

კოწიამ ინსტინქტურად, უნაგარიშოდ გაისწორა ქამარ-ხანჯალი, თმაზე ხელი გადაისვა და... მხედარს აღტაცებული სახით შეეგება. უნაგირს მოეჭიდა, მაგრამ ომარს თითქოს არც შეუშინებია მისი ხელები, ცქვიტად ჩამოხტა ცხენიდან, მათრახის ტარით ყაბალახი გაისწორა თავზე, მერე კოწიას თავს ზემოთ რომელიღაც წერტილს მიასო თავისი ბასრი მზერა:

— ცივ წყალს ხომ არ დამალევენებ, ბიჭო? —

კოწია ოთხად მოიკაკვა, სახეზე ტკბილი ღიმილი აისახა:

— ღვინოს მოგართმევთ, ომარ ბატონო. საუკეთესო „ადესა“ მაქვს, ოქუმური. — შეფრფინვით შეაცქერდა სახეში ომარს.

„უჰ. გაწყდა თქვენი ჯიში და ჯილაგი! თითქოს ბუზი ვიყო, ზედაც არ მიყურებს, დაიცა. ამოვლენ თქვენს ოხტშიც, როცა იქნება!“ — ბოლმიანად გაიფიქრა კოწია, თვალეში კი უფრო მეტი მორჩილება და თვინიერება ჩაიყენა.

„ჰმ! ეს გველაძუა ცდილობს მაამოს, ნემსის ყუნწში გაძვრეს ლამის. გაწყდა თქვენი ჯილაგი, თქვე ტილისმტყაველებო“.

— მე ცივი წყალი მინდა, ბიჭო! — უთხრა და ეს დაახლოებით ისე ჟღერდა, თითქოს ეთქვას: „შე რეგვენო, ზურგი ხომ არ აგქავებია, რასაც გეუბნები, ის ჰქენიო“.

— კი ბატონო, ახლავე, ამ წუთას, წყაროს წყალს მოგართმევ. მანამდე, შიგნით ხომ არ ინებებ შემობრძანებას, სანამ წყალს მოვიტანდე, იქნებ დაიმუხლოთ, დაისვენოთ...

- აქ მირჩვენია, გარეთ. თუ ღმერთი გწამს, მალე ქენი. მეჩქარება.
- ახლავე, ამ წუთას, ბატონო...

კოწია ღუქანში შევარდა, სკამი გამოურბენინა ზვიად მოხუცს და ბჟოლის ძირას, ჩრდილში დაუდგა. მერე ისევ ღუქანში შებრუნდა, ღოქს დაავლო ხელი და უკანა კარით გარეთ გამოვიდა. გაიხედ-გამოიხედა:

„ბედი არ გინდა? რაღა ამ სულწაწყმედილმა ქვაკაცმა დამიფერნა? უტუთია, დამაცადე, აგახლერ ორივე ყურს: სად ქვესკნელში გდინარ ამდენ ხანს?“

ჩეროში მოთამაშე ბავშვებს მიწვდა მისი მზერა ანახდეულად და ერთბაშად... რაღაც აზრმა გაუელვა თავში. ტუჩები დაებრიცა, თვალებში ცბიერი ნაპერწკლები აუციმციმდა. სწრაფად, თითქმის სირბილით გასწია ბავშვებისკენ.

დანასობიას თამაშით გართულ ბალებს თავზე წაადგა.

– კოჩი ბიძი. მოდი აქ ჩემთან ერთ წუთს! – შემპარავი, ტკბილი ხმით დაუძახა თმაქოჩორა, ფეხშიშველა ბავშვს და ტუჩებზე კვლავ დათაფლული, ტკბილი ღიმილი აიხატა.

ექვსი-შვიდიოდე წლის ბიჭუნამ თავი ანება თამაშს, უხალისოდ, ზღაზვნით გამოსწია კოწიასაკენ და წინ დაუდგა:

– შენს გაზრდას, კოჩი ბიძია, წყაროდან წყალი ამომირბენინე და კამფეტებს მოგცემ.

– კამფეტებს მომცემ? – უნდობლად ახედა ბავშვმა თვალმინაბულ, ღიმილადქცეულ მეღუქნეს.

„უყურე ამ ეშმაკის ფეხს! როგორ აყვარყვარებს თვალებს? მამამისის შვილი არაა?“

– კი ბიძი. კი შვილო. ერთ მუჭა კამფეტს მოგცემ. ოღონდ ჩქარა გაიქეცი და ამომიცუნცულე წყალი.

ბავშვმა ღოქს წამოავლო ხელი და წყაროსკენ მოკურცხლა. კოწიამ თითები მიიტანა ტუჩებთან და წამით თვალგამტერებით გასცქეროდა ბიჭს.

მერე ომართან დაბრუნდა, წელში მოიხარა და ენად გაიკრიფა:

- ახლავე მოგართმევს წყაროს წყალს ბაღანა!
- ო, ისე რა ცხენი გყავთ, ბატონო ომარ. სულს არ დაიშურებს

კაცი ასეთი ცხენისათვის, ცხენი კი არა წმინდა გიორგის რაშია – მამის სული ნუ წამიწყდება..

იცის ცბიერმა მეღუქნემ, ყველაზე უფრო ცხენის ქებით რომ აამებს ამ ძველ ნააბრაგალ, გულზვიად თავადს და ამიტომაც ითაფლება, ენამზეობს დაუზარებლად.

„ვინ იცის, რამდენი ცოდვა ჩაგიდენია ამ ცხენით, შე სულ-წაწყმედილო“.

– ასეთი ცხენისათვის ეშმაკს მიყიდი სულს, ნამდვილად.

„გაყილული გაქ და ეგაა“.

ომარს ესიაძვინა ცხენის ქება, მაგრამ არ დაიმჩნია.

„ამ უჯიშომ რა იცის ცხენის ფასი, ჰმ!“

– რად გინდა, ბიჭო, შენ ასეთი ცხენი, რომც გაყავდეს?

– ეჰ, ომარ ბატონო, თუ ინატრებ, უნდა ინატრო ისეთი რამ, რომ ღირდეს ნატვრად.

– კოწია ბიძია. წყალი მოგიტანე.

– ო, გაიხარე, გაიხარდე ღიღი ბიჭი. წყალივით გიმატოს გამჩენმა. ბარემ შენ თვითონ მთავარი ამ უცხო... ბაბუას წყალი, აი ჭიქაც.

ბავშვმა ყოყმანით ჩამოართვა ჭიქა და წყლით გაავსო. წამსვე დაიორთქლა ჭიქა ცივი წყლისგან. მერე ბიჭმა დოქი მიწაზე დადგა და უხერხულად გაუწოდა ომარს. ლოყები ასწითლებოდა ცალკერძ სირბილისა და ცალკერძ მორცხვობისგან.

– მიდი ბიძია. ახლოს მიდი... ბაბუასთან.

კოწია შეფარულად, ჩუმად ნიშნს უგებდა ომარს, სახეზე კი მორჩილება, მოწიწება და ქედმაღლობა აღბეჭდვოდა.

ომარი სარგადაყლაპულივით იჯდა შეურხეველად და თვალი ვერ მოეწყვიტა ბიჭისთვის. ბავშვს ეოცა ამდენი ხნის დაყოვნება და თავი ასწია, ამ უცნაურ ბაბუას სახეში შეხედა.

ომარი შეტოკდა. მოჭრილი ტოტივით შექანდა. მერე ანაზღად გადმოიხარა, ყმაწვილს ნიკაპზე მოავლო ხელი.

– ვისი ხარ, ბაბუ, შენ? – ჩუმად, ძალიან ჩუმად ჰკითხა და ხმა ჩაეხრინწა უცებ, ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა.

– ბონდო მალიას ბიჭი გახლავართ, ბატონო! – ჩუმადვე ჩაიდულუნა ბიჭმა და უფრო ჩახარა თავი.

– ფათულიას შვილი ხარ, ბაბუ, შენ? – ჩურჩულებდა ხმაწართმეული ომარი და ხარბად ჩასცქეროდა ბავშვს, თითქოს ამ სახეზე ეძებდა ოდესღაც ძვირფასი სახის ნაკეთებს.

– რა გქვია, შვილო? – კვლავ ჩურჩულით ჰკითხა ომარმა ბავშვს და ახლა ორივე ხელი მოჰკიდა მკლავებზე, მუხლებშუა ჩაიყენა. დავიწყნოდა წყურვილიც, კოწიაც და ყველაფერი ამ ქვეყანაზე.

– კოჩია, ბატონო!

– კოჩია? ჰმ... – ჩაახველა თუ... ყრუდ ჩაიგმინა ომარმა ანაზღად.

მერე წამით თავი ჩაჰკიდა, ერთხანს იყო ასე მღუმარე და გაყურებული, მერე რაღაც გადაწყვეტილება გამოეხატა სახეზე, პირდაპირ შეხედა ბავშვს, ბავშვიც მონუსხულივით შესცქეროდა.

– გინდა ცხენით გაგასეირონო, ბაბუ? – ისევ ისე ჩურჩულით ჰკითხა. ბიჭმა გვერდზე გაიხედა, ცხენს შეავლო ქურდული მზერა და... უცებ თვალები აენტო, სახე გაუბრწყინდა:

– მინდა! – გარკვევით, მკაფიოდ გამოთქვა და ხარბი მზერა ვერ მოწყვიტა შავ რაშს, მოუთმენლად რომ აბაკუნებდა მიწაზე შხვართ ფეხებს.

ომარმა ერთბაშად აიხეზეურა, ჯიბეს გაიკრა ხელი, ჩახვიადანს ოქროს ფული ამოიღო და თვალდაჭყეტილ მელუქნეს ხელში შეაჩეჩა:

– ბავშვი თუ მოისაკლისონ, უთხარი... რომ ჩემთანაა! აბა, მოდი, ბაბუ! – ომარმა ბუმბულივით აიტაცა ბიჭი, წამი და...

გაოგნებული მელუქნე ცხენის თქარათქურის ხმამ გამოაფხიზლა: „ღმერთო დიდებულო! დაილოცოს შენი სახელი! ამ ქვაკაცსაც თურმე გული არ ჰქონია?“ – ჩაიბუტბუტა მერე თავისთვის და უანგარიშოდ ოქროს მონეტა ხელში მომუჭა:

„ეჰე ჰვია! აჯობე ამ ღმერთგამწყრალ ქვაკაცს, ბონდო მალიავ?“

და მელუქნემ თავისი გამჭოლი, ბასრი მზერა გააყოლა გზაზე ოთხახმით მიმქროლავ შავ რაშს, მოსახვევში რომ მალე გაუჩინარდა!

ქეძოდგომის დღე

მზეა და თბილა. ცაზე უწესრიგოდ გაფანტულან თეთრი, ფა-ფუკი ღრუბლები.

მორს ნისლის თხელი პირბადით შებურვილი, ლურჯი მთები აღმართულან გულზვიადად.

შექარვისფერებულან ფოთლები. დამსკდარან ბროწეულები. ჩაშავებულან ყურძნის მტევნები.

მსუყე შემოდგომის სუნით გაჟღენთილა ჰაერი.

კარგი დღეა... და ბაბუა ბეგლარიც დიდებულ გუნებაზეა. გული ისევ ისე ახალგაზრდული ხალისით უძგერს. თვალეშიც ჭაბუკური ნაპერწკლები უკიაფობს.

წელგამართული, მსუბუქად მიაბიჯებს პატარა ქალაქის წყნარ ქუჩებში.

მოკლე, თეთრი წვერი. გაწკეპილი ულვაშები და მოგრძო, უნაოჭო სახე, ხშირი, თეთრი თმა, ალაგ-ალაგ კვერცხის გულისფერი რომ გადაჰკრავს, შინდისფერ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და მხრებზე დარდიმანდულად მოგდებული ყაბალახით – იგი უნებურად იზიდავს გამვლელთა ყურადღებას. ჩერდებიან, თბილი ღიმილით აცილებენ მოხდენილ ბერიკაცს.

ბაბუა ბეგლარიც გრძნობს უცნობთა თუ ნაცნობთა ამ მზერას და... ბაღღური სიხარულის ღიმილს ულვაშებში მალავს.

ჰმ! ვინა თქვა, დაბერდაო ბეგლარ ლაშხია? როგორ შეიძლება ოდესმე დაბერდეს ეს ფირუზისფერი ცა, ეს იგავმიუწვდენელი სილამაზის მთები!..

– ბაბუა, ბაბუა!

პატარა ბიჭი დაუსხლტა დედას და მოხუცისკენ გამოექანა.

ბაბუა ბეგლარი შედგა. გაიღიმა და თეთრი, გასაოცრად თეთრი და საღი კბილები გამოაჩინა. მერე ხელში აიტაცა ბავშვი.

ცნობისმოყვარე თვალეებით შეჭფოფინებდა ბიჭუნა მოხუცს.

მერე წვერსა და ულვაშებზე მოუთათუნა თავისი ფუნჩულა ხელი, მკერდზე მიეხუტა და გაინაბა.

– თაზო!

ახალგაზრდა ქალი მოიჭრა ბავშვთან. მერე დარცხვენილი, მორიდებული ღიმილით ახედა ბაბუა ბეგლარს, თითქოს პატიებას თხოვდა უსიტყვოდ – შვილის საქციელის გამო.

– ალბათ თავის ბაბუას მიგამსგავსათ, ბატონო! – თქვა ქალმა.

– აბა, გეყოფა ახლა. ჩამოდი, ნუ შეაწუხებ უცხო ბაბუა.

– ამხელა ბაღში მყავს მეც! – შეჰკლიმა ბეგლარმა დედას. მერე თავის ფართო მკერდზე გატრუნულ ბავშვს თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი.

– მოდი, შვილო, გეყოფა!

– ალა, ალა, ალ მინდა, – შეიფრთქიალა ბავშვმა და უფრო ჩაეხუტა მოხუცს.

მერე... კიდევ დიდხანს ესმოდა ბაბუა ბეგლარს ბიჭუნას ტირილი.

– ბაბუასთან მინდა... ბაბუასთან მინდა...

მიდიოდა და გული წყდებოდა. რა შესანიშნავი ბავშვი იყო! რა ფართო, ჭკვიანი თვალები ჰქონდა!

თორნიკე მოაგონდა, თავისი შვილისშვილის შვილი. – იგიც გამოეტირა დიდ პაპას, აღარ უშვებდა. ძლივს გამოეპარა.

თორნიკე! ყველაზე მეტად უყვარს იგი ბაბუა ბეგლარს ამ ქვეყანაზე. თორნიკემ სიცოცხლის აზრი მისცა თითქოს მის სიბერეს, ყელთამდე აღავსო სიყვარულით, სიხარულით.

ხვალ დილით ადგება თუ არა, ჯერ ბაზარს მოივლის, მერე მაღაზიებსაც მიაკითხავს. რა უყიდოს თორნიკეს?

ბადას ბაღის სვანური ქუდი ახურავს, კოხტა, პატარა, მოლისფერი. ძალიან უხდება ბიჭს. თორნიკესაც იმდაგვარ ქუდს უყიდის, თუკი შეხვდა. კიდევ... ბურთი უყვარს პატარას, ბურთსაც უყიდის უსათუოდ. კიდევ... კამფეტებსაც.

ფიქრებში გართული მისდგომია კიდევ ნაცნობ ჭიშკარს. ქალაქში ჩამოსული ამ ოღა-სახლს გვერდს ვერ აუვლის. მით უფრო, რა ხანია არ ყოფილა აქ.

ჭიშკარი შეალო და ეზოში შევიდა. წამით შედგა. მიმოიხედა.

გამხმარი ფოთლებით მოფენილა ეზო-კარი. შესასვლელთან ნაგავი ყრია. ჭასთან პირქვე დამხობილ სათლს და კოკის ნამსხვრევებს ჰკიდა თვალი.

ფიქრიანად გადაისვა უღვაშზე ხელი. მერე მასპინძელოო, და-
ოდახა მჭახე ხმით.

ცოტაც და... მორბიან სტუმრის შესახვედრად ახალგაზრდა
კაცი – ქამრისა და პერანგის სწორებით და დაბალი, გამხდარი
ქალი ოდნავ შემცბარი სახით.

– მობრძანდით... მობრძანდით, ბაბუა ბეგლარ!

მშობლებს გაუსწრო შვიდიოდე წლის ბიჭმა, ბაბუა ბეგლართან
მიიბრძინა. მერე შორიანლოს შეჩერდა დამორცხვებული.

მოხუცმა ბავშვს ლოყაზე მოუცაცუნა ხელი. მერე გაღიმებ-
ულმა, ქოჩორი მოუჩიქა: – ოჰო, რამხელა ვაჟკაცი გაზრდილა!..
ამბობენ, დევი ყურით დაიჭირაო, მართალია, ბაბუ?

ბიჭმა თავი ჩაღუნა. გაწითლდა. ბაბუა ბეგლარი ახლა ცოლ-
ქმარს მიუბრუნდა. მიესალმა. მოიკითხა.

– ჩემს ეფროს რომ ვერ ვხედავ, სადაა?

– დედა... ვერ არის კარგად, ბაბუა ბეგლარ... აგერ უკვე სამი
თვეა წევს, – თქვა კაცმა და თვალები ძირს დაიღო.

– რას მეუბნები? მე არაფერი გამიგია.

– კი, ბატონო, სამ თვეზე მეტიცაა, რაც ლოგინად ჩავარდა. –
კვერი დაუკრა ქალმა ქმარს.

– რაო, რა სჭირს? რას ამბობენ ექიმები?

– მოხუცებულობა, ბატონო, მეტი რა უნდა სჭირდეს? იმ ხნის
ქალია...

– რატომ? არც ისე დიდი ხნისაა, – დაკვირვებით შეხედა ბა-
ბუა ბეგლარმა დიასახლისს, – მე აგერ ოთხმოცდა ხუთი წლისა
ვარ, ეფრო კი, ბევრად ჩემზე უმცროსია.

– თქვენ, ბატონო... – შესცინა ქალმა და სიტყვა არ დაასრულა.

– დიდი ნაჯაფარი ქალია საცოდავი. მანახეთ ერთი! – დარბა-
ზში შესვლისთანავე მოითხოვა სტუმარმა.

ცოლ-ქმარმა სწრაფად გადახედა ერთმანეთს.

– ჯერ დაისვენეთ ცოტა ხანი, ბატონო... ამ ბოლო დროს ბავშ-
ვივით ჭირვეული გახდა საცოდავი დედა... მთლად სრულ ჭკუაზე
ვერ არის საწყალი...

...ბაბუა ბეგლარი ხმაამოუღებლივ მიყვებოდა უკან დიასახლისს
და რატომღაც არ სიამოვნებდა მისი მეტისმეტად დაშაქრული ღი-

მილი, ხმა, კილო. გულში გაჩენილი ბეწვისოდენა ხინჯი თანდათან იზრდებოდა, ფართოვდებოდა.

გრძელი აივანი. აივნის ბოლოს-საკუჭნაო. დიასახლისი უცებ შედგა.

– „სპალნიაში“ არ ისურვა დედამ დაწოლა. მადლობა ღმერთს, ოთახები კი გვაქვს საკმარისი... მაგრამ აქ მირჩევნიაო, აიჩემა. ახირებული განდა საცოდავი ამ ბოლო ხანს, აკი გითხარით კიდეც... – სხაპასხუპით ლაპარაკობდა ქალი და ისევ ისე დათაფლული ღიმილით იღიმებოდა.

ბაბუა ბეგლარმა კვლავ შეათვალიერა იგი სწრაფი მზერით, თითქოს პირველად ხედავს: ლამაზი სახე აქვს და მაინც...

ახლა კაცს მიწვდა მოხუცის მზერა: ეს ახოვანი, ბრგე ვაჟკაცი, ხორბლისფერი, ხუჭუჭთმიანი, სახის მსხვილი ნაკვებით და მსხვილი, შავი თვალებით-ახლა რატომღაც მოხუხული ჩანს, დაპატარავებული და ცოლის ზურგს ეფარება თითქოს.

ბაბუა ბეგლარმა უღვაშზე გადაისვა ხელი ისევ ისე, რაღაც მოსაზრებამ თვალები აუნაპერწკლიანა.

მერე საკუჭნაოს კარი შეაღო და... ზღურბლზე შედგა.

სიბნელეში ჯერ ვერაფერი გაარჩია. მერე საწოლს მოჰკრა თვალი-კუთხეში მიდგმულს. წამით მოუხედა ცოლ-ქმარს. ქალმა თავსაფარი გაისწორა და განზე გაიხედა, ქმარმა ფეხი მოინაცვლა და თავი დახარა.

ძლივს შესამჩნევმა დამცინავმა ღიმილმა დაუგრიხა პირი ბაბუა ბეგლარს. ზურგი შეაქცია შემოსასვლელთან განირულ ცოლ-ქმარს, ავადმყოფთან მივიდა.

დალეული სახის მოხუცი ქალი მოკუნტული იწვა საეჭვო სისუფთავის ქვეშაგებელში. მძაფრი და უსიამოვნო სუნი, რომელიც შემოსვლისთანავე ეცა ბაბუა ბეგლარს, ახლა, ლოგინთან მიახლოებისას, უფრო საგრძნობი განდა.

– გამარჯობა ეფრო! რა მოგივიდა, შე გაჭირვებულო? – დაიხარა ბაბუა ბეგლარი და სახეში ჩააცქერდა ქალს თანაგრძნობითა და სიბრაღულით სავსე თვალებით.

მოხუცებულმა ქალმა შეხედა ბეგლარს და...

ანაზღად ნიკაპი აუკანკალდა, ჩავარდნილი პირი ააცმაცუნა. ამო-
ღამებულ, ჩაშრეტილ თვალებში ერთბაშად რალაც სხივი გაუკრთა.

— ეჰ, რა უნდა ვითხრა, აბა, ჩემო ბეგლარ. ვარ ასე, როგორც
მხელავ... — ამოთქვა ბოლოს სვენებ-სვენებით და უეცრად მის
ჩანავლებულ თვალებს ორი კურცხალი მოწყდა და სახის ღრმა
ნაოჭებში ჩაიმალა.

ბაბუა ბეგლარი შეტოკდა. გულმოკლულმა ხელში ხელი მოკი-
და ქალს, გაჩნინკული ძვლებილა იყო.

„ამ ერთ წელიწადში ასე რამ შეცვალა ეს საცოდავი!“ —
გაიფიქრა წუხილით.

— უნდა გამაგრდე, ეფრო, უნდა, გამაგრდე. სანამ სული გვიდ-
გია, უნდა ვიცოცხლოთ. გაეუმაგრდეთ ცხოვრებას. ანდა საიმისო
რა გჭირს, შე ქალო? ვეფხვივით შვილი გადგას თავზე, რძალი,
შვილიშვილები. რამ დაგაძაბუნა? რამ შეგაშინა ასე?

ეფრომ თავი დააქნია. გამოუთქმელი ტანჯვისა და მწუხარების
ნაოჭი შეიკრა მისი ბაგის გარშემო. თვალები დახუჭა. გაირინდა.

ბაბუა ბეგლარი წელში გაიმართა. თვალებით ძებნა დაუწყო
რალაცას და რაკი ვერ იპოვა, კარებში შემდგარ ცოლ-ქმარს
მკვახე ხმით მიუბრუნდა:

— სკამი!.. თუ შეიძლებოდეს...

— ბაბუა ბეგლარ... ეგება ჯობია „ზალაში“ წამობრძანდეთ აწი,
— გაუბედავად შეესიტყვა მას კაცი და ცოლს გადახედა.

— მართლა, წამობრძანდით, ბატონო, ზალაში, იქ მოისვენეთ... —
შეეშველა ქმარს ცოლი თავაზიანი ღიმილითა და შემპარავი ხმით.

— თუ შეიძლებოდეს... მამყოფეთ ამ ადამიანთან ცოტა ხანს. —
მკვეთრად ამომარცვლა ბაბუა ბეგლარმა და თავის კონტა, თეთრ
წვერზე ხელი ჩამოისვა (რაც ყოველთვის ბაბუა ბეგლარის გაგუ-
ლისების ნიშანი იყო!).

— როგორც გენებოთ, ბატონო...

ბაბუა ბეგლარმა სასთუმალთან ახლოს მისწია დიასახლისის
მიერ შემოტანილი სკამი და ჩამოჯდა.

— წადი ბეგლარ, წადი... ღიდი მადლობელი ვარ ნახვისთვის, —
ჩაიწურჩულა თვალდახუჭულმა ავადმყოფმა. ბეგლარმა არაფერი
უპასუხა.

ცოლ-ქმარი უხმოდ, უსიტყვოდ გაილაღა საკუჭნაოდან.

და... მარტონი რჩებიან მოხუცები ერთმანეთის პირისპირ. ქალი თითქოს თვლემს თუ... ბურანშია?

ბაბუა ბეგლარი ნაღვლიანად შესცქერის მის დამდნარ სახეს და... მწარე ფიქრები უკენწლავენ გულს.

რა არის ადამიანი! რა ქალი იყო ოდესღაც, თავის დროზე, ეს ძვალტყავად ქცეული, დაჩივებული დედაბერი!..

და დაგრაგნილი თოკივით ნელ-ნელა იშლება ერთი ადამიანის ცხოვრების ამბავი ბეგლარ ლაშხიას თვალწინ.

ადრე დაქვრივდა... ხელის მთხოვნელი ბევრი ჰყავდა, მაგრამ ქმრის სახელს არ უღალატა. კერა არ გააცვივა... დედაბოძად შეუდგა ოჯახს. ობლები ვაი-ვაგლახით დაზარდა. ნამუსიანად და წმინდად ატარა დედის და ქალის სახელი. სამი ვაჟი ომში დაეღუპა. ერთიღა შერჩა. იმათ დაბრუნებას ელოდა. დიდხანს ელოდა. ახლაც ელოდება. დარდმა და ნაღველმა გასტეხა და ადრე დააბერა.

ეს მრავალტანჯული ქალი სიცოცხლის უკანასკნელ მიჯნაზე უკეთესი ხვედრის ღირსი იყო.

ჰმ... ღირსი!

განა ღირსების მიხედვით მიეზღვება ხოლმე ყოველთვის ადამიანს?

მერედა, რატომ? რატომ უნდა იყოს ასე?

...ბაბუა ბეგლარს თავზე შემოუჭდვია ხელები. თვალნისლიანი შეჭყურებს ქალს, შორეულ ნათესავად რომ ერგება. იგი ისევ ისე თვალდახუჭული წევს და ხმას არ იღებს. თვლემს თუ...

უჩუმრად წამოდგა ბაბუა ბეგლარი. კარი ფრთხილად გამოიხურა. წამით შედგა და მერე...

დარბაზში დიასახლისის სახელდახელო სუფრა გაუწყვია. მოხუცი გასასვლელისკენ გაემართა. ცოლ-ქმარი წინ გადაუდგა:

– ბატონო, სულ ცოტა ხნით... მართალია, თქვენი საკადრისი არაფერი გვაქვს, მარა... ჩვენიანი ბრძანდებით და არ დაგვძრახავთ... ერთი ჭიქა ღვინო... მიირთვით... – ითაფლება დიასახლისი და თვალეში შესციცინებს მოხუცს. ბაბუა ბეგლარი ღუმს მზერადახრილი.

– დედიკო, ბებიასაც შევეუტან საჭმელს, კარგი? დღეს არაფერი უჭამია... – დაირხა ანაზღად აქამდე კუთხეში უჩუმრად მიყუ-
ყული ბავშვის ხმა.

ქალი შეკრთა. აიმრიხა, მერე თვალები დაუბრიალა შვილს:

– ხმა ჩაიწყვიტე! შენ რა იცი, როდის და რას ჭამს ბებია?
გაეთრიე ახლავე გარეთ!

...უხმოდ გატრიალდა ბაბუა ბეგლარი კარისკენ.

– ბაბუა ბეგლარ... ერთი ჭიქა მაინც მიირთვით, დაილოცეთ...

შედგა მოხუცი. ზიზლით სავსე მზერა მიაპყრო ცოლ-ქმარს;

– ღმერთმა თქვენც შეგარცხვინათ და თქვენი ღვინოც! – ფო-
ლადნარევი ხმით გამოკვეთა, წვერზე ჩამოისვა ხელის გული და...

შეყვითლებული ფოთლები შრიალით ცვივიან ძირს.

შემოდგომაა. მერე მოვა ზამთარიც. სავსებით გაშიშვლდებიან
ხეები, ტან-გადარცული შეხვდებიან დარსა თუ ავდარს, მერე...

დადგება გაზაფხული.

აღამიანის ცხოვრებაც ასევეა. ოღონდ... ამ ხესავით ხელმეორედ
არ აყვავდება მისი სიცოცხლის ტოტი.

ეფროს სახე მოეღანდა ბაბუა ბეგლარს ერთბაშად. მან თავისი
სიცოცხლის ტოტი შვილს გადასცა, სანაცვლოდ... რა მიიღო?

რად, რად მოიმკო სიკეთემ-ბოროტება? და მერე... ვისგან?

დაუჯერებელია. წარმოუდგენელია თითქოს და მაინც...

„რატომ მოხდა ასე?“ – ფიქრობს ბაბუა ბეგლარი.

„რატომ მოხდა ასე?“ – კითხულობენ ძირს შრიალით ჩა-
მოცვნილი ყვითელი ფოთლები.

„რატომ მოხდა ასე?“ – ჩივის დაბუა ჩიტი, შიშველ ტოტზე
შემომჯღადარი.

...და აღშფოთების გრძნობა ყურძნის მტევანივით ნელ-ნელა
წურავს ბერიკაცის გულს.

ჩვიძის ქალაქი

...ამ რამდენიმე ხნის წინ ჩეხოსლოვაკიიდან სტუმარი მყავდა. ჩემის აზრით, ყველაფერი რომ ვაჩვენე, რისი ჩვენებაც კი საჭიროდ ჩავთვალე, ბოლოს მთხოვა, თქვენს ეკლესიაში მინდა წირვას დავესწრო და თქვენი სახელგანთქმული საგალობლები მოვისმინო.

წავიყვანე, რასაკვირველია. უდროობის გამო წირვას იშვიათად ვესწრები ხოლმე. მაგრამ როცა ეკლესიაში სანთლებს ვანთებ, ასე მგონია, თითქოს ჩემი საკუთარი სული მიჭირავს ხელში ამ ანთებული სანთლის სახით-მეთქი! გასაოცარი შეგრძნებაა.

ჰოდა, ახლა ამ სტუმართან ერთად რომ ვუსმენდი საგალობლებს, უცებ სულის ფსკერიდან წამოიშალა ძველი, მივიწყებული განცდები... და ახშიანდნენ უფაქიზეს, უნაზეს ბგერებად. ვიგრძენი, ყელში ბურთივით მომაწვა რაღაცა. ნუთუ ესოდენ ღვთაებრივი ჰანგები ამ ცოდვილ დედამიწაზე შეიქმნა? მოკვდავმა ადამიანებმა ააჟღერეს ეს ზესთაზენური ბგერები?

...ის გრძნობა, რამაც მაშინ შემიპყრო, ენით უთქმელია. სულში თითქოს ჩქერალებად ძეღვრებოდა სინათლე. შენ, ადამიანი ხარ – უზენაესის სახე და ხატება, ამაღლებული, წმინდა, სპეტაკი. ცის უსაზღვროებასთან წილნაყარი, მის სიკეთესთან ნაზიარები, განწმენდილ-განსპეტაკებული ყოველგვარი ჭუჭყისგან, ბიწისგან, ბნელი და უკეთურისგან...

...ტაძრიდან რომ გამოვდიოდით, ჩემს სტუმარს ცრემლი ედგა თვალებში, სახე შთაგონებული გახდომოდა. ამაღლებულ ხასიათზე ვიყავი მეც და ირგვლივაც ყველაფერი ლამაზი და მშვენიერი მეჩვენებოდა. საკუთარი გულიც – სიყვარულითა და სიკეთით სავსე – თითქოს თასივით მეჭირა ხელში და მეშინოდა, ერთი წვეთიც არ გადმოღვრილიყო იქედან და ასე სათუთად მეტარებინა ბოლომდე.

სტუმარი სასტუმრომდე რომ მივაცილე, შინ არ მივბრუნებულვარ.

ჩემი მეუღლის საყვედურების მოსმენის თავი ახლა აღარ მქონდა. ნამდვილად: – არა და, სამი დღეა ონკანები მოშლილია და ხელოსანი ვერა და ვერ მოვიყვანე – რომ იტყვიან, სტუმარს

გადაყვევი, ჩემი თეას – ენაცვალოს მამამისის სიცოცხლე – მაგ-ნიტოფონის ჩხავილის ატანაც აღარ შემეძლო ახლა...

გადავწყვიტე ვაკის პარკში გამევილო – უფრო სწორად, პარკის იმ კუთხისკენ, სადაც პატარები და მათი ბებია-ბაბუები იყრიან ხოლმე თავს.

ეულივით, მარტოკა ჩამოვჯექი მერხზე და ვუყურებდი ბავშვების გართობა-თამაშობას. ადრეც, არაერთხელ მიპოვია აქ სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა. ბავშვების უმანკო თვალები, მათი ჟრიაბული, წკრიალა ხმები მუსიკაზე არანაკლებ მიაძებს ხოლმე გულს.

ახლაც ვიჯექი და თვალყურს ვადევნებდი ბავშვების თამაშს და ნელ-ნელა გული მეკსებოდა სინაზით, სიმშვიდით. მერე ავდექი და მივედი ერთ თმაგათეთრებულ ბებიასთან, რომელსაც პატარა ბიჭი არ ასვენებდა და კალთებს აგლეჯდა – „მაკატავე“ ბებო და „მაკატავო“ – ბებია კი, უარზე იყო: ეტყობა, ან ეხარებოდა, ანდა ველარ დგებოდა ფეხზე დაღლილობის გამო ვთხოვე, ბავშვს თუ შეიძლება, მე ჩავსვამ კარუსელში-მეთქი. მოხუცმა მადლიერებით საგსე მზერა მომაპყრო და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ნება დამართო. თავდაპირველად ცოტათი შემეშინდა, ვაი თუ უარი მითხრას-მეთქი. რა იცი: კაცია და გუნებაო. ესეც არ იყოს, ყველა ხომ არ არის სანდო, ვინც გიღიმის და გეთავაზება. მოკლედ, ჩავკიდე ხელი პატარა, ბუთხუზუნა ლაშიკოს და გავწიეთ კარუსელებისკენ. სანამ ჩავსხდებოდით, ერთი ალმაცერად შევათვალაიერე ჩემი თანამგზავრები და... ჩემისთანა მოდღლეზილ და შედარებით ახალგაზრდა ბაბუას ვერ ვკიდე თვალი, მაგრამ ეს გარემოება არაფრად ჩავაგდე, მაინც ბაბუის პოზიციიდან დავიჭირე თავი და...

მგონი, ბავშვობის მერე არც ვმჯდარვარ კარუსელში. რაც უფრო მეტ ხანს ვტრიალებდით მე და ჩემი პატარა ლაშიკო, მით უფრო იქეთ, შორს იჭრებოდა მოგონების სხივი. იმდენად გარემო და დეტალები კი არა – ბედნიერების შეგრძნების თვითგანცდა უფრო მახსენებდა თავს.

ამ სუთილდე წუთის განმავლობაში ჩემს სულში დატრიალდა ბავშვობისდროინდელი სურათების მთელი კალეიდოსკოპი. ქროლ-

ვის სიხარული, სულისშემტაცია, თავბრუდამხვევი. მოცინარე თვალები. სითბო. სიყვარული. სიცილ-კისკისი. ღმერთო ჩემო! რამხელა სიამეა სულში ჩაღვრილი. რა სუფთა და კრიალაა ცა, რა თვალწარმტაცია ირგვლივ ყველაფერი, როგორც ახალი წლის წინა ღამეს გაჩახჩახებული ნაძვის ხე! რატომ მაინცდამაინც ნაძვის ხე?

არ ვიცი. მოზღვავებულ მოგონებათა მთელ ამ ორომტრიალში ყველაზე მკვეთრად, ყველაზე ცხადად იკვეთება ახალი წლის სიხარული და... ქროლვის, დაუსრულებელი ქროლვის შეგრძნება...

და როცა ძირს მიწაზე დავდგი ფეხი, სიძარბოვით გითხრათ, აღარ მესიამოვნა წარსულიდან დღევანდლობაში დაბრუნება. აღარ მესიამოვნა კი არა, შინაგანად ავიწურე, გული შემეკუმშა. და...

ვიჯექი მერე და ნალველნარევი ღიმილით ვუთვალთვალეები ნიჩბებითა და ბარებით შეიარაღებულ ორ ბოხვერა ბიჭს /ერთი მათგანი „ჩემი“ ლაშიკო გახლდათ!/, დიდის გულმოდგინებით რომ აგებდნენ ქვიშის სახლებს, ხიდებს, გვირაბებს. ოჰ, რა მონდომება ეხატათ საყვარლად შუბლშეჭმუნულ სახეებზე, რა ქშენა-ქშუტუნით საქმიანობდნენ – ჩაცუცქულები! მერე ის იყო ღამაშვრალეებმა, მაგრამ საოცრად კმაყოფილებმა, განიზრახეს დაეთვალთვალთვალთ თავიანთი ნახელავი, რომ უეცრად: სად იყო და სად არა: გამოვარდა სახეჯორფლიანი, წითური, ცხვირპაჭუა, ონავართვალეება, ასე თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი – გამოქანდა, დაჰკრა ფეხი და სულ მიანგრ-მოანგრია ასეთი ჭაპანწყვეტით ნაგები „ქალაქი“. მერე კმაყოფილი ხითხითით წამით მოუხედა გაოგნებულ, სახტადქცეულ ბავშვებს, ნიშნისგებით გამოუყო ენა, რომელიც რატომღაც ძალიან გრძელი და ძალიან წითელი, სისხლისფრად ხასხასა წითელი მომეჩვენა და... ისევე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა.

– დაანგლია! – ისეთი გაოცებული სახით ამოიკენესა ლაშიკომ და თან ისე საწყალობლად გაბუმბა ტუჩები, რომ გული მომეწვა. ახლა ამ პატარებისთვის მათი ქვიშის ქალაქის დანგრევა ღამის ტოლფარდი იყო დიდების ამგვარივე ტრავედიასთან. ეს უსამართლობა და სისასტიკე გაუგებარი, წარმოუდგენელი და ამდენად, თავზარდამცემი გახლდათ ბავშვების გონებისთვის.

ხელში ავიტაცე სატირლად გამზადებული, ნიკაპაკანკალებული „ჩემი ლაშიკო“ – თან ჩემს თავზეც ბრაზი მომდიოდა, რომ ვერ მოვასწარი დამეშალა ონავარი ბიჭისთვის მისი უმგვანი საქციელი, ვერც დატუქსვა – გაფრთხილება შევიძელ. ლაშიკოს რომ დავუკოცნე ბუტკუცუნა ლოყები და ხელები, მერე მეორეს დავუყვავე, გაბუსხუნებული, შუბლშეკრული რომ იდგა და ვერაფრით ვერ აეხსნა, რაში და რატომ დასჭირდა იმ ვილაცას მათი ნაშრომ-ნალგაწის, მათი ოცნების ქალაქის დაქცევა.

– ნუ დარდობთ, ააგეთ ხელახლა ახალი ქალაქი და აწი ველ-არავინ გაბედავს დაგინგრიოთ იგი. ნუ გეშინიათ ნურაფრის! შეუდ-ექით საქმეს. მე აგერ, თქვენ ახლოს ვიქნები და გიყარაულებთ-მეთქი, – ვუთხარი პატარებს.

ცრემლიანი თვალებით ამომხედეს და ორთავემ თითქმის ერთ-დროულად შემომდიმა. ო, ეს ღიმილი! შეედრება განა რაიმე ამ ცისქვეშეთში ბავშვის უმანკო, ნათელ ღიმილს?

პატარები ისევ ჩაიკუნცხნენ და ხალისიანად შეუდგნენ სა-სახლეების, ხიდების, კოშკების, ტაძრების თუ გვირაბების „აგებას“.

ვიჯექი იქვე, ახლოს, და ძალაუნებურად გაფაციცებით ვუმზერდი მათ საქმიან ფუსფუსს.

ნელ-ნელა, მაგრამ ბეჯითად შენდებოდა დაქცეულის ადგილ-ზე ახალი „ქალაქი“, სადაც ამიერიდან ველარ უნდა შეეღწია სისასტიკის, სიხარბის, შურის, სიცრუის ბოროტ თესლს, სადაც სიძულვილის წილ იხარებდა მხოლოდ სიკეთის და სიყვარუ-ლის ყვავილები და მთელი ქალაქი იქცეოდა თვალწარმტაც ბალ-ნარად, ზღვა სიხარულისა და სიამის ალაგად, ახდენილ ოცნებათა თავშესაფრად. და რომელიც იარსებებს მანამ, სანამ არსებობენ ამ მშვენიერი ქვიშის „ქალაქის“ მშენებლები – პატარა გოგონები და ბიჭუნები, ანგარიშმიუცემლად, დაუძლეველი სურვილითა და ძალით რომ მიელტვიან სილამაზეს და სინათლეს.

უცებ „ჩემი“ ლაშიკო წამოდგა და ჩემსკენ წამობაჩუნდა. მწრაფლ შევეგებე, რა იყო, გენაცვალე? რამე ხომ არ გინდა-მეთქი, დავეკითხე.

– ბაბუა, კიდევ დაანგლევს ქალაქს ის... ის ბიჭი?

ღმერთო! ეს კრიალა, მოყავისფრო-მოთაფლისფერო თვალები...
ეს ანგელოზისებური მზერა... ეს სუნთქვა და სილბო...

ბავშვი ხელში ავიტაცე.

– ნუ გეშინია, გენაცვალე. ხომ გითხარი, აგერ თქვენს გვერდით
ვიქნები-მეთქი. ვერავინ ვერაფერს დაგიშავებთ... – რატომღაც
ჩუმაღ, ძალიან ჩუმაღ, თითქოს ჩურჩულით ვუთხარი. ლაშიკომ
კვლავ გამიღიმა უმანკო ღიმილით, მერე მოულოდნელად ორივე
ხელი კისერზე შემომხვია და... ჩამეხუტა.

დაარქვით ამას სენტიმენტალური გულჩვილობა – რაც გნე-
ბავთ ის დაარქვით, მაგრამ ყელში მომიჭირა რაღაცამ, თვალებზე
ცრემლი მომადგა და... წამიერი, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილება
მივიღე: „ეს ბავშვი მე უნდა მოვნათლო!.. თუ მონათლული არაა...
მე უნდა მოვნათლო, უსიკვდილოდ, ყოველ მიზეზგარეშე!“

და ელვისუსწრაფესი მზერა-ნატყორცნი ბებიამისისკენ, გოცე-
ბანარევი ღიმილით რომ გვიყურებს შორიდან ორთავეს – მე და
ლაშიკოს. ნეტაი, რა ხდებაო, კითხულობენ მოხუცებული ქალის
ოდნავმოჭუტული, ლიბრიანი თვალები.

მართლა – რა ხდება?..

მეც რომ არ ვიცე, ჩემო ძვირფასო ქალბატონო?

„ყზყნდაჲა“

კუბეში ორნი არიან.

ეს სიხალავათე თითქოს უფრო ინტიმურ, მყუდრო გარემოს
ქმნის. თუმცა... მატარებლით მგზავრობა ისედაც, თავისთავად გან-
გაწყობს ხოლმე ადამიანს განმარტოებისა და ფიქრისკენ.

ტანში რაღაცნაირი უცნაური მოუსვენრობა შევიდგება. სული
ფორიაქს და წრიალს იწყებს...

ისეთ სახეს იღებ, თითქოს გულდასმით უსმენ თანამგზავრს – სინამდვილეში კი – დაფანტული გონება ხან რას წარმოისახავს ფიქრით და ხან – რას!..

„როგორ დაბერდა კოკი“! – უცებ, მოულოდნელად-სინანულმა გაუკენწლა გული.

„რაო, ვითომ-შენ არა?.. შენ კოკიზე უარესად გამოიყურები!“ – წამსვე გაუტრიზავა საკუთარ თავს – ნიშნისგებითაც კი.

კოკი კი განაგრძობს... ჰო, მართლა? რას ენამწარობს ასეთი დამაჯავბული სახით და ჩამოშვებული ცხვირით?

თურმე...

რამდენი „ორლობის უნივერსიტეტები“ და „აკადემიები“ გახსნილი, ანუ რამდენი თვითმარქვია „აკადემიკოსი“ და „პროფესორი“ ჰყავს ამ ციციქნა ქვეყანას! თუნდაც პარტიებისა და არასამტავრობო ორგანიზაციების სახით! ანუ: რამდენი დიდების მანიით შეპყრობილი და დაცენტრილი მანიაკი დაიარება ამ დუნიაზე!

„აი მე და შენ – ნამდვილები ვართ!“ (ქვეტექსტში ასე იგულისხმება, ცხადია!) ისევე, როგორც, ნამდვილები იყვნენ ისინი, ვინც ჩვენ გვასწავლიდნენ (აბა, შეედარონ ახლანდელები – იმათ!.. ნურას უკაცრავად!)...

„ესენი-ჩვენთან ვერ მოვლენ. ვერა ბატონო! მთლად ჭიპზე რომ გასკდნენ! ჩვენი თაობა – სწორედაც რომ გამორჩეული იყო ყველაფერში: არ ჰგავდა ამათ, ამ შარახვეტია, უმაქნის „სწავლულებს“ – ჩვენი, ვითომდა ჭკუისკოლოფა პოლიტიკოსებივით – ყავარზე რომ აქვთ კუდი გადებული!“

„რა მერე“? – იქ, შიგნიდან თუმც ზანტად, დუნედ, მაინც ეპაექრება თანამოსაუბრეს მისი ყურებაცქვეტილი მეორე „მე“.

„რა მერე-მეთქი? ამ ჩიტირეკია პოლიტიკოსებს რომ თავი დაეანებოთ... ჩვენ, „ნამდვილებმა“ რა გავაკეთეთ, რა შევქმენით ისეთი, შთამომავლობას რომ დარჩება? ჰა? მოგკვდებით და... ჩვენთან ერთად დაიმარხება ჩვენი – შენი და ჩემი – მეცნიერება, ჩემო კოკი!.. ჩემო ძვირფასო კონსტანტინე!

დიახ. ასეა ეს, ბაბა! და-მოიკალი თუ გინდა თავი!

„ჩვენ პატიოსნად ვიცხოვრეთ!.. ვიღვაწეთ შეძლებისამებრ!.. ჩვენი ნიჭით და შრომით მივალწიეთ ყველაფერს“.

„ეუჰ!.. ვის რაში ჭირდება, კაცო, ახლა შენი პატიოსნება და შრომისმოყვარეობა?..

აი, მივდივართ მე და შენ თანაკლასელის და მეგობრის დაკრძალვაზე: ავთო არც აკადემიკოსი იყო, სხვათა შორის, და არც პროფესორი! არანაირი ტიტული არ გააჩნდა ამ ქვეყნად! თითქოს ერთი ჩვეულებრივი, უბრალო ბიჭი იყო და მაინც – არ იყო ჩვეულებრივი. პიროვნება გახლდათ იგი! დიახ. პიროვნება! ახლა, თუნდაც სიკვდილის შემდეგ, ვთქვათ გულახდილად და გულწრფელად: ჩვენს შორის ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე ნაკითხი, გულღია და ვაჟკაცური ბუნებისა-სწორედ ავთო იყო-გარეგნულადაც ყველასგან გამორჩეული!

ჯერ მარტო... როგორ ხატავდა!.. ან – რა ლექსებს წერდა – ოღონდ თავისთვის! დიახ. თავისთვის! მათ გამოქვეყნებაზე არასდროს უფიქრია: შენგან და ჩემგან განსხვავებით – პატივმოყვარეობის გრძნობა არ აწუნებდა და – იმიტომ! თავის გულის ჭიას ახარებდა მხოლოდ! ასე იყო ეს, ჩემო კოკი!

...ღვინო, ღუდუკი, ქალები!

მშობლიური რაიონის „მშობლიურმა სიბნელემ“ შთანთქა იგი. ანუ...

არ გაუმართლა ცხოვრებაში! ხელმოკლეობამ დაჩაგრა ძალიან. მოკლედ... არ მიეცა „ნიჭსა გზა ფართო!“

ასეა ეს, ჩემო ძამია!..

რამდენი ტალანტი ილუპებოდა ძველად და ილუპება ახლაც ასე – უპატრონოდ!

და აი, მოკვდა. გარდაიცვალა. სამუდამოდ გამოეთხოვა ამ წუთისოფელს. მაგრამ... ყველაზე ტრაგიკული მაინც ისაა, რომ... ღვინილობაში დაღია სული, დიახ – თავის მიწა-წყლიდან გამოძევებულმა!

ვეღარ გაუძლო მისმა გულმა ამდენ უბედურებას, ბატონო! ვეღარ აიტანა ამდენი სატკივარი და... გაშორდა ამ მუხთალ წუთისოფელს – გულგატეხილი, განადგურებული, შეურაცხყოფილ-დამცირებული, ადამიანურღირსებააყრილი, სულში ჩაფურთხებული...

ასეა, ჩემო ძამია... ყველა კი ვერ უძლებს ღირსების ჩაწინვლას, მეხთატეხას და ქარბორბალას.

აი, მე და შენ კი – თითქოს ვუძღვებთ – ჯერჯერობით! ვუძღვებთ... ოღონდ, კაცმა არ იცის – როდემდე? ან რისთვისაა საჭირო ეს გაძღვება?

ვის რაში ენაღვლება ჩვენი უბადრუკი არსებობა? თუმცა... არ გვაკლია არც ტიტული, არც რანგი!..

ღიას, ორი „ნამდვილი აკადემიკოსი და დოქტორი“ მივდივართ აგერ-მეთქი გასვენებაში, რათა მივუსამძიმროთ საკუთარი სახლ-კარიდან გამძევებულ ჭირისუფლებს – ოჯახის თავის დაკარგვა.

პატივი ხომ უნდა მივაგოთ მის ხსოვნას და... დავიტიროთ როგორც წესი და რიგია!.. მერე? მერე კი... დავივიწყოთ!.. ჰო, დავივიწყოთ სამუდამოდ!.. ანუ: დრო შთანთქავს მის და... ჩვენს სახელებს! ასეა ეს, ძამიკო!

ღიას. ხვალ ან ზეგ, ან მაზეგ – ჩემი და შენი ჯერიც დადგება-მეთქი ჩემო კოკი!

საპატიო ტიტულების და რეგალიების მიუხედავად – ჩვენც გაუუღვებით-მეთქი იმ გზას, საიდანაც... როგორც ვიცით – არავინ ბრუნდება!

ჩვენი „დამსახურების“ მიუხედავად-ჩვენც ჩაგვფლავენ-მეთქი მიწაში და დავგიტირებენ-ჩვეულებისამებრ. კი-ერთხანს ივიშიეშებენ და მერე – კარგად მეყოლე! ყველას დაავიწყდები – შენს ნაშიერებსაც კი! ასეთია თურმე ცხოვრებისეული რეალობა! ვერსად გაექცევი ამ კანონზომიერებას!..

ძე-ხორციელს არავის მოაგონდება-მეთქი – არც ჩვენი შრომა და ჯაფა, არც ჩვენი – გატეხილი ღამეები, წვალება, ოფლის ღვრა, ჭაპანწყვეტა, ნერვიულობა გამოცდების წინ, თუ... ცუდი ნიშნის მიღების შიში, და... კიდევ ბევრი რამ, რაც ცხოვრებაში თავს გადაგვხდა და რაც შენთვისაც და ჩემთვისაც ერთობ მნიშვნელოვანი და საგულისხმო რამ იყო, სხვებისთვის კი-როგორა ვთქვა? ჰო... „ლაგუაზიეს“ სიცარიელე, ანუ... მოკლედ-ბიშტი! ეგრეა და!.. რას იზამ?

...ეგებ ავთომ შენზე და ჩემზე უფრო ბედნიერად იცხოვრა... ტიტულების გარეშე? ჰა? ეგებ... უფრო რომანტიკულად? ან უფრო ნაღდი ცხოვრებით იცხოვრა? თუმცა... მაინც ყველაფერი ამაოა ყველაფერი ჩაუმწარდა ბოლოს!..

და საერთოდ – ვინ იცის, რა უფრო ნაღვლია ამ ცისქვეშეთში?
ისე... საბოლოო ჯამში ხომ – ყველაფერი – სულერთია!
ამაოება ამაოთა...

კი, ძამია-ასეა ეს! სუყველაფერი – ერთია ბოლოს.

ყველას, უკლებლივ ყველას, ტიტულიანს და უტიტულოს – ბო-
ლოს მიწა შეჭამს-მეთქი, ანუ... იმთავითვე, გაჩენისთანავე არყოფ-
ნის, არაფრობის მსხვერპლნი ვართ დიდიან-პატარიანად, ქალიან-
კაციანად, ანუ... ბედისწერას ზვარაკად შეწირულები განლაგართ
მიწყივ-დასაბამიდან-მეთქი!

ჰოდა, რა ესაქმება მარადისობასთან ყოველივე იმას, რასაც
ჩვენ... ცხოვრებას ვეძახით? თავის ორომბტრიალით?

არც არაფერი. სრულიად არაფერი!

მიწა ხარ და... მიწად მიიქცევი! მორჩა და გათავდა. ირიკავე,
რამდენიც გენებოს!

ფეხებსაც ვერ მოჭამ ძირში იმ გარდუვალობას – ყოველ
მიზეზგარეშე რომ გეწვევა და რომელიც... ერთ მშვენიერ თუ უბე-
ღურ ღღეს – ზვავით დაგატყდება თავზე. დაგატყდება უცილო-
ბლად. უეჭველად. ვით ...დაუპატიჟებელი სტუმარი! მაშ, რაზედ
ზვაობ, ქედმაღლო არარაობავ – ადამიანი რომ გქვია?

...დაგ-ღუგ, დაგ-ღუგ!

მატარებლის ბორბლების ყრუ ხმაურში ირევა მოძალებული
მღვრიე ფიქრები – უთაებლო, არეულ-დარეული, დაგლვეჯილ-
დაფლეთილი, უსაგნო, უნიადაგო... უაზრო...

უაზრო?!

დაიცა! რაზე იხდის ბოდიშს კოკი?

ჰოო... ღერეფანში უნდა თურმე გასვლა მცირე ხნით.

წადი, ძამია, წადი! ვინ გიშლის? ან... თუ გინდა – ნუ წაზვალ,
დარჩი! მაინც ყველაფერი სულერთია-მეთქი და ჰე!

ისე, ახლა ვილაცამ, უცხომ რომ შემოგვხედოს მე და შენ –
ძან თვითდაჯერებული სიფათები გვაქვს ალბათ ორთავს – მე
და ჩემმა ღმერთმა!.. ანუ... ძან სერიოზულ ყვეყნებად გამოვიყ-
ურებით... უთუოდ!.. არ უნდა ახლა ამას, ღმერთმანი, ბევრი ჟიჟინ-
ჭიჭინი!.. ჰი, ჰი, ჰი...

ვიდაც ქირქილებს იქ, შიგნით... დაუკითხავად... ქირქილებს
იქედნურად, ხელების ფშვნეუტით, მანჭვა-გრეხით...

„დასწყევლოს ღმერთმა — რა გუნებაზე ვარ?“

...მარტო რჩება. კუპის სიცარიელე და ბორბლების ხმაური
ნელ-ნელა, მაგრამ დაჟინებით, რიტმულად უჩაჩქუნებს თითქოს
თავში და ეს უხილავი, შეფარული დარტყმები თავის ანაბეჭდს
ტოვებს ტვინის უჯრედებში.

დაგ-ღუგ. დაგ-ღუგ...

ვინ მოთვლის, რამდენჯერ უმგზავრია ამ გზაზე!..

ახლა მშობლიურ ქალაქამდე თითქოს უსაშველოდ შორი
მანძილია...

იქ, ახლა...

უცხო ხალხი დათარეშობს: „სხვა ხალხის ისმის იქ ჟრიაში“.

ასეა. პოეტი ყოველთვის მართალია. იგი წინასწარ ჭვრეტს,
წინასწარ ხედავს ყოველივე იმას, რაც... ჩვენთვის, ჩვეულებრივი
ადამიანებისათვის — დაფარულია... უჩინარია...

თითქოს, სხვა განზომილებაში მყოფი, პოეტი მაინც მუდამ
ირეკლავს ყოფიერებას და მოსალოდნელ, განგებისეულ განჩინე-
ბას! ოღონდ... „სხვაგვარად“! არა ისე, როგორც ჩვენ, ჩვეულებრივი
მოკვდავნი!

ღიახ. იგი „სხვაგვარად“ განიცდის და აღიქვამს ამქვეყნიურს
და იმქვეყნიურსაც, სააქოსაც და... საიქიოსაც-მეთქი!

ეგრეა, ეს ბაბა, და... ვერაფერს იტყვი და... ვერც ვერაფერს
გააწყობ ბედისწერასთან-მეთქი!

არადა... იქ, მართლა ახლა სხვა ხალხი დაპარპაშობს! იქ, მი-
ტოვებული სახლ-კარია მამა-პაპათა, მიტოვებული საფლავებია
და... კიდევ ბევრი რამ, რაც ოდესღაც — გეძვირფასებოდა!

ოდესღაც?..

მაშ, ახლა... არა?

„აუხდენელ ფიქრს ვინ არ იგონებს, ძველ ოცნებებზე რომელი
არ სწუნს?“

რატომ აეკვიტა ახლა მაინცდამაინც გალაკტიონი?.. ავთოს
რომ უყვარდა ძალიან, იმიტომ ხომ არა?

ავთოს?..

რაო, შენ არ გიყვარდა?

ან... რას ნიშნავს – მიყვარდა?

ნუთუ სიყვარულიც წარმავალია, ძამიკო? იგიც ცვალებადია? დრო-ჟამის სრბოლას იგიც ვერ უძლებს?.. იგიც ცვლება? ძველდება – როგორც ტანისამოსი, რომელსაც თუმც სინანულით, მაგრამ მაინც იძრობ და ავლებ სანაგვეში, ანუ იმედებისა და ოცნებების სასაფლაოზე, თუ... სასაკლაოზე? მაგრამ... ეგ ხომ სულერთია ბოლოსდაბოლოს?

...უეცრად, უნებურად მოვარდნილ მოგონებათა ნიაღვარში – ცივად, უამურად, სახედაღმეჭით შემოგცქერის შენი წარსული – განვლილი წლები! ანუ ის, რაც მოგეზმანა, რაც მოგელანდა!

კი, ჩემო ძამია, მოგელანდა! სინამდვილეში კი – არც არაფერი ყოფილა-მეთქი, გესმის? არაფერი!

სიზმარივით ბუნდოვანი აჩრდილებილა დალასლასებენ შენი ხსოვნის დაფაზე. აჩრდილები. მეტი არაფერი! მეტი... არაფერი-მეთქი! თუმცა...

იმ არყოფილს რომ მაინც დროდადრო უჭვრიტინებ... შეფარულად? თვალებზე ხელებაფარებული, ჩუმ-ჩუმად, მალულად ხომ იჭყიტები თითებს შუა?

ვის, ან რას ეთამაშები კუკუდამალობანას პატარა ბავშვივით ჰა? შე ბეზრეკო?

თითქოს ხედავ და... ვერც ხედავ! თითქოს გაურბიხარ და... ვერც გაქცევიხარ. ერიდები და... ვერც გარიდებიხარ!

კი მაგრამ...

რისთვის! რატომ?

ვის ატყუებ? საკუთარ თავს თუ...

რაში გჭირდება ეს დახუჭობანა?

...კოკი კუპეში შემობრუნდა.

რამდენ ხანს იყო ნეტავ გასული? თუმცა... რაში გაინტერესებს ეს ახლა?.. და საერთოდ, რაში გენადვლება დროის სრბოლა? დრო-ჟამი ხომ ისედაც შენდა დაუკითხავად, უღმობლად მიედინება – მდინარესავით და... ველარ შეაჩერებ. ვერც დაეწევი – თუ გინდ გასკდი ჭიჭინაზე!

ისე, გამოტეხილად რომ ითქვას, ძველი მეგობრის და თანაკლასელის ნახვა აღრინდებურად აღარ გსიამოვნებს. ის კი არადა, გულისგულში – გაურბინარ კიდევ ზოგჯერ მასთან შეხვედრებს... ამ ბოლო დროს მაინც!..

ავთოს გარდაცვალება რომ არა...

– უჩა, იცი, ახლა ვისთან ვიყავი, ვინ ვნახე? – წაჭუტული თვალები. ემმაკური ღიმილი გაცრეცილ ტუჩებზე.

წამიერი პაუზის შემდეგ:

– ვერა. ვერ მიხვდები ვერასდობებით! თუ გინდა, ნიძლავს ჩამოვდივარ!

„ნეტაი, მოგცლია!.. სულ არ მაინტერესებს, ჩემო კოკი, ვინ ნახე!.. რაში მენადვლება?“ და მერე:

– ჰოო?.. – (გულგრილი, სასხვათაშორისო შორისდებული).

– თუ გახსოვს... თუმცა... რა არ გეხსოვება, კაცო, რას ვამბობ?.. კლარა მასწავლებელი ვნახე ახლა, ბიჭო! ჩვენი ქართულის მასწავლებელი!

– კლარა მასწავლებელი?! („ხომ არ მომესმა?!“).

– კი, კაცო. ამ მატარებლით მგზავრობს. ბოლო კუბეში. შემთხვევით გავიგე მეც... არ გინდა ნახო? ძან კია მოტეხილი... თუმცა... რა გასაკვირია?.. მაგი კი არა – ჩვენ დავბერდით აგერ! „კლარა მასწავლებელი?! ნუთუ?.. ცოცხალია?“

– გახსოვს, თითქმის ყველანი რომ ვიყავით მასზე შეყვარებული?.. ავთომ რამდენი ლექსი დაუწერა ჩუმად... გახსოვს?

კოკი კიდევ რაღაცას ლაპარაკობს, რაღაცეებს იხსენებს უცნაურად თვალაციმციმებული და... იღიმება, ფართოდ იღიმება სიხარულნარევი-ნადვლიანი ღიმილით.

აღარ უსმენს უკვე მეგობარს, არც ესიტყვება; გარინდებულ-გაყურებული ზის და... ველარ უმკლავდება ერთბაშად, მეწყერივით მოვარდნილ მოგონებებს...

...ქართულის ახალი მასწავლებელი ჩამოვიდა სენაკიდანო, – დაირხა ხმა მე-2 საშუალო სკოლაში.

ძალიან ახალგაზრდააო და ძალიან ლამაზი! მეექვსე-მეშვიდე კლასებში ასწავლიდეს იქნება ენასა და ლიტერატურასო...

...პირველი ნახვის ელდა!

კედელსაკრული, გაოგნებული შესცქერის დერეფანში მიმავალ მასწავლებელს, რომელსაც საკლასო ჟურნალი ისე უჭირავს ხელში, თითქოს ჩვილი ბავშვი ჩაუხუტებია მკერდშიო.

საქმიანი იერთო, ოდნავ შუბლშეკრულმა ჩაუარა კლარა მასწავლებელმა შესვენებაზე, დერეფანში ყოველთვის აჟრიაპულეზულ, ახლა კი – მის დანახვაზე უცებ გასუსულ მოსწავლეებს, პირი რომ ღიად დარჩენიათ და თვალები დაუჭყეციათ!

(კლარა მასწავლებელს, რასაკვირველია, მაშინ არ შეუძინევია 16 წლის, კუთხეში ატუზული, მზერადქცეული, გაწრიპული, ფერმკრთალი ყმაწვილი – სახე ერთიანად ფერიჭამიებით რომ ჰქონდა დაფარული...).

ჩაუარა და... რაღაცნაირი, უჩვეულო, სასიამოვნო სუნი დატოვა ირგვლივ – ალბათ უცხო სუნამოსი.

მერე... კაი ხნის მერე აღიქვა, რომ ყვითელფოთლებიანი, აბრეშუმის კაბა ეცვა, ოდნავ გულმოლიავებული. ტარისამოსი ისე შემოტმასნოდა, რომ ცხადად, აშკარად აჩენდა გათქვირული სხეულის ნაკვთებს!..

გონებაში რატომღაც სამუდამოდ ჩაებეჭდა აგრეთვე, თანაკლასელის და ახლო მეგობრის – ავთო გაბუნias გაბრწყინებული თვალები, მისი ფართო, კაშკაშა ღიმილი და... დაგუბებული ხმით ნათქვამი:

– ოოხ! რა მაგარი ვინმეა, ბიჭოო!

...კლარა მასწავლებელი მეცხრე კლასს არ ასწავლიდა. მეცხრემეათეკლასელი ბიჭები ყოველ შესვენებაზე ამიტომაც დერეფანში იყრიდნენ თავს, სამასწავლებლოსთან ახლოს, რომ ერთხელ კიდევ შეეველოთ თვალი ახალი მასწავლებლისთვის, თუმცა... არც ერთი მათგანი არ უტყდებოდა თავის თავს და ამხანაგსაც, თურა მიზნით იდგნენ აქ.

კლარა მასწავლებელს კი – ყოველთვის ერთობ სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა სახეზე. იშვიათად თუ ჩაიღიმილებდა თავისთვის და... მორჩა! ისევ ისე შეუვალდი იერთო მიირხეოდა გრძელ დერეფანში. მკაცრი მასწავლებლის როლი, ეტყობა, მოსწონდა. ამით უნდოდა, ალბათ, დაეფარა თავისი სინორჩე, შეენიღბა ბავშვური გულწრფელობა და უშუალობა. ვინ იცის!..

გადიოდა დღეები, თვეები... ყოველდღიური მოლოდინით, – თვით მისთვისაც გაურკვეველი მოლოდინით აღსავსე!..

და აი, მაისის ერთ მშვენიერ დღეს, როცა ირგვლივ ყველაფერი ჰყვავოდა და თავბრუდამხვევი სურნელება იდგა ჰაერში, როცა მოსწავლეებს მოახლოებული გამოცდების გამო, ციებ-ცხელება შესდგომოდათ ტანში – ხმა გავარდა – ქალაქის კლუბში თბილისიდან და სოხუმიდან ჩამოსული პოეტები პოეზიის საღამოს მართავენო.

...რა თქმა უნდა, საღამოზე დასწრების მსურველნი ბევრად უფრო მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე ხის პატარა კლუბი დაიტევდა და მაინც... ამ წყვეტის მიუხედავად, მან და ავთომ წარმოუდგენელი ხრიკებითა და ეშმაკობით შეძლეს შიგ, დარბაზში შეღწევა.

ავთოს ის ბედნიერებაც კი ხვდა წილად, რომ კლუბის ადმინისტრატორმა და ადგილობრივი თეატრის მსახიობმა კონდრატე ქუხილაკამ მას დაავალა სწორედ, ფარდის გახსნის და დახურვის „საპატიო“ მისია!

თავად სცენის სიახლოვეს, წინა რიგების განაპირას, სადღაც ღრიჭოში მიკუნჭული-გულისფანცქალით, მოუთმენლად ელოდებოდა იმ წამს, როცა... ფარდა გაიხსნებოდა და... თავის სიცოცხლეში პირველად იხილავდა ამდენ ცოცხალ პოეტს!

და აი, დგება ეს ნანატრი წამიც! ავთო ფარდას ხსნის და... აგუგუნებულ დარბაზში უცებ სრული სიჩუმე ისადგურებს.

...ახალგაზრდა პოეტები მგზნებარედ, შთავონებით, ზოგი მათგანი კი – მეტისმეტად ხმამაღლა-კითხულობენ საკუთარ ლექსებს – ხალხის მხურვალე ტაშის გრიალში.

სულთქმაშეკრული, თვალებგაფართოებული, შეურხვევლად მიხერება ამა სანახაობას და თავის გულის ფეთქვასთან ერთად სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში – ფარდას ჩახვეული ავთო და მისი აღგზნებული სახე, ნაკვერჩხალივით ანთებული ლამაზი, თაფლისფერი თვალები, უსაზღვროდ ბედნიერი სახე და თეთრი, კრიალა კბილების ელვარება.

დამუხტული მაყურებლები... აღტაცებული სახეები... საყოველთაო ზეიმი და სიხარული ირგვლივ...

ლექსების თქმს ენაცვალება პირველი და მეორე საშუალო სკოლების სიმღერისა და ცეკვის გუნდების გამოსვლა.

ამ ორ სკოლას ხომ მუდმივი ქიშპი და მეტოქეობა აქვთ ერთმანეთში – ვინ უკეთ იცეკვებს, ვინ უკეთ იმღერებს და... ვის მეტი ფრიადოსანი ანუ: ოქროს მედალოსანი მოსწავლე ეყოლება!

ამ საღამოს კი – თითქოს პირველმა საშუალო სკოლამ დაჯაბნა მეორე.

...დარბაზს ეფინება სტუმრებისთვის საგანგებოდ გამიზნული ჩონგურის თუ ფანდურის, საგუნდო თუ ლირიკული სიმღერების სულისშემძვრელი მელოდიები, ცეკვის თავბრუდამხვევი ილეთები, ნორჩ შემსრულებელთა გზნება და გამაოგნებელი ტემპერამენტი პოეტების მიერ წარმოთქმული ლექსებთან ერთად – აღფრთოვანებას რომ იწვევს დარბაზში...

და... აი, უეცრად, ამ მოზღვავებული, მოუთოკავი ემოციების ფონზე – კონფერანსიე, იგივე კონდრა ქუხილავა აცხადებს: მეორე საშუალო სკოლის პედაგოგი კლარა ბერაია იცეკვებს „უზუნდარას“!

დარბაზში სრული მღუმარებაა – თითქოს სიჩუმის ანგელოზმა ჩამოიარაო!..

გაოცებანარევი ინეტერესი და... ცნობისწადილით აკვესებული თვალების მზერა!

უზუნდარა?!

უცხოდ, ეგზოტიკურად აჟღერდა ანაზღეულად ეს სიტყვა სამურზაყანოს პატარა ქალაქის მაყურებელთათვის... ნეტავი, რა ცეკვაა? და რაც ყველაზე უფრო საოცარია: კლარა მასწავლებელი იცეკვებს თურმე ახლა, აქ, ამ სცენაზე – უზუნდარას?!

დარბაზი მოლოდინით ინაბება, უჩვეულო მოლოდინით, რომ იტყვიან, ბუზის გაფრენას გაიგონებს კაცი.

...გატვრინულს, ისედაც სულთქმაშეკრულს – საოცრების მოლოდინში-სხეული ერთიანად ეძაბება, სხეულის ყოველი ძარღვი სიძივით აქვს დაჭიმული.

სამარისებურ სიჩუმეში, რომელსაც ჩამოსული სტუმრებიც არ არღვევენ – კონდრა ქუხილავა სცენის სიღრმეში მდგარ, საკმაოდ დანჯღრეულ, ძველ ჰიანინოს მიუჯდა. გაისმა პირველი აკორდი და...

არა. ეს არ იყო ჩვეულებრივი, თეატრალური შემორბენა!..

სცენაზე თითქოს შემობრიალდა გაზაფხულის ღვთაება – „ტყაში მაფა“ – ტყის დედოფალი – გრძელ, ნაოჭებიან კაბაში გამოწყობილი, თეთრკოფტიანი, მკერდმაღალი, მაღალთეძოვანი, ველის გვირილასავით ყელმოღერებული და თასმასავით მოქნილი!..

მხრებზე ოქროსფერი დალალები გადმოღვრია. მაგნოლიისფერ, ახლა ავარდისფერებულ სახეზე – მოცისფრო-მოლურჯო თვალები თითქოს ცეცხლს აფრქვევენ.

ამ მომწუსხველი, თეთრი ღიმილის და გაზნეკილი, ხორცსავსე ტანის რხევის ტყვეობაში ექცევა ერთბაშად ყველა, მთელი დარბაზი – ღიდიან-პატარიანად!

თითქოს უხილავი კოცონი გიზგიზებს სცენაზე!

...ასე ჰკონია, ასე ეჩვენება ყმაწვილის აღტკინებულ თვალთა მზერას ყოველივე! ასე ესახება ეს დაუვიწყარი სურათი პატარა ბიჭის ფერადოვან ფანტაზიას.

ესაა – შიშველი, წვრილი მკლავების და ჩამოსხმული ტანფეხის როკვა – ნდომის, სურვილის და ვნების აღმძვრელი – ერთდროულად!

გახლეჩილი, მწიფე ბროწეულისფერი ტუჩების თილისმიანი ღიმილი – თვალწარმტაც ზმანებებში ზვევს ბიჭს. (აი, როგორი ღიმილი სცოდნია თურმე კლარა მასწავლებელს! როგორი... ხიბლიანი!).

სცენაზე იზნიქება, ტოკავს, ირხევა, რონინებს – თავად გაზაფხული – შეუდარებელი მშვენიერებით შემკობილი, გამაბრუებელი სურნელებით დაყურსული...

...ეს იყო თითქოს ზებუნებრივი, იმქვეყნიური არსების წამიერი მოვლინება ამქვეყნად – ზეციური, მიღმიერი სულის-მიწიერი ხორცშესხმა ანუ: პატარა სცენაზე განხორციელებული ღვთაებრივი მისტერია, ზემთაგონებული როკვა მენადისა – ამ უსახურ, ერთფეროვან, უბადრუკ ყოფიერებაში – ვნებიანიც და კრძალულის, აწყვეტილის და კდემამოსილის! ერთმანეთში გადაჭდობილი სულის და სხეულის მწველი ძახილი – თავაშვებულის და დაურევბულის, გამომწვევის და კრძალულის. როკვა – მშ-

ფოთვარეც და დამდორვებული, ზღვარდადებული და დაუოკებელი, მბორგავი და... დაუნჯებული.

...დარეტიანებული, გონს მაშინ მოეგო, როცა დარბაზი აზან-ზარდა ტაშის ცემისგან. თითქოს გამძვინვარებული ზღვის ტალღები – აფოფრილ-აყალყებულნი – გრიალით, ზათქით ასკდებოდნენ ნაპირს...

მერე?..

რა მოხდა მერე?

...ხალხი დაშლას არ აპირებს. იგი დაჟინებით, ჯიუტად კვლავ და კვლავ სცენაზე უხმობს მოცეკვავეს.

ცხელი სუნთქვისგან თითქოს ოხშივარადენილი დარბაზი – დაცხრომას არ აპირებს... – ბლანტისხლიანებიც კი აბობოქრებულან, ისინიც ცერზე შეუყენებია და ზემალალი ძაბვის ზღურბლამდე მიუყვანია კლარა მასწავლებელის „უზუნდარას“!

ყველას გადავიწყებია მოწვეული სტუმრები, რომელთა პატივსაცემადაა გამართული ეს საღამო.

ხალხის მღელვარებამ კულმინაციას მიაღწია მაშინ, როცა კლარა მასწავლებელმა გაიმეორა თავისი სოლო-ნომერი!..

...ეს საღამო კლარა მასწავლებლის ბენეფისად იქცა – პოეტების მიერ დანთებულ წარმოდგენა-სანახაობაში!

მერე...

მერე იყო გათენებადღე ხეტიალი წყნარი ქალაქის მყუდრო, ბადრი მთვარით განათებულ ქუჩებსა თუ შუკებში. იყო თვალახმული ზმანებები... ღამის იდუმალებით სავსე მღუმარება.

აკაციის თუ მაგნოლიის, ოლეანდრების თუ ვარდ-იასამნების, ნარინჯის თუ ნორჩი ფოთლების, ხეხილთა თუ ყვავილთა, მიწის ღორთქო ბალახების დამათრობელი სურნელი – ერთმანეთში არეულ-ათქვეფილი.

გაბურსალებული ბიჭი გაუთანგავს უჩვეულო ჩვენებებს...

გახურებული შუბლი და ცეცხლმოკიდებული ლოყები ნოტიო ნიავსაც ვერ გაუგრძობია.

...თავისდაუნებურად, მთვარეულივით ჩაუარა იმ სახლს, საიდანაც სტუმრებისა და მასპინძლების ჟრიამული და სიმღერების ხმა გამოდიოდა.

იქ... იმყოფება ალბათ ამ დღესასწაულის ჯადოსანი დედო-
ფალიც, კლარა მასწავლებელი!

ო, ღმერთო, დიდებულო!

რითი, როგორ დაიმსახუროს ამ ღვთაების ყურადღება? ღიმი-
ლი... – მხოლოდ უჩასთვის რომ იქნება განკუთვნილ-გამიზნული
და რომელიც სალბუნად დაედება მის მძაფრ, სულიერ განცდებს?

უკვე მერამდენედ, მთელი სხეულით გრძნობს, როგორ ეხვევა
უსურვაზივით თეთრი, ქათქათა თეთრი მკლავები და... მერამდენედ
ეკვრის სუნთქვა! მერამდენედ უვლის ტანში საამო ჟრუანტელი,
მერამდენედ კენესის და ოხრავს უღვთოდ დაჭრილი პატარა ბი-
ჭის გული ტკბილ-მწარე ტკივილით!

ნუთუ... ოდესმე მაინც ვერ შეძლებს დაიპყროს მისი გული?

მერე რა, რომ ის თითქმის რვა წლით უფროსია. მერე რა, რომ
ის მასწავლებელია, თვითონ კი – მოსწავლე! მერე რა, რომ ის
მომხიბვლელია, თვალწარმტაცია. რომ ის – გონისწამლებია, თვი-
თონ კი... თვითონ – ჯერ პატარა ბიჭია – შეუხედავი, მორცხვი,
მორიდებული?..

მერე რა, რომ არც სიმღერა შეუძლია და არც – ცეკვა!
ვერც ლექსებს წერს ავთოსავით, თუმცა... ლექსები თავდავიწყებით
უყვარს, ბევრი ლექსი ზეპირად იცის კიდევ!

ვერც დეკლამატორია და ვერც მუსიკოსი – ვერცერთ ინსტრუ-
მენტზე ვერ უკრავს. ერთადერთი, რითაც გამოირჩევა სკოლაში:
ესაა – ფრიადოსანი მოწაფეა. მათემატიკა და ფიზიკა ეხერხება
ძალიან! ისტორია და ლიტერატურაც უყვარს. სულ – ეგაა!..

აი, გაისად, სკოლას რომ დაამთავრებს-აუცილებლად, უსიკ-
ვდილოდ ისწავლის უმაღლესში, თბილისში! უსათუოდ გახდება
გამორჩინებული მეცნიერი და მკვლევარი. გახდება. უსათუოდ გახ-
დება. მერე...

მერე ეგებ კლარა მასწავლებლის კეთილგანწყობაც მოიპოვოს?
ეგება...

კი მაგრამ...

მანამდე?

მანამდე რამდენი დრო უნდა გავიდეს? კლარა მასწავლებელი
ხომ არ დაუცდის ამდენ ხანს?..

სომ შეიძლება...

შეიძლება კი არა – გათხოვდება ალბათ!.. აუცილებლად გათხოვდება!.. თვითონ რომც არ უნდოდეს – ვინ გააჩერებს ისე? სულაც მოიტაცებს ვინმე!..

„შენს ნატერფალს მე ფეხდაფეხ დავყვები, თავს მოვიკლავ, თუ ჩემი არ გახდები!“ – უნებურად ამოუტივტივდა გონებაში ავთოს მუხამბაზის სტროფი. მერე თავად მთელი ლექსის კუბლეტები მოწყდა მის გაფიცხებულ ტუჩებს და ლამის იღუმალებას შეერწყა:

„ხელის გულზე დაგისვამ და გატარებ,
მთელ ქვეყანას ხელით შემოგატარებ,
ნიავსაც კი ახლოს არ მოგაკარებ,
ეკ, ლამაზო, აწიც არ შემიყვარებ?“

მარად შენი ფეხთა მტკერი ვიქნები,
შენი გულის ვარდ-ზამბახი ვიქნები,
მხოლოდ შენით ვინეტარებ, ვიქნები.
სადაც წახვალ, მაშინვე იქ ვიქნები.

შენ ვარდი ხარ, მე – ბულბული ფრთოსანი,
თავს გეველები დაკოდილი მგოსანი.
გენაცვლები, გულდაჭრილი მგოსანი.
ჩემო კარგო, შემობრალე მგოსანი.

რად არ გინდა, რომ საბრალო გიყვარდე?
სიყმაწვილის ცხოვრება გამივარდე.
ფრთა მომეცი – ცაში გამანავარდე.
შენ გბულვარ და მე კი მინდა – გიყვარდე!

შენს ნატერფალს მე ფეხდაფეხ დავყვები.
თავს მოვიკლავ, თუ ჩემი არ გახდები...

გულიდან ამოხეთქილმა, ბავშვური გულწრფელობით ნაწერმა თანატოლის ლექსმა თითქოს სული დაუამა, შვება მოჰგვარა...

მოეშვა, მოიღვენთა და... იგრძნო, ცრემლი წკანწკარით რომ ჩამოსდიოდა თვალებიდან, და ნიკაპთან ესკვნებოდა – შვების, ნეტარების ცრემლები...

...თავის სიცოცხლეში პირველად მივიდა სკოლაში დაგვიანებით, და თან ისე, რომ... გაკვეთილები არ ჰქონდა მომზადებული.

სინდისის ქენჯნასთან ერთად, შეშფოთებაც იპყრობს: ვაი თუ რომელიმე მასწავლებელმა გამოიძახოს დღეს!

მაშინ?

როგორ მოიქცეს მაშინ?

რა თქვას? რითი იმართლოს თავი? იმით, რომ... მთელი ღამე არ ეძინა, რომ თეთრად გაათენა იგი ქუჩებში ბორიალით, ძთვარის ცქერა-ლამუნში და... ლექსების თქმაში?... რომ ფეხებზედ დაიკიდა სუყველაფერი: სკოლა, მასწავლებლები, მშობლები და ამხანაგებიც? და რომ დამთხვეულივით, მხოლოდ ერთადერთ, ამოჩემებულ სტრიქონებს იმეორებდა გაუთავებლად? რომ... მთელი ღამე მცხუნვარე ფანტაზიებით კვებავდა უზომოდ აჩქროლებულ გულს და აღზნებულ გონებას?

...ავთოს გვერდით რომ ჯდებოდა, დამნაშავის ღიმილი არ შორდებოდა მის ტუჩებს. მეგობრის მოპარული ლექსით გამჟღავნებული გულისთქმა თითქოს ამუნათებდა მასთან, თითქოს რალაცნაირი უხერხულობის თუ სირცხვილის ქვეშეცნეული, გაუცნობიერებელი გრძნობა დაუფლებოდა მისდაუნებურად...

წამით თავჩალუნულმა, ირიბად, ქურდულად გახედა მეგობარს.

უცებ ავთო მთელი ტანით გადმოიხარა მისკენ და ყურში უჩურჩულა:

– გაიგე ბიჭო, ახალი ამბავი? კლარა მასწავლებელი გათხოვდა! ავთოს თვალები უჩვეულოდ უელავდა. სახე წამოჭარხლებოდა.

რაო?!

უცებ თითქოს ჭერი ჩამოინგრა, ფეხქვეშ იატაკი გამოეცალა... თვალებზე ერთბაშად ბინდგადაფარებულს-ენა წაერთვა.

მერე?..

მერე სადღაც თითქოს შორეთიდან, უსასრულო შორეთიდან ყრუდ მოისმოდა:

– ხო, ბიჭო!.. პირდაპირ სუფრიდან, გესმის? პირდაპირ სუფრიდან გაყოლია თბილისელ პოეტს, აი, იმას აყლაყუდას, თვალებს რომ ნაბავდა და სიმღერასავით რომ წარმოთქვამდა ლექსებს!

ვის, ვის გაყვავო? თბილისელს?

რომელს? რომ არ აგონდება ის პოეტი?

ამოუვარდა. გონებიდან ამოუვარდა და ჰე!.. რაც გინდა ჰქენი ახლა!

...ერთი უზარმაზარი მონაკვეთი ცხოვრებისა დასრულდა იმ დღეს. დასრულდა სამუდამოდ. სამარადჟამოდ.

იმ დღეს საბოლოოდ დასამარდა აგრეთვე ვარდისფერ ოცნებათა და ილუზიათა კრიალოსანივით ასხმული, საოცარ ზმანებათა – ფერადი გალა!

დაიხურა ცხოვრების ერთი უმნიშვნელოვანესი კარი – საუკუნოდ!

* * *

– ბოლო კუბეში ზის, ბიჭო!.. თავისიანებთან მიდის, სენაკში. შეილიშვილი ახლავს თან. ჰგავს, ზომ იცი, ბებიას! მასავით თვალებბრიალაა, მოხდენილი... რასაკვირველია, ვერ მიცნო. ან... რას მიცნობდა?.. რამდენი დრო გავიდა!..

ესიამოვნა, რომ მოვაგონე ჩვენი სკოლა, ის დრო გაგახსენე..

წამოდი, შენც ნახე. გაუხარდება!..

ისე, რას ნიშნავს სიბერე – ეს ოხერ-ტიალი!..

წამოდი, წამოდი...

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ:

– არა, არ წამოვალ. – მერე უფრო კატეგორიული კილოთი: – არ მინდა ვნახო!

– რატომ კაცო?!

„იმიტომ, რომ...“

მე მინდა დარჩეს იგი ჩემს ხსოვნაში ისეთი, როგორიც იყო მაშინ... თავის ცხოვრების გაზაფხულზე!.. როგორიც იყო მაშინ... იმ საღამოს... „უზუნდარას“ რომ ცეკვავდა!“ ბანალურია? იყოს ბანალური და მაინც...

თითქოს კინო-ეკრანზე გაირბინა წამიერად წარსულის სურათებმა და... მერე ისევ გაუჩინარდა... სამუდამოდ. მაგრამ საგულისხმო ის იყო, რომ... გულის ერთი ძარღვიც არ შეტოკებია. ცივი გონებით შესცქეროდა გარდასულ თავგადასავალს. ნუთუ... მოგონებებიც ბერდება?..

– ასე სჯობს!

დაგ-ღუგ. დაგ-ღუგ.

...მატარებელი თითქოს უსასრულობაში მიქრის და წარსულიან-აწმყოიანად – გულდაგულ, უმოწყალოდ კეცავს სწრაფწარმავალი დრო-ჟამის უხილავ მანძილს – ამ წუთისოფლის ბინადართა სვებელით, თუ... უბედობით, ბედისწერისეული განჩინებით!.. თუ...

რითი არა?!

...გადაიქროლეს სიზმრის ქარებმა...

2002 წ.

„საჭელისნეო მიჯნა“

(დოკუმენტური ნოველა)

ეს უკვე მესამე წყება იყო.

პირველი ორი გუშინ შემოიჭრა. ღრიანცელით, ლანძღვა-გინებით, ხორხოციტ მოედვნენ სახლ-კარს. ერთი ნაწილი ზემო სართულზე აცვივდა. მეორე – ქვემოში, მესამე ჯგუფი გარაჟის წინ, პატარა მოედანზე მღვარ ახალ მანქანას რკალად შემოერთყა. აკუმულატორი არ ჰქონდა მანქანას – ბიჭმა რამდენიმე ღლის წინ ნათესავს ათხოვა. უაკუმულატორო მანქანას ტროსი მოაბეს და ისე გაათრიეს ეზოდან. ჭიშკართან ფურა ელოდებოდათ. ნამარცვს იქ ყრიდნენ.

იდგა ოროთახიანი სამზადის აივანზე, ჯოხს დაბჯენილი და კრიჭაშეკრული, ტკივილიანი გარინდებით უყურებდა ყოველივე იმას, რაც მის თვალწინ ხდებოდა. ცოლი ავადმყოფობისაგან ისე-დაც დაღუული, მთლად მუჭისხელად ქცეულიყო. სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა და სადღაც კუთხეში მიყუყული, ისიც თვალგამტერებით უცქეროდა, რა მარჯვედ და საქმიანი იერით ეზიდებოდნენ სახლიდან ყველაფერს – რისი წაღებაც კი შეიძლებოდა...

არადა, გაჰქონდათ... გაჰქონდათ და... თითქოს დასასრული არ უჩანდა ამ ტაციობას. აღარ ილეოდა საოჯახო ნივთები, ტანსაცმელი თუ თეთრეული, საბან-გობანი, თუ ჭურჭლეული, ტელევიზორები თუ მაცივრები, სარეცხი მანქანა... არ თავდებოდა ავლადიდება და არ თავდებოდა ძარცვა-რბევა.

ყოველთვის ეგონა, საშუალოდ ცხოვრობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქალი ექიმ-გინეკოლოგი იყო, თვითონ კი ხან სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ, ხან სკოლის დირექტორი...

ბოლო თორმეტი წელი კი რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ მუშაობდა. თითქოს ზედმეტი არაფერი გააჩნდათ და მანც... თურმე რამდენი რამე ჰქონიათ!

ეზიდებოდნენ და ეზიდებოდნენ წლობით ნაგროვებს-შრომით, გარჯით, წვალებით შეძენილ – ქონებას!..

კიდევ კარგი, ფიქრობდა გაოგნებული, რომ ბიჭმა წინა დღეს ცოლ-შვილი ძველ „ჟიგულში“ ჩასხა და ენგურს გაღმა გაიყვანა. მობრუნება კი ვეღარ მოასწრო. ქალაქი უკვე აღებული იყო, უკვე „ბოევიკები“ დათარეშობდნენ ყველგან.

...იდგა შეურხეველად, თითქოს მშვიდადაც გამოიყურებოდა გარეგნულად. ბაგეზე ღიმილიც კი შერჩენოდა-მწარე, ნატანჯი ღიმილი. სინამდვილეში იქ, შიგნით – ყველაფერი უღუღდა, ყოველი ძარღვი უთახთანებდა.

ნაოპერაციევი თავის ქალა ლამის ახლომოდა. გული ისე გამძაგებით უცემდა, რომ საბუდარიდან ამოვარდნას არაფერი უკლდა. თუმცა... ნებისყოფის საშინელი დაძაბვით ცდილობდა – გულგრილი იერი შეენარჩუნებინა სახეზე:

„ამათ არ გავახარებ... ამათ არ გავახარებო!“ – იმეორებდა გუნებაში, ვინ იცის, მერამდენედ! არ გავახარებ ჩემი სიძაბუნის

და სასოწარკვეთის დანახვითო! არა. ამას ვერ მოესწრებიან ეს გარეწრებიო...

...თითქმის ოცი წელი აშენებდა ამ ორსართულიან, ლამაზ სახლს – ხელმოკლეობის გამო გაუჭიანურდათ მისი დამთავრება. თავის ხელით ჭრიდა ბრიკეტებს – სამსახურის შემდეგ ეხმარებოდა ხელოსნებს, რადგან სადღაც თავადაც სიამოვნებდა ეს გარჯა, ოფლისდგრა... ბუნებით მშენებელი იყო და ალბათ იმიტომ.

თავის ხელით რგავდა ყვავილებსაც, დეკორატიულ მცენარეებს, პალმებს, ოლეანდრებს, კვიპაროსებს, ბზის ბუჩქებს, მაგნოლიებს, კამელიებს... მამის კვალობაზე უვლიდა ნარინჯებს.

დღემუდამ ალაბაზებდა და ამშვენებდა ეზო-კარს. წყლის აუზიც თვითონ გააკეთა. თვითონვე მოაპირკეთა მოზაიკით. სადმე, ზღვის პირზე თუ ტყეში უჩვეულო ჯირკვს ან ქვას ნახავდა – სახლში მოჰქონდა... და... გაუთავებლად აკონტაქტებდა არე-მიდამოს.

თითოეულ ვარდს თუ ყვავილს პატარა ბავშვივით უვლიდა, რწყავდა, ნიადაგს უპოხიერებდა, ესიყვარულებოდა და ევერებოდა ყოველ რტოს, ყოველ ძირს. ალბათ ამიტომაც ხარობდნენ და ლალობდნენ ისინიც – პატრონის ნიადაგ მზრუნველობის ქვეშ მყოფნი.

უყვარდა და მოსწონდა თავისი კოპწია კარ-მიდამო, ძალიან ბევრი რომ შენატროდა. ეს ბაღნარი მისი პირმშოსავით იყო, მისი ცხოველი, დაუშრეტელი შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფი განლდათ.

ზაფხულობით შემოჩვეული შაშვების ჭახ-ჭახს უსმენდა ძილ-გამფრთხალი. გამთენიისას შაშვები ერთად იწყებდნენ გალობას. ოჰ, რა სიამით ავსებდა მის გულს, როგორ ატკბობდა და ახალისებდა ეს უჩვეულო კონცერტი-თითქოს უხილავი ღირიყორის მიერ მისთვის საგანგებოდ გამართული. რა ნეტარებას ჰგვრიდა მის პოეტურ სულს განგების მიერ ნაბოძები ეს საჩუქარი!

სახლის ორივე სართულის ბოძებს უსურვავივით შემოხვეოდა „იზაბელას“ ტოტები – შუა შემოდგომაზე ნაყოფით დახუნძლულნი, თვალსა და გულს რომ უხარებდა ადამიანს...

ღიახ, თვითონ იყო ამ სამოთხისსაღარი, პატარა ოაზისის დეკორატორიც, მომვლელიც, შემოქმედიც სანამ... სანამ მოულოდ-

ნელად, უცაბედად უბედურება არ დაატყდა თავს – ჯერაც ჯან-
ლონით სავსე, ჭარმაგ ვაჟკაცს ცალი ხელ-ფეხი წაართვა დამბლამ.
დანივალდებული მაინც ცდილობდა მიეხედა თავის ბალისთვის:
ვარდ-ყვავილებში პატარა სკამს ჩაიდგამდა და მარჯვენა ხელით
ელოლიავებოდა ყლორტებს...

...„ბოევიკები“ ანუ დაქირავებული მკვლელები რომ წაშავდნენ,
გულმა არ მოუთმინა და ძლივს-ძლივობით, ჯახხირით, მაგრამ
მაინც აბლოტიალდა მეორე სართულზე. ბიბლიოთეკა რომ გაძ-
არცვეს, ამას შორიდან, სამზადის აივნიდან უყურა და მაინც...
ნანახმა გული დაუსერა. ნეტამც არ ამოვსულიყავიო, ნეტამც ჩემი
თვალთ არ მენახა ეს ყოველივეო – ინანა გულდაკოდილმა.

მისი მდიდარი ბიბლიოთეკა, ეგზომ რომ ეამაყებოდა და თავი
მოჰქონდა თავის ტოლ-სწორებში-სტუდენტობიდან მოყოლებული
რომ ავსებდა მას ახალ-ახალი გამოცემებით – პირწმინდად გა-
ნადგურებული დაუსვდა. კარადების გამოცარიელებული თაროები
დავსებული თვალუბრებით შემოჰყურებდნენ პატრონს. იატაკზე,
აქა-იქ წიგნების გროვა ეყარა – ქართული წიგნებისთვის მაინც-
დამაინც თავი არ შეუწუხებიათ მომხვდურებს...

უცებ... ამ მიყრილ-მოყრილ წიგნებში თვალი ჰკიდა ქართველიშ-
ვილისეულ „ვეფხისტყაოსანს“ – მის პატარა შვილიშვილს რომ
უსახსოვრა ბაბუდამ.

გაჭირვებით დაიხარა, აიღო გადამთიელთაგან ნაქუსლარი, შე-
ლანძღული წიგნი. აკანკალებული მარჯვენა ხელის გულით
გადაწმინდა წიგნის ყდა, მერე გულში მიიხუტა და წვალებით
ჩაუყვა კიბეს პირველი სართულისკენ.

ეზოში რომ გამოვიდა, იგრძნო, თვალებიდან წკვარ-წკვარით
ჩამოსდიოდა ცრემლები: „სიმწრის ანუ შაშვის ცრემლებიო“, მერე,
მოგვიანებით გაიაზრა.

...ის ღამე, რბევის პირველი, საშინელი ღამე მეზობელთან-
ხნიერ ცოლ-ქმართან გაათენეს. ღუდა და ნაზი აქუბარდიებიც
ქალაქში დარჩნენ-საერთო ტალღას გაქცეულებისა – არ შეერთე-
ბიან, რადგან სახლში ლოვინად ჩავარდნილი, ღრმად მოხუცი
მამიდა ჰყავდათ და საერთოდ, მეტწილად ასაკოვანნი, უძღურნი
და დახეიბრებულნი დარჩენილიყვნენ ოკუპირებულ ქალაქში.

...იწვა სხვის სახლში გაუნძრევლად, ნახევრად ჩაცმული და გაფართოებული თვალებით შესქეროდა სიბნელეს, გარს რომ შემოხვეოდა. ხანდახან, დროგამოშვებით მის ყურთასმენამდე აღწევდა ავადმყოფი მოხუცი ქალის კვნესა თუ ბოდვა, ხან მეუღლის ჩუმი ოხვრა-გმინვა – ამ მკვდრულ სიჩუმეში, გარშემო რომ დასადგურებულიყო. ავის მომასწავებელ, საშიშ მღუმარებას მოეცვა მთელი ქალაქი რბევის ამ პირველ ღამეს!

აქა-იქ, კანტი-კუნტად სროლის ხმაც გაისმოდა ჩაბნელებულ ირგვლივითში. რატომღაც ახლა განსაკუთრებული სიმკვეთრით თვალწინ დაუდგა „ბოევიკი“, ეზოს კუთხეში დაგდებულ ბავშვის შარდის ახალ ქოთანს რომ ატრიალებდა ხელში უშნო ღრეჭით. მერე ეს „ძვირფასი განძი“ დანარჩენ ნადავლს მიამატა...

მწარე ღიმილმა ტუჩები დაუგრიხა. „ესენი ვინ ყოფილან! ესენი ვინ ყოფილან-ო“ – უანგარიშოდ, უაზროდ იმეორებდა თავის გულში და ისევ და ისევ, მერამდენედ ტრიალებდა მის თვალწინ ამ შავბნელი დღის ყოველი დეტალი, თითქოს უმნიშვნელო წვრილმანიც კი მკაფიოდ, მტკივნეულად იკვეთებოდა გონების დაფაზე!..

ვერა და ვერ დაეჯერებინა, რომ ეს ყველაფერი რეალურად მოხდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილე იყო და არა კომმარული სიზმარი!

...ინათა თუ არა, მაშინვე წამოდგა. რაკილა თითქმის გაუხდელი იწვა – ძალიან არ გაჭირვებია თავის მოწესრიგება.

ცივმა წყალმა და გარეთ, სუფთა ჰაერზე ყოფნამ თითქოს ოდნავ შეება მოჰკვარა, თითქოს გასიებულ-დამძიმებულმა გულმა წამით სიამე იგრძნო.

...სექტემბრის საოცრად ღამაში დილა თენდებოდა, როგორიც იცის ხოლმე ყოველთვის აქ და საერთოდ, მთელ საქართველოში. მაგრამ წამიერი სიმშვიდე ისევ სულის მტანჯველმა წრიალმა და შფოთმა შეცვალა, ის კი არადა, ამ მშვიდმა, წყნარმა, შემოდგომის სურნელით დაყურსულმა დილამ კიდევ უფრო გაუმძაფრა როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ტკივილები.

მასპინძელი დილა უთენია სამეზობლოში გადასულიყო, რომ მოენახულებინა შინ დარჩენილები და გაეგო, რა ხდებოდა იმ ღამეს ქალაქში.

...საზარელი ამბები მოიტანა ლუდამ. პირველსავე დღეს „ბო-
ვეიკებს“ უამრავი ადამიანი დაეხოცათ. მათ შორის მათი მეზო-
ბლებიც: ცოლ-ქმარი ჩქოტუები, ბიძინა და ლუსია ოთხოზორიები,
ძმები ლაკერბაიები, პედაგოგები ხუტა ფირცხალავა, ვახტანგ ემუხ-
ვარი-მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, და-ძმა სიგუები, შონიები
და კიდევ ვინ იცის – რამდენი!

ლუდას ყბა მოქცეოდა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ხმა
უკანკალებდა, სიტყვა წამდაუწუმ უწყდებოდა.

რას, რას ერჩოდნენ ამ მშვიდობიან, უდანაშაულო ხალხს!

რატომ, რისთვის? – ჰკიოდნენ თავზარდაცემული ქალების
ცრემლმგამშრალი თვალები. ლუდას მეუღლემ, ერთიანად თმაგა-
თეთრებულმა ქალმა რამდენჯერმე გაიმეორა ჩაწყვეტილი ხმით:
– ჩვენ, ჩვენ როგორ გადავრჩით გუშინო. თან მუხლზე გამეტე-
ბით ირტყამდა ხელს. ალბათ წინააღმდეგობა არ გაგვიწევია და
იმიტომო, ძლივს ამოიკნავლა ბოლოს – შიშისა და ზაფრისაგან
მოკუნტულს, სახე რომ შემლოდა.

– გაჩუმიდი!.. რა სისულელეს ლაპარაკობ? – შეუღრინა ცოლს
ლუდამ, მერე მაგიდას მიუჯდა, თავზე ხელები შემოიწყო და...
თითქოს გაქვავდა.

თვითონაც გაშეშებული იდგა ერთ ალაგას, ენაჩავარდნილი.
ვერა და ვერ აღექვა გაგონილი, გონება ეურჩებოდა დაეჯერებინა
ის, რაც მოისმინა ლუდასგან.

მართლაცდა, რა უბედურებაა მათ თავზე? რა ღვთის რისხვა
დაატყდა თავს ამ პატარა, წყნარ, მშვიდ ქალაქს?

ასეთი სისასტიკით, ასეთი მძვინვარებითა და უღმობლობით –
ვინ შემოესია? ფაშისტურ ურდოებს თავის დროზე გადარჩენილი
– ახლა „მოყვარე მტერი“ ასე როგორ იმეტებდა?

რისი გულისთვის? რატომ?

მაშ, მართალი ყოფილა, რასაც ამბობდნენ იმ სიმხეცეებზე,
რასაც სწადიოდნენ „ბოვეიკები“ და სეპარატისტები გაგრაში თუ
სხვაგან? მეოცე საუკუნის მიწურულს, თითქოს საყოველთაო მშ-
ვიდობიანობის ჟამს, ასე საჯაროდ, ასე უმოწყალოდ და გა-
ნუკითხავად როგორ ხოცავენ უიარაღო, მშვიდობიან მოსახლეო-
ბას, თავისსავე მიწა-წყალზე?

რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ... ქართველები არიან?

ტვინს უბურღავდა უამრავი კითხვა, უპასუხოდ რომ რჩებოდა. მერე... გულმა კვლავ თავის გაჩანაგებულ სახლ-კარისაკენ გაუწია. ცოლმა დაშლა ვეღარ გაუბედა კაცს და თავადაც აედევნა.

...მოლიავებულ ჭიშკარში თითქოს ქურდებივით შეიპარნენ. აკლებულ სახლს გვერდი აუქციეს და სამზადისკენ გაემართნენ. ის იყო აივანზე ფეხი შედგეს და...

„ბოვეიკების“ ახალი რაზმი შემოჯლივინდა ეზოში... ანაზღად.

წინამორბედებივით, ესენიც მყისვე შეცვივდნენ უკვე დარბეული სახლის ორსავე სართულზე და წინამორბედებივით, გაშმაგებით შეუდგნენ მის ხელახალ დარცვას. ვირთხებივით სწრაფად დაშლივინებდნენ: კაზაკები, სომხები, ჩეჩნები თუ აფხაზებად წოდებული აფსუები. მეძებარი ძალღვივით ენაგადმოგდებულნი, აქლოშინებულნი, ხარბად ეტებდნენ ახალ-ახალ საკბილოს... და რაოდენ საოცარიც არ უნდა ყოფილიყო, პოულობდნენ კიდევ თითქოს ერთიანად გაფხეკილ ოთახებში. თურმე რბევის მეორე დღესაც მათი სამყოფი ალაფი კიდევ საკმაოდ დარჩენილიყო სახლში!

...ყინულივით ცივ მარცხენა ხელის გულს უანგარიშოდ, უნებურად ისვამდა მარჯვენა მტევანზე; ალბათ ქვეშეცნეულად ცდილობდა მარღვების კონვენუსიური ტოკვის შეჩერებას. ამაოდ. არ ემორჩილებოდნენ ნერვები. ისევ ისე განაგრძობდნენ ისინი თახთახს.

ვერც შიგნით, სამზადში შესვლა მოეხერხებინა, რომ თავის თვალთ მანც არ ეცქირა მომხდვურთა საქმიანობისთვის.

ცოლმა რამდენჯერმე გამოსძახა — შემოდი, კაცო, რას გაჩერებულხარ მაქო! მაგრამ თითქოს დაყრუებულიყო. ადგილიდან არ იძვროდა. და კვლავ დაჟინებით მიეციებინა მზერა ყოველივე იმისათვის, რაც ხდებოდა...

„უცებ ერთმა „ბოვეიკმა“, ავტომატი რომ კისერზე ჩამოეკიდებინა, პირველი სართულის ღია ფანჯრიდან ხელი დაუქნია, ამოდო. ცოლმა ჩუმად წამოიკივლა — არ წახვიდე, მოგკლავენო. მოუხედა ქალს ისეთი თვალებით, რომ მან მყისვე გაიკინდა ხმა.

ნელ-ნელა შეუყვა პირველი სართულის უკანა კიბის საფეხურებს.

ოთახში შეაბიჯა თუ არა, კაზაკმა დაუღრიალა: „კტო ეტო? „ბოევიკ“ და?“ „ვინ არის ეს?“ „ბოევიკია“ არა? – და კედელზე ჩამოკიდებული მამაკაცის გადიდებულ სურათზე ავტომატის ლულით ანიშნა. ორი თვის წინ გარდაცვლილი მამის ახალგაზრდობის სურათი იყო. ხოლო მისი ნაქონი ტანსაცმელი, სამეგრელოში „ნიშანს“ რომ ებახიან, რაღაცნაირი სასწაულით – ხელუხლებელი ეწყო საწოლზე.

– ეტო მოი ოტეც! ონ ნედავნო უმერ! (ეს ჩემი მამაა. ის ახლახან გარდაიცვალა!) – შეეცადა, ხმა მშვიდი ჰქონოდა, სახე გულგრილი, თუმცა შიგნით ყველაფერი უცახცახებდა შეკავებული სიბრაზისგან.

– და ნასრალ ია ნა ტვაეგო ოტცა. სნიმი სეიჩას ჟე! – მერე უცებ დაუმატა: ნუ ქჩორტუ! – და თავად ავტომატით შეეცადა მის ჩამოგდებას.

– ნე ტროგაი, ია ჟე სკაზალ – ონ მოი ოტეც!

(ხელი არ ახლო. ზომ ვითხარი – ის მამაჩემია-მეთქი!)

კაზაკი სწრაფად მოუტრიალდა და გაცოფებულმა უყვირა: – და, ტი... კაკ სმეემ, სუკინ სინ? „შენ... როგორ ბედავ – ძაღლიშვილო? – და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცხვირ-პირში მუშტი ჩაარტყა: – ია სეიჩას ჟე ნა მესტე რასტრელიაუ ტებია, სვოლოჩ! („მე ახლავე ადგილზე დაგხვრეტ, არამზადავ!).

იმ წამში ან იქნებ წამის მემსელშიც, სანამ პასუხს გასცემდა – თითქოს კინო-კადრით წამში გაურბინა თვალწინ მთელმა მისმა ცხოვრებამ – ბავშვობიდან მოყოლებული – დღემდე, 58-ე წლამდე!

ომის თაობა იყო – ნახევარდმშიერი ბავშვობა ჰქონდათ. და მაინც სიცოცხლისმოყვარულნი, ხალისიანი იყვნენ, თუმცა ომით სუნთქავდა ირგვლივ ყველაფერი. ომი იყო უმთავრესი თემა რადიოშიც, რომელიც დღე და ღამე ჰქონდათ ჩართული, ისე კინო-სურათებში, თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში, შინ თუ გარეთ, სკოლაში თუ სახლში – ომის თემა – მთელი თავისი ტრაგედებით, დაღუპულთა გამო შეცხადებებით, ტირილით, გლოვით, გოდებით, დედის ცრემლშეუძმრალი თვალებით – გამოწვეული უგზო-უკვალოდ დაკარგული თუ დაღუპული ძმების გამო...

და მაინც... კინო-სურათებიდან აღიქვამდნენ ომის ტრაგედიას, რადგან ის ომი – მაინც შორეული ჩანდა, რადგან უშუალოდ რეალურად ამ მიწა-წყალზე მათ გარშემო არ ბობოქრობდა მეხთატეხა და ქარბორბალა...

...ბავშვები „ომობანას“ თამაშობდნენ კიდეც კინო-სურათების წაბაძვით, თხრიდნენ „აკოპებს“, ხის მწვანე ტოტებით ნიღბავდნენ „შტაბებს“, პარტიზანთა რაზმებს და „ომობდნენ“ ერთმანეთში „წითლებად“ და „ფაშისტებად“ დაყოფილნი.

ერთხელაც, ზემოუბნელთა ანუ „წითლების“ მზვერავი ხელში ჩაუვარდათ ქვემოუბნელებს, ანუ „ფრიცებს“.

და აი, პატარა ბიჭი – სისასტიკითა და დაუნდობლობით ცნობილ „შტაბის უფროსის“ – ვალერი ადამიას წინაშე დგას. „შტაბის უფროსი“ მოწკურული თვალებით და დამცინავი, გესლიანი ღიმილით ცდილობს „ჯაშუშობაში“ გამოტეხოს იგი. ბიჭი კი – არ ტყდება.

– აბა! არ გინდა აღიარო, რომ მტრის მიერ შემოგზავნილი შპიონი ხარ, ხომ? – ლაწ!.. ერთს მეორე მოჰყვას, მეორეს – მესამე...

ბიჭს თვალი დაუბნელდა, სულის სიღრმემდე შეურაცხყოფილს დაავიწყდა, რომ თავად „პლენია“, ხოლო ვალერი ადამია – მოწინააღმდეგის „შტაბის უფროსია“. გონდაკარგული, გააფთრებული ბიჭი მოულოდნელად ეცა და რამდენჯერმე მუშტი ჩაარტყა მკერდში – სასტად დარჩენილ „შტაბის უფროსს“, მერე სწრაფადვე გამოვარდა „შტაბიდან“ და აღშფოთებულმა, მაგრამ „შურნაძიებმა“, მდინარეს მიაშურა, ქალაქიდან მოშორებით რომ მიედინებოდა ზღვისკენ... და მის ტალღებში თითქოს ჩარეცხა ბოლმისა და სიბრაზის გრძნობა...

და მეორე შემთხვევაც, უკვე მოწიფულ ასაკში, ასევე მეყვსეულად იკვეთება ხსოვნის დაფაზე: დგას ამაყად წელში გამართული და – მეგობრებისა და ახლობლების წინასწარი რჩევა-დარიგების მიუხედავად – ბოლიშს არ უხდის რაიკომის ერთ-ერთ მდივანს – საგანგებოდ მოწვეულ ბიუროზე – იმაში, რაშიც თავს დამნაშავედ არ გრძნობს. ასეთი უტეხობით განრისხებულ პირველ მდივანს შემოაქვს წინადადება – პარტიიდან მისი გარიცხვის შესახებ, რასაც მორჩილად უჭერს მხარს ბიუროს ყველა წევრი, თუმცა იციან, რომ უსამართლობას სჩადიან.

წარბშეუხრელად ხვდება ამ ამბავს: – მე უსამართლობად მი-
მაჩნია თქვენი განაჩენიო, – წარმოთქვა ბოლოს და თავაწეულმა,
ამაყი იერით დატოვა კაბინეტი.

სკოლის ახალგაზრდა ღირეპტორისაგან იმ დროისათვის წარ-
მოუდგენელი საქციელი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ
ქალაქში... სიმათლემ მერე კი მაინც იხეიმა უსამართლობაზე, მა-
გრამ თავისთავად ეს დაუმორჩილებლობის ამბავი ღირსსახსოვარ
მოგონებად დარჩა ბევრისთვის...

...ახლაც, ამ საბედისწერო ჟამს, გადამთიელის მიერ მოღერე-
ბული ავტომატის ლულის წინ გახვევებულს – კვლავ თითქოს
რადაცნაირი სასწაულებრივი ძალით უბრუნდება ძალადობისა და
უსამართლობის წინაშე ქედმოუხრელობის ადრინდელი შეგრძნება
– დროთა განმავლობაში თითქოს მიყურებულ-მინავლებული რომ
იყო მასში.

...მყისვე შეიმათა. სახე დაესხიპა ერთბაშად, თვალეი რისხ-
ვით აენთო: – Ну и стреляй! Чего ждешь? Я и так расстрелян, (მეს-
როლე მერე! რას უცდი? მე ისედაც დახვრეტილი ვარ!) – ჯიქურ
მიახლა კბილების ჩუმი კრაჭუნით და სობრაზისგან ერთიანად
სახეგადაფითრებულმა – თვალი თვალში გაუყარა „ბოვეიკს“ და...
გაიღიმა-გაიღიმა მოგონილი, ვითომ მშვიდი ღიმილით, იმ ღიმილით,
ოდესდაც რაიკომის მღივნის განაჩენის მოსმენისას რომ იღიმებოდა!

რამდენ ხანს გაგრძელდა ორი წყვილი თვალის ეს უხმო
ჭიდილი?

იქნებ... ერთ წამს? ან იქნებ... უსაშველოდ დიდხანს?

მეყვესეულად თითქოს შეჩერდა დრო-ჟამი, გაიყინა სამყარო,
გათიშა გონება, ირგვლივ სქელი ბურუსი ჩამოწვა.

გაშეშებულმა, იარაღმომარჯვებულმა კაზაკმა – ანაზდეულად
ავტომატი ძირს დაუშვა და...

უსიტყვოდ გატრიალდა.

რა მოხდა!?

ნუთუ სობრალულის... თუ სირცხვილის გრძნობამ გაიღვიპა ამ
მოძალადეში?

...გონება რომ გადაეწმინდა და თვალეებს სინათლე დაუბრუნდა,
გაიაზრა – სიკვდილის მიჯნასთან მდგარი, კვლავ ამ მიწიერ,

რეალობაში რომ იმყოფებოდა. საიქიოდან – ისევ სააქოსკენ პირმოქცეული.

სანამდე? სანამდე გასტანდა ამქვეყნიური ჯოჯოხეთური ორომტრიალი? როდის ექნებოდა ამას დასასრული?

გულმა უცებ იგუმანა: არც ისე შორსაა ბოლო, ტრაგიკული აკორდი, არც ისე შორს – ამ ამოების ბაზარში – ცხოვრებას რომ ეძახიან!

1998 წ.

აზიზული ცანკო

...სასტუმროს ფოიეში ჩემს მამიდაშვილ ნინიკოსთან ერთად ველოდები ადმინისტრატორს – იგი დირექტორთანაა და ჩვენც ვიცდით – სხვა რა გზა გვაქვს.

ფოიეში უნგრელმა ტურისტებმა მოიყარეს თავი. – უმეტესად ახალგაზრდობაა.

ნინიკომ ჩინებულად იცის გერმანული: გერმანული ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. აღმოჩნდა, რომ უნგრელები გერმანულად მშვენივრად საუბრობენ.

სვეტთან ახლოს, სავარძელში ვზივარ და ირიბულად, ჩუმ-ჩუმად გავცქერი ამ მხიარულ, ხალისიან ჯგუფს. სადღაც სიამაყეს ვგრძნობ, რომ ნინიკო ამ დარჩეულ გოგო-ბიჭებშიც ბრწყინავს (ძალზე უხდება ბროწეულისფერი ქვედაწელი და წითელკაპლებიანი თეთრი პერანგი), რომ იგი ასე თავისუფლად, თამამად ემასლაათება მადიარებს უცხო ენაზე. საერთოდ, ნინის ენების დიდი ნიჭი აქვს. შესანიშნავად იცის ინგლისურიც, რუსულზე რომ არაფერი ვთქვა. ახლა ესპანურსაც სწავლობს.

ნინიკო უნგრეთში ნამყოფია. და ახლა რამდენიმე უნგრული ფრაზაც გაიხსენა. უნგრელები აღტაცებულნი არიან...

ვზივარ ჩუმად, მოფარებულში და მინდა ასე შეუმჩნეველი დავრჩე: ჯერ ერთი, დალლილი ვარ მგზავრობით და არაფრის

ხალისი არა მაქვს, მეორეც: არ მინდა ყრუ-მუნჯივით ვიდგე მათ შორის ენის უცოდინარობის გამო და მერე, სიმართლე რომ ვთქვა, არ მომწონს, როცა ნამეტნავად ეძალებიან უცხოელებს, ზოგჯერ კი პირდაპირ თავს აბეზრებენ ხოლმე გადამეტებული ყურადღებით.

მოვიდა ადმინისტრატორი, მაგრამ ტურისტებთან ბაასით გართულ ნინიკოს არ შეუმჩნევია მისი გამოჩენა. მე კი ავწვრიალდი...

საქმეს მე ვერ მოვაბამ თავს. ეგ ცხადზე უცხადესია ჩემთვის. არადა, ახლა ნინიკოსთან მისვლა არ გინდა?

ყოყმანის შემდეგ ბოლოს მაინც ფეხის თრევიტ გავწვიე მისკენ, ფრთხილად შევაველე მკლავზე ხელი. მოიხედა:

– ოჰ, ცისო?..

– ადმინისტრატორი მოვიდა. ერთი წუთით წამოდი.

– ახლავე, ახლავე.

მერე ისევ უნგრელებს მიუბრუნდა და რაღაც თქვა. ალბათ მათ ჩემი თავი გააცნო. ყველანი მომაჩერდნენ, მე კი ცალ-ცალკე ვერავის ვარჩევ. თვალებში თითქოს ბინდი ჩამიდგა. ვდგავარ გამოთავყვანებული სახით და უაზროდ ვიღიძები. მერე ნინიკომ მგონი ბოდიში მოიხადა, მკლავში ხელი წამავლო და წამოვედით.

ნინიკომ პასპორტი გამომართვა, შიგ თუმნიანი ჩადო და ადმინისტრატორთან მივიდა. მე მოშორებით შეჩქერდი. ნინიკოს დანახვაზე ადმინისტრატორს მოღუშული სახე მყისვე გაეხადრა. „აჰა, გასჭრა ნინის ჯადო-თილისმამ“, – გამიელვა თავში და სადღაც უხერხულადაც კი ვიგრძენი თავი, ეს დროული კაცი ასე რომ აცუნდრუკდა.

ახლა მით უფრო წარმოუდგენლად მეჩვენება ფულის შეძლევა, ხომ გადაირია ეს ღიმილადქცეული, დარბაისელი კაცი-თქო, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა: ადმინისტრატორმა ფული ისე სწრაფად და შეუმჩნევლად შეინახა გულის ჯიბეში, რომ თვალი ძლივს შევასწარი მისი ხელის მოძრაობას.

ვიღაცის თუ რაღაცის შემრცხვა. ძალიან შემრცხვა. ყველაზე უფრო კი მგონი-ჩემი თავის.

...ოთახში რომ მარტო დავრჩით, ნინიკომ კრიტიკულად მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა, სააბაზანოშიც შეიხედა, აივანზე გავარდა.

– არა უშავს, უფრო უარესს მოველოდი! – თქვა და თავის მოწესრიგებას შეუდგა. მე აივანზე გავედი.

ზღვა. ჩემი ზღვა. სულ ახლოსაა კვიპაროსები... ღრმად ვისუნთქავ ოდნავ ძლაში, გრილ ჰაერს. თვალებით კი ხარბად ველამუნები ზღვის სილურჯეს. ვდგავარ გატრუნული, აღელვებული. მოღლილი მზე კი თავის უჩინარ ბადეში მახვევს ნელ-ნელა. მოღლილი მზე... მეც დავიღალე, ძალიან დავიღალე ფეხით ხეტივით...

– შენ რატომ არ ემზადები? – მომესმა ნინიკოს ხმა.

– ვემზადები? რისთვის? – იგი ღია კარში დგას და პირსახოცით სახეს იმშრალებს.

– როგორ რისთვის? კაფეში არ ჩავიდეთ? არა გშია?

– იცი, არაფრის თავი არა მაქვს. ძალიან დავიქანცე.

– კარგი ერთი. ნუ ხარ შენ ასეთი... – მერე ჩაიციხა, არა, ჩაიციხა კი არა, კატასავით ჩაიკრუტუნა და თვალი ჩამიპაჭუნა: – იმ შავტუნა უნგრელს მგონი მაგრად მოეწონე, ხომ იცი.

– აბა უნგრელი?

– ვითომ არ იცი. თავს ნუ იკატუნებ! ხომ იცი, მე არაფერი გამოიმეპარება. ის უნგრელი ჩუმ-ჩუმად სულ შენ გითვალთვალებდა.

– უჰ!

– უჰ, არ უნდა ამას!

– რა მაქვს, გოგო, მოსაწონი?

– არ ვიცი. სხვათა შორის, ჩემს ამხანაგებს ყველას ძალიან მოსწონხარ.

– არ გადამრიო ახლა! – დავიჭყანე მე.

– ბევრს ნუ ლაპარაკობ, ჩქარა გამოეწყვე. თუმცა, ეს კაბა გეცვას. ძალიან გიხდება!

ნინიკო თან ლაპარაკობს, თან კოხტავდება და წარამარა სარკის წინ ტრიალებს.

– მე არსად არ მოვდივარ. – ვთქვი და საწოლზე გადავწექი. ხელები თავქვემ ამოვიდე.

მოვწონვარ არა! ჯერ ერთი, ნინიკოს გვერდით როგორ შეიძლება ვინმეს მოვეწონო და მეორეც... იმ უნგრელისათვის ხეირიანად არც შემიხედავს. ორი სიტყვაც არ მითქვამს; ისე, რასაკვირველია, მეც შევამჩნიე ის ბიჭი. წვრილი, მოგრძო შავი თვალები ჰქონდა,

ოდნავ მონდოლური ტიპისა. მაღალ, მოსხლეტილ ტანში ძალა და ენერგია იგრძნობოდა. ყოველივე ეს ელვისუსწრაფესად, ერთი თვალის შევლებით აღვიქვი. მორჩა და გათავდა. მერე ერთხელაც არ გამიხედავს მისკენ.

ისე, რაღაცნაირი აუხსნელი ალღოთი ვიგრძენი, რომ... იმ ბიჭს თვალში მოუვედი, რომ იგი დროდადრო ჩემკენ აპარებდა მზერას. საერთოდ, ყოველთვის გულწრფელად მიკვირს, როცა ვიღაცას მოვეწონები. მართალია, ეს ამბავი თითქოს მსიამოვნებს, როგორც ყველა ქალს ალბათ (მე მგონი, ვაჟსაც არანაკლებ სიამოვნებს ქალს რომ მოეწონება იგი) და მაინც... ყოველთვის გაუგებარია და აუხსნელი თითქოს ეს ამბავი. არ ვიცი, რატომ მომდის ასე.

ნინიკო თავზე დამადგა.

– შენ რა, მართლა არ აპირებ წამოსვლას?

მე მხოლოდ თავი გავიქნე უარყოფის ნიშნად. და კვლავ ჭერს ვავუშტერე თვალი.

– ცისო! – შემაჯანჯღარა, – გეყოფა ახლა. ნუ ბავშვობ. ცივი წყალი შეისხი სახეზე და ხელად გაგივლის დაღლილობა!

ჯიუტი სულ არა ვარ, მაგრამ ამჯერად ჩემს, ასე ვთქვათ, გაკერპებას სხვა საფანელი აქვს. არ მინდა იმ ბრწყინვალე მარაქაში გარევა, მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა. მთავარი და ხელშესახები არგუმენტი, ცხადია, დაღლილობაა.

და მაინც ვედარ გავეუძელი ნინიკოს შემოტევებს, ზღაზღნით წამოვდექი, ხელ-პირი დავიბანე და სარკეში ჩავიხედე.

არასოდეს განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია ჩემი გარეგნობისთვის. არც ჩაცმა-დახურვისთვის შემიწუნებია თავი მაინცდამაინც.

ახლა, სარკეში რომ ვუყურებდი ჩემს სახეს, მეუცნაურა ჩემივე თავი. თითქოს სულ სხვა ვიღაცა იცქირებოდა სარკიდან გაბრწყინებული თვალებით, აფეთქებული სახით....

...კაფეში მე ნინიკოსა და ერთი სათვალთან, მაღალი გოგოს შუა აღმოვჩნდი. ჩემს პირდაპირ იანოში იჯდა. რამდენჯერაც ავიხედავდი, იმდენჯერ მის მომლიმარე თვალებს ვაწყდებოდი. ამიტომ ვცდილობდი მისკენ არ გამეხედა.

უცებ იანოში მაგიდაზე გადმოიხარა და ნინიკოს რაღაცა უთხრა. ნინიკომ გაიცინა და მე მომიბრუნდა: – იანოში მსაყველურობს, შენი და მარტო ტუჩებს აკარებს ჭიქასო. ერთი ჭიქა მაინც გამოცალე, გოგო. ნუ გეშინია, არ დაგათრობს. ვერ ხელავ, გადარიე ბიჭი!

შამპანური ძალიან მიყვარს და, ერთი ჭიქა კი არა, ბარე ორიც დავლიე; უხერხულად ვიღიმები და არაფერს ვამბობ.

რაღაცნაირად ვგრძნობ, რომ ამ ბიჭს მართლა მოეწონვარ, და მაინც... გულწრფელად მიკვირს: როგორ შეიძლება ნინიკოს გვერდით ვინმეს მოვეწონო-მეთქი.

იანოში კვლავ იხრება ნინიკოსკენ... იგი კვლავ იცინის და მერე მე მითარგმნის მის ენამახვილობას. იანოში უჩუმრად თვალს მადევნებს და როცა მეც გამეცინა მის ნათქვამზე, კმაყოფილმა თავადაც გაიცინა. ვგრძნობ, ყველაფერი, რასაც ის ამბობს, ჩემს გასაგონადაა ნათქვამი.

ცხადია, ჩემთვის სულ ერთია, რა მოყვება ამ ამბავს. ან რა უნდა მოჰყვეს? დილით, როცა გემი მოშორდება ნაპირს (ხვალ უთენია მიდიან თურმე გემით ოდესაში, იქიდან კი სამშობლოში), ეს წამიერი ნაცნობობა თუ გატაცება ნისლივით გაიფანტება...

ამჟამად, ამ წუთს კი ყველაფერი მაინც ლამაზია, ძალიან ლამაზი და კარგი. კმაყოფილი ვარ და მიხარია. რაღაც ძალიან მიხარია. ამ სუფრაზე მე მშვიდად და უშფოთველად მიცემს გული, რაც უეჭველად ჩემი თავისადმი რწმენის შედეგიცაა, ასე ხშირად რომ მაკლია ხოლმე სხვა დროს.

უცებ, რატომღაც 56 წლის ტრაგედიები მახსენდება... თითქოს ჩვენს დღეში არიან და მაინც... უნგრეთი – ევროპა! ეჰ. თავს ზევით ძალა არაა!

დარბაზში ბევრი უცხოელი ზის, ორკესტრიც უცხოურ მუსიკას აცოდვლებს, ძალიან მინდა იყოს რაღაც ჩვენი, ჩვენეული, რაღაც მოეწონოთ ამ უცხოელებს, რაღაც დაინახოს, რაღაც იგრძნონ...

სულ ტყუილია. მხოლოდ უხეირო მიბადგაა იმათი: ტლანქი, გაუჩორკნავი და სხვა არაფერი.

ნინიკო საცეკვაოდ გაიწვიეს. ჩემს გვერდით მჯდომი ინგაც წამოდგა. უცებ გული ამიკანკალდა. ვაითუ, ჩემთანაც მოვიდეს

ვინმე. ვიცი, არაფრის გულისთვის არ გავყვები და თან გული მელევა, ვაითუ, არავინ მოვიდეს!.. და ამ დროს ერთი „ჩვენი“ უნგრელი-ქერა, მაღალი ბიჭი მეპატიჟება...

გულზე მომეშვა და... თავი გავიქნიე (ჩემი მეორე „მე“ კი მიყურებს შორიდან და დამცინავად ქირქილებს).

იანოში ჩუმად ზის, გამალებით ეწევა სიგარეტს და მაგიდისთვის დაუშტერებია თვალები. ის ბიჭი რომ მოვიდა ჩემთან, წამით თავი ასწია, დადარაჯებული, ყურადღებიანი მზერა ჰქონდა. როცა უარით გავისტუმრე, ისევ დახარა თავი.

გული მითქვამს, იანოში მოვა ჩემთან და გამიწვევს საცეკვაოდ, აუცილებლად გამიწვევს.

წაყვები? ალბათ არა. ალბათ კი არა, ნამდვილად არ გავყვები. ჯერ ერთი, მე არ მიყვარს ეს მანჭვა-გრეხა, ცეკვას რომ ეძახიან (ასე შეიძლება თავი მოიგიჟიანო ძალიან ვიწრო წრეში; საჯაროდ, სახალხოდ კი...) და შემდეგ:

ეს გამიშვლებული ვნება თუ ჟინი პირველყოფილ ადამიანს უფრო შეჰფერის, ვიდრე თანამედროვე ცივილიზაციის ნაშიერთ – რაფინირებული სულის მქონეთ. თუმცა... ვინ უწყის, იქნებ ეს პირველყოფილი ბუნებრიობა სჯობდეს პირობითობით შეზღუდული თანამედროვე ადამიანის უუფლებობას, რასაც განათლება, კულტურა, ცივილიზაცია ჰქვია! იქნებ... სულაც ესაა ადამიანი? ეს თავაწყვეტილობა, ზღვარდაუღებლობა ემოციებისა?

– თქვენ რატომ არ ცეკვავთ, ცისანა? – დამტვრეული რუსულით მეკითხება იანოში და ჯიქურ მიყურებს თვალებში. მე მხრები ავიჩეჩე, გავილიძე.

– არ გიყვართ ცეკვა?

კვლავ გავილიძე და არაფერი მიუუგე.

– ო, გასაგებია, თქვენ არ მოგწონთ ეს ცეკვა. იცით, არც მე მომწონს.

უნებლიე გაოცება გამომეხატა სახეზე.

იანოში გაჩუმდა.

თითქოს მოცეკვავეებს ვუმზერ, გულისყური კი ჩემი მეზობლისკენ მაქვს.

„რას მომჩერებია, ნეტავი? რა გააწყალა გული!“

ასეთი მუსიკა ძალაუნებურად აღვიძებს ადამიანში ველურ ინსტინქტებს, რომელიც უთუოდ თავაწყვეტილ როკვაში უნდა გადავიდეს. მე კი სულ არ მინდა ამ განწყობილებას ავყვე ახლა. უნებურად დაძაბულ-დამუხტული ვზივარ და ვნატრობ, მალე გათავდეს ყველაფერი.

მუსიკა შეწყდა. მოცეკვავენი თავთავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. ნინიკო მისმა უცხოელმა კავალერმა მოაცილა ჩვენამდე.

იანოში უცებ წამოდგა და ორკესტრისკენ წავიდა. სპორტულად შეკერილი ხაკისფერი ხალათი აცვია, სახელოებაკრეფილი. თხელი ბიჭია, მოქნილი, ელასტიური. ნინიკომ უცებ გადამიჩურჩულა: — შენ რომ არ იყო, შეგეცდილებოდი ნალდად.

შევხედე. იგი უცნაურად იღიმება და სიგარეტს აბოლებს.

იანოში მობრუნდა და თავის ადგილზე დაჯდა. თვალები ეშმაკურად უელავს. რალაც გადაულაპარაკა თავის გვერდით მსხდომთ. მერე ნინიკოს უთხრა რალაცა. ნინიკო ისევ ისე იღიმება, თავისებური, მომხიბვლელი ღიმილით.

უცებ ...არაბული ტანგოს მღორე, ზანტი ჰანგი მოეფინა დარბაზს! კვლავ წამოიშალნენ საცეკვაოდ.

იანოში ადგა, ჩემთან მოვიდა, დაიხარა;

— გთხოვთ... — წამით დაბნეულმა ავხედე მის სერიოზულ სახეს. და...

...თითქოს სხვისი თვალით აღვიქვამ ელექტრონის შუქით გაბრდღვრიალებულ დარბაზს, წყვილებს, ტანგოს ტაქტზე რომ ირწევებიან და ჩემს თავს — ამ უცხო, უცნობ ვაჟთან მოცეკვავეს.

...დარბაზში თითქოს მარტო ჩვენ ორნი ვართ და... არის სითბო. უჩვეულო სინაზე და გაზაფხულის თბილი წვიმასავით შხაპუნა სინარული.

— ცისანა!

ვფხიზლდები.

— დიახ.

თვალეებში ვერ ვუყურებ იანოშს. შიგ ისე აშკარად ირეკლება ოდა ვაჟის გულისთქმა, რომ ვამჯობინე თვალი ამერიდებინა.

– იცით... თქვენ შესანიშნავად ცეკვავთ, ცისანა! – მეუბნება იანოში, ვინ იცის რამდენჯერ თქმულ და გაცვეთილ, ბანალურ სიტყვებს და მე მაინც ვწითლდები. რა მოცეკვავე მე ვარ? ამ ასხლეტილ ვაჟკაცთან ხომ სულ დალეული ვჩანვარ, ალბათ. მხრებამდე ძლივს ვწვდები: ჩემი „ძალიან მაღალი ქუსლებიც“ ვერ მშველის. მაგრამ თვითონ მართლაც ჩინებული მოცეკვავეა და მეც კარგად მაცეკვებს. მისი სიტყვები, ცხადია, ქათინაურია მხოლოდ და... იქნებ, სხვა რამის შესავალიც.

– ცისანა... რა კარგი სახელი გქვიათ, ლამაზი, უჩვეულო... „ხომ ვთქვი? დაიწყო...“

– ნამდვილი ქართული სახელია – ვამბობ იმას, რაც ენაზე პირველად მაღვება.

– დიახ, დიახ. ქართული. მე ისეთი ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა საქართველოზე, ამ ზღაპრულ ქვეყანაზე, ზღაპრულ ხალხზე... ვგრძნობ, იანოში დაჟინებით ეძებს ჩემს მზერას, მე კი მშვიდი იერით სადღაც მის მხარს ზევით ვიყურები და...

„დროა შეწყდეს... აღარ მინდა, აღარ მინდა ეს ამბავი“.

– ცისანა იცით... – იანოშს ენა ებმის და ვგრძნობ, ეს მარტო ენის უცოდინარობით არ მოსდის ახლა: – იმდენი რამ მინდა გითხრათ და... ველარ ვახერხებ...

„ყველაფერი თქვეს შენმა თვალებმა იანოშ ფარკაშ! ენის ცოდნა აუცილებელი არ ყოფილა“.

გადაჭრით დავადე ხელი მკლავზე და ამ დროს მუსიკაც შეწყდა.

...ჩვენი მაგიდისკენ რომ მოვდიოდით, შორიდანვე თვალი ვკიდევ ნინიკოს მომღიმარე სახეს. ავიწურე. თითქოს რაღაც დანაშაული ჩამედინოს. იგი ალბათ ასეთ მომენტს არ გაუშვებს და...

წელზე ხელი შემომხვია და თავის გვერდით დამსვა. მერე დაიხარა და ჩამჩურჩულა: – რომ იცოდე, რა კარგი ხარ ამ საღამოს! ეს კაბა მაინც გხატავს, ისეც ფერიასავით ნაზსა და სიფრიფანას.

მაღლიერი და გაოცებული თვალებით ავხედე.

...ინგა რივიერას და საქართველოს ზღვისპირს უდარებს ერთმანეთს და უპირატესობას ამ უკანასკნელს აძლევს აშკარად. და

საერთოდ, ინგაც, იანოშის არ იყოს, მეტისმეტადაა ალტაცებული ჩვენი შავიზღვისპირეთით.

ისევ უკრავენ საცეკვაოს. ნინიკო წამოდგა, იანოშს მხარზე ხელი დაადო, თან მე გადმომხედა. გამიცინა. აქაოდა, ხომ არ ეჭვიანობ, მე რომ ასე მეგობრულად, ძმაკაცურად ვარ იანოშთანო.

„ისე, თუ მოვინდომე, ხომ იცი?“... – მიცინის თვალებით.

„ო, რასაკვირველია, შენ ხომ ყოვლისშემძლე ხარ, ნინიკო! განა არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის სულერთია... მერწმუნე, ყველაფერი სულერთია“, – გავუცინე მეც.

ჰო, თითქოს სულერთი უნდა იყოს, მაგრამ უცებ, თვით ჩემთვისაც მოულოდნელად, გული მომეწურა.

რატომ? რა სისულელეა? აკი არა აქვს მნიშვნელობაო...

იანოში წამოდგა, სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა და ნინიკოს გაჰყვა. მე საჩქაროდ ინგასკენ მივებრუნე თავი.

...მეტისმეტი ცხოველი ინტერესით ვუსმენ ინგას და ჩემდა გასაოცრადვე საკმაოდ აზრიანი შეკითხვებით წარვმართავ საუბარს. ინგაც როლშია შესული და თავისი დამახინჯებული რუსულით ყვება შთაბეჭდილებებს. ერთი უნგრელი ვაჟიც უერთდება ჩვენს საუბარს. როგორც ჩანს, არც მას ეპრიანება ახლა ცეკვა.

ვცდილობ, არ გავიხედო მოცეკვავეებისკენ.

– აქ ისეთი თვალისმომჭრელი, კაშკაშა მზეა, ისეთი ლურჯი ცა, როგორიც არსად მინახავს, არც ერთ ქვეყანაში. ხომ მართალია, მატიამ?

– იტალიაშიც არ არის ასეთი ცა... – კვერს უკრავს მატიამში.

ცეკვა დამთავრდა. და როცა ჯდებოდა, ნინიკომ კვლავ მოძებნა ჩემი თვალები (ვიცი საგანგებოდ). და მეტისმეტად უმანკოდ, მეტისმეტად გულუბრყვილო ღიმილით გამიღიმა. მეც გავუღიმე, ოღონდ არ ვიცი, როგორი ღიმილი იყო, რანაირი. საერთოდ, ცუდი „მსახიობი“ ვარ და გულის ზრახვის დაფარვას მაინცდამაინც ვერ ვახერხებ და... ხშირად არც მსურს. ადამიანი ის უნდა იყოს გარეგნულადაც, რაც შინაგანადაა. და რადგან მე არ შემიძლია სიყალბე და თვალთმაქცობა, ვერც სხვაში ვიტან ამ თვისებას;

...იანოში კვლავ ჩემს პირისპირ ჯდება. ვცდილობ, არ ვუყურო. ნინიკო რაღაცაზე უდარდელად კისკისებს, ერთდროულად

ელაპარაკება სუფრის რამდენიმე წევრს.

სქელ-სქელმა, სათვლიანმა უნგრელმა ისევ კარგი შეხვედრების სადღეგრძელო წარმოთქვა... დანარჩენებმა ერთხმად აიჭაცეს ეს სადღეგრძელო. ერთბაშად დაიცალა სასმისები. მეც ცოტა მოვსვი და ჭიქა ისევ მაგიდაზე დავდგი.

ნინიკო იანოშს. რაღაცას ეკითხება, ალბათ, შენ რატომ არ სვამო. იანოშს მკლავები მაგიდაზე დაუწყვია ისევ ისე, სავსე ჭიქას მიშტერებია. და... ჩუმადაა. მერე თავი აიღო ერთბაშად, თითქოს მხოლოდ ახლალა გამოფხიზლდაო, ჭიქას წამოავლო ხელი, მერე ჩემსკენ გადმოიხარა:

– მე თქვენს სადღეგრძელოს ვსვამ, ცისანა...

გაოცებით შევხედე: – ჩემი და ნინიკოს სადღეგრძელო აკი ერთხელ უკვე შეისვა?

– მე კიდევ ვსვამ... ხომ შეიძლება? მე კიდევ მინდა დავლიო თქვენი სადღეგრძელო, ცისანა...

მხრებს-ლა ვიჩეჩავ. ვერაფერს ვამბობ. ეს ხომ ქართული სუფრა არაა თავისი განსაკუთრებული წესრიგით და კანონებით და არც თამადის... სიმკაცრით?

– აილეთ თქვენი ჭიქა, ცისანა!

მე უანგარიშოდ შევასრულე მისი ბრძანება.

ჭიქა ჭიქასთან მოიტანა, წამით მონუსხულივით შევაცქერდი სახეში.

– ბოლომდე უნდა გამოსცალოთ, ბოლომდე! – გაისმა აქეთიქიდან და ახლალა შევნიშნე: თურმე ყველა ჩვენ გვიყურებს: მე და იანოშს შემოგვცქერიან.

უნებურად ნინიკოს შევხედე. მას ოღნავ, ოღნავ მოუწყურავს თვალები და... იღიმება თავისებურად, უცნაურად.

...კაფედან გვიან წამოვედით. თითქმის ყველამ გამოგვაცლია. იანოში კი ჩვენი სართულის დერეფნამდე ამოგვყვია. ხმას არ იღებდა.

ხვალ უთენია გემი გავა პორტიდან, მორჩა. სამუდამოდ წავიდა ეს საღამო. სულში კი რაღაცა დულს... და რომ დამალო ის „რაღაცა“, – იღიმები. და გიხარია კიდევ, რომ ყველაფერი დასრულდა, გათავდა, მორჩა! რომ ხვალ დილიდან მოგონებალა შეგრძება ამ საღამოსი, სიზმარივით ბუნდოვანი და გაურკვეველი მო-

გონება... მოგონება და, კიდევ რაღაც აქამდე უცნობი, მიუკვლეველი, რაც შენში ყოფილა თურმე;

* * *

...გამთენიისას ძლივს წამთვლიმა.

– ცისანა, ცისანა, გაიღვიძე!

ნინიკო დამდგომია თავს და მანჯღრევს.

– რა მოხდა? სადა ვართ? – ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულვარ ძილისაგან.

– ცისო, ფოიეში იანოში ზის!

უცებ გამოვფხიზლდი, წამოვჯექი.

– იანოში?! რას ლაპარაკობ? აკი... აკი წავიდა გემი?

– გემი კი წავიდა, მაგრამ იანოში არ წასულა.

– ?!

– ვერ გაიგე, გოგო? იანოში დარჩა-მეთქი, გეუბნები.

– რატომ? კი მაგრამ... რატომ? – უაზროდ ვეკითხები ნინიკოს თვალბედაჭყეტილი. იგი მრავალმნიშვნელოვნად იღიმება.

– ეგ შენ თვითონ გამოარკვიე. შენი ნახვა უნდა... სხვათა შორის.

– ჩემი ნახვა? – ნერვიულად ვისვამ ხელს ყელსა და ლოყ-აზე. მერე ისევ ლოყასა და ყელზე. ტვინი კი გამალებით იწყებს მუშაობას. დარჩა? ღმერთო ჩემო...

ანაზღად ნინიკოს მიწვდა ჩემი მზერა. იგი გამგებიანი, ალერსიანი ღიმილით მიყურებს. და უცებ... ვმშვიდდები, ჩემდა გასაცრადვე, სიმშვიდე მეუფლება.

– არსადაც არ ჩავალ! – ვთქვი და კვლავ საწოლში შევწექი. საბანი ნიკაპამდე წავიხურე. თვალეები მაგრად დავხუჭე. გული მაინც მიცემს აჩქარებით, გულის ცემას ვერ მოვერიე.

„რად მინდოდა ახლა ეს მე? რად მინდოდა? რისთვის, რატომ?“

– შენ გესმის რას ლაპარაკობ? – ნინიკოს თვალეები უფართოვდება, სახე ახლოს მოაქვს ჩემთან: – რას ჰქვია, არ ჩავალ? ბიჭი შენი გულისთვის დარჩა!

– მერე?

– რა მერე? – ნანიკოს არ ესმის ჩემი ან არ უნდა გამიგოს.

– მერე-მეთქი? რომ ჩავიდე, რა მოხდება ამით?

– დიდებული ბიჭია. განათლებული, კულტურული. შენ გგონია, ვერ დაგადგინე-ვინ არის, რას წარმოადგენს – დედისერთა ბიჭია. ინჟინერი. ბუღალტერში ცხოვრობენ. შენ ხომ უნგრელები და პოლონელები, ვიცი ძალიან გესიმპათიება. ჩვენნაირი ტრაგიკული ხვედრის ხალხებიანო. 56-ში ჩვენსავით გადაუარეს მათაც წითელმა ფაშისტებმაო. ჰოდა, აკი ერთი შესანიშნავი უნგრელი გამოჩნდა...

– მერე?

– რა დაგიჩემებია, გოგო, ეს მერე, მერე? – გაცეცხლდა ერთ-ბაშად იგი. – თუ არ გინდა, ძალას არავინ დაგატანს. იყავი და იცხოვრე ილუზიებით, როგორც აქამდე და... იმეცნიერ-იმუშაკე!

წამიერი პაუზის შემდეგ ისევ დაიწყო:

– კი ბატონო. შენ არავინ მოგცემს შენს ასაკს, მაგრამ... ოცდაათ წელს ხომ მიუკაკუნე უკვე?.. შენ რა, შინაბერად გინდა დარჩენა?

– რა უჭირს მერე... საქართველოში ცოტაა განა გაუთხოვარი ქალი? რამდენიც გინდა, ხომ მართალია? ჰოდა, ერთი მათგანი მე რომ ვიყო, რა დაშავდება ამით?

– არა, შენ ნორმალურად მიგაჩნია მერე ეს ამბავი?

მხრები ავიჩიჩე: – ზოგი რამ ქალზე არაა დამოკიდებული, ეს ხომ შენც იცი.

– არაფერი ვიცი მე. ახლა... ქალების აქტიურობის დროა, მით უმეტეს, როცა...

– რატომ გაჩუმდი? მით უმეტეს, როცა ასეთი შანსი გამოგიჩნდაო, არა?

– თუნდაც. სასიამოვნოა, ვიღაც-ვიღაცეებმა, შენს ფრჩხილად რომ არა ღირან-იქილიკონ და რაღაც არასრულფასოვნებას... გაუსვან ხაზი? არადა, ჩვენს სნობისტურ ქვეყანაში ხომ ასეა?

– ჩვენს სნობისტურ ქვეყანაში, – სიტყვა ჩამოვართვი – გააჩნია, ვინ როგორ საზღვრავს. ერთი ინგლისის დედოფალი ელისაბედი იყო არასრულფასოვანი პიროვნება!.. ისე, რომ იცოდე, ქალი თუ გათხოვდება კარგია, თუ არა – მით უკეთესიო, უთქვამთ ძველად...

– ეუჰ! თქვა რუქამ არაკი...

– რუქამ კი არა, პავლე მოციქულმა ბრძანა ასე.
– კი, მაგრამ... რატომ? შენ რა, მონოზნობას აპირებ?
– იცი, ნინიკო, არის ერთი გარემოება... ისე, შენ რატომ ცხარობ ასე, გენაცვალე? გაუთხოვრობის საფრთხე, მე მგონი, შენ არ გეშუქრება.

– ისლა მაკლია გაუთხოვარი დავრჩე!.. მე შენს გამო მომდის ბრაზი... ხომ იცი, შენ მარტო ბიძაშვილი არა ხარ ჩემთვის... მე...

– ვიცი, ვიცი, მაგრამ... თბილისის გარდა, მე სხვაგან ვერ ვიცხოვრებ – ეს გამოცდილი მაქვს უკვე! და საერთოდ... ჩემიანების გარეშე არსებობა ვერ წარმომიდგენია სხვაგან!..

– ეუჰ! პატრიოტიზმის მოტივი... ჭ. პ. ყ.-ს შემოქმედებაში!.. არ გავცვლი სალსა კლდეებსა...

– ნინიკო, ნუ მატრებაზობ. ისე... შენ მსახიობი უნდა გამოსულიყავი, საცა სამართალია!

– რა ატამი, რი ატამი, არა? შენ გეცინება, მაგრამ... ჩვენ ისეც მსახიობები ვართ ყველანი. განსაკუთრებით კი – ჩვენ, ქალთა ჯილაგი!.. თუძცა... არც მამაკაცები არიან, მგონი ნაკლებნი.

– გეთანხმები. მაგრამ... ზოგი უფრო ნიჭიერია, ზოგი – შედარებით უნიჭო. მე, მაგალითად, უნიჭო გახლავართ ამ პროფესიაში.

– ჰოდა, მაშინ უპრიანია, უნიჭომ ზოგჯერ ნიჭიერს – დაუჯეროს, თუნდაც იგი ასაკით მასზე პატარა იყოს. არა, ერთი ეს მითხარი, უცხოელი მაშინ არ იყო, თვალებს რომ ნაბავდი მის მკლავებში? ჰა, თავს რატომ იკატუნებ? რატომ ცრუობ? ხომ ცხადია, შენც რომ მაგრად დაგევასა იანოში?

– მოწონება სხვაა, სიყვარული კიდევ – სხვა! ესეც არ იყოს...

– მოიცა, მოიცა თუ და ხარ! დიდი, ნამდვილი სიყვარული ისეთივე იშვიათობაა, როგორც ბრილიანტი. მგონი, ასე აქვს ნათქვამი შენს საყვარელ მწერალს ნიკო ლორთქიფანიძეს... დანარჩენ შემთხვევაში... ადამის და ევას მოდგმის უმეტესობა მოწონებით თხოვდებოდა და მოწონებით ირთავდა ცოლს! ასე იყო ათადანბაბადან და ასეა დღესაც!.. ძველად, არც მოწონებას დაგიდევდნენ. მშობლების ნება-სურვილზე იყო ყველაფერი დამოკიდებული.

– და ხანუმაზეც!

– ხანუმაზეც. კი ბატონო. იცინე შენ, იცინე და ასე კი იყო.

– იცი, ახლა ძალიან მაგონებ ლუბა ბეზის...

– მისი შვილიშვილი ვარ. რაა გასაკვირი? სხვათა შორის, ან-იკო ბიცოლაც ანუ დედაშენიც – ამავე აზრისაა.

– ნინიკო, ჩემო საყვარელო, ხომ ხარ ჩემზე უმცროსი ერთი შვიდი წლით მაინც? თანაც ნიჭიერიც ბრძანდები ჩემზე. ჩადი ძირს და... უთხარი იმას... იანოშს, რომ...

– არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში არ ჩავალ!

მე თვალი თვალში გაუფყარე. მან მზერა დახარა. ხმას დაუწია და განაგრძო: – ეგ... რა ზრდილობაა ბოლოს და ბოლოს: იმას შენი ნახვა უნდა, შენთან ლაპარაკი და არა ჩემთან. და საერთოდ, რა დაშავდება იმით, რომ შენ თვითონ ჩახვიდე და ნორმალურად ესაუბრო? რა, ძალას დაგატანს... თუ?

„მე გამიჭირდება, გოგო. გესმის? გამიჭირდება!“ – ეს გულში წარმოეთქვი, ხმამაღლა კი ვუთხარი: – ნინიკო, ჩახვალ და ეტყვი, რომ... მე შეუძლოდ ვარ, რომ... მოკლედ, ის მიხვდება...

– ხო, ხო, ხო, რა არგუმენტია – ქვას გახეთქავს! – გამიტრი-ზავა ნათქვამი დამცინავი სიცილით: – ქეთო ავად არისო...

– ნინი, თუ ღმერთი გწამს, შემეშვი... – და ანაზღად, ჩემდა უნ-ებურად, ცრემლი მომაწავა თვალებზე.

ნინიკო გაშრა. გახევდა. ალბათ არ მოელოდა ჩემგან ასეთ რეაქციას. მე უცებვე ავიყვანე თავი ხელში:

– კარგი. მე ჩავალ! მე დაველაპარაკები! – განვაცხადე მტკიცე ხმით და სწრაფად, თვით ჩემთვისვე გასაოცრად, სწრაფად მოვწეს-რიგდი გაოგნებული და მზერაგადარაჯებული ნინიკოს თვალწინ.

კარისკენ რომ გავემართე, გონსმოსულმა ნინიკომ უცებ დამა-დეგნა:

– კაი. კაი, მე ვეტყვი სათქმელს... შენი ამბავი რო ვიცი, ნა-ჯახნივით გასჭრი. ცოლოა ბიჭი!

– არა. მე ჩავალ! – ცივად მოვჭერი და სახეზე შეუვალი გამომეტყველება ავიხატე.

...კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, შორიდანვე თვალი კვიდე იანოშს. იგი სიგარეტით ხელში, ფოიეში მიმოდოდა.

ჩემს დანახვაზე უცებ შედგა.

ღმერთო!

ასეთი თვალებით აქამდე არავის შემოუხედავს ჩემთვის. არავის!
და არც არავის გახარებია ასე ჩემი დანახვა. არც ერთ სულიერს.
ღმერთო!
როგორ მოვიქცე?
„რა, რა უნდა ვუთხრა?“

ბჟღლი მინიატურები

ჩადიპყლი სავლაყჭი

„წმ. გიორგი“

(ტერენტი გრანელს)

ნელა მიეუყევი ასაკიბ-დასაკიბ ბილიკს.

გორაკის წვერზე წამომართული მომცრო საყდრის გუმბათს შორიდან მომწვანო-მოლიბრო ფერი გადაჰკრავს.

თუძცა აპრილის მზე თვალისმომჭრელად კაშკაშებს, ხანდახან ისეთი სუსხიანი სიო წამოუბერავს, ლოყებზე ბუსუსები მეშლება. შემცივნული, უნებლიეთ ვიბუზები და ლაბადის საყელოს მალლა ვიწევ. ფიქრები დამფრთხალი ჩიტებივით აქეთ-იქით გამირბიან.

ამ ბილიკზე ამოდოდა ალბათ ისიც, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ. არაფერი დარჩენილა აქეთკენ მისეული. ნასახლარი ჯგანარსა და ეკალ-ბარდებს დაუფარავს. ერთადერთი ბებერი მავნო-ლია დგას ეულად. მიუსაფრობისა და უპატრონობის იერი გადაკვრია აქ ყველაფერს, როგორც მის საფლავს თბილისში.

სულისმოსათქმელად ვჩერდები წამით. ირგვლივ მყუდროება და სიჩუმეა ისეთი, გულს რომ ესალბუნება „ჩელას“ ჰანგივით. თითქოსდა შენში შემოდის ეს სიჩუმე, ან უფრო სწორად, შენ, შენდაუნებურად, თანდათან შედიხარ ამ ღვთაებრივ მღუმარებაში, და სულ-ხორციანად იძირები მასში.

...ბილიკს რომ შეეუდექი, ისეთი შეგრძნება გამიჩნდა უცებ, თითქოს პოეტის ლანდი ამედევნა კვალდაკვალ. ხან წინ გამისწრებდა, ხან გვერდით მომდევდა, ხანაც უკან მოლასლასებდა ქანცვაწქვევტილი. მისი დაღლილი გულისფეთქვაც კი ცხადად მესმოდა.

გზაწვრილზე, მოსახვევში მოულოდნელად პატარა, ანცი ბიჭუნა გადამიდგა. ოქროს კულულებს ნიავი უწევწავს. დიდრონ, ცისფერ თვალებში კვიმატი ნაპერწკლები კიანთობენ:

– საით გაგიწევია აქეთ?

შევეურებ განცვიფრებული. მაგრამ... ბიჭი ანაზღადვე გაქრა. თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა.

ზანზალაკების წკრიალი შემომესმა გაოგნებულს.

ვირინდები. ვაყურადებ ამ ხმას, გულის უშორესი მღვიმიდან რომ ამოდის თურმე.

მართლაც, სად მოდიხარ? რატომ? რას დაეძებ ამ უკაცრიელ არემარეში, ღუმილისა და მყუდროების სავანეში?

რა დაგკარგვია ამ ნახევრადღანგრეულ საყდარში, ფრთებდაღწეული გედივით რომ გარჩენილა ბორცვის თავზე?

...ურდულს განზე ვწევ. ჭრიალით იღება მუხის ძველთაძველი კარი. ფრთხილი ნაბიჯებით შევდივარ შიგ.

კედლებზე აქა-იქ შემორჩენილა ფრესკების ფრაგმენტები. თვალებდათხრილი წმინდანები, გადაფხეკილი წარწერები, დახეთქილ-გაბზარული კედლები, მინაჩაღწეული სარკმლები. ობისა და ნესტის სუნი ტრიალებს: – მიტოვებული ნასაყდრალი – მლოცველების გარეშე დარჩენილი სამლოცველო!

აი, ისიც სახელგანთქმული რაინდი – თეთრ რაშზე ამხედრებული, ლახვრით რომ გმირავს ხახადაბჩენილ და დაღვლარკნილ ურჩხულს.

სადღაც ამოვიკითხე, არ მახსოვს ოღონდ სად, ესააო სიმბოლურად სიკეთისა და ბოროტების ორთაბრძოლა. თურმე არც ერთ ფრესკაში არ ჩანს ბოლომდე დალახვრული გველეშაპი. აქაც გაავებულ ქვეწარმავალს თავი აუღერია, თითქოს აინუნში არ აგდებს მხედარს: არა და არა! – არ ეპუება თეთროსანი რაინდის რისხვას.

დიდხანს, რატომღაც ერთობ დიდხანს გრძელდება ეს ჭიდილი. ეგებ... არცა აქვს ამ რკინებას დასასრული? გულგანგმირული ურჩხული ეგებ მართლაც ოცნებაა მხოლოდ? სურვილი და ნატვრაა გულისგულში ნალოლიავები?.. მის შიგნით ამოზრდილი ნატვრის ხეა და... მეტი არაფერი?

თეთრ რაშზე ამხედრებულმა რაინდმა, თეთროსანმა მოყემე აუცილებლად, უსიკვდილოდ უნდა დაამარცხოს გველეშაპი, რადგან ეს ამაყად ყელმოღერებული ვაჟკაცი თავად სიკეთეა და, მაშასადამე, უძლეველია. იგი თურმე ზეცაშიც არის, დედამიწაზეც, შენს გულში ბინადრობს უჩუმრად და ფიქრებშიც რიალებს, იგი დღემუდამ, ნიადაგ, მოუშორებლად თან გახლავს. ისაა თურმე ასე

დაუნდობლად და შეუპოვრად რომ ებრძვის შენში დასადგურებულ სიავეს, წყვილადს, წკვარამსა და ღურღუმელს. იგი ყველგანაა, ყველაშია. ხან დაფარული, უჩინარი, ხანაც გაცხადებული, თვალხილული. შუბოსანი რაინდი... გშველის, გმფარველობს, გიცავს სიბნელისგან, გულის უშორეს კუნჭულებში რომ ჩაბუდებულა. გიცავს გასაჭირის და ფათერაკის ჟამს.

ათასწლეულებიდან მოაგეღვებს იგი მერანს, ათასწლეულებია, იბრძვის ბოროტების დასათრგუნავად – სიკეთის დასამკვიდრებლად ამ ქვეყნიერებაზე.

...იქ, გულის უძირო ფსკერიდან დაძრული ზანზალაკების წკრიალი თანდათან ძლიერდება. საამოდ წკარუნობენ ზანზალაკები: „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო წმინდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ!“

ჯეგე მისარონის – წმინდა გიორგის ნახევრადდაქცეულ საყდარში ვანთებს სანთელს სვეგამწარებული პოეტის სულის მოსახსენიებლად... მერე ვჯდები გალავნის კიდეზე და სევდანარევ მზერას ვავლებ ჩემს წინ გადაშლილ მთის პატარა ბორცვზე შეფენილ სოფელს.

აქეთ წამოსვლის წინ ვფიქრობდი, სურათებს გადავუღებ ამ განწირულ სოფელს-თქო („რეპორტაჟი განწირული სოფლიდან“, ჰმ!), მაგრამ უქმად დამთრევს მხარზე ნათხოვარი ფოტოაპარატი და ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს მომაკვდავის სასთუმალთან ვიდგე და წუთი წუთზე ველოდებოდე მის აღსასრულს, თუმც მომაკვდავსაც და მეც თავი ისე გვიჭირავს, სიკვდილი აქვე ახლოს, კარის ზღურბლთან კი არაა მოძუბგურებული, არამედ სადღაც შორსაა, უსასრულოდ შორს, ცხრა მთას იქეთაა გადაკარგული.

მაშ ასე:

წყალი დაფარავს მალე აქაურობას, წყალი დაფარავს ამ ლამაზ არე-მარეს. წყალი გადარეცხავს უიღბლო პოეტის ნაკვალევსაც და მისი თავისუფალი სული, რომელიც მიელტვოდა არა სიკვდილს და არა სიცოცხლეს, „არამედ რაღაც სხვას“-გაეცლება ამ მიდამოს და ფრთების მსუბუქი ფართქუნით მიაშურებს ცის საუფლოს: გაიხიზნება სამუდამოდ, რამეთუ: „სული ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს, ო, სიბნელეა და გულგრილობა“.

დესი და პანტე

...ერთ ხანს შეურხეველად მიყურებდა მოჭუტული თვალებით, თუმცა კი მითხრეს, თვალიც ჩინებულად უჭრის და სმენაც მახვილი აქვსო, მაინც ისე წავადექი თავზე, ისლით გადახურულ სამზადის „აბარწაზე“¹, ჯორკოზე ჩამომჯდარს და კალათის წვინაში გართულს, რომ უცხოს მიახლოება არ უგრძნია.

მერე... აიზეხეურა. ახალუხის შეხსნილი ღილკილოები ბოლომდე შეიბნია. მეგრული მეჯოგეების ტრადიციული ქუდი გაისწორა, თავზე თოვლივით თეთრ, მოკლედ შეკრეჭილ წვერზე ხელის გული ჩამოისვა და თავაზიანი ღიმილით შემიპატიჟა ოდასახლში. აგერ, აქ თქვენს შორიახლოს მირჩენია-მეთქი, ვუთხარი და სამფეხა სკამზე ჩამოვჯექი.

ერთხანს მღუმარედ შევცქერი ამ ას წელს გადაცილებულ მოხუცს.

გამოხუნებული ცისფერი თვალებიდან თითქოს სულ სხვა სამყარო მიმზერს. მიღმიერი. შეუცნობი. საკვირველი. ამ თვალებში ჩაგუბებულა ამავე დროს უნაპირო, უსაშველო, უკიდევანო სევდამკრთალ ღიმილში დაფერილი. თვალები იღიმიან... მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი ღიმილი...

აი, ეს ღიმილი და თვალები ჩამრჩა ხსოვნაში ყველაზე მეტად ამ ერთიანად დანაოჭებულ, მოგრძო სახიდან. და დაშაშრული, კანდამსკდარი, გრძელი თითები და ისიც, თუ როგორ ეჭირა ლარჯემი² ამ თითებს, როგორ ბავშვივით ესათუთებოდნენ ისინი საკრავს.

წინათ ლარჯემს ქორწილში, ღამის თევებში, ხატობა-დღეობებში და „მონარჭალაფა“³ ღამეს უკრავდნენო, მიაშობდა ბერიკაცი. ადრე ლარჯემი იყიდებოდა თურმე ხობის ბაზარზე „ხობალობა“-ს, რომელიც იმართებოდა აგვისტოს თვეშიო, მარაშინა (მარიაშობა) დღეს, ხობის მონასტერთან. მე არასოდეს გამიყიდა ლარჯემი, ბა-

1 აბარწა – აივანი

2 ლარჯემი – მეგრული სტვირი, სალამური.

3 მონარჭალაფა – ჭიაკოკონობა ღამე, სიტყვა-სიტყვით: რაჩხა-რუჩხი ალქაჯების შესაშინებლად ატეხილი

ბაია, მარტო ჩემთვის ვთლიდი და ჩემი ბიჭებისთვისო. ახლა უკვე კაი ხანია, აღარ ვაკეთებ, ბაბაია. საამისოდ არც ღონე მომდევს და არც თვალი მიჭრის ძველებურადო. ხოლო კარგი ლარჭემი რომ გამოგივიდეს, საგანგებოდ უნდა შეარჩიო ღეროები, მათი სიგრძე-სიგანე, ზომა, შემდეგ ღეროები ხმის მიხედვით უნდა ააწყო.

ცოცხალ მელარჭემეს პირველად ვხედავდი, არც ლარჭემისთვის მომისმენია ოდესმე.

ოლა-სახლიდან გრძელ, თალხ კაბაში გამოწყობილი, ასევე თალხი თავსაფრით თავწაკრული მაღალი ტანის, გამხდარი მოხუცი ქალი გამოვიდა. ფეხზე წამოვუდექი და ისე მივესალმე. მანაც ღიმილით, უფრო სწორად ჩავარდნილი, უკბილო პირის ცმაცუნით და თავის კანტურით მითხრა გამარჯობა. მერე... მეუღლეს გვერდით მიუჯდა და კალთაში ხელებჩაწყობილი, მხრებჩამოშვებული უხმოდ მომაჩერდა.

მე და პანტე ბაბუამ შეწყვეტილი საუბარი განვაგრძეთ. პანტე ბაბუას ბიჭებიც უკრავდნენ თურმე ლარჭემზე და ძღეროდნენ.

ერთად რომ დავსხდებოდით და დაკვრა-სიმღერას რომ დავიწყებდით, ქვემოთ, ჯვარში ესმოდათო, თქვა პანტე ბაბუამ.

– ასე არ იყო, თოლიგე? – მიუბრუნდა ანაზღად მეუღლეს. მან თავის დაქნევით კვერი დაუკრა.

ღმერთო, როგორ ჰკვანან ერთმანეთს? ტყუპებივით არიან. ბე-ბია დესისაც ცისფერი თვალები აქვს. დალეულ სახეზე ეს თვალებიღა შერჩენია ცოცხალი, მეტყველი. ხორცისაგან გაცლილ სხეულს მხოლოდ სული დაპატრონებია თითქოს – უწონო, გამჭვირვალე, პეპელასავით მსუბუქი სული და მიღმიერი სამყაროდან მზირალი ორი პაწია სარკმელი-ჭუჭრუტანა.

ბაბუა პანტე ენაწყლიანი ჩანს, დესი ბებია კი – სიტყვაძვირი, უფრო პირიქითაა ხოლმე მოხუცებულებში.

პატარა ხანში ჩემს წინ ტაბლა გაჩნდა, მერე ღოქით „ოჯალეში“. უხმაუროდ, ნელა, თითქოს, მიწას ფეხს არ აკარებსო, ისე დაფარფატებს ბერდიაციის ძვალტყავად ქცეული, სიფრიფანა სხეული. ასე გგონია, საკმარისია სული შეუბერო და... ბაბუაწვევრასავით გაქრება, გაიფანტება, ჰაერში გაიპნევა, განქარდება.

თანდათანობით მოაქვს ხილი, ჯანჯუხა, ტკბილისკვერი... მერე ფელამუშიც შემოემატა სუფრას. რაკილა უარი არ გამდის, უნებურად ვნებდები მათ მასპინძლობას.

მერე... წესისამებრ ვადღეგრძელებ მოხუცებს, მათ შვილებსა და შვილთაშვილებს, – შვიდ ვაჟკაცს, დიახ, შვიდს როგორც ცოცხლებს, რადგან ვიცი, შვიდივე ვაჟი ომში ჰყავთ დაღუპული, მაგრამ ისინი დღემდე ელოდებიან მათ.

ვის სჭირდება ახლა ლარჭემი? ვინღა უკრავს ლარჭემზეო, კვირობს ნამწყემსარი პანტე ბაბუა და მაინც, როცა ვთხოვე, ხათრი არ გამიტეხა.

სულგანაბული ვუსმენ. დესი ბებიას შორს წასულ მზერაში, მის წყლიან თვალებში დრო და დრო რაღაცნაირი უცნაური შუქი გამოკრთება, თითქოს ღიმილსა ჰგავს იგი და აღარც ღიმილია.

რატომღაც თვალებზე ცრემლი მავწევა. არის რაღაც არამიწიერი, არაამქვეყნიური ამ შორს მზირალ თვალებსა და იმ უჩვეულო ჰანგში, ასე საგულდაგულოდ რომ გამოჰყავს მოხუცს ლარჭემზე. წამით თითქოს წაიშალა ღროის სამანი, თითქოს უშორესი, წარმართობის ხანის მახვამური მუსიკის ენით გესიტყვება იმ გარდასულ ჟამზე, როცა „ჟინი ორთას“ – არსთა გამრიგეს შესთხოვდნენ მოწყალებას, სიკეთეს, ხვავს და გამრავლებას ძველი კოლხები.

ამ მელოდიაში შეიგრძნობა აგრეთვე რაღაც ენით უთქმელი, შეფარული სევდა და სინანული დრო-ჟამის მდინარებაში ჩაკარგულსა და მინავლებულზე, იმაზე, რაც არასდროს მობრუნდება. არასდროს განმეორდება, სულის ხვეულებსა თუ გულის ფსკერზე ჩაღეჭილ იდუმალ ხსოვნაზე, ჩაბინდულ-მიძკრთალებულ ჩხორიაზე.

და დგას ამ გამოხუნებულ, ცისფერ თვალებში უსახზნოდ კაეშნიანი დარდი თუ წუხილი, რისი გამოთქმაც ენას არ ძალუძს, რადგან სიტყვა უძღურ-უღონოა და რასაც მხოლოდ მუსიკის ბგერა, ტკივილამდე შეკუმშული გულის შეყოვნებული ფეთქვა და ძარღვებში სისხლის უჩვეულო აჩქამება თუ გვამცნობს.

...სოფელს რომ აყრიან, ამ დიდებულ, უებრო სილამაზის ჩუქურთმებით დამშვენებულ აივნიან ოდა-სახლს რას უზამენ ნეტა? – ვფიქრობ გუნებაში, – ალბათ დაშლიან სახლს და ისე წაიღებენ.

ან ეგებ რომელიღაც მუზეუმსაც ჩააბარონ, ან ეგება... პატრონმა არ ინდომოს ძველში ცხოვრება და ახალი არჩიოს, ან ეგება?..

ათასი „ეგება“ მიტრიალებს თავში, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ვამბობ, ბოლოს... მაინც მძლევს „ჟურნალისტური“ ცნობისმოყვარეობა, თუმცა, სინამდვილეში „ჟურნალისტური“ არაფერშუაშია, – ადამიანური ცნობისმოყვარეობა მძლევს და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ვეკითხები მოხუცებულ ცოლ-ქმარს, სოფელს რომ აყრას უპირებენ, თუ გაიგეთ-თქო.

– ჰო, ამბობენ... – ბაბუა პანტეს თვალები უვიწროვდება უცებ და ჩიბუნი თითქოს ხელში შეაცივდაო. შეურხეველად ზის.

– ამბობენ კი... – იმეორებს მერე ყრუ, უსიცოცხლო ხმით და ძალუმად ქაჩავს ყალიონს: – მარა... მე... არსად ვაპირებ აქედან წასვლას, ბაბაია.

– როგორ თუ? – ენა მებმევა. სიტყვა მიწყდება.

ახლა დესი ბებია ერევა საუბარში:

– ნანაია შური! ჩვენს ბიჭებს ხომ აქ უნდა დავხვდეთ, სქან სანთელო? აქიდან რაფერ წავალთ, შურიგე?

– კი, მაგრამ?.. – ისევ წავიბორძიკე. წამით ყურად ვარ, მერე: – კი მაგრამ... ხომ წყალსაცავი უნდა აშენდეს აქ, დიდი ელექტროსადგური... – ვჩემდები. ველარ ვამბობ ბოლომდე სათქმელს.

გაოცებისა და უსაზღვრო სინანულის გრძნობა მეუფლება ანაზღეულად.

– ამბობენ, კი... – იმეორებს კვლავ პანტე ბაბუა ისეთი ხმით, თითქოს ეს ამბავი მას სრულებით არ ეხებოდეს. თვალები უშტერდება. სახე კი – თითქოს ეყინება. ქვაკვდება.

– მე და თოლიგე აქ ვრჩებით. სქან სანთელო. აქიდან ფეხს არ მოვიცვლით... ბიჭები რომ მოვლენ, საკუთარი სახლ-კარი ხომ უნდა დავახვედროთ, შემოგვევლე? – დესი ბებია უმანკო, უცოდველი თვალებით მომჩერებია და მილიმის, თითქოსდა მეუბნება მზერით, ბეჩა, ამას რა დიდი მიხვედრა უნდაო.

– მე და ჩემი ქალი ახალ ადგილას აწი ვერ შევევუებით, ბაბაია. ჩვენი მიცვალებულების საფლავებსაც ვერ მივატოვებთ... ჩვენი ბიჭები რას გვეტყვიან, როცა დაბრუნდებიან? რაფერ შევხედოთ

იმათ თვალეში? არა. ჩვენ – მე და ჩემი მეუღლე – აქედან ვერსად წავალთ. ჩვენ – მე და ევა – აქ დავრჩებით!

მზერა მოვარიდე, რათა თვალზე მომდგარი უნებური ცრემლი დაემძალა. გული მტკივნეულად მეწურება.

ვაგლახ! ამ ქვეყნისანი არ არიან ეს საცოდავები. ჰოი, რა უმწონი, უსუსური ჩანან ჩემ თვალში ახლა ეს მოხუცი ცოლ-ქმარი. განა ძალუდთ ამ სუსტ, დაბუნ მხრებს ზიდონ ის ახალი ტვირთი სიმძიმისა – ბედისწერას რომ განუმზადებია ამათთვის?

ჩვენ აქედან არ წავალთო! ჰმ... ან შეიძლება განა ამ საწყლებითვის ახლა იმისი თქმა, ამაოთ თქვენი ზრახვა, რომ უღმობელი გარდუვალობა და აუცილებლობა ზვაკივით მოგორავს და მას წინ ველარაფერი დაუდგება? ვილა შეაჩერებს ამ მეწყერს – ყოვლისწამლევას – ბაბუაწვერასავით უძლური ბერი დიაცისა და ბერი მამაკაცის ნება-სურვილი? ვინ არიან, ან რას წარმოადგენენ იმ „აუცილებლობის“ წინაშე არამცთუ თითო-ოროლა, თუნდაც მთელი სოფლის მცხოვრებთა სიცოცხლე, მათი ბედი, როცა იგი, ეს ღვარცოფი – „ცივილიზაციისა და ტექნიკური პროგრესის“ სახელით წალეკვით ემუქრება მთელ ქვეყნიერებას?

„უკანასკნელი მელარჯემე განწირული სოფლიდან!“ – (წარმოდგენილი მაქვს-რა სახეს მიიღებს ჩემი რედაქტორი ასეთი სათაურით რომ მივეუტან წერილს!)

...სასაფლაოს შორიანლოს რომ მოვდიოდი, უცაბედად თითქოს რაღაც სიმღერას მოვკარი ყური. შევდექი. სმენად ვიქეცი. მაგრამ მალევე ვიაზრე, რომ კი არ მღეროდა, მოთქვამდა ქალი ხმამალა გაბმული ხმით: და როცა „თვალუას“ შინაარსს ჩავწვდი – კანი ამებურძგლა. ვიდექი ერთიანად შეძრული, დაძაბული და... ვუსმენდი: „შვილო, ჩემო ერთადერთო ნუგეშო, ჩემო თვალის ჩინო, – გოდებდა ქალი, – ნუ გეშინია, დედა შემოგველოს, არ დაგტოვებ შვილო აქ – ზურგზე მოვიკიდებ შენს კუბოს და მანამდე სული არ ამომძვრება, ახალ ადგილზე დაგასაფლავებ შვილო – დასაფლავდეს და მიწა დაეყაროს მალე შენს უბედურ დედას. ბებია და ბაბუასაც გადაეცი, ჩემო სიცოცხლე, ჩემო სულისდგმავ, ბიძებსაც უთხარი – არ იდარდონ. არც მათ დაგტოვებ აქ. არც მათ ჩავაძირინებ წყალში. მათაც ზურგზე მოვიკიდებ და გა-

დავასვენებ, შვილო, ახალ ალაგას, აქაურობას გაგაშორებთ, ჩემო თვალისჩინო. ვაი ჩემს დღეს უბედურს, ვაი ამ დღის მოსწრებას“.

მოულოდნელად... თვალწინ დამიდგა ზურგზე კუბოებაკიდებული შაოსანი ქალების დასი, დაღმართს რომ ჩამოუყვებიან ხვნეშით, შიშით. მათი საზარელი მოთქმა-გოდება გულის ძარღვებს მიწყვეტს.

მერე... სასაფლაოდან ერთბაშად წამოიშალნენ თითქოს ხელებგაფარჩხული, თვალებგადამოკარკლული მიცვალებულები და „ღვთის გულისთვის... ღვთის გულისთვის... არ დაგვტოვოთ აქ, ერთი სიკვდილი გვეყოფა... წყალს ნუ მისცემთ ჩვენს ცხედრებსო!..

გვიშველეთ! გვიხსენით, გადაარჩინეთ ჩვენი საფლავები!“

ისე თვალნათლივ ვხედავ ამ ჩვენებას, ისე ცხადად და მკაფიოდ ჩამესმის მიცვალებულთა განწირული, სასოწარკვეთილი ვედრება, ისეთი გამალებით, ძვლების რაჩხუნით, დაკრუნჩხული ხელების საგსავით, ბუდიდან გადმოცვენილი თვალებით მოიწვევენ ჩემკენ, რომ... სუნთქვა მეკვრის. თვალზე ბინდი მეფარება და... პირველად ჩემს სიცოცხლეში ვგრძნობ, რომ გული მიღონდება.

...თემშარაზე გამოსულს, შაშვი ჭახჭახით ამედევნა. სულ ახლოს ჩივის შავი შაშვი... („ნეტამც, არ იყოს ეგრე ლამაზი!“)

აღვის ხე

ჩვენს ეზოში იდგა აღვის ხე – ლამაზი, ტანადი, საოცრად მაღალი. მე მიყვარდა იგი. ძლიერ მიყვარდა. და როგორც ნამდვილი შეყვარებული – ცოტა ეჭვიანიც ვიყავი.

ქარი შეარხევდა მის ტოტებს, ქარი გაიხლართებოდა მის ფოთლებში და მე – ვბრაზობდი. მე მშურდა ქარის. ჩიტები ჭიკჭიკით თავს ევლებოდნენ აღვის ხეს, ჩიტები საალერსო სიტყვებს ეჩურჩულებოდნენ მას – მე ვანჩხლობდი. მე მშურდა ჩიტების.

მე მიყვარდა ალვის ხე. მიყვარდა მისი ამაყი შემართება, მიყვარდა მისი ნორჩი ფოთლები, როცა ისინი იშლებოდნენ და მიყვარდა ისინი მაშინაც, როცა შეყვითლებულნი, ჭკნობაშეპარულნი – სცვიოდნენ ძირს.

მაგრამ განსაკუთრებით გაზაფხულზე ვხარობდით ორივე: ის – თავისი ბედნიერებით, მე – მისი მშვენებით.

და ჩემი მუდმივი, განუშორებელი ნატვრა იყო: ავსულიყავი მის კენწეროზე, ავსულიყავი და იქიდან გადმომეხედა ჩვენი ეზო-კარისთვის, ჩვენი არე-მარესათვის.

ერთხელ მამამ ცული აიღო, მივიდა ალვის ხესთან და... მოჭრა დაუპირა. მე გულგახეთქილი ყვირილით ავეფარე ალვის ხეს: – მამიკო, არ მოჭრა, მამიკო, მოვეკვდები!

მამამ ცული გააგლო, ხელში ამიყვანა. მომეფერა. დამიყვავა.

ჩემი ალვის ხე გადარჩა! იგი მე გადავარჩინე. მე ალბათ მართლა მოვეკვდებოდი, იგი რომ მამას მოეჭრა მაშინ. ასეთი ყოფილა დიდი სიყვარულის ძალა.

გავიდნენ წლები. მე წამოვიზარდე. ალვის ხე კი ისევ ისე იდგა ტანაშოლტილი, ამაყი, მედიდური. და მე ისევ ისე მიყვარდა იგი და მე კვლავ მაწვალებდა სურვილი მისი დაპყრობის.

და აი, ერთხელ, მე შევები მას, ჩემს საყვარელ ალვის ხეს. გაჭირვებით, მაგრამ მაინც მივიწვევდი მალლა ჟინმორეული. ხელის გულებსა და მუხლებზე კანი გადამძვრა. სისხლი მდიოდა. მტკიოდა. მაგრამ უფრო მეტის წადინით და გახელებით მივბობლავდი მალლა, სულ მალლა.

და აჰა... ალვის კენწეროც! ერთხანს გაოგნებული, ენაჩავარდნილი ვიყავი. თითქოს აღარ მჯეროდა ჩემი ბედნიერება! ნუთუ ამისრულდა დიდი ხნის ოცნება?

გონს რომ მოვედი, მიმოვიხედე. თვალწინ, ვით ხელის გულზე, გადამეშალა ჩემი სოფელი. მისი ქორხორა, მწვანე გორაკები, მისი ჰაეროვანი ნაზი, მოლურჯო-მოცისფრო ფერებით მოლივლივე ველ-მინდვრები. მოხასხასე ცა კი ისეთივე შორეული და მიუწვდომელი ჩანდა ალვის კენწეროდან, როგორც მის ძირში.

ამან გამაოცა და... დამაფიქრა კიდევ... მაგრამ ბედნიერების შეგრძნება ისეთი დიდი იყო, ისეთი უსაზღვრო, უკიდევანო, რომ სხვა

ყველაფერი დამავიწყდა – გამარჯვების სიხარულის გარდა.

...ალტაცებულმა ყიჟინა მოვრთე, მერე ომახიანი სიმღერაც შემოვძახე. მე ვუხმობდი თავხედ ქარს, რომ შემბრძოლებოდა. ის არსად ჩანდა – ახლა მე ვარწევდი ალვის კენწეროს. ვეძახდი ენაჭიკჭიკა ჩიტებს. ისინი სადღაც გაკრეფილიყვნენ... ახლა მე ვე-
ულურტულებოდი ალვის ხეს – მე, გამარჯვებული შეყვარებული!

ანაზღად... დავინახე, ცის ლაჟვარდს არწივი მოაპობდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

„სიხარული შენი წარმავალია, საბრალო ბაღლო! ის, რაც დღეს იყო, ხვალ არ განმეორდება!“ – ამოვიკითხე მის ამაყ მზერაში.

მე გავგულისდი არწივზე, გავგულისდი ჩემს თავზეც და... მეორე დღესაც ავედი ალვის კენწეროზე... მესამე დღესაც... მაგრამ... იმ პირველი დღის განცდა არა და არ ბრუნდებოდა.

და მაშინ... მე ავტირდი!

და იმ დღიდან ჩემი ბავშვური ოცნებისა და სიყვარულის ალვის ხეს დავემშვიდობე, დავემშვიდობე სამუდამოდ, სამარადჟამოდ!..

სიზქაჲ-ცხადში

...სანაპიროს ვიწრო ზოლი. ბორცვებზე აყუდებული უკარფანჯრო სახლები. უკაცრიელი ქუჩები...

სად ვარ?

თითქოს ნაცნობია აქაურობა და... მაინც უცნობი...

კაცის ჭაჭანება არ არის ირგვლივ...

რა, რა მოუვიდათ ქალაქის მცხოვრებლებს? სად გაიკრიფნენ? რატომ მიატოვეს აქაურობა?

უამრავი კითხვა ირევა თავში. დავყიადლობ ცარიელ ქუჩებში მხარნაცვალივით და... შეშფოთება მიპყრობს.

ნუთუ ადამიანის ორანს ვერ გადავაწყდები სადმე?

უდაბურება და მკვდრული მყუდროებაა გარშემო და უცებ... მოულოდნელად უკვე იმედგადაწურულმა და სასოწარკვეთილმა, თვალი ვკიდე კოპწია, ლამაზ ოდა-სახლს, შორი-ახლოს პატარა გორაკზე რომ წამოდართულა. ჩუქურთმიან, გრძელ აივანზე სუფრაა გაშლილი და ვიღაცეები, ალბათ სახლის ბინადარნი, ნადიმობენ.

სიხარულმა ამიტანა. მაშ, მთლად უკაცრიელი არ ყოფილა ეს ქალაქი. ვინც არ უნდა იყვნენ მოქეიფენი, ადამიანები ხომ არიან? გასაჭირში ჩავარდნილს, მომეშველებიან, შემიფარებენ – გზაკვალაბნეულს, შეჭირვებულს, – ადამიანურ სიკეთეს და სითბოს მიწილადებენ.

ანაზღეულად, მოპირდაპირე მხრიდან ველურთა ბრბო გამოიჭრა. ტანმალღები, სახეთეთრები, ვიწროთვალები, ცხვირპაჭუა და ყვრიმალმალღები არიან. ხელში შუბები და მშვილდისრები უჭირავთ. ქერა თმები ინდიელებივით აქვთ გაშლილი.

ღრიანცელით, კიჟინით, ველური სიმღერებითა და გნიასით მოეფინენ ცარიელ ქუჩებსა და შუკა-ბილიკებს. ერთმა ნაწილმა იმ კოხტა სახლს მიაშურა, სადაც ადამიანები ღხინობდნენ.

შიშისაგან აცანცანებული, ავეფარე კვიპაროსს, მერე... დრო ვიხელთე და უკან მოუხედავად მოვკურცხლე – საით? – აღარ ვიცი...

გავგობივარ და ასე მგონია, ველურნი – ყიჟინით, კივილით უკან მომღვევენ.

ბოლოს, იმ არე-მარეს კარგა გვარიანი მანძილით რომ დავშორდი, შევჩერდი. სული მოვითქვი. მერე... გარშემო მიმოვიხედე. ვხედავ: უზარმაზარი გემები მოსდგომია ნაპირს. მეზღვაურები არსად ჩანან. აქაც უცნაური მღუმარება და სიჩუმეა დასადაგურებული.

ნელა დაუწყევი სანაპიროს. სად ვარ ნეტავი? რა ქვეყანაა? რა მხარეა? უკან, სახლში, ჩემებთან როგორღა დავბრუნდე? ან საით არის ჩემი მხარე? სადაური ვარ? აღარაფერი მახსოვს. აღარაფერი ვიცი.

ანაზღად... ლაპარაკის ხმა შემომესმა. შევდექი. მივაყურადე. შორი-ახლოს, ზღვის ტალღებზე მომცრო კატარღა ირწევკა. სწორედ იქიდან მომესმა ხმა. ბევრი ფიქრის დრო არაა, გეზი კატარღისკენ ავიღე.

...კატარლაზეც სუფრა გაუშლიათ. რამდენიმე მეზღვაური და ქალი ქეიფობს, თუ... ჭირის სუფრა აქვთ? – ვერ გაიგებ. თითქოს ნაცნობი სახეებია და არც არიან ნაცნობნი. რაღაც უცხო ენაზე ლაპარაკობენ და ამავე დროს თითქოს მესმის ყველაფერი.

თამადა – ახოვანი, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი, ალბათ, მორიგ სადღეგრძელოს ამბობდა, როცა დავიყვირე, – ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთ-მეთქი.

მყისვე წამოიშალნენ.

...მერე ენის ბორძიკით, გაჭირვებით ვყვები, რომ გზა დამებნა და ჩემიანებთან ვერ გამიგნია, იქნებ თქვენ მიშველოთ და შინ დამაბრუნოთ-მეთქი. თან საშინლად მეშინია, რომ ვერ გამიგებენ. მაგრამ ვგრძნობ – ესმით ჩემი. თავს მიქნევენ. მითანაგრძნობენ.

ის, ვინც თამადად მივიჩნიე, ხელებს შლის სინანულის დიმილით, ქალიშვილო, სიამოვნებით დაგეხმარებოდით, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ თავად ტყვეები ვართ, ზღვის სივრცეში გასვლის ნებართვა არა გვაქვსო.

გაოცებული მივშტერებივარ. მერედა, ვინ წაგართვათ ეს უფლება-მეთქი, – ძლივს ამოვიღულულულე ბოლოს. თამადამ უხალისოდ გაიცინა და ხელით მანიშნა ვეებერთელა ხომალდებზე.

– აი, იმ ზარბაზნებს ხომ ხედავთ? – იგი მრავალმნიშვნელოვნად იღიმება. ახლალა შევნიშნე, ზარბაზნების ლულები პირდაპირ კატარლისაკენ რომ იყვნენ დამიზნული. მერე... ზარბაზნების გარშემო მოფუსფუსე ადამიანებსაც შევასწარი თვალი.

მაშ, თქვენც ტყვეები ყოფილხართ-მეთქი, წამოვიკნავლე იმედგადაწურულმა და ახლა დანარჩენებსაც მოვავლე თვალი.

თავჩაქინდრულნი, მღუმარედ სხედან „მოქეიფენი“. – აგრეა, ჩემო კარგო! – დამიდასტურა კვლავ თამადამ, – მაგრამ თავი ისე გვიჭირავს, ვითომ... არც კი ვიცით ეს ამბავიო, – დაატანა ნათქვამს და გვერდულად ჩაიღიმებდა.

– თუ ასეა, რას მოგილხენიათ? სატირლად გქონიათ საქმე და არა სანადიმოდ-მეთქი, – ველარ დავფარე გაოცებანარევი საყვედური.

თამადამ კვლავ უხალისოდ გაიცინა. საქმეც ისაა, რომ ვნადიმობთ. არ გვინდა მტრებს შევამჩნევინოთ, რომ... გვეშინია. ვითომ არაფრად ვაგდებთ მათ აქ ყოფნას. ვიცინით, ვმხიარულობთ.

სინამდვილეში კი... ამ ჭიქებში ჩუმად ვწურავთ ბოლმიან ცრემლებსო, მითხრა.

– ე.ი. თავს იტყუებთ-მეთქი? – უნუგემოდ გავაქნიე თავი და გული მომეთუთქა.

– მასეა. კი. სულ ერთია, რა დღეს, რა ხვალ-მანც მოგვიღებენ ბოლოს – ჩაგვიძირავენ. ჰოდა, ჩვენს აღსასრულს ტაშ-ფანდურით, ხუმრობა-ლაზღანდარობით ვხვდებით! – შემესიტყვა ანაზღად სუფრის ბოლოდან კუშტი სახის მეზღვაური.

– არა, არა და არა! – უცებ მუშტი დაარტყა მაგიდას თამადის გვერდზე მჯდომმა ქალმა და წამოდგა: – არა-მეთქი! გვეყოფა დედლობა! – ერთბაშად ნილაბი მოიძრო და გადაავლო. საოცრად მწუნარე სახე გამოუჩნდა უნილბო ქალს.

– თუ სიკვდილია, სჯობია ჩვენი ნამდვილი სახით მოკვდეთ, ვიდრე ასე ვიმაიმუნოთ. გვეყოფა!

– რატომ ითხრით წინასწარ თვალებს? გეცადათ, და ეგება დაგელწიათ თავი ამ... ტყვეობისთვის! – გაუბეღავი ხმით გამოვთქვი ჩემი მოსაზრება.

– მიიხედ-მოიხედე, გეთაყვა, ამ ვეებერთელა გემების რკალს როგორ გინდა თავი დააღწიო?! ხომ მიგვჟუჟ-მოგვჟუჟეს ერთიანად! – წამოიძახა ერთმა წვეროსანმა მეზღვაურმა ბრაზიანად.

თამადამ თვალი მიმოავლო თანამეინახეებს და მერე მე მომიბრუნდა. მწარე ღიმილით: – აი, ხომ ხედავ, თვით ჩვენს შორისაც არ არის ერთსულოვნება.

– ჩვენ დღეშია ბევრი სხვაც... მაგრამ... ითმენენ. ეგუებიან. დათვი რომ მოგერევაო, ნათქვამია. ჩვენ კი, ჩვენი სიფიცხითა და მოუთმენლობით ნიდავ ვიღუპებოდით. იმ ველურ ბრბოსთანაც ასე არ იყო? შევასკდით, შეველწენით და ბოლოს, რა გამოვიდა? ამ უბადრუკი კატარღის ამარა დავრჩით!

– არც იმათ დაადგათ კაი დღე. – მოიფხანა გული რომელიღაცამ.

– აი, იმ ნაპირს, ხომ ხედავთ, იმ ბორცვებსა და სახლებს? – ხელით მიჩვენა თამადამ, – სულ ჩვენი იყო, ჩვენ გვეკუთვნოდა, მაგრამ... იმ ველურებმა გამოგვრეკეს იქიდან. ისინი, ვინც გადავურჩით ომის ქარტეხილს...

– გამოგვრეკეს კი არა, ჩვენი ლაჩრობითა და უხეირობით – დავთმეთ. – კვლავ წამოყელყელავდა კუმტსახიანი მეზღვაური: – ახლა თავში საცემრად გვაქვს საქმე, მაგრამ, ხომ ხედავთ, ვიცინით, ვლალბობთ, ვონიბაზობთ და მუცელს ვალორებთ – სანამდისინ გვეყოფა ეს სანოვაგე. მოკლედ, გარედან მტერს ვუბრძალებთ თვალებს – შიგნიდან – საკუთარ თავს. ასეა, ბაბა, ჩვენი საქმე.

– რას იზამ! თუკი თავს ზევით ძალა აღარ არის?

– ძალა აღმართსა ხნავსო, ნათქვამია. მაშ, რა ვქნათ, დავვადეთ და ვივიშვიშოთ? – გაისმა აქეთ-იქიდან უკმაყოფილო ხმები.

– ეს გაუმარჯოს იმ მეზღვაურებს, გასაჭირში ჩავარდნილნი, იმედს რომ არ კარგავენ, საფრთხეს რომ არ უშინდებიან – როცა იქნება, გავიჭრებით ზღვის გაშლილ სივრცეში და თავისუფლად გავინავარდებთო, – თქვა თამადის გვერდში მჯდარმა ქალმა, როგორც ჩანდა, მისმა ცოლმა და სასმისი ერთბაშად გამოცალა.

– გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. – აქა-იქ მხარი აუბეს მოჩვენებითი ხალისით.

– გაუმარჯოს. კი ბატონო, გაუმარჯოს, მაგრამ... ღირს კი ეს წუთისოფელი ამდენ დავიდარაბად?! განა რამდენ ხანსა ვართ ამ მზისქვეშეთში? – სეკეპტიკურად შენიშნა ერთმა სათვალთანმა მეზღვაურმა: – იქნებ მართლა ჯობია უფიქრელად, უზრუნველად გავლით დღენი ჩვენი, სანამ სააქაოში ვართ, რამეთუ მტრებიც და ჩვენც თანაბრად უძღურნი და უსუსურნი ვართ მარადისობის წინაშე, ანუ იმ უბედურების წინაშე, სიკვდილი რომ ჰქვია!

– არა და არა, თუკი თავისუფლებაზე ოცნებაც დავკარგეთ, მაშინ ჯობს, მართლა სუყველანი ახლავე, დაუყოვნებლივ დავიხოცოთ... – არ ცხრება ქალი.

– მაგი არაა პრობლემა, ჩემი აზრით: აი, შევასკდეთ ახლავე იმ გემებს და... მორჩა ყველაფერი. თქვენი ჭირი წაიღო ამ კატარღამ...

– ნელ-ნელა სიკვდილს ერთბაშად სიკვდილი ჯობია, არა? – ახარხარდა უცებ ვიღაცა ნიშნისგებით: – ბარემ გათავდეს ეს წუთისოფელი, არა? ბარემ ერთბაშად დავიღუპოთ, არა?

– ჰაიბ, თქვე ლაჩრებო! დავიღუპებითო. განა ახლა არა ვართ დაღუპულები? რით ვჯობივართ მკვდრებს? ჩვენ ხომ სინამდვილეში ცოცხალ-მკვდრები ვართ? ვის ვატყუებთ? ვერა ხედავთ,

ხაფანგში რომ ვართ გამომწყვდეულნი და იმასლა ელოდებიან, როდის ამოგვხდება სული სათითაოდ? – სიბრაზისგან სახეაღწვილი კუმტი მეზღვაური სიტყვებს გესლიანად ცრიდა კბილებში.

– ვიცით, ბატონო, ეს ყოველივე ვიცით. ჰოდა, ნელ-ნელა სიკვდილი გვირჩევნიაო, რომ თქვენს, ვერ გაიგონე?

– ვიბრძოლოთ ხალხნო, ვებრძოლოთ მტერს! – არ თმობდა ქალი.

– კარგი ერთი, თუ ქალი ხარ. ვის უნდა ებრძოლო, ამათ, ამოდენა ხომალდებს?! მერედა, რით – შიშველი ხელებით? ერთი ზარბაზანიც კი არა გვაქვს წამლად, ვერა ხედავთ?

– ამაზე მაშინ უნდა გეფიქრათ, იარაღს რომ აბარებდით მტერს! – შეუტია სათვალისანს ქალმა.

– ვინ აბარებდა, ქალო, რაებს ბოდავ? წავგართვეს. მოგვერივნენ და წავგართვეს. განგვაიარაღეს ბატონო და ჰე!

– ჰოდა, რა გინდათ, რას იჭაჭებით, რას ფაფხურობთ? დაწყნარდით და განვავრძოთ ქიფი, სანამ ამის საშუალება გვაქვს-ჯერჯერობით!.. – გაიცინა დამცინავად მოფილოსოფოსო სათვალისანმა.

– გეყოფა... მორჩი!

– რატომ? სიმართლე მწარეა განა? ჭამა-სმისა და ლხინის უფლება ხომ დაგვიტოვეს? ჰოდა, მეტი რა გვინდა? იციან, რასაც შერებიან... ხელები რისთვის გაისვარონ ტყუილ-უბრალოდ, როცა ჩვენ თვითონ ვიყრით ყელში დანას? ჰოდა, მოდი ბარემ გემოზე ვიქიფოთ... ვიმღეროთ, ვიცეკვოთ, ვიმატრაბაზოთ „მტრის ჯინაზე“. წყალსა და მეწყერს წაუღია ყოველგვარი დარდი და საზრუნავი! დღეს, ახლა, ამ წუთას ხომ ცოცხლები ვართ? მაშ, გაუმარჯოს სიცოცხლეს, თუნდაც... წუთიერს!

– ვაი, თქვენს პატრონს უბედურს!

– ამ კატარღაში არ უნდა ჩავმსხდარიყავით. ეგებ თითო-თითოდ გაგვეცურა მეორე ნაპირამდე. ხერხი სჯობია ღონესაო, აკი ნათქვამია.

– ზღაპარია ეგ. ვერსადაც ვერ გავიქცეოდით. იქ, ადგილზე უნდა გვებრძოლა ბოლომდე. ან გავწყდებოდით ერთიანად, ანდა...

– რა სისულელეს რომავ? ამათი მომრევი იყავი, შე მათხ-ოვარო, შენა?

- ვინ არის მათხოვარი?.. შენ ენა დაიმოკლე, გირჩევნია, თორემ!..
- თორემ რა, ხახვი არ დამაჭრა ყურებზე ერთბაშად!
- დაგაჭრი და მეტსაც გიზამ, შე ბითურო!

კატარღაზე ჩხუბი ატყდა. ერთმანეთზე მიიწვევდნენ საცემრად. ყველაფერი ერთმანეთში აირია: წივილ-კივილი, გინება, ლაწა-ლუწის ხმა... კატარღა აქანავდა. გადაბრუნებას არაფერი უკლდა. ღმერთო!

ეს რა ხალხში მოგხვდი! მტრის ზარბაზნების ლულებს ქვეშ ერთმანეთს ხოცავენ?

– რას შვრებით, თქვე ცოდვისშვილებო? ერთმანეთს ჰკლავთ, თქვე ლაჩრებო? – გაისმა ამ რია-რაისა და გნიასში თამადის ცოლის განწირული კივილი: – თუ თავი მოგძულებიათ, ამ გემებს მაინც შეასკდით ვაჟკაცურად! ვაი, თქვე უბედურებო, უტვინოებო!

ვისარგებლე აურზაურით და... წყალში გადავემევი.

მივცურავ და ვგრძნობ, რომ დიდი გემიდან ჭოგრიტით მიმზერენ.

ზარბაზნის ლულა ახლა პირდაპირ ჩემკენაა მომართული. აი, ახლა გავარდება და აი, ახლა! მოხდეს, რაც მოსახდენია. არ ვეპუები არაფერს. მივცურავ მხარულით.

„ბედი ცდააო“, – მომძახის ვიღაცა უჩინარი. დიახ, ცდაა და მეც ვეცდები გავალწიო როგორმე მეორე ნაპირს.

გამეტებით ვიქნევ მკლავებს. ვინ იცის, ეგებ მართლა მოხდეს სასწაული და... გადავრჩე? ეგებ მართლა დავალწიო თავი? ეგებ მართლა დავუსხლტე ამ შარავზის ყაჩაღებს, გემებზე ვითომ მშვიდობისა და ზავის ბაირაღები რომ აუფრიალებიათ მოსაჩვენებლად, თვალში ნაცრის შესაყრელად!

კეფაზე დამიზნული ზარბაზნის ლულა აყოვნებს. რატომ არ მესვრიან?

საკვირველია. რას ელოდებიან? ეგებ... მოეშალათ იქ... რაღაცა?

ვინ იცის!.. ან... ეგებ მაცლიან! ფიქრობენ, სად გავგექცევა, ჩვენს ხელთ არააო? ჰო, მაცლიან ალბათ ცოტა ხანს... თან სიცილით იფხრიწებიან უთუოდ. ეს უტვინო ჭია-ლუა ვინღაა, საიდან გამოტყვრაო, ვის დაკარგვიაო?..

კატა რომ თავვს ათამაშებს თავშესაქცევად, ისეა სწორედ. კატამაც იცის და თავგამაც ჩინებულად უწყის, ეს თამაში რით

დამთავრდება. მაგრამ აკი წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ისეა თაგვის საქმე. თუმცა... ვინ იცის! იქნებ შეეშალოს ნახტომი კატას და გადავრჩეო, ფიქრობს სასოწარკვეთილი თაგვი.

და მართლაც:

ეგებ მართლაც მოხდეს სასწაული და... გადავრჩე?

ქალქკანთან

დაცხა. სახელოები აიკარწახა. მერე ჩამქრალი სიგარეტი ურნისკენ მოისროლა და ჩამომდგარ ავტობუსს ზანტად შეავლო თვალი.

„მეორით წავალ“! – ის იყო გაიფიქრა და ერთბაშად გოგოს მზერა დაიჭირა. იმავე წამს გოგომ სახე მიაბრუნა და ავტობუსისაკენ გაიქცა.

უკვე დაძრულ ავტობუსს შეახტა, თვალით მოძებნა ქერათმიანი, მაღალი გოგო. მას არ მოუხედავს, მაგრამ... იმანაც იგრძნო ბიჭის მოახლოება.

დაკვირვებით შეათვალიერა. ფუშფუშა, ქერა თმა მხრებსა და ბეჭებზე ჩამოშლოდა. აბზეკილი, პატარა ცხვირი ჰქონდა და სავსე, წითელი ტუჩები. შავად შეღებილ წამწამებში ცისფერი თვალები მინაბულიყვნენ. თუმცა ცალი თვალის ჭრილსლა ხედავდა, მაინც ამჩნევდა-ემმაკური, გამომწვევი ღიმილი რომ იდგა მათში.

მზერა ახლა მის დაქანებულ შიშველ მხრებს ჩააყოლა. მოუნდა მკლავზე შეეველო ხელი.

იგრძნო, ნელ-ნელა იმუხტებოდა. სულ ახლოს იდგა, მხრის თავით ხანდახან კიდევ ეხებოდა მის ზურგს. გურამი ამჩნევდა, რომ გოგოც ფარულად უთვალთვალებდა ბიჭს.

გვერდით ადგილი გათავისუფლდა. გურამმა შემთხვევით ისარგებლა: გოგოს ფრთხილად შეახო ხელი: – „რა გრილი მკლავი აქვს“, – სასიამოვნოდ გაჰკრა გულში.

– დაბრძანდი! – და ქალიშვილის ყურისკენ ისე ახლოს დაინარა, რომ სახეში თმის ბუღბუღებმა შეუღიტიანეს.

ახლა კი ამოხედა გოგომ, თვალებში ღიმილის ნაპერწკლები უციმციმებდა, თუმცა სახე სერიოზული ჰქონდა, ერთობ სერიოზული.

– გმადლობთ. მალე ჩავდივარ, – კრიალა კბილები გამოაჩინა ერთბაშად და მერე ისევ იბრუნა პირი.

– მეც მალე ჩავალ, როგორი დამთხვევაა, არა?

გოგომ ტუჩები მჭიდროდ მოკუმდა, რომ ღიმილი შეეკავებინა. გურამი კვლავ დაინარა მისკენ და ხმადაბლა ჩაულაპარაკა:

– ვატყობ, ჩვენ ერთი გზა გვაქვს. – თან სწრაფი, ქორული მზერა შეავლო გოგოს ყელ-კისერს. ნაზი, სალუქი კანი თეთრად ქათქათებდა. ეტყობა, ჯერ „ზაგარი“ არ მიუღია. ახალჩამოსულიაო, გაივლო გულში.

– თქვენ მასე გგონიათ? – თვალები მოჭკუტა გოგომ.

„აჰა. ზუმრობს კიდევ? ვნახოთ, ვნახოთ, ძვირფასო“...

– დარწმუნებული ვარ.

ავტობუსიდან ჩამოსვლისას კვლავ ხელი მოჰკიდა მკლავში, გვერდზე გაჰყვია. გოგო ჯერ შეეცადა მკლავი გაეთავისუფლებინა, მაგრამ ბიჭმა ისეთი ალერსიანი ღიმილით შეხედა, რომ... დამორჩილდა.

– ხომ გითხარით, ერთი გზა გვაქვს-მეთქი. და საერთოდ, იცით რა, ძალიან მეცნობით. უეჭველად სადღაც მინახინხართ.

გოგომ უცებ გადაიკისკისა. მერე მოცინარი თვალებით შეხედა ბიჭს და ხმის გაგრძელებით წარმოთქვა:

– როგორ გეტყობათ, რომ ცრუობთ.

– მე და სიცრუე? – არტისტულად გაიკვირვა ბიჭმა. „მიდი, მიდი, გურამ. ჩიტი ბადეში ებმება“, – წააქეზა გუნებაში თავისი თავი.

– ოჰ, ოჰ, რა ხართ... თქვენ! – თითი დაუქნია გოგომ, თუმცა თვალები ისევ ისე უცინოდა.

„რა აცინებს ამ უპატრონოს“!

– ვინ ჩვენ? – ჩაეძია გურამი.

– აი, თქვენ... კავკასიელები... – ოდნავ აირია გოგო, როცა ბიჭის მოქუფრულ სახეს შეხედა.

– კავკასია ფართო მცნება გახლავთ, გენაცვალე.

– ოჰ, უკვე გეწყინათ. რა ბუტია ყოფილხართ. მაპატიეთ, მაგრამ იცით, გეოგრაფიაში ცოტას მოვიკოჭლებდი სკოლაში.

– გეტყობათ.

გოგომ კვლავ გაიცინა.

– ენამწარეც ყოფილხართ.

ბიჭმა აღარაფერი უპასუხა და ისევ გოგომ წამოიწყო:

– მაშ გაბოდის, რომ თქვენ ქართველი არა ხართ?

– ქართველი გახლავართ, სხვათა შორის. მაგრამ კავკასიაში გეთაყვა, ქართველების გარდა, სხვებიც ცხოვრობენ და ამას მაინც-დამაინც გეოგრაფიის დიდი ცოდნა არ სჭირდება.

ერთობ თავაზიანი კილო ჰქონდა გურამს, სახეც მეტიხმეტად სერიოზული. ხელიც კი შეუშვა მკლავზე გოგოს.

– გასაგებია. ხომ შეიძლება ადამიანს უცოდინარობა აპატიოთ?

– რასაკვირველია, – გურამს ერთბაშად გაეცინა. – ჩვენში იტყვიან, არ ცოდნა არ ცოდვააო.

„მეტიხმეტად შეუთითხნია წარბები და წამწამები. ისე, ანგელოსივით გოგოა მაინც. რა ტუჩ-კბილი აქვს...“

– მაშ თქვენ ამბობთ, რომ გეცნობით, არა? – დაუბრუნდა შეწყვეტილ საუბარს ქალი – და თან ამტკიცებთ, რომ ტყუილს არ ამბობთ?

– ნამდვილად.

– მე კი-გუშინ საღამოს ჩამოვედი თქვენს ქალაქში. ასე რომ, არც ნანახი გეყოლებით, ხომ მართალია? „ხომ გამოგიჭირესავით“ ჟღერდა მისი სიტყვები... ტუჩები შეკავებული სიცილისაგან უთრთოდა.

– მაგრამ თქვენ ერთი რამ გამოგრჩათ მხედველობიდან, ჩემო კარგო, – დინჯად და დაბეჯითებით დაიწყო გურამმა, თან მომ-ნუსხველ მზერას არ აცილებდა გოგოს სახეს. – ადამიანი შეი-

ძლება დაგესიზმროს, ან იგი თქვენს წარმოსახვაში არსებობდეს. და აი, როგორც კი დაინახავთ მას, იმ წუთშივე ცნობთ.

„ყოვლად ტრივიალურ, ბანალურ სისულელებს ვჩივებ და მაინც მიზანს აღწევს, მგონია... ო, ქალებო, ქალებო!“

– და აი, მეც, დაგინახეთ თუ არა, მაშინვე გიცანით. რა გქვიათ?

– გამოიცანით. თუკი წარმოსახვაში გყავდით ნანახი, სახელიც გეცოდინებათ.

– მარჩიელობა არ მიყვარს.

– ოჰ, თქვენ ძალზე ამაყი ხართ. იქ, გაჩერებაზეც რომ იდექით, ვერავის ამჩნევდით.

„და მაშინ, ჩემო მშვენიერო, შენ გაბრაზდი და გადაწყვიტე, როგორმე მიგეპყრო ჩემი ყურადღება, არა? და აი, ეწიე კიდეც საწადელს... მაგრამ იქ, გაჩერებაზე რას ვფიქრობდი? მართლა არ შემიმჩნევია ეს გოგო... ჰო, გუჯაზე ვიყავი გაბრაზებული. უმნო აკვიატება იცის. ის თუ სუფრა იყო, დაიჩემა“.

– აი, თქვენ ახლაც ჩაფიქრდით.

მყისვე გამოერკვა. გოგოს მკლავი მაგრად მიიკრა გვერდზე, თვალებში ჩახელა:

– არ შეიძლება ასეთი ლამაზი გოგონა ვერ შეამჩნიო. ეტყობა, საერთოდ გათიშული ვიყავი იმ წუთას. მოდით, კაფეში შევიდეთ. ცოტა მომწყურდა და მშია კიდეც. თუ თქვენ, რასაკვირველია, არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო!

– ოი, არა, არა... – შეიცხადა გოგომ. მაგრამ ბიჭი ისეთი თვალებით უყურებდა, ისეთი მოკრძალებული და თან გულთადი ჩანდა, რომ თუმცა ყოყმანით და ფეხისთრევით, მაინც დაყვა მის ნებას.

ირა (უკვე სახელი იცოდა მისი გურამმა), ჯერ მორცხვობდა, მერე თანდათან გათამამდა. გაშინაურდა.

... „კარგა გვარიანად შიებია. რამხელა უარზე კი იყო“. – გაიფიქრა უნებურად, როცა დაინახა, რა პირწმინდად მოასუფთავა თეფში გოგომ. ღვინოზეც თავდაპირველად გაინახა, მაგრამ მერე ღვინოსაც მოუღხინა. ლოყები აეტკიცა, თვალები აუფუფუნდა.

– ძალიან მომწონხართ, ირა.

– თქვენ ისევ ცრუობთ, გურამ.

– ძალიან მომწონხართ. ნამდვილად. – დაჟინებით გაიმეორა გურამმა და თვალეში ხანგრძლივად ჩახედა. გოგო აირია, წამწამები აუხამხამდა. მერე ჭიქას მიწვდა. ტუჩებთან მიიტანა, ცოტა მოწრუპა. მერე ისევ დადგა, ბიჭმა ხელი დაადო ხელზე.

– თქვენ?

გოგო გაიტრუნა. მერე ზღვასავით აბიბინებული თვალეები შეანათა ბიჭს.

„მართლა დიდებული გოგოა და... ძალიან მალეღვებს“.

– იცით, ჩემს საქმროს რომ ესმოდეს ეს...

გურამს წარბიც არ შერხევია.

– ეჭვიანი საქმრო გყავთ? – თითქოს აქ არაფერიაო, ისე ჰკითხა.

– იცით... საერთოდ, პრინციპში... ეჭვიანი არ არის, მაგრამ... ხანდახან...

– ჩამორჩენილი ადამიანი ყოფილა თქვენი საქმრო. – უცებ მოჭრა გურამმა და სკამზე გასწორდა, სიგარეტი გააბოლა, – რა დროს იჭვიანობაა? მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ. პირიქით, უნდა სიამოვნებდეს კიდევ, რომ მისი საცოლე სხვებსაც მოსწონთ, ხომ მართალია?

– პრინციპში, მართალია, ცხადია... მაგრამ...

– არავითარი მაგრამ. – გურამი წამოდგა. – ირა, მაპატიეთ, ახლავე მოვალ... – შესაგებებლად წამოსულ მომტან ქალს ჰკითხა: – აქ თქვენთან, მგონი ტელეფონი გაქვთ?

– მიბრძანდით დირექტორის კაბინეტში, იქ არავინაა ახლა.

– გმადლობთ. ერთი წუთით, ირა... უკაცრავად ვარ... უნდა დავრეკო, სასწრაფო საქმეა!

– არა უშავს, არა უშავს, – ირა იღიმებოდა.

გურამი დირექტორის ოთახში შევიდა, კარი მჭიდროდ მოხურა და ნომერი აკრიფა.

– გისმენთ! – მოესმა ნაცნობი ხმა ყურმილში, წამით შეყოყმანდა.

– ალო. ალო...

– მე ვარ.

– ოჰ, გურამ, შენ ხარ? – გოგომ გაიცინა, – საიდან რეკავ? ქუჩიდან? ხომ მივიღვართ? მე უკვე მზადა ვარ.

გურამმა ხმას საიდუმლო და ღრმააზროვანი კილო მისცა:

– მაკა, მაპატიე, გენაცვალე, ვერ მოვდივარ. მერე ავიხსნი...

– რა... რა იყო? – გოგონას ხმა გაებზარა.

– აქედან ვერ გეტყვი. სხვა დროს წავიდეთ გემის დასათვალიერებლად. მაპატიე, ფისო, მაგრამ ისეთი საქმეა...

– რა არის ისეთი?... შენ მასე იცი!.. მიზეზი არ დაგელევა... ალბათ დასალევად მიდიხარ სადმე... აი გიამ „ორერას“ ბილეთები მოიტანა და შენი გულისთვის უარი ვუთხარი...

– თუ ასე გული გწყდება, შეგიძლია წაყვე გიას. მე მგონი, ჯერაც გვიან არ არის!

– თუ ღმერთი გწამს, ნუ იკბინები!

– რა შუაშია კბენა? ისე, მეც შემეძლო „ორერაზე“ ბილეთი მეშოვნა, თუ... ასე გულით გინდოდა, – თქვა და ენა მოიკვნიტა. მაკას რომ „ორერას“ კონცერტზე წასვლა უნდოდა, იცოდა, რასაკვირველია. ჰოდა, ახლა ინანა, ნამეტანი შევეტოპე მგონიო.

– და „ვააბშე“, რა გააჭირეთ საქმე ამ თქვენი „ორერათი“? გეგონება... სხვა აღარაფერი არსებობს.

– გურამ, რა გაყვირებს, სირცხვილია!

– ჰო, კაი ბატონო. ბოდიშს ვიხდი, – ხმას დაუწია გურამმა. – ხვალ ვიშოვნი ბილეთებს და წავიდეთ!

– ამ საღამოს უკანასკნელი კონცერტია, გურამ!

– ჰოდა, წადი მერე. ვინ გიშლის?! – კვლავ იფეთქა გურამმა, – კიდევ კარგი, გემზე არ წავედით. მაშინ ხომ ვერ წახვიდოდი კონცერტზე, გიასთან ერთად? მაღლობის მაგიერ მეჩხუბები კიდევ?

– გურამ... მე შენთან მინდოდა...

– არა უშავს რა... გიასთან არანაკლებ კარგად იგრძნობ თავს. იქნებ უკეთაც.

ყურმილი გამეტებით დაახეთქა. სულ არ უნდოდა გაბრაზებულყო და მაინც გაბრაზდა, სიანჩხლემ გულზე მოუჭირა.

„უპ თქვენი! თქვენ თვითონ არ იცით, რა გინდათ და რა არა“. სვდებოდა, რომ სადღაც გაღმა ედავებოდა. და მაინც...

„თუმიცა... მეც რა მრჯის? რაზე ვიშლი ნერვებს? რაც უნდა ის ქნას. მომაბეზრა თავი ამ ვითომდა ერთგულებით“. ახლა ეს გაგულისება ხელს აძლევდა.

დარბაზში უდარდელი იერთ შემობრუნდა.

ირა იქ აღარ დახვდა. ცოტა გაუკვირდა. „აღბათ ტუალეტში შევიდა“, – გაივლო გულში და მაგიდას მიუჯდა, სიგარეტი მოქაჩა.

„გიაბ ბილეთები მოიტანა! დიდი ამბავი! ვინ შეეხვეწა ჯერ ერთი? და „ვააბშე“, რას ეტორღიალება ის ვაჟბატონი, ვერ გამიგია. ჰმ. ვერ გამიგია?! სანამ ერთს გემოზე არ მივბეგვავ, არ შეეშვება. უჰ, ვერ ვიტან ასეთ ტიპებს. ვითომ არაფერი. მამა აბრამის ბატკანის იერი აქვს, სინამდვილეში კი... მაკაც კაი ვინმეა. ვითომ უჩემოდ ფეხს არ ადგამს არსად. ვითომ სულ მე შემომციცინებს თვალეში... კარგები ხართ ყველანი. ხომ წავიდა ახლა გიასთან ერთად კონცერტზე? ნუ, ხომ უნდოდა? ..., მე შენთან მინდოდა“... – გამოაჯავრა მაკას გუნებაში. მეც კარგად ვუთხარი. არ ვჭამ მაგისთანებს. ესლა მაკლია ახლა. არ ვუნდივარ? „კაკ ნიბუდ“ რა! მაკასთანა გოგოებს როგორმე დღეში ათს წამოვავებ ანკესზე! თუნდაც ეს ჩემი ირა რად ღირს! რა გოგოა? შოლტივით ტანი აქვს. რა თვალეები, ტუჩები... მაგრამ სად არის ამდენ ხანს ჩემი მზეთუნახავი? – საათს დახედა. კაი დრო გასულიყო, რაღაცამ უსიამოვნოდ გაჰკრა გულზე. რაღაც იაზრა. გულგრული სახით მიმტანი მოიხმო, ფული გადაიხდა. მაგრამ რატომღაც მზერას ვერ უსწორებდა ქალს. მერე, როცა ადგა, უნებურად კვლავ თვალით მოიძია თავისი თანამეინახე.

– წავიდა. აღბათ აღარ მოვა. – ჩუმად, თითქოს საიდუმლოდ ჩაულაპარაკა მიმტანმა ქალმა და... დახლისკენ გაბრუნდა.

გარეთ რომ გამოვიდა, ქურდულად მიიხედ-მოიხედა. ასეთი რამ თავის დღეში არ მოსვლია. ქალების ყურადღებით გალაღებულს, ვერ წარმოედგინა, თუ ასეთ რამეს ვინმე გაუბედავდა! გააცურეს და მერე როგორ? მაგრამ თვით ეს მარცხი როდი ჰკლავდა, ოფიცინტი ქალისა და კაფეში მსხლომთა თვალში სასაცლოდ რომ გამოჩნდა – ეს ვერ მოენელებინა.

„თუ სადმე გადავაწყვიდი, მოვკლავ მაგ უბედურს. არ ვაცოცხლებ!“ – გამმაგებულმა სიგარეტის კოლოფი ხელში მოსრისა.

„მოვძებნი. მიწის გულშიც რომ ჩაძვრეს, მაინც მოვძებნი!“

შეეცადა, გარეგნულად მშვიდი იერთ გასცლოდა იქაურობას. ერთი წამით გაიფიქრა კიდევ – იქნებ განგებ დამემალა და აი, საცაა გამოჩნდება კიდევო.

...სკვერში შევიდა და სანაპიროს ნელი ნაბიჯით დაუყვა. ბრაზი ახრჩობდა, – „მთელი საათიანი ლაპარაკი რომ გავუბი მაკას! ახია ჩემზე! ან საერთოდ, რას ვურეკავდი? იდიოტი ვარ. კრეტინი“.

ჯიბებში ხელებჩაწყობილი მიაბიჯებდა სანაპიროზე. ზღვა მშვიდად ლივლივებდა. ივნისის წყნარი, გრილი საღამო იყო. ზღვაური სასიამოვნოდ ელაძუნებოდა სახეზე. გარშემო სასიეროდ გამოსული ხალხის ჟრიაშული იდგა. ნაცნობები ესალმებოდნენ, თვითონაც უქნევდა თავს, მაგრამ მისი გონება და ფიქრი სულ სხვაგან ჰქროდა.

„ამათ რომ გაიგონ, რა მომივიდა?.. აქამდე მე დავცინოდი სხვებს, ახლა მე ამომიღებენ ნიშანში. მტერი ჩავარდა ამათ ყბაში. ის... ის კახა ვერ გაბედავს თქმას, ვერც გამოჩნდება ქალაქში. შეიძლება... შეიძლება კი არა, დაითესება ალბათ ქალაქიდან, მაგრამ... ის ოფიციალტი ქალი? თვალეში ღიმილი ედგა. ალბათ დამცინოდა, ნიშნს მიგებდა, ესეც შენო. აბა რა გეგონაო. უხაროდა. ძალი ძალის ტყავს არ დახევს! ცხადია! გაწყდა თქვენი სინსილა!“.

– ჩქარა, გამოადგი ფეხი, კაცო. ვერ ხედავ, დაგვაგვიანდა. ჩემი სიკვდილი. აწი არც შეგვიშვებენ ალბათ!

– არ შეგვიშვებენ, აბა?

– არა, არ გაკადრებენ, შენმა მზემ. მინისტრი მყევხარ, ხომ იცი!

– ქალო, ჩემი თავისთვის მე მინისტრიც ვარ და პრეზიდენტიც. დაიხსოვე ეგ ერთხელ და სამუდამოდ!

– აბა, ჰე. დაიწყე ახლა შენებურად!

– რა გინდა, ქალო? რას გადამეკიდე? შენ თუ არ ნახე ამაღამ „ორერას“ კონცერტი, თავს მოიკლავენ, ეს რა უბედურება დაგვატყდაო.

გურამს ტუჩები მოეღრია: „ცოლქმრული იდილია!“ – გაიფიქრა გესლიანად და მოჭუტული თვალი გააყოლა ჯარისკაცული ნაბიჯებით მიმავალ, ტარანივით გამხდარ ქალს და ჩამრგვალებულ, პატარა ტანის მამაკაცს, ძლივს რომ მიბაჯბაჯებდა ცოლის გვერდით, თან ხშირ-ხშირად ცხვირსახოცს ისვამდა მელოტ თავზე.

„ორერას“ კონცერტი... მთელი ქალაქი გადარეულია. ერთმანეთის ფეხის ხმას არიან აყოლილი... მაკაც! თუმცა, რატომ არა?

მე თუ მომწონს, რატომ არ შეიძლება სხვასაც გულწრფელად მოსწონდეს? რატომ გვაქვს ტვინში გამჯდარი ჩვენი გემოვნების, ჩვენი „მეს“ განსაკუთრებულობა, მეორესთან უცილო უპირატესობის შეგრძნება? აი მაკაც... ხომ დარწმუნებული ვიყავი, უჩემოდ ფეხს არ გაადგამდა... იქნებ ...არც გაუდგამს?“.

წამით ადგილზე გააქცავა ამ აზრმა. მერე ნერვული სიჩქარით ჯიბეები მოიქექა, ორკაპიკიანს დაუწყო ძებნა. ვერ იპოვა.

„ასეა. როცა გინდა!“ – გუნებაში შეიკურთხა, მერე წყლის გამყიდველთან მივიდა. არც მას აღმოაჩნდა ორკაპიკიანი. თავი ძლივს შეიკავა, რომ არ გამოეღანძლა უდანაშაულო კაცი. როგორც იქნა, კიოსკის გამყიდველთან გაუმართლა.

...ყულაბაში ფულს რომ აგდება, შეამჩნია, ხელი უკანკალებდა. სანამ ზუმერი გაისმოდა, მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკრა.

დიდხანს არ ილებდნენ ყურმილს. გადაწყვიტა, მაკა კონცერტზე წასულაო. მაინც ჯიუტად იდგა და ხელს არ უშვებდა ყურმილს. ბოლოს ნაცნობი ხმა გაისმა:

– გისმენთ!

ერთბაშად დამშვიდდა. იგრძნო, დაუბრუნდა წინანდელი თვითდაჯერება, სიამაყე, გოროზობა და შემწყნარებელი კილოც კი.

– არ წახვედი კონცერტზე?

– შენ... შენ მეკითხები ამას?... – გოგონას ხმა უთრთოდა. ბიჭს მოეჩვენა, რომ იგი ტირილს იკავებდა.

– მაკა, მაპატიე, გენაცვალე. აუტანელი ვიღაცა ვარ. ეგოისტი, დესპოტი. იცი, განგებ გავაკეთე. მინდოდა, გამომეცადე...

– რაო, რაო?

– კარგი, მაპატიე ახლა. შადრევანთან გელოდები. ჩამოდი,

– შენ... შენ თავს გავივიდა, ხომ იცი? აღარ მსურს შენი ხმის გაგონება. შენ... შენნაირი გგონია ყველა...

– ვიცი. ყველაფერი ეს შენზე უკეთ ვიცი. შადრევანთან გელოდები.

გოგონა ჩუმად იყო. „მგონი ტირის!“ – სიამოვნებით გაურბინა თავში.

– სხვა ჩემს ადგილას რომ იყოს... ვიცი, როგორც მოიქცეოდა...

- დაიწყო გოგონამ შეგუბებული ხმით. და ისევ გაჩუმდა.
- მაგრამ შენ ხომ სხვა არა ხარ? შენ ჩემი პატარა, საყვარელი გოგო ხარ. და ეს შენც კარგად იცი...
- მე არაფერი ვიცი... არაფერი მჯერა შენი.
- კარგი. ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა ხალხი ნერვიულობს რიგში, – მომლიმარე თვალი მიმოავლო გარშემო: არავინ იდგა მის მეტი. – წავედი ახლა მე და დაგელოდები შადრევანთან.
- გოგონა დუმდა.
- მაკა!
- ჰო, კარგი. ჩამოვალ. ჩავიცვამ და წამოვალ. საძაგელო! ბიჭმა გაიღიმა.
- გელოდები. არ დაიგვიანო! – მერე ყურმილი დაკიდა, კმაყოფილი იერთო სიგარეტი ამოიღო, გააბოლა და ნელი ნაბიჯით გაემართა სკვერის შუაგულში ლალად მოჩუხჩუხე შადრევანისკენ.

ჭაჭყა

დეპეშა მივიღე თუ არა, ბაბუა ცუდად არისო, დაუყოვნებლივ გავეშურე სოფლისკენ. სამწუხაროდ, ვეღარ ჩავუსწარი ცოცხალს.

და აი, თავჩაქინდრული ვადგავარ ბაბუაჩემის ჯერ კიდევ თბილ ცხედარს. ახლა, ახლოდან რომ დავცქერი, საოცრად მოტეხილი ჩანს ბაბუა. თმა წამოზრდია, ჭაღარა თმა. დიდი, ფართო ხელები კი გამხმარი თუთუნის ფოთოლივით უღონოდ აწყვია მის განიერ გულ-მკერდზე.

ბაბუას დიდი, ღონიერი ხელები! მახსოვს, ბავშვობაში ნაფოტივით როგორ ამიტაცებდნენ ხოლმე ისინი მაღლა, აუ, რამ სიმაღლეზე?.. ეს იყო მისი მოფერება, ალერსი... ასე გამოხატავდა თავის სიყვარულს...

ბაბუას ღონიერი, ძლიერი ხელები! მაშინაც ამ ხელებმა შემისროლეს ცაში და დიდხანს მახურთავებდნენ ჰაერში.

ბაბუას ხელები...

მე მამის ხელები არ მახსოვს. ბაბუას ხელები მიწვევდნენ მამის ხელების მაგივრობას...

თითქოს ისევ ისე ვგრძნობ ახლა ჩემს თმაში მისი ხეშეში თითების შეხებას. „ჩემი გულადი, ვაჟკაცი ბიჭი“! – ხმიანობენ გულში მისი სიტყვები.

რა გოლიათი და უძლეველი მეჩვენებოდა ბაბუა, რა შეუდარებელ დევგმირად სახავდა მას ბავშვის ცხელი გული და ფერადოვანი ფანტაზია?..

მერე... ის პირველი ნადირობა და პირველი ნანადირევი-ნაცრისფერი ყურცქვიტა... ჩემს ფერხქვეშ რომ მოისროლა და მერე... ის გულკრთომა და სიბრაღული, საწყალი კურდღლის გამოცივებული თვალებით გამოწვეული და ის შიშის გრძნობაც, ბაბუამ გულჩვილობა არ შემამჩნიოს-მეთქი...

...მოქნეული თოხი, ღონივრად მოქნეული თოხი, თეთრი ცახოცით თავწაკრული ბაბუა დახრილა თოხის ტარზე და სიმინდის ყანას მარგლავს. ოფლი წურწურით ჩამოსდის სახეზე. ოფლის სუნი... ბაბუას ოფლით სველი პერანგი მისწებებია ზურგზე... მეც ვცდილობ ფეხი ავუბა და... ბაბუას ნაჩუქარ პატარა თოხს ვუბაყუნებ მიწას.

მერე... ბაბუას, თოხის ტარზე დაბჯენილს, გალურსულს, სივრცისთვის მიუშტერებია თვალები და... მაფშალიების გალობას უსმენს.

მეც სულს ვნაბავ. ყურს ვუგდებ ჯადოქარ ფრთოსნებს.

რამხელა სითბო და სინაზე ჩამდგარა ამ დევკაცის თვალებში! ნუთუ ეს ბაბუაა? ჩემი გაულიმარი, გოროზი ბაბუა?!

მგალობლები მავიწყდებიან და ბაბუას შევცქერი თვალმოუწყვეტლად, მალულად. ბაბუა მე ვეღარ მაჩნევს. მთელი მისი არსება, მთელი მისი სული და გული იმ თილისმთან, პაწია ჩიტუნებს შეუპყრია, დაუტყვევებია.

და ეს გრძელდება დიდხანს, ისე დიდხანს, რომ ვეღარ ვითმენ და... ხმამაღლა ვახველებ...

ბაბუა სწრაფად მოტრიალდა ჩემკენ. წამით არაფრის მხედველი, გაცეხებული თვალებით მიყურებს. მერე გონს მოდის. მიღიმის-მსუბუქად, ძლივს შესამჩნევად...

– გაზაფხული მოვიდა ბაბუ, ნამდვილი გაზაფხული! – ამბობს და მძლავრად იქნევს თოხს. მზეზე თვალისმომჭრელად გაიპრიალა თოხის ყუამ და... ასე მეჩვენება, ეს ბაბუას თვალებმა დაიკვესა, ბაბუას თვალებმა გადმოყარეს ნაპერწკლები და ჰაერში ბრჭყვიალით გაიბნენ.

...ახლა კი, გალუული ბერიკაცი წევს ჩემს წინ უძრავად გაშოტილი და თუთუნის გამხმარი და დამჭკნარი ფოთლებივით უყრია მკერდზე ოდესღაც ძლიერი, ღონიერი ხელები.

...მაშინაც, დამბლა რომ დაეცა და მარჯვენა ხელ-ფეხი წაერთვა, გაუნძრევლად იწვა და ჭერს მიშტერებოდა. აჭმევდნენ რამეს, ასმევდნენ – სულ ერთი იყო მისთვის.

მე არ შემეძლო მეცქირა, ჯერ კიდევ გუმინ ესოდენ ძლიერი, ბრვე კაცი ახლა ასე უმწეო და უძლური რომ იყო პატარა ბავშვივით. არ შემეძლო თვალი გამესწორებინა მისი თვალებსთვის, ისე უსაშველო, უძირო და უნაპირო სევდას იტევდნენ ისინი. გული მეწურებოდა ამ ცივი უიმედობის, გულგრილობისა და სასოწარკვეთის წინაშე. ბაბუასთვის ახლა, ამ წუთას არავინ იყო საჭირო ქვეყანაზე. იგი მარტო გახლდათ, სრულიად მარტო თავის თავთან. და რატომღაც, უნებურად მაგონდებოდა ის ამბავი, ერთხელ ზოოპარკში გალიაში გამომწყვდეული ლომის გამო რომ განვიცადე.

ლომის თაფლისფერ, ადამიანურ თვალებში დავინახე პირველად ეს უდაბნოსებური სევდა.

შევდრკი. მოვიკუნტე, უნებურად. მერე... საჩქაროდ გავეცალე ვოლიერს. თითქოს ვიღაცის, თუ რაღაცის გამო შემრცხვა, თავი დამნაშავედ ვიგრძენი.

რატომღაც ასეთივე გრძნობა მიჰყრობდა მაშინაც როცა ბაბუას თაფლისფერ თვალებში სიკვდილივით ცივ სიმშვიდეს და გულგრილობას ვაწყდებოდი.

ბაბუას ექვსი ვაჟკაცი ჰყავდა ომში დაღუპული და ერთადერთი ქალიშვილის, დედაჩემის ამარად დარჩენილს, დიდი ხნის წინ ჰქონდა ჩაწყვეტილი გულის მთავარი ძარღვი, თუმცა... არ იმჩნევდა ამას...

ახლა კი... დაძაბუნებული სხეული ველარ მალავდა სულის სასოწარკვეთას.

მე მინდოდა თვალებით გადამეცა მისთვის ის შეგრძნება, გარდაუვალობა რომ იწვევს ადამიანში. მინდოდა, თვალებით გამერღვია ის ზღუდე, რაიც აღმართულიყო ჩემსა და მას შორის, რაიც გემიჯნავდა, გვაშორებდა ერთი მეორეს.

ბაგე კი ჩვეულებრივ, არაფრისმთქმელ სიტყვებს წარმოთქვამდა. ბაბუაც ასევე ჰოთი, ან არათი პასუხობდა. და ისევ ისე იხურებოდა მისი სულის სარკმელი, ისევ ისე თავის თავთან რჩებოდა მარტო.

დიახ, ბაბუა მარტო იყო, და ეს მოდიოდა ალბათ დიდი ხნიდან, ძალიან დიდი ხნიდან, ეგებ იმ დროიდან, ზედიზედ ოთხი ვაჟის დალუპვა რომ შეიტყო, ან ეგებ... სულაც დასაბამიდან, გაჩენის დღიდან დაჰყვა თან მარტოობის შეგრძნება, იმ დღიდან, პირველად რომ აახილა თვალი, დაინახა ცა და უსაზღვრო ირგვლივეთი. იქნებ ამიტომაც უყვარდა ასერიგად ნადირობა, რომ მარტო რჩებოდა ტყესა და ღრეში და თავისდაუნებურადვე ეძებდა, დაულაღვად, დაუსრულებლად ეძებდა თავის სულის მეწყვილეს, მისი მარტოობის თანაზიარს – ოქროსთმიან ტყაშმაფას – ტყის დედოფალს. იქნებ ამიტომ უყვარდა ასე თავდავიწყებით ცხენის გიჟური ჭენებაც – რამეთუ ქროლვაში შეიგრძნობდა ალბათ, როგორ ერწყმოდა მისი ამბოხებული, აბობოქრებული სული გარესამყაროს და ამ ერთიანობაში ჰპოვებდა შვებასა და სიმშვიდეს.

...ბაბუა ახლაც მარტო იყო და მისთვის, თავის ღმერთთან განმარტოებული მარტოსულისთვის ჩვენ, ლანდებადქცეული მოჩვენებანი თუ ვიყავით, გზააბნეულნი რომ დავბორიალობთ უსიერ, უდაბურ ტყეში, ცხოვრება რომ ჰქვია.

...ჭირისუფლებთან ველარ დავდექი. ველარც კივილს და მოთქმა-გოდებას გაუძეული.

გარეთ გამოვდი. უზარმაზარ ქვაბებთან მოფუსფუსე კაცებს ჩავუარე. წამით კვამლმა თვალები ამიწვა. ვიგრძენი, ჭურჭლის მრეცხავმა ქალებმა თვალი გამომამყოლეს. ასეა. მიცვალებულის ირგვლივ საქმიან ფუსფუსს ვერსად გაექცევი.

ყანა გადავჭერი. აჩეხილი სიმინდის ღეროები ფეხებზე მეხლება. რბილ, ნაწვიმარ მიწაზე მივაბოტებ.

ლობეზე გადავალაჯე და ფერდობს შევუყევი. ნოტიო ჰაერი გაჯერებულია გვიანი შემოდგომის მსუყე სუნით.

ბაბუას მიერ დარგული და მოვლილი ხეხილის ბაღი გავიარე. ხეებს ფოთლები შესჭკნობია. ცვივიან გაყვითლებული ფოთლები. ნოემბრის მოკლე დღე მიწურულზეა.

ბინდდება. საოცარი, არაამქვეყნიური სიჩუმე და სიწყნარე დასადგურებულა ირგვლივ. დაღლილი, უნიათო მზე ნელ-ნელა ეშვება მღვრიე დასალიერში. მეც უკიდურეს დაღლილობას ვგრძნობ ახლა. ერთიანად მოშვებულ-მოღვენთილი ძლივს მივლასლასებ, არც კი ვიცი – საით. ხელები მოწყვეტით დამცვივდა. უაზროდ მივჩერებივარ ჩამავალ მზეს და აღარ ძალმიძს მზერა მოვწყვიტო. რაღაც საოცარი, უცნაური ძალით მიზიდავს ახლა თავისკენ დაღლილი მნათობი და მეც ანგარიშმიუცემლად, უფიქრელად, უდრტვინველად მივყვები ამ უხილავ, ჯადოსნურ ძალას. მიცვალებულთა მზე თავისკენ მეზიდება. ვგრძნობ, როგორ ვწყდები მიწას ნელ-ნელა და ამ გაცრეცილ, მქრალ შუქისაგან დაწნულ ბონდზე მთვარეულივით მივიწვევ ცის კიდურისკენ, სადაც მზემ უნდა დაივანოს.

ჩემი სხეული საოცრად მსუბუქი და უწონოა. გაოგნებული, აზრშერყეული ნელი რხევით მივღევ მზის სხივებს, სისხლისფრად შეღებილი ცის ყურისკენ. ცა თითქოს საიდუმლოებით შენიღბულა. ფერმკრთალი ვარსკვლავები ღილებივით მიმოხნეულან ცარგვალზე და თვალებს მიჰაჭუნებენ. ნიავიც აღარ იძვრის. გაღეული მთვარე ჯანლით დაფარულა.

უცებ ქარმა წამოუბერა. მრუმე ღრუბლებით დაიგრაგნა ცა. მალე დაუკუნეთდა. ყომრალმა ფერებმა ჩანთქეს ცა-რგვალი. მთვარე, ვარსკვლავები. მზე სულს დაფავს და ობობასავით მეწვეა თავისკენ. მეც მის ფერმიქრალ სხივთა აბლაბუდაში გახვეული-ტაატით, ნელ-ნელა მივქანაობ დასალიერისკენ. უეცრად, თითქოს ზეცის ღირე გადმოხეთქაო ნათლის ჩქერალმა – თეთრტაიჭოსანმა მხედარმა გამოაგელვა ჩემკენ თავისი რაში.

შავი ნაბადი უფრიალებს მხედარს. თავი თეთრი ყაბალახით წაუკრავს. მოჰქრის. მთარღვევს მრუმე ღრუბელთა ქარავანს – ჩემს შესახვედრად! აი, დამიპირდაპირდა თეთრი რაში. ყალყზე შედგა. დაიჭიხინა.

ცა შეტორტმანდა. ნამგალა მთვარე საყურესავით აქანავდა.

მზემ სუნთქვა მოიპარა. გაილურსა. ვარსკვლავებმა წამწამები დააფახულეს და მერე ფართოდ გაღებულ თვალებში გაოცება ჩაუდგათ.

კვლავ დაიჭინებინა რაშმა და ტორი ძლიერად დაჰკრა ღრუბელთა ძნას. მერე... მხედარმა ხელები გამომიწოდა: ღველფივით უბზინავს თვალები, თეთრ, დაგრეხილ, გრძელ ულვაშს ნიავი უტოკებს.

ბაბუა!

სანამ რაიმეს მოვისაზრებდი, ზემიტაცა ნაფოტივით და ცხენზე შემომისვა. მერე თავისი ნაბდის კალთები მზრუნველად შემომახვია, მერე სადავე მოსწია და: – ჰაჰაიტო! – ერთი დასჭექა მისებურად მჭახე, გამყინავი ხმით და...

ვარსკვლავებით მოჭიქულ უსასრულო სივრცეში გამაქროლა.

...როცა გამოვერკვიე... ბაბუას ცხედართან ვიდექი კვლავ შეურხეველად. ჩალვენთილ სანთლის შუქზე თვალმოუშორებლივ დაგცქეროდი მის მშვიდ, წყნარ სახეს და თუთუნის ფოთოლივით გამხმარ, დამჭკნარ ხელებს, – ოდესღაც ესოდენ ძლიერი რომ იყო! და ახლა – ულონოდ რომ ეწყო მის განიერ გულმკერდზე.

აცმის ყაჯილქი

გაზაფხულია.

ჩემს ჭიშკართან ატამი ჰყვავის. ჭადრის ტოტებში მთვარე გახლართულა. უთვალავი ვარსკვლავებით მოჭიქულა ცის იისფერი თაღი. მუქლურჯი მანდილი მოუსხამთ გულზვიად მთებს.

ნაწვიმარი მიწისა და ახლადაფეთქებულ მცენარეთა კვირტების ამო სურნელით გაზაფხულა ჰაერი. ოთახში შემოდის ღამის იღუმალებით სავსე ჩურჩული.

ოცნებათა და მოგონებათა ჟამია. და მეც ვოცნებობ... და მეც ვიგონებ...

შარშან, ამ დროს მომაცილე ჩემს სახლამდე. ატმის ქვეშ შევჩერდით, იმ ატმის ხესთან, ჩემს ჭიშკართან რომ დგას აბრდღვი-ალებული.

ჩვენ ვღუშვართ, მაგრამ საუბრობენ ჩვენი თვალები. ჩვენ ვღუშვართ, მაგრამ გულები უხმოდ, უსიტყვოდ უსმენენ ერთი მეორეს.

ანაზღად შენ მიწვდი ატმის ტოტს და თითები მოუჭირე. ატმის ტოტს თითქოს გადაეცა შენი მღელვარება, თავადაც ატოკდა, ათროლოდა და... თავზე გადმოგკაყარა ნაზი ყვავილები.

და მომეჩვენა, თვალციმციმა ვარსკვლავები ჩაიპნენ ჩვენს თმებში.

მთვარე ეშმაკურად ილიმებოდა ჭადრის ტოტებიდან, თვალს გვიპაჭუნებდა, თითქოს გვაქეზებდა...

ეს იყო შარშან, გაზაფხულზე.

ახლა... ისევ ყვავილობის დროა. ჩემს ჭიშკართან ისევ ისე ნაზი, ვარდისფერი ყვავილებით დაიცინცხლა ატმის მშვენიერი ხე. შენს სარკმელთანაც ბრიალებს ალბათ ცეცხლისფერი ყვავილები.

ყველაფერი ისევ ისეა, როგორც შარშან, გაზაფხულზე, მთვარე კვლავ კვიმატურად ილიმება ჭადრის რტოებიდან.

არაფერი არ შეცვლილა. მხოლოდ... შენ აღარ მაცილებ, უკვე!

ლიპილი

ტრამვაიში თითქმის არავინ იყო.

ბილეთი აიღო და კონდუქტორ-ქალთან ახლოს დაჯდა. ის თავის ჩანთაში იქექებოდა გულმოდგინედ და გოგონასთვის არც შეუხედავს.

საათს დახედა. პირველი დაწყებულიყო. ჩუმი შემფოთება შემოეპარა გულზე.

რამდენი დრო გასულა! მეცადინეობას შეყვენენ, მერე მეგი ცუდად განდა და აი...

დელას შეეშინდება, თუმცა... იცის, რომ შეიძლება შეაგვიანდეს. აუ, რამდენი ინერვიულა... ხელები გაუცივდა მეგის, თვალები გადაატრიალა. სახეზე მიტკლისფერი დაედო. ძლივს მოვასუ-ლიერეთ...

ოჰ, ეს სესიები!..

...მოხუციც ჩავიდა. ვაგონში ახლა კონდუქტორი და თვითონდა რჩებიან. თუმცა დაიცა...

წინა კარებიდან ხმაურით სამი ყმაწვილი ამოვიდა. ისინი ჯერ ბაქანზე იდგნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, და... ბილ-წისიტყვაობდნენ.

უნებურად შუბლი შეიკრა. სარკმელში გაიხედა, კონდუქტორმა, ეტყობა, ველარ მოითმინა და... ბილეთი აიღეთო, – მიმართა ბიჭებს. ბილეთით? – ახლა უარესად ახორხოცდნენ ახალგაზრდები.

მერე... კონდუქტორს უტიფრად შეეყებდნენ.

ხანშიშესული კონდუქტორი ქალი ჭარხალივით წითლდება და უსიტყვოდ ყლაპავს შეურაცხყოფას.

გოგონა კვლავ სარკმელში იცქირება. კოპებშეკრული და... უცებ გრძნობს, რომ... ბიჭები მას უყურებენ. მერე ხმადაბლა რა-ღაცას ეუბნებიან ერთმანეთს, მერე...

ორი მათგანი გოგონას წინ ჯდება, მესამე – მის გვერდით.

ჯერ ჩუმად არიან, ჩანს, ერთმანეთში თვალებით საუბრობენ.

ეს სიჩუმე უფრო აშინებს გოგონას, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევს.

– რომელი საათია, ქალიშვილო? – ბოლოს ხაზგასმული თავა-ზიანობით ეკითხება ერთი მათგანი.

ხმა არ გასცეს? მაგრამ ვაი თუ ეს უარესი იყოს? უპასუხოს? მაგრამ ენა რომ სასას მიეკრა?

ელვის უსწრაფესად ენაცვლება აზრი აზრს.

წამოდგეს? მაგრამ რომ არ მოეშვან მაინც?

გოგონას დუმილით „შეურაცხყოფილი“ ბიჭები კვლავ დაუ-რიდებლად აყვიობენ. უხამსი სიტყვები, კადნიერი თვალები, დამახ-ინჯებელი, ჟარგონული ქართული. აუტანელი კილო.

და... ყველაზე უფრო გულისამრევია – სიცილი: უხეში, ყინჩი სიცილი. წამიერად გამანადგურებელი, ზიზლით სავსე მზერა მოავ-

ლო მათ მოგვძო, შავ-შავ სახეებს, ვიწრო, ავაზაკურ თვალებს.

ტუჩი მოიკვნიტა. უილაჯობის ბრაზი ყელში უჭერს და თითქოს ახრჩობს. ო, ო, რომ შეეძლოს სათითაოდ აჭამოს ამათ ლაზათიანი სილა...

უცებ წამოიჭრა. გასასვლელს მაშურა. თვალი ჰკიდა კონდუქტორის დაფეთებულ სახეს. იგი ველარ ბედავს გამოქომაგებას. ან ღირს კი? ისინი უფრო უარესად აიწყვეტენ ალბათ თავს და...

ბიჭებიც ხმაურით წამოიშალნენ. გოგონას გარშემო იკრიბებიან. შიში, ყრუ და საშინელი შიში იპყრობს მთელ მის არსებას.

როგორ მოიქცეს? – გაყვეს ტრამვაის ბოლო გაჩერებამდე? მერე ხომ ისევ უნდა დაბრუნდეს უკან... ეს სალაზანები ალბათ არ მოეშვებიან...

ჩავიდე? მაგრამ ისინიც რომ ჩამოყვნიენ? არა, ჩასვლა უფრო საშიშია, მით უმეტეს, ბნელი შესახვევი უნდა გაიაროს. რა ქნას?

გრძნობს, რომ მუხლები უკანკალებს. გული ამოვარდნაზე აქვს. ტკივილამდე უჭერს ხელს წიგნებითა და რვეულებით გატენილ ჩანთას.

ბიჭები არ ცხრებიან. უფრო და უფრო აუშვეს აფრა.

ეს ერთი გაჩერებაც. მეორეზე უნდა ჩავიდე. სხვა გზა არ არის. ან ეგებ... ვაჭმანთან შევარდეს? რაც უნდა იყოს, მამაკაცია. გამოესარჩლება კი? გაბედავს?... თუმცა... რომც გამოიღოს თავი, რა? ტრამვაის ხომ ვერ მიატოვებს და სახლში ხომ ვერ გაყვება?

ოჰ, თქვე წყეულებო... ნუთუ ადამიანის გული არ გაქვთ? არავინ გყავთ: ან დედა, ან და, ან ახლობელი? ნადირები ხართ, ჯუნგლებიდან გამოვარდნილნი?

„ვაიძე, დედიკო, რა მეშველება?“

ო, ო, ვილაც ამოვიდა. ეგეც ვაჟია?

ჭაბუკმა ამოსვლისთანავე თვალი ჰკიდა გოგონას ცრემლიან თვალებს, ფერწასულ სახეს, ათრთოლებულ ტუჩებს.

სწრაფად აიღო ბილეთი. და მერე პირდაპირ გოგონასკენ გამოემართა.

– რა იყო? რა მოგივიდა? – ჯერ გოგონას ჩაეკითხა, შემდეგ ბიჭებისკენ მიაბრუნა მოლუშული სახე. ისინი როგორღაც უხერხ-

ულად შეიშმუშნენ. მზერა განზე წაიღეს. მერე რაღაც გაურკვეველად წაილულულეს და ნელა გაიკრიფნენ უკანა ბაქანზე.

გოგონამ, ჯერაც გონსმოუსვლელმა, გაოცებული თვალები შეანათა უცნობს.

„ალბათ... შეეშალა! ნაცნობი ვეგონე თუ... ისე, უბრალოდ გამოძექომაგა?... ან ეგებ ესეც თვალთმაქცობს?“

თითქოს ნაფიქრალს მიუხვდაო, უცნობი ვაჟი თვალებში ჩააცქერდა და... გაუღიმა.

თეთრმა, გასაოცრად თეთრმა კბილებმა გაიელვეს ჭაბუკის სახეზე. და გოგონას მოეჩვენა, რომ სინათლე შეეფურქვა.

ო, ეს ღიმილი...

უხილავი, შინაგანი სითბოთი ანათებს იგი ადამიანის სახეს, თვალებში კი, — მზის სხივების ათინათი დგება.

ვინ არის, რა მოხდენილი ვაჟია? თითქოს სადღაც უნახავს კიდეც, მაგრამ სად, უნივერსიტეტში? არა, არა, უნივერსიტეტელი რომ იყოს, ეცოდინება. მამ, სად?

იგი მცირე ხანს დაკვირვებით შესცქეროდა გოგონას. — იცნობთ მათ? — ჰკითხა უეცრად და თვალთ ანიშნა ბიჭებისკენ. გოგონა შეტოკდა. გაჭირვებით გადაყლაპა ნერწყვი, მერე თავი გაიქნია: — პირველად ვხედავ... — ამოთქვა ძლივს გასაგონი ხმით.

— ჰმ. გასაგებია... — ჩაიდულუნა უცნობმა. მერე ერთხელ კიდევე გაიხედა მიჩუმებული ბიჭებისკენ გამხვრეტი, ბასრი თვალებით, მერე გოგონას მოუბრუნდა ისევ. ამ დროს... ტრამვაიც გაჩერდა.

გოგონა გამოერკვა. შეირხა.

— აქ ჩამოდიხარ? — სწრაფად ჰკითხა ვაჟმა.

— დიახ... — წაიჩურჩულა გოგონამ.

— ჩავიდეთ, აბა!

უცნობი ჯერ თვითონ ჩახტა. მერე ხელი გაუწოდა გოგონას და ჩამოსვლაში მოეშველა.

ო, რა ძლიერი მარჯვენა აქვს...

ლიანდაგი უნდა გადაიარონ და...

უცებ, მოულოდნელად წინ ჩაიქროლა ცარიელმა ტრამვაიმ. — ფრთხილად! — ხელი წაატანა მკლავში ვაჟმა. უკან დასწია, მერე ღიმილით უთხრა:

– რას შერები, გოგო, კინალამ ჩაუვარდი?

გაოგნებული გოგონა ხმას არ იღებს. თითქოს ენა გადაყლაპაო. ნაძალადევად შეჭლიმა ვაჟს და თვალი ქურდულად გააპარა გვერდზე.

ის ბიჭებიც ჩამოსულან, ერთად შეჯგუფებულან და მათკენ იცქირებიან.

გული შეეკუმშა. შემფოთდა ისევ: „აღბათ მითვალთვალებენ... უნდათ ნახონ... გამოძევება ეს ვაჟი თუ... მარტო წავალ“.

მერე... გატრუნული, სუნთქვაშეკრული მიყვება უცნობს, თუ... იგი მოყვება?

ტროტუარზე გადავიდნენ, ვაჟი შედგა.

– ახლა საით წავიდეთ?

გოგონა მღელვარებისგან თითქოს დამუნჯდაო. ხმას ვერ იღებს.

მერე... უსიტყვოდ, უხმოდ მოაბიჯებენ ისევ გვერდიგვერდ. ვაჟი სიგარეტს აბოლებს და ღუმს. გოგონა ზოგჯერ მალულად ახედავს მას. ნეტავი, ვინაა, უბნელია? არა მგონია...

აი, შესახვევიც... გოგონა შეჩერდა.

– აქ ცხოვრობ?

– აქ... უნდა შევუხვიო.

– წამოდი... მიგყვები სახლამდე!

ბნელი ქუჩა. ოღრო-ჩოღრო. მიხვეულ-მოხვეული. სადღაც მოშორებით ზანტად ყეფს ძაღლი.

გული გაშმაგებით უცემს. აზრი ეფანტება. იჭვები. ვარაუდები. ვაი თუ... ვინ იცის...

– ფრთხილად! – მკლავში ჰკიდებს ხელს ისევ.

ოჰ, რა საოცარი ძალა გადმოდის ვაჟის ხელებიდან.

აი, ჭიშკარიც. ძლივს. თითქოს არ სჯერა, რომ შინ მოვიდა.

– მოვედით? – კითხულობს ვაჟი.

– დიას.

– აბა შედი. კარგად იყავი!

– თქვენ... თქვენ რომ დაგვხვდნენ... ისინი? – ხმა უცახცახებს. შიშნამდგარ თვალებს აპყრობს.

ვაჟმა გაიცინა (ღმერთო?... რა ბავშვური სიცილი სცოდნია!)

– დამზვდნენ მერე! – ისევ იცინის.

უცებ სიცილი ჩამოირეცხა სახიდან: – ჩემზე არ იდარდო... არხენინად იყავი. ჰო, მართლა... – წასასვლელად გამზადებული, შემობრუნდა. გოგონას სახეში ჩახედა: – ასე გვიან არ უნდა იარო მარტომ. ხომ ხედავ, რა და რა ჯურის ხალხს შეიძლება გადაეყარო... აბა, კარგად! – უცებ ლოყაზე, ვით პატარა ბავშვს, ხელი მოუთათუნა და გატრიალდა... წამიც და... სიბნელეს შეერწყა. გაუჩინარდა.

წავიდა. მაღლობაც რომ ვერ უთხრა? აღარ დააცალა...

ხომ უნდა ეთქვა... რატომ დააგვიანდა, რომ... გამოცდისთვის ამზადებდა საგანს თავის თანაკურსელთან ერთად, რომ... მოულოდნელად ამხანაგი ცუდად განდა, რომ...

მაგრამ უკვე გვიანაა. ვაჟი წავიდა. ვერაფერს ეტყვის, ვერაფერს გააგებინებს.

ვინ არის? სახელიც რომ არ იცის? ვერ ჰკითხა... ვერ მოასწრო... თუ მოერიდა?

მას შემდეგ...

დაექებს გოგონას თვალები ვაჟს. ეძებს ყველგან – თავმოყრილ ხალხში, ქუჩაში, ტროლეიბუსსა თუ ტრამვაიში, კინოსა თუ თეატრში, უნივერსიტეტის დერეფნებსა თუ ეზოში. თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ვერსად ვერ გადაგყარა.

და აი, ერთხელ ტრამვაიდან რომ ჩამოდიოდა...

ნუთუ ისაა?

ვაჟი კიოსკთან მივიდა. გაზეთები იყიდა, მერე გამობრუნდა და გაზეთის კითხვით, ნელი ნაბიჯით დაუყვა ქუჩას.

ის არის. ნამდვილად ის. გული სიხარულით აუჩქროლდა. სახეზე უნებლიეთ წამოენთო. მღელვარებისგან პირი გაუშრა. წამი და... პირისპირ შეეჩხებთან ერთმანეთს. მერე?... მერე შეაჩერებს და თუმცა გვიან, მაინც გადაუხდის მაღლობას...

ო, როგორ ნატრობდა ამ შეხვედრას?... წინასწარ თითქმის ყოველივე მოისაზრა: როგორ მოქცეულიყო, რა სიტყვები ეთქვა...

ვაჟმა უცებ თავი ასწია. მშვიდად შეხედა და... ისევ გაზეთს ჩააცქერდა. გზა განაგრძო.

ვერ იცნო!

გოგონა შეცბა. წყენის ჩრდილმა გადაურბინა სახეზე. გული უნებლიეთ მოეწურა. თვალეში ცრემლი მოაწვა. თავი ჩაჰკიდა.

ვერ იცნო. წარმოგიდგენიათ?!

მერე... ნელ-ნელა შეეპარა ღიმილი ტუჩებს. ველარ იცნო? მერედა, რაო? რაც მთავარია, თვითონ ხომ იცნობს? მართალია, სახელიც არ იცის მისი, არც გვარი. არც ის, თუ სად ცხოვრობს, სწავლობს სადმე თუ მუშაობს. არაფერი, სრულიად არაფერი იცის მასზე და მაინც... იცნობს. მორჩა და გათავდა. იცნობს მის ღიმილს, წყლის ჭავლივით რომ ციმციმებს ბაგეზე და თვალეში მზის შუქის ათინათს რომ აყენებს. დიახ, იცნობს და...

ათასში გამოარჩევს მას!

ქახილი

სწრაფად, სულმოუთქმელად ავირბინე ქვიშიან ბორცვზე. მერე შევდექი. გავინახე.

სულ ახლოს იწვა ზღვა და ზანტად იზმორებოდა თავის უზარმაზარ სარეცელზე. ზღვა გამდნარი ვერცხლისფერი იყო და ალაგ-ალაგ ოქროს თევზის ფარფლებივით ბზინავდა აისის მზის ოქროსფერ სხივებზე.

მთათა ქონგურებზე ცეცხლი გიზგიზებდა. ცასაც ლაწვები შეფაკლოდა და... ერთმანეთში ირეოდა ძოწისფერი, ნარინჯისფერი, ზურმუხტისფერი...

ვიდექი გატვრინული მზის სხივებით მოთილისმებულ ნაპირზე და მზერა ვერ მომეშორებინა ზღვის ტალღებისთვის, უშფოთველად, წყნარად რომ ლივლივებდნენ ჩუმი დვრინივით.

ზღვაური ალერსიანად მიფათურებდა თითებს სახეზე, თმაში მეხლართებოდა, მელაციცებოდა.

ბოლოს გამოვერკვიე, ნელა დავეშვი ბორცვიდან. თავი ოდნავ დამძიმებოდა უძილობისაგან. მოუსვენრად გავატარე მთელი ღამე წუხელ შენთან დაშორების შემდეგ.

...გვიანობამდე ვსეირნობდით სანაპიროზე. ერთად ყოფნის სიხარულში თვალსა და ხელს შუა გაგვეპარა დრო... მერე... ვეღარ დავიძინე. საწოლში ვწვრიალედი. თვალწინ სულ შენი სახე მედგა...

...ფეხს ავუჩქარე. უკვე სულ ახლოსაა ზღვა, ჩემი საყვარელი ზღვა. იგი ჩუმად, თავისთვის ბუტბუტებს დამეულ სიზმრებს. კიდევ ცოტა და... ჩავეხვევი, ჩავეკონები მის მოალერსე, თბილ ტალღებს.

უცებ ადგილზე გავშეშდი. ქვებზე პირადმა შენ იწექი.

გული ძლიერ შემიქანდა.

ნელა, ფეხაკრეფით მოგიახლოვდი. შენ თავქვეშ ხელები ამოგეწყო და თვალგახელილი თვლემდი თუ რაიმე ზმანებას გაეთანგე — აღარ იძროდი. შეუმჩნევლად მოგეპარე და თვალებზე ხელი დაგაფარე. შენ გველნაკბენივით შეტოკდი. მერე წამოჯექი და... გაცეცხისგან გაფართოებული თვალებით მომაჩერდი.

— შეგაშინე, არა? — გავიცინე მე და შენს შორიახლოს ჩავიმუხლე.

— შეენ?.. საიდან? — იმდენი სიხარული, აღტაცება და მღელვარება იყო შენს თვალებში, რომ მე... ისევ გავიცინე, გავიცინე ბედნიერების სიცილით.

— როგორ... გაჩნდი აქ?..

— მე კი არა, შენ რა გინდოდა აქ? ეს ჩემი ადგილია. მე აქ დავდივარ ხოლმე საბანაოდ!

— ჰოო?.. არ ვიცოდი, ნამდვილად არ ვიცოდი, თუ... ასე სისხამ დილით დადიხარ თურმე საბანაოდ, თორემ...

— თორემ რა? — თვალებში შეგხედე პირდაპირ.

ანაზღად, შენ ორივე ხელი მკლავში ჩამავლე, შენსკენ მიმიზიდე. სახიდან ღიმილი გაგიქრა. თვალები ჩაგიმუქდა. სახე გაგიმტკნარდა. მე წამით სუნთქვა შემეკრა. გული სადღაც უფრსკულში ჩაიძირა...

— ნანიკო... როგორ მომენატრე, რომ იცოდე? ასე მგონია, თითქოს საუკუნეა არ მინახიხარ...

— ავთო, მოდი, ცურვაში გავეჯიბროთ, ერთმანეთს. გინდა? — წამოვიძახე ერთბაშად და ფრთხილად გავითავისუფლე თავი შენი მკლავებისგან.

შენ ქვედა ტუჩი ჩაიკვნიტე და მზერა დახარე. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ჩვენი ღუმილი...

მე დახრილი ქუთუთოებიდან გვერდულად ვხედავდი, როგორ მოისვი სახეზე ხელისგული, მერე გვერდზე გადაიხარე, დაკეცილი შარვლის ჯიბიდან სიგარეტი და სანთებელა ამოიღე. მოუკიდე. მე სწრაფად შემოვბრუნდი შენკენ.

– ავთო, შეჯიბრების ხომ არ გეშინია? – ხუმრობის კილოთი გკითხე, მაგრამ... რატომღაც ხმა გამეხარა. ყოველნაირად ვცდილობდი, თვალი ამერიდებინა შენი განიერი, შიშველი მხარ-ბეჭისთვის და... ველარ ვახერხებდი.

– მეშინია? მე?

– ჰო... დაგავიწყდა განა, ერთხელ რომ გაჯობე? მერე ნაპირზე მიმტყეპე, რად გამისწარიო?

– ტყუილია. მე არ მიცემიხარ... – შენ ერთბაშად გაწითლდი პატარა ბავშვივით.

– ჰო, მართალია. შენ კი არ გამარტყი – მე გაგალახინე თავი! ორივეს სიცილი წაგვსკდა და... ორივენი თითქოს ისევ ისე პატარებად ვიქეცით, მე – ახტაჯანა გოგოდ, შენ – ორიოდე წლით ჩემზე უფროს, მორიდებულ, წყნარ, მშვიდ ბიჭად.

წამით წაიშალა ყოველივე სხვა, გარდა იმ ბედნიერი წლების ნათელისა...

– მე მაშინ მკლავი მელრძო, შენ ეს იცოდი და მაინც მაჯავრებდი. მოთმინებიდან გამომიყვანე... და შემოგილაწუნე კიდეც...

– ჰო... მახსოვს, როგორ განიცდიდი მერე. მე კიდეც... გაგებუტე... რა სასაცილოები ვიყავით, არა?... მაგრამ ახლაც ხომ არა გაქვს მკლავი ნაღრძობი? აი, ახლაც გაჯობებ!

– ვინ, შენ?

– დიახ, მე!

– ამას უყურე ერთი! – შენ იღიმებოდი და ეს თბილი, ალერსიანი, ამავედროულად, შემწყნარებლური ღიმილი უფრო ამძაფრებდა ჩემს ბავშურ, ანცურ წადილს.

– არ გჯერა, ხომ?... აი, ვნახოთ... ოღონდ... – და ისევ აღიმართა ჩვენს შორის ბავშვობის შემდეგ განვლილი წლები.

— ოღონდ... მიბრუნდი. არ შემოხედო, სანამ წყალში შევალ. ხომ გესმის, არ გაბელო მოხედვა!

— ჰო, კაი.

— ავთო, იცოდე არ მოიხედო, თორემ!..

— ჰო, კაი-მეთქი გოგო, ნუ გააჭირე საქმე!

— არ გეხუმრები, იცოდე!..

ელვის-უსწრაფესად გავიძრე კაბა და ზღვაში შევედი.

— შეგიძლიათ მიბრუნდეთ!

შენ ნელი ნაბიჯებით გამოსწიე ჩემკენ. ახოვანს, ბეჭებში გახიდულს, სპორტული აღნაგობის მქონეს — თვალს ვერ მოგწყვეტდა ადამიანი. მე წყალში ვდგაფუნობდი, გიყურებდი და... ვიცინოდი. ვიცინოდი უმიზეზოდ, ისე — რადგან უსაზღვროდ ბედნიერად ვგრძნობდი თავს და არ ვიცოდი, რა იწყევდა ბედნიერების ამ შეგრძნებას: ზაფხულის ეს მშვენიერი დილა, ტკბილად მონანაკე ზღვის ტალღები თუ... შენი სიახლოვე? ან იქნებ... ყველაფერი ერთად?

მე კისკისით სახეზე პეშვით წყალი შეგაშხეფე... შენ კი ხმას არ იღებდი. ისევ ისე მიყურებდი და... ჩუმად იღიმებოდი. ეს მზერა და ტუჩებზე გაწოლილი ოდნავი ღიმილი — გულს მიჩქროლებდა, საამო ტალღებად მივლიდა ძარღვებში. უცაბედად მომსკდარი მღელვარება რომ დამეფარა, გადამეტებული ხალისით წამოვიძახე:

— დავიწყით, აბა!.. ე, ე... უკან დაიწიე, ბიძია! თანაბარი მანძილი უნდა დავიცვათ სტარტზე.

— ო, შენ ისევ ისეთი ჭინჭყლი გოგო ხარ, ნანიკო!

— არაფერიც. სამართალი — სამართალია. აბა, ჰე... იცოდე, გაჯობებ, გაჯობებ, ავთო, და მერე გაბედავ გალახვას?

შენ მხოლოდ იღიმებოდი პასუხად და მშვიდად მიაპობდი ტალღებს ჩემს გვერდით.

მერე... შენ შორს იყავი, ძლიერ შორს და ამაოდ ვცდილობდი, დავწეოდი. შენ შეჩერდი. თავი ჩემსკენ მოაბრუნე, თან ხელი დამიქნიე:

— შეისვენე, ნანიკო. ნუ ჩქარობ. მე... დავიცდი... — ახლა უკვე შენ დამცინოდი. მამასხარავებდი.

გავბრაზდი. ჯიბრის გრძნობამ მართლა დამრია ხელი.

– აბა, თუ ბიჭი ხარ, მაქედან გამასწარი! – შეგძახე და მსწრაფლ მოვბრუნდი, რაც ძალი და ღონე მქონდა უკან, ნაპირისკენ გამოვცურე.

მერე... შენ გვერდში მომდევდი ერთხანს, თან ყბას მიქცევდი: – ნანიკო, ეგებ თავიდან დავიწყეთ, ჰა? მე მგონი, სტარტზე თანაბარი მანძილი არ იყო დაცული. შეგიძლია – გააპროტესტო.

– დიდი ამბავი ახლა, თუ მაჯობე. სატრაბახო ბევრი არაფერი გაქვს. ერთით ერთს ვართ ბოლოს და ბოლოს.

– ნანიკო, იცი... ღმერთმანი, არ მინდოდა გამესწრო, მაგრამ... ზღვამ გამიტაცა ჩემდაუნებურად... თან, რამდენი ხანია, არ მიცურავია... სულ დამავიწყდა, რომ შენ... მეჯობებოდი.

– რა გინდა ვითომ ამით თქვა?

– ნანიკო, ნაპირამდე ჯერ კიდევ შორსაა. მოდი, მოგეხმარები.

– დამცინი, ხომ?

– ოჰ, როგორ გეკადრებათ? ღმერთმა დამიფაროს! – შენ ზუსტად გაიმეორე ჩემი წელანდელი სიტყვები, კილოშიც კი გამომაჯავრე. ორივეს გაგვეცინა: ხმამაღლა, ხალისიანად.

როცა ფეხთქვეშ მიწა ვიგრძენი, სული მძიმედ მოვითქვი და მოწყვეტით ჩავემხე სილაში.

– ცუდად ხომ არა ხარ, ნანიკო? – შეშფოთებით მკითხე და ჩემსკენ გადმოიხარე. მხარზე შენი ცხელი სუნთქვა შემეფრქვა.

– არა... არა... არაფერია... ცოტა, მგონი, დავიღალე...

ანაზღად შენი გაფიცხებული ტუჩების შეხება ვიგრძენი კისერზე: – ჩემი ჯიუტი გოგო... ურჩი გოგო... – ჩურჩულებდი შენ და მხურვალედ კოცნიდი ჩემი თმის ბულულებს. მე წამით გავილურსე. გავინაბე. მერე... თავი ავწიე. თვალებში შეგხედე. მათში ელვა იკლავებოდა. ამ ელვის ნაპერწკლებმა სახე ამიწვეს. მზერა სასწრაფოდ დავხარე.

– ახლა... წადი, ავთო. დამტოვე.

– ნანიკო...

– ძალიან გთხოვ, წადი.

ვგრძნობდი, როგორ ებრძოდი საკუთარ თავს. ჩემს გულსაც ბაგა-ბუგი გაჰქონდა. გონებას თითქოს ნისლი გადაეფარა. შენ წამოიმართე და ...უსიტყვოდ, უხმოდ გამშორდი.

მზერადაბინდული გიყურებდი, შენ მიდიოდი ნელა, ბეჭების
ოღნავი რხევით.

მიდიოდი თავჩაქინდრული.

მე მინდოდა, დამეყვირა: დაბრუნდი, ნუ მიდიხარ... – მაგრამ...
გული გეძახდა, ბაგე კი – ღუმდა. და ვაგლას, შენ ვერ გაიგონე
ჩემი ძახილი.

წამით შეჩერდი. მე თვალები დავხუჭე. კბილებით კი მკლავს
ჩავაფრინდი.

მერე?

მერე წლები გაფრინდნენ.

...და აი, მე მოვედი აქ, ჩვენს ნაპირზე. ზღვა მშვიდია, წყნ-
არი და... ულურჯესი. პაწია, ქოჩორა ტალღები ჩუმი ღუდუნით
ელამუნებიან ნაპირს. ცა კრიალაა – მაღალი, იისფერი. ირგვლივ
მყუდროებაა და ღუმილი. ღუმილი დასადგურებულა გარშემო.
მხოლოდ თოლიები გამყინავი ხმით ჭყვივიან დროდადრო.

ვღვაკარ მარტო, სრულიად მარტო და ზღვაური ისევ ისე
ძველებურად მეფერება სახეზე. გული ჩემი უწინდებურად ტოკავს,
იგი უწინდებურად გეძახის, გიხმობს. მაგრამ შენ... შორსა ხარ,
ძლიერ შორს, უსაშველოდ შორს და მე ვიცვი, ვერასოდეს ვერ
მოაღწევს შენამდე ჩემი ძახილი, ვერასოდეს! და მაინც: ვღვაკარ
ზღვის ნაპირზე და...

გიხმობ, გულით გეძახი! ბაგე კი... ისევ ისე ღუმს.

თოვლი

თოვს. ნაშუადღევს დაიწყო თოვა და საღამოსთვის უკვე თეთ-
რად ქათქათებდა ირგვლივ ყველაფერი.

თოვს ხვავრიელად, ბარაქიანად. ფანტელები ფრიალ-ფრიალით
ცვივა ძირს. თითქოს გაერთიანდა ცა და დედამიწა, შეერწყა და
შეენივთა ერთმანეთს.

არაამქვეყნიური სიჩუმე დგას. სიჩუმე და... მყუდროება. თოვლის ფანტელების შარიშური თუ არღვევს ამ ღვთიურ გარინდებას. და სულში იღვრება ზეადმტაცი, სევდანარევი სიხარული. სხეული თითქოს განიძარცვა ხორციელი სამოსისგან. და ახლა, ამ პირველყოფილი სიჩუმის წიაღში თოვლის ფიფქივით დაფარფატებს უწონო, გამჭვირვალე. დაფარფატებს მარტო, სრულიად მარტო ამ დაბურული ცისა და თეთრი მარადისობის წინაშე. მაგრამ ეს მარტობა ზეიმურიცაა თითქოს, ამალღებული, ზესთაზენური. იგი მარტველი სულის ზეაღსვლაა, მისი სწრაფვაა უსასრულობისაკენ, მარადისობისაკენ. ასეთ დროს მთელი არსებით გრძნობ, რა პატარა და უსუსური ჩანხარ ამ უსაზღვროების წინაშე, და რა მაღალი და დიდებულიცა ხარ ამავე დროს.

ეს მართლაც რომ სულის აღვსების ჟამია. მისი ღღესასწაულია თითქოს. ასეთი განცდა გეუფლება მაშინ, როცა ტაძარში უსმენ ჩვენს საგალობლებს და... ბახის ფუგებს.

...ხოშორა თოვლი ჭრატუნებს ჩემს ფეხთქვეშ.

თავშიშველა, ტყაპუჭზე საკინძჩახსნილი დავაბოტებ ამ უსასრულო, ჩაბინდულ სითეთრეში და ხარბად ვისუნთქავ სუფთა, ნოტიო ჰაერს. თოვლის ფაფუკი ფანტელებით მევსება თმა, მელუმპება სახე. გაღმა ფერდობზე შეფენილი სოფლიდან ყრუდ მოისმის ძაღლების ყეფა.

თითქოს დამიბრუნდა ბავშვობისდროინდელი, მივიწყებული გრძნობა, პირველი თოვლის მოსვლა რომ იწვევდა ჩემში.

ღამე ვერ ვიძინებდი. წარამარა ვდგებოდი და უჩუმრად, ფრთხილად გადავწვედი ხოლმე ფანჯრის ფარდას და ეზოში ვიციქირებოდი — დაღო თოვლი თუ არა-თქო!..

თოვს. თოვს კი არა, ბარდნის ლამაზად.

ახლა ყველა თავის კერასთან ზის ალბათ და ცეცხლს ეფიცხება. ჩემი ბებოც თბება ახლა შუაცეცხლთან და... მელოდება. მე კი... დავალაჯებ უთავბოლოდ მთის ამ პატარა სოფლის ბორცვებზე მარტოკა და იღუმალ სიჩუმეს ვაყურადებ ჩემს გარშემო.

დიდი ხანია არ ვყოფილვარ აქ, ზამთარში. ასეთ დიდთოვლობას დიდი ხანია არ შევსწრებივარ. ქალაქურ ზამთარს შეჩვეულს,

ახლა ეს ღვთაებრივი სილამაზე, უჩვეულო გარინდება მარეტთანებს, თავბრუს მახვევს და... ფიქრებს ამიშლის ხოლმე.

...შენც ალბათ ზიხარ ახლა შენს ოთახში, წიგნს კითხულობ, ან უკრავ, ან ტელევიზორს უყურებ, ან არადა, შესაძლოა, ქუჩებში დახეტიალობთ შენ და ის — ლამაზი, მაღალი ბიჭი. იგი შემცვივულ ხელებს გითბობს...

რამდენჯერ ჩამივლია ღამით შენი სახლის წინ, რათა ერთხელ კიდევ თვალი შემეველო იმ ალაგისთვის, ესოდენ ძვირფასი რომ იყო ჩემთვის, და... არის დღემდე!

...ძველ ჭრილობებში ხელის ფათური გვიყვარს თურმე ადამიანებს ჟამიდან ჟამამდე. ან იქნება იმიტომაც ვერ ველევით იმ გარდასულს, რომ მასთან ჩვენი ცხოვრების გაზაფხულია დაკავშირებული?

როცა პირველად დაგინახე „იმასთან“ — მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრდა, დამავიანდა — სამუდამოდ, სამარად-ჟამოდ და მაინც, ამისდა მიუხედავად, ვერ შეგლეოდი. ველარ დამეთმო შენი თავი იმ „ვიდაცისთვის“...

შენ გაღიმებული მიდიოდი მის გვერდით, ბედნიერი ჩანდი. კმაყოფილი. კობტად მიარხევდი ტანს და... არაფერი გესაქმებოდა იმასთან, ვინც სიმწრით ჩუმად იკვნეტდა ტუჩებს, ჭადრის ხეს ამოფარებული. ვისაც უეცრად, ერთბაშად დაეუფლა შურისძიების გრძნობა, ვისაც უნდოდა, იქვე, ქუჩაში, საჯაროდ ეტაცა შენთვის ხელი და ხმამაღლა, ყველას გასაგონად, იმ ბიჭის გასაგონადაც მეთქვა: — მე მინდა... მე მოვითხოვ...

რა, რა მინდოდა? რა უნდა მომეთხოვა? ის, რომ ბოლომდე ყოფილიყავი ერთგული შენი სიტყვის, გაგელო მსხვერპლი უკვე წასული სიყვარულისთვის? გიყურებდი ღიმილიანს, სახეანთებულს, საოცრად ლამაზს და მოხდენილს და მივხვდი, შენ ჩემთვის დარჩებოდი არა ის, ვინც მიაბიჯებდა ახლა ამ ახოვანი ბიჭის გვერდით, არამედ ის ნაწნავებიანი გოგონა, ხელში პატარა დაიკო რომ გეჭირა და შუა ეზოში მდგარი, უღიმოდა... რას? არ ვიცი რას: მზეს, ატმის ტოტს თუ... იმ ათინათს, ირგვლვეთს რომ მოფენოდა?

იმ ხატებას — ვერავინ წამართმევდა, იმას სხვა ვერ დაისაკუთრებდა, ის მხოლოდ ჩემი იყო, მხოლოდ მე მეკუთვნოდა,

ნიადაგ ჩემში ცოცხლობდა, ჩემი სისხლის უჯრედებში ბუდობდა და ჩემთან ერთად თუ უწერია სიკვდილი...

შენ ეს არ იცი. არც არავინ იცის ამქვეყნად. ვერც ვერავინ მიხვდება ვერასოდეს.

თოვს. ისევ ისე გადაუღებლად ბარდნის. გადათეთრდა ირგვლივითი, უცებ... მომინდა ავგარდნილიყავი სოფლის ძველი, დანგრეული ეკლესიის სამრეკლოზე, მძლავრად ჩამომეკრა ზარი და... მთელი ხმით მეყვირა: — ხალხნო! გამოდით... გარეთ გამოდით!.. შეხედეთ — რა სილამაზეა! და მოდით... შევუნდოთ ერთი მეორეს. გვიყვარდეს, გვიყვარდეს ერთმანეთი!

ქბკქღა

დაბალი ცა. და ცაზე უწესრიგოდ დაჯორგილი შავი ღრუბლები. ატალახებული მიწა: ალაგ-ალაგ გულმკერდჩაღეწილ-ჩანგრეული და ტრიალი ტრამაღი-უსაზღვრო, უკიდევანო. ზანტად მიიზღაზნება უზარმაზარი მდინარე და სადღაც შორს, ჩამუქებულ სივრცეს ერწყმის.

დგას მარტოსული ჩაღამებული თვალებით. დგას შეურხეველად და მღუპარედ, ფიქრიანად გასცქერის წინ გადაშლილ ბინდიან ტრამაღს. უსაშველო სიმძიმე აწეება გულზე.

და ასე ჰგონია: აი, ახლა ჩამოიწევს ეს შავად შესუღრული ზეცა, ჩამოიწევს და... თან დაიტანს.

სული შეუგუბდა. საკინძე ჩაიხსნა. ყელზე, მკერდზე მოისვა ცივი ხელი. ეამა. თვალები მოხუჭა. და ანაზღად... თითები შეეხნენ...

დედისეული ჯვარი!

ტანჯვანარევა ღიმღმა შეუთრთოლა ტუჩები. წამით გაირინდა.

და დაიკარგა გარემო. უფსკრულში ჩაიძირა ყოველივე და მოგონებათა ბურუსიდან ნელ-ნელა ამოტივტივდა ქალის ჭადარა

თავი, სიყვარულით დანისლული თვალები, დამჭკნარი სახე, უფერული ტუჩები.

„ბედნიერი ვარ, შვილო, შენს უნახავად რომ არ მოგკვდი!“ – ჩაესმა ერთბაშად მისი ნაჩურჩულევი.

შექანდა. თვალებზე მოისვა ხელი. წამსვე გაქრა დედის აჩრდილი. არავინაა ირგვლივ. მარტოა, სრულიად მარტო ამ უდაბურ ტრამალზე. ზანტად მიიზღაზნება უზარმაზარი მდინარე, და სულ უფრო და უფრო დაბლა იწევს ცა: თითქოს სწყურია შეეთქვიფოს, შეენივთოს დედამიწას.

საკინძე შეიკრა. გადათხრილ ძველ სანგარს გადააბიჯა. წაიფორხილა ანაზდად, ჩაიჩოქა ცალი მუხლით და...

ცხადია თუ... ზმანება?

ენძელები, პაწია, ნაზი ენძელები სანგარის კიდებზე! ერთმანეთს მიკვრიან შესვრილნი, შეთხუპნილნი.

რა სასწაულს გადაურჩნენ ისინი აქ?

ნუთუ... გაზაფხული მოდის მართლა?..

ფრთხილად, სათუთად გააცალა ტალახი ენძელებს.

„იქ ახლა გაზაფხულია... ნამდვილი გაზაფხული!“

წამოიმართა. ნაღვლიანი ღიმილით დახედა ენძელების კონას. მერე ტუჩებთან მიიტანა წამით.

...მძიმედ მიალაჯებს ტრამალზე.

სტანიცა. სამხედრო ბანაკი... და უცებ ჩაქრა თვალთა სითბო. თავი ჩაღუნა. ნაბიჯს აუჩქარა. ყრუდ აღწევს მის ცნობიერებამდე კაზაკთა ჟრიაძული. სადღაც გარმონი იწელება. ვიღაც გაბმით მღერის. მღერის კი არა, გაჰკვივის. ვიღაც ბილწად ივინება. ვიღაც ხორხოცებს.

თავდახრილი მიდის. მიდის კი არა, თითქმის მირბის. როგორმე მალე უნდა გაეცალოს აქაურობას.

...ჯერ შიშველ ტალახში აზელილ ფეხებს მიწვდა მისი მზერა. მერმე... წარბებს ქვემოდან დაუფარავი სიძულვილით ანთებულ თვალებს შეეფეთა ანაზდეულად.

უხალისოდ, უგულოდ ისხლეტს ამ მტრულ მზერას და გულგრილი იერით ავლებს თვალებს-ერთად შეჯგუფულთ.

„ამდილანდელი ბრძოლის ტყვეებია... ეგენიც განწირულნი არიან!“ – უნდღილად გაურბინა თავში. და ერთბაშად... შეტოკდა. სახე დაუგრძელდა. ლოყები წამოეგზნო, მერმე გაფითრდა. უან-გარიშოდ, უფიქრელად ნაბიჯი წინ წადგა და...

გონს მოეგო. ადგილზევე გაქვავდა. კბილები ერთმანეთს მაგრად დააჭირა, მზერა დახარა.

„ნუთუ?!“

ნებისყოფის დაძაბვით სძლია თავს. დაიმორჩილა სახის გამომეტყველება – გულის გამშაგებული ცემა!.. (მაღლობა ღმერთს, გულში ვერავინ ჩამოიხედავს!). მხოლოდ ახლალა შეხედა წვიპზე შემართულ მცველებსაც.

– სად მიგყავთ... ესენი? – იკითხა ვითომ დაუდევარი კილოთი და მშვიდი, ძალზე მშვიდი სახით.

– ჯერ ყაზარმაში, თქვენო მაღალკეთილშობილებაჲ! – სხარტად მიუგო ჩოფურა, დაგვაჯული ტანის კაზაკმა, მერე დასძინა: – შემდეგ კი... ჩააძალღებენ ამ წითელ მაიმუნებს! – და კაზაკი უფრო გაიჭიმა და... გაიღრიჭა.

თითქოს არც შეუმჩნევაო ეს უადგილო, ბრიყული ღიმილი, ცივი, ერთობ ცივი ხმით გამოკვეთა:

– ეგ... სუბიექტი, – ხელით ანიშნა მაღალ-მაღალ, გამხდარ ტყვეზე, – მე მომგვარეთ.

– არის, თქვენო მაღალკეთილშობილებაჲ!

...და ახლა განგებ აუჩქარებლად, დინჯად მიაბიჯებს პირქუში სახით, გულაძგერებული. სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს ფიქრი-ფიქრს, აზრი-აზრს, გრძნობა-გრძნობას.

შტაბი! როგორც იქნა-მიადწია!

ხელის კვრით შეაღო დერეფნის კარი, უხმოდ ჩაუარა ანაზღად დაბნეულ ადიუტანტს. ოთახში შევიდა და კარს აეკრა, წამით ყური მიუგდო საკუთარი გულის ცემას. მერე შეირხა, ხელის სწრაფი, ნერვიული მოძრაობით მაზარა გაიძრო, სკამზე მიაგდო და უეცრად ენძელების კონა მოხვდა თვალში. ეოცა. საიდან გაჩნდნენ მის ხელში ენძელები?

ერთბაშად მოაგონდა... მერე ხელი მოიქნია. მაგიდაზე დაეცა ენძელების კონა. აჩქარებით გაიარ-გამოიარა ოთახში. პაპიროსი?

ჰმ, უნდოდა მოეწია...

ასანთი ამოიღო ჯიბიდან. ისევ გაირინდა. თვალგამტერებით დგას შუა ოთახში და...

რა ტაატით მიდის დრო!

ხმაური დერეფანში. ფეხების ბაკუნი.

სასწრაფოდ ფანჯარასთან დადგა, ფარდების ჩრდილში. კარზე ფროთხილი კაკუნი:

– შემოდი!

კარებში ადიუტანტი გამოჩნდა.

– თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ტყვე...

– შემოიყვანე! – შეაწყვეტინა.

კიდევ წამი თუ... საუკუნე! მერმე...

– თქვენო მაღალკეთილშობილებავ...

– გადი!

სწრაფად გაიხურა კარი ადიუტანტმა. გიორგი ადგილს მოწყდა:

– ოთარ!.. ნუთუ შენა ხარ, ბიჭო? – მხრებში ჩაავლო ხელები, მძლავრად მოიზიდა თავისკენ. თვალებში შეაცქერდა.

შეურხველად დგას ტყვე. ცივად ბზინავენ თვალები. სახეზე არც ერთი კუნთი არ უტოკავს.

– ოთარ, ბიჭო... – ხმა ჩაუწყდა. გაჩუმდა. ხელები მოტეხილივით ჩამოუცვივდა. თავი ჩაქინდრა. ერთხანს იდგა ასე გაუნძრევლად. ღუმელი ჩამოწვა – ხანგრძლივი, მძიმე და აუტანელი. მერე თავი ასწია. დახრილი ქუთუთოებიდან გახედა ტყვეს:

– ჰო, მართლა... მე დამავიწყდა, რომ ჩვენ... მტრები ვართ! თანაც... კლასობრივი მტრები! – ყრუდ ამოთქვა და უგემურად ჩაიღიმილა. დიდხანს, საეჭვოდ დიდხანს უკიდებდა პაპიროსს. მერმე ანთებული ასანთის ღეროს მიუშტერა მხერა და როცა იგი ძირამდე ჩაიწვა-თქვა:

– აი, როგორ და... სად შევხვდით ერთმანეთს!

ტყვე ისევ ღუმს. დასხეპილ, პირქუშ სახეზე სუსხიანად ელავენ თვალები.

„ამ ჩამოძონძილ ტანსაცმელშიც მოხდენილია და... როგორ დავაჟაკცებულა! სულ სხვანაირი იერი დასდებია და მაინც... რა

ახლობელი და ძვირფასია მისი სახის თითოეული ნაკვთი. ეს ჯიუტი ქოჩორიც უწინდებურად ჩამოშლია შუბლზე“...

უხმოდ გაუწოდა პაპიროსი. ტყვემ თავი გაიქნია უხმოდვე. გიორგიმ კვლავ უამურად ჩაილიმილა. მერე მაგიდასთან მივიდა. ენძელების კონას დაწვდა ანაზად. თბილმა, ალერსიანმა ღიმილმა შეურხია ბაგე. მერე ოთარს გახედა. შუბლსქვემოდან:

– ოთარ... გახსოვს, ერთხელ გაზაფხულზე ენძელები და იაიები რომ დავკრიფეთ და... ნანულის მივართვით?

ისევ სიჩუმე. წარბშეურხევლად ღვას ტყვე.

– არც ერთს არ გაგვიმხელია... ვისთვის გვინდოდა... – განაგრძობს გიორგი წყნარი, სევდანარევი ხმით და ზმანებაჩამდგარი თვალებით ვერ ამჩნევს ტყვის მტრულ ღუმილს.

წამით თვალწინ ცოცხლდება შორეული წარსულის სურათები: ერთად გატარებული ყრმობის ხანა. ბავშვური მეტოქეობა ტან-ლერწამა, თაფლისთვალება გოგონას გამო. მშობლიური სოფელი. მისი მაღალი ცა და მოუსვენარი მერეთულა. სილაში კოტრიალი და ცურვაში გაჯიბრება. ყველგან და ყველაფერში ფარული მეტოქეობა და პაექრობა. ზოგჯერ კინკლაობაც, მერე ისევ შერიგება და ერთად ყოფნა.

ბავშვობის განუმეორებელი ხანა. პატარა დარდი და დიდი იმედები. პატარა მწუნარება და უსაზღვრო ოცნება წარმტაც მომავალზე. მერე სიჭაბუკე. დაშორებული გზები.

და აი, მტრებად შეხვდნენ ერთმანეთს სამშობლოდან შორს. ათი წელი არ უნახავთ ერთმანეთი. ათი წელი, და აი ახლა...

– ამ იდილიური წარსულის მოსაგონრად მიხმეთ აქ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ? – ოთარს თვალები დამცინავად მოუჭუტავს, ტუჩებზე გესლიანი ღიმილი გასწოლია.

– ოთარ!..

– რად მომიყვანეთ აქ? რა გნებავთ?.. ტყვის მზერით გინდათ დასტკბეთ, არა?

– ოთარ... ნუ ენამწარობ, ოთარ! მე მანც ვერ მომატყუებ შენი გულციობით...

– მე... არ მესმის, რას ამბობთ? – მხრები აწურა ტყვემ.

გიორგიმ მოლლილად ჩაიქნია ხელი. ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ტყვის წინ შედგა, პირდაპირ შეხედა თვალებში და:

— მე ვიცი, ჩვენ უკანასკნელად ვხვდებით ერთმანეთს... მოდი, ბიჭო, წამით მაინც დაივიწყე, რომ თეთრგვარდიელის მუნდირი მაცვია. მერწმუნე, ჩემთვის იგი ისევე ძვირფასია, როგორც... შენთვის. შენ გიკვირს... მართალიც ხარ... — გიორგიმ წამით იყუჩა და:

— ეჰ, ჩემი ამბავი გრძელი ისტორიაა. არ ღირს ამაზე ლაპარაკი. არც დროა ახლა. უბალო ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული. მაგრამ... ჩემს თავზე არ ვჩივი უკვე. მე მხოლოდ... — სიტყვა გაწყვიტა უეცრად. ფანჯარასთან მივიდა. არაფრისმხედველი თვალები მიაპყრო მოქურუშებულ ცას, რომელსაც პირი მოუხსნია. მერეხი მოდის. თითქოს მართლა შეერთდნენ ცა და დედამიწა. ოთახში ბინდი ჩამოწვა. მხოლოდ წვიმის ხმაური არღვევს გამეფებულ სიჩუმეს.

გიორგი მობრუნდა. ოთარის წინ შედგა ისევ, თვალებში მიაჩერდა:

— არ ჯდები, არა, პრინცი პულად?

— დგომა მირჩევნია.

— არც პაპიროსს მოსწევს... წელანდელივით?

ოთარი წამით შეეყოყმანდა. მერე გამოწვდილი პაპიროსი გამოართვა. გიორგიმ სასწრაფოდ მიუმარჯვა ანთებული ასანთის ღერი, ტყემ ღრმა ნაფაზი დაარტყა.

უხმოდ აბოლებდნენ მცირე ხანს. მერე ისევ გიორგიმ წამოიწყო გაბზარული, ყრუ ხმით:

— მე გითხარი წელან, ჩემს თავზე უკვე არ ვდარდობ-მეთქი და ეს... ასეა. ჩემი ამბავი გათავებულია. ჩემზე დიდი დანაკლისი ღმერთმა ნუ მისცეს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ... საქართველო იღუპება, ბიჭო... აი, რა ჩამყვება სამარეში უსაშველო დარდად.

— ბევრჯერ ეგონათ ეგრე, მაგრამ ყოველთვის ფეხზე წამომდგარა და კვლავაც წამოდგება! — მკვეთრი ხმით შეესიტყვა ანაზღად ოთარი.

— კვლავაც წამოდგება? მერედა... ვინ წამოაყენებს, როცა საკუთარმა შვილებმა მოუთავეს ხელი?

— ნოეს ქამის გარდა კიდევ ჰყავდა შვილები.

– ვინ... ვინ არიან ისინი? მე რომ ვერ ვხედავ? – წამიერი პაუზა:

– ჩვენ!

– ?!

– რათ გიკვირს? დიახ, ჩვენ, სწორედ ჩვენ მოვუტანთ საქართველოს თავისუფლებას, ბედნიერებას. ჩვენ გადავარჩინთ მას დალუპვისაგან!

გიორგი ერთხანს გაშტერებული შეჰყურებდა სახეში, მერე გამოერკვა, ხელი ჩაიქნია:

– მენშევიკებიც ასე გაიძახიან ახლა. სინამდვილეში კი, საქართველოც და ქართველობაც ფეხებზე ჰკიდიათ.

– სავსებით სწორია!

– მენშევიკებს კი ერთადერთ სწორ მარქსისტებად მოაქვთ თავი და ბოლშევიკებს აგინებენ და სდევნიან. მერე მოხვალთ თქვენ და მენშევიკებს დაუწყებთ დევნას. ამასობაში კი ხალხი წყდება. მერე ვისთვის ან რისთვის გინდათ თავისუფლება?

– არ არის მასე. თავისუფლება არსად, არასდროს უმსხვერპლოდ არ მოპოვებულა. ეგ ანბანური ჭეშმარიტებაა.

– ჰმ. მსხვერპლი... მსხვერპლი. ქართველი ქართველს სპობს... აღარ გვეყო სისხლის ღვრა? დავილიეთ. დავიწრიტეთ... თუმცა, თქვენ რა? თქვენ ხომ სინამდვილეში არც სამშობლო გწამთ და არც ერი. თქვენ მხოლოდ... ვიწრო კლასობრივი ინტერესებიდან უყურებთ ხალხის, ერის საქმეს. თქვენი სალოცავი ხატიც და სამშობლოც ხომ საერთაშორისო პროლეტარიატია. დანარჩენი ყველაფერი – დემაგოგიაა!

– ჩვენ სწორედ სამშობლოს, მშრომელთა ინტერესებიდან გამოვდივართ, როცა ვებრძვით მუქთახორებს და ხალხის მძარცველებს.

გიორგიმ ირონიულად ჩაიღიმილა და ჩამქრალი პაპიროსი ნელა ჩაჭმუჭნა საფერფლეში. ახალს მოუკიდა. ერთხანს იყუჩა. მერე თავი გაიქნია და:

– ნეტამც შემედლოს ვირწმუნო ილიას მკვლელთა მიერ ერის გადარჩენის მისია! – თითქმის ჩურჩულით, მაგრამ მძაფრი ხმით ამოთქვა და ისევ გაიქნია თავი მწარე ღიმილით: – თუმცა... გვი-

ანია, ყოველივე გვიანია... მე არასოდეს მქონია ნამდვილი მიზანი ცხოვრებაში და ახლაც უსაგნოდ ვიბრძვი, და ღმერთმა თუ უწყის, ვისთვის ან რატომ! და მე ძალა არა მაქვს, გავარღვიო ეს მოჯადოებული რკალი, ისე, ვით ბევრ ჩვენს წინაპარსაც არ შესწევდა უნარი, არ დაეღვარა საკუთარი ხალხის სისხლი გადამთიელთა ინტერესებისათვის. ყველაფერი კანონზომიერია და... ყველაფერი ანია ჩემზე, რადგან... ვერაფერში გამოვადექი ჩემს ქვეყანას, ამიტომაც... ჩემთვის აწი უკვე სულ ერთია, სად ამომხდება სული... მომბეზრდა ყველაფერი...

ფრთხილად დააკაკუნეს კარზე.

– შემოდით... – დაყოვნებით გასცა პასუხი. მაგიდას მიუჯდა. სახეზე სუსხიანი, მკაცრი გამომეტყველება აინახა.

შემოვიდა ადიუტანტი.

– რა მოხდა?

– თქვენო მაღალკეთილშობილებავ, სარდლის შიკრიკი გეახლათ და... – ბარათი გაუწოდა. გიორგიმ გამოართვა, სწრაფად გახსნა. ჩაიკითხა.

ექვსი საათისთვის თათბირია. სარდალი იბარებს. ჰმ!

საათს დახედა. ხუთი ხდება. წამით ჩაფიქრდა და:

– ენიუტინ!

– გისმენთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! – გამოეჭიმა ადიუტანტი.

– ჩემი იორლა ორ წუთში მზად იყოს!

– არის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

ადიუტანტი სწრაფად შეტრიალდა და გავიდა ოთახიდან.

გიორგიმ უჯრა გამოაღო. რეკოლვერს დაავლო ხელი. ჯიბეში ჩაიღო. მერე მაზარა ჩაიცვა. ისევ დაბრუნდა მაგიდასთან. ენძელეების კონა აიღო. დაჭმუჭნა.

– ოთარ, წავიდეთ!.. გაკვირვების დრო არ არის. არც შეკითხვების. სწრაფად მომყე!

ისევ ისე წვიმს გადაუღებლად. ადიუტანტმა ცხენი მოჰგვარა. თვალის დახამხამებაში ზედ მოევლო და:

– ენიუტინ! თუ ვინმემ მიკითხოს, შტაბში წავიდა-თქო. გასაგებია?

– გასაგებია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

– შენ კი – წამოეთრე!

გაოგნებულმა ოთარმა რაღაცის თქმა დააპირა, ის იყო პირი გაალო და:

– ხმა! კრინტი! – იჭექა გიორგიმ: – გამიძეს!

...სტანიცას გასცდნენ. მერმე ველზე გავიდნენ, ოთარი წინ მიაბიჯებს ტლაპოში. ცივი ქარი და წვიმა დაუზოგავად უცხრილავს სახეს. ეცემა, ისევ ღვება.

– კიდევ ცოტა, ოთარ, კიდევ ცოტა მოითმინე... – დროდადრო ამხნეებს გიორგი.

– მე მინდა ვიცოდე...

– ნუ ჩქარობ. მალე გაიგებ!

აი, მდინარეც. მღვრიე, მღორე. ჩაჟამებული. ძე-ხორციელი არ ჭაჭანებს ირგვლივ. ტრიალ ტრამალზე მარტო ორნი არიან. ბინდი თანდათან დედდება. წვიმს ისევ ისე.

გიორგი ცხენიდან ჩამოხტა. მაზარა გაიძრო, ოთარს თითქმის ძალით მოახურა. იარაღი აიყარა, ხელში მიაჩეჩა:

– შეჯექი!

– გიორგი!.. რას ნიშნავს...

– შეჯექი-მეთქი, ბიჭო! ბევრს ნუ მალაპარაკებ! პირდაპირ იარე, მდინარის ნაპირის გასწვრივ. მერე... თქვენებიც გამოჩნდებიან.

– არსადაც არ მივდივარ! დამაბრუნე ახლავე ჩემს დატყვევებულ ამხანაგებთან.

– დამიჯერე, ოთარ, ასეა საჭირო. ნუ აყოვნებ.

– გიორგი! მერედა... შენ?

– ჩემზე ნუ დარღობ. აბა, შეჯექი ახლა ცხენზე. ნუ მახვეწნინებ.

– გოგი! – წამიერი ყოყმანი და მერე: – გოგი! მე არ დაგინდობდი!.. შენს ადგილზე მე არ დაგინდობდი! – ისევ პაუზა მცირე და: – პარტიის სახელით!

– ვიცი, ოთარ!

– იცი? საიდან?

– ჩემთვის კარგადაა ცნობილი თქვენი მრწამსი. მაგრამ... ახლა დისკუსიის დრო არაა. შეჯექი!

უეცრივ მივარდა ოთარი, მოეჭლო.

ერთმანეთის სახეს ვერ ხედავენ, ვერც ცრემლებს.

„შენ ჩემი სიყრმის მეგობარი ხარ, ბიჭო და... მე სხვანაირად არ შემიძლია!“ – ეს გულში გაივლო, ხმამაღლა კი: – ნუ აყოვნებ! ჩქარა!

– გოგი, მოდი... ერთად...

– არა, არა. ორივეს გაქცევა შეუძლებელია... ეგეც არ იყოს...
სავლე ვერ ვიქცევი პავლედ. მშვიდობით, ოთარ!

– გოგი!

– მშვიდობით-მეთქი, ოთარ!

– მშვიდობით...

წვიმა არ ცხრება. ქრის ქარი – სუსხიანი, გამჭოლი. ერთხანს ცხენის თქარა-თქურის ხმა ისმის. მერმე ისიც მიწყდა.

მარტოა. სრულიად მარტო ამ ტრიალ ტრამალზე. ზღაზ-ვნით მიაგორებს თავის მღვრიე ტალღებს უზარმაზარი მდინარე. თავშიც მღვრიე ფიქრებია. სიცვიე უსუსხავს მთელ სხეულს.

საკინძე ჩაიხსნა. ჯვარი ამოიღო. სიკვდილის წინ დაჰკიდა იგი დედამ. ჩემს სახსოვრად ატარეო იგი შვილო, სთხოვა.

„დედა, მაპატიე. ჩემი ცხოვრების უბალოდ შეკრულ ნასკვს წვერი ვერსაიდან ვუპოვე...“

შენც მომიტევე, ჩემო ქვეყანავ, მოუტევე შენს ურგებ და უგუნურ შვილს...

შენთან ახლა გაზაფხულია. ტყემლები ჰყვავიან. მიმოზები. ლორთქო ბალახის და ნაზამთრალი მიწის ნეღლი სუნი ტრიალებს ჰაერში... მე კი... შენი მიწაც არ დამეყრება...

კმარა! „განგებასა ვერვინ შეცვლის, არ საქმნელი-არ იქნების“...
უკვე უსიცოცხლო, მკრთალი ღიმილით შეათვალიერა რევოლვერი. საფეთქელზე მიიღო, უკანასკნელად გაიელვა დედის შეძრწუნებულმა სახემ.

სასხლეტს გამოჰკრა და... ყველაფერი შავ უფსკრულში ჩაიძირა.

წვიმს ისევ ისე, გადაუღებლად, გაუთავებლად.

...ტრამალში ცხენს მიაქროლებს მხედარი.

ძკლის ცოქაქლი

ზაფხულის მთვარიანი,ნათელი ღამეა. ჭრიჭინობელები გაუთავებლად ჭრიჭინებენ. სიო ნელა შარიშურობს ფოთლოვანში.

მე და ჩემი ოთხიოდე წლით უფროსი ძმა აივანზე ვსხედვართ და თავს ვიქცევთ მონაგონი თუ ნამდვილი ამბების მოყოლით. ხანაც ვკინკლაობთ, ვდაობთ, ვებუტებით და მერე ისევ ვურიგდებით ერთმანეთს. ოღონდ ეგაა: ვცდილობთ დედის ყურამდე არ მიბიდეს ჩვენი ჩხუბი, თორემ ადგება და... შინ შეგვრეკავს. ჩვენ კი... მამას ველოდებით.

აინიდან, ღია ფანჯარაში ვხედავ დედის შიშველ, მზისგან გარუჯულ მკლავებს. ჩემი დედიკოს საოცრად ტკბილ და თბილ ხელებს, როგორი მოფერება იციან ამ ხელებმა! ოჰ! მაგრამ თუ გავაბრაზეთ...

ღელა მაგიდას მისდგომია და თავჩაღუნული აუთოებს და ჭერამდე ახორავებული თეთრეული ნელ-ნელა ილევა, პატარავდება...

– ცია, მოდი, ვარსკვლავები დავთვალოთ!

– ვარსკვლავები?!

– ჰო, ვარსკვლავები. გინდა?

– ვარსკვლავები?! ვარსკვლავები უნდა დავთვალოთ?

– ჰო, ვარსკვლავები. რას დაგიღია, გოგო, პირი ლოქოსავით?

თქვი თუ გინდა!

– შენ თვითონ ხარ ლოქო!

– აბა! ენა დაიმოკლე, თორემ...

– რა თორემ? რას მიზამ?

– ნუ წაგიგრძელებია, გოგო, შენ ენა? უყურე შენ ამ ცინგლიანს რა ამბავშია! გინდა თუ არა თამაში, გეკითხები!

– მინდა. მერე?

– ჰოდა, დაიწყე აბა თვლა!

– ჯერ შენ დაიწყე!

– არა, ჯერ შენ! რამდენი შეგეშლება, იმდენი ჩარტყმა თავში,

იცოდე.

- კარგი. ვიწყებ. ერთი, ორი, სამი... სამოცდაცამეტი...
- შეგეშალა. შეგეშალა ოცდათერთმეტი გამოტოვე. ესეც შენ! – და ავთო თავში მირტყავს ხელს და თან იცინის, კვდება სიცილით.
- არ შემშლია, არ შემშლია! – ვიქაჩები მე და ტკივილსა და შეურაცხყოფას ერთად ვვლაპავ.
- აბა, კიდევ დაიწყე, თავიდან....
- კარგი დავიწყებ. ერთი, ორი, სამი... სამოცდაცამეტი...
- კიდევ შეგეშალა, კიდევ შეგეშალა, – ისევ მიტყაპუნებს ხელს თავში ავთო და თან რატომღაც იცინის, იცინის კვდება სიცილით.
- არაფერიც არ შემშლია! – უცებ ვბრაზდები მე და მუშტს ვურტყამ მკერდზე.
- აბაა! ხელი გააჩერე!
- ავთომ მიჯიკავა და სკამლოგინიდან გადმომაგლო. ეს უკვე მეტი სმეტია. ამის მოთმენა შეუძლებელია!
- დედააა!
- რა იყო, რა მოგივიდათ? დიდი ხანია არ გიჩხუბიათ, ხომ?
- ავთოს უთხარი რამე. სკამიდან მაგდებს.
- ავთო! არ მომიყვანო მანდ, გირჩენია!
- ჩემთან რა გინდა? თვითონ მირტყამს მუშტებს, კინაღამ გულ-მკერდი ჩამიმტვრია.
- ჩავიმტვრევ მე შენ ცხვირ-პირს, ჭკუით იყავი თორემ! ...რას უზინხართ მაქ? შემოდით ახლავე სახლში. უკვე შუალამეა. მამათქვენი ეგებ სულ არ მოვიდეს ამაღამ!.. გოგო, ვის ველაპარაკები მე? შემოდით ახლავე შინ და დაიძინეთ!
- შენი ჭირიბე, დედიკო, ვიქნებით რა კიდევ ცოტა ხანს! სულ არ მეძინება.
- აბა, მაშინ თქვენი ხმა, კრინტი არ გავიგონო, გეყურებათ? რავა კატა და ძაღლივით ერთ წუთს ვერ ძლებთ ერთად, თქვე შეჩვენებულელებო!
- ჩვენ მცირე ხანს მართლა გატრუნულები ვსხედვართ.
- სულ შენი ბრალია ყველაფერი, შე ჭინკავ, მახეზლარავ! – მოულოდნელად კბილებში სისინებს ავთო და მსუბუქად მჩქმეტს ფერდში.

სხვა ვერაფერი მომისაზრებია და... მკლავში ვაფრინდები და რაც ძალი და ღონე მაქვს ფრჩხილებს ვუსობ ხორცში.

ავთო სიმწრისგან კენესის, მერე მკლავს მტაცებს და სანამ გარიდებას მოვასწრებდე, თმაზე მქაჩავს მტკივნეულად.

– დედაა! – ვწივი მე.

– არ იშლით ხომ, თქვენსას? – დედა თავს ანებებს უთაობას და ამ დროს... ჩვენდა ბედად, გაისმის ჭიშკრის ჭრიალი.

– მამა! მამა მოვიდაა! – ცვივრი მთელი ხმით და ჭიშკრისკენ გავრბივარ კისრისტეხით. მაგრამ ავთო მასწრებს. იგი ერთი ნახტომით ევლება რამდენიმე საფეხურს (გზად კარგა გვარიან მუჯლუგუნს მთავაზობს) და შურდულივით მიქრის.

მამას იმ ხანად თეთრი ცხენი ჰყავდა და სანადიროდაც ხშირად ამ ცხენით დადიოდა ხოლმე.

მე აქლოშინებული მივიჭყერი მამასთან და... ერთბაშად შევდექი. ცხენის ზურგზე შველი იყო გადაწვენილი და... ქანაობდა.

– შველი! – აღმომხდა მე და ადგილს მიველურსე. ავთოს უკვე მოესწრო მამასთვის თოფის ჩამორთმევა და ახლა ჭიშკრის დაკეტვაში შველოდა.

არ მახსოვს, რომ მამა ოდესმე ხელცარიელი დაბრუნებულიყოს ნადირობიდან. მამა ხომ მთელს ჩვენს კუთხეში განთქმული მონადირეა. ბევრი ახალბედა მოდის მამასთან რჩევისათვის. მამასთან ერთად ნადირობა კი ახალგაზრდებს თურმე დიდ პატივად მიაჩნიათ. ჰოდა, მამას ბევრჯერ შველიც მოუტანია და ჯიხვიც, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს მინახავს: თეთრ, ჯიშინან ცხენზე დაკრული მონაცისფრო-მოყავისფრო შველის სხეული ცოცხალივით ქანაობდა ცხენის ყოველ შერხევაზე.

ფრთხილად, ნელი ნაბიჯით მივუახლოვდი შვილო და ძირს უმწეოდ ჩამოვარდნილი თავი ავუწიე, თვალებში ჩავხედე. თვალები ღია ჰქონდა – მშვენიერი, თაფლისფერი თვალები. და მომეჩვენა, რომ შიგ ცრემლები ციმციმებდნენ. ალბათ მთვარის შუქზე მომელანდა ასე-მეთქი, გამიელვა თავში და კვლავ ჩავაცქერდი თვალებში. არა, არ მომჩვენებია – თვალები სველი ჰქონდა შველს.

ცივად შევუშვი ხელი და... შევბრუნდი. უცებ ჩემს თმაში მამის ხეშემა, გრძელი თითების შეხება ვიგრძენი.

„ამ ხელებმა“... – აზრი ვერ დავამთავრე გონებაში.

– როგორა ხარ, ფაჩაჩა? – მამა საალერსოდ ფაჩაჩას მეძახის და კიდევ, ვინ იცის, რას, არა. საერთოდ უყვარს ბავშვებისთვის თიკუნების შერქმევა. ჩვენი უბნის ბავშვები აკი კულში დასდევენ და ყველას, სათითაოდ ყველას ზედმეტ სახელს ეძახის.

ვატყობ, მამა კარგ გუნებაზეა. საერთოდ, ნადირობიდან ყოველთვის ჩინებულ ხასიათზე ბრუნდება.

ახლაც მკლავი გადამხვია მხარზე და სამზადისკენ ერთად გავწიეთ. ავთოს ცხენის აღვირისთვის ჩაუვლია ხელი და მხარზე თოფგადაკიდებული, საქმიანი იერით მოაბიჯებს მამის გვერდით, თან შეკითხვებით არ ასვენებს. მამა ახლა, უწინარეს ყოვლისა, თოფს გაწმინდავს და ავთოც, რასაკვირველია, მამასთან ჩაცუცქდება. იგი თავის ჭკუით ეხმარება მამას, სინამდვილეში კი-ხელს უშლის...

მე მოკუნტული, ხმა გაკმენდილი მიყვები მამას და ხანდახან მალულად თვალს ვაპარებ შველისკენ, თავქვე დაკიდებული რომ პროწილობს აქეთ-იქით. და... ისევ ისე მისი ცრემლიანი თვალები მეღანდება...

დედა ღიმილით შემოგვეგება.

– შველია? – კითხულობს დედა და მერე ხმაში უკმაყოფილო კილო ერევა: – მთელი ღამის გათენება მომიწევს, როგორც ვატყობ...

– აბა, დატრიალდი ახლა. ლაპარაკის დრო არ არის. ჩქარა მოვრჩეთ საქმეს! – მბრძანებლობს მამა და დედაც... დატრიალდა.

მამა და ავთო სამზადის ბოძზე ჰკიდებენ შველს. მამა თან მოკლე ბრძანებებს იძლევა და თან დინჯად საქმიანობს. ზოგჯერ შეუყვირებს კიდევ თავისი მჭახე ხმით ხან დედას, ხან ავთოს, როცა ისინი რამეზე დაყოვნდებიან, ან ისე ვერ გააკეთებენ, როგორც მამას უნდა. რა კაჟანდევით ხმა აქვს ამ შეჩვენებულს, წაიბუზღუნებს ხოლმე დედა ასეთ დროს, მაგრამ იცის, რომ ეს გამარჯვებული და შინაგანად კმაყოფილი კაცის ხმის შემადღებაა მხოლოდ-ბრაზისგან დაცლილი...

შველი თავქვე ჰკიდია სვეტზე და მორჩილად ელოდება, როდის შეუდგებიან მის გატყავებას და გამოშივნას...

თვალეები-საოცრად ლამაზი და უმანკო თვალეები-ღია აქვს და შიგ ცრემლეები უბრჭყვიალეებს ისევ ისე.

ზურგი შევაქციე ბოძს და ახლალა ვიგრძენი, სახეზე თურმე ღაპალუპით ჩამომდის ცრემლეები, ნიკაპთან მესკვნება და შემდეგ ნელ-ნელა მიცოცავს ყელისკენ.

თუთარჩელა ღამეა, მშვიდი, წყნარი.

სარჩევი

მოთხრობები

„დაღალული რტო“	3
სუროგატი.....	30
„მოდინახეს“ მეციხოვნენი	68
განგების წრე-ბრუნვა	124
ათიდან - ათი	160
საყრდენი	189
„უსათაურო ინტერვიუები“*	219
სიკვდილის ზვაგი.....	251
„იეროგლიფი“	276
ნდობის ტელეფონი.....	300

ნოველები

ქვაკაცი	357
შემოდგომის დღე	389
ქვიშის ქალაქი	396
„უზუნდარა“	400
„საბედისწერო მიჯნა“	417
არაბული ტანგო	427

მინიატურები

ჩადირული საფლავეები	443
ალვის ხე	451
სიზმარ-ცხადში	453
შადრევანთან	460
ბაბუა	469
ატმის ყვაველები	474
ლიმილი	475
ძახილი	481
თოვლი	486
შეხვედრა	489
შვლის ცრემლები	499